ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0182—6028

ცისკარი

7-8
1993

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, რა დაგიშავე

თავის საბოგანლოში ლტოლ-
ვილად ქცეულ ყველა ქართ-
ველს

ჩემი ცა მენატრება,
ჩემი სახლის ლანდი,
დარდი დარდს ემატება,
ცრემლად დამდის დარდი.

ღმერთო, რა დაგიშავე,
ლტოლვილი რომ მქვია,
რად დამასვი ნიშანი,
ვით ჭრილობა ღია.

ჩემი ცა მენატრება,
სხვამ რომ წამიბილწა,
დარდი დარდს ემატება,
ცრემლად დამდის რიწა.

ჩემი ცა მენატრება,
ანგელოზის კიბით,
დარდი დარდს ემატება,
ცრემლად დამდის ბზიფი.

მესიზმრება — ჭიშკარი
გზას გასცქერის მტვრიანს...
ღმერთო, რა დაგიშავე,
ლტოლვილი რომ მქვია...

თამაზ ჭილაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

ივლისი-აგვისტო № 7-8

საქართველოს მწერალთა კავშირის
ლიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

პოეზია და პროზა

9. მორის ფოცხიშვილი — ლექსები
11. გამოსათხოვარი
13. ზურაბ ჭუბაბარია — „ბრწყინვალე ჩონჩხები“. რომანი. გაგრძელება
51. ანდრო ბუაჩიძე — ლექსები
54. გოგი ურგებაშვილი — მოთხრობები
64. გესია შაანიშვილი — ლექსები
66. ლეილა მესხი — „თეთრი თაბუნა“. მოთხრობა
74. ნოდარ გაკრაძე — ლექსები
76. ლადო სეფიდოშვილი — ლექსები
78. ჯარჯი ფხოველი — „ფურცლები“
91. ნატო გოგიშვილი — ლექსები
94. გივი ნიქარაძე — ლექსები
95. ანა ნაცვლიშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

97. გაგრიელ მარკესი — ფოთოლცვენა. რომანი. გაგრძელება. თარგმნა თეა გვასალიამ
119. სვეტლანა ალილუევა — ფიგნი შვილიშვილთათვის. გაგრძელება. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

ჩირაღდანი

138. ბაჩანა გრეგაძე — ანტიკური ციკლიზაციის გვირგვინი. გაგრძელება

წერილები

156. გეფან კილანავა — ჭაბუა ,მოხუცი, ანუ „ის მამაკაცი გაფურცელია“
163. გურამ ლასხიშვილი — მეცნიერების ღირებულების საკითხისათვის ფილიამ ჯეიმზის ფილოსოფიაში
170. გიორგი ნაღირაძე — სულხან გარათაშვილი
178. დავით ნავდარაშვილი — ილია ჭავჭავაძე და საგურამო
185. სოფიო ხულელიძე — მართლაც „რაც, დიდ ილიას ეყუდვნის“

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბალთერ არაბული
ირაკლი ბაზაკაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
მამუკა ნალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქუჯარტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თემურ შავლაძე
შალიკო შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ეკა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ელზა მეტრეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნები

ფსალმუნი 31

გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.

2. უფალო ჩემო, გესასოები, ნუმც გავწბილდები
უკუნისამდე;
შემიეწევრე და
შენმიერი სიმართლით მიხსენ!
3. მომაპყარ სმენა, მომაყურადე, გამოეშურე
შეწევნად ჩემდა!
იყავ ჩემი კლდე,
ჩემი საყრდენი,
ციხე-სიმაგრე ჩემეული მაცხოვარების;
4. ჩემო კლდეო და
სიმტკიცევ ჩემო:
წინ წარმიძეხი შენი სახელით,
უფალო ჩემო, მეგზურად მექმენ!
5. ამომიყვანე სათხეველიდან, რომელიც ფეხქვეშ
განმართხეს ჩუმად,
რამეთუ შენ ხარ მფარველი ჩემი.
6. მე სულსა ჩემსა ვავედრი შენს ხელს:
დამიხსენი დ მეოხად მექმენ,
უფალო, —
ღმერთო ჭეშმარიტების!
7. ამაოების მიმდევარნი გავინაბარე
და სასოებით მივენდე უფალს.
8. გავიხარებ და
გავლაღდები შენი წყალობით,
რადგან შენ სცანი ჩემი წუხილი,
გაიცნაურე შეჭირვება ჩემი ;სულისა.
9. უფალო ჩემო, შემიწყნარე,
რადგან მწირი ვარ:
ამოიშრიტა მწუხარებით ჩემი თვალები,
სული ჩემი ;და
სტომაქი ჩემი.
10. რადგან ნაღველში გაილია ჩემი სიცოცხლე
და წლები ჩემი — ურვა-წუხილში,
შეცოდებებში დაუძლურდა ჩემი ძალ-ღონე
და ძვალნი ჩემნი ;შეიპყრო ძრწოლვამ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 1, 2, 3, 4, 5, 6.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ყოველი ჩემი მოშულლის გამო ვარ სალანძღავად
გადაქცეული
მე ჩემი ნაცნობ-მეზობლებისთვის,
თვით მეგობრებიც მიფრთხიან უკვე;
ვინც კი ქუჩაში დამინახავს,
ძრწოლვით გამირბის.
12. ვარ, როგორც მკვდარი, დავიწყებული და გულებიდან
ამოგდებული,
და ჭურჭელივით გადამსხვრეული.
13. რადგან მესმოდა მრავალგვარი ცილისწამება,
უბედურება ყოველი მხრიდან,
როს შეთქმულება აღიძრნენ ჩემდა
და განიზრახეს განტევება `ჩემი სულისა.
14. მე კი, უფალო, გესავდი შენ და
გეუბნებოდი: „ჩემი ღმერთი ხარ!“
15. შენს ხელში არის ჩემი დრო-ყამი,
ჩემთა მტერთა და მდევართაგან გამომიხსენი.
16. გარდმოუვლინე მონასა შენსა ნათლითმოსილი
სახება შენი,
შენი წყალობით გადამარჩინე.
17. ნუ მიმატოვებ სირცხვილეულს, უფალო ჩემო,
რამეთუ გიხმობ, —
შერცხვენილ იქნას დაე ბოროტი,
უხმოდ შეერთოს ქვესკნელის წიაღს.
18. დაე, დამუნჯდნენ მოლიზღარი ბაგე-პირები,
მომყივნებელნი მართალი კაცის
ქედმაღლობით და მოშურნის ღვარძლით.
19. რა დიადია შენი სიკეთე,
უფალო, შენ რომ დაუმარხე მოშიშთა შენთა
და მიაგებე კეთილმოსავებს
თვალსაწიერზე ადამის ძეთა.
20. შენ მათ დაიცავ სახიზარში შენი სახისა
ადამიანთა მზაკვრობისაგან,
შენ შეიფარებ თავშესაფარში,
გამოარიდებ მოშულარ ენებს.
21. კურთხეულ იყავ, უფალო ჩემო:
შენ მომიელინე საკვირველი შენი წყალობა
ალყაშემორტყმულ ციხე-ქალაქში.
22. და მე აღმოვთქვი შეძრწუნებულმა: „მოკვეთილი ვარ
თვალთაგან შენთა!“
მაგრამ შენ გესმა ჩემეული ვედრების ხმები,
როს მწუხრეულმა ამოგღაღადე.
23. გიყვარდეთ, უფლის წმინდანებო, უფალი თქვენი,
რადგან უფალი იფარავს მართალთ
და მრავალკეცად გვაზღვევინებს ქედმაღლობისთვის.
24. გაძლიერდით და იმალმოსილეთ, უფლის ყოველნო
კეთილმოსავნო,
და განიმტკიცეთ გულები თქვენნ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნი 32

მოძღვრება დავითისა.

1. ნეტარ არს,
ვისაც შეენდო ბრალი,
ვისი ცოდვებიც განქარდა უკვე.
2. ნეტარ არს კაცი, ვისაც უფალი არ ამუნათებს
ცოდვების გამო,
ვისაც არა აქვს სიყალბე სულში.
3. როდესაც ვდუმდი,
გამალღო ძვლები
ყოველდღიურმა ვაებამ ჩემმა.
4. რადგან ნიადაგ შენი ხელი მძლავრობდა ჩემზე,
ზაფხულის ხვატით შეიმუსრა
სინედლე ჩემი.
5. მე ცოდვა ჩემი გაგიცნაურე
და ბრალი ჩემი გაგიცხადე
დაუფარავად,
ვთქვი:
„ცოდვებს ჩემსას ვაღიარებ უფლის წინაშე!“ —
და შენ შემინდე სიძძიმილი ჩემი ცოდვისა.
6. აი, ამისთვის აღგივლენს ლოცვას ყველა წმინდანი
შენი მოხილვის სვებედნიერ ჟამს,
და მას ვერ წარღვნის ნიაღვარი მრავალთა წყალთა.
7. შენა ხარ ჩემი თავშესაფარი,
შენ დამიფარე ავბედობისგან,
გარემომიცავ განტევების საგალობლებით.
8. „მე დაგმოძღვრავ და
წარგიძღვები მეგზურად გზაზე,
რომლითაც ივლი, —
გირჩევ და
შენკენ მოპყრობილი მექნება თვალი“.
9. „ო, ნუ იქნებით უგუნურნი,
ვით ურა-ცხენი
ან როგორც ჯორი, — რომელთაც პირში ლაგამ-აღვირი
უნდა ამოსდო
და დაიურვო გასახედნავად“.
10. მრავალი გვემა მოელის ბოროტს,
უფლის მოსავს კი
სიკეთარული გარემოიცავს.
11. განიხარეთ და იმხიარულეთ, გულით მართალნო,
უფლითა თქვენით,
და იზეიმეთ, წმინდანთა დასნო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნი 33

1. ო, წმინდანებო, იხარეთ უფლით, — ქება-დიდება
ამშვენებს მართალთ.
2. განადიდენით უფალი ქნარით,
ათძალი ებნით
უგალობეთ საგალობელი.
3. ქება შეასხით ახალი ქებით,
კეთილხმოვანი ღაღადისით
შეეხმიანეთ.
4. რადგან წრფელია სიტყვა უფლისა
და ჭეშმარიტი — ყოველგვარი ქმედება მისი.
5. უყვარს სამართლე,
მართლმსაჯულება
და წყალობითა უფლისაითა სავსეა მიწყივ
ქვეყანა მთელი.
6. და უფლის სიტყვით
შეიქმნა ზეცა
და მთელი მისი მხედრობანი —
მისივე სუნთქვით.
7. ვით გროვა რამე,
შემოკრიბა წყალნი ზღვისანი
და უფსკრულები მოაქცია საგანძურებში.
8. მთელს დედამიწას ეშინოდეს, და, უფლისა,
მას ეკრძალვოდეს სამყაროის მკვიდრი ყოველი.
9. რადგან მან თქვა და
შეიქმნა ქმნადი,
ბრძანა და —
მყარიც დამყარდა უმალ.
10. უფალი წაშლის წარმართთა ზრახვებს,
გააცამტვერებს გულისთქმას ერთა.
11. აზრი უფლისა ჰგიეს მარადის
და თაობიდან თაობამდე —
ზრახვანი მისნი.
12. ნეტარ არს ხალხი, რომლის ღმერთია ადონაი და
უფალი ჩვენი,
ხალხი — რჩეული სამკვიდროდ მისად.
13. გადმოიხედავს უფალი ზეცით
და მოიხილავს ადამის მოდგმას.
14. საბრძანისიდან, რომელზეც მკვიდრობს,
მიმოიხილა დედამიწის მკვიდრი ყოველი.
15. რომელმან შექმნა ყოველთა გული,
რომელმან უწყის ქმედებანი ყოველთაგანის.
16. მეფეს ვერ იხსნის სიმრავლე ჯარის,
მოყმეს — სიმხნე და ძალგულოვნება.
17. და ამაოა ბედაურზე დაიმედებაც:
ბევრიც ინდომოს, ოდენ ძალღონით ვერ გამოიხსნას
მხედარი თვისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ჰა, უფლის თვალი მოშიშთა მისთა:
კვლავ სასოებენ უფლისმიერ კეთილწყალობას.
19. რომ სიკვდილისგან გამოიხსნას
მათი სულები
და შიმშილის ჟამს ასაზრდოოს სიცოცხლისათვის.
20. და ჩვენი სული მოელის უფალს, —
ის არის მწე ,და მფარველი ჩვენი.
21. რამეთუ მისით იხარებენ ჩვენი გულები, —
მის წმინდა სახელს ვესასოებით.
22. გარდმოავლინე, უფალო ჩვენზე ცხოველმყოფელი
წყალობა შენი,
სასოებად და იმედად გვექმენ!

ფსალმუნი 34

ფსალმუნი დავითისა, როცა სიფლეგე მოიგონა აბიმელეკის წინაშე და განიდევნა და წავიდა

2. ყოველჟამიერ ვაკურთხებ უფალს,
მიწყივ მის ქებას აღმოთქვამენ ბაგენი ჩემნი.
3. და ჩემი სულიც უფლითაა განდიდებული, —
გაიგონებენ მორჩილნი და
გაიხარებენ.
4. ვადიდოთ ერთად უფალი ჩვენი
და ყველამ ერთხმად მოვამაღლოთ სახელი მისი.
5. მე მოვეძიე უფალი და
ისმინა ჩემი.
ყველა ჭირსა და ავბედობას გადამარჩინა.
6. უმზერდნენ მას და
გაბრწყინდნენ ნათლით,
აღარასოდეს გაწბილდება პირები მათი.
7. ჰა, შეჰღაღადა შეჭირვებულმა, —
ესმა |უფალს და
ჭირთაგან იხსნა.
8. გამოილაშქრებს ანგელოზი უფლისმიერი,
ღვთისმოშიშთ გარემოადგება
და გამოიხსნის.
9. განიცადეთ და იხილეთ ყველამ, რომ კეთილია
უფალი ჩვენი,
ნეტარ არს კაცი — მოსავი მისი.
10. ეკრძალეთ უფალს, წმიდანო მისნო, —
მისი მოშიში არაფერში დანაკლისდება.
11. დაგლახდებიან ლომები და
დაიმშევიან,
და მხოლოდ უფლის მაძიებლებზე
გარდმოვა მისი კურთხევის მადლი.
12. მოდექით, ძენო,
ისმინეთ ჩემი
და მე გასწავლოთ შიში უფლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ვინ არის კაცი,
    სიცოცხლე რომ სურს
    და დღეებს ეტრფის სიამეთა მოსახვეჭავად?
14. აწ ენა შენი ეკრძალოს ბოროტს
    და ბაგე შენი —
    თვალთმაქცურ სიტყვებს.
15. გამოერიდე ბოროტებას
    და ჰქმენ სიკეთე,
    ოდენ მშვიდობა მოიძიე
    და მას მისდევ.
16. თვალნი უფლისა — წმინდანებისკენ,
    მათი ლოცვისკენ — ყურები მისი;
17. პირი უფლისა — ავკაცებისკენ,
    რომ პირისაგან ამა ქვეყნისა წარხოცილ იქნას
    ხსენება მათი.
18. შეჰღაღადეს და
    შეისმინა უფალმა მათი, —
    გამოარიდა ყოველნაირ ჭირსა და ვარამს.
19. თანაუდგება უფალი გულმკვდართ
    და ყველა მორჩილს უშველის იგი.
20. მრავალნაირი ავბედობა აჭირვებს წმინდანს
    და ყოველთაგან იხსნის უფალი.
21. დაიცავს ყოველ ძვალთაგანს მისას, —
    მათგან ერთიც არ შეიმუსრება.
22. უკეთურება მოაკვდენს ბოროტს,
    მართლისმოძულეთ
    ბრალეულჰყოფს ქმედება მათი.
23. ხოლო უფალი
    თავისი მონა-მსახურების სულებს დაიხსნის
    და უცოდველად შეირაცხება
    ყოველი მისი მსასოვარი.

ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

ჯერ კიდევ ჟონავს ვენიდან სისხლი

მანქანა უცებ სავალ გზას ასცდა
და ისე, თითქოს ზღვაში წვეთია,
ის არის მარტო,
ო, მაგრამ მასთან,
როგორც ყოველთვის, მაინც დმერთია!

ჯერ კიდევ ჟონავს ვენიდან სისხლი,
ცაა ნაძიძგნი და ნასუფრალი,
ის ტირის მარტო,
ო, მაგრამ მის წინ,
როგორც ყოველთვის, ტირის უფალი.

ფეხმოტეხილი ჭიზვინებს რაში,
სისხლით ყელში და თვალში
კურცხალით;
ის უკვე კვდება,
ო, მაგრამ მასში,
ჯერ კიდევ ცოცხლობს თურმე უფალი.

მიტოვებული სახლი კარსანში

როზიტას

დედის გულივით პატარა ბინა,
გაბზარულ მინას
მთვარის სუნთქვა
ათოვს ჭირხლივით, —
ყველას სძინავს და ყველაფერს სძინავს
და თერმომეტრში ჩამწყვდეულ ს
ი
ნ
დ
ი
ყ
ს
არავინ ათბობს ბავშვის იღლიით.
როგორც თუთუნის გასახვევი
ქაღალდი თხელი,
დევს მაგიდაზე
მარტოობის ცისფერი მტვერი.

ობობას ჭერქვეშ
ჰამაკივით გაუბავს ქსელი,
ნესტიან კედლებს
მოუშვიათ მეჩხერი წვერი
და ვით გობელენს,
დროგარდასულს,
არც რას ადევს სიცოცხლის ფერი...
აღარავინ წერს ამ სახლში წერილს.

არ იკითხება არც ერთი ლექსი,
თავს არვინ ესხმის
პეპლოვან ჭუპრებს.
თუ კენესის, მარტო დუმილი კენესის,
რადგან აქ არვინ არ კვდება თურმე.

ცდუნების შემდეგ

რა ხდება,
ხიდან
ეშვება
გველი,
ცა ცათამპყრობელს სინათლეს უკმევს,
ან იქნებ ისე ახლოა მკვლელი,
რომ გვიან არის გაქცევა უკვე.

მოულოდნელად ვარდება თოფი,
რა ხდება, რომ ვთქვა, არცა მაქვს
ნება, —
ისე, ვით ციხე, ალყაში მყოფი,
იქნებ ეს გულიც შიგნიდან ტყდება.

რა ხდება,
ხიდან
ეშვება
გველი.

„ბასტა„

პალატაში ბორგვა გიმძიმს,
აღარც ნავთი, აღარც ცეცხლი.
ამდენ წამალს, სიკვდილის წინ
ერთი ჭიქა ღვინო შეცვლის.

მასხრობს განწირულთა კასტა,
სიცილისგან გტკივა ყბები, —
„დალევ, დათვრები და... „ბასტა!“
„არ დალევ და... მაინც კვდები!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსათხოვარი

სიკვდილი გაგვიმნიაურდა... თითქოს შეეგეგუეთ კიდეც ბედის უკუღმართობას, ტკივილზე ტკივილი გვემატება. მორის ფოცხიშვილის წასვლა არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, კარგა ხანია მძიმე სენმა ტანჯვის გზა განუმზადა, ბაგრამ ფიზიკურ სენს დაერთო მისი სათაყვანებელი სამშობლოს ძნელბედობა, სასტიკმა ჟამმა ალბათ შეურყია თვითდაცვის ზღუდეები და იგი დანებდა ჭტერს — სიკვდილს. ამატომაც იყო მისი გარდაცვალება მოულოდნელი მისი მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

მორის ფოცხიშვილი ჭეშმარიტი ცისკრელი გახლდათ: ჯერ როგორც ავტორი, თაობის ერთი გამორჩეული პოეტი, მერე როგორც თანამშრომელი და რედაქტორი. იგი კეთილმოსურნე, თბილი, ნათელი პიროვნება იყო. ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ამ სიტყვის საუკეთესო და მართალი გაგებით. ეს კარგად გამოჩნდა მის პოეზიაში, მის სიმღერებში... „ცისკრის“ თანამშრომლებს ბატონი მორისი დაამახსოვრდათ, როგორც კეთილშობილი ადამიანი და მეგობარი, სხვისი ტკივილის გულთან მიმტანი და სხვისი სიხარულის გამზიარებელი.

ჟურნალ „ცისკრის“ კოლექტივი გულწრფელი სინანულით ემშვიდობება ბატონ მორისს, ადამიანსა და პოეტს, კაცს, რომელიც სანელევით დაიწვა პოეზიისა და ერის სამსახურში.

ზაურ კალანდია, ხათუნა ალხაზიშვილი, ბაღათერ არაბული, ირაკლი ბაზაძე, ეთერ ბალიაშვილი, სოსო ბაჯელიძე, ეთერ თვარაძე, მაყვალა თვარაძე, ლევან მალაზონია, ელზა მეტრეველი, ზურაბ ნარმანია, ზიული სირაძე, ჯემალ ქირია, ლენა ღონღაძე, ვაჟა ჩორდელი, ნანა ჭულუხაძე, ნანა ჯაფარიძე, ნანა ჯარიაშვილი.

კაცი-სანთელი

ახალდაქორწინებული დისწული დამელუპა. სიცოცხლით სავსე, პირმცინარე, მხიარული ქალიშვილი იყო და ისე ცხოვრობდა, თითქოს ცაში დაფრინავდა. დაკრძალვაზე მისმა თანაკურსელმა გოგონამ მორის ფოცხიშვილის წიგნი მოგვიტანა — „გზა ტაძრისკენ“. ჩემს საბრალო დისწულს მოენიშნა მოწონებული ლექსები. ისინი უმთავრესად სიკვდილს ეხება. საოცარია, სიცოცხლისათვის დაბადებულის სულს რანაირად შეეხმიანა სიკვდილის სტრიქონები! ნუთუ ავი წინათგრძნობა კარნახობდა, იმ ბრძა, ტრაგიკული შემთხვევისათვის ამზადებდა!

„ჩემთვის სიკვდილიც მისაღებია, თუ ამ სიკვდილის შემოქმედი შენ ხარ, უფალო!“ „ნუ შეურაცხყოფთ სიკვდილს, — ადრე თუ გვიან მის ლოგინში მოგიწევთ წოლა!“

მორის ფოცხიშვილი, შემოქმედი და პიროვნება, ყველგან და ყოველთვის თავის ირგვლივ სინათლეს ჰფენდა. იგი თვითონ იყო სინათლის წყარო და ალბათ ამიტომაც ლოგიკურია მისი ფიქრი წყვდიადზე, სიკვდილზე... სანთელივით კაცი იყო და ეს ნათელი შუქი მის პოეზიაში ვლინდება, მის უბრალო, გამჭვრალე სტრიქონებში ანათებს. დახვეწილი ინტელიგენტი, კეთილმოსურნე, უშურველი,—ყველა ეს და ამგვარი ეპითეტი მის პიროვნებას მიესადაგება. მის გამოხედვაში მუდამ თანაგრძნობა გამოსჭვიოდა და ეს არ იყო მხოლოდ სიტყვებით გამოხატული თანაგრძნობა, რადგან პირადად მე არაერთხელ მომევლინა კეთილ მფარ-

ველად, არაერთგზის გამომიწოდა დახმარების ხელი. სამწუხაროდ, ჩვენს შორის ბევრი არიან სიტყვით გულგახსნილნი და საქმით გულდახშულნი... სწორედ ასეთ, ქრისტიანული სულგრძელობით დაჯილდოებულ კაცს უნდა მიეპყრო მზერა უფლისაკენ და მოეზრებინა კაცთა უპირველესი საფიქრალი — რა არს სიკვდილი!

რატომ უნდა გამოეცადა უფალს ასეთი სულგრძელი ადამიანი? რისთვის უნდა დაესაჯა საწუთროს? თუმცა იქნებ უფალი თავის რჩეულს განგებ მოუვლენს სატანჯველს, რათა გამოსცადოს. თუ ეს ასეა, ბატონმა მორისმა ეს მძიმე გამოცდა ღირსეულად ჩააბარა. პირველ ინფარქტს ბეწვზე გადარჩენილი ერთხელ მიკვებოდა, თუ რა საშინელი ტკივილი გადაიტანა, მერე ეს ტკივილი ნეტარებაში გადაეზარდა, შორით შორეთიდან დაჰყურებდა საკუთარ უსიცოცხლო გვამს, მერე თეთრი გვირაბით მიფრინავდა კაშკაშა სინათლისაკენ... მაგრამ ჯერ კიდევ არ მოსულიყო მისი დრო და უკან, მტანჯველ სიცოცხლეს მოუბრუნდა.., ამ ძნელ გაწოცდას მოჰყვა წლები, როცა შეგნებული ჰქონდა, რომ სიკვდილმა თავის მსხვერპლად აირჩია, რომ წუთისოფლის დღეები დათვლილია. ნებისმიერი ადამიანის ბაღალი სულიერება გამოიცდება სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. ბატონმა მორისმა მიიღო ეს გამოწვევა და სიკვდილს ეს მოლოდინი ისევ და ისევ მაღალ პოეზიას შეალია... ამ სქელტანიანი კრებულით პოეტი ეპაექრება სიკვდილსა და ბედისწერას, მაგრამ მისი უმთავრესი საზრუნავი სამშობლოს ძნელბედობა, დღეანდელობის ტრაგიკული განცდა და ხვალის იმედიანი ჭვრეტაა... იგი მიიცვალა ვითარცა სატანასთან მებრძოლი რაინდი. სიკვდილმა ვერ დაამარცხა, მან მხოლოდ გაანთავისუფლა მისი სული, რათა იგი ამაღლებულიყო უფლის სასახლის კარიბჭემდე, ზეციურ საქართველოში!

ჯემალ ქირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუბაბრია

ბრწყინვალე ჩონჩხები

რომანი

●

— აშკარა, მამალ ბოროტებას ისე არ დაუქცევია ქვეყანა, როგორც ტყუილს და იმ ტყუილზე კიდევ უარესი ნახევარსიმართლეა.

— ეგ როგორ?

— როგორ და, აი, კაცზე რომ იტყვი, კოჭლიაო და ვთქვათ, ასეც არის, კოჭლია ის კაცი, ეგ სიმართლეა, მაგრამ მერე რომ მიაყოლებ, მაგნაირ კაცს ღვინის დაყენებისა რა უნდა გაეგებოდესო, ეს უკვე ნახევარსიმართლეა. და ტყუილზე უფრო ცუდი იმით არის, რომ რაზან სიმართლით იწყებ, სიმართლეს გავს. მიხვდი?

— მგონი, კი.

— ჰოდა, ეგეთი სიმართლით ბევრი დაიარება ამ ქვეყანაზე. ფულსაც კარგს შოულობენ, თანამდებობებსაც და, რაც ყველაზე უფრო თავში საცემია, იმდენად არიან მიჩვეულები ამ ნახევარსიმართლით ცხოვრებას, რომ საკუთარ თავსაც არ უტყდებიან და კარგი პატიოსანი კაცებივით გულიანად სძინავთ. განსაკუთრებით მმართველებსა და მოსამართლეებს უყვართ ეგა. ჯამბაზებივით ჭრელები არიან — რა ფერითაც მოისურვებენ ან ხელს აძლევთ, იმ ფერით დაგენახვებიან სინათლეზე. ღმერთთან არაფერი ესაქმებათ და დღედაღამ კი ღმერთის სახელი აკერიათ პირზე.

— ესე იგი, ღმერთის ნახვა მარტო მართალ და პატიოსან კაცს შეუძლია, არა?

— ეგ ერთი პირობაა. მეორეა მოყვასის სიყვარული. კაცი ისეა მოწყობილი, რომ სხვის უბედურებას ადვილად უძლებს. საქმე ისაა, სხვისი ჭირი შენად გაიხადო, ზუსტად ის იგრძნო, რასაც ის საწყალი გრძნობს. იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, რომ უკანასკნელი ლუკმა შენზე გაუბედურებულ მათხოვარს გაუყო. ეგ ყველამ იცის.

— პატონო ტატე, თქვენ თუ გინახავთ ღმერთი?

— მე? — მწარედ გაიღიმა ტატემ, — მე ისეთი ცოდვები მაწევს, რომ ღმერთის ხილვა ალბათ აღარ მეღირსება.

— ღმერთი მოწყალეაო, გამიგია.

— უსაზღვროდ მოწყალე. მაგრამ ერთია მონანიება კაცისა, ვინც სახაბაზოდან პური მოიპარა და სულ სხვაა კიდევ... მე არ ვიცი, შეეძლებ თუ არა სიცოცხლის ბოლომდე ჩემი ცოდვების მონანიებას, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, აწი ეშმაკი ახლოს ვეღარ გამეკარება. თავის დროზე ერთმა თითისტოლა ბიჭმა ამახილა თვალი.

— ბიჭმა?

— ჰო... ძველი საქმეა... შენ ის მითხარი...

დიდხანს, გვიან ღამემდე საუბრობდნენ სანთლის მოცახცახე ალით განათებულ ქოხში მონანიების გზაზე დამდგა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ცოდვილი და ყმაწვილი კაცი, რომელსაც შემდგომში ტატეს ცოდვები ბავშვურ სიცელქედა და იინსაზობად მიეჩვენება...

მაგ არ იცოდნენ, რომ მეორედ ხვედბოდნენ ერთმანეთს. არც შეიძლება სცოდნოდათ, რადგან ჯერ ერთი, მას შემდეგ უამრავ წყალს ნაველო, ხოლო მეორეც ის, რომ ჰომობასრო დიპლოდოკისა მხოლოდ და მხოლოდ თვალებიღა შერჩენოდა დიგოს, ხოლო ტატეს — პრიიქით, თვალები და გამომეტყველება შეცვლოდა იმდენად, რომ ძველი ამხანაგები ძლივს ცნობდნენ.

ეს დღე იყო და ტატე და დიგო მთელ თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ, კითხულობდნენ საღვთო წიგნებს, ერთად სწავლობდნენ იუდეველთა ისტორიას, ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ეკლესიასტს მოძღვრებას, ზოგჯერ კამათობდნენ კიდევაც. ტატინ-კარნახის ნამოწაფარის ცოდნა ხშირად საგონებელში აგდებდა ტატეს, მაგრამ უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება ეხმარებოდა რთულ კითხვებზე პასუხის გაცემაში...

დიგო თავის თავს აჯერებდა ღმერთი მწამსო. ტატესაც, რაღა თქმა უნდა, გულითა და სულით უნდოდა, ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ რაღაც გაკრთებოდა ხოლმე ბიჭის თვალებში ისეთი... ჰოდა, ავაზაკყოფილიც თავს იკავებდა საბოლოო დასკვნისაგან. ტატე ხვდებოდა, რომ დიგოს ცხოვრების თხუთმეტი წლის მანძილზე საკმაოდ რთული დღეები გაველო. ნადრევი ნაოჭები შუბლზე, ზოგჯერ ლოყის უნებური ცახცახი, უცებ თვალებში ჩამდგარი შიში... ძველ კატორღელს აბა რა გამოეპარებოდა! ტატეს ის კაცი არ იყო, რაიმე ეკითხა დიგოსთვის მის წარსულ ცხოვრებაზე, აიბა და დიგო კი ხმას როგორ ამოიღებდნენ... კიდევ ერთი რამ უკვირდა და აშფოთებდა ტატეს — ბიჭი ყოველნაირად ერიდებოდა თანატოლებთან ურთიერთობას, თხუთმეტი წლის ბიჭში მარტოდ დარჩენის სურვილიც არაბუნებრივი იყო. რამდენჯერ უნახავს ღრმად ჩაფიქრებული, გარინდებული დიგო თვალუწვდენელ ოკეანეში ერთ წერტილს მიჩერებული...

— „ბიჭო, დიგო, ასე ხომ არაფერი გექნება ცხოვრებაში გასახსენებელი! აბა, ჩემ მოგონებებს ხომ ვერ მოიგონებო", ხუმრობდა ხოლმე ტატე და მოუთმენლად ელოდებოდა სასწავლებელში სწავლის დაწყებას.

XVII. სასწავლებელში

იმდენი ჰქნა ტატემ, რომ ურწმუნო თომასავით ჯიუტი მოხუცი აიბა დაარწმუნა, დიგოს სასწავლებელში გამწესება აუცილებელიაო. აიბახა და მოხუც მეზობლებს დაახაც ერჩივნათ, დიგო აქეთ-იქით ერბენინებინაო, მაგრამ ტატემ მაინც იმარჯვა და თავისი გაიტანა.

და აი, სასწორის თვის პირველ რიცხვში ძველი უბნის სხვა ბავშვებთან ერთად ფილოსოფიის მაგისტრის ტიტინ-კარნახის ნამოწაფარი სასწავლებლის გზას გაუყვა.

სკოლა სწორედ იმ ეკლესიაში იყო გამართული, სადაც ტატე და დიგო თითქმის ყოველდღე ადიოდნენ სასაუბროდ და სალოცავად. სწორედ ამ ეკლესიაზე გადიოდა კეთროვნების სოფლისაკენ მიმავალი გზა.

დიგო კარგად იცნობდა ჯიშვა ხუცესს — კაპას, დღენიადაგ ნერვებმოშლილ წვერცამეტა კაცს, რომელიც მთელი ზაფხული ძალ-ღონეს იკრებდა ძველი უბნის გოგო-ბიჭებთან — თავის მოწაფეებთან საბრძოლველად ბეთელიკაურის მოშავალი თაობის ანუ „ცხოვრების ყვავილების" (ეს გამოთქმა ძალიან უყვარდათ აქაურებს) გადამკიდე ჯიშვა ხუცესი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დედამიწის უმეტესი ნაწილი ეშმაკებთა და მათი ნაშიერებით იყო დასახლებული.

დიგო, რომელიც თანატოლებთან ყოფნას სულ არ იყო შეჩვეული, ძალიან ფერადდა, წამდაუწუმ სარკეში იხედებოდა, ცდილობდა, ნაკლებად ექსუტუნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნებსა და რვეულებს ამოწმებდა... მაგრამ სასწავლებლისკენ მიმავალი მოზარდები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და ისიც დამშვიდდა.

უფროსკლასელები — ხუცესს ჯოშვას მოწაფეები, რომელთა შორის დიგიც ირიცხებოდა, ეკლესიის წინ, ბაობაბის ჩრდილში დადგმულ დანჯღრეულ მერხებზე ჩამოსხდნენ. აქ ატარებდა გაკვეთილებს ბატონი ჯოშვა. კლასში სულ თხუთმეტი მოსწავლე იყო — ოთხი ქალიშვილი და თერთმეტი ბიჭი. თავდან დიგი მათ ერთ საერთო მასად აღიქვამდა და მხოლოდ დღის ბოლოს გამოარჩია ისინი ერთმანეთისაგან.

თანაკლასელების სახეებზე დაკვირვებით გართულ დიგის ნაკლებად ესმოდა ჯოშვა ხუცესის ნაუბარი.

ეს მოუსვენარი, კაპარჩხინა ადამიანი მთელი გაკვეთილის განმავლობაში დაფასთან დახტოდა, წრაპინა ხმით სიბრძნეს აფრქვევდა, დაფაზე წერდა (სამი ცარცი შემოეფშვნა ხელში) და თან ურჩ მოწაფეებს დროდადრო განუყრელი სახაზავით უმასპინძლდებოდა.

— დიგო, დაფასთან!

თავისი სახელის გაგონებაზე ბიჭი გაწითლდა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო, მაგრამ სხვა გზა არ იყო და ისიც დაფასთან გავიდა.

— აბა ერთი მოგვახსენე, რა იცი?!

— რა საკანში, ბატონო ჯოშვა? — ბეთქილაპურის ისტორიის გაკვეთილზე ასეთი კითხვის დასმა, სხვა რომ არაფერი, უხერხული იყო.

— რაში და ფილოსოფიაში! — თქვა თავისი ოხუნჯობით კმაყოფილმა ჯოშვა ხუცესმა და კლასს ამაყად გადახედა.

მოწაფეებს ფხუკუნი აუტყდათ.

— ფილოსოფიაში? კი ბატონო... მაგალითად, აკიღონ დიდი პერძენი ფილოსოფოსის თალესის მოძღვრება და განვიხილოთ იგი თანამედროვე გერმანული ფილოსოფიური აზრის მიღწევების შუქზე...

და აქ ტიტინ-კარნახის ყოფილმა შეგირდმა ისეთი აზრები გადმოალაგა თალესის ფილოსოფიის ირგვლივ, რომ მოწაფეები კი არა, თვით ჯოშვა ხუცესიც პირდაღებული შესცქეროდა კაი ნახევარი საათი. ეკლესიის ეზოში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ სასაფლაოზე გადახვეწილი კუტკალიის ხმა მკაფიოდ მოისმა. ამასობაში, ეშხზე მოსული დიგი ერთმანეთზე უფრო გაუგებარ წინადადებებს ისროდა და ბეთქილაპურის ამ უბანში ჯერარგაგონილი თეორიის საფუძვლებს ავითარებდა.

პირველად მაინც ჯოშვა ხუცესი მოეგო გონს. იგი აშკარად შეცბუნებული იყო. მოწაფეებს კი დაბნეული ჯოშვა ვერ წარმოედგინათ.

— დაბრძანდი... ჰმ, რაღა გვეჭირს, გამოგვიჩნდა ბეთქილაპურელებს კიდევ ერთი ფილოსოფოსი!.. — ეს მოსწრებული სიტყვა ვეღარ გამოუვიდა მასწავლებელს და ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა.

●

დიგოს დებიუტმა თანაკლასელებში დიდი ინტერესი აღძრა. ეს ინტერესი მოწაფეებში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. მაგალითად, შაშას — ცნობილ ჩხუბისთავს დიდი სურვილი აღეძრა, მეტჩარა კარგად მიებეგვა, მაგრამ იცოდა რა დიგოსა და ტატეს სიახლოვის ამბავი, ისიც შეგნებული ჰქონდა, რომ თითსაც ვერ დაკარებდა. მაინც ვერ მოითმინა და დიგოს მიუბრუნდა:

— ვაჰ, შენ რა პროფესორი ყოფილხარ!

ძველუბნელისათვის ეს იმდენად შეურაცხმყოფელი ეპითეტი გახლდათ, რომ ყოველი ოდნავ მაინც თავმოყვარე ყმაწვილი თავგანწირვით ეკვეთებოდა თავხედს, ეს უკანასკნელი სულაც ბაბაყოდვი რომ ყოფილიყო. მაგრამ დიგომ არ იცოდა, რა საშინელი დაცინვის ობიექტი გახდა და მხრები აიჩეჩა მხოლოდ. ამის დანახვაზე შაშამ, რომელიც უკვე იმას ფიქრობდა, ტატეს როგორ გადავურჩენ, ზიზღით გადაფურთხა და შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგად თავში ჯოშვას მიერ კარგად დამიზნული დარტყმა მიიღო.

მოზეიმე და კმაყოფილი ჯოშვა თვალებზე ცრემლმომდგარ შაშას ექილიკებოდა:

— ხომ არ გეტკინა, გენაცვალე? მიხვდი, რომ გაკვეთილზე ლაპარაკი და ფურთხება არ შეიძლება?!.

●

დიგო, როგორც ვიცით, ძალზე მგრძნობიარე და დაკვირვებული ყმაწვილი გახლდთ და სულაც არ გასჭირვებია თანაკლასელების ამოცნობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერაც მარტო დადიოდა სკოლაში და არც შესვენებაზე სცემდა ვინმეს ხმას, მან უკვე იცოდა, ვინ რას წარმოადგენდა. ერთადერთი ადამიანი, ვინც მართლა თანაგრძნობით უყურებდა, მეია იყო. დიგოს ძალიან უნდოდა, ამ მოხდენილ და კეთილშობილ გოგონას გამოლაპარაკებოდა, მაგრამ მეია ყოველთვის თავისი ორი განუყრელი მეგობრით — საურათი და დაუთათი იყო გარემოცული და ბიჭს სამინლად ერიდებოდა \მათი. საურა სასწავლების დედოფლად იყო აღიარებული. ეს იყო მართლა ულამაზესი გოგო, რომელსაც დიგო გუნებაში უკვე აღმერთებდა. მას შემდეგ, რაც დიგომ შაშას მიერ მიყენებული შეურაცხყოფა გადაყლაპა, საურას აღარც კი გაუხედავს მისკენ. არადა, თვით დიგოს საურას დანახვაზე ელეფილეთი მოსდიოდა, მისი აღელვებული ტანის ერთი შექანებაც საკმარისი იყო, რომ დიგოს (და არა მარტო მას) პირში ნერწყვი გაშრობოდა და აჩქარებული გულისცემა ზედ ყელთან ეგრძნო. ამ მცირერიცხოვანი ჯგუფის მესამე წევრი — დაუთა იმ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისთან მეგობრობაც ადამიანთა უმრავლესობას ნატვრად აქვს გადაქცეული. ამისათვის დაუთა ყველა ღირსებით იყო შემკული — ლომის ბოკვერივით ძლიერი, გამგები, გონებაგახსნილი და საოცრად კეთილი ბიჭი იყო.

დიგოს დიდი სურვილი ჰქონდა, სამეულს დაახლოებოდა, მაგრამ თავის თავში და სხვებში მუდმივად დაეჭვებულმა, არ იცოდა, როგორ მოება ამ საქმისთვის თავი...

●

ტატე ხშირად ეკლესიაში აკითხავდა ხოლმე დიგოს.

მოწყვეების ჯრიამულის მერე ეს ეკლესია განსაკუთრებით მყუდრო და ჩუმი ხდებოდა.

ეკლესიის კედელზე, ზედ ამბიონის თავზე ჯვარზე გაკრული წმინდანი იყო გამოსახული. წმინდანს დიდრონი, უსაზღვროდ კეთილი თვალები ჰქონდა. ტატე ამ ხატზე ლოცულობდა და მერე კი ბიჭს უხსნიდა, თუ რითი განსხვავდებოდა ეს წმინდანი ჩვეულებრივ მოკვდავთაგან.

დიგო თანდათან ისე შეეჩვია ფრესკაზე გამოხატული კაცის ნატანჯ სახეს, თვალებს, რომ ვეღარ წარმოედგინა მის გარეშე ცხოვრება. წმინდანი თითქოს ამშვიდებდა ბიჭის აფორიაქებულ სულს, ნათელს ფენდა მის ფიქრებს.. ჯ. ი. ამდენად ტკბილი და შეებისმომგვრელი იყო ეს განცდა, რომ ბიჭს თავისდაუნებურად პროტესტის გრძნობა ეუფლებოდა. ბოლო დროს კი სულ უფრო და უფრო ხშირად უხდებოდა ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვა, რომ იმ წმინდანისკენ არ გაქცეოდა თვალი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჯოშვამ დაავალა ბიჭს, ხაფანგებს მიხედეო.

●

ეკლესიაში უამრავი ვირთხა ბუდობდა.

შებინდებისთანავე იწყებდნენ ისინი თავიანთ პრომენადს დაცარიელებულ შენობაში.

ჯოშვა ხუცესის დაგებულ ხაფანგებში ყოველდამე ათობით ვირთხა ემეტებოდა, მაგრამ მღრღნელთა ლეგიონს ამით ბევრი არაფერი აკლდებოდა.

ალბათ გახსოვთ, დიგოს ბავშვობიდან ჭირივით ეჯავრებოდა ვირთხები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლად ეშინოდა მათი. აქ კი ჯოშვამ დაავალა, ყოველ დღეით ადრე მოდი და ვირთხებს მიხედეო. მიხედვა იმაში გამოიხატებოდა, რომ დიგოს ვირთხებიანი ხაფანგი რამდენიმე წუთით ჩაეყო წყლით სავსე კასრში და დამხრჩალი მღრღნელები ტაშტში ჩაეწყო. მერე მოდიოდა დაბალი, დახიცილ ვირთხებს თელი იბარებდა და მიაქონდა. სწორედ ვირთხის ტყავიდან კერავდნენ ძველუბნელი ხარაზები ბეთქილაპურში სახელგანთქმულ თბილ წუღებს. ვირთხების მოშთობა ძნელი საქმე არ იყო, მაგრამ დიგოს იმდენად ეზიზღებოდა ისინი, რომ ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა მოეშორებინა ეს დავალება.

ერთ კვირა დილას, როცა დიგომ ჩვეულებისამებრ ხაფანგებს ჩამოუარა, დანახა, რომ რკინის გალიაში მოზრდილი კატისხელა, არაჩვეულებრივად აგრესიული ვირთხა გაბმულიყო. დიგომ გალია აიღო, მაგრამ გოლიათი ვირთხა ისეთი თავგამოდებით ეკვეთა მავთულის ცხაურს, რომ ბიჭი დაფრთხა. ხაფანგი მოისროლა და ეკლესიიდან გამოვარდა. კარგა ხანს იყურებოდა აქეთ-იქით, სანამ არ დარწმუნდა, რომ მარტო იყო და მისი ეს შერცხვენა არავის ენახა. მაშინ გადაწყვეტა სამაგალითოდ დაესაჯა თავხედი ვირთხა — ხაფანგი წყაროსთან მიიტანა, კასრიდან წყალი გადმოღვარა და გალია ცარიელ კასრში ჩადო.

კასრი ნელ-ნელა ივსებოდა წყლით და თანდათან გალიასაც ფარავდა.

ვირთხა წყალში ატოვტივდა და გამოსავლის ძებნაში აქეთ-იქით აწყდებოდა. წყალი კი სულ უფრო და უფრო ზევით იწევდა. ვირთხა ხაფანგის ზედა მავთულებს აეკრო და ცდილობდა, დრუნჩი მაინც დაეტოვებინა ჰაერზე. მაგრამ წყალმა მალე ის დრუნჩიც დაფარა.

ამ სცენის ყურებამ დიგოს აუწერელი, ზიზღი და შიშნარევი სიამოვნება მოჰგვარა. ტანში ნეტარების ჟრუანტელი უვლიდა და უნებურად ლოყა უცახცახებდა...

ამ დღიდან დიგოს ველარავინ ასწრებდა ეკლესიაში მოსვლას და ვირთხებსა ხაფანგების „მიხედვას". საათობით იჯდა და უყურებდა ცხოველების წამებას. უყურებდა გატაცებით, მთელი არსებით ძმელოდა ამ სანახაობას. ყოველი ახალი ვირთხის დახრჩობისას შიშისა და ზიზღისაგან სულ ცივი ოფლი ასხამდა და ტანზე ბუსუსებს აყრიდა... მერე და მერე გრძნობების გაძმაფრების მიზნით რამდენჯერმე დაძლია შიში და ზიზღი და დამხრჩალ ვირთხას ხელით შეეხო. მისი მგრძნობიარე მოცახცახე თითები ვირთხების სველ და სლიპინა ბეწვს ეხებოდნენ და ბიჭს მართლა ავადმყოფური სიამოვნებით აღავსებდნენ...

●

დიგომ მშვენივრად იცოდა, რომ საზიზღრობა იყო ეს ყველაფერი. გული ერეოდა საკუთარ თავზე, მაგრამ ვერაფერი ვერ გაეწყო. რცხვენოდა ტატესი, ჯოშვასი, ბავშვების, განსაკუთრებით ეკლესიის ფრესკაზე გამოსატული კაცისა, მაგრამ ვერაფერი გაეწყო. ძალიან უნდოდა, ტატესთვის ყველაფერი ეამბა, იქნებ შვილებოდა რამე... ვერც ამის გაკეთება შეძლო...

ტატე უსიტყვოდაც ხვდებოდა, რომ ბიჭს რაღაცის გამხელა უნდოდა მისთვის, რომ მას რაღაც ულრძნდა გულმუცელს, მაგრამ ღლეები გადიოდა, დიგო კი ჯიუტად დუმდა.

XVIII. ჯაჯუ

ოდესღაც ერთმა არაბმა მეცნიერმა გამოიანგარიშა, რომ თითოეულ ადამიანს დაბადების იმდენად მცირე შანსი აქვს, როგორც, მაგალითად, უდაბნოში მოხეტიალე ყარიბს მარგალიტის აღმოჩენისა; თანაც ისე, რომ ათი ათასჯერ ჩაყოს ხელი ქვიშაში და ათი ათასჯერვე ობოლი მარგალიტი ამოაყოლოს ხელს; ანდა ბრმამ რომ ათი ათასჯერ ჰაეჰარაზე გაისროლოს თოფი და ამდენივე ორემი განგმიროს, ან ნარდის მოთამაშემ ზედიზედ ათი ათასჯერ დუ-შაშზე დას-

2. „ცისკარი" № 7-8.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას კამაელი. „ესე იგიო, — ასკვნის ბოლოს მეცნიერი, — ამქვეყნად მოსვლის უკეე თვით ფაქტი იმდენად უზარმაზარი იღბლიანობის ნაყოფია, რომ ამის შემდეგ კაცს უფლება აღარა აქვს, ცხოვრების უაზედმართობაზე ილაპარაკოს და საკუთარი ბედი დაწყევლისო“.

ბეთქილაპურის ძველი უბნის მკვიდრი ჯაჯუ ამ ბრძნულ აზრს არ იყო ნაზიარები და დღედაღამ გამწარებულ ბედიღბალზე თავისთვის მწარედ მოთქვამდა. ზოგჯერ ეცინებოდა კიდეც საწყალს დედა-ბუნების ირონიზობაზე, რომ მან მამაკაცის ამაყი სახელით მოუველინა ჯაჯუ ქვეყნიერებას; ეცინებოდა, როცა წარმოიდგენდა, რა ზარ-ზეიმით, თოფის სროლითა და სადღეგრძელოებით შეეგება ძველი უბანი ვაჟკაცის დაბადებას... ბავშვობისას სულ ეგონა, საშინელ სიზმარში ვარ და გამოღვიძებისთანავე ნორმალურ ადამიანად გადავიქცევი, მაგრამ დრო გადიოდა და ბიჭიც თანდათან ეწვეოდა მწარე სინამდვილეს — რომ იგი იყო ერთი ციდა, მაგიდის ფეხის სიგრძე, ობობასავით წვრილხელფეხება, სუსტი, მახინჯი და, რაც მთავარია, საშინელი, წინ და უკან გამობერილი ვეებერთელა კუზით „დამშვენებული“. ჭაბუკობის ასაკში შესულს ქვა აღმართში მიეწია და მოხუცი დედ-მამა დაუსნეულდა. ჯაჯუ საკმაოდ გონიერი არსება გახლდათ იმისთვის, რომ ბეთქილაპურის ყველაზე მაღალი მწვერვალიდან გადმოვარდნილიყო და ისე დაემთავრებინა თავისი ტანჯული სიცოცხლე, მაგრამ ლოგინად ჩავარდნილი მშობლების გადამკიდეს ამის საშუალებაც არ ჰქონდა. რა ექნა, გმინავ-გოდება აიკრძალა, იდაყვზე იკბინა და თავი გაჰყო უდელში იმ ვეებავ, მოუხეშავი და მძიმედ მოჭრიალე უმისა, რომელსაც ადამიანები დიდის ამბით ცხოვრებად ნათლავენ.

ყოველ ცისმარე დილას გატკაცინებულ თეთრწინსაფრიანი ჯაჯუ ძველი უბნის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე იდგა და ცხელ-ცხელ უგემრიელეს ღვეზელებს ჰყიდდა. მაღალი თეთრი ჩაჩი ბიჭს მზარეულის კარიკატურას ამსგავსებდა. მისი ღვეზლება ამ დროისათვის უკვე მთელს ქალაქში იყო განთქმული. ძველ-უბნელები სიამოვნებით მიირთმევნენ ბაობაბის ნახშირზე შემწვარ ბანანებს და მწვადებს. თუ ამას დავუმატებთ ჯაჯუს ბებიის ბებიის რეცეპტით დამზადებულ ცივ შარბათს, ცხადი გახდება, რომ ბიჭს ნახელავს მუშტარი არ აკლდა. მისი კლიენტები უმთავრესად მუშები, ხელოსნები და მოწაფეები იყვნენ, თუმცა უფრო შეძლებული ბეთქილაპურელებიც არ თაკილობდნენ მის ნახელავს.

ამ უბანში ჯაჯუ ძალიან უყვარდათ. თვით ყველაზე წყალწაღებული და გულქვა ნაძირალები ერიდებოდნენ მის წყენინებას.

დგომაც ხშირად უყიდია მისი ღვეზელი.

ამ დღეს კი...

კიდევ ერთხელ მისცა თავის თავს პირობა, კიდევ ერთხელ დაიფიცა საშინელი ფიცით, ვირთხებს ალარ გავეკარებიო და მაინც დარღვია აღთქმა. ამ ოხერი დამხრჩვალი ვირთხების გადამკიდემ ორჯერ იწვნია ჯიშვას სახაზავის გემო უფუროდღებობის გამო; მერე იყო და საურას შეეჯახა კრებში და იმის მაგივრად, რომ ეს შემთხვევა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, გოგოსთვის რაიმე სასიამოვნო ეთქვა, უშნოდ დაიწყო ბურტყუნი და თავის მართლება. იქვე მდგომმა შაშამ კიდევ ერთხელ უწოდა „ცხვირმუხლაცავი“ და კიდევ ერთხელ გადაყლაპა დიგომ შეურაცხყოფა...

— იყიდე ღვეზელი, ბიჭო, სულ ათი ცალი დაჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მინდა.

— ფული თუ არა გაქვს, ნისიად მოგართმევ.

— ნისიად რა, მათხოვარი კი არა ვარ.

— უყურე შენ?! ცხვინი ვერ მოუხოცია და უკვე მედიდგულება! — კეთილად ჩაიბუტბუტა ჯაჯუმ და მინავლულ ნაკვერჩხალს ფიცრის ქნევით დაუწყო გაღვივება.

— რაო, რა მითხარი?!

— არაფერი, კაცო, გაიარე, თუ მიდიხარ.

— მე ვარ ცხვირმოუხოცავი?! — დიგოს თვალებში დაუბნელდა და მერე ვეღარც გაიხსენა, როგორ მივარდა საცოდავ ჯაჯუს, როგორ ჩაჯიალა წიხლი გულისკენ, როგორ ჩაჯიალა წიხლი გულისკენ, ბოლოს ეს ბოლო ... ეს ბოლო ...

ამ მოულოდნელი და სასტიკი თავდასხმით გაოგნებული ჯაჯუ გვერდზე გადადგორდა და სახით სველი ქვიშენილი მიჩიჩქნა. ცხვირიდან გადმოსკდარმა სისხლმა დაუსვარა თეთრი ხალათი. ჩაჩი ტალახში ეგდო.

ვიღაცამ დაიყვირა, ჯაჯუს სცემენო! ცემა-ტყეპასა და ალიაქოთს მიჩვეული ძველუბნელები ამჯერად სწრაფად გამოცვივდნენ ჯაჯუს დასაცავად...

მისკენ გამოქცეული ამდენი ადამიანის დანახვაზე დიგომ ისე სწრაფად მოუსვა შინისკენ, რომ ხალხმა ვერც კი გაარჩია, ვინ იყო.

ჩანახშირებული მწვადის სუნი დადგა ირგვლივ.

გაფთრებული ჯაჯუ ცდილობდა მაღლობა ეთქვა მისი გულისთვის შეწუხებული კაცებისათვის, მაგრამ ყელიდან რაღაც ჭყლოპინისმაგვარი ბგერები ამოსდიოდა მხოლოდ. ვერდამლულ ცრემლებს ორი თეთრი ღარი გაეყვანათ მის ტალახით მოსვრილ სახეზე.

ჯაჯუ ტიროდა.

●

მთელი თავისი მოხერხებისა და ფარისევლობის მოხმობა დაჭირდა აიბას აღშფოთებული ძველუბნელების დასაშოშმინებლად. „მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩემს ჭაღარას ეცით პატივი, ბიჭს არაფერი დაუშავოთ, ნუ გამიმწარებთ მოხუცებულობასო“, აფიცებდა ყველას და პირდებოდა, დიგოს მე თვითონ სამაგალითოდ დავსჯიო.

იმ დღესვე ათასნაირი ნუგბარი ზორაგით დატვირთული ეახლა ჯაჯუს ოჯახს, თავი მოუქონა, ათასი კოლა ფული დაუტოვა და ავადმყოფის მოვლაც თვითონ იკისრა. იმდენი ქნა, რომ ათიოდ დღეში ხეიბარი ფეხზე წამოაყენა და ორი კვირის თავზე მეზობლების ესოდენი ყურადღების გამო დარცხვენილი ჯაჯუ უკვე ქუჩის კუთხეში იდგა და შამფურზე მწვადებს აშიშხინებდა...

●

— შენა სცემე ჯაჯუ?! — დაუთა აქამდე ერთხელაც არ დალაპარაკებია დიგოს.

— მე... დიახ.

— დაგიშავა რამე?

— ა... არა...

— მაშ, შეუგინებია და ეგ არის!

— არა, — დიგი დაუთას კეთილმოსურნე ტონმა შეაცდინა და დაუმატა, — ღირსი იყო!

— ესე იგი, კაცი როცა ღირსია, უნდა გაილახოს, არა?

— მე ასე მგონია.

— ჰოო... მაშინ არ გეწყინოს! — თქვა დაუთამ და ერთი ისეთი გაულაწუნა ჭაბაში, რომ დიგო ჰორტენზიის ბუჩქს დაეშხო პირქვე.

●

— საწყალი ბიჭი, რა უქნია იმ დათვს! გონს მოსული დიგო გაიტრუნა. მას მეიას მუხლებზე ედო თავი და სახეზე ეოგონსას ხელების სითბოს გრძნობდა. მეია სველ ცხვირსახოცს აღებდა გასიებულ ყვრიმალზე და ამას ისე ნაზად აკეთებდა, თითქოს ეფერებოდა კიდეც.

— გეცოდება? — დიგომ საურას ხმა იცნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, არ შეგეცოდება?! შეხედე, რა წვრილი თითები აქვს.

— ჯაჯუს რომ სცემს, ის კაცი რა შეესაცოდა, ერთი ვიცოდე.

— ჯაჯუც მეცოდება, ძალიან.

— ჰოდა, დაუდექი მოწყალების დად მაგ ცხვირმოუხოცავს!

— გამანებე თავი! — წამოხტა უცებ გაჯავრებული დიგო და შემკრთალ მეიას ხელი ცხვირსახოცი შეატოვა ხელში.

XIX. ჰასტორალი

ამ ამბიდან მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა ტატე ძველ უბანში. მას კეთროვანების სოფელში ჰქონდა საქმე — გზისპირა ქოხში მცხოვრებ მოხუცს ასაფლავებდა.

ჭორიკანა მეზობლებმა, რაღა თქმა უნდა, ამწამსვე მოახსენეს ტატეს დიგოს „ვმირობის“ შესახებ. ტატემ მდუმარედ მოუსმინა მეზობლებს, მხოლოდ თავი გაიქნია მწუხარედ, ამით, ცოტა არ იყოს, გააწბილა სტუმრები, რომლებიც მისგან, როგორც ჭეშმარიტი ბეთქილაპურელისაგან, სამარილიანი რისხვის მეხოატეხას ელოდნენ.

სინამდვილეში ნაამბობმა ტატეზე უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა. სულთმობრძავი მოხუცის გადასარჩენად ბრძოლაში დამარცხებულს საშინელმა სევდამ დარია ხელი. ისე უაზრო და ცარიელი მოეჩვენა გარშემო ყველაფერი, რომ გული მოეწურა. გაუჭირდა ბარტო ყოფნა და ქალაქისაკენ მიმავალ დიდმართს დაუყვა.

— ბატონო ტატე! — მოესმა გზაში დიგოს ხმა.

ტატემ ამოიხვნეშა და შეწერდა.

— ბატონო ტატე, მე... მე არ მინდოდა...

ტატემ დაკვირვებით შეხედა ბიჭს.

— უნდა მაპატიოთ, ბატონო ტატე!

— გაპატიო?! მე რა უფლება მაქვს პატიების... ალოცე, იქნებ შეგინდოს უფალმა. — დაღლილი ხმით თქვა კაცმა და თავის გზას გაუყვა.

დიგო იდგა და დიდმართს გაჰყურებდა.

ტატე მიდიოდა.

დიგო შიშმა აიტანა, ახლაღა მიხვდა, რა იქნებოდა მისთვის ტატეს დაკარგვა...

ერთხანს ასე გარინდებული იდგა, მერე ადგილს მოსწყდა და კისრისტეხით ჩაათავა დიდმართი.

— ბატონო ტატე! — ბიჭი ქოშინებდა და სულს ძლივს ითქვამდა, მოზღვავებული გრძნობებისაგან სახე შეშლოდა, — ბატონო ტატე, თქვენ უნდა მიშველოთ... ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისაც ჩემი შველა შეუძლია... ძალიან გთხოვთ... ამ ვირთხებს აღარ გამაკაროთ... აღარ შემიძლია...

დიგო ტატეს ვეება ხელს წვდა, სახეზე მიიდო და კოურიანი ხელისგული დაუსველა. ბაგრაგებდა ბიჭი, კბილს კბილზე აცემინებდა და სულ უკან-უკან იხედებოდა, თითქოს მდევარი მოსდევსო, როგორ უნდოდა, ყველაფერი ეამბნა ტატესთვის, ამ კაცის წინაშე გადმოეშალა წარსული და ახლანდელი ვნებები, მაგრამ ყოველისშემძლე კალენდულას გახსენებაზე მთელი გამბედაობა უქრებოდა.

— კარგი, გეყოფა, — ტატემ ბიჭს თავზე ხელი გადუსვა.

— ბატონო ტატე!...

— ვატყობ, როგორ გიჭირს. შეგიძლია არაფერი მითხრა, მაგრამ იცოდე, ტატე შენ ყოველთვის გვერდით დგიდგება.. და თუ ერთად ვიქენით, ვედარც ეშმაკი დაგვაკლებს ვერაფერს... წავიდეთ ახლა ეკლესიაში. ნუ გეშინია, ჯოშვას მოველაპარაკები, რომ ვირთხების მიხედვა სხვას დაავალოს. მერე ჯაჯუსთანაც შეგარიგებ, ჯერ ფეხზე დადგეს ის საწყალი... ოღონდ ბოდიში უნდა მოუხადო.

— ბოდიში? მე?

— დიახ შენ! — მკაცრად უთხრა ტატემ. — აუცილებლად! თანაც სხვების თანდასწრებით!..

XX. სამკუთხედის მეოთხე კუთხე

— აი, შენმა ვარსკვლავბაჭუნამაც მოგვაკითხა! — მიმართა საურამ მეიას ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მკვახე ტონით, რომელსაც უხეშობამდე არაფერი აკლდა.

მართლაც, ბუჩქებთან დიგო იდგა და გაუბედავად შესცქეროდა თანაკლასელებს.

— ძაღლი ახსენე და...

— დაუთა! — ვაწყვეტინა სიტყვა მეიამ, — თქვენი ჭირიმე, ცუდი არაფერი უთხრათ.

— კარგი, ბატონო! — თქვა დაუთამ.

საურამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— დიგო! — დაუძახა მეიამ,—მოდი ჩვენთან.

გოგონა ადგა, დიგოსთან მივიდა, ხელი მოკიდა და მეგობრებთან მოიყვანა.

— მე თქვენ გეძებდით...

— ეძიებდე და ჰპოვებდეო! — ჩაურთო დაუთამ.

— კარგია, რომ გვიპოვე, — თქვა მეიამ, — ჩვენც გვინდოდა შენი ნახვა.

— მეიას უნდოდა! — თქვა საურამ და შავი თვალები დაუთას შეანათა.

— ძალიან მჭირდებით ყველანი, — წყნარად თქვა დიგომ. — ერთ ადგილას უნდა წამომყვეთ.

— დღეს? — შეეკითხა დაუთა.

— ახლავე, თუ გცალიაო, რა თქმა უნდა.

— წავიდეთ! — თქვა მეიამ, დიგოს ხელი მკლავში გაუყარა და ძველი უბნისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

საურამ და დაუთამ ერთმანეთს გადაზედეს და ბოლოს ისინიც დაეშვნენ დიდმართზე.

●

გამოჯანმრთელების მერე ჯაჯუს მუშტარი აღარ მოკლებია. ძველუბნელები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე გასცალებინათ ბიჭის ნახელავი და ამით მაინც დახმარებოდნენ მის გაჭირვებას. ჯაჯუ საქმეს ვეღარ აუდიოდა, მთელი დღე ცეცხლთან ტრიალებდა და უკვე იმას ფიქრობდა, მშობლების მოსავლელად ქალი ხომ არ დავიქირავო.

იმ საღამოსაც დაღლილ-დაქანცული ჯაჯუ თავისი სახლის წინ ქუჩაში დადგმულ მერხზე იჯდა და საღამოს ნიავზე გახურებულ სახეს იგრილებდა...

მისკენ მომავალი დიგო რომ დაინახა, ადგა და შინ შესვლა დააპირა, მაგრამ...

— ჯაჯუ!

ხეიბარი შემოტრიალდა და უხმოდ მიაჩერდა დიგოს.

— ჯაჯუ... — უცებ ხმა დაეკარგა დიგოს, მაგრად ჩაახველა, და ბორძიკით განაგრძო, — ჯაჯუ... აი, ეს ხალხია მოწმე... დიდ ბოდიშს ვიხდი... დავივიწყოთ, რაც მოხდა...

ჯაჯუს სახე გაეხსნა, კაი კაცის ღიმილით გაიღიმა და დიგოს ხელი გაუწოდა:

— მეც არ ვიყავი მაშინ მართალი, მეც ბოდიშს ვიხდი.

ჯაჯუ და დიგო ერთმანეთს გადაეხვივნენ. დიგომ, რომელიც ხელით შეეხო ჯაჯუს კუზს, ერთ მომენტში ძველებური ცივი შიში და ზიზღი იგრძნო, მაგრამ იქვე შეძლო თავის დამორჩილება და რამდენიმე წამის მერე განსაცვიფრებელი სითბო ჩაედვარა სულში.

ყველა მიხვდა, რომ მოხდა რაღაც ძალიან კარგი, სუფთა და ნათელი... და სამკუთხედიც ოთხკუთხედად გადაიქცა.

XXI. დაკრწიდა ხული მეუსაფარი...

მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი.
სოკრატმ,
მე ვიცი!
ნეგიზმიერი რეგვენი.

მეია დილიდანვე შეყვარებული გოგოებისათვის დამახასიათებელი მომხიბლავი შეშფოთებით აკვირდებოდა დიგოს და ამჯერად ჭკნნდა კიდევაც ამის საფუძველი — ბიჭს აშკარად რაღაც აწუხებდა. მის თხელ, ნერვულ სახეზე სასწორკვეთა და ტანჯვა ალბეჭდილიყო. მეია რამდენჯერმე შეეცადა, თვალებით გამოლაპარაკებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ერთ წერტილს მიშტერებული დიგო ვერავის აჩნევდა, თითქოს საგნებს მიღმა იყურებოდა და მასწავლებელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცესის რამდენიმე შენიშვნაც უყურადღებოდ დატოვა. ჯოშუა ის კაცი არ იყო, მსგავსი რამ მოეთმინა — უკნიდან მიეპარა ბიჭს, რაღაც შეეკითხა და კვლავაც რომ ვერ მიიღო პასუხი, გამეტებით ჩასცხო თავში სახაზავი. ამის დანახვაზე უკანა მერხიდან დაუთა წამოვარდა, ყვიცაინ ჯოშუას სახაზავი ხელიდან გამოვლიჯა და შუაზე გადაუმტვრია. ჯოშუა ხუცესი მის დასასჯელადაც მოემზადა, მაგრამ ბიჭის ანთებულ მზერას რომ გადაწყდა, უკან დაიხია და საბრძოლო სულისკვეთება უკვალოდ გაუქრა.

— მე თქვენ გაჩვენებთ სეირს! — უმისამართოდ დაიწივლა და ეკლესიიდან ლამის კუნტრუშით მოცოცხა.

— გაუმარჯოს დაუთას! — იყვირეს მოწაფეებმა და თვითონაც მოუსვეს, არავინ შოგვისწროსო.

ეკლესიაში მეია, საურა, დაუთა და დიგო დარჩნენ.

— რა დაგემართა? — შეეკითხა დიგოს დაუთა.

— არ ვიცი... თქენი ჭირიმე, არ გეწყინოთ, მარტო მინდა დარჩენა...

— კი ბატონო. — დაუთას უნდოდა გასამხნევებლად მხარზე ხელი დაერტყა დიგოსთვის. ამ უკანასკნელმა დაუთას ეს მოძრაობა სხვანაირად გაიგო და უნებლიეთ თავი სწრაფად ვერდზე გასწია.

დაუთა დაიბნა და გაწითლდა.

— კარგი, წავიდეთ... — ჩაიბურტყუნა მან.

— აღარ გვეტყვი, რა მოხდა? — ვერ მოითმინა საურამ.

დიგომ პასუხი არ გასცა. ეტყობოდა, ვერც გაიგო, რა კითხეს.

— მერე გვეტყვის... გაანებეთ თავი.

დიგო მარტო დარჩა ცარიელ ეკლესიაში.

იგი ცდილობდა მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს.

მშვენიერად გრძნობდა, რომ ეს არ იყო ის არაფრისგან გამოწვეული მოუსვენრობა, მთავრიანი ღამეების დადგომისთანავე რომ ეუფლებოდა ხოლმე. არა, ეს იყო უბედურების, დიდი, გარდუვალი უბედურების უმწვავესი შეგრძნება. არადა, მის გარშემო ყველა საუკეთესოდ გრძნობდა თავს, ფუტკრები მხიარულად ზმუოდნენ, ჭრელი ჩიტები ბზნედ დაფრინავდნენ და ზღვაც მშვიდად ლიველივებდა...

თვალები დახუჭა და გაირინდა.

მის არსებაში ორი ურთიერთგამომრიცხავი სუფთილი ეომებოდა ერთმანეთს: ერთი უბიძგებდა, რაც შეიძლება მალე წამომხტარიყო და გაქცეულიყო — იქნებ მოესწრო, იქნებ ეშველა, იქნებ რაიმე ელონა ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ახლობელი, ყველაზე საყვარელი ადამიანის გადასარჩენად... მეორე კი დაწყნარდი და მოისვენეო, უბრძანებდა, ისე უდღვრევდა ფონებას, რომ ბიჭს ვერც კი გაეხსენებინა, ვის შეეძლო ასეთი ძალით მოეხმო მისთვის... მერე კალენდულას აჩრდილიც გამოეცხადა — ემუქრებოდა და აშინებდა...

ისევ პირველმა ძალამ იმძლავრა — გარინდებას თავი დაადწია, ეკლესიიდან გამოვარდა და ქალაქისკენ გაეშურა.

დიგო სრულიად არ იცნობდა ბეთქილაპურს. ვერ გეტყოდათ, სად იყო მთავარი მოედანი ან მეფის სასახლე... და მაინც მიდიოდა ისე, თითქოს იცოდა, საით უნდა წასულიყო. გრძნობდა იმასაც, რომ სწრაფად უნდა ეარა, რაც შეიძლება სწრაფად და არაფერზე არ ეფიქრა... კიდევ უფრო სწრაფად, კიდევ... ძველი უბნის ოღროჩოღრო, დაბრეცილი გზები სუფთა, სწორი და კოხტა ქუჩებით შეიცვალა... მერე მწვანეში ჩაფლული მდიდრული სახლები გამოჩნდა — აქ ყველაზე მდიდარი და წარჩინებული ბეთქილაპურელები ცხოვრობდნენ.. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ დიგოს ახლა ნაკლებად აინტერესებდა ბეთქილაპურის ღირსშესანიშნობანი — მისთვის მთვარი იყო, მიესწრო... არ იცოდა, რისთვის, ვისთვის, მაგრამ აუცილებლად უნდა მიესწრო... ხვდებოდა კია, რომ სულ ახლოს იყო მიზანთან, კიდევ ცოტაც და...

უცებ შეჩერდა.

„მორჩა, გათავდა ყველაფერიო“, გაიფიქრა და გზისპირა ხეს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

მან იცოდა, რომ უბედურება უკვე მოხდა.

და რომ ამას აღარაფერი ეშველებოდა.

მაგრამ დიგომ არ იცოდა, რომ ორიოდე ნაბიჯიც და დიპლოდოკების სასახლეს, თავის მამაპაპეულ სახლს მიადგებოდა.

მან არ იცოდა, რომ ზუსტად ამ დროს გარდაიცვალა ამქვეყნად უმშვენიერესი და უბრწყინვალესი ქალბატონი ბრუნგარიტა.

●

ხმები ბრუნგარიტა დიპლოდოკის საკვლილის შესახებ მხოლოდ მესამე დღეს გავრცელდა ბეთქილაპურში. მოქალაქენი ამ ამბავს ჩურჩულით ანდობდნენ ერთმანეთს... მაგრამ დრო გადიოდა, დიპლოდოკების სასახლიდან არაკინ გამოუსვლებიათ და მითქმა-მოთქმაც შეწყდა — აბა, რიმელი ბეთქილაპურელი დაიჯერებდა, რომ ესოდენ შესანიშნავი ქალბატონის გარდაცვალებას ასე შეუმჩნევლად და ტრაგიკული ზარ-ზეიმის გარეშე შეეძლო ჩაევლო...

ამ ხმებმა დიგოს ყურამდეც მიაღწიეს, მაგრამ ბიჭზე კალენდულას უნინარი ზეგავლენა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ ვერც კი მიხვდა, ვისზე იყო ლაპარაკი.

●

„სამკუთხედის გაოთხკუთხედებიდან“ მთელი წელიწადი გავიდა.

ეს იყო ყველაზე ბედნიერი და მშვიდი წელი ჰომობასრო-დიგოს ცხოვრებაში.

ვერაფერი ვერ იმოქმედებდა ბიჭზე ისე სასაკეთოდ, როგორც მეიასთან, საურასთან და, განსაკუთრებით, დაუთასთან ურთიერთობა. საქმე ის გახლდათ, რომ ამ წრეში იმდენად წრფელი, ლამაზი და სუფთა განწყობილებები ბატონობდა, რაიმე უკუღმართობის ჩადენა კი არა, გაფიქრებაც არ შეეძლებოდა. ჰოდა, დიგოც ცდილობდა, თავი არ შეერცხვინა. და თუ პირველ ხანებში კეთილშობილი და თავმდაბალი ბიჭის, ერთი სიტყვით, კაი კაცის როლში ყოფნა მისგან მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვდა, მერე და მერე აღმოაჩინა, რომ საკეთის გაკეთება მეტად კარგი და სასიამოვნო რამ ყოფილა. მეგობრებს შორის რაინდული სულის დამკვიდრებას ისიც უწყობდა ხელს, რომ მათ შორის მეგობრულის გარდა სხვა გრძნობებიც იკვეთებდა ფეხს. მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, ეს იყო „ცალმხრივი სიყვარულის“ ნამდვილი დღესასწაული. გაფაქიზებული შეგრძნებებით გამორჩეულ დიგოს, ვისაც ხერხემლით შეეძლო გამოეცნო ადამიანის განწყობილება, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია დანახვა იმისა, თუ როგორ ცდილობდა საურა დაუთას დანახვაზე სიხარული სიამაყით დაეფარა, ან რა სხივი ჩაუდგებოდა ხოლმე დაუთას მეიას გამინრნაზე... ეს უკანასკნელი ხომ ისე ეპყრობოდა დიგოს, როგორც ქარში გამოტანილ სანთელს... ერთადერთი, ვინც ბოლომდე ვერ გარკვეულიყო თავის ვრძნობებში, დიგო იყო. ძალიან მოსწონდა მეია, უხაროდა მასთან ყოფნა, მარტო დარჩენილს მისი თვალები ენატრებოდა, მაგრამ ეს იყო და ეს! რამდენჯერ უკოცნიათ ერთმანეთისათვის, რამდენჯერ ზღვაში ბანაობისას ხელში აუყვანია... არაფერი! ამ დროს, როგორც ვთქვით, საურას ერთი შერხვა დიგოში მხეცს აღვიძებდა. საშინელი სურვილი მოუვლიდა ხოლმე, ეს ქალი დაემორჩილებინა, დაეთრგუნა, უხეშად, ძალიან... ერთხელაც გამთენიისას ვეღარ გაუძლო საურაზე ფიქრს, ლოგინიდან წამოხტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტატესთან გაიქცა. ნამძინარევმა კაცმა აფორიაქებული, თმააწეწილი დიგო ძლივს იცნო.

— რა იყო... რამ აგაგდო ამ უთენია?!

დიგომ სხაპასხეპით უამბო ტატეს თავის განცდებზე, ეშინოდა, არ გადავიფიქროო.

ტატემ ყურადღებით მოუსმინა, მერე, ბიჭის გასაოცრად, კედლისაკენ გადაბრუნდა და უკვე ძილში წასულმა ჩაიბურტყუნა:

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ... ახლა შინ წადი და დაიძინე.

●

ასე გადიოდა დრო. დიგო ნელ-ნელა თავისუფლდებოდა იმ საშინელი ზეგავლენისაგან, ძველ უბანში მოსულისთანავე რომ დაატყდა თავს. სულ უფრო და უფრო იშვიათად ელანდებოდა გაცოცხლებული ქანდაკებები და სხვა საძაგლობა, ის სუნიც დაავიწყა თითქოს, ცხვირს აღარ აქსუტუნებდა წამდაუწუმ და აღარც სიზმრებისა ეშინოდა უწინდებურად...

XXII. ხელოვნური ყვავილები არა ჭკნებიან

ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად,
რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ.

შექსპირი, „ჰამლეტი“.

●

ასეთი ღამეების დადგომას ელოდებიან ხოლმე ალბათ ყველაზე ავი და მოუსვენარი სულები — ეშმაკები, ალები, ქაჯები, ჭინკები და სხვა უწმინდურნი (ჯვარი აქაურობას!)...

●

მთის კორტოხზე ძველი ეკლესია იდგა.

მალე ამ ეორას გათელილი ნაბადივით უხმოდ დაეცა ღამე და ბროლის ნიავზე ვარსკლავები ააწკრიალა.

ახლა, ამ წუთას დიგოს თვალწინ დედამიწა იბადებოდა.

თეთრი ცხენი წყნარად, თავისთვის ფრუტუნებდა სასაფლაოზე.

დღეს განსაკუთრებით ეჩქარებოდა დიგოს ჯვარზე გაკრულ კაცთან მარტო დარჩენა, რადგან დილიდანვე რაღაც გამოუცნობი წინათგრძნობა აწვალებდა. ტატე კეთილვანთა სოფელში ეგულებოდა, იქ მისულას კი ბიჭი ვერ ბედავდა. მეგობრებიც სადღაც დაიკარგნენ...

„ერთ მშვიდ, მთვარიან ღამეს გადაწყდება შენი ბედ-იღბალიო“, გაახსენდა დიგოს დიდი ხნის წინათ გაცოცხლებული ქანდაკების ნათქვამი. ჩანს, სწორედ ეს ღამე უნდა ყოფილიყო მის ცხოვრებაში ესოდენ მნიშვნელოვანი და გამორჩეული. და ამ დროს მთვარეც ამოვიდა...

დიახ, ამოვიდა მთვარე და სინათლის ისეთი თვალუწვდენელი და მშვენიერი ტაძარი დადგა, რომ ბიჭს მარტოობისა და უმწეობის განცდა დაეუფლა ამ უზარმაზარი, დიდებული სამყაროს წინაშე.

შიშმა აიტანა, ააკანკალა და ეკლესიაში შევიდა.

●

სავსე მთვარის შუქი შარავანდედად ადგა ჯვარზე გაკრულ კაცს.

დიგომ სანთელი დაანთო და დიდხანს, ძალიან დიდხანს შეჰყურებდა მის სახეს.

არ გაჰკვირვებია, როცა დაინახა, როგორ აუთრთოლდა ნაგვემი სხეული წმინდანს, როგორ შეუტოკდა და ცრემლით აევსო ჩალურჯებული თვალის უჯეები...

მერე ცხელმა სისხლმა გამოჟონა ჭრილობებიდან.

უნდოდა მიშველებოდა, ხელი გაეწვდინა მის თვალწინ გაცოცხლებული წამებულისათვის, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა აკავებდა.

●

და მოხდა ის, რასაც დიდი ხანია ქვეშეცნეულად ელოდა: იგრძნო, რომ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწამები კაცის ტანჯვა თანდათან მის სხეულზე გადმოდიოდა...

სახსრები ასტკივდა, ძვლებმა ტეხვა დაუწყო, საშინლად შესცივდა და ტანზე ბალანი აებურძგნა... მერე ეკლის გვირგვინი დაადგეს და ეს გვირგვინი სულ უფრო და უფრო მძლავრად უჭერდა თავზე, ეკლები ტვინს მიწვდენოდნენ ლამის...

ეს აუწერელი ტანჯვა ისეთი ნეტარებით ავსებდა ბიჭს, ისე თვალისმომჭრელად ლამაზი სინათლე დადგა ბებერ ეკლესიაში, ისეთი არაამქვეყნიური სიხარულით აივსო, რომ დიგომ იფიქრა, სადაც არის, ვაფრინდებიო...

ეცოდებოდა ყველა: საკუთარი თავიც, სხვებიც, ის წმინდანიც, ამქვეყნად მოსული ყოველი სულიერი...

●

როგორ არ სწყინდებოდათ ადამიანებს მაგის ყურება!

— ბატონო კალენდულა! — ესლა ამოღერღა დიგომ. მას ვერაფრით გაეგო, ეს კაცი აქ საიდან გაჩნდა.

— წამომყევი. სისულელეა ეგ ყველაფერი.

— ჰო, მაგრამ ის ხომ ცოცხალია!

— ცოცხლები მე და შენა ვართ. ეგ ნახატია.

კალენდულა კედელთან მივიდა და ფრესკას ხელი გადაუსვა.

ამ მკრეხელობის დანახვაზე ბიჭი გაფითრდა, მაგრამ კალენდულას არც ეკლის გვირგვინზე გაკაწვრია ხელი და არც ლურსმნის წვერი შესობია თითში.

გულხელდაკრეფილი კაცი ერთხანს გაყინული თვალებით შესცქეროდა ფრესკას, მერე დიგოს მიუბრუნდა.

— რა ჰქენი, აითვისე ის ქალი?

— ვინ?

— საურა.

დიგოს სულაც არ სურდა ამ თემაზე ეკლესიაში ესაუბრა, მაგრამ სხვა გზა არ ჩანდა.

— ბატონო კალენდულა, ის გოგო მე...

— პირდაპირ მითხარი, ჰო თუ არა!

— არა... იცით...

— გასაგებია! ისე ვიცოდი, ახალგაზრდა კაცი აქ რომ დაიწყებს მარტო სიარულს, ცუდად არის საქმე. ქალებს ძლიერი მამაკაცები უყვართ და არა საკმეველს სუნით აყრილებული მაბნედილი ქალაჩუნები.

— ტატე... — დაიწყო დიგომ და იმწამსვე კარებისკენ გააპარა თვალი, ეგები გამოჩნდეს და ამ კაცს გადამარჩინოსო.

— ტატე ძლიერი კაცია, ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ ეს არის, დდი ხანია ქალებისაკენ აღარ გაუხედავს... კაცი თუ კაცია, ისე უნდა მოჭიდოს ქალს ხელი, რომ ამაყად შემართული კისერი მოუდრიკოს და თავისი უპირატესობა აგრძნობინოს ერთხელ და სამუდამოდ. იქნებ თქვა, ამის სურვილი არა მქონიაო!

— ბატონო კალენდულა! — დიგო განცვიფრდა, ისეთი სიზუსტით ამოიცნო კაცმა მისი დდი ხნის ნაოცნებარი.

— არ გაგიკვირდეს. მე კიდევ ბევრი რამ ვიცი შენს შესახებ. კარგი, ახლა ადექი და წამოდი.

— საით?

— გზა მე ვიცი. ეგ სრულიად საკმარისია.

— დიახ, ბატონო...

აქ დიგომ კიდევ ერთხელ იგრძნო, თუ რა უშველებელი გაელენა ჰქონდა მასზე ამ გამოუცნობ პიროვნებას.

მაინც შეეცადა, ფეხი აეთრია. გარშემო მიმოიხედა.

კალენდულას გამოცხადების მერე გარშემო ყველაფერს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იერი მიეღო.

ძველისძველი ეკლესია.

ჩაჟანგებულ, ჭრიალა ანჯამებზე დაკიდებული ფარღალალა კარი.

ალაგ-ალაგ საღებავგაცლილი ფრესკა.

თაფლის სანთლის სუნი.

მორჩა და გათავდა.

მხოლოდ ეკლესიიდან გასვლის წინ მოეჩვენა დიგოს, რომ ჯვარზე გაკრულმა კაცმა თავისი სევდიანი მზერა გამოაყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსკუნიანი მდიდრული ეტლი, რომელსაც თვითონ კალენდულა მართავდა, უხმაუროდ მიჰქროდა არაუკარეებით დაბურულ გზაზე.

— ეს ეტლი ჩემი ნახაზების მიხედვით აგვს ინგლისში. ისეა მოწყობილი, რომ ამ ჩვენს გზებზეც არ იყანყალოს და იხმაუროს. ცხენებს ფლოქვებზე კაუჩუკის პარკები აქვთ წამოცმული. იცი, რა არის კაუჩუკი?

— მას სისხლი სდიოდა. მე ჩემი თვალით ვხედავდი.

— ისევ ავადმყოფური წარმოსახვა, ბოდვითი ფანტაზიები. გაიგე, რომ სელ გაჯზე სხვადასხვა ფერის საღებავების კომბინაციიან შექმნა ეგ ხატი. მართალია, ნამდვილი ოსტატის ხელი ატყვია იმ ნახატს, მაგრამ იგივე მხატვარს შეეძლო დაეხატა სკამი, ან ხე, ან მთა, ან ჩემი და შენი პორტრეტი. თუმცა რას გიხსნი ნახატების მეტი რა გინახავს სასახლეში. მე საკმაოდ კარგად ვერკვევი ალქიმიაში და შემიძლია დაგისახელო ის ნივთიერებები, რომლებიც საღებავებად გამოიყენება, მაგრამ შენ ვერ გაიგებ... ჯერჯერობით მაინც... მე იმ ფრესკას ხელი გადავუსვი. აბა, ნახე, მატყვია სისხლის კვალი?

დიგომ კიდევ ერთხელ დახედა კალენდულას ხელისგულს და თავის თავს გამოუტყდა, რომ ეკლესიაში ნანახი და განცდილი მართლაც არცოუ ჯანმრთელი წარმოსახვის ნაყოფი უნდა ყოფილიყო...

XXIII. ᲖᲬᲐᲕᲘ

დიგო ფარული ინტერესით ათვალიერებდა კალენდულას სახეს. კაცის მკაცრი, თითქოსდა ონიქსისაგან ნათალი პროფილი მკვეთრად იკვეთებოდა მთვარის შუქზე.

— მგონი, ბოლოს და ბოლოს, დაგაინტერესა ჩემმა პიროვნებამ! — გვერდზემოუხედავად თქვა კალენდულამ.

— არ არსებობს ამქვეყნად ადამიანი, თქვენით რომ არ დაინტერესდეს, ბატონო კალენდულა! — გაუბედა დიგომ.

— ვიცი. — უბრალოდ თქვა კალენდულამ და ამ პასუხით ისეთი შინაგანი ძალა გამოამჟღავნა, რომ ბიჭმა თავიდაუნებურად ხელი ჩასჭიდა მაჯაში და იმწამსვე იგრძნო, რამხელა ენერგია გადმოეღვარა სხეულში.

— ხომ უკეთა ხარ?!

— ეს საოცრებაა, ბატონო კალენდულა!

კალენდულამ ზედა ტუჩი ოდნავ მაღლა ასწია, რაც ალბათ ღიმილს ნიშნავდა.

— მაშ ასე, დღეიდან მე ვიქნები შენი...

— მასწავლებელი?

— არა. უფროსი ამხანაგი. მასწავლებლები, როგორც წესი, თვითდაჯერებული ბრიყვები არიან, რომლებსაც ისე მოაქვთ თავი, თითქოს უზანეს ჭეშმარიტებას ფლობდნენ. ამით ისინი შეცდომის უფლებას ისპობენ. მეტი სისულელე კი წარმოუდგენელია, რადგან სადაც ადამიანია, იქ არ შეიძლება შეცდომა არ იყოს. მკაცრად რომ განვსაზღვროთ, თვით ადამიანია ბუნების შეცდომა.. თუმცა ამაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა უკეთ გაერკვევი ცხოვრებაში... თანახმა ხარ?

— დიახ, ბატონო.

— ძალიან კარგი. შენ უკვე ჩვიდმეტი წლის კაცი ხარ და თანაც ჩემი ამხანაგი. ამხანაგებს შორის კი არაფერი უნდა არსებობდეს დამალული.

— ბატონო კალენდულა, მე ბედნიერი ვარ...

— მოდი, შევთანხმდეთ, — გააწყვეტინა კალენდულამ, — საუბარში გამოვიყენოთ მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც აზრის გადმოსაცემად არის აუცილებელი. გრძნობებს კი სიტყვა მხოლოდ აფუჭებს. ასე არ არის?

— ჭეშმარიტებაა, ბატონო! — ბეთქილაპარული ფარისევლობით შეზავებულ, მიკიბ-მოკიბულ, ფერადოვან მეტყველებას შეჩვეული დიგო გააოცა კალენდულას მსჯელობის სიღრმემ, აზრის ზუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად და მკაფიოდ ჩამოყალიბების ხელოვნებამ. მიუხედავად ამისა, ბეთქილა-პურელთა საერთო სენს — მრავალსიტყვაობას ვერც ეს კაცი გადარჩენოდა.

— კალენდულა მე ერთმა ინდოელმა ითმა დამარქვა,— მოულოდნელად წამოიწყო მან, — ჩემი ნამდვილი სახელია ზენგო სკოლიპენდერი. მე ვარ ბეთქილაპურის მეფის — ზენგო XXXVIII-ის ერთადერთი მემკვიდრე.

აქ იგი წუთით შეჩერდა, რათა ასეთი გამაოგნებელი ცნობისაგან დარეტიანებული ბიჭისთვის აზრის მოკრების საშუალება მიეცა.

— მამაჩემი, მეფე ზენგო, ერთობ ფრთხილი, ეჭვიანი კაცია და თავისი ერთადერთი მემკვიდრის აქმეყნად მოსვლის ამბავი საშინელ საიდუმლოდ აქცია. ამის შიშით ჩემს შვილს არაფერი დაუშავონო, უამრავი ადამიანი გაისტუმრა საიქიოს, მათ შორის საკუთარი ძმა — ბამბაზი. სამ წლამდე ბეთქილაპურის მთებში ვიზრდებოდი, მწყემსებთან. მერე ინდოელ ითას მამაბარეს. ის არის ჩემი გურუ. ას ოცდაცხრა წლისაა და ორმოცდაათ წელზე მეტს ვერავინ მისცემს. მე მას გუშინ ვესაუბრე.

— ბეთქილაპურშია? — გულუბრყვილოდ ეკითხა დიგომ.

— არა, ინდოეთში. ჩვენი საუბრებისთვის მანძილს მნიშვნელობა არა აქვს... ჰო, ჩემი გურუ მაშინ ერთ მკაცრად გასაიდუმლოებულ რელიგიურ-სამხედრო სექტას მიეკუთვნებოდა. ისე მზრდიდნენ, თითქოს უკლებლივ ყველა ჩემს მოსაკლავად იყო დაგეშილი და მე კი მთელ ქვეყანას უნდა გავმკლავებოდი, თუნდაც უიარაღოდ. ოცი წლისა უკვე სრულყოფილად ეფლობდი საკუთარ სხეულს— კუნთების კონცენტრაციით შემიძლია საგანგებოდ ალესილი დამასკური მახვილით ნებისმიერ დარტყმას გავუძლო. მსოფლიოში არ არსებობს შხამი, ჩემი მოკვლა რომ შეეძლოს. თხუთმეტი ნაბიჯიდან ნასროლ ისარს და ტყვიას ვიცდენ, უფრო ახლო კი კაცეშვილი ვერ მომეპარება. ბოლოს, თუ ძალიან გაჭირდა, ნებისყოფის დაძაბვით შემიძლია რამდენიმე ათეული ადამიანი დავწვა და გავანადგურო. ეს უკიდურესი ზომაა, რადგან ასე დახარჯული ენერგიის აღდგენა შეუძლებელია.

— უკნიდან რომ გესროლონ?

— ისევე ვხედავ, როგორც წინიდან ნასროლს. თუმცა... — კალენდულამ რაღაცას მიუგდო ყური, — მგონი, საშუალება მეძლევა დავამტკიცო ჩემი ნათქვამი.

— მე კარგად მახსოვს, როგორ გაუწორდით გოლიათ კავალერისტს.

— ის კაცი ხომ შეუიარაღებელი და ამგვარი ორთაბრძოლისთვის სრულიად მოუმზადებელი იყო.

— ღონე კი ჰქონდა. — შენიშნა ბიჭმა.

— გავანტული ღონე რის მაქნისია. ღონეს ისე უნდა მოუყარო თავი ერთ წერტილში, როგორც მზის სხივებს გამადიდებელი შუშით... ეჰ, სულ ხუთნი ყოფილან ის უბედურები.

— ხუთნი? ვინ? — დიგო კარეტის ფარდასთან შეიყუჟა.

— ყაჩაღები. შენ ასე იჯექი, არ გაინძრე.

●

— სდექ! — გაისმა ბრძანება და შავი ლანდი ცხენებს ლაგამში სწვდა.

აქეთ-იქიდან ეტლს ორ-ორი თოფიანი ყაჩაღი ამოუდგა.

— ფული! სწრაფად! — დაიღრიალა ერთმა მათგანმა და იმწამსვე ყელზე იტაცა ხელი — კალენდულას ნასროლი დანა ტარამდე ჩასობოდა ყანყრატოში.

მარჯვნივ ჩაცუცქულმა ყაჩაღმა თოფი ესროლა, მაგრამ კალენდულამ ელვისებური მოძრაობა გააკეთა და ტყვია აიცილა. უბედურმა მძარცველმა განცვიფრებისაგან პირის დაღებაც ვერ მოასწრო, ისე წაიქცა „მსხვერპლის“ მიერ ხელის ერთი დარტყმით თავგაპობილი. ეს ყველაფერი ისე სწრაფად და მარჯვედ მოიმოქმედა კალენდულამ, რომ ეტლის მარცხნივ ჩასაფრებულებმა ვერც გაიგეს, რა მოხდა. ამასობაში კალენდულა გამოქანდა, ერთ-ერთი ცხენი ტაიჭად გამოიყენა და ჯერ კიდევ ჰაერში

ყოფნისას ფეხების ზუსტი დარტყმით თოფები დაყრეენა ავაზაკებს. მერე ორივეს ერთდროულად რაღაც ილეთი ჩაუტარა და ხევში გადაუშვა. ის იყო, მოტრიალდა, რომ ხანჯალამოღებულ ჯელს გადაეყარა, აქამდე ცხენებს რომ აკავებდა, იმას. კალენდულა იდგა და არც უცდია, ხანჯალი აეცდინა

დიგომ შეჰყვირა — მთელი ძალით მოქნეული ალაპაპებული ხანჯლის წვერი ზედ მკერდზე მოხვდა კალენდულას, მაგრამ იმის მაგივრად, რომ გული გაეპო, ჰიი საკვირველებავ და, შუაზე გადატყდა.

— ვერ გქონია კარგი იარაღი. ახლა წადი აქედან, მე გათავისუფლებ! — მშვიდად უთხრა კალენდულამ ყაჩაღს და ეტლისაკენ გამოსწია.

როგორც კი მისკენ ზურგშექცევით მიმავალი კაცი დაინახა, ბოროტმოქმედმა ქამრიდან ნაჯახი გამოაძრო და მისკენ გაიქცა.

ამჯერად დიგომ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, მაგრამ კალენდულას, თითქოსდა ზურგზე თვალები გამობმიაო, ყოველივე უკვე გათვლილი ჰქონდა — მოიქნია თუ არა ყაჩაღმა ნაჯახი, მშვიდად, თითქმის ხანტად გაიწია გვერდზე და ნაჯახმა მოზრდილი ხე შუაზე გააპო.

— უმადური კაცი ყოფილხარ! — უთხრა კალენდულამ ავაზაკს და მუცელზე ხელი აუსვა.

ყაჩაღი ერთხანს ფეხზე იდგა და გაოგნებული დასჩერებოდა მუცლიდან გადმოყრილ საკუთარ ნაწლავებს. მერე საშინელი ბღავილი ამოუშვა და უსულოდ დაეცა ძირს.

მთვარის შუქზე დიგომ კარგად იცნო ყაჩაღი — ეს სწორედ ის მოზვერავით ჭაბუკი გახლდთ, ტატემ ერთი დარტყმით რომ ღობის იქით გადაყფრინა. ერთი პირობა გაიფიქრა, გადავალ, იქნებ რამე ვუშველოო, მაგრამ ამ დროს ეტლში შემობრუნებული კალენდულას გულგრილ სახეს მოჰკრა თვალი და ეს სურვილი წამში გაუქრა.

კალენდულა სულაც არა ჰგავდა ნაომარს. იოტისოდენა დაღლაც არ ეტყობოდა. მშვიდად სუნთქავდა და ისე განაგრძო დაწყებული ლაპარაკი, თითქოს რაღაც უმნიშვნელო შემთხვევამ შეაფერხაო.

XXIV. ბარიგება

ადამიანთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს საკუთარ გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე, — კალენდულამ ეტლი დაძრა, მუცელგამოფატრულ ყაჩაღს ზედ გადაუარა და გაფითრებულ დიგოს ხელი გაუწოდა.

შეეხო მის ხელს ბიჭი და მაშინვე დაწყნარდა.

— რა კარგია თქვენს გვერდით ყოფნა. ეტყობა, ეაქაცობაც გადადგება, აღარაფრის მეშინია.

— შიში ცუდი აღზრდისა და, აქედან გამომდინარე, საკუთარი სულის განებივრების შედეგია. სხვა არაფერი! როგორც გითხარი, ადამიანი თავისი შესაძლებლობების ერთ მეხუთედსაც ვერ იყენებს ხეირიანად. მე კი ერთი, ერთადერთი წამის მეათედებად, ზოგჯერ მეასედებად დაყოფისა და გაყინვის უნარი შემწევს. შემიძლია პირიქით, დრო უსასრულოდ შევკუმშო — გულის ფეთქვა შევიჩერო და ცხოვრებას იმდენი ხნით გამოვეთიშო, რამდენიც საჭიროა. უკვე აღარაფერს ვამბობ ისეთ წვრილმანებზე, როგორიცაა მიწის ქვეშ რამდენიმე თვეს ყოფნა, მზერით საგნების დეფორმირება-გადაადგილება ან წყლის ზედაპირზე სირბილი. ეს ყველაფერი იმ იოგთა კასტის წმიდათაწმიდა საიდუმლოა. მათვე ზედმიწევნით შემასწავლეს ალქიმია, მედიცინა, ასტროლოგია, ქირომანტია, მეტაფიზიკა და კიდევ ბევრი სხვა.

— თეოლოგია?

— ბუნებრივია, რომ ტიტინ-კარნახის მოწაფე ისევ ღმერთის ამბავს უბრუნდება. კარგი, ჩემს აზრს ვეტყვი. ათი წლისა უკვე კარგად ვლაპარაკობდი იაპონურ, ბერძნულ და ჩინურ ენებზე, ბეთქლაპურულსა და სანსკრიტზე რომ აღარაფერი ვთქვა; მერე ძველეგვიპტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, ებრაული და ევროპული ენების უმრავლესობა შევისწავლე. ოცდახუთი წლისას წაკითხული მქონდა და დღესაც თითქმის ზეპირად მახსოვს ამ ენებზე დაწერილი ყველა ფილოსოფიური თხზულება თუ ტრაქტატი. თანაც, ყველაზე დახლართულ და გაუგებარ აზრებს ჩემით უნდა ჩავწვდომოდი, თორემ მასწავლებლები ბრინჯსა და წყალს არ მაღირსებდნენ. მოგვიანებით ევროპელ მოაზროვნეებსაც გავეცანი — შევისწავლე ჰოლანდიური, იტალიური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული ფილოსოფიური სკოლების ყველა ძირითადი მიმდინარეობა. მათ შორის ერთი ფრანგი მწერალი თუ შეედრება ძველებს აზრის სიცხადითა და სიმკვირცხლით... და ყოველ მთგანს — ძველსა თუ ახალს ერთი და იგივე შეცდომა მოსდის — აყენებენ საკითხს — „ღმერთი არსებობს“ ან „ღმერთი არ არსებობს“ და შემდეგ ცდილობენ ლოგიკური გზით დამტკიცონ თავიანთი მოსაზრება. მაგრამ ღმერთის რწმენა, ისევე როგორც შიში ან სიყვარული, შეგრძნებების სფეროს განეკუთვნება და ლოგიკა კი გონებრივი კატეგორია, ანუ აზროვნების ნაყოფია. ეს იგივეა, ლექსის ავ-კარგი მათემატიკური ფორმულების გამოყენებით შეაფასო. ძალიან დაიღალე?

— არა, ბატონო, ყურადღებით გისმენთ.

— და ვატყობ, ბევრი რამ გესმის კიდეც. აქედან ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პირველი, რომ ტიტინ-კარნახის გაკვეთილებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ და მეორე, ეს იმას ნიშნავს, რომ არ შევმცდარვარ შენში.

— გმადლობთ!..

კალენდულამ კიდევ ერთხელ ყურადღებით შეათვალიერა ფმაწვილი.

— შენს სხეულს უკვე აღარაფერი ეშველება, დაგვიანებულია. აი ტვინს კი შეიძლება მოეველოს. ბრუნვარიტა აღარ არსებობს, პატარა, რაქიტიანი ჰომობასრო დიპლოდოკი აღარავის ახსოვს ამქვეყნად. არ არის გამორიცხული, ყმაწვილი დიგოსაგან ადამიანი გამოიძერწოს.

— ადამიანი? — დიგო შეიმშუშნა.

— მე ნამდვილ ადამიანს ვგულისხმობ და არა იმ საცოდავ არსებებს, რომლებიც ისე მოდიან და მიდიან, რომ არც კი იციან, რისთვის გაჩნდნენ ამქვეყნად: აზრადაც არ მოსვლიათ თავისი ყოფნის კვალი დაეშნიაათ დედამიწისთვის. სხვათა შორის, შენც კი ბედი გელოდა. ქირომანტიამ გაშველა!

— გაშველაო, ბრძანეთ?!

— ჰო. გახსოვს ის ღამე, სასახლიდან რომ მოგიტაცეს?

— ბუნდოვნად. ვიღაც ნიღბიან კაცს ვეჭირე ხელში, მერე... თუმცა, მეტი აღარაფერი მახსენდება.. ბოლოს დიგოდ გამომეღვიძა აიბას სახლში.

— ის ნიღბიანი კაცი მე ვიყავი. გულჩვილი მამაჩემის — მეფე ზენგოს დავალებით დავუახლოვდი ბრუნვარატას. ქალმა წერილობითი პირობა მომცა, ბეთქილაპურის ტახტს ახლოსაც არ გაეკარებინი. ის აღარ იყო საშაში. აი, შენ კი უნდა მომეკალი, რათა ზენგო სკოლოპენდერი უფროსი მშვიდად მჯდარიყო თავის დაფეხვილ ტახტზე... ერთი სიტყვით, დასაძინებელი მარილი გაყნოსე, ჭყვიტინი რომ არ აგეტეხა. ის იყო, წინასწარ გამზადებულ ორმოში უნდა დამემარხე, რომ გამოვეღვიძა და ნიღბიანი კაცის დანახვაზე შეშინებულმა სახეზე ხელი აიფარე. უკვე კარგა ხნის გათენებული იყო და შენი ხელისგული დავინახე. ალბათ ხვდები, ჩემი გაკვირვება არც ისე ადვილია. აქ კი სახტად დავრჩი — ასეთი ხაზები და ბორცვები არსად შემხვედროდა — არც ქირომანტიულ წიგნებში და არც ცხოვრებაში. ამიტომაც დაგინდე — ასეთი ეშვიათი ცხოვრების ვადამდე შეწყვეტა დიდი საცოდაობა იქნებოდა... მერე პატარა ოპერაცია ჩაგიტარე სახეზე, რომ არავის ეცნე და ვეცადე წარსული ამოშერეცხა შენი თავიდან. ზენგოს კი ვაცნობე, წყნარად იძინე, საყვარელო მამიკო-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი გადარჩენა თქვენს ტახტზე ასვლას ხომ არ შეაფერხებს?! — წამოიძახა დიგომ და იმწამსვე ენაზე იკბინა, ეს როგორ გავბედეო.

— ჰმ... ყველაზე ნაკლებად ამის მეშინია. მომიფურთხებია შტერი ბეთქილაპუერელებისათვის და მათი სამეფო ტახტისათვის. — ზიზღით მხრები აიჩეჩა კალენდულამ, — მე ვიცი, რა არის ძალაუფლება, მაგრამ მამაჩემის ტახტი ნამდვილად არ მაინტერესებს. კაცს, რომლის ხელშიც ბუნების ყველა საიდუმლოს მოუყრია თავი, აღარ შეეფერება გამოთაყვანებული ბრბოს აღტაცებული შეძახილებით დატკბობა. ბრბოსი, რომელსაც ტყუილი და მართალი ვერ გაურჩევია ერომანეთისაგან და უჯერებს მხოლოდ იმას, ვინც წარმოსადეგია და რიხიანად ლაპარაკობს...

— მაშ ზენგოს მერე მე ავალ ბეთქილაპურის ტახტზე?! — მკვირცხლად იკითხა ბიშმა.

— ეჭვიც არ მეპარებოდა, შენი ხელისგულის პატრონი რომ ამას მოისურვებდი, მაგრამ არ გირჩევ. მეძკვიდრეობითია და გვარიშვილობით გადმოცემულ ძალაუფლებას შენთვის ფასი არ ექნება — მოწყენილობა შეგჭამს. ძალაუფლება მაშინ არის ტკბილი და სანუკვარი, როდესაც მას მოიპოვებს ვინმე დიგო თავისი ნიჭითა და მიზერხებით და არა დიპლოდოკ ბეთქილაპუერელის პირდაპირი შთამომავალი ჰომობასრო, ვისაც ისედაც ყველა კანონით ერგება აღზევება.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ამას შევძლებ?!

— ეფიქრობ კი არა, დარწმუნებული ვარ. ოღონდ ტატეზე, ჯვარზე, ზებუნებრივზე, ანგელოსებზე და სხვა სისულელებზე ფიქრი თავიდან უნდა ამოიგდო და მე დამიჯერო. გასაგებია?!

— ნება თქვენია, ბატონო! — უპასუხა დიგომ და ასეთი პერსპექტივით მოხიბლულს თვალები აუციმციმდა.

XXV. ჩონჩხები ერთმანეთს ჭეშანან

ამა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
ამა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
ამა ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი.
მხოლოდ აწმყოზე რას დამშულხარ, ხედავ—
ბრმობილო!

ალექსანდრე ჭავჭავაძე, „ზოგჩა“...

საღა იყო ბრუნვარიტა დიპლოდოკის მშვენიერი და ბრწყინვალე თეთრი სასახლე. არა, შენობა იმავე ადგილას იდგა, მაგრამ...

ჟანგმოკიდებულს დამსგავსებოდა სპილოსძელისფერი მარმარილო.

მხნე ატლანტებსა და კარიატიდებს ღრმა ნაბზარები ჰნდათ თითქოს დაბერებულიყვნენ კიდეც.

მუდმივად გაფურჩქნულ ყვავილებს ვიღა ჩიეს, ერთ მწვანე ფოთოლს ვეღარად მოკრავდა თვალს კაცი.

გადამხმარიყო ძველისძველი ბაღი, გაფერანებულიყო და გაოხრებულიყო აქაურობა.

აღარ ისმოდა მეჯინიბეებისა და მოხელეების სიცილი და მხიარულება.

მთავარ სადარბაზოსთან მდგარი ვეება ხე ვიღაცას მოეჭრა და შეშად დაეხერხა.

თვით სასახლეში ჰრდილებივით ჩუმად დადიოდნენ დაშინებული მსახურები და ერთთავად თვალებში შესცქეროდნენ ბატონს — მისი სურვილის აღსრულება არ დაეგვიანოთო.

●

კალენდულამ ჯერ კიდევ ბრუნვარიტას სიცოცხლეში განაცხადა, სახლი ძვირფასეულობის კოლოფი კი არ არის, ასე ბრჭყვიალებდესო და ულამაზესი ფერწერული ტილოები და ხელთუქმნელი ქანდაკებები სარდაფში ჩაყარა, დიდი კლიტე დაადო და შედევრების მოყვარულთ — გარეულსა თუ შინაურს ბეთქილაპურის მუზეუმის გზა მიასწავლა, სადაც ადგილობრივი მხატვრის რამდენიმე მდარე ხარისხის ნახატი, სკოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პენდერ ბეთქილაპურელის ნაქონი საპარსი მოწყობილობა და ნიამორის რქები იყო გამოფენილი.

— მე ჩემი მუზეუმი მექნება! — თქვა კალენდულამ და სასახლეში დაფუძნების სამი თვის თავზე მის მიერ ნანატრი კოლექციაც შემოგრიალდა ბეთქილაპურში — მსახურებმა თოთხმეტი უზარმაზარი ფურგონიდან ძლივს გადმოტვირთეს საგულდაგულოდ შეხვეულ-შეფუთული ჩონჩხები — დინოზავრისა, იხტიოზავრისა, არქეოპტერიქსისა, გადაშენებულ და არგადაშენებულ, წინაისტორიულ და ისტორიულ ქვეწარძავალთა, ფრინველთა და ცხოველთა. და ადამიანთა.

(და ნუთუ კიდევ ვინმეს უკვირს, რომ საცოდავი ქალბატონი ბრუნგარიტა ასე ადრე და მალე გაეცალა ამ ქვეყანას?!)

●

სწორედ ჩონჩხების დარბაზში დასეირნობდნენ კალენდულა და მისი შეგირდი დიგო.

— ეს ჩონჩხების ერთ-ერთი საუკეთესო კოლექციაა მსოფლიოში, — ამაყად თქვა კალენდულამ, — კარგი იქნებოდა ზოგ-ზოგებს ხშირად დაეთვალიერებინათ იგი.

დიგოს გაახსენდა, თუ რა სიამოვნებით შედიოდა ხოლმე ამ ჰაეროვან დარბაზში, გაახსენდა აქ გამოფენილი არაჩვეულებრივი ქანდაკებები, რომელთა შორის ბევრს თავის მეგობრად თვლიდა, გაახსენდა ბრუნგარიტა და გული მოეწურა.

— ბატონო კალენდულა, გყვარებიათ ვინმე?

— ბატონო?—კალენდულასთვის ეს შეკითხვა ისევე მოულოდნელი იყო, როგორც თვით დიგოსთვის.

— უბრალოდ, მაინტერესებდა, — გაწითლდა დიგო, — თუ გყვარებიათ ვინმე, ვთქვათ, დედა ან მამა...

— დედა არ მახსოვს, ჩემზე მშობიარობას გადაჰყოლია, რაც შეეხება ზენგო XXXVIII-ს, ის მამაჩემი კი არა, სახელმწიფო მოღვაწეა. პოლიტიკური მოღვაწის სიყვარული, კარგად დაიმახსოვრე, ყველაზე ბნელი და გონებაშეზღუდული ადამიანების ერთ-ერთი პირველი ნიშანთვისებაა. მოდი აქეთ...

დიდი დარბაზის ერთი კუთხე მთლიანად ადამიანების ჩონჩხებს ჰქონდა დათმობილი. ვრცელ და ნათელ ფანჯრებზე, კედლებზე ჩამოფარებული ბავშ ხავერდი ავბედით იღუმალებას ანიჭებდა ჩონჩხებს.

— ეს არის ინგლისის მეფე რიჩარდი — აი, მისი პორტრეტი; ეს კი, ცხადია, ჩონჩხი; აი, ლეგენდარული ატილა, ჰუნების ბელადი, სისხლს გულვრილად ვერ უყურებდა, ლამის ცოცხლად შეეჭამა კაცი; ეს ჭროსტრატე ეფესელია. ქალბატონი საფო — მშვენიერი პოეტი და თავნება ქალი... შენ რას შვრები, კიდევ წერ ლექსებს?

— რა ვიცი... — თავი ჩალუნა დიგომ.

— ამ შემოხვევაში მართალი ხარ, სამარცხვინოა ასეთი გატაცება. რელიგია, პოეზია, მუსიკა და სხვა ამისთანები ადამიანის გამოსათაყვანებლად არის მოგონილი!

— რატომ...

— იმიტომ რომ, — მკაცრად გააწყვეტინა კალენდულამ, — ის, რაც მეცნიერების გარეთ დგას და ბუნების კანონებს არ ემორჩილება, ყალთაბანდობა და თვალთმაქცობაა. მერე რა სიტყვებია შეთხზული ამის დასაფარავად — ღმერთი, მშვენიერება, ექსტაზი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა. ამ დროს თვით ფანტაზია ტვინის უჯრედების ერთგვარი გადაგვარების შედეგია.

— და სხვა არაფერი? — ვერ მოითმინა დიგომ.

— დიახაც! დრო მოვა და ჩემი ექსპერიმენტების შედეგებს გაგაცნობ — იქ ყველაფერი გარკვევითაა ნათქვამი... სადაც სამართალია, თუ ცნება „მშვენიერება“ საერთოდ არის არსებობის ღირსი, პირველ რიგში ამ ჩონჩხებს უნდა მიესადაგოს. აი, ადამიანური ყოფიერების ნამდვილი არსი — დახვეწილი, განწმენდილი, ჩამოყალიბებული! წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიდგენია, როგორი იქნებოდა სიცოცხლეში ეს ჩინელი იმპერატორი ტანის დინასტიიდან?! რამდენი უმუშავია ოსტატს ამ ვობელეწზე და მაინც ვერ დაუმალავს ამ ადამიანის უვიცობა, უგნურება, სიზარმაცე. შეხედე, რა სახე აქვს! საჭურისი, ნამდვილი საჭურისი, ცხოვრებამოყირჭებული, არაფრის მაქნისი... აი, მის ჩინჩხს კი ვერაფერი შეედრება ამქვეყნად! კარგი, განვაგრძოთ: შეხედე! ამ ვენერას ხატვასას ჯორჯონეს მოდელად ჰყავდა ქალი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა თავის ამ გამოსახულებას. ეს იმ ქალის ჩონჩხია; რომელი ერთი ჩამოგითვალო: ყაენი ბათუ, ულამაზესი მოცეკვავე ნანა... ამერიკელი მილიარდერი ჰოულდი, ესპანეთის ინფანტა ისაბელ...

დიგოს კედლებიდან შეჰყურებდნენ სულ სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, მდგომარეობის, ხასიათისა და იერის ადამიანები. მათი ჩონჩხები კი ახე საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს...

ექსპოზიცია ორი ოქროსფრად მოელვარე ვეება ჩონჩხით თავდებოდა.

— ოქროსია? — შეეკითხა დიგო კალენდულას.

— არა, ოქროთია მოვარაყებული. — შეიმშუშნა კალენდულა,— მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი და ვიფიქრე, ამით ჩვენს წინაპრებს — დიპლოდოკ ბეთქილაპურელსა და სკოლოპენდერ ბეთქილაპურელს პატივს ვცემ-მეთქი. კარგი, ახლა მეორე დარბაზში გავიდეთ.

●

როგორც დავინახეთ, კალენდულა ჩონჩხს, როგორც ასეთს, ჭაცრი ასკეტური ესთეტიკის იდეალად, დახვეწილ მშვენიერებად თვლიდა და თუ იმ ორ მოოქრულ ექსპონატს არ მივიღებთ მხედველობაში, სულაც არ ფიქრობდა მათ მოკაზმვა-გალამაზებაზე.

მეორე დარბაზში სულ სხვა ვითარება გახლდათ.

აქ უმთავრესად სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების საუკეთესო ნიმუშები, ბუნების ანომალიები და ადამიანის სხეულის ფრაგმენტები იყო წარმოდგენილი.

ოთახის შუაგულში იდგა ტიბეტის მთებში აღმოჩენილი გაქვავებული თოვლის კაცი, რომელსაც წლების მიუხედავად ფრიად მრისხანე და საშიში გარეგნობა შერჩენოდა.

კედლებზე ჩატანებული სხვადასხვა ზომის აკვარიუმები ნაირფერი სინათლით იყო გაფერადებული და თითოეულ მათგანს გემოვნებით შერჩეული მცენარეული დეკორის წყალობით მნახველი დასრულებულ კომპოზიციად აღიქვამდა.

კალენდულას მიერ გამოონებული საგანგებო ხსნარით დამუშავებული ქსოვილები პირველქმნილ ელფერსა და სიხასხასეს ინარჩუნებდნენ.

— ამ ხსნარის სინთეზი პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დაბალზამების სრულიად ორიგინალური მეთოდის შემუშავების გზაზე. — აღნიშნა კალენდულამ.

დიგო სულაც არ დაინტერესა ბუნებრივ პოზებში გაშეშებულმა შესანიშნავმა ცხოველებმა — მსოფლიოში ყველაზე ლამაზმა ავაზამ, ან უზარმაზარმა ფაფარაშლილმა ლომმა, ან უდიდესმა აფრიკულმა სპილომ, ან უიშვიათესი ჯიშის ჯაგშნოსანმა. სამაგიეროდ, საათობით შესცქეროდა რვაფეხა კვიცს, სამთავა ხბოს, სრულიად ანომალურ ჰიბრიდს, რომელსაც ტანი ჟირაფისა ჰქონდა, თავი კი დათვისა.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბიჭმა დარბაზის იმ ნაწილს, სადაც ადამიანის სხეულის ფრაგმენტები იყო გამოფენილი. პირველივე ექსპონატმა უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე — ეს იყო ჩვილი ბავშვის ვარდისფერი ფეხი, რომელსაც ვეება ღრიანკალი შემოხვეოდა. ფეხის მოკვეთის ადგილი ფუშფუშა მაქმანით გახლდათ კეკლუცად დაფარული და კალენდულას ესთეტიკურ შეხედულებებში გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის შემაძრწუნებლად გამოიყურებოდა.

ქალის ნატიფი ხელის მტევანი ბეჭ-

დითა და სამაჯურით დაემშვენებინათ, ხოლო აუწერელი სილამაზის ფეხი შავი ხავერდით იყო დეკორირებული. ის კი არა, მარგალიტის მძივით მორთული მოღერებული ყელისა და თლილი მკერდის დანახვაზე დიგოს დაავიწყდა, სად იმყოფებოდა და ხან მაღლიდან დაუწყო ჭვრეტა ამ სანახაობას, ხანაც დაბლიდან, იმ იმედით, იქნებ ქალის სხეული მთლიანად დავინახოო...

— ახლა კი, — საზეიმო ტონითა და ღაუფარავი სიამაყით განაცხადა კალენდულამ, — შენ ბედნიერება გექნება საკუთარი თვალით იხილო დაბალზამების უკვდავი ხელოვნების ნამდვილი შედეგრები!

ამ სიტყვებზე კალენდულამ მესამე დარბაზის კარი გამოაღო და ბიჭს შეუძღვა.

დიგო ოთახში შევიდა, უცებ ერთი ამოასლოკინა და იატაკზე უგონოდ გაიშხლართა:

დარბაზში შემსვლელთ თეთრ ტუნიკაში გამოწყობილი, ატმის ყვავილისფერი, თვალებში ხხივმოციმციმე ბრწყინვალე ქალბატონი ბრუნგარიტა ეგებებოდა!

●

— აკი მოკედაო? — საცოდავად წამოიკნავლა ჰომობასროყოფილმა, როგორც კი კალენდულამ სახეზე რაღაც სითხე აპკურა და გონს მოიყვანა.

— დამშვიდდი! ხომ აგიხსენი, შიში და ნერვიულობა საგნების არასწორი აღქმისა და სულის განებივრების შედეგია... რაც შეეხება ბრუნგარიტას, მისი მდგომარეობა შენი სიტყვითაც შეიძლება დახასიათდეს!

— ამიხსენით ბატონო, — დიგო შეეკითხა კანკალი დაეოკვებინა, — დედაჩემი ცოცხალია თუ მკვდარი?!

დიგოს ამ მომენტში რამის დანახვის თავი რომ ჰქონოდა, აუცილებლად შეატყობდა, როგორ აფორიაქდა ამ კითხვაზე კალენდულა:

— მე საერთოდ არ მესმის, რა არის სიკვდილი. ეგ არის ერთადერთი რამ, რაც აქამდე ბოლომდე ვერ გავიგე. თუმცა კი ჩემი ლაბორატორიული გამოკვლევები გარკვეულ იმედს მაძლევენ... აი, თუნდაც ბრუნგარიტა ავიღოთ. თავს დავდებ, რომ დაბალზამების ჩემეული მეთოდის წყალობით მისი სხეულის, ტვინის, სისხლის უჯრედებისა და სხვათა ქიმიური შემადგენლობა ზუსტად ისეთივეა, როგორც ეგრეთ წოდებულ სიცოცხლეში. იგი გარდაიცვალა ისე, რომ მის ორგანიზმში იოტისოდენა პათოლოგიური ცვლილებაც არ მომხდარა — არ უმტყუნია გულს, არ ჩაქცევია ტვინში სისხლი, არავითარი თრომბი ან რაიმე სხვა დაზიანება! გული, ღვიძლი, ფილტვები — ყველა ორგანო ისეთი სუფთა და კრიალა ჰქონდა, ნებისმიერ ჯანმრთელ ადამიანს შეშურდებოდა... რად გინდა მერე, მოკვდა!.. არაფერია, მაგ საიდუმლოებასაც მოვუვლი, რადგან ბუნებაში არ არსებობს მოვლენა, გონიერ ადამიანს მისი ახსნა რომ არ შეეძლოს!

„იქნებ სწორედ აქ ურევია ღმერთის ხელიო“, თავისდაუნებურად გაიფიქრა დიგომ, მაგრამ ვერ გაბედა ეს აზრი კალენდულასთვის გაეზიარებინა.

●

ცოტა ხნის მერე დიგო უკვე სრულიად გულგრილად შესცქეროდა მეჯინიბე ჯიგას, კეთილ მსუქან მზარეულს, ნაცნობ შინამოსამსახურეებს და აღარც ის გაკვირვებია, დარბაზის ბოლოში ამ ორიოდე დღის წინ სად-სალამათი აიბა რომ დაინახა.

— მაგ ქალის გაქრობა საჭირო იყო. დაბერდა და ბოლო დროს ჭკუის სწავლება დამიწყო!

— ტატეე ხომ არ... — წამოიწყო დიგომ და ოგრძნო, პასუხის მოლოდინში როგორ აუჩქარდა გულისცემა.

— ტატე? — შუბლი შეიჭმუხნა კალენდულამ — სამწუხაროდ, არა... რამდენჯერმე გამისხლტა ხელიდან. საკვირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია! შემთხვევითობასაც ხომ აქვს თავისი საზღვარი, არადა დაგებულ მახეებს ისე უელის გვერდს, თითქოს გაფრთხილებული იყოს. არა უშავს, მაგასაც მოვუელი. „ცოცხალიაო“, ამის გაგონებაზე დიგომ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ კალენდულას რომ არ შეემჩნია, ჩაახველა და ისევ დაბალზამების საიდუმლოებებზე ჩამოაგდო სიტყვა...

კალენდულა ერთხანს უსმენდა ბიჭს არცთუ დალაგებულ ლაპარაკს, მერე მზერა გაეყინა და თვალებში შეხედა. ამ მძიმე გამოხედვამ დიგო საბოლოოდ დაანანა, აზრი აერია და ბოლოს ვაჩუმდა, მონუსხული.

— შენ უნდა დაივიწყო ტატე, წარსული ცხოვრება, — კალენდულა მკაფიოდ, რაღაც განსაკუთრებული ტონით მეტყველებდა და დიგო გრძნობდა, როგორ იბეჭდებოდა მის ტვინში ეს სიტყვები. — დაივიწყო, რადგან ჩვენ გაცალებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გველის, ვიდრე უბრალო მოკვდავთა პაწაწინა ენებებია. აღარ არსებობენ საურა, მეია, დაუთა და სხვა ჭიანჭველისმაგვარი არსებები, აღარ არსებობს წარსული, არის მხოლოდ მომავალი! გახსოვდეს, რომ შენ ხარ ბუნების რჩეული, ვინც ვალდებულია სამყაროს ბედი შეატრიალოს!

ამაოდ ცდილობდა დიგო, წინ აღდგომოდა კალენდულას ნებას. უძლიერესი შთაგონების უხილავი ბადე სულ უფრო და უფრო მკვრივდებოდა გარშემო. თანდათან ქრებოდა მისი მეხსიერებიდან ძველი უბანი, მეგობრები, ტატე, ჯვარზე გაკრული კაცი... კალენდულას ბოლო სიტყვები აღარც გაუგონია — ამ დროს უკვე ღრმა ძილით ეძინა.

XXVI. ცარიელი ნახლი

„აი ხომ ვიძახდითო, — ჩურჩულებდნენ მეზობლები, — იმდენი ვვიმალა აიბამ თავისი ოჯახის ამბავი, სანამ ეშმაკმა არ მოიტაცა და ის ბიჭიც თან არ გაიყოლაო“. აზრი ბეთქილაურში უწმინდური ძალის გამოჩენის შესახებ მას შემდეგ გაჩნდა, რაც აიბასა და დიგოს გაუჩინარების მეორე დილას ეფენა უბანში გამოჩნდა ცალთვალა ვეტერანი ჯარადი აკო. მას შეშლილი სახე ჰქონდა, ერთადერთ თვალს დაფეთებული აცეცებდა, ყოველ წუთას პირჯვარს იწერდა და „ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგანი“, გაიძახოდა. ძველუბნელებმა ძლივს შეძლეს მისი დაწყნარება და აკომ მათ უამბო, თუ რა გადახდათ ტყეში; უამბო შავ ეტლზე, რომელიც ლანდიკით უხმაუროდ მოძრაობდა, უამბო შაევბში ჩაცმულ ეშმაკზე და ამ სასწაულზე, რაც იმ ტყეში დატრიალდა. გაზვიადებას მიჩვეული ძველუბნელები თავდაპირველად საკმაოდ სკეპტიკურად განწყვნენ აკოს ნაამბობის მიმართ, მაგრამ მერე, როცა ტყიდან გვამები მოიტანეს და დაინახეს, რომ ორ ყარაღს თვალები ამოშწვარი ჰქონდა, შიშმა მიაც დარია ხელი.

●

მეზობლებისაგან განსხვავებით, თანაკლასელებმა ძალზე მტკივნეულად განიცადეს დიგოს გაქრობა. ორი თვე ეძებდნენ დაკარგულებს. ეძებდნენ დღე და ღამე, ეძებდნენ განსაკუთრებული ჟინით, განსაკუთრებული მონდომებით, თითქოს უნდოდათ, დიგოს წინაშე დიდი ხნის წინანდელი უფურადღებობა და უპატივცემულობა გამოესყიდათ.

ლაუთამ და შაშამ ლამის მთელი ბეთქილაური ფეხით მოიარეს.

საურა ყოველდღე დადიოდა უკაცრიელ სანაპიროზე, სადაც ოკეანის დინებას ქვიშაზე გამოეჭქონდა ყველაფერი, რაც კი ცუდუბრალოდ ტივტივებდა წყალში. დ.დიოდა იქამდე, სანამ დაუთამ არ უთხრა, აიბა და დიგო რომელი შეყვარებულები ყავდნენ, ერთად დაეხრჩოთ თავი.

ბებნამი ჯაჯუც ჩაერთო. მას ნათესავები აღმოაჩნდა ბეთქილაურის მთიანეთში და იმათ დაავალა, თქვენკენ ასეთი და ასეთი ადამიანები თუ გამოჩნდნენ, შეგვატყობინეთო. ის მთელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად მუყაითი და პირიანი ხალხი აღმოჩნდა: ამ ამბიდან მეშვიდე წლისთვაზა აცნობეს ჯაჯუს, ვერავინ აღმოვაჩინეთო...

გაგიკვირდებათ, მაგრამ ყველაზე ნაკლებად მეია ღელვადა. „მე კარგად ვიცი, რომ ჩემი დიგო ცოცხალია და არაფერი უჭირს. პირიქით, მალე გავიგებთ მის ამბავს. თქვენ ბრმები ხართ და ვერ ატყობთ, რა ბრწყინვალე მომავალი ელის იმ ბიჭსო“... მიუხედავად ამისა, ბოლო დროს გოგოს მარტო ყოფნის მოთხოვნილება გაუჩნდა. ტყუელად ცდილობდნენ დაუთა და საურა ძველებურად გაემხიარულებინათ იგი. სასწავლებლის სახელის გაგონებაც ხომ აღარ უნდოდა; მამამისს პატარა ფერმა ჰქონდა ქალაქის შორიახლოს, იქ ჩაიკეტა და თავისი საყვარელი ბიოლოგიისა და ბეკეკების მოელით გაერთო...

●

ტატეს რამდენადაც ღრმად სწამდა ღმერთი, იმდენად ნაკლებად სჯეროდა ეშმაკის არსებობა. და მაინც, არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ მის გარშემო უცნაურზე უცნაური ამბები ხდებოდა. ყოველივე ეს იმ ღირსსახსოვარი ღამიდან რამდენიმე დღით ადრე დაიწყო:

ჯერ იყო და ძილ-ღვიძილში რაღაც ფარუნი შემოესმა. იდგა. ქოხში არავინ იყო, ფანჯარაში გაიხედა და შავ ღანდს მოკრა თვალი — ორლობეში მიიძურწებოდა. ერთი გაკვირვება კი გაიკვირვა: ჩემს ქოხში შემოსვლა ვინ გაბედაო, მაგრამ ძალიან ეძინებოდა და აღარ გაეკიდა. მხოლოდ დილით აღმოაჩინა, რომ წმინდა ადგილებიდან ჩამოტანილი ნაკურთხი ხატი სადაც გამქრალიყო.

მერე, ერთ საღამოს მაგიდაზე მისი საყვარელი კერძით — კუკურეფუთი სავსე ქვაბი დახედა. იფიქრა, აიბას გამოგზავნილი იქნებაო და ის იყო, ლუკმა უნდა ჩაედო პირში, რომ კარებთან ატუზული უპატრონო მაიმუნი დაინახა და ძვლიანი ნაჭერი გადაუგდო. დამშეულმა მაიმუნმა საოცარი სისწრაფით სტაცა ხორცს ხელი, პირისკენ გააქანა და იმწამსვე გაშშედა. ტატე ახლოს მივიდა და თვალებს არ დაუჯერა: გაშეშებული მაიმუნი აღარ სუნთქავდა, არც გული უცემდა და მაინც ვერავინ იტყოდა, ეს ცხოველი მკვდრიაო. მაშინ ტატემ არავის არაფერი არ უთხრა — მატყუარობა არ დამწამონო. პირჯვარი გადაწერა, მაიმუნი თივაზე დაწვინა და კერძი კი ქვაბიანა მიწაში დამარხა. მეორე დღესვე იმ ადგილას ეკლიანი შავი ვვავილი ამოვიდა. მოწყვიტა თუ არა ტატემ ეს ყვავილი, ღერდან ეცემლმა იფეთქა და კაცმა ძლივს მოასწრო თვალის დახუჭვა, რომ არ დაბრმავებულიყო...

სწორედ იმ დღეს კი, როცა დიგო ეკლესიაში დატოვა და კეთროვანთა სოფელში წავიდა, ბილიაზე ვიღაც დაბალი მაწანწალა შეხვდა. მაწანწალამ არც აცია, არც აცხელა და ტატეს ასი კოლა სთხოვა. ამ თავხედობით გაოცებულმა ტატემ გადაწყვიტა, მათხოვარი მსუბუქად გიტყიპა, მაგრამ მის გაყინულ მზერას რომ გადაეყდა, ხელიც ვეღარ გაანრია. იდგა, დაბალ კაცს მისჩერებოდა და გრძნობდა, როგორ ემღვრეოდა გონება;. უნებური სურვილი დიებადა, ამ კაცს გაჰყოლოდა, ფეხებში ჩავარდნოდა და პატივი ეცა, მაგრამ მთელი ნებისყოფა დაბაბა. ეს რომ არ გაეკეთებინა, „ღმერთო, მიშველეო“, ჩაიბუტბუტა და უცნობს თვალი თვალში გაუყარა. ახლა უკვე მაწანწალა დაიბნა, მზერა განზე გაექცა და ისეთი მოკურცხლა, რომ და ფეენებას აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა.

კეთროვანთა სოფელს რომ მიაღწია ტატემ, არაფრის თავი აღარ ჰქონდა. თვალები ეწვოდა, თავი უსკდებოდა და თვითმკვლელობაზე ფიქრიც ძლივს მოიშორა... მხოლოდ მესამე დღეს შეძლო ტახტიდან ადგომა. ის იყო, ძველ უბანში შეაბიჯა, რომ მეზობლები დახვდნენ და ახარეს: აიბა და დიგო უწმინდურმა მოიტაცაო. ამჯერად ეშმაკის ხსენებაზე ტატეს არ გასცინებია. იგი, უპირველეს ყოვლისა, აკოსთან მივიდა და ყველაფერი წერილად აამბობინა, მერე თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონ ავიდა ტყეში და ის ადგილი გულდასმით დათვალიერა. გულმა რეჩხი უყო, როცა ორად გადატეხილი ხანჯალი იპოვა. საქმე ის გახლდათ, რომ ასეთ ხანჯლებს უძველეს დროში ერთი ბეთქილაპურელი ოსტატი აწრთობდა და ისე მოკვდა, რომ ამ წრთობის საიდუმლო საფლავში ჩაიტანა. თავის დროზე იმ ოსტატმა ჯილდო დაწესა იმისთვის, ვინც ხანჯლის გადატეხვას შეძლებდა. ლეგენდა გვამცნობს, რომ უროთი შეიარაღებულ სკოლოპენდერ ბეთქილაპურელსაც კი მოსცარცია ხელი ამ შეჯიბრში... თუ ამას დავუმატებთ ტყის მჭრელის მტკიცებას — იმ ღამეს მთვრის შუქზე მოლიცლივე ეტლი დავინახეო, ცხადი ხდებოდა, რომ ამ საქმეში ეშმაკი თუ არა, სხვა არანაკლებ ბნელი ძალები იყო ჩარეული და დაკარგულთა პოვნა დიდ ხიფათთან იქნებოდა დაკავშირებული.

ტატე ყველაფრისთვის მზად იყო!

XXVI. ალქიმიკოსის ვნებანი

საბედისწერო გზაზე შემდგარს ხელს ნუ შეუშლი,
ასე სწადიან ეს იმასაც, ვინც ყოველივეს
ისე წარმართავს, როგორც თავით მოსურვება.

დანტე, „ღვთაებრივი კომედია“.

დიპლოდოკების სასახლის ცნობილი სარდაფის ქვეშ კიდევ სამი სართული იყო გაჭრილი. სულ ქვემო სართულში ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად ციოდა და სწორედ ამიტომ გამართა აქ კალენდულამ თავისი ლაბორატორია — მუდმივი ტემპერატურა ცდების მაქსიმალური სიზუსტით ჩატარებაში უწყობდა ხელს.

თავის დროზე ამ ჯურღმულში ბეთქილაპურის ტახტზე ასული დიპლოდოკები თავიანთ მტრებს ყრიდნენ. ბორკილებდადებული საცოდავი მტრები ორიოდე დღესაც ვერ უძლებდნენ სიცივესა და შიმშილს და უაზრო ყვირილოსაგან ქანცგაწყვეტილნი ბოლოს მშვიდად ნებდებოდნენ სიკვდილს.

თავიდან კალენდულაც კი გააკვირვა მიწისქვეშეთში საიმედოდ დაცული ჩონჩხებისა და ბორკილების სიმრავლემ. ზოგიერთი ჩონჩხი განსაკუთრებით საინტერესო პიროვნებებისა თავისი კოლექციისთვის შემოინახა, უმრავლესობა მიწას მიაბარა და ბორკილები კი კედლებზე ჩამოჰკიდა სამშვენისებად.

●

კალენდულა სამსანთლიანი შანდლით ხელში წინ მიუძღოდა დიგოს.

ქვის ხვეული კიბე სულ უფრო და უფრო დაბლა მიიწევდა.

როდის-როდის ჩაათვეს ეს უსასრულო კიბე, ვიწრო, გრძელი დერეფანი გაიარეს და მიწისქვეშა დარბაზს მიადგნენ. შესასვლელთან დიგო კედელზე ჩამოკიდებულ ბორკილს წამოედო და რკინის ყრუ, ავისმომასწავებელი ყლარუნის გაგონებაზე შეკრთა. დიდი სურვილი დაებადა, აქედან მოესვა და დღის სინათლეზე გასულიყო; მაგრამ ამ დროს კალენდულას სახე დაუდგა თვალწინ და მისი ზარაც შემოესმა:

— ეს არის ჩემი ლაბორატორია! შემოდი, ნუ გეშინია!

სანთლების მწირ შუქზე დიგომ თავდაპირველად ბევრი ვერაფერი დაინახა; მხოლოდ დარბაზის სიღრმეში სხვადასხვაფრად მოციმციმე წერტილებსა და მუქ-წითლად გავარვარებულ ქურას ჰკიდა თვალი. ქურის ყელიდან ალი ამოდიოდა და ნაპერწკლების პატარა შადრევანი იფრქვეოდა.

— აქ, — ხელი მარჯვნივ გაიქნია კალენდულამ, — თავმოყრილია მთელი ის საბუნებისმეტყველო და განზოგადებული ცოდნა, რაც კი კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე დაუგროვებია. თუმცა მე ეს წიგნები აღარ მჭირდება.

დიგომ თავს ძალა დაატანა, თვალი სიბნელეს მიაჩვია და გარშემო მიმოიხედა.

ეს იყო ვეება გამოქვაბული, რომლის კედლები და თაღები აგურით ამოეშენებინათ. მარჯვნივ, კედელს გაყოლებულ ხის თაროებზე შავ ყდებში ჩასმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქელი წიგნები და დახვეული ეტრატები ელაგა.

კალენდულა უკვე ქურასთან იდგა და სასწორზე რაღაც ფხვნილებს წონიდა.

დიგო თაროსთან მივიდა და ხელში მოხვედრილი პირველივე წიგნი აიღო. ეს იყო უძველესი პალიმფსესტი, იმდენად ძველი, რომ საშიში გახლდათ, გადაფურცვლის დროს არ დამსხვრეულიყო. წიგნში დიგოსთვის უცნობ დამწერლობას არანაკლებ გაუგებარი ნახატები და ნახაზები ენაცვლებოდა.

— ფრთხილად! ეგ ტაბეტური მედიცინის სახელმძღვანელოა, საგულდაგულოდ დაშიფრული. მე შევძელი ამ ხელნაწერში ჩადებული საიდუმლოს გახსნა! — თქვა კალენდულამ ისე, რომ ბიჭისაკენ არც შემოტრიალებულა.

მართლაც უნიკალური წიგნების უმდიდრესი კოლექცია შეეგროვებინა კალენდულას; ოსირისის, რასა და სეტის ტაძრებში აღმოჩენილი ძველეგვიპტური პაპირუსები, იმდროინდელ ქურუმთა მიერ ახსნილი ქალღეველთა მაგიური ძალის საიდუმლოებანი, ძველებრაული ქირურგიის წესები, ასტროლოგიისა და ქირომანტიის სახელმძღვანელოები, არაბული სამედიცინო თხზულებანი, ფილოსოფიური ტრაქტატები, შავი და თეთრი მაგია, მეტაფიზიკა და ალქიმია — თითოეული წიგნი წლობით ჩაკირკიტებასა და საფუძლიან შესწავლას მოითხოვდა.

მორგი, სქელ შავ ტყავში ჩასმული წიგნი რობერტ გუვეიბელის „ფილოსოფიური ქვის ძიებაში“ აღმოჩნდა.

— გუვეიბელი ერთ-ერთი პირველი იყო ალქიმიკოსებში, — ისევ უკანმოუხედავად განაცხადა კალენდულამ და მხოლოდ ამის შემდეგ მოტრიალდა დიგოს კენ, — მაგის აღმოჩენებს საუკუნეების მერე თუ დააფასებენ... თუმცა, ალქიმიკოსები ისე იყვნენ დაბრმავებულები სხვადასხვა ნივთიერების სინთეზის შედეგად ოქროს მიღების იდეით, რომ სხვას ვეღარაფერს ამჩნევდნენ გარშემო. არადა, ოქროზე უფრო ძვირფასიც ბევრია ამქვეყანაზე. მაგალითად, ალმასი! მოდი ჩემთან!

დიგო ქურასთან დადგა და ახლა ლაბორატორიის მარცხენა მხარე შეათვალიერა. აქ თაროებზე სხვადასხვა ზომის თიხისა და მინის ჭურჭელში ნაირფერი ფხვნილები და კრისტალები ეყარა. ზოგიერთი ნივთიერება მკრთალად ანათებდა. კრძელ მაგიდაზე ერთთანმეთთან მინის მილებით დაკავშირებულ კოლბებში რაღაც სითხე ბუყბუყებდა და ბოლავდა.

კალენდულამ თაროდან ერთი ყველაზე შეუხედავი შავი ფხვნილით სავსე ქვაბი გადმოიღო და დიგოს უჩვენა.

— ხვდები, ეს რა არის?

დიგომ თავი გაიქნია.

— გრაფიტია, უბრალო გრაფიტი, ჩვეულებრივი ფანქრის გული. მაგრამ ამ მახინჯ გრაფიტს ზუსტად ისეთივე ქიმიური შემადგენლობა აქვს, როგორც მოელვარე ალმასს. სულ ნახევარი წელიწადი დამჭირდა, რომ გრაფიტისგან ალმასი და მერე კიდევ უკეთესი — პირდაპირ ბრილიანტი მომეელო. ამაში ეს წნეხი დამეხმარა. შეხედე!

კალენდულამ შავი ფხვნილი ვერცხლისფერი ლითონის ჯამში გადმოყარა, რაღაც წებოვანი ნივთიერება შეურია, მერე შიგ მენზურიდან რამდენიმე წვეთი სითხე ჩაასხა, ეს ყველაფერი ერთმანეთში აურია, ჯამი ქურაზე შემოდგა და ცოტა ხნის მერე გავარვარებული მასა წნეხის ქვეშ შეადო.

რამდენიმე წუთში კალენდულამ წნეხი გახსნა, იქიდან არაჩვეულებრივი სილამაზის მოზრდილი ალმასი გამოიღო და დიგოს აჩვენა.

ბიჭი თვალებგაფართოებული შესცქეროდა ამ ჯადოქრობას.

— მოგწონს? დიახ, ეს არის ალმასი, უფრო სწორად, ბრილიანტი, რამდენადაც დაწახნაგება და, საერთოდ, დამუშავება აღარ ჭირდება.

— შშვენიერია! — თქვა დიგომ და ბრილიანტს სანლის შუქზე გახედა.

— მართლაც კარგი ბრილიანტია, სუფთა, ყოველგვარი მინარევის გარეშე. ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ასეთი კენჭი ხუთასი ოქრო დირს ბაზარზე. აქ კი ნახე, რამდენია ასეთი!

კალენდულამ მუხის კასრს თავი ახადა და სანლილის შუქზე ხვავდასხვა შეფერილობის ათასობით ულამაზესი ქვა აელვარდა.

— ასე, რომ ფინანსებზე შეგვიძლია არ ვიზრუნოთ. ფული იმდენი გვექნება, რამდენიც დაგვჭირდება, — გულგრილად თქვა კალენდულამ და ისევ თარიოს მიუბრუნდა, — აი, ამ ნივთიერების ერთი გრამი საკმარისია, რომ მთელი ბეთქოლაპური მოიწამლოს. თანდათანობით ყველა ძირითადი წყალის შეზავებას გასწავლი. კაცმა არ იცის, როდის გამოგადგება... ახლა იქით გავიდეთ.

კალენდულამ მაგიდიდან შანდალი აიღო და გამოქვაბულის ერთ კუთხეში დატანებული კარი გამოაღო.

დარბაზთან შედარებით მომცრო ოთახში მინის ოთხი კუბი იდო.

თითოეულ მათგანში მიცვალებული ესვენა.

დიგო განსაკუთრებით შეზარა მარცხნივ იატაკზე დადმულმა კუბომ, რომელშიც მღვრიე სითხე იდგა და იმ სითხეში თითქმის მთლიანად გახრწნილი გვამის თმები ცურავდა.

ბიჭმა გულისრევა იგრძნო, ცივმა იფლმა დაასხა, მაგრამ კალენდულას იქ ყოფნით გული გაიმაგრა.

— არ შეგეშინდეს. მიცვალებულები ყველაზე ნაკლებ საშიშნი არიან. ამ კაცს რამდენიმე ამოსუნთქვაღა ჰქონდა დარჩენილი, როცა კუბოს სახურავი საამედოდ დავხუფე. აქედან ერთი მოლეკულაც ვერსად გაიპარება, მაგრამ...

— ბატონო? — დიგოს თავბრუ ეხვეოდა და იმას ცდილობდა, როგორმე გაეუძლო ამ სანახაობას და არ დაევცეო.

— როგორც ხედავ კუბო სასწორზე დგას. უზუსტესი სასწორია. ყოველ შემოხვევაში ამაზე ზუსტი ჯერ არ გამოუგონებიათ. თუ გამოიგონეს, იმასაც გამოვიწერ. აბა, ერთი თმის ღერი გამოიძრე და კუბოზე დაადე!

დიგომ, რომელიც მზოლოდ იმას ნატრობდა, აქაურობას მომაცილო, სასწრაფოდ გადაისვა თავზე ხელი და ზელსახულს აყოლილი თმის ღერი კუბოზე დაადო.

სასწორის ისარი შესამჩნევად შეტოკდა.

— აი, ხედავ?! და მაინც, ორი თვის თავზე რომ დავხედე სასწორს, 36,6 გრამი აკლდა. კიდევ სამჯერ გავიმეორე ეს ცდა და გამოვარკვიე, რომ გარდაცვალებიდან ზუსტად ოცდაცხრამეტი დღის შემდეგ სხვა კუბოებსაც იგივე წონა დააკლდა.

— იქნებ, ბოლო ამოსუნთქვა... — გაუბედავად წამოიწყო დიგომ.

— ჯერ ერთი, მგონი უკვე აგიხსენი, აქედან ერთი მოლეკულაც ვერსად გაიპარება-მეთქი, მეორე — ბაყბაყ-დევი რომ იყოს კაცი, მისი ამონასუნთქი ნახევარ გრამს არ აღემატება და მესამეც: მაინც-დამაინც ოცდაცხრამეტი დღის გასვლის მერე ამოისუნთქეს საბოლოოდ? სისულელეა!

— მაშ, უნდა ვიფიქროთ, რომ სული...

— სული! გაიგე, არ არსებობს ეგ შენი სული! თანაც ის რა სულია, რომელიც სასწორით აიწონება. არა, აქ სხვა ამბავი უნდა იყოს, ციფრი 36,6 ადამიანის სხეულის ნორმალურ ტემპერატურას ემთხვევა... ამ ამოცანასაც ამოვხსნი, დროის საქმეა ეს. ჰმ, სული! კარგად დააკვირდი, — კალენდულამ აიძულა დიგო კიდევ ერთხელ შეეხედა ყველაზე ძველი კუბოსთვის — აი, სულ ეს არის ადამიანი: წყალი და კიდევ რაღაც-რაღაც ორგანული მინარევები. მორჩა და გათავდა!

— ახლა, კი, — საზეიმოდ გაბაცხადა კალენდულამ. — შენ მოგეცემა სრულიად უნიკალური საშუალება, ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული ცდის დასასრულს დაესწრო და შედეგიც ნახო. აბა, დავიწყოთ! ოღონდ შენ დაჯექი და ხელი არ შემიშალო!

კალენდულამ კიდევ ერთხელ დახედა მობუყბუყე კოლბებს, მინის მილები შეამოწმა, ქუთაში ცეცხლს მოუმატა, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარადიდან გამჭვირვალე ნივთიერებისაგან ჩამოსხმული ადამიანის ფორმის ჭურჭელი მოიტანა, ქუთის თავზე ჩამოკიდა, მილები მიუერთა და რამდენიმე ონკანი ერთად ვაღო.

კოლბებიდან სხვადასხვა ფერის სითხე წამოვიდა და ერთმანეთს შეერია.

ფორმა კვამლითა და იმ სითხეების ნარევით აივსო.

ლაბორატორიაში გოგირდის სუნი დადგა...

დიგო მონუსხული შეჰყურებდა დატრიალებულ საცრებას — მის თვალწინ ხელოვნური ადამიანი იბადებოდა!

●

ბიჭს დროის ანგარიში აერია. ვერც ის შენიშნა, რომ კალენდულამ უკვე მესამედ გამოუცვალა შანდალს სანთლები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაუშუხლებია მეცნიერს — ხან წნევას ამოწმებდა, ხან ცეცხლს უმატებდა და აკლებდა, გზადაგზა რაღაც ნივთიერებებს აზავებდა და წამდაუწუმ წვრილი, გაკრული ხელით ნაწერ და ფორმულებით ჰგრეტებულ ფურცლებში იხედებოდა — არაფერი გამომრჩესო...

●

კვამლი ნელ-ნელა დაიწმინდა.

კალენდულამ ნელა გადახსნა გამჭვირვალე ფორმა და თავისი შედეგი ფრთხილად დააწვინა მაგიდაზე. ეს იყო საკმაოდ შეუხედავი, საშუალო სიმაღლის მამაკაცი.

— პიგმენტი დამაკლდა — თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა, — იმიტომაა ასე უფერული, მაგრამ არა უშავს, იქნებ ასე ჯობდეს კიდეც... ახლა კი გავაცოცხლოთ ჩვენი კინკა.

— კინკა ჰქვია? — სუსტი ხმით იკითხა დიგომ.

— ჰო, სახელი ადრე შეეფრჩიე... აბა, ეს მილი დამიჭირე! — კალენდულამ პირში ჩაუდო მილი ახალშობილს, მერე დიგოს მიაჩერა და თვითონ შპრიცით რამდენიმე ადგილას ნემსი გაუკეთა.

უცნაური გულგრილობა დაეუფლა დიგოს — ივი ისე შეჰყურებდა ხელოვნური ადამიანის გაცოცხლებას, თითქოს ამაზე ბუნებრივი და ჩვეულებრივი არაფერი ენახოს ამქვეყნად.

XXVIII. პრომუნკულუსი ბეთქილაპურელი დამდით

ორიოდე დღის შემდეგ კალენდულამ დიგო თავის ოთახში დაიბარა.

— მაშ ასე, დღეიდან შენ დაუშეგობრდები კინკას — ხელოვნურ ადამიანს. მისი წარმოშობის საიდუმლო დედამიწის ზურგზე მხოლოდ მე და შენ ვიცით. ასეა საჭირო! გასაგებია?

— დიახ! — დიგომ შენიშნა, რომ თავისი თავით კმაყოფილი ექსპერიმენტატორი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდა.

— ძალიან კარგი!

— ბატონო კალენდულა...

— ვიცი, რაც უნდა შემეკითხო — ბეთქილაპურელები ბუნებრივი ხერხითაც შესაშურად მრავლდებიან და ხელოვნური ადამიანის გამოყვანა რაღა საჭირო იყოო?! ჰოდა, ჩემო კარგო, კინკა მარტო თავისი ხელოვნურობით როდია ღირსშესანიშნავი. ალბათობის თეორიის საფუძველზე მე შევძელი გამომეყვანა ხალხის ერთეულის ფორმული და მერე მათემატიკური მოდელი ცოცხალ არსებად გადამექცია. ალბათობის თეორიის პრინციპების განვრცობა საზოგადოებაზე ადამიანური მორალის მიხედვით უდიდესი უზნეობაა, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის კი აუცილებელია.

— უნდა გამოგიტყდეთ, აქამდე თითოეული ადამიანი ერთადერთი და განუმეორებელი, ცალკე სამყაროც კი მეგონა.

— ასეც არის, როცა საქმე ჭეშმარიტ ადამიანებს ეხება, მაგრამ ისინი ჩვენ არ გვჭირდებიან, ხელს შევავიწროებ მხოლოდ. მათ ერთი ცუდი თვისება ჭირთ — ფიქრობენ. ეს იწვევს ეჭვს, უნდობლობას, კრიტიკას, განსხვავებულ აზრს და, აქედან გამომდინარე, უკმაყოფილებას. ჩვენთვის კი ერთიანი, მონოლითური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი იდეით — ბეთქილაპურის აღზევების იდეით შეკრული მასაა აუცილებელი.

— მერე, ერთადერთ ხელოვნურ ადამიანს, კინკას რა შეუძლია?

— აბსოლუტურად ყველაფერი! სწორედ ის არის ხალხის განწყობილების, სურვილების, მისწრაფებების განმსაზღვრელი, უტყუარი ბარომეტრი. თუმცა, ხალხისა კი არა, უფრო ზუსტად მისი ნაწილისა — ბრბისა. როგორც წესი, ნორმალურ ადამიანებს თავიანთი საზრუნავი აქვთ და ნაკლებად აინტერესებთ, რომელი მმართველი მოატყუებს. აი, ბრბო კი სულ სხვაა! ის უმთავრესად უსაქმური, ხელმოცარული, უნიჭო და თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ელემენტებისაგან შედგება... არც კი მსურს, მათ ადამიანები ვუწოდო... ისინი უაზროდ დაყიალობენ ქალაქის ქუჩებში და ცოდან ჩამოვარდნილ ქონებაზე ოცნებობენ; იმის მაგივრად, თავიანთი სიღარიბე და ხელის მოცარვა საკუთარ სიზარმაცესა და უნიჭობას დაბრალონ, ცხოვრებას, ბედსა და მტრებს უნიავან, გულში ღმერთს აგინებენ და თუ ხმამაღლა არ იწყევლებიან და ილანძღებიან, არ ქურდობენ და კაცს არა კლავენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სასჯელისა ეშინიათ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ხალხი რაშეში გამოდგება?

— გამოდგებიან და მერე როგორ! მეტსაც ვეტყვი, მათ ვერავინ შეცვლის! ოღონდ ეგ არის, ყველას ყველაფერი უნდა დავბიდეთ — უქონელს სამდიდრე, უსახლკაროს ბინა, პატივმოყვარეს თანამდებობა, მახინჯს სილამაზე, უნიჭოს ნიჭი... მე შენ ვეტყვი და მერე ვინმე რამეს მოგკითხავს! ამასთან, უნდა გავთავისუფლით ისეთი სულელური ქიმერებისაგან, როგორებიცაა ღვთის შიში, სინდისი, გულმოწყალება, შენდობა, მონანიება, პატიოსნება და სხვა ისეთი უმსგავსობა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა საწყენია, რომ ჩვენი ბეთქილაპური ოკეანეში ჩაკარგული კუნძულია! — თქვა დფიქრებულმა დიგომ.

— და შენ გგონია, რომ მე, კალენდულა, ამ ერთიბეწო კუნძულისათვის შეავწუხებდი თავს? არა! ბეთქილაპურის აღზევების იდეა ხალხის დასარაზმავად მჭირდება. ბეთქილაპურელები გამრავლდებიან, გაძლიერდებიან და მერე...

— მერე? — ველარ მოითმინა დიგომ.

— კარგი, ამასაც ვეტყვი, — კალენდულას ლოყები შეეფაკლა, — ჩვენი ალმასებით დავიერავებთ სხვადასხვა ქვეყნის ათასობით საუკეთესო ზომაღლს და აქ მათ ხელში ჩავიგდებთ. ვინც ჩვენს სამსახურში ჩადგება, საჩუქრებით ავავსებთ, ვინც არა — თავებს დავაყრევინებთ. ამ უზარმაზარი ფლოტილიით მოვედებით მთელ დუნიას, დავიპყრობთ ქვეყნებს, მატერიკებს და ბოლოს, მთელ მსოფლიოს! დედამიწას დაერქმევა ბეთქილაპური! და დაუდგება ბედნიერი დღე მსოფლიოს... ალარ იქნებიან მდიდრები და ღარიბები, შეწყდება ომები, შუღლი და მტრობა. ყველა იქნება კინკა! და დაიგრგვინებს მთელ პლანეტაზე სახელი კალენდულასა და მისი აზრების აღმსრულებლისა დიგოსი!!! თუმცა...

— ბატონო? — ამ „თუმცამ“ დიგო ციდან მიწაზე ჩამოასრიალა.

— შენი სახელი არ მომწონს, არ ჟღერს! აი, — კალენდულამ მაგიდის უჯრიდან ქაღალდი გამოიღო, — აქაც მათემატიკა დამეხმარა. ცნობილია, რომ ბგერებს ადამიანის ფსიქიკაზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. გარკვეული სიხშირით მრავალჯერ გამეორებული შეძახილები შესაბამისი მკაცრად განსაზღვრული რიტმის თანხლებით ის უხიოავი ჯადოსნური ჯოხია, რომლითაც შეიძლება ბრბოს სწორედ ამ მომენტში აუცილებელი განწყობილება ჩაუნერგო. აი, მაგალითად, რომელიმე ვითომც პოეტი წაიკითხავს დაახლოებით ასეთ ლექსს:

ბეთქილაპური — ქვეყნის ვარსკვლავი!
და კალენდულა — მისი შშვენება!!
მტერს შეუტევ, დასცხე, დაჭკარი!!!
ვაშა მომავლის ნათელ შენებას!!!!

ამის მერე მოდის შეძახილები:

— კა-ლენ-დუ-ლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კა-ლენ-დუ-ლა!
თორმეტჯერ. შემდეგ:
— ბეთ-ქი-ლა-პუ-რი!
— ბეთ-ქი-ლა-პუ-რი!
ეგეც თორმეტჯერ. ბოლოს უნდა იყოს:
— დი-გო!
— დი-გო!

მერე ერთი მოკლე, პათეტიკური სიტყვა და ოგივე შეძახილები, ოღონდ უკვე ოცდაოთხ-ოცდაოთხჯერ გამეორებული. აქ ყველაფერი საამედოდ მაქვს ნაანგარიშეული — რიტმიც, ტაქტიც, მეტრიც, ტონალობაც, ბგერის სიხშირეც... გარდა შენი სახელისა. დი-გო, დი-გო... არ ჯდება, ყრუდ ისმის... არ რეკავს... მოიცა... ჰო, რა თქმა უნდა! რასაკვირველია! — დინგ დო! დინგ დო! აი, შენი ნამდვილი სახელი! კალენდულა! დინგ დო! ხედავ, როგორ დაიგუგუნა?! კინკაზეც გაცილებით უკეთეს შეაბეჭდილებას მოახდენ... ხომ იცი, როგორ უყვართ ბეთქილაპურელებს ზარების რეკვა.

კიდევ ერთხელ გადანათლული დიგო (ბოდიში, უკვე დინგ დო), რომელსაც თავისი ახლანდელი სახელი საკმაოდ ეხამუშებოდა, აღფრთოვანებული დარჩა:

— მართლა დიდებულად ჟღერს!

— აი, ხომ ხედავ! ახლა კი საქმეს მივხედოთ, ბატონო დინგ დო. არ დაგავიწყდეს, რომ კინკამ უფრო მეტად, ვიდრე სხვებმა, არ უნდა იცოდეს არაფერი თავისი წარმოშობისა და ჩვენი ჩანაფიქრების შესახებ. გახსოვდეს, მას მეტად დაკვირვებით უნდა მოეყრო: უნდა იცოდე, როდის მოეფერო, როდის ჭკუა ასწავლო, როდის გაუჯავრდე და როდის ერთი ისეთი უღრიალო, რომ სულ ანგელოსები დაუფრთხო. იცოდე, ბრბოს ეს ძალიან უყვარს, კახპა ქალივით!

●

„მშვენივრად უმუშავია კალენდულასო“, გაიფიქრა დინგ დომ, როცა მის წინაშე ქუდმოხდილ მდგარი კაცი დაინახა. ამ კაცს — კინკას ტუჩებზე წშინდა ბეთქილაპურული — ფარისეველურ-ამპარტავნული ღიმილი უთამაშებდა, თითქოს თავმდაბლურად ირჯებოდა, მაგრამ ამასთანავე გაფაცცებული იხედებოდა აქეთ-იქით, ვინმემ არ დამცინოს, არ დამამცირის და არ მომატყუოსო. მეტისმეტად ჩაშაქრულ-ზრდილობიანი ეერი უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა კაცზე.

ჩაცმულ-დახურული კინკა სრულიად არა ჰგავდა ახალშობილს და სადმე ქუჩაში რომ შეხვედროდა დინგ დოს, ეს უკანასკნელი ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ერთი სიტყვით, ეს იყო ტიპიური ბეთქილაპურელი მოქალაქე გარეგნობითაც, ჩაცმულობითაც, მიხრა-მოხრითაც და, როგორც მალე გამოირკვა, სიტყვა-პასუხითაც.

— გაიცანით, ეს გახლავთ ბატონი კინკა, ნამდვილი ბეთქილაპურელი, ჭეშმარიტი პატრიოტი!

— ეს კი ბატონი დინგ დოა. ბეთქილაპურელები მალე შეიტყობთ მის შესახებ და ვინძლო ისე შეიყვარონ, თვით კალენდულაც დაგავიწყდეთ!

— სასიამოვნოა! ბედნერებაა ასეთი კაცის გაცნობა, ნამდვილად! ბატონი კალენდულას სიტყვა ყოველი ნადი ბეთქილაპურელისთვის კანონზე მეტია. ჩვენი კალენდულაა ის კაცი, ბეთქილაპურის სახელს მთელ მსოფლიოს რომ გააგებინებს. განგებამ გამოგვიგზავნა იგი ჩვენ!..

— კარგი, არ არის საჭირო, — ჩაახველა კალენდულამ, — აბა, კინკა, ხომ იცი, შენი ხმა ხალხის ხმაა. ყოველდღე გაგვაგებინე, რა ხდება ბეთქილაპურში. ჩვენ მალე ბრძოლას დავიწყებთ, დიდ ბრძოლას!

„რა უფერულია, — ფიქრობდა ამ დროს დინგ დო, — ერთი ისეთი ნაკვთი არა აქვს, რომ დაგამახსოვრდეს — ან თვალი, ან ნიკაპი, ან გამომეტყველება...“

— რა ჯობია მაგას, თუ ვერავინ დაგიმახსოვრებს, — თითქოს დინგ დოს ფიქრებს უპასუხაო კინკამ, — ჩვენ, ერთნაირები, ერთად დავდგებით, ყველა მეტი-ჩარასა და რა ჰქვია, იმას... ჰო, ზოგი რომ თავისი ჭკუით ამაყობს და ზოგი კიდევ გამორჩეული სილამაზით, ნიჭით და ცოდნით... კისერს მოვუგრიხავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც წინ დაგვიდგება ბეთქილაპურელ პატრიოტებს. გადავთელავთ და გადავჯაგავთ, არ დავინდობთ მტრებსა და მოღალატეებს!

კალენდულამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა დინგ დოს.

ბიჭს შეამცივნა, როცა წარმოიდგინა ათასობით, ათიათასობით, ასიათასობით კინკა, აჯაგრული, აგრესიული, სისხლის წყურვილით ანთებული...

და ეს დაუოკებელი მრისხანე ძალა უნდა ემართა მას — დინგ დოს, თვით დიადი კალენდულას ბედნიერ რჩეულს!

●

— დიახ, ჩემო კარგო, — დინგ დოს წინაშე ისევ ძველებური კალენდულა იდგა: ცივი და აუღელვებელი, — ჩვენი კინკა ვაგნერის ქეციან პომუნკულუსს კი არა ჰგავს, იგი გამარჯვებისათვის არის დაბადებული... და ასე იქნება ყოველთვის, იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი — ჩემი და შენი სურვილი. მალე ჩვენ ქვეყანას გადავატრიალებთ, თუ საჭირო დარჩა!

XXIX. სატრიუმფო

„ზოგ ადამიანს ნაკლიც უხდება, ზოგს კი სიკეთეც ვერ ამკობსო“, უთქვამს ერთ ბრძენკაცს.

მეფე ზენგო XXXVIII-ის დები, პრინცესა სკოლოპენდერები სწორედ იმ უბეღურ დღეზე გაჩენილთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა ღირსებები საუკეთესო შემთხვევაში ხალხში მხიარულ სიცილს იწვევს და რომელნიც ამისა გამო კაცობრიობის მთელ მოდგმას ნაძარალებისა და უმადურების ხროვად მიინნევენ.

საწყალი პრინცესების ქველმოქმედება სიშეტერედ აღიქმებოდა, მოსწრებული სიტყვა სიტუტუცედ, პირდაპირობა უტაქტობად, პოეზიისა და ხელოვნების სიყვარული მეტიჩრობად, ხოლო უბიწოება... თუმცა, ჯობია აქ შევჩერდეთ, რადგან ეს ცალკე რომანის თემაა... რას იზამ! ასეთი ყოფილა ბეთქილაპური, ასეთი ყოფილა ეს წუთისოფელი! და თუ ვინმეს ძველმა იარამ შეახსენა თავი, იქნებ იმით დავამშვიდოთ, რომ კაცს, როგორც წესი, ბოროტებისთვის ნაკლებად დევნიან, ვიდრე სიმართლის თქმისთვის... ეს ისე, სხვათა შორის, ახლა კი ისევ დებ სკოლოპენდერებს დაუბრუნდეთ.

— კამელია!

— ორქიდეა!

— ჰორტენზია!

— ლილია!

— აკაცია!

— მაგნოლია!

ასე ერქვათ პრინცესებს და ვაი, რომ მთელი ეს მშვენიერი ყვავილნარი მათი გამოჩენისთანავე საცოდავად ჭკნებოდა. აბა წარმოიდგინეთ, ორმოცდაათ წელს კარგა ხნის გადაცილებული ტყუპი დები, ზუსტად ერთნაირები, ერთნაირად დაჩამიჩებულები და იმდენად მოცუცქნულები, რომ მათი უფროსი ძმა, მეფე ზენგო, რომელსაც ტახტზე ასაძრომად ჯორკო სჭირდებოდა, ასეთი დების ფონზე წარმოსადგე ვაჟკაცად აღიქმებოდა.

შევცდით, როცა სკოლოპენდერების სასახლეში დაფრქვეული სუნი სკაპადარსა და ნაფტალინს მივაწერეთ. როგორც ბეთქილაპურის თავის დროზე მკაცრად გასაიდუმლოებული ისტორიის ერთ-ერთმა მკვლევარმა უტყუარად დაადგინა, ეს ყოფილა სურნელება ნელსაცხებლისა, რომელიც ზენგოს დაბადებამდე ასი წლით ადრე ვიღაც მოხეტიალე ბერს ჩამოუტანია აფრიკიდან და რომლის დამზადების წესსაც სკოლოპენდერთა ვკრის ქალები საგულდაგულოდ უმალავდნენ მეტოქე ლამაზმანებს. თუკი პრინცესების სახის კანის მომწვანო აგურისფერსა და საერთო სავალალო მდგომარეობას გავითვალისწინებთ, იმ აფრიკული ნელსაცხებლის რეცეპტის მოტაცების საფრხე, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული უნდა ყოფილიყო. ღმერთო, შეგცოდე და ის მოხეტიალე ბერი სკოლოპენდერთა მოდგმის უბოროტეს მტრად თუ არა, სინდისგარეცხილ გაიძვერად მაინც უნდა ეღიარებინათ ბეთქილაპურში. ...თუმცა ჩვენ, მამაკაცებს, როდის იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა ესთეტიურ სამყაროში ცხვირის ჩაყოფის ნებას გვაძლევდნენ!

დები სკოლოპენდრები ოზრდებოდნენ ისე, როგორც პრინცესებს ეკადრებათ — ფუფუნებითა და ყურადღებით გარემოცულნი. ყოველი მათგანი ბავშვობიდანვე სასოებით ელოდებოდა იმ დღეს, როცა გამოჩნდებოდა პირმშვენიერი უფლისწული და თავის მხურვალე გულს მიუძღვნიდა, საუკუნო სიყვარულით ატაცებული!

მაგრამ გადიოდა დრო, ბეთქილაპურელებმა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს მათი დაბადების იცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი წლისთავი და არათუ ექვსი, ერთი უფლისწულიც არ ჩანდა წამალად.

პრინცესები მაინც არ კარგავდნენ იმედს და ამ იმედის საფუძველს სარკე თუ არა, მათი წარმოშობა და მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა იძლეოდა.

და აი, მოხდა სასწაული!

გუდაფუტა აზნაური, ვინმე ბატონი რეჯო ბაუბეკი გომბეშოსა და ტაპირის ნაჯვარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზღაპრულ უფლისწულს; სამწუხაროდ, მატიანე არაფერს გვამცნობს შესახებ იმისა, თუ როგორ მოახერხა ამ კაცმა ესოდენ მაღალ სფეროებში თავის ამოყოფა და თვით მეფის ოჯახის წარმომადგენლებთან დაახლოება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: რეჯო ბაუბეკმა ხელი სთხოვა პრინცესა კამელიას! რეჯოს სასახლეში გამოცხადება ახალი, ბედნიერი ცხოვრების დასაბამად მიიჩნიეს შინაბერებმა. ვიღა დაეძებდა ბაუბეკის ასაკს, გარეგნობას, შუამომავლობასა და სიტყვა-პასუხს!

სკოლოპენდერთა სასახლე ამოძრავდა, გამოცოცხლდა, გახშირდა მისვლა-მოსვლა, ჭორები და მითქმა-მოთქმა;

ნიშნობა დღეს დები აფორიაქებული კოლობებივით დაჰქროდნენ სასახლეში და უჩვეულოდ ადგზნებულნი ერთი და ოგეგე განკარგულებას სხვადასხვა ვარიაციებში იძლეოდნენ. ამდენი ბრძანებისაგან რეტდასხმული მსახურები ერთმანეთს ეკახებოდნენ, ხმადაბლა იგინებოდნენ და ბურტყუნებდნენ. სამზარეულოდან მხიარული ჭიხვინისმაგვარი ხმები ისმოდა — მზარეულები მოსამსახურე გოგოებს აცინებდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი წმინდა ბეთქილაპურული ტრადიციების მიხედვით კეთდებოდა — ბევრი მბრძანებელი და ცოტა შემსრულებელი, ბევრი ყვირილი და ცოტა საქმე, ბევრი აურზაური და ცოტა დალაგებული ქმედება!

●

— უი, ერთი საათიღა დარჩა, ჩვენ კი ჩაუცმელები ვართ! — წამოიყვირა პრინცესა მაგნოლიამ და „საქალწულო“ ოთახს მიაშურა.

დებმა ერთხმად იხუვლეს და მაგნოლიას გამოუდგნენ.

— რა არის ეს! — უცვე ავად დაისისინა პრინცესა ჰორტენზიამ და პრინცესა აკაციას სიძულვილით სავსე მზერა მიაპყრო.

— რა? — შეეშინდა აკაციას.

— რამდენჯერ უნდა ვთქვა ამ ოჯახში, მწვანე ჩემი ფერია-მეთქი! შენ კი... მოიხსენი, ახლავე მოიხსენი... ახლავე!

შეწუხებულმა აკაციამ, რომელსაც დაეწყებოდა მწვანე ფერზე ჰორტენზიას მიერ დადებული ტაბუ, იმწამსვე მოიგლეჯა ყელიდან გამჭვირვალე მოცისფრო (და არა მწვანე!) ყელსახვევი და კარადის ყველაზე ბნელ კუთხეში შეჩურთა. ამის გამო პრინცესა ჰორტენზია მთელი ნიშნობის განმავლობაში დაჩაგრულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ამასობაში პრინცესა ლილია პრინცესა ორქიდეას უმტკიცებდა, ესპანური სტილი არ გიხდებაო, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც თავისი გაიტანა და ომაში უზარმაზარი ალისფერი ვარდი გაირჭო.

●

საკუთარი თავხედობით შეშინებული და ბრწყინვალე მომავალზე ოცნებით აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნებული რეჯო ბაუბეკი სკოლოპენდერთა სასახლის კიბეს მიუყვებოდა და გულში იმას ფიქრობდა, ახაა ჩემზე, თუ კინწისკვრით გამომაგდო ზენგო მეფემ, ერთი ვიცოდ, რა მეპრინცესკამელიებოდაო! მან არ იცოდა, რა დიდხანს ელოდნენ ამ დღეს სასახლის მკვიდრნი... უარესად დაფრთხა ბ-ნი რეჯო, ბეთქილაპურის ტახტზე წამოსკუპული თვით ზენგო XXXVIII რომ დაინახა და საბოლოოდ გამოშტერდა, სხვადასხვა ფერის ჭყეტელა კაბებში გამოპრანჭულ ექვს პრინცესას როცა ჰკიდა თვალი. დები ისე საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს, რეჯო ბაუბეკი შესაწვავად რომ გაგემწესებინათ, მაინც ვერ ამიიცნობდა, რომელი იყო მათ შორის საცენები და სათაყვანებელი კამელია!

●

ტახტის მისადგომებთან მისული რეჯო უმწეოდ აცეცებდა თვალებს და ჯერაც არ იცოდა, რა ექნა.. ბეედ, პრინცესა კამელიას ხელის მაძიებელმა, რომელიც ვეღარაფერს ამჩნევდა გარშემო, ვერც ტახტის ქვეშ გაგებული სქელი ხალიჩის პირი შენიშნა, ფეხი გამოსდო, და ზედ ხალიჩაზე განერთხო, რითაც ბეთქილაპურელ მონარქისტთა დიდი ნდობა დ, პატივისცემა დაიმსახურა.

მეფე ზენგო XXXVIII სკოლოპენდერი ტახტიდან ფაცხაფუცხით ჩამოძვრა, კოჭლობით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სასიძოს ხელი შეაშველა. ცვრემონიებში გამობრძმედილი ბებერი ხელმწიფე ამჯერად დაბნეული ჩანდა, რაც ამ შემხვევაში გამოცდილების უქონლობით უნდა ახსნილიყო.

— დალოცეთ, მეფეო... — წაჩურჩულა უფროსმა მრჩეველმა.

ამან ზენგოს გაახსენა, რისთვის იყო ეს ამდენი ხალხი შეკრებილი.

— ჰო, რა თქმა უნდა, — ჩაახვევა მეფემ და ხმას აუწია, — კამელია, ჩემი უმრწემესო დაო, მიბოძე ხელი შენი!

დარცხვენილი და აკეკლუცებული კამელია პრინცესებს გამოეყო და რეჯოსთან მიგოგმანდა. „უიმე, რასა ჰგავსო“, ერთი კი გაუელვა თავში სასიძოს, მაგრამ იმავდროულად თავის თავს მოჰკრა თვალი სარკეში და დამშვიდდა.

●

გაიხარა, მაგრამ რა გაიხარა ზენგო მეფემ. კალენდულაზე ხელჩაქნეულმა მთელი იმედები პატივმოყვარე და ვირეშმაკა რეჯო ბაუბეკზე დაამყარა, ჰერცოგობა უბოძა, მთავარმართებლისა და მხედართმთავრის განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა და გული დიამშვიდა, რადგან დიპლოდოკების საგვარეულომ ბრუნგარტასთან ერთად არსებობა შეწყვეტა, ის უდღეური ჰომობასროც მკვდარი ეგულებოდა, ვიდაც ბაუბეკის ტახტზე ასვლას ბეთქილაპურელება არამც და არამც არ დაუშვებენ, ძვირფას კამელიას შვილი ეყოლებოდა და სკოლოპენდერთა სახელოვანი გვარი განუყოფლად იბატონებდა ქვეყანაში აწ და მარადის!

ის გარემოება, რომ სამოც წელს მიტანებული პრინცესა კამელიას დაორსულება ერთოს საძნელო საქმე გახლდათ, მეფე ზენგოს არც გახსენებია. ასე სჩვეოდა ბეთქილაპურელთა უმრავლესობას — ოცნებებს აყოლილნი ცხოვრებისეულ წვრილმანებს არად დაგიდევდნენ...

ასე იყო თუ ისე, ზენგო XXXVIII სკოლოპენდერი სახელმწიფო საქმეებს ნელ-ნელა ჩამოსცილდა, ამდენი ხნის ნერვული დაძაბულობა მოიხსნა და ჯანმრთელობის გაკაჟებას მიჰყო ხელი — ერთთავად სუფთა ჰაერზე, მინდვრებში დარბოდა და ბადით პეპლებს დასდევდა დასაჭერად. ბოროტი ენების თქმით, „უკანასკნელ ხანს ძველისძველი ტოლ-ამხანაგები, ყოფილი სამხედროები შემოიკრიბა და მათთან ომობანას თამაშში „ათენ-აღამებსო!“ ჭორი იყო ეს თუ სინამდვილე, ვერ მოგახსენებთ, რადგან ამ საკითხს გარშემო ბეთქილაპურის ისტორიაში არაფერია ნათქვამი. ფაქტი ისაა, რომ ქვეყანაში ჰერცოგ რეჯო ბაუბეკის მმართველობის ხანა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ დროს გამოვიდნენ ბეთქილაპურის პოლიტიკურ ასპარეზზე „კალენდულას მოწაფეები!“

XXX. ᲕᲝᲩ!

ჩუ! არ მიხსენო მუდმივი ბრძოლა,
მე მეზიზღება ტირანიაᲘ! მონაᲘ!

. . . . . .

ფუჭად ხარჯავენ ქამათში სიტყვებს,
მონობას ებრძვის მონობა ისევ!

გოეთე, „ᲤᲐᲣᲡᲢᲘ“

უჩვეულო ამბები ხდებოდა ბეთქილაპურში.

გახშირდა ჭორები და მითქმა-მოთქმა.

ხალხი ფუთფუთებდა, ჩურჩულებდა, ადამიანებმა ეჭვით დაუწყეს ერთმანეთს ყურება, ჯაშუშები საქმეს ვერ აუდიოდნენ, ციხეები მეფის ტახტის მოწინააღმდეგეებით აივსო, კვირა არ გავიდოდა, ვინმე მშიერი ვეფხვის ბალიაში არ შეეშვათ, დღე არ გავიდოდა, ვინმე „ვერონიკას აუზში“ არ ჩაეგდოთ...

რეჯო ბაუბეკი, როგორც ეს სუსტ და ყოყლოჩინა ადამიანებს სჩვევიათ, შიშველი ოპტიმიზმიდან უცებ შავბნელ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და პირიქით. დღეს ერთს ამბობდა, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და ისედაც მოფამფალებულ სამეფო ტახტს გამაგრების მაგივრად საბოლოო ამოძირკვით ემუქრებოდა.

●

ისინი თორმეტნი იყვნენ — თერთმეტი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

დიდხანს და გულდასმით ამოწმებდა მათ კინკა, სანამ დარწმუნდა, რომ ხარისხიანი მასალა შეარჩია, კალენდულას გამოთქმა რომ მოვიშველიოთ „დიადი ექსპერიმენტისათვის“. ჰომუნკულუსმა უკვე ზეპირად იცოდა ახალგაზრდების ცხოვრების ყოველი წვრილმანი, მათი ხასიათი, განწყობილება, ტემპერამენტი, წარმოშობა და სხვა ასეთი.

საინტერესოა, რომ „მოწაფეებს“ არასდროს ენახათ თავიანთი მასწავლებელი, რადგან იგი თავის სეანსებს მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ბნელ ოთახში ატარებდა. სამად სამი სეანსი დასჭირდა კალენდულას, რომ ეს მართლა მშვენიერი, პატრიოტული სულისკვეთებით აღსილი ახალგაზრდები ბრმად მორწმუნე ფანატიკოსებად, ბელადის ნების უსიტყვო შემსრულებლებად გადაექცია.

„კალენდულას მოწაფეებმა მთელი ბეთქილაპური თორმეტ ზონად დაჰყვეს და დაინაწილეს. თითოეული მათგანი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაება ამ მოძრაობაში, მეტი ხალხი შემოეკრიბა გარშემო, რათა ბეთქილაპურის აღზევების კალენდულასეული იდეები მასებში გაეტანა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, ბეთქილაპურელთა შეგნებაში განემტკიცებინათ აზრი მეფის ტახტის ლეგიტიმობა და მისი დანგრევის აუცილებლობის შესახებ; მოქალაქეთა გონებაში მეფე ზენგოს, პრინცესებისა და რეჯო ბაუბეკის სახელები ყოველგვარი მანკიერების, სიღუხჭირისა და გონებაჩლუნგობის სიმბოლოებად ჩაებეჭდათ და კალენდულა და დინე დო კი მომავლის იმედის, ბედნიერი ბეთქილაპურის ხატად დაესახათ. ეს, რაღა თქმა უნდა, ტრადიციების განუხრელად დამცველ ბეთქილაპურში არ იყო ადვილი საქმე, მით უმეტეს რომ „მოწაფეთა“ შეგონებებში აშკარად გამოსჭვიოდა ღვთის რწმენის უარმყოფელი მოტივები...

თავიდან ბეთქილაპურელები საკმაოდ აგდებულად უყურებდნენ „კალენდულას მოწაფეებს“. თითოეული მედუქნე თუ მეაღე საკუთარი ღირსებისა და თავმოყვარეობის საქმედ თვლიდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებადან მათ გარეკვას. სულ ყურით გამოათრევდნენ ხოლმე ხან აქედან და ხან იქიდან ორატორობის ინტაზე მოსულ რომელიმე „ჭეშმარიტ პატრიოტს“, რასაც უცილობლად ახლდა ხალხის ხარხარი და შეურაცხყოფა.

კალენდულა ამ დროს დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს „მოწა-

ფეების“ ამ უძნელეს ბრძოლას, მათ ცალკეულ წარმატებებს და ზუსტი მეცნიერული ანალიზის წყალობით ცდილობდა გამოერიცხა ყოველგვარი შეცდომა მომავალ საქმიანობაში. და უნდა ითქვას, რომ ამ დაჟინებულ, ყოველდღიურ ქმედებას ნელ-ნელა, მაგრამ მაინც გამოჰქონდა ნაყოფი. ბეთქილაპურელთა შეგნებაში სიტყვები კალენდული და ბეთქილაპური, დინგ დო და პატრიოტიზმი ძალაუნებურად უკავშირდებოდა ერთმანეთს.

XXXI. „ძაღიებდე და ჯოვეებდე...“

ოთხი წელიწადი ეძება ტატემ დაკარგულები, მაგრამ უშედეგოდ.

ტყის მჭრელის გარდა კიდევ რამდენიმე ოვიომხილველი ახსენებდა სწრაფ და უხმაური შავ ეტლს, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ ამბავმა ისეთი მხატვრული ორნამენტი მოიგო (ცეცხლისმფრქეველი რაშები, კაცოჭამია ხეები, ხანჯლის მკვნეტავი მოჩვენება და ა. შ.), რომ იმედგაცრუებულმა ტატემ შეატყო: ყოველივე ეს მალე ბეთქილაპურელ მეზღაპრთა საყვარელ თემად იქცეოდა და ქვეყნის მდიდარ ფოლკლორში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა.

არადა, ორი ადამიანის უკვალოდ გაქრობა ვერაფრით ვერ აეხსნა ტატეს.

ხშირად ესაზმრებოდა დიგო. თვალცრემლიანი ბიჭი ეხვეწებოდა, მოდი, მიშველეო და აიძულებდა კაცს, ისევ და ისევ განეგრძო ძებნა. ამ ძებნის პერიპეტიების აღწერას ცალკე ტომი უნდა და ამიტომ მოკლედ მოვჭრით: ტატემ აიბასა და დიგოს გზა-კვალს ვერ მიაგნო. თუმცა...

„იქნებ სადმე რამე გავიგოო“ — ამ მიზნით ბეთქილაპურის ქუჩებში ხეტიალი ტატეს უკვე მოთხოვნილებად გადაქცეოდა.

ერთი ასეთი გასეირნების დროს ტატე დიპლოდოკების სასახლესთან აღმოჩნდა. კაცმა გაოცებით შეათვალიერა სასახლის ჩაჟამებული კედლები, გაიხსენა მშვენიერი ქალბატონი ბრუნგარიტა და ძალიან მოუნდა, ერთხელ კიდევ ენახა ის ადგილი, სადაც პატარა ჰომობასრომ საფუძველი ჩაუყარა მის გასაკვირველ ფერისცვალებას. მას კარგად ახსოვდა სასახლის ბაღისაკენ მიმავალი გზა, წავიდა კიდევაც იქით, მაგრამ წვეტიან მავთულშემოვლებულ მაღალ კედელს გადაეწყდა. მაინც არ დაიხია უკან, ძველი ხელობა გაიხსენა, გამხმარ ხეზე აცოცდა და იქიდან პირდაპირ ბაღში ამოყო თავი.

ბინდბუნდში ბევრი არაფერი ჩანდა.

ტატემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უცებ ისეთ უმახინჯეს არსებას გადაეყარა, რომლის მსგავსსაც კოშმარულ სიზმარშიც იშვიათად ნახავს ადამიანი — ეს იყო ღომისთავა ვაცი! ტატემ გარშემო მიმოიხედა და დარწმუნდა, რომ არანაკლებ საძაგელი ცხოველებით იყო სავსე ეს ბაღი. მის ცხვირწინ, ხეზე სამთავა მაიმუნი ქანაობდა; მერე ჟირაფივით გრძელკისერა მარტორქამ გაიშლიგინა ბუჩქებში... ეს საზარელი ზოოპარკი მხოლოდ სულით დაავადებული კაცის უკუღმართ ფანტაზიას შეეძლო წარმოედგინა.

— მოგწონთ?

ტატე სასწრაფოდ შემობრუნდა და შავებში ჩაცმულ მელოტ კაცს შეეფეთა. კაცს ხელში ამაზრზენი ქმნილება — ადამიანის ჩანასახისსახიანი ღიმური ეჭირა და თავზე ხელს უსვამდა.

— ყოველივე ეს ჩემი ნახელავია, ბატონო ტატე!

— როგორ, ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ?

— მე გიცნობთ თქვენ და ეს სრულიად ბუებრივია, რადგან, ხალხის აზრით, კალენდულამ ყველაფერი იცის ამქვეყნად! — ისე თქვა შაოსანმა ეს სიტყვები, რომ ვერავინ გაიგებდა, ხუმრობით იყო ნათქვამი თუ სერიოზულად.

— კალენდულა! — გაოცება ვერ დაფარა ტატემ, რადგან მისთვის, ისევე როგორც ბეთქილაპურელთა უმრავლესობისთვის კალენდულა უფრო მითოლოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური პერსონაჟი გახლდათ, ვიდრე ხორცშესხმული ადამიანი.

— დიახ, ბატონო, სწორედ რომ კალენდულა, თქვენი მონა-მორჩილი. ეს არსებანი, — ხელი გაიქნია კალენდულამ, — ჩემი ხელოვნების ნაყოფია. მსგავს ოპერაციებს ჩემს გარდა მსოფლიოში კიდევ ერთი ვივისექციონერი ატარებს ჩინეთში, მაგრამ მან მხოლოდ ის შეძლო, მელიისათვის იგივე ზომის კუნდღლის თავი გამოება. ჩემი მიღწევები, როგორც ალბათ აქჩნევთ, გაცილებით შთამბეჭდავია.

— საწყლები... — ჩაიბუტბუტა ტატემ.

— სულაც არა! — თითქის მხიარულად განაცხადა კალენდულამ, — მათ უმრავლესობას შამფურზე ან ქვაბში უნდა დაესრულებინა თავისი არსებობა. ასე კი მეცნიერების განვითარებას შეუწყვეს ხელი, თანაც ცოცხლები დარჩნენ... მაშ ასე, მე თქვენ ძალიან კარგად გიცნობთ, ბატონო ტატე! — მოულოდნელად სეროზულ ტონზე ალაპარაკდა კალენდულა, — გაცილებით უკეთესად, ვიდრე თქვენ წარმოიდგენიათ. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ მე ამ სასახლეში ჩვენს საერთო შეგირდთან — დიგოსთან ერთად ვცხოვრობ.

— დიგო?! — წამოიყვირა ტატემ, — ცოცხალია? მადლობა ღმერთს!

— აი, ღმერთი კი აქ ნამდვილად არაფერ შუაშია, — მკაცრად ჩაილაპარაკა კალენდულამ, — იგი შესანიშნავად გრძნობს თავს, აშკამად ტბიეტშია სამოგზაუროდ.

— ცოცხალი იყოს და მეტი მე არაფერი მინდა... ისე, კი შეეძლო, ერთხელ მაინც შემხმიანებოდა.

— არ შეეძლო!

— რატომ?

— მომითმინეთ, ბატონო ტატე, ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს ერთმანეთთან სალაპარაკო. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, შინ შევიდეთ.

ტატეს აზრადაც არ მოსვლია, წინააღმდეგობა გაეწია მასპინძლისათვის. იგი დიდად გაზარებული იყო იმის გაგონებით, რომ დიგო ცოცხალი და საღ-სალამათი იყო.

კალენდულამ სტუმარი ჩვენთვის უკვე ცნობილი მარშრუტით წაიყვანა. დაათვალიერებინა მუზეუმი, ლაბორატორია. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ტატეზე ჩინჩხებმა და კუბოებმა დატოვეს. იგი დაფიქრებული დაბიჯებდა დარბაზებში და კალენდულას — ყურადღებით უსმენდა.

კალენდულამ ძალზე დაწვრილებით ისაუბრა იმ ელემენტებზე, რომლებიც ადამიანის სიკვდილის მერე რჩება.

— აი, სულ ეს არის ადამიანი! — დასასკვნა ბოლოს მასპინძელმა და ტატეს გამომცდელი მზერა მიაჰყრო.

— ბატონო კალენდულა! ბატონო კალენდულა! — ამ დროს ლაბორატორიაში ვიღაც თეთრხალათიანი კაცი შემოვარდა, — კვდება!

— ძალიან კარგი, მოვდივარ. შენ თავისუფალი ხარ!

თეთრხალათიანი გარეთ გავიდა.

კალენდულამ კედელში დატანებული პატარა კარი გამოაღო და გაუჩინარდა ისე, რომ სტუმრისთვის არაფერი უთქვამს.

ტატე სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოისვენა ერთ ადგილზე.

რაღაც წინათგრძნობა აწუხებდა.

ბოლოს ვეღარ მოითმინა, ადგა და ის კარი გამოაღო, საიდანაც მასპინძელი გავიდა.

ტატეს დანახვაზე კალენდულამ კუბოს სახურავი, რომელიც ხელში ეჭირა, უნებურად გვერდზე გაწია, ერთი პირობა შეიჭმუხნა, მაგრამ უმალვე შეიკავა თავი.

— შეხედეთ, ბატონო ტატე, ამ კაცს რამდენიმე ამოსუნთქვაღა დარჩა. ახლა მე ამ კუბოს დავხუფავ, ჰაერი რომ არსაიდან გაიპაროს. ოცდაცხრამეტი დღის შემდეგ კი...

ამის გაგონებაზე ტატეს ოფლმა დაასხა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავი გაიქნია და წამით გათავისუფლდა კალენდულას ზეგავლენისაგან. იგი კალენდულას მივარდა და კუბოს სახურავის ხელიდან წართმევა დაუპირა. მასპინძელი, რომელიც ასეთ რეაქციას არ მოე-

ლოდა, ცოტა არ იყოს დაიბნა. ამით ისარგებლა ტატემ და ხუფი ახადა საცოდავ სულთმობრძავს.

— ის ხომ ჯერ ცოცხალია, ის ხომ ადამის შვილია, როგორ შეიძლება! — ჩურჩულებდა გაფითრებული ტატე და სახურავს ხელს არ უშვებდა.

კალენდული გონს მოეგო, თვითონაც წაატანა ხელი ხუფს და აულელვებლად მიმართა ტატეს:

— რა სისულელეა, მას ხომ სულ რამდენიმე ამოსუნთქვა დარჩა. კუბოში კი საკმარისი ჰაერია ამისთვის. გაუშვით ხელი, თქვენ მე ხელს მიშლით!

ტატე სულაც არ აპირებდა ამ მოთხოვნის შესრულებას. იდგა ეს ჰერკულესივით კაცი და გამომწვევად უყურებდა კალენდულას. მასპინძელმა ავად ჩაიცინა და მთელი ძალით თავისკენ გამოსწია სახურავი, მაგრამ ტატეს ძვრაც ვერ უყო. კალენდული დაიძაბა, თვალები გაეყინა...

ტატე საშინელ ტკივილს გრძნობდა, თითქოს გავარვარებული სალტე მოეჭირა თავზე. თან ხვდებოდა, რომ ამ ტკივილს დიდხანს ვერ გაუძლებდა... ის იყო, გონი უნდა დაეკარგა, რომ კალენდულამ კუბოს სახურავს ხელი გაუშვა და გაიცინა.

— კარგი, გავიარჯიშეთ და გვეყოფა. მით უფრო, რომ აწი აზრიც აღარა აქვს ჩვენს ბრძოლას — ცდის ობიექტი მოკვდა!

მართლაც, ავადმყოფი აღარ სუნთქავდა!

— მკვლელი ყოფილხარ, კალენდულა!

— შენ მეუბნები მაგას? — გამხიარულდა კალენდულა, — თანაც შენობით დამიწყე ლაპარაკი. მართალი ხარ! ჩვენ ისეთი ახლობლები ვართ, რომ არც შეგვშვენის თქვენობით მივმართოთ ერთმანეთს. და მაინც, მე შენ გაჯობე. წამომყევი!

ტატე უხმოდ გაჰყვა მასპინძელს.

●

— აკი ტიბეტშიაო?! — სიხარულით წამოიყვირა ტატემ, როცა ლამფით განათებულ მაგიდასთან მჯდომი დიგო დაინახა.

ბიჭი გაშტერებული მზერით ერთ წერტილს მისჩერებოდა, ვიღაცას ეკამათებოდა, ბორგავდა და ეტყობოდა, არაფერი ეყურებოდა გარშემო.

— დიახ, ტიბეტშია და დალაი ლამას ესაუბრება.

— დიგო! — ხმამაღლა დაუძახა ტატემ.

ბიჭს არც კი გაუხედავს მისკენ. იგი ღრმა ტრანსში იმყოფებოდა. ნაადრევად დაბერებული ეჩვენა დიგო ტატეს — შუბლზე ღრმა ნაოჭები გასჩენოდა, თმა გათხელებოდა, ლოყა უთამაშებდა.

— არ შეწუხდე, მაგის მდგომარეობიდან გამოყვანას ერთი კვირა უნდა, რომ მოვინდომი კიდეც, უფრო ადრე არაფერი გამოვა, მაგრამ არ მოვინდომებ!

— რატომ? იქნებ...

— იმიტომ, რომ, — გააწყვეტინა კალენდულამ, — ამ ბიჭს მე დიდი საქმეებისათვის ვამზადებ და არა ღვთისმსახურებისთვის.

— ღვთის სამსახურზე დიდი საქმე რა უნდა იყოს!

კალენდულამ ხელი ჩაიქნია:

— ვიცი, ვიცი, ადამიანი ჯიუტი და მდორედ მოაზროვნე არსებაა. სხვისი აზრის გაზიარება კი არა, მოსმენაც ეზარება. ორჯერ ორი რომ ოთხია, იმას ვერ დუმტკიცებ, თუ ძალა არ იხმარე, რასაკვირველია.

— ძალით შეიძლება კაცი მოკლა, მაგრამ მისი გადარწმუნება... — მხრები აიჩეჩა ტატემ.

—ტყუილად ფიქრობ ასე. ეს შენ არ გეხება, მაგრამ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტს — ნამდვილად! თუმცა ძალიან გადავაჭარბე — მილიონიდან ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტს!

— ასე რომ იყოს, ეს აწვწილი ქვეყანა დალაგდებოდა, რადგან ღმერთზე ძლიერი არავინაა!

— შეიძლება, მაგრამ მას დასაყრდენი არა აქვს ამ ცოდვილ დედამიწაზე. როგორც ვთქვით, ერთი კაცი მილიონიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ ერთ კაცსაც ბევრი შეუძლია, რადგან თვით რწმენაა უსაზღვრო.

— თავი არ მოიტყუო! შეხედე!

კალენდულამ მზერა კაკლის ხისაგან გამოთლილ ვეება კარადას მიაპყრო, რომელიც წიგნებითა და ათასგვარი სხვა საგნებით იყო დატვირთული.

რამდენიმე წამის მერე კარადა შეირყა, ადგილიდან დაიძრა და კალენდულასაკენ წამოვიდა.

— საოცარია! — ამის თქმაღა მოახერხა ტატემ.

— აი, ხომ ხედავ! მახსოვს, თავის დროზე ჩემს მკერდზე გადატხილმა ხანჯალმაც ძალიან გაგაკვირვა.

— მაშ ტყეში შენ იყავი ის... ეშმაკი?!

— თუ გსურს, შეგიძლია ეგ სიტყვაც იხმარო, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება, მიწოდო ძალა, რომელიც სად აზრს ამკვიდრებს დედამიწაზე ან ბეთქილაპურში მაინც.

— ის მათხოვარიც...

— არა, მე არ ვიყავი, მაგრამ ის კაცი ჩემი დავალებით მოქმედებდა. გამოგიტყდები, შენი ხელში ჩაგდება მინდოდა.

— რისთვის?

— ხელი რომ არ შეგეშალა! ახლა კი ცოტა ხნით მარტო დაგტოვებ შენს ნაშეგირდალთან, რათა დარწმუნდე, რა სასწაულის მოხდენა შეუძლია ადამიანის გონებას. ნუ მოეგირდებათ, იქ ბიჭის დაწერილი რვეულებია, ისიც წაიკითხე...

●

დერეფანში კალენდულას ნაბიჯების ხმა რომ მიწყდა, ტატე კიდევ ერთხელ შეეცადა, დიგოს დალაპარაკებოდა, მაგრამ ისევ უშედეგოდ. მერე ახლო მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს. ამ შეხებაზე დიგო აკანკალდა, ლოყა აუცახცახდა და ტატემაც სასწრაფოდ აიღო ხელი.

ერთხანს დაღონებული შეჰყურებდა თავის აღზრდილს, მერე შეეცადა, ღმერთისთვის შეევედრებინა ბიჭის ტანჯული სული, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და მიხვდა — ეს ის ადგილი არ იყო, სადაც ლოცვა შეიძლებოდა.

●

ტატე ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გამოსწია — გარეთ კუნაპეტი ღამე იდგა და არაფერი ჩანდა.

სასახლის დერეფნებიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ტატეს ყურადღება ახლა მაგიდაზე გადაშლილმა წიგნებმა მიიქცია. ერთ-ერთ მათგანს გარეკანზე ეწერა — „შავი მაგიის საიდუმლოებანი“. მაგიდაზე კიდევ ხუთი წიგნი იდო: „ინკვიზიციის გაკვეთილები“, „ბრბოს ფსიქოლოგია“, „ერეტიკოსთა წამების ოთხასი ხერხი, აღწერილი ესპანელი ჯალათის კოსტა სუარესის მიერ“, „მუსიკის დემონური არსი და მისი ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე“ და ბოლოს „ასტროლოგიური პარადოგმები“. ტატეს ყოველთვის დიდ ღორობად მიაჩნდა სხვის წერილებში ქექვა და ამიტომ კალენდულას მიერ შერჩეული დღიური გადაფურცლა მხოლოდ. აქ იყო დიგოს ლექსები, დათარიღებული ჩანაწერები... დღიურის ბოლოს ტატემ ერთ წინადადებას მოჰკრა თვალი და თავისდაუნებურად წაიკითხა:

„...ახლა ვხვდები, როგორ მეზიზღებოდა იმ ამაზრზენი კეთროვანებიდან დბრუნებული ტატე, ჩემი „მეგობრები“, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემს „აღზრდას“ ცდილობდნენ... მაგრამ ვითმენდი! ვითმენდი, რადგან ცრუ რწმენებით ვიყავი გაჟღენთილი, იმ აზრებით, რომლებსაც ბუნებაში საერთოდ არა აქვთ ადგილი!..“

ტატემ რვეული დახურა და თავის ადგილს დადო.

მას უკვე აღარაფერი ესაქმებოდა ამ სახლში.

●

გარიჟრაჟზე მიაღწია თავის ქოხამდე ტატემ.

შინ შევიდა, გაიხადა და დაწვა ისე, რომ ძილის წინ არ ულოცია.

არც მეორე დილას გახსენებია ღმერთი — გამოფიტული იწვა და ჭერს შეცქეროდა. რამდენჯერმე ისიც კი გაიფიქრა, ძველ ხელობას ხომ არ დაუბრუნდეო...

მხოლოდ მესამე დღეს აიძულა თავი, წამომდგარიყო და კეთროვანთა სიფლისკენ გაეწია.

XXXII მან თქვა!

თაგვი წრიპინებს, ძაღლი ყეფს, საქონელი ბღავის, ბატი ყიყინებს, ლომი ღრიალებს, ვირი ყროყინებს, გველი სისინებს, ცხენი ჭიხვინებს... ერთადერთი არსება, რომელიც ყოველივე ამას ახერხებს, ადამიანია!

კალენდულა, „ამაოების გაკვეთილები“

ჭორიკანა ბეთქილაპურში ცხოვრება ისეთი კაცისა, როგორიც კალენდულა გახლდათ, არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

არც დარჩენილა!

ეს იდუმალი შარავანდედით მოსილი პიროვნება ღრმა და დაუფარავ ინტერესს აღძრავდა მოქალაქეებში. ვაი, რომ მისი კარჩაკეტილობა ამ წუწკი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას საშუალებას ოდნავადაც არ იძლეოდა.

და მაშინ ბეთქილაპურელებმა მრავალჯერ ნაცად ხერხს მიმართეს — დაიწყეს უმნიშვნელო ფაქტების გახსენება, თვითმხილველების ძებნა, დიდი ხნის წინანდელ ამბებში ქექვა და, როდესაც ყოველივე ამაო აღმოჩნდა, თავიანთ სახელგანთქმულ ფანტაზიას მოუხმეს და ლეგენდების შეთხზვაზე გადავიდნენ. ეს ფერადოვანი ზღაპრები პირიდან პირში გადაიცემოდა, მდიდრდებოდა და იხვეწებოდა, წარმოუდგენელი ჩუქურთმებითა და ვარაყით ირთვებოდა... და რა იცოდნენ ბეთქილაპურელებმა, რომ მათი სახელგანთქმული ფანტაზიაც კი ვერ ედარებოდა სინამდვილეს: დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კალენდულას სიმდიდრე რამდენიმე მეფისას ეტოლებოდა და ვერ წარმოედგინათ, რომ იგი უსაზღვრო იყო; ეგონათ, კალენდულას ერთდროულად უბადლო ფალავანთა რაზმის დამარცხება შეეძლო და რას იფიქრებდნენ, თუ მას შიშველი ხელებით ლომის მთელი ჯარის გამკლავება ძალუძდა; ხალხის აზრი ამ ადამიანს მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერების გვერდით აყენებდა და, მას კი მთელი კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისთვის გადაებიჯებინა!

ამის შემდეგ არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ კალენდულას თხზულება „ამაოების გაკვეთილები“ გამოსვლისთანავე გაქრა თაროებიდან. გამომცემლებმა საქმე იშოვეს; გადამწერლები ამ წიგნის გადაწერას ვერ უთავდებოდნენ, მბეჭდავები ბეჭდვას, ვაჭრები გასაღებას, მოქალაქენი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ათჯერ წაკითხვასა და გადაკითხვას...

ბეთქილაპურში პერგამენტი და ქაღალდი სანთლით საძებარი გახდა. გაკვირვებული ოკეანისგაღმელი მრეწველები ამ მასალით დატვირთულ გემს ვემზე აგზავნიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

ეპიტაფია

წავედი. წვიმა, ქარი, ნაგანი.
წავედი. წვიმის სუნი, სისველე.
ვარსკვლავი — ჩემი ფიქრის საგანი
და სიკვდილამდე კიდევ სხვა რამე.

წავედი. ქარი და ტორღიალი,
წავედი... უკვე ვარსკვლავებისკენ...

ცხოვრება როგორ მომიღიავეს,
და მერე თვითონ როგორ შემრისხეს...

წავედი. რაღაც იყო. წავედი.
არ ვიცი, ალბათ უნდა გახსოვდე
დავიწყებამდე... სჯობს, რომ წარკვეთილ
ცხოვრებას კარი არ დარაზოდეს.

მთვრალი

აზრი არა აქვს გარჯას და ლოდინს
და როცა ყინვა შედგება ყალყზე,
გარეთ გამოდის ის ბიჭი — ლოთი,
უსაშინლესად მთვრალია არყით.

უსაშინლესად. ქარია, ქარი.
და წყვდიადს, როგორც ვეება დრუშას
მოაფრიალებს და ტყდება კვარი
და ქარი კედლებს მთვრალივით ლოშნის.

უსაშინლესად მთვრალია არყით,
ხოლო თვალები ნაღველს და ბოღმას
ანთხევენ. ქარი უბერავს საყვარს,
რომ ყველაფერი დარჩება ოხრად.

რომ ყველაფერი დარჩება ოხრად
და ქვაფენილზე გადახრილ ჩონჩხებს —
— ადამიანებს — მათს საწყალ ოხვრას
წყვდიადი თავის ხელითვე მოჩხრეკს.

გადამტყდარი ლექსები

ზაზა თვარაძეს

მე მსურდა შენთვის მომეტანა ჩემი გადამტყდარი ლექსები.
გადამტყდარი ლექსები —
ცრემლიანი კატაფალკები.
მე მსურდა შენთან მომეტანა ჩემი ლექსები,
რადგან მობეზრდათ მათ უკვე
დღის ცივი სინათლის პირლებინება,
დანებზე აელვარებული ღამე,
ღამის გამზირებზე მეძავების მხიარული სიცილი
და არყის ბოთლის უიმედო ერთგულება.
მე მსურდა შენთვის მომეტანა ჩემი გადამტყდარი ლექსები,
რომელთაც თავით ფეხამდე დასთრევთ სიკვდილი.
მთვარე ამოვიდა.
მე მსურდა შენთვის მომეტანა
ჩემს ლექსებში გადამტყდარი მთვარე.
მე მსურდა შენთან მომეტანა ჩემი გადამტყდარი ლექსები.
მეგობარო, შენ შეგაძრწუნებდა
ჩემს ლექსებში მომხდარი მკვლელობა.
„პროზექტურაში, ღამის 5 საათზე, შემოვიდა გვამი.
აღენიშნებოდა მცოცავი სიკვდილი.
პირზე საიქიოდან სიო უბერავდა
და ღიმილს ჰგვრიდა“.
მე მე დავწერე ლექსი,
რომელშიც გადატყდა მკვდრის ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღამის მოალერსე ვიტრინები.
მე დავწერე ლექსი მკვდარზე,
რომელიც გამოვიდა სახლიდან ცოცხალი
და დაბრუნდა მკვდარი.
გამოვიდა შინიდან, სადაც თარაზე იდო
აბუსალათინის ზეთი და კუჭის ამოსარეცხი ზონდი.
ყოველივე ეს ჩემს ლექსებში გადატყდა.
ნაძირალები ღამეში თამაშობდნენ ნარდს,
ყრუ ბინაში, ძველ ქუჩაზე ხეები შრიალებდნენ,
ქალაქის ბოლოში, ვაკის სასაფლაოზე
სამუდამო ძილით ეძინათ მიცვალებულებს,
მათ შორის — პოეტებს, სპირტიანი სასმელების
მწარმოებლებს და არქეოლოგებს.
ხეები შრიალებდნენ
და ყოველივე ეს ჩემს ლექსში გადატყდა.
გადატყდა ქარი, ვარსკვლავები, აბუსალათინის ზეთი,
პროზექტურის კედლები, ჯიბგირის ნაბიჯები...
ღამის მგზავრი (ალბათ, მეწყალე) ახველებდა
და მისი ხველება ედებოდა ქუჩის მყრალ კუთხეს.
ბიჭს დახვდნენ ქუჩაში გამავალ სადარბაზოსთან,
მოსთხოვეს ფული. ხეები შრიალებდნენ.
ქალაქის ბოლოში, ვაკის სასაფლაოზე
ჩქამი არ იძროდა.
ფული არა მაქვსო, უთხრა ბიჭმა. ქარი უბერავდა.
ნაძირალებმა მხრები აიჩეჩეს და შეიშმუშნენ,
დანა გააძრეს.
იმ ქუჩაზე, მეორე სართულზე ცხოვრობდა შინაბერა
და მისი გარყვნილი მეზობელი ხარბად ეწაფებოდა
მის დამჭკნარ ძუძუებს,
რომლებზეც ქუჩიდან შემოჭრილი ელნათურების
შუქი ცახცახებდა...
ყოველივე ეს გადატყდა ჩემს ლექსში,
სადაც მოხდა მკვლელობა,
და დარჩა ცარიელი ქუჩა მკვდრის ანაბარა.
კატა ეკვდრებოდა ქარს შველას,
ქარი კი ნაგვის ყუთიდან ითრევდა ქაღალდებს
და მიაფრიალებდა ღამის კარგახსნილ ტუალეტებისკენ.
ჩემო მეგობარო,
მე მინდოდა შენთან მომეტანა ჩემი გადამტყდარი ლექსები,
შენ შეგაძრწუნებდა მათში მომხდარი ამბები,
მაგრამ მე დავკარგე ეს ლექსები
ღამის მძინარე მანქანებს შორის...
ღამით იძინებენ ჩემი ლექსები, ღამით იძინებენ.
თვალებს ხუჭავენ, როგორც ადამიანები,
რომელთაც არ ეღირსათ
ნორმალური ცხოვრება.
ხოლო დაუწერელ ლექსებს ღვიძავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ სძინავთ, ჩემო მეგობარო,
ღვიძავთ, იცოდე, და ედებიან ცარიელ კედელს.
სიზმარში შემოდის ლექსი, ხელებს აფათურებს
(რა უნდა, ვერ გაიგებ),
ეძებს სხვა ლექსებს, როგორც საწყალ, დაკარგულ ადამიანებს.
უნდა შეისმინო კატის ვედრება,
კატა ცხოვრობდა ქუჩაში, ელნათურის ბოძის ქვეშ,
აბურცული, როგორც ბეწვიანი ბურთი,
მას უჭირდა, ეძნელებოდა ცხოვრება,
კატის შიშს დიდი თვალები აქვს,
მისი ცხოვრება მანამდე გრძელდება, სანამ მანქანა გასრესს
და ხის ძირში მიაგდებენ.
და მე მინდა დავწერო ლექსი კატაზე,
მე მინდა დავწერო ლექსები ღამის ნაფლეთებზე,
ელნათურებით განათებულ ძუძუებზე,
არყის ცარიელ ბოთლზე,
ქუჩებში მშიერი მგელივით მოძუნძულე სიკვდილზე...
მე მინდა დავწერო ლექსები მოკლულ ლექსებზე,
რადგან ლექსებსაც კლავენ დანით
და მოკლული ლექსები ანათებენ ქალაქს,
საზარელ ქალაქს, სულფმობრძავ ქალაქს.
მეგობარო, დამიგდე ყური,
ჩემი ლექსები ძაღლებივით ყნოსავენ ნაგავს
და ქექავენ ბინძურ საკბილოს.
მე მოგიყვები ქარაფშუტა პოეტის ამბავს,
ის არყით თვრებოდა და შინ ბრუნდებოდა,
ტროლეიბუსები ღამით მიჰქროდნენ საიქიოში,
განათებულები ამქვეყნიური სინათლით.
ჩემო მეგობარო, ღამე სასტიკია,
ჯვარედინად დაგაბჯენს სახეზე დანებს
და შენ დაინახავ ხიდიდან ბინძურ მტკვარს,
როგორც უშველებელ სასაფლაოს,
სადაც ადამიანების, კატების და ძაღლების საფლავებია.
და ეს ქარაფშუტა პოეტი უყურებდა ღამეს
უაზრო თვალებით, გესმის,
და ღამეც ისეთივე უაზრო იყო,
როგორც კატის გაფართოებული თვალები.
ქარაფშუტა პოეტს ჰყავდა ქარაფშუტა საყვარელი
და ისინი ერთმანეთის დახლებქვეშ
ეძებდნენ თავშესაფარს.
და მთელი ქვეყნიერებაც ქარაფშუტა იყო,
აბა რა იყო,
რადგან თვალს ხუჭავდა ამ სისულელეზე.
პოეტი წერდა ლექსებს და მისი ლექსები იყო ფიქტიური,
და მაინც ჰქონდა ამქვეყნად კუთვნილი ადგილი...
მე მინდოდა, მეგობარო, შენთან მომეტანა ჩემი ლექსები,
მაგრამ დავკარგე ისინი ღამის მძინარე მანქანებს შორის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი ურგებაშვილი

მოთხრობები

მაჩაბელი

აშკარა იყო, შეტევაზე გადმოვიდნენ: ღამის სამიზნე ტყვიის გასროლას ავტომატის მოკლე ჯერიც მიჰყვა, БМП-ის მოტორის ხმაც გაისმა, თითქმის იქვე, ხევადადმა.

— ქვას ქვაზე არ დატოვებენ ღორები! — ცოფშეყრილივით მიმორბოდა მაჩაბელი რაზმელებს შორის, — ვალერა სად გადაქაჯეთ? — დაფეთებულ, ძილშეწყვეტილ ბიჭებს სიბრაზისაგან აძაგრული ხმით დაჰკიოდა.

თხუთმეტიოდე წლის „რაზმის შვილობილი“, მეტსახელად კურდღელა, თხილნარისაკენ გაიქცა, იქიდან რუსის ჯარის ყოფილი პრაპორშჩიკი რის ვაი-ვაგლახით გამოათრია და მტრის თავდასხმით აგზნებულ მეთაურს ფეხებთან ჩვარივით მიუგდო.

პრაპორშჩიკი მთვრალი იყო.

— წყალში დაალბეთ, ჩქარა, — მიწაზე გართხმული დაქირავებულისთვის არც დაუხედავს, ისე ჩაიხრიალა გამყრელიძემ.

წვერმოშვებულმა დიდთავა ბოლნისელმა წელიდან მათარა მოიხსნა.

— რას შვრები, მაგ ფსელით ამას მოარჯულებ? ეედრით გადაასხი: პირის დასაბანი წყალი აღარა გვრჩება!

დიდთავას შეეტყო, რომ გაწყრა.

— შენი სისხლით ისინი დაიბანენ პირს, — ხელი მტრის საცეცხლე წერტილებისაკენ გადააქნია რაზმის მეთაურმა, — თუ ეს „ბასიაკი“ გონზე მალე არ მოდგა!

ფეხით თვითონვე გადმოაბრუნა ყოფილი პრაპორშჩიკი და პირშეყინული ვედროდან წყალი სახესა და გალეღილ მკერდზე გადაასხა.

პრაპორშჩიკმა ნამგალას ბარტყივით დაიფჩინა დიდი პირი.

— Что, тревога? — გამხდარი ილაყვებით გამყრელიძის გამოწვდილ ტორებს ჩამოეყრდნო და ძოჩვენებითი ენთუზიაზმით წამოიმართა.

— აბა, ვალერკა, ბრატ, შენ იცი, დედა ეუტიროთ დუხებს! — ბიჭებმა გაჭირვებით ამოთარიეს პოზიციაზე რაზმის დიდი განძი და იმედი — სქელტუჩა ქვემეზი.

На левом берегу, возле ушеля, там, где тропинка тянется.

ამ საქმეში ეუჭმოჭრილ რუსს ბევრი ახსნა-განმარტება აღარ დასჭირვებია; კოორდინატები მიუყენა და გამოსწია ზინარს. აფეთქების მჭახე ხმამ მთელ ტყეს გადაუარა და ტყის მიდმა გამოღვეძებული ქართული სოფლის ბევრ მოუშუშებელ იარას სალბუნად დაედო.

მკვახედ აყეფებული დაზგის ტყვიამფრქვევი მყისვე ჩარუმდა.

შეტევაზე გადმოსულნი ტყვიამფრქვევის მოშლამ მხოლოდ რამდენიმე წუთით შეაყოვნა. БМП აახრიგინეს და მაინც წამოიწიეს ორასიოდე მეტრით, ხევადამა ჩაწვნენ და წვიმასავით დააყარეს ტყეში გამაგრებულთ.

დიდებაშვილს კი, რაკი სანგარში ჩახტა, ადგილის გამოცვლა აღარც უცდია, თუმცა ის არც ღრმა იყო და მოძრაობის საშუალებასაც უზღუდავდა. კისერი წაიგრძელა და ცოტაოდენი ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შემდეგ დაასკვნა, დაახლოებით თერთმეტი საცეცხლე წერტილიდან რომ ისროდნენ ხანგამოშვებით БМП-ის ტყვიამფრქვევიც აკაკნდებოდა ხოლმე.

კურდღელა ქშენით მიფოფხდა მასთან.

— მაჩაბელმა, ფრონტიდან ბევრს გვაბარეკავენ, ალბათ შემოვლას თუ იწყებენ; ფლანგსაც უყურეთო, — მეთაურის „მარჯვენა ხელი“ სწრაფადვე შეერია სიბნელეს.

სანგარში გაყუჩებულს ბოროტად გაეღიმა: „რუსების დადგმული ჩანს... რაც უნდა ბევრი იომონ, დოგმებს, ერთხელ შეთითხნილს, მაინც ვერ მოსწყდებიან.“ ნიკაპი „კალაშნიკოვის“ რკინის კინდახს მიაკრა და წარმოსახვით დღის ნათელი გააცოცხლა. ტყის ის გამაგრებული ნაწილი, რომელსაც მაჩაბლის რაზმი იცავდა, სოფლისაკენ მიმავალ ერთადერთ გასავალს კრავდა. ამ გზას მარცხენა მხრიდან ბუნებრივი ფარი — ციცაბო კლდე იცავდა, ხოლო მარჯვნივ ხშირი ნაძვნარი გაეშენებინათ თავის დროზე. კლდის მხრიდან გარსშემოვლის საშიშროება არც იყო, რადგან ეს მოწინააღმდეგის მთავარ მოკავშირეს — დროს საგრძნობლად გაწელავდა, ხოლო საცალფეხო ბილიკს თავში ჩასაფრებული სამი-ოთხი ბიჭი მტრის თუნდაც მთელ ასეულს გაწყვეტდა დიდი შეჭირვების გარეშეც! გასაგები იყო, რომ მტერს ფლანგიდან მანევრირებისათვის გზად ნაძვნარი უნდა გამოეყენებინა. ისები კი ფლანგზე გასული მასიური, ჯვარედინი ცეცხლით იფარავდნენ. საჭირო იყო კლდის მხარეს საცეცხლე წერტილების სწრაფად „მოხსნა“ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათთვის ხელის შეშლა მაინც!

გადაწყვეტილება მალევე მიიღო. ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით თითქოს თავიც შეებრალა, მაგრამ რა დროს საკუთარზე დარდი და ფიქრი იყო, როცა ის და მისთანანი იყვნენ ქალ-ბალღების ამარა დარჩენილი სოფლის რწმენა და იმედი.

სწრაფად ამოხტა სანგრიდან, ტყისპირი ჩაირბინა, მთის თოვლის დნობით ადიდებულ რუს გადახტა და ნაძვნარს მიუახლოვდა. შემაღლებული ადგილი შეარჩია და მიწას განერთხო. მისი ახალი „სანგრიდან“ გარკვევით მოჩანდა მტრის მთელი „საცეცხლე ქარხანა“, მოჩანდა ისე, როგორც ხელის გულზე შემოდებული ფეტვის მარცვალი. თუმცა ტყეს გამორიდებულმა ისიც კარგად იცოდა, დაუცველი რომ იწვა ტრიალ მინდორში, ორიოდე გასროლა და უმალვე აღმოაჩენდა ღამის სამიზნე დანდგარით შეარაღებული სნაიპერი.

იცოდა, მაგრამ რა? — გადასაწყვეტი აღარც არაფერი იყო.

მხოლოდ შესაფერის დროს უცდიდა. იმანაც არ დაიგვიანა: მტრის ფრონტის მარცხენა მხრიდან „ტრასერი“ გავარდა, მას ორი ჩვეულებრივი დაყოლეს და კვლავ „მტრის გულისგზის“ მემიზნე მანათობელი გამოტყვრა.

„ბევრი ჰქონიათ, ყოველი მესამე „ტრასერია“! — ტუჩები მაგრად მოიუწა მწოლარემ და ის საცეცხლე წერტილი, საიდანაც ასე გულუხვად იმეტებდნენ მანათობელ ვაზნას, მიახლოებით ამოიღო მიზანში. თვლა დაიწყო: „ტრასერი, ერთი, ორი და ჩვენიც...“ — პირველ გასროლას მეორეც მაშინვე დაყოლა, იღიღნდ იდნავ აწეული ლულით. ავტომატი სპელით აჰკრა და ხევისკენ ისკუპა.

მთელი კვირის ვინულმოხდილი რუს სანაპირო თიხნარი ჭაობივით იყო მოშვებული და მუხლებამდე ტალახში ჩაეფლო. ის შემაღლებული ადგილი კი, საიდანაც ისროლა, ასე, ხუთი მეტრის რადიუსში ტყვიამფრქვევით დაცხრილეს.

„იქნებ მეორედაც გაამართლოს“, — სველი მუხლისთავები მთლად გაეთოშა; ხელი ჩამოისვა, ტალახი გაიცილა და ოციოდე ნაბიჯმოშორებით აბობღდა.

მის პირველივე გასროლას მტერმა ავტომატის ჯერი მოაყოლა. ხევში ჩამძვრალმა იგრძნო, რომ მარჯვენა მკლავი გაუბუჟდა, გაბუჟებას ძაღლის ნაკბენის ტკივილი მოჰყვა.

ისტერიული სიცილი აუტყდა იმის გაფიქრებაზე, რომ ასე იოლად გადაურჩა სიკვდილს.

მაჯაზე დახვეული ტყავის თასმა იღლიის ზემოთ კბილებით მაგრად გამონასკვა და წელში მოხრილმა გაუტია ტყისკენ.

რაზმელებმა, როგორც კი გადაადგილების შესაძლებლობა მიეცათ, მაშინვე მტრის ფლანგს დასცხეს.

ოსებმა გამოხშირული საცეცხლე წერტილების შევსება БМП-ის ტყვიამფრქვევით სცადეს, მაგრამ რაკიღა ნაძვნარის მხრიდან გააფთრებულ წინააღმდეგობას წაწყდნენ, ფლანგიდან გარშემოვლაზე, ეტყობა, საერთოდ აიღეს ხელი, გამთენიისას კი უკან დახევაც იკადრეს. ბიჭებმა კანტიკუნტი სროლით გადაიცილეს მტერი ტყეს.

მხოლოდ მაშინ მოიკითხეს ერთურთი. ორი დაჭრილიდან ერთი მძიმედ იყო, ყუმბარის ნამსხვრევს მარჯვენა ფეხის კუნთი გაეგლიჯა მისთვის, საკუთარ დაფლეთილ ხორცს თვითონ იგლეჯდა კბილების ღრჭეალით. ალბათ დაეშახნჯდიო, სიმწრით გამოთქვამდა.

დიდებაშვილის მკლავს უკვე „კურნავდა“ კურდღელა.

მეთაური ჩაყუნცდა მათთან, დამწვარი ტყვია-წამლის და ზამთარგამოვლილი ნეშომპალის მძაფრი სუნი უდიოდა.

— კარგი იყო! — უკვე, დამშვიდებული, არ ყვირდა, აღარც იგინებოდა, — მაშინვე უკან მოძუძეს, ფრონტიდან მხარი რომ მოსწყდათ, — გაღიმება სცადა, — ძვალია?

— მგონი, უბრალოდ გაიარა, სისხლი ბევრი მოდის.

— მაინც ბედი გქონია, — რაზმის შეილობილს სპირტიანი მათარა გამოართვა და მოსვა, — ბედი გქონია!

„არაფერი უპასუხა დაჭრილმა, უფრო სწორად, ვერც მოასწრო, ისე სწრაფად წამოდგა და გაშორდა გამყრელიძე.

●

რაზმელებს ზოვს ცეცხლის გარშემო ეძინა, ზოგიც თვლემდა. მაჩაბელიც მათ გვერდით იჯდა და შუბლშეკრული ყელიან ბათინკებს „კალაშნიკოვის“ ხიშტით შემხმარ ტალახს აცლიდა.

თითქმის რვა საათის წინ გაგზავნა რუსი ვალერა და დიდთავა ბოლნისელი გვარდიის შტაბში სურსათსა და ტყვიაწამალზე. არც ისინი ჩანდნენ და არც ფეხში მძიმედ დაჭრილი რაზმელის ოთხი გამცილებელი. ალბათ, ამიტომ თუ გამოიყურებოდა მეთაური უკმაყოფილოდ.

დიდებაშვილი კი კოცონს გარიდებოდა. ისიც დაღლილი იყო, დაჭრილი მკლავიც ყრუდ უკვნესოდა. მაინც უნდოდა ძილი არ მორეოდა. ვერ გაამტყუნებდი: ომი იყო და ომში აჩენილი ძილის წყურვილი საკუთარი თავისთვის დაგებულ ხავანს უფრო უდრიდა, ამიტომ, სხვათაგან განსხვავებით, ცეცხლისგან მოშორებით გაეშალა ტყაპუჭი და მეთაურს მისჩერებოდა.

მაჩაბელი ისე იყო გართული ბათინკების გასუფთავებით, რომ დიდებაშვილის მზერას ვერც კი ამჩნევდა, თუმცა შეიძლება ყურადღებას არ აქცევდა: ის ხომ გმირი იყო, გმირის ცხოვრებისა და გადატანილი ბრძოლების ყოველი წვრილმანი კი ყველამ იცოდა, ემმაც და ბერმაც, დიდმაც და პატარამაც. იცოდა მტერმაც. ცოტა უკუღმართად, მაგრამ მაინც იცოდა.

ახალმოსულ დიდებაშვილს რაზმის მეთაური გამყრელიძედ გაეცნო, თითქოს სახელიც უთხრა, ჩვეულებრივი ქართული სახელი, მრავალს რომ ჰქვია ჩვენში, ამირანი ან გიორგი, შეიძლება ზაზაც. ალბათ, ამიტომაც არ შემორჩა ხსოვნას.

მაჩაბელი კი ბიჭებს შეერქმიათ მისთვის.

სამაჩაბლოში მის თავდაუზოგავ ბრძოლას ეს შერქმეული სახელი საოცრად გაეზარდა: ომის, ცეცხლის ხაზს გასცდენოდა და მთელ საქართველოს ლეგენდად მოსდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკით ასე, ოცდაათის თუ იქნებოდა მიტანებული, ხშირ თმა-წვერში ნაადრევი ჭაღარა გამორეოდა, ხმელი ალნაგობისა იყო, საშუალოზე ოდნავ მაღალი... თვალები მღვრიე ზღვისფერი ჰქონდა, ხოლო გამოხედვა მგლისა — ეჭვიანი, უფრო უნდო. თუმცა სიტყვაძუნწი იყო, გინებაზე არც არასდროს ამბობდა უარს. სისხლისსახვეის ჟამს მისი მნახველი უთუოდ დარწმუნდებოდა, ქართველობა ქაღალდზე ამოკაწრული ეროვნება რომ არ არის მხოლოდ, დარწმუნდებოდა და სიამაყით ან შურით აღვსილი თვითონაც შეეცდებოდა ექართველა.

შეეცდებოდა ექართველა — უფრო შურით!

ხეებს შორის გამომკრთალ ცის ნაგლეჯს ახედა ფიქრაშლილმა დიდებაშვილმა: ლურჯდაკრული ღრუბლები ცხვრის ფარასავით მიიღალებოდნენ გაზაფხულის კამკამა ცაზე.

ავლანეთშიც ლურჯი იყო ცა, მაგრამ უფრო მიუწვდომელი და ცივი. ბრძანება ხომ იყო, რაღაზე მათრიეო? — კენესით შეეკითხა უდაბნოში გაშლილ საველე ჰოსპიტალში მოყვანილი რიგითი ფირსოვი.

დაქანცულმა გაღიმებაც ვერ შეძლო, ვერც გამხნევება: ქვეშით გამოტენილი ავტომატი ზურგზე მოიგდო და დისლოკაციის ადგილზე მძიმე დანაკლისით დაბრუნებული სპეცდანიშნულების ბატალიონისაკენ წაბარბაცდა.

რიგით ფირსოვსაც ლურჯი და ძალიან ცივი თვალები ჰქონდა, ქვედა ტუჩი კი მაშინდელივით უთრთოდა:

— მე ვისროდი, აუცილებლად ვისროდი.

— ვიცი, რომ ისროდი, — შეაწყვეტინა. ნასაზმევი იყო, ყაზარმის უკან ისხდნენ და თრიაქს ეწეოდნენ.

— და მაინც მათრიე? — წამოხტა და წინ აეყუდა; შიშველ გარუჯულ სხეულს ზედ გულისპირთან ჯერაც მოუშუშებელი ნატყვიარი აწნდა.

აღარაფერი უპასუხა.

— მე გესროდი, შენ კი მათრიე? — არ ცხრებოდა რიგითი.

— მე მე ვარ, შენ კიდევ შენ, — გუნება მოეწამლა, თრიაქი გადაადგო, წამოდგა და შეხედა: რიგით ფირსოვს ნაყვავილარი სახე ბოროტად წამონთებოდა, ცოტაც და ალბათ ყელში სწვდებოდა თავის გადამრჩენს! ტანში უსიამოდ გაპბურძგლა: პირველად სხეულმა უგრძნო ახალი მტრის გაჩენა!

ჯიბრი, ფარული ჯიბრი! და განა მარტო ჯიბრი?!

„უნდათ, ისევ უელი დაგვადან გადაღლეტილ ქედზე ან საბოლოოდ მოგვსპონ და გაგვსრისონ“.

ესენი კი...

— ომი რომ ძორჩება... — სამომავლოს ყველა მათაგნი ისე იწყვიტა, ისე მარტივად, თითქოს ხელის გაწვდენაზე იყო ის დღე.

მაჩაბელი ხის მონაჭერს მიყრდნობოდა და თავი მუხლებზე ჩამოედო. დაქანცული ბიჭები გულიანად ფშვინავდნენ.

„ომი რომ მორჩებაო“... — გრძნობის სადღაც მიყუჩებული ნერვი ძალუმად აუხტა. სიმწრის, უფრო უილაჯობის ცრემლი ჩაუგორდა წვერში. — „ცის ნამეტანმა ნათელმა თვალი თუ მომჭრა...“ — ვერ იტანდა ცრემლს, ვერც გადამეტებულ სინაზეს.

„როცა მორჩებაო“... აღარ შეეძლო აღარც წოლა, აღარც ფიქრი. ყვირილი სურდა, სახმო სიმების ჩაგლეჯამდე უნდოდა ეღრიალა. იქნებ გაეგოთ და ასე მარტონი აღარ ყოფილიყვნენ ზახადაფჩენილი ორთავიანი ურჩხულის პირისპირ.

— ნამცხვარი არ გინდა? — გაამყრელიძეს თავი აეღო და მეოცნების ღიმილმომდგარი თვალებით გამომცდელად შეჰყურებდა დიდებაშვილს.

— ჰაა? — ფიქრისაგან გამორკვეულმა უფრო ამოიგმინა.

— ნამცხვარი-მეთქი?

— მინდა, აბა სად არის? — რაღაც მხიარულს, რაღაც გაგონილს თუ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახს მიამსგავსა, გაღიმებასაც შეეცადა.

— მახსოვს, ბიძაშვილის ქორწილისათვის დედაჩემს ტორტი გამოეცხო გოჭის ფორმისა, მაცივრის თავზე შემოედგა. სკამი მივაჩრე და მარტო დინგი მოვაჭამე, — თავი თითქოს დანაგებით გაკქნია მოგონებით გართულმა მეთაურმა. — იმას რა დამავიწყებს.

— კარგი გემო ექნებოდა...

— გემო კი არა და... — ხელი უარყოფის ნიშნად აიქნია, — როგორ მორტყეს, იცი? ქორწილი და გოჭი ჭირის დღესავით შემძულდა იმის შემდეგ.

●

გვიან ღამით დაბრუნდნენ რუსი ვალერა და ბოლნისელი შტაბიდან, დაკლული ცხვარი, ერთი ყუთი „ასტრა“ და ცოტაოდენი ტყვია-წამალი მოიტანეს. სოფლებს სამშვიდობო ძალები დაიცავენ, თქვენ იარაღი ჩააბარეთო, — ახალ შტაბის უფროსს შემოეთვალა.

ხმა არ ამოუღია მაჩაბელს, მხოლოდ თავი გადაქნია უმაყოფილოდ, მერე მინავლული ცეცხლიდან ნაცარი გადახვეტა, ზედ „ბეტეერის“ საღებავგადაცლილი ტალღის საწინააღმდეგო ფარი ვადო, ქუჩი გაშალა და სიტყვის უთქმელად წამოწვა.

ღილით, როცა ცის საწყისიდან მზემ გამოიხედა და მთის წვერზე წამომხობილი მოლურჯო ნისლი თანდათანობით გაცრიცა, მეთაურმა შვიდი ბიჭი გამოარჩია და იარაღზე მიედავართო, — მოკლედ აუხსნა.

უსიტყვოდ შეუდგნენ სამზადისს გამორჩეულნი — მათთვის პირველი რიდი იყო თითქმის უიარაღოდ, იარაღზე ნადირობა!

მტრის ის გამაგრებული პუნქტი, მაჩაბელმა რომ დაასახელა, ხაკმაოდ მოშორებით იყო ინვრის შემდეგ გაყინული ბრძოლის ხაზიდან. ორი ოსური დასახლებისათვის უნდა შემოევლოთ და ისე დასცემოდნენ მტერს.

— დღენახევარი მაინც გვინდა და ჩვენს დაბრუნებამდე რაზმი შენთვის ჩამიბარებია, — დიდებაშვილს მიუბრუნდა წასასვლელად გამზადებული გამყრელიძე.

უხერხულად შეიშმუშნა დიდებაშვილი. მისი აზრით, თუ სამართალი ჰქონდა, მეთაურს თავის შემდეგ გამორჩეულად რუსების საბჭდრო სასწავლებელგამოვლილი გორდულაძე უნდა დეტოვებინა, რომელიც ინიციატივიანიც იყო და სამაჩაბლოს ქარცეცხლშიც თავიდანვე გულმართლად ეტრიალა.

— შენ იქნები, — წამოჟინულა და საწვიმარი მოისხა წამსვლელმა მეთაურმა.

გორდულაძემ წყენა როდი შეიმჩნია, ბიჭებს თვალი ალალად ჩაუკრა და გაუპარსავ სახეზე სიმშვიდე აესახა.

დარჩენილნი მოთვალიერა მეთაურის მაგიერმა. მხოლოდ კურდღელას თეთრი თავი არ ჩანდა. ფეხსადგილზე თუ გავიდაო, გაიფიქრა, მაგრამ მალევე სრულიად სხვა აფიქრებინა ტყის სიღრმიდან წამოსულმა კრუსუნმა და მეთაურის ვინეგამ: რაზმის შვილობილის თეთრ, ბუმბულივით თმას გამყრელიძე ჩაფრენოდა და ვაჯიქებულ ბიჭს ბანაკისკენ მოათრევდა.

მოიყვანა, დიდებაშვილს ფეხებთან მიუგდო და მბრძანებლური ხმით დასჭექ:

— საქამრეზე გამოიბი, სანამ თვალს მივეფარებით!

— მაინც წამოვალ! — ჯიუტად ამოიხაელა ნაცემმა „მოხალისემ“, ცხვირიდან ჩამონადენი ცინგლგარეული სისხლი უკანვე შეისრუტა, საულვაშეზე დარჩენილი კი ენით გაილოკა.

— ფიცრულში გამოკეტეთ ეს შობელ-ძაღლი! — გამყრელიძე, ეტყობა, წონასწორობიდან გამოიყვანა კურდღელას საქციელმა.

„სამზარეულოში“ შეაგდეს და გარეგან ბოქლომი დაადეს. კიდევ კარგა ხანს იკრუსუნა ჩაკეტილმა, იგინა, კარებს წიხლები ურტყა, ვერას გახდა და მაშინეა ჩაწყნარდა.

დაბღვერილმა მაჩაბელმა დიდება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს ხელი გამოსდო და განზე გაიყვანა:

— ხო იცი, ათასი შემთხვევაა, რაზმს გაუფრთხილდი, ტყეელაზე არ წაგო ბიჭები. განსაკუთრებით ეგა, ცოდოა, მაგან სხვა საქართველო უნდა ნახოს! — გასამხნევებლად შეაჯეღრია და სწრაფად მოშორდა.

●

მთელ ღამეს მოუსვენრად იყო დიდებაშვილი, ვერაფრით დაიძინა, ძილგამკრთალი მიმქრალ ნაცეცხლურში იწიტებოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის ინათებდა, როდის გაიგებდა ბიჭების ხმას. თავიდან ეგონა, რაკი პასუხისმგებლობა რაზმის ბედზე მას დეკისრა, ალბათ ამატომაც გაკრთომოდა ძილი, ასე ფიქრობდა. რამდენჯერმე დახედა საგუშაგოზე ჩაცუცქულ მორიგეებს, ცეცხლი არ დაახოოთო, სთხოვა.

როგორც იქნა, ირიჟრაჟა. ტყემ და ბიჭებმაც გამოიღვიძეს. მაგრამ დიდებაშვილის გულს ლოდივით დაკიდებული ავი წინათგრძნობა კი არ მოეხსნა, უფრო გაუმძაფრდა. ნესტოები ცხენივით დაებერა და ღილის ნოტოო ჰაერი ხარბად შეისუნთქა. აქამდე თუ რაზმელთა გაღვიძებას უცდიდა, ახლა მათი ჩურჩულიც კი ნერვებს უწვრილებდა. მიხედა, რაღაც უბედურება ტრიალებდა მათ თავს. ინსტინქტურად წამოხტა, ავტომატს ხელი დასტაცა და ტყეს შეერია. შეუსვენებლად მირბოდა, სანამ, სახსრების ტკივილი არ იგრძნო.

წინადღეს გავლილთა კვალი ნათლად ანდა ნაბილაკარს, ზოგ ნაფეხურში წვიმაც ჩამდგარიყო.

მთის დასაწყისამდე გაბარბაცდა, მიმოიხედა.

მოქუფრული ციდან გაზაფხულის წვიმის მსხვილი წვეთები დაეცა გაშეშებული დიდებაშვილის შემეღოტებულ, ოფლიან კეფას.

ფეხებგაჩაჩხული იდგა და უაზროდ შესცქეროდა ათიოდე ნაბიჯზე ჩაჩოქილ რაზმის მეთაურს.

სისხლ-ტალახში ერთიანად ამოსვრილ მარაბელს თვალები მიელულა, დაჭრილი მკლავი ცისკენ აზიდული ხისთვის მეჭიდროდ მოეხვია და ლოყით მის ხაოიან კანს ელამუნებოდა.

— ეგრეც ვიცოდი, ეგრეც ვიცოდი, — მუხლი მოეჭრა დიდებაშვილს, — აკი ეგრძნობდი კიდეც...

— მაგის დრო არ არის, — თვალი მილულა დაჭრილმა, — შეცხადების დრო ნამდვილად არ არის... მოიხმინე, რაც მოსასმენია და წადი.

საგუშაგოები უხმაუროდ მოეხსნათ, რუსის შემოტანილი თითქმის მთელი არსენალი მოეხვეტათ და წამოელოთ. მობრუნებულებს ერთი ოსი გადაჰყოდათ, დაენდოთ და როცა თავი სამშვიდობოს დაეგულებინათ, გაეშვათ. დანდობილს რუსები დუდევნებია სამი ჯაკშანტრანსპორტიორით. დანადლეს მინდორზე მიემწყვდიათ. ბოლნისელი და ისეა დასხლტომიან ნაღმებს ორივე დაფლეთილი. ისიც გზაში გამოსცლია.

მე გეძახდიო, გულით გეძახდიო, ოღონდ დედაკაცივით ნუ მოთქვამო, — მაჩაბელი ლაჟვარდში აჭრილ ხეს ახლა ტუნებით მიაკვროდა, — იცოდე, ის ოსი უნდა მომეკლაო, — თავზე წამომხობილს პირველად ახედა ნამქრალი მზერით, — დაიმახსოვრე, აუცილებლად უნდა მომეკლაო, — სინანულის ღიმილიც გაუკრთა.

უკვე ენაგადაყლაპულ დიდებაშვილს არც დაუნახავს, როგორ ამოიღო ხის ძირში ჩაჩოქილმა „ტეტე“, არც გასროლის ხმა გაუგია, მაგრამ მის საფეთქელთან წვრილ ხაზად მომდინარი სისხლ-ტვინი შენიშნა, მოწითალო. ბაც კვალს რომ ტოვებდა ცაში აჭრილი ხის ნედლ კანზე.

ტკივილი

დაიღალა, ძალიან დაიღალა, ისე დაიღალა, რომ სიკვდილი ინატრა არაქათგამოცლილმა.

როცა ჰოსპიტლიდან გამოვიდა, უნდოდა მთელი წლის ოფლი და ჭუჭყი

Digitized by Georgian National Electronic Library

ჩამოებანა, ახალპირშეკრული ჭრილობებიც დაეკიწყებინა. გვარდიელის მომწვანო-მოშავო ფორმის გახდაც დაეპირა, რადგან ჩათვალა, რომ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა სისხლდაქცეული და ვალმოხდილი.

მაგრამ გამოვიდა და პირველად შეებრალა თავი, ისე დამქანცველი ეჩვენა ეს დიდი და გულგრილი ქალაქი. იქ, ომში სამარტოვე არ უგრძვნია, არც შიში, რადგან ბევრნი იყვნენ და ერთად. ერთი სულისკვეთებით შეკრულნი.

აქ კი?!

გამოწერეს და ბიჭებმა, მასავით ხეიბრებმა ურჩიეს, ბევრი არ ეფიქრა. ფიქრის დრო სად მექნებაო, გაეღიმა, არადა უყვარდა ფიქრი. ომშიც ბევრს ფიქრობდა; გამარჯვებაზე ფიქრობდა, მტერზეც...

ფიქრის დრო არ მექნებაო, როცა ბიჭები დაამშვიდა, დარდს გულისხმობდა, ეგონა, რომ მართალ არ იდარდებდა ან რა ჭქონდა სადარდებელი? ზედა სახსარში გადასხეპილი მარჯვენა ხელი? ან, იქნებ, ნაადრევი ჭაღარა და სამი ღრმა ღარი ფართო შუბლზე?

არც ერთზე არ იდარდებდა ან რატომ უნდა ედარდა, როცა კარგად იცოდა, სადაც მდიდოდა ან რისთვის.

ისიც შეგნებული ჰქონდა, საქართველოს აუცილებლად რომ გაუთენდებოდა უკუნი ღამე და ამ განთიადის დადგომას მსხვერპლი და სისხლი რომ სჭირდებოდა, ისიც იცოდა!

მაგრამ გამოვიდა და მაინც დაფრთხა, ისე უცნო ეჩვენა დამშეული ქალაქი.

„არაფერია, ნათესავებს, შინაურებს ენახავ და გულს გადავაყოლებ“, — გაიფიქრა და ქუჩაში ნაბიჯით მიმავალი შეხვედრთა სახეებს აღარ აკვირდებოდა.

გადარჩენის, დაბრუნების სუფრა გაწყვეს; როგორც შეეძლოთ, ისე. მოიკითხეს, ძალიან თბილად მოიკითხეს, გასამხნევებელი სიტყვებიც არ დაუკლიათ.

მერე სასმელი იყო, სასმელს წუწუნიც მოჰყვა — სიძვირეზე, უპერობაზე... სულ ბოლოს ქვეყნის ბედზეც ჩამოგდეს სიტყვა. უეცრად აყაყანდნენ. ბევრს ლაპარაკობდნენ, სადღაც ამოკითხულს თუ უბრალოდ ყურმოკრულს ისე აფერადებდნენ, როგორც თვითონ სურდათ.

მხოლოდ დედამისი იჯდა უჩუმრად მაგიდის კუთხეში, ჰერის გულს ცეცქნიდა და წინსაფრის გაცვეთილი ბოლოთი მალულად იწმენდდა ამოსიებულ თვალის უპეებს.

ისედაც სევდიანი ბიჭი, ერთმანეთს დატაკეპული ნათესავებისა და მხრებში საცოდავად მოხრილი დედის შემხედვარე, უფრო მოიღუშა. „ეს ომი მხოლოდ ჩვენი და ჩვენი ოჯახებისაა“, — მეგობარი გვარდიელის სიტყვები გაახსენდა და, მართალი უთქვამსო, ახლალა დეთანხმა.

ქვეყნის ბედზე მოკამათენი კი არ ცხრებოდნენ: უკვე ორ ბანაკად გაყოფილიყვნენ და ნათესაური კავშირი რომ არა, ალბათ ერთმანეთს თვალებს ამოკორტნიდნენ.

დავიღალეო, — ბოდიში მოიხადა და სამინებელ ოთახში გავიდა. გაუხდელად წამოწვა.

ვეიან ღამითღა შეწყდა ურთიერთ ნიშნის მოგებაზე აგებული ცხარე კამათი, დაიშალნენ კიდეც.

თეფშების წკრიალი მიწყდა და ოთახის კარი გაიღო.

ბიჭმა თავი მოიმძინარა, არავისი ხმის გაგონება აღარ სურდა, არც დედის ხმისა.

მის საწოლს მიუახლოდა გადაღლილი, დარდისაგან ჩამოხმარი ჭაღარა ქალი. სიბნელეში მიუალერსა შვილს: ჯერ მკერდზე შემოდებული ხელს დაუსვა ათრთოლებული თითები, მერე გვერდზე გადაატარა და ვაჰმეო, — მოგუდული ხმით ამოიგმინა: შვილის მარჯვენა მკლავის მაგივრად ხელში ოფლითა და სისხლით გაჟღენთილი სახელო შერჩა. სიმწრით თვითონაც რომ არ ეყვირა, ბიჭმა ტუჩებს ძალუმად ჩაასო კბილები.

როცა ინათა, მაშინღა ჩაეძინა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ბევრი კი არ ეძინა: საგარეო ტანსაცმელგადაცმული ედგა ჯერ ისევ შინ იყო, როცა წამოდგა.

ხელ-პირი დაიბანა და უხალისოდ დაიწყო ჭამა. თან ტელევიზორი ჩართო.

ყურში უსიამოდ მოხვდა კომპოზიციის შესაშური დიქციით გაჯერებული ცივი ხმა.

რუსეთის იმპერიის ხალხთა „მომრიგებელი მოსამართლე“ — „ოსტანკინო“ ქართველთა მხარეს უთმობდა ეკრანს. ცხენის ბუზდახვეული ჩახოცილები აჩვენეს ხელფეხგაგლეჯილები. ტელეკომპანიის საკუთარ კორესპონდენტს ხმა მყივანა ჰქონდა, მჟღერი, სპილენძის ქვაბივით: მეტად აუტანლად ბაძავდა რუსებს რუსულის უაქცენტოდ გამოთქმაში.

„გუშინდელი ინფორმაციაა, თბილისი იმერებს“, — მიხვდა ბიჭი.

მართლაც თბილისი იყო.

— ახლა კი სარეკლამო განცხადება... — ჩაჭყლეტილეხვირიან დიქტორს ღიმილიანი სახე ჰქონდა, თვალებიც ღილაადრიანივე უციმცამებდა.

ევროპული სტანდარტის დონეზე შედგენილი რეკლამა მშიერ ქართველობას არაბთა გაერთიანებულ ემირატებში ეპატიჟებოდა სამოგზაუროდ. ფასი არცთუ ძვირი იყო: კაცს მთელი წლის სარჩო-საბადებელი რომ გაეყოდა, ცოლ-შვილის სტამბულის ბაზარზე დაგრავება აღარ დასჭირდებოდა.

— წავა, მიკირტუმა ნაღდად წავა, — ლუკმა ყელში გაეჩხირა გუნებამოწამლულ ბიჭს. ამ ბოღმაგარეულ, დამამცირებელ სახელს ბიჭი მათ მეზობელს, კაი ხნის გაქართველებულ ვაჭარს ეძახდა. ამ კაცს ფუღის შვილის გასაოცარ ნიჭთან ერთად ნაირგვარ ხალხთან ურთიერთობის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა და ერთ დროს უპოვარ-უშოვარს ყოველივე, რაც გაანწდა, საკუთარი მოთმინების ფასად ეგროვებინა. ფუღი ჰქონდა, გავლენაც და ბიჭი იმთავითვე კარგად ხვდებოდა, რომ ეს მისგან გამოჩორკნილი, ნაღდი ქართველთათვის დამამცირებელი სახელი ქალაქის საქმიან წრეებში ღრმად ფესვებგადგმულ ვაჭარს ბუზის აფრენადაც არ ეჩვენებოდა. ხვდებოდა ამას და უფრო ღრმად იპყრობდა უმწეო კაცის გაბოროტება და გესლი შედროვის მიმართ.

დედამ კარი ჯაბუნით გაიკეტა — სამსახურში წავიდა.

ბიჭმა კედლის საათს შეხედა: 12-თან, ახალი დღის საწყისთან გაჩერებულიყო.

უწვეულოდ დინჯად წამოდგა, ასევე დინჯად გამორთო ტელევიზორი და თვითონაც ქალაქში გავიდა.

მყუდრო ბინაში ვერ მოისვენა, ისე გაუსაძლისი ეჩვენა მარტოობა. თუმცა დაჩაგრული, მაგრამ მაინც ადამიანი იყო და გული ხალხისაკენ მიუწევდა.

ქუჩაში ბევრნი იყვნენ, ძალიან ბევრნი, ღიმილრამქრალნი, დაძაბული სახეებით მოსიარულენი, თითქმის მორბენალნი.

მასაც ბევრი ამჩნევდა. უმრავლესობას განურჩევლობა ეწერა სახეზე, ზოგს — სიბრალული, იყო შეუნიღბავი სიძულვილი და ზიზღიც.

დიახ, ზიზღი და სიძულვილი...

ცდილობდა ამაყი ყოფილიყო, როგორც ომგამოვლილი, ვალმოხდილი მისი წინაპარი, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა: ერთი წლის გამოუთქმელი ნაღველი მხამად ეწვეთებოდა ქვაღქცეულ მის გულს და მერე იქიდან ცრემლად ეღვრებოდა გაურყვნელ გრძნობა-გონებას. და თუმცა ტკივილი განუზომლად მწარე და აუტანელი იყო, ბიჭი მაინც მზად გახლდათ სისხლის წვეთებად დაღვრილიყო შიმშილისაგან სახეგაქვავებული ხალხის თვალწინ, ოღონდ ასე გულგრილნი ნუ იქნებოდნენ.

— ზაზა, — ხმა ყრუ იყო, ცრემლნარევი.

მიიხედა: მის შორიახლოს მხრებაწუწარული, შავებში ჩაცმული გოგო იდგა, გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ბიჭის ნიავზე მოქანავე სახელოს.

— ზაზა, როგორა ხარ? — მაღალს და გამხდარს სქელტანიანი, ყდანაცვეთი

წიგნი ჩაებღუჯა, ფერწასული ტუჩის კუთხეები ოდნავ უთრთოდა.

ბიჭმა ცივ და ოფლიან სახეზე ძალუმად შეიგრძნო ქალიშვილის ათრთოლებული ბაგის შეხება.

— გვანცა, შენ? — არ უნდოდა მასთან შეხვედრა, ახლა მაინც...

— ჰი, მე... — ქალიშვილმა განზე გაიხედა და შუბლზე აწეული მზის სათვალით დაფარა ფართო ჭკვიანი თვალები. ცრემლი მაინც გამოჩნდა მის თეთრ, ჯერ კიდევ მზედაუკრავ სახეზე, — საით მიდიოდი?

— აქვე, აუცილებელი საქმე მაქვს, — მოუთმენლად აწრიალდა ბიჭი, — მაპატიე, მაგრამ მეჩქარება.

— ზაზა, — ქალიშვილი ბიჭს დაეწია, წინ გადაუდგა, — მინდა, რომ იცოდე, — აჩქარებით დაიწყო, — ოქტომბრის თვიდან დღემდე საფრანგეთში ვიყავი, არც შენი წერილები მიმიღია...

— ახლა მაგას რა მნიშვნელობა აქვს? — ბიჭმა თავჩარგული განაგრძო გზა.

— ვერც ვნახავდი.

— სულ ერთია-მეთქი, — წინ გადადგარ ქალიშვილს სახეში არ უყურებდა, ჯიუტად ცდილობდა გაცლას.

— სალაპარაკო მაქვს, ბევრი, — თითქმის ძალით გაკავა ქალიშვილმა.

— მერე იყოს, როდესმე...

— კარგად იცი, ის „მერე“ აღარ დადგება, — ქალიშვილს ხმა უკვე მტკიცე ჰქონდა, შეუვალი, — ჩამოვსხდეთ სადმე.

„ჯანდაბას“, — გაიფიქრა ბიჭმა და სწრაფად გადაუხვია ხეივნისაკენ.

ქვის სავარძლებზე ჩამოსხდნენ გაბუტულებივით, უბრად. კაი ხანს ასე დუმდნენ. ბიჭს თავი ჩაეკიდა, ქალიშვილი კულულს აწვალებდა.

— მეკითხე რაიმე, — ქალიშვილმა გაიღო ხმა.

ბიჭი დუმდა, ჯიუტად დუმდა, ქარისაგან მათ ფეხებთან მოყრილ ნაგავს ერთ ადგილას აქუჩებდა და წასვლაზე, გაცლაზე ფიქრობდა.

—ვენეციაში გამართულ სიმპოზიუმზე ჩემმა „სვანეთის მხატვრობამ“ დიდი მოწონება დაიმსახურა.

— კარგია, მართლა მიხარია, — უთქმელობა აღარ შეიძლებოდა, ბიჭმაც ამოთქვა ორიოდე ფრაზა ყრუ და ხლინჩნა ხმით.

და კვლავ დუმილი, ამჯერად უფრო ხანგრძლივი და დამღლელი. ქალიშვილი თითებს ისრესდა, ბიჭი კი ელოდა, ისე ელოდა, როგორც სიკვდილმისჯილი — განაჩენის აღსრულებას, შეუცნობელი შიშით უწვეულოდ გულაძგერებული. ამასთან მშვიდიც იყო, რაკიღა ბევრი გადაეტანა და ფიქრობდა, რომ ამ უკანასკნელსაც გაუძლებდა, კაცურად გაუძლებდა.

— იცი, ზაზა...—ქალიშვილმა მიკარგული ხმა ძლივს დაიმორჩილა, — მე... ვთხოვდები!

— ვისზე? — გულისგარეთ იკითხა, ისე, თითქოს არც კი აინტერესებდა.

— კოკა რატიშვილზე.

თუმცა ცუდს ელოდა, მაინც თავი ვერ შეიკავა, ტყვიანაკრავივით წამოხტა, ტანი სასაცილოდ აეწურა, ყბამოქცეული მიაჩერდა წინ მჯდომს.

კოკა მიკირტუმას ვაჟი, მისი მემკვიდრე იყო.

იგი ზაზას კლასში გვიან მივიდა. მივიდა და ყველაზე ლამაზსა და გამორჩეულს — გვანცას დაადგა თვალი, ეს გოო ჩემიაო; არც აცია, არც აცხელა, მოვიდა და ფულის ყადრის კარგად მცოდნემ სკოლაში „საქმეც“ მოიყოლა: ქალაქის სხვადასხვა მივარდნილ კუთხეში უცხოურ სიგარეტებს იაფად ყიდულობდა და სკოლის ტუალეტში ბიჭებს ცალობით ასყიდებდა.

მაშინ ზაზას მხოლოდ ღიმილს გვრიდა ამ ტარაკანივით შავი, უხეშმძიანი ბიჭის უცნაური ოვითრწმენა, მოთმინების დიდი უნარი და ყოველგვარი კარგისა და მშვენიერის ხელში მოგდების შეუნიღბავი სურვილი. „ბედნიერების ყიდვას აპირებს“, — მაშინ ეღიმებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ამაყი იყო და ბურუსით მოცულ მომავალს მაინც იმედით უყურებდა.

ახლა კი?

— კაცი დაილია ქვეყანაზე? — თუმცა ბევრს ეცადა, ღვარძლი მაინც წასცდა.

— ზაზა, მე შენთვის არაფერი დამიშავებია, — ქალიშვილს სახე წამოენთო, დიდრონ, თაფლისფერ ქართულ თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

ბიჭი მოწყვეტით დაეშვა ქვის სკამზე. გულგრილად გააფურთხა და ტკივილს გაუყურდა.

დიდი ქალაქის მთავარი ძარღვი აჩქარებით ფეთქავდა. ისე, თითქოს გადამწყვარ-გადაბუგული აწყოდან გასხლტომას ლამობსო.

უჩვეულო მარტი იდგა. მკათათვესავით ცხელი და მშრალი. ბიჭისათვის უკვე სულ ერთი იყო სიცხეც და სიცივეც, თეთრად აფეთქებული მყვირალა გაზაფხულიც და კვდომით, ფოთოლცვენით განაწამები ნაღვლიანი შემოდგომაც.

— იცი, შეიძლება იდრე არც დავთანხმებულიყავი, ორი ან თუნდაც ერთი წლის წინათ, — თითოეულ სიტყვას კვლავ ორთოლვით, თუმცა გარკვევით წარმოთქვამდა ქალიშვილი, — მაგრამ დრომ ბევრი რამ შეცვალა, ჩემი ბევრი ოცნებაც გაახუნა და... დავთანხმდი.

— ამას მე რატომ მეუბნები? — მაინც შეეკითხა, — მე არც მოიდვარი ვარ და, მით უმეტეს, არც ვისამე გულის მესაიდუმლედ გამოვდგები!

— ბევრი რამ შეიცვალა-მეთქი, — ჯიუტად გაიმეორა ქალიშვილმა, — უფრო სწორად, რასაც იდრე ვერ ვამჩნევდი, ახლა წინ ამესვეტა მთელი თავისი სისავსით, მაცდური მომხიბვლელობით, — ყდაშემოცვეთილი წიგნი კალთაზე დაუშვა, — მომავალი ბიზნესს ეკუთვნის... მე ჩემს შვილებს უბადრუკი პენსიით, — სქელტანიან წიგნზე მიანიშნა, — ვერ ვაცხოვრებ, საბრალონი იქნებიან, — ქალიშვილი წამოდგა, კაბაზე ხელი დაისვა და საათზე დაიხედა.

„ჰო, მართლა საბრალონი იქნებიან, — გაიფიქრა ნაღვლიანად ბიჭმა. — საბრალონი იქნებიან ხეიბრის შვილები“.

— რაიმე თუ გაქვს სათქმელი?

არაო, თავი გააქნია ბიჭმა, ან რა უნდა ეთქვა, როცა ის-ის იყო განაჩენი გამოუტანეს მასა და მის მომავალსაც.

ცხოვრება მარტოოდენ დანაკარგით გამოწვეული ტკივილი ყოფილაო, დაასკვნა ბიჭმა, შორს წასულ ქალიშვილს თვალი გულდაწყვეტით გააყოლა და დაღლილობა იგრძნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ შაკიაშვილი

●

შემოგიჩვიე ფიქრით და ლექსით
და მზის სხივებით აგიგსე უკე,
რაღაც გჭირს ახლა, ნაღველის მსგავსი
და მე მგონია, გიყვარვარ უკვე.

●

ზაფრანისფერი ეს ნოემბერი
თავს ისე ხშირად მოიაფთარებს,
რომ ჩემი სული ნუშის ნაღლივით
ძველ წიგნებიდან ამოაქვთ ქარებს.

მე კი ნელ-ნელა ვკარგავ მეგობრებს,
თითო ოცნებას ვტოვებ ყველასთან.

●

ვწვავარ თივაზე — შენს ქერა თმებში
ვეხვევი... თავთან ისევ მარტო ვარ.
ჩამოსკდა უცებ, ვით ციდან თქეში,
ეს სიყვარული და მიგვატოვა.

●

შენ მარტოობით ხავსმოკიდებულ
ვეება ტაძარს სიზმარში ხედავ,
მინაზე, როგორც მსუბუქ კიბეზე,
ისე ნარნარად ჩამორბის სევდა,

თითქოს გვირილას ფურცლები ცვივა
წყებ-წყებად გრილი და მომთენთავი.

●

ბროწეულისფრად განათდა ზეცა
და მოსრიალდა ღამე გველივით.
მე დავრჩი, როგორც ყარიბი მგზავრი,
ცისფერ ქარავანს ჩამორჩენილი.

დე, ეს დღეები ნუ დამთავრდება,
ნუღარ გავაქრობთ ზეციდან მთიებს,
ვინ დაგვიდგება ღმერთთან თავდებად,
ამდენ ოცნებას ვინ გვაპატიებს?

ეჰ, ღმერთო ჩემო, როგორ მეგონა,
რომ ყველას ვალი მე — ერთს — მემართა?

ბედნიერების სიმი ხმიანობს
და ახლოვდება ახალ დღის მაცნე
და მე ვარ ბავშვი, რომელიც ცდილობს,
ბნელში სიმღერით რომ გამამაცდეს...

ზაფრანისფერი დატოვა სევდა,
ამინთო მთვარე — ყვითელი ეშვი
და მოპარული შენი სიზმარი
მფრთხალი მტრედივით ჩამიგდო ხელში...

ვაითუ, ახლა ძილშიაც გცივა,
ვაი, სიზმარი თუ დაამთავრე.

ღამეა ბაცი და ნაცრისფერი —
ჩემი ფიქრების ხშირი სტუმარი
და თვალზე მწყდება ცინცხალი ზეცა —
შენი სიზმრების თავსასთუმალი...

მათ მიმატოვეს და გაჰყვათ სევდა,
გამოუთქმელი და მძაფრზე მძაფრი,
ვით ბევწის ხიდი, გამიწყდა ბედის
უცნაური და ბდღვრიალა ძაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სახარებას მიკითხავს ყველა
ქურდი, ბანდიტი და მატრაბაზი,
თვალები ბანგით რომ უღაღანებთ
და შუბლს სიავის ნიშანი აზით.

ტყეს ერთნაირად სტკივა მხმარი ხე
და გაყოლილი ქარებს ფოთოლი,
მოდენის ციდან მთიებს მარიხი,
ნაპერწკლად აყრის ქედებს, მოთოვლილს.

მზირივით თავზე მაწყდება უცებ
დღე მზიანი და დღე მომთენთავი
და როგორც ჩვილის პატარა კუბოს,
ცრემლს მალვრიან და ყვავილით
მრთავენ.

შემომეძალა შუა აპრილში
ჟამი ქარების და ფოთოლცვენის

ჩანავლული კი ბეუტავს იმედი
და სიბრალული მაწუხებს მათი.
საღღაა ბიჭი, ვინც ბრმა ხაროში
გაზრდილ ლერწმისგან მზისფერ სტვირს
გათლის?

დღეს იოლია განმარტოება
და ამ რიჟრაჟის თმენაა ძნელი,
როდესაც ჰგავხარ ხომალდს, რომელსაც
დაბრუნებისას არავინ ელის...

და ეს ქალაქიც მიუსაფარი
უსახლკაროს და იობოლსა მდევნის.

მე ბავშვობაში ნასროლ ფრანს ვუცდ,
ჩანავლულ დღეთა მაწვალებს ექო
და მიფარფატებს ჩემი ბილიკი,
გაუთელავი და საცალფეხო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეილა მესხი

თეთრი თაგუნა

მოთხრობა

ხალხმრავალ სადგურზე, მოსაცდელ დარბაზში, ხიდრძეზე ჩამორიგებულ სკამებს შორის, გაცვეთილ ტყავის ჩანთაზე შვიდი-რვა წლის ბიჭი იჯდა. ქერა, ცისფერთვალა, უცნაურად წამწამებაბრეხილი. თუმცა ვერც ბიჭსა და ვერც წამწამებს ვერავინ ამჩნევდა. ცხვირგადატყავებული, ტალახით გათითხნილი ბათინკები ეცვა. გამომშრალი პირის კანი, ქარსა და საცივეში დაშაშრული ხელისგულები და... ნამალევი ცრემლის გუბე. სულ ეს იყო ბიჭი. იგი მარტო იჯდა.

მგზავრთა მისვლა-მოსვლით, მატარებლის გუგუნითა და შეკივლებით დამფრთხალ ბავშვს თითები უთრთოდა... მთელი ტანით ძაძაგვებდა, მალიმალ გახედავდა შემოსასვლელ კარებს, დარბაზს მოათვალიერებდა, მერე ჩანთას გადაწვენდა და ერთადერთ, ახლოელ არსებას მოიძებდა, თითებს მოუფაფუნებდა. მისი რბილი, ფაფუკი ბეწვი სიამოვნებდა. ეს არსება თაგვი იყო. პატარა წრეწუნა. კოლოფში ჩამწყვდეული, აწრიალებული... ხშირ-ხშირად ამოხედავდა ბიჭს, თითქოს ეკითხებოდა, რამდენ ხანს უნდა მამყოფო ასე დამწყვდეული, გამიშვი, ერთი ჩემებურად გავინავარდოო; მაგრამ ბიჭი უმალ ხურავდა კოლოფს. მისი ამოყვანა დაკარგვას ნიშნავდა: ამოდენა დარბაზში, ამდენ მომსვლელ-მომსვლელში სად იპოვიდა. სხვა რა გზა ჰქონდა, როგორც თვითონ ელოდა, ისე უნდა დალოდებოდა თაგუნაც...

ბავშვი აქ თეთრხალათიანმა, მაღალმა კაცმა მოიყვანა. იგი ექიმი იყო, თემოს ეძახდნენ. ექიმს სამხედროფარაჯიანი ახალგაზრდები ახლდნენ. ბიჭებს საკაცით დაჭრილი ამხანაგი მოჰყავდათ. ჯერ „ბეტეერით“ იმგზავრეს, მერე მატარებლით, ბოლოს სადგურში სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს და ყველანი შიგ ჩასხდნენ. წასვლისას დაუბარეს: „აქ დაგველოდე, ფეხი არ მოიცვალო, მალე დავბრუნდებიო“. ისიც ელის. ოღონდ ეს არის, რომ წყურვილი აწუხებს. ცივი, კამკამა წყალი კი არ ენატრება, კბილებს რომ დაეძრობს, ისეთი, არამედ თბილი სითხე... თუნდაც ჩაი ან რძე. თავადაც არ იცის, რატომ გაუნნდა ამგვარი სურვილი, შეიძლება ჰალვის ბრალი იყო. ტუჩებთან ერთად თითებიც რომ გაუწყება. ჰალვა მოხუცმა თათრის ქალმა პურის მიზრდილ ნაჭერთან ერთად მიაწოდა და, ჭამეო — მუნჯურად ანიშნა. მოყავისფრო-მოშავო, ტკბილ მასას ნელ-ნელა უსინჯა გემო. ეამა. ეამა თაგუნასაც, მონდომებით რომ ულოკავდა დატკბილულ თითებს. მოხუც თათრის ქალს მალე მეორეც, უფრო ახალგაზრდამ მოაკითხა; ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ასე. ჩანთებით, კალათებით ახორხლილნი, გასასვლელისკენ წავიდნენ. წასვლის წინ მოხუცი დაეშვიდობა ბიჭუნას, ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდას კი არც მოუხდავს მისკენ, ახალ-ჩამომდგარი მატარებელი აშფოთებდა. ქალებთან ერთად ლამის მთელი დარბაზი წამოიშალა: ქუდოსანი შავ-შავი კაცები, ყურებდაცქვეტილი გოგო-ბიჭები და ჭრელთავსაფრიანი ქალები. ყველანი ხმაურით, გადაძახება-გადმოძახებით, ჟივჟივით დაიძრნენ გასასვლელისკენ.

დაცარიელებულმა დარბაზმა წამიერად შეაკრთო ბიჭი. იგი მოუთმენლად გახედავდა ხოლმე ფართოდ მოღებულ კარებს, საიდანაც მისი მომკითხველი უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ არავინ ჩანდა. ვერც წამოდგომა და გახედვა გაბედა. კარს მიღმა, უზარმაზარი ქალაქი მოჩანდა: დიდი, ხმაურიანი, ერთიანად განათებული და გაჩარხდნებული.

მალე დარბაზი მგზავრთა ახალი ნაკადით აივსო. ბიჭი ხეირიანად ვერც ხვდებოდა, ვინ საით მიდიოდა, ოღონდ აშრნევდა, წინა მატარებელში თუ შავ-შავი, მზეზე გარუჯული სახეები ჭარბობდა, ახლა თეთრპირისახიანი, თაფლისფერთვალა გოგო-ბიჭები მოძალდნენ, კვეს ღეჭავდნენ, მღერიდნენ, გიტარას აწკრიალებდნენ. ამ გოგო-ბიჭებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ, არც მისი თაგუნა ენახათ... არადა, როგორ ეწადა გამოეჩინა და ეს ენატიკტიკა, კეკვილეჭია გოგო-ბიჭები აეკვლებინა; განსაკუთრებით ახლოს მჯდომი ხუჭუჭმიანი, ბურთივით მრგვალი, ლოყაწითელი გოგო, სულ რომ ცმუკავდა, ტიტინებდა, მოკლედ — წაიღო ყურები.

გოგოს თეთრი, ფუნთული თითები ჰქონდა. სწორედ იმ თითებზე მიადებინა თაგუნას პირი და... იკვლა გოგომ. იკვლა, მაგრამ რა იკვლა! წამოცვივდნენ სხვებიც. ვარს შემოერტყნენ. და რომ ეკონა ბიჭს, თაგუნას თავის კოლოფიანად თუ ჰატრონიანად გარეთ მოისროდნენ, სიცილ-ხარხარი ატყდა. თაგუნა ყველას მოეწონა. ზოგმა ხელი გაუწოდა, თითები მოუცაცუნა. ყველას სურდა ყუთი ხელში აეღო. ერთმა ლურჯკბილანმა, გამხდარმა გოგონამ ჩანთიდან ნამცხვრის მოზრდილი ნაჭერი ამოიღო, ნამცეცები თაგუნას ჩაუყარა კოლოფში, დანარჩენი ბიჭს მისცა. ჭამა ვერ გაბედა, დაირცხვინა. ხუჭუჭმიანი გოგო ერთ ხანს წყენით უბღვერდა, მერე, თაგუნამ ნამცხვრის ნამცეცები სულერთიანად რომ შეესანსლა, რითაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია, ჯერ ალმაცერად მოხედა ბიჭს, მერე ნელ-ნელა გადმოიხარა და ჰკითხა:

— რა გქვია?

ბიჭმა არ უპასუხა. თავი ჩაღუნა.

— რა გქვია-მეთქი, — არ მოეშვა გოგო.

განა არ იცოდა? განა რაიმე დავიწყებოდა? მაგრამ გოგოს მხიარული, ცოტა უდარდელი გამოხედვა აფორიაქებდა. საკუთარი სახელისა და გვარის გამხელა იმდენად არ აშინებდა, რამდენადაც უფრო სხვა... ჯერ კიდევ ადრე, სანამ აქამდე მოაღწევდა, მწვანეფარაჯიანი ბიჭები მისი ვინაობით დაინტერესდნენ, უნდოდათ გაეგოთ, რა ერქვა და რა გვარი იყო. რაკი სიტყვა ვერ ამოათქმევინეს, ვერც ვინაობა შეიტყვეს, თავად გამოუძებნეს სახელი. „ქართველების საამაყო სიძის საპატივცემულოდ, დავით ხოსლანი დავარქვათ“, — წამოიძახა ერთ-ერთმა. ყველამ მოიწონა. ბიჭები ერთობოდნენ...

ახლა ერთიც რომ წასცდეს ეს ხაზელი და გვარი, ეშმაკთვალება გოგო ერთ ამბავს ასტეხს; ყველაფერს თავი დავანებოთ, წელანდელ შიშსა და უაზრო კინოს, რის გამოც ამხანაგების სიცილ-ხარხარი გამოიწვია, უეჭველად არ აპატიებს. ამიტომ რაც უფრო ჩაქმა, მით უფრო ჩაჩუმდა, ლამის დაყრუდა.

— მარტო ხარ? — არ ეშვება გოგო, — დედაშენი სადაა?

ბიჭი არ პასუხობს.

რაკი პირველობა დაისაკუთრა, რაკი მის კითხვებს ყველა უსმენს, გოგონაც არ ეშვება. ხან აქედან უტრიალებს, ხან იქიდან, ერთი ორჯერ მკლავზეც მოეჭიდა, უჩქმეტა კიდეც. თავი მაინც ვერ ააწევინა. ვერაფერი მოუხერხა. ხმა არ დაძრა ბიჭმა. ოღონდ ვრძნობდა, რაც უფრო მეტი იყო დაინტერესება, იძულება, მით უფრო მეტად ევსებოდა თვა-

ლები ცრემლით. ცალ ხელში ნამცხვარი ეჭირა (ვერ შელეფოდ), მეორეში — კოლოფი, თეთრი თაგუნათი. თვალები კი ცრემლით ჰქონდა სავსე (მხურვალე, მწველი ცრემლით). საცა იყო აღრიალდებოდა.

— ქუთაისის მატარებელი ჩამოდგა, ყველანი ბაქანზე! — ბრძანა ვიღაცა კაცმა.

აიშალნენ. არც ერთ მათგანს ბიჭისთვის არ ეცალა. ნაცრისფერპიჯაკიან, ჭრელი შარფით ყელაფუთნულ მაღალ კაცს, მათ ხელმძღვანელს, ფრინველების გუნდივთ გარს შემოერტყნენ და ასე, გუნდადვე გაჰყვნენ.

როგორც იქნა, თავი ასწია ბიჭმა, სურდა ცრემლები შეეშშრალებინა, მაგრამ ვერ შეძლო. ხელები დაკავებული ჰქონდა. ამიტომ უპირველესად ნამცხვარი ჩაიტენა პირში. ფაფუკი და რბილი. სურნელოვანი... მთლიან ლუკმად ჩაიტენა. კინაღამ დაიხრჩო. სული რომ მოიოთქვა, იგრძნო, სიტკბოსთან ერთად, მლაშე გემო დაჰკრავდა ნამცხვარს, ცრემლით იყო გაჯერებული.

მღელვარების წუთებმა ჩაიარეს. ახლა შეეძლო დაწყნარებით მიეხედ-მოეხედა, ადგილიც შეეცალა. უფრო მეუდრო კუთხე ეპოვა. მართალია, სადაც დატოვეს, იქ უნდა დახვედროდა მომკითხველს, მაგრამ თვითონაც შეძლებდა მის პოვნას; როგორც კი გამოჩნდებოდა, მაშინვე შეამჩნევდა. მანამდე ეგეს, ცოტითი გამთბარიყო... წაეძინა კიდეც. თბილ ბატარეასთან მიეკუჭა. მართალია, ძილს ფხიზლად ყიფნას ამჯობინებდა. მაგრამ ვერ ახერხებდა... სადგურში მატარებლის ყიველი შემოსვლა თუ გასვლა გარკვევით ჩაესმოდა: შეაქნებოდა მისვლა-მოსვლა, ბრიალი, ძახილი. ყველა ეს ხმა მის სასთუმალთან იყრიდა თავს, აფეთქებლებდა. ჯლიქვს ჰკრავდა. წამოსწევდა თავს, მიმოიხედავდა, ნაცნობ სახეს მოიძებდა, ვერ იპოვიდა და განაკრთობდა ძილს. არადა, სითბო ეამა ყმაწვილის გაწამებულ სხეულს, რა ხანია, სითბოს ნატრობდა...

სიხმარში გადასვლა უჭირდა, მაგრამ მაინც მისკენ მიიწევდა. ცხადის შეგრძნება ჰქონდა ძილში რომ მიმოდიხარ და მაინც ადგილზევე ხარ, იმგვარად. წასვლა გწადია და ვერ წასულხარ. მკერდში გიკრავენ და მაინც მარტო ხარ. ბიჭის აბორგებულ სხეულს მოსვენება არ შეეძლო. წრიალებდა. ერთიანად მოკუნტული, დაპატრავებული დამალვას ცდილობდა. ამიტომ გადაიფარა პალტო, შეიმალა და შემყუდროდა შიგ. კვლავაც დაიორიეს სიზმრისეულმა მოჩვენებებმა, თავისკენ მიიზიდეს... არ გაუგია, რამდენ ხანს ებრძოლა ჯერ საკუთარ თავს, მერე ძილს. ბოლოს დაიმორჩილეს. პატარა იყო, მიუსაფარი. მთელ მის გარეგნობას, მილეულ სხეულს, მოკრუნჩხულ ფეხებს, ტალახიან ფეხსაცმელს, ნათრეკ, დამტვერილ შარვალს, გასისხლულ წვივს (სისხლის წვეთები რომ მიხმობოდა) — ყველაფერს უპატრონობა თუ უსახლკარობა ეტყობოდა. ეს კი ყველაზე ადვილი შესაჩნევი იყო.

სადგურის მორიგემ — რკინიგზელის ფორმიანმა, ტანსაცმე ქალმა და ჟღალულვაშა აწოწილმა მილიციელმა იპოვეს იგი. ორივე თავზე დადგა.

ბიჭი კი იყო და არც იყო ამქვეყნად; სხვაგან იმყოფებოდა, სხვა მხარეში, სხვა ადამიანებთან. დროც სხვა იყო, ჟამიც... ბუჩქებიდან მწოფე ბრწყეულები იღვრებოდნენ. სიმწიფისაგან მუქად ჩაწითლებულები... მწვანე, ხასხასა ბალახი და სველი, ნოტიო მიწა. ეს იყო წამიერი გაელვება. უკვე ეძახდნენ. შორიდან ეძახდნენ... ძლივს ჩამოაღწია ამ ძახილმა ანჯღრევდნენ კიდეც.

ბიჭი ტრიალით გაედევნა სიზმარში ხილულ სახეებს, ბრწყეულების ჩახჩახა შუქს. ამას... ვინც ამ სილამაზეში იხილა. ვინც ეძახდა და მკერდში ჩასაკრავად მკლავებს უშლიდა...

ხმამაღლა, გულისამოოლეჯით ტირიდა ბიჭი. ჯერაც არ გაეხილა თვალი, ჯერაც ვერ შეეცნო, ვინ აღგა თავზე. არადა, უხეშად ანჯღრევდნენ. ძალისძალად აღვიძებდნენ.

— გაიღვიძე, ბიჭო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისია ეს ბავშვი?

— პატრონი არა ჰყავს?

— რას გაიგებ... იქცევა ქვეყანა. რამდენი უპატრონო ბავშვი დაწანწალებს.

— სადგურია მაგათი თავშესაფარი.

— სადური ხარ, ბიჭო? არ გესმის? პატრონი არა გყავს?

— რა გვარი ხარ?

ბიჭი გაოცებული შესჩერებოდა შემოსეულ ხალხს, ქალებს, კაცებს. წითელქუდა მილიციელს, რკინიგზელის ფორმიან სქელ ქალს, ვერცხლის კბილები რომ უელავდა. იგი უხეშად ეწეოდა მკლავზე.

— მილიციაში წავიყვანოთ...

— ჰო, ასე აჯობებს.

და ამ დროს, ამ წეწვაში, დამორჩილებასა და ვერდამორჩილებაში, იატაკზე ფხარკალსა და გაუთავებელ ზღუქუნში, უცებ ნაცნობი ხმა ჩაესმა:

— რა ხდება? რა გინდათ ამ ბავშვთან?!

— უპატრონოა. მილიციაში უნდა წავიყვანოთ.

— მილიციაში რა უნდა?

— იქ გაარკვევენ ვინაობას. ზოგი შინდან იპარება, ზოგი პატრონს ჩამორჩება. დაძრწიან, დაწანწალებენ, ქურდობენ. ესეც ერთი იმათთაგანი იქნება.

— მართლა ასეა? — კაცი დაიხარა, ბიჭს თვალებში ჩახედა. — მიცანი? — თეთრი ხალათი აღარ ეცვა ექიმს, შავი პიჯაკი ბოლომდე შეეკრა. ფერმკრთალი და მოღლილი ჩანდა...

ბიჭმა თავი დაუქნია, გიცანიო, ანიშნა.

— ჩანთა რა უჭავი? თაგვი არ დაგეკარგოს, — კაცს გაეცინა. — ყუთში თაგუნა ჰყავს... პატარა მეგობარი. ასე არ არის?

— თაგვი? — იკითხა ვიღაცამ.

— ჰო, თეთრი წრეწუნა. მთელი კვირა ნანგრევებში იყვნენ ჩამარხულნი, მერე ჩვენმა ბიჭებმა ამოიყვანეს.

— ვაიმე, შვილო!.. — შეიცოდა სადგურის მორიგემ.

მილიციელმა თითქოს არ დაიჯერა, კოლოფს თავი აუწია და ჩახედა. განაწყენებული თაგუნა წითელი თვალებით უმზერდა.

— კი ბატონო, მიბრძანდით...

●

წინ კაცი მიდიოდა, უკან ბიჭი — ქსუტუნ-ქსუტუნით, მიკმიკით. დიდ, ხმაურიან ქუჩას შეერივნენ. არ გაუგია, რამდენ ხანს იარეს. სულ ახლოს თეთრი მანქანა შეჩერდა.

— თემო! — ვიღაცამ დაუძახა. ჩანს, ნაცნობი იყო. ორთავე ჩასვა.

— დღეს ჩამოდი? — ჰკითხა მძღოლმა.

— ჰო.

საუბარი უჭირდათ. ორივე დუმდა. მძღოლს, ახალგაზრდა, შავგვრემან ვაჟს ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა, დახარბებით ნოქავდა სიგარეტს.

— ორმოცზე ვერ მოვედი... — ჩაილაპარაკა.

— ჰო.

— რა ვქნა, ყველაფრის დაჯერება შემიძლია და მისი სიკვდილის არა... — თავი ჩაღუნა. ცრემლი მუჭით შეიწმინდა.

— ასეთი ყოფილა მისი ბედი... — მწუხარე ხმა ჰქონდა თემო ექიმს.

— ის დღე რა იყო, ერთმანეთი რომ არ ვვენახა... შენ ხომ იცი, რა ძმობა გვქონდა.

— ვიცი...

— ვაიმე, ძმაო! საქართველო მე თუ არ დავიცავი, მაშ ვინ დაიცავსო... შენ არ წამოხვედეო. დამიჩემა, ცოლ-შვილის პატრონი ხარ. იმათ მიხედეო...

— თვითონ ვერაფერს მოესწრო...

მიჩუმდნენ.

— თინა დეიდა როგორ არის?

— როგორ იქნება?..მელოდება, ალბათ. ბაშურელი ბიჭი ჩამოვიყვანეთ, დაჭრილი. მთელი გზა ხუმრობდა, ენა არ გაუჩერებია, შუა ოპერაციაზე გარდაიცვალა.

— ეუჰ! საცოდავი... არა, გამაგებინეთ, რატომ ზოცავენ ამ ხალხს? ხომ ვცხოვრობდით, ხომ ვმეგობრობდით ერთმანეთს, აბა ახლა რა ხდება? სიძე მყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსი, დის ქმარი, ნორმალური კაცია; გეუბნები, თვალებში ვერ შემიხედია წესიერად. ასე მგონია, რაღაც დანაშაული მაქვს მის წინაშე ჩადენილი, დარწმუნებული ვარ, ისიც ამ დღეშია... რაა, ესაა ცხოვრება?!

ორივე მიწუმდა. არც ერთს ხმა არ დაუძრავს. არც ბიჭი გახსენებიათ, დამფრთხალი თვალით რომ შესჩერებოდა მაღალსართულიან სახლებს, მოსრიალე ტროლეიბუსებს. ყველაფერი ეს მისთვის უცხო იყო. ასეთ დიდ ქალაქში არასდროს ყოფილა.

მანქანა გაჩერდა.

— არ ჩამოხვალ?

— არა, სხვა დროს... არ შემიძლია...

ჩამოვიდნენ. თემომ ნაცრისფერი სახლის ზედა ფანჯრების ახედა. ამოიოხრა. ბიჭს ჩანთა გამოართვა, ხელი ჩასჭიდა და კიბეს აჰყვა. თავდახრილი მიაბიჯებდა. ისე აადწიე მეზუთე სართულს, ერთხელაც არ მოუხედავს მისკენ. ბიჭი უხმოდ მიჰყვებოდა. ყავისფრად შეღებილ ხის კართან შედგნენ; თემომ გასაღები ამოიღო, კარი ფრთხილად შეაღო; ბავშვიც თან შეიყვანა. ბინაში ბნელოდა, მხოლოდ ერთგან ენთო შუქი.

— თემო, შენ ხარ? — იკითხა ქალის ხმამ.

— ჰო, დედი. როგორა ხარ?

— როგორ ვიქნები. ადამიანი ძაღლია, ასე ადვილად არ კვდება...

— არ გინდა დედი...

— ვიცი, არ მინდა, მაგრამ...

ბიჭი კარს აჰკვრიდა, ვერც წინ წაედგა ნაბიჯი, ვერც უკან. უცხო ბინა, ნივთები, საათის წიკწიკი, მოხუცი ქალის ნამტირალევი ხმა — ყველაფერი აფრთხობდა. ამასთან, რაც ბინაში შემოვიდნენ, თითქოს დაივიწყა თანმხლებმა, ერთხელაც არ მოუხედავს, არ შეხმიანებია.

— ბიჯაკი გაიხადე, წაიხემსე.

— ჰო, დედი, ახლავე... ოღონდ...

— რა იყო? მოხდა რამე?!

— არაფერი. იქ... ერთი...

— ვინაა?!

კაცი წამოდგა. შუა კარი მიხურა. ეტყობა, არ უნდოდა მათი საუბარი ბავშვს გაეგონა... ერთხანს ჩაგუდული ხმები ისმოდა. ბიჭი შეეცადა ნაბიჯი გადაედგა, დერეფნიდან ოთახში შეედწია. ჩანთა კედელთან დადო. ფეხი მონაცვლა, რომ დაინახა, ვიღაც მისკენ წამოვიდა — პატარა, უღიმღამო, ჩრდილივით მსუბუქი. სიბნელისა და სინათლის მკრთალ გადაკვეთაში ბიჭუნას უჭირდა უცნობი სახის გარჩევა, მისი ჩაცმულობის შეთვალიერება. არადა, ნელი რწევით მოიწევდა მისკენ. წამოვიდოდა, გაჩერდებოდა, კიდევ დ კიდევ... სულ ახლოს რომ მოაღწია, ლამის სახით მოეხვინა, მხოლოდ მაშინ მიხვდა... კედელზე სარკე ეკიდა და თუმე თავისივე ლანდმა დაფრთხო. ამ აღმოჩენამ დაამშვიდა. სარკეს თითები მოუთათუნა. გრილი ზედაპირის შეხება ეამა. სახე ახლოს მიუტანა... ენა გამოუყო. ცუღლუტობა ეამა, კვლავ მოუსვა თითები. სარკე ორთქლისაგან გაწმინდა. და ამ დროს, მოულოდნელად ტკივილით მოგუდული ხმა ჩაესმა. — ვიღაც ტიროდა. შეკრთა. მიხურულ კართან მიიწია...

ხმები ააწეოდა-დაიწეოდა. ტირილი მომძლავრდებოდა-ჩაიკლებდა. ასე, მონაცვლეობით ვერც იმას მიხვდა, ვის უჯავრდებოდნენ, მას თუ ვიღაც სხვას...

კვლავ მოინაცვლა ნაბიჯი. ახლა მეორე კარს მიადგა. იქიდან ნაკლებად გამოდიოდა ხმები: სიჩუმე იყო. ღრიჭოდ დარჩენილ კარში შეიჭვრიტა. მოეჩვენა, ოთახის სიღრმეში ვიღაც იდგა და უღიმოდა. მაღალი შუბლი, ბრიალა თვალები, ხვეული თმა. იგი არსად ენახა, არადა, ნამდვილად მას უღიმოდა. ცალ თვალს ეშმაკურად უჭუტავდა, თავისკენ იწვევდა. თითქოს ანიშნებდა, გამოდი, ნუ იმალებიო... ხელახლა მოინაცვლა მზერა. მიხვდა, სურათი იყო. ვაჟის გადიდებული სურათი. ვერ გაარჩია, ვინ იყო... უცებ ხმა ჩაესმა, შეშზარავი ხმა...

— ახლავე გაიყვანე აქედან!

— დედი, რა მოგვივდა, მხოლოდ ერთი დამე...

— არ დამანახო!.. აქ არ შემოიყვანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ არ მინდა!.. არავინ... ნურც შენ მოდიხარ... გაიძრე! ეგ ტანსაცმელი გაიძრე... სიკვდილის სუნი გაქვს... სისხლის... ადამიანთა სისხლის!..

— დედი, დამშვიდდი... გთხოვ...

— ახლა ლაწირაკი მომიყვანა... იმათი ჯიშის...

— დედი, ერთი კვირა ნანგრევებში ეგდო, მარტოდმარტო. ძლიერ მოვიყვანეთ გონზე.

— არაა ჩემი საქმე. ყველანი უნდა გაწყდნენ. დიდი და პატარა. — მერე ატირდა, — რომ არ ჩამდენია, ისეთს ნუ ჩამადენინებთ...

— დამშვიდდი, დედი... მე თვითონ მიეხედავ. ხვალ, დილით წავიყვან!

ქალი ხმას არ იღებდა.

— ჰო, დედ, შეიცოდე...

— მე ვინ შეშიცოდა...

კედელს აკრული პატარა ბიჭი მთელი ტანით ცახცახებდა, მასპინძლის განაწყენების ნამდვილ მიზეზს ვერ მიმხვდარიყო, ან სად მიმალულიყო ვერ მოესწრა. ისევ საკიდზე ჩამომხრჩვალ პალტოებსა და საწვიმარ ლაბადებს შორის მიიკრუნჩხა.

ხმები თანდათან მინელდა, სახლიც ჩამყუდროდა, ჩათბა. თემო შემოვიდა, ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდა პალტოებსა და პიჯაკებს მიღმა მიყუჟულ პატარა ბიჭს, მერე დაიხარა და უხმოდ გამოიყვანა. ტანსაცმელი შეაძრო. ტატლიკანა, გამხდარი და გაკანჭული ბიჭი მსუბუქად ასწია და აბაზანაში შეიყვანა... თბილი წყლით სავსე ვარცლში ასე ჩაუშვა. მოულოდნელობის, სითბოს, თუ რაღაც ძველის გახსენებისგან სული შეეხუთა ბიჭს. ძმიგძიგებული და ენაჩავარდნილი უხმოდ ყლაპავდა წყალს. დასწვდა კაცი, უხეში, გაბურძგნილი ქოჩორი საპნის სურნელოვან ქაფში ჩაუმალა. უმწეოდ წუწკუნებდა ბიჭი. ტირდა. არა, საპნის ქაფისაგან, არ ასწვია თვალები, უფრო სხვამ შეაწუხა, სხვა მოგონებამ... ამ მოგონების მონატრება ერქვა... ის ბროწეულების ზეივანში გამოწვდილი თითების მონატრება იყო. ის თითებიც ასე უბუჟუჟებდა უხეშ ქოჩორზე ქაფს. უალერსებდა... ის თითები ახსოვდა შემდეგაც, ჯაგრისით გვერდები რომ დაუხეხა კაცმა და კამკამა წყალი გადავლო. ჭუჭყი გააცალა. ბიჭი ფხუკუნით, წამოხველებით, წამაერი ჩაბეჭერებით განაგრძობდა კრუსუნს, თბილი წყლის ყლაპვას. ბანვას რომ მორჩა, ფუმფუკა პირსახოცში გახვია და თავით-ფეხებამდე გაამშრალა. თავისი ხალათი გადააცვა და სამზარეულოში მაგიდას მიუსვა. რძე, ჩაი, ყველი და პური, ცოტა კარაქი...

— ნელა ჭამე... კარგად დაღეჭე... — დაუბარა თემომ. თვითონ აბაზანას მიაშურა. ახლა იქიდან წყლის ჩხრიალი ისმოდა.

„ნელა ჭამე... კარგად დაღეჭე“, — ასე განსაკუთრებით რატომ აფრთხილებენ, ვერ მიმხვდარა ბიჭუნა. მაშინაც, ნახევრად გონწართმეული ნანგრევებიდან რომ ამოიყვანეს მებრძოლებმა, ორიოდე ყლუპი რძე ასვეს და გეყოფაო, უთხრეს. რძეს მაწონი მიაყოლეს, ისიც ორიოდე ლუკმა. ასე, ნელ-ნელა შეაჩვიეს. მერე ვიღაც ჯარისკაცმა, პურთან ერთად, ძეხვის მოზრდილი ნაჭერი მიაწოდა და გაწყრა თემო ექიმი. „უკრძალა. შიმშილის გრძნობა არ ჰქონდა მაშინ, არც წყურვილის. ყველაფერი გაჰქრობოდა. ყელი ქერქს უგავდა, გამომშრალ-გამომხმარს. შიმშილს ახლა გრძნობს, ამიტომ სანსლავს ასე დაფეთებით. რძე ხომ შესვლიპა, ჩაიც ზედ დააყოლ. ნამცეცები დარჩა და... სწორედ იმ ნამცეცებმა მოაგონეს... თეორი თაგუნა. ნელ-ნელა ჩამეორჩდა სკამიდან. დერეფანში გატანტალდა. ჩანთა მოიძია, ზელი ჩაჰყო თაგუნა არსად ჩანდა. ფეხსაცმლის ლანჩები გასწია, ფარდაგის ქვეშ შეეჭვრიტა, — არც იქ იყო...

სწორედ ამ დროს შეწყდა წყლის ჩხრიალი, მასპინძელმა ბანაობა დაამთავრა. პირვანდელ ადგილს დაუბრუნდა ბიჭი, ერთიანად ცახცახებდა...

— დანაყრდი? — ჩკითხა, თემომ. თავი დაუქნია.

— ახლა დაიძინე...

საძინებელ ოთახში გაიყვანა და რბილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწოლში ჩაკარგა. ფეხის გაშლა ვერ გაბედა. ფიქრით კვლავ თაგუნასთან იყო. ნეტავ, სად გაიპარა?! სად გაძვრა?!

უცვ ხმა ჩაესმა. წკაპუნი თუ ჩხაკუნი. სადღაც, ქუჩაში ტროლეიბუსის ანძამ გაიწკაპუნა თუ... უფრო სათაგურის ჩხაკუნს ჰგავს. ალბათ, გაება თაგუნა! მძიმე ზამბარა პირდაპირ ზურგზე აჭერს. სისხლმა გამოეყონა. ფართხალებს, იკრუნჩხება. შიშმა დაზაფრა ბიჭი...

ოთახში მასპინძელი შემოვიდა, გვერდით საწოლი აშალა და უხმაუროდ შეწვა.

— დაიძინე... — უჩურჩულა ბიჭს. თითქოს გარკვევით ესმოდა საბნის ქვეშ გატრუნული ბიჭის გახმაურებული გულისცემა, მისი ბაგაბუგი.

— სუუ... დაიძინე.

●

უზარმაზარი სახლი თავისი მობინადრეებით, მიმსვლელ-მომსვლელით, ლიფტის გრიალით თუ ტელევიზორის შვეირალა ხმებით ერთბაშად შთანთქა სიწუმემ. აგვარი სიწუმე ყველაზე მეტად სიამოვნებდა ბიჭს. გვერდითა საწოლზე მწოლარე კაცის მშვიდი სუნთქვაც ესმოდა. ხედავდა, ცისფერი ფარდებით დაჩრდილულ ბინაში როგორ მიმოდიოდა შავოსანი ქალის ლანდი. ონკანი დაკეტა, კარებში გასაღები გადაატრიალა, ფარდები გაასწორა, შემდეგ საძინებელი ოთახში შემოვიდა. კარგა ხანს იდგა ჩუმად, უმოძრაოდ. მერე საბანი გადაუწია და ბიჭს სახეზე დაეცქერდა....

უკვე ეძინა ბიჭს. დამშვიდებულიყო, უსაამო მოგონებები დავიწყებინა. ახეთ დროს სული დაღლილ, გაწამებულ სხეულს ტოვებს, სხვა სამყოფელში გადადის. სხვა ხილვებში... ეს უფრო სიზმარში გადასვლას ჰგავდა. როცა დაუნიშნებლად ტოვებ დღევანდელ ყოფას და დროებით სხვა სამყაროში გადადიხარ. ბროწეულების აღმოდებულ ხეივანში შეღწევა თავად არ სურდა... შეხსენება ტკივილს იწვევდა. აღარც აღერსიანი თითების შეხება. გრძელ-გრძელი, მთრთოლვარე თითების. ეს თითები ჩამოქცეული კედლის მიღმა დარჩა. არადა, ბავშვისკენ მოიწევდა დედა, შველა ეწადა... ვერ მოახერხა. კედელს სახურავიც ჩამოჰყვა. გიცცი! თერსენ გიცცი!! — წოდა, ბიჭი. სუუ... მათერს[2] სადღანაღაც, შორიდან აღწევდა სანატრელი ხმა. აღწევდა და ვერც აღწევდა... ნერთექე... ნერთექე...[3]. მტვერმა და შლამმა ამოავსო სივრცე. ლამის გაგუდა ბავშვი. წოდა, სული ეხუთებოდა, იხრჩობოდა...

კიდევ უფრო ჩამყუდროდა სივრცე. ჩაწყნარდა. აღარც ტყვიების ზუზუნი ისმოდა, აღარც ქვემეხების გრიალი.

ბიჭი უკვე ხმამაღლა ტიროდა. უცებ განათდა. დასწვდნენ და მაღლა აიტაცეს. მკერდში ჩაიკრეს. ჩახჩახა შუქი თვალს უბრმავებდა.

— სუუ... ნუ ტირი. არაფერია საშიში... — ჩაესმა კაცის ხმა.

— საცოდავი... — სულ ახლოს ჩაჩურჩულა ხანშიშესული ქალის ხმამ. — „გიცცი“ რას ნიშნავს?

— დედას ეძახის. საოცარია, პირველად გავიგონე მისი ხმა... მთელი ამ ხნის განმავლობაში დუმდა... მუნჯი მეგონა.

— საბრალო ბიჭუნა.

მკლავიდან მკლავში გადაინაცვლა.

— სუუ! დაიძინე, — მშვიდი ხმა ჰქონდა მთხუცს. — შენ არავინ გერჩის... დაიძინე.

— მომეცი, დედი, მე თვითონ...

— იყოს, შვილო... მსუბუქია... ჭუკის წონაა, საბრალო...

კვლავ დაუნანავეს. ისევ საწოლში ჩაყენეს. ერთხანს იქვე ისხდნენ. შავოსანი ქალი და მისი ჭაღარა ვაჟი. არც

---

[1] გიცცი! თერსენ გიცცი! — დედა! მეშინია, დედა (ოსურად).

[2] მათერს — მშვიდათ იყავი — მშვიდათ იყავი (ოსურად).

[3] ნერთექე... ნერთექე... — ახლავე... ახლავე... (ოსურად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ხმას არ იღებდა, მხოლოდ მესამე იღიმოდა კედლიდან. მხიარული, გადამდები ღიმილით.

●

ბიჭს გამოეღვიძა. ერთბაშად უცხო სამყაროში რომ აღმოჩდება და ვერ გაგრკვევია — სადა ხარ, ამგვარად; ვერც საწოლი იცნო, ვერც ფარდები, ოთახიც უცხო იყო. გვერდითა საწოლი კოხტად აეკეცათ. ზედ არავინ იწვა. სიჩუმეს საათის წიკწიკი არღვევდა. უცებ ხმები ჩაესმა. ქალები საუბრობდნენ. სადღაც, ახლოს, მოღებულ კართან თუ ღია ფანჯარასთან, სართულიდან სართულზე. ერთმა მეორე მოიკითხა.

— როგორ ვიქნები, შვილო...

— თემო ჩამოვიდა?

— წავიდა კიდეც...

— ასე მალე?! ნეტავ, როდის დაადგება საშველი, დავიტანჯეთ, ტელევიზორის ჩართვა მეზარება...

— ეჰ! მარტო ტელევიზორი... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მოხუცმა. — რაღაც იმედები გამოჩნდა, მგონი, მოლაპარაკებას იწყებენ.

— ღმერთმაც ქნას!

— შენს ბიჭს სძინავს, თამილა?

— არა, აგერ, აბრძანდა, ჩაის მიირთმევს. რატომ მეკითხებით?

— ისე... პატარა ოსის ბიჭი ჩამოიყვანა თემომ. ლტოლვილია...

— უი, რას მეუბნებით, რა კარგი უქნია!

— გამხდარია, ნაშიმშილები. მარტო თვალებია დარჩენილი. ნეკნებს დაუთვლი საცოდავს...

— მადლია, თინა დეიდა!

— ჰო, მადლია...

ბიჭი გადაბრუნდა და ძილი განაგრძო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ბაქრაძე

თუ გიყვარდე...

ეს ბილიკი საცალფეხო,
ეს გზა ვიწრო,
თუ გიყვარდე, არასოდეს დაივიწყო.
ძველი ოდა, დარკილული ეს ფიცარი,
თუ გიყვარდე,
გახსოვდეს და დაიცავი.
ეს სოფელი, ეს მდინარე,
ეს კლდე სალი,
თუ გიყვარდე,
სულ გახსოვდეს, დედასავით...

ღმერთო...

მთვარე მთის წვერს
მიყრდნობია სავსე მკერდით,
აქ მგზავრს ახლა
ღამე ვედარ შეაშინებს,
ჯერ რაც განვლე
წუთისოფლის ბილიკები,
ერთი ბეწო კვალიც ვერსად დავამჩნიე.
ღმერთო ჩემო!
შემიცვალე განაჩენი,
სხვა მიეცი
ვეზი ამ ჩემს ბედის ბორბალს,
ოდნავ, მაგრამ
მაინც ჩანდეს კვალი ჩემი,
წაკითხული ორსიტყვიერ
ნეკროლოგად....

ფარცხნალი

მამიდის ხსოვნას

ძაფივით გზა, ალმართი... მოვათრევდი ჩემოდანს,
ლურჯი მდელო ცვრიანი — ზედ თვალები მრჩებოდა.
ბიბინებდა ყანები, ცაცხვი ჰგავდა იალქანს,
ერძელი სუფრა კაკლის ქვეშ, ხმა მეიფარიანთა;
შუბლზე ოფლის შეშრობის მონატრული წამი და
შეფაკლული ვაშლები, უნახავი მამიდა...
მერე გრილი სალამი, მზე მთებში რომ დნებოდა,
მთელი ღამე მთვარე ნაზ გოვოდ მელანდებოდა.
განმეორდეს ის წუთი ნეტავ ისევ თავიდან:
ძაფივით გზა, ალმართი, მოლიმარე მამიდა...

ვცხოვრობ ასე ამქვეყნად

ზოგჯერ მწარე ფიქრები, სევდა გულში გაჟონავს, —
ზოგმა ცეკვა-სიმღერით, ზოგმა ფულით მაჯობა.
ვცხოვრობ ასე ამქვეყნად, გზას მივიკვლევ ობიანს,
ზოგი ცოდნით, ზოგიც კი მოხერხებით მჯობია.
გულს არ ვიტეხ და მაინც არ ვაგინებ არავის,
თეთრ ქაღალდზე წრიპინებს ჩემი საწერ-კალამიც...

საკუთარ თავისადმი

ზოგჯერ მდიდარმა უნდა ღარიბს
უკან მოხედოს,
თორემ მაღალ ღმერთს, აბა, მითხარ,
დაემალები?
ეჰ, ვის ახსოვხარ ამ სოფელში,
თავო ოხერო,
ნეტავ ვიცოდე, ვის ჭირდები,
ვის ებრალები.
გამდიდრდა კაცი, ალბათ უფალს
უნდა უმადლოს,
მე განა ვინმეს რამესა ვთხოვ
და ვემართლები,
ხანდახან მხოლოდ გული მტკივა
ჩემთვის, უბრალოდ, —
ფულმა შეცვალა, დავიჯერო,
ვითომ ქართველი?!..
უნდა მდიდარმა ზოგჯერ ღარიბს
უკან მოხედოს,
თუნდ ერთხელ მაინც დაანახოს
სხივი ედემის,
რა შეგიძლია ამ სოფელში,
თავო ოხერო,
მაგრამ შენ მაინც სხვაზე მეტად
მეიმედები...

გუმათის გაზაფხული

გაზაფხულის სურნელით
ისევ ღამენათევი,
მინდა მკერდზე ვემთხვიო
ამ ღვთისმშობლის მთა-გორებს;
მოდის თეთრი აპრილი,
მოდის თეთრი ბაბთებით
და იმ თეთრი ბაბთებით
შენს ბავშვობას მაგონებს.
ხან მიღიმის ეს მზე და
ხან შენსავით მაწვალებს,
ჩაკოკრილა ატამი
გაზაფხულის დამშვენი,
როგორც ჩვენს ბავშვობაში —
შენს ჩამოშლილ ნაწნავებს,
აპრილის მზით გამთბარი
სტრიქონს ვეთამაშები...

მუზების თვე

მარინას

ვნებით სავსე აპრილი, ეზო, ლუდი, კამათი,
აივანი, მარინა გრძელი წითელ ხალათით;
ყავა, ძილის გატეხა, შარაშური რვეულის,
ჩაუმცხრალი ბუნება, გიჟი, გადარეული;
ვაზის ცრემლით გამბალი, გაჟღენთილი აყალო,
მერე ყავის ჭიქაში დანახული სამყარო...
ჩემთვის ახლა, ამ ღამით მთავარია სამი რამ:
ყავა, მუზა, კალამი, რა თქმა უნდა — მარინაც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სეიდიშვილი

ام დღეებში რაღაც ცივი ქარი ქრის.
ფოთლებს აცლის ხეებს, ქვაფენილზე
ყრის.
ქუჩებს ანაგვიანებს, მერე ისევ ჰგვის...
ხან მშრალია დღე, ხან უღონოდ ცრის.
გამოვჩნდებით ქუჩაში, მე, შენ, ის...
ქარი მიგვარბენინებს, რა ძალუმად ქრის,
ზოგს სველ ფოთლებს გვახურავს, ზოგს
ტანსაცმელს გვხდის...
მერე ფოთლებს, მე, შენ, მას ერთიანად
გვგვის.
ام დღეებში რაღაც ცივი ქარის ქრის...

დედა და შვილი

ყველა ექიმის გასაცრად ცოცხლობდა შვილი...
სამი ღამეა დედას თვალი არ მოეხუჭა —
გამთენიისას ჩათვლიმა წამით
და შვილმა უმალ შეწყვიტა სუნთქვა,
დედისთვის რომ არ დაეფრთხი ძილი.

გაფრენა

ის დიდხანს იყო სიტყვის ერთგული...
იმით დაიწყო ლალატი მისი —
მოვიდა ქარი ცივი და გლუვი
და გააქვავა ცრემლში თბილისი.
არავინ იცის, რა მოხდა დილით;
გონება ჯერ არ მოეცვა სრულად
ფანჯრის მინაზე გაკრული ჩრდილით
შეყოვნებული არყოფნის სურათს.
ის აღარავის აღარ უნდოდა,
როგორც გაფრენილ ლექსებს — მგოსანი,
შვილებს უმზერდა მამა უნდობლად
და დაღალული ატმის რტოსავით.
ამდენ ზღვა ხალხში მაინც ეული,
მტკვრში ნახვეტი პალტოს ბოლოთი
მამადავითზე ნახეს ავლილი,
წინ გასწრებული თავის მოლოდინს.
შემდეგ უეცრად რა მოხდა დილით:
გონება ჯერ არ მოეცვა სრულად
ფანჯრის რაფაზე გაკრული ჩრდილით
შეყოვნებული არყოფნის სურათს.

ცელქი ბიჭები

როცა ვაბიჯებდი ფეხებს ქვიშაზე,
თითქოს ჭიანჭველებს ვაბიჯებდი...
ზღვა იყო სავსე და ვიყავით სიშავით
დაავადებული ბიჭები.

ვიწექით ქვიშაზე.
მუცელზე ცხელი, პატარა კენჭები
იბწკინებოდნენ,
სხვას არაფერს გვიშავებდნენ.

ხორცსავსე ქალები ზღვაში ჩადიოდნენ...
იკრიჭებოდნენ შავი ბიჭები...
ყველაფერს სჩადიოდნენ
ქვეშ მოყოლილი კენჭები.

ქალებს ამოჰქონდათ სველი წვიები,
ვეაყრიდნენ წვეთებს ზეზეულნი...
და შიშინებდნენ ზურგზე წვეთები
ცოცხალ თევზებივით.

ბავშვები უფრო ეიკრიჭებოდით.
ვიწექით ქვიშაზე...
მუცელზე ცხელი კენჭები
ვებწკენდნენ და მეტს არაფერს
გვეშავებდნენ.

ᲗᲘᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ

დასვენების ჟინმა
სოფლად გადმომაგდო.
ბაღის ჩრდილში ვზივარ, —
უსაქმობავ. გმადლობ!

ამგზისტენციალიზმი
იმ გზისას სჯობს, მგონი.
მოაქვთ ჩიტებს ალიზი,
მიშენებენ გომურს.
წლების სიმარტოვენი
სალაღობოდ მითხოვს —
არც სოკრატე,
არც პლატონი
არ ყოფილან თითქოს.
არაფერზე არ ვიტკივებ
თავს და არც რას ვიტყვი —
ვისმენ აკომპანემენტს
მიმალული ჩიტის:
ფოთოლცვენის თემას
თხზავდა რალაც მიზნით
ჩიტი-მაკარტელა
იმპრესიონიზმის.
შემოდგომის ჟირაფს
ჭამს სიყვითლე ჭორფლის —
დავიწყება ხშირად
გახსენებას სჯობნის.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ

ბავშვებს წარმოსახვის ნიჭი აქვთ დიდი.
სახლობანას თამაშობენ მორიდებით...
ვზივარ ტრამვაიში, ბილეთებს ყიდიან
წესის დაცვით და მორიგეობით.
მე ბედნიერი ბილეთის ნახვვით
ჩემს ბავშვობაში მივემგზავრები:
და რეკენ საოცრად წკრიალა ხმებით
გამოგონილი ტრამვაის ზარები.
ნიჭი აქვთ დიდი ბავშვებს წარმოსახვის...
ქვეყანა შეცვალეს სათამაშოებმა.
არა, უთუოდ მოელი სამყარო
გამოიგონეს ალბათ ბავშვებმა:
რასაც უნდილად ანგრევენ დიდები,
ბავშვები ქმნიან დაუზარებლივ...
ვზივარ ტრამვაიში, ბედნიერ ბილეთით
ჩემს ბავშვობაში მივემგზავრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

ფურცლები

ის, რასაც ერთი ერი აღტაცებითა და ღრიანცელით ხვდება, მეორე ერისათვის, შესაძლოა, ტრაგედია და გადაულახავი წუხილი იყოს... ასეთია სამყარო.

ეს არის აბსურდი, ეს არის ტყუილი, ეს არის სიყალბე... არ მიიღო, არ შეერიო ამ ლაფს, ამ ტალახს...

ზეკოსმიური, პლანეტარული ტრაგედია, რომელსაც, ალბათ, აღარ ეყოლება თავისი მესიტყვე და შემფასებელი.

გულისამრევი რამ: როცა მავანი თავის ნაცოდვილარს ამადლის სამშობლოს, ამადლის ადამიანებს... ამის გამო უთქვამს მარცელიუსს: „უნიჭო პოეტზე თავხედი არავინ შეგულება ამქვეყნად“.

ასე ამბობდა გულდაჯერებული: გამარჯვებულია მხოლოდ ის, ვინც შეძლებს ბრძოლით მოპოვებულის შენარჩუნებას.

...მაშინ მისი ულმობელი დასკვნა ასეთი იყო: მხოლოდ უკომუნისტებო მსოფლიოსა აქვს მომავალი...

ადამიანმა იცის ყველაფერი ის, რაც დასაბამიდან მოაქცამამდე შეუქმნია კაცის გონებას, მაგრამ ეს ყოველივე ბუნებით ჭეშმარიტებას თუ ეთანხმება, — ეს კი ადამიანმა ნამდვილად არ იცის.

ყოველგვარი სიზუსტისა და ფერისცვალების მიუხედავად, რაც დედნის სასარგებლოდ კეთდება ხოლმე, მაინც უნდა გახსოვდეს: თარგმანს მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელის გულისცემა აცოცხლებს.

პოეზია ვერ იგუებს ჟურნალიზმის სულსწრაფობას. მას სჭირდება დისტანცია... ზოგჯერ იმხელა მანძილიც კი, რაც ტროას ომიდან ჰომეროსამდეა გადაჭიმული.

მინდია არაბული ჭყვება: კომკავშირში რომ მიმიღეს, შინ აღტაცებული დავბრუნდი და მამაჩემს ყოველივე ვუთხარიო... მამამისს, პატიოსან და ჭკვიან ქართველს, პირისახეზე ბოლმის სიფითრე გადაჰკვრია, მწარედ ამოუგმინია და გზასაცდენილი შვილისთვის ამგვარი რამ უთქვამს: ეგ კომკავშირი რასაც გეტყვის, ცხადია, შენ ვერ უარყოფ, მაგრამ იქიდან გამოსვლისას პირჯვარი გადაწერე და, რაც გითხრეს, არაფერი არ შეასრულოო.

ხელოვნების არსებობა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ყოფნის ტრაგიკულობას: ხელოვანი ცხოვრების მიღმა ეძებს (ქმნის) ახალ ყოფიერებას, მაგრამ უშედეგოდ: ეს არის ტრაგედია.

შენ ესწრაფვი რაღაც ღვთიურს, რაღაც თავდაპირველს, სამოთხისეულს, იმას, რაც ყველაზე უწინ იყო და ეს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 1993.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფვა გაახლოებს იმ მდგომარეობას, რაც იწყება სიკვდილის მიჯნის გადალახვის შემდგომ... და ზედები, რომ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანია სიცოცხლის სტიქიის ბედისწერული ტრიალი, მისი მიქცევა და მოქცევა.

სახლი: კუნძული. სახლები: კუნძულები. ქალაქი: დიდი არქიპელაგი... მეტყველების ამგვარი მანერა, სახეების ამგვარი წყობა ბევრ რამეს აბუნდოვანებს, ზოლი ბევრ რამეს სიღრმისეულად ანათებს, აკონკრეტებს, ამკვიდრებს.

მახსოვს: შოთა ჩანტლაძე, ირლანდიურ საგებს რომ თარგმნიდა, სულ ამ ნაწარმოებს აბოდებდა, იმეორებდა ყველგან: შინ, ქუჩაში, სუფრასთან... მისი ენოსვა ვერ სცალდებოდა ძველი ქართულით სტილიზებული ტექსტების სურნელს... და იმეორებდა რაღაც იდუმალს, მჭახე ხმით... ხოლო „ზარატუსტრას“ ნაწყვეტებს რომ კითხულობდა, ქართული ენის სიმძიმით გარეცხილი ადამიანი ვეგონებოდათ, — ისეთ ხმას გამოსცემდა, ისეთი შეჭირვებულის გმინვა მოდიოდა მისი ბაგიდან. „გავსრესილავრ მე ბარაქით ჩემი სიბრძნისა“.

შევძლებ? ვერ შევძლებ?.. ეჭვი: მარადიული ეკალი, მოსვენებას რომ არ აძლევდა შენს წინ მავალთ და შენც არ გასვენებს.

ღღესდღეობით ჩვენი ლიტერატურის უმთავრესი მიზანი: დაძლიოს კოლონიური ფსიქოლოგიის ინერცია... მაგრამ როგორ, რა გზით?

ლექსები, რომლებიც დავინახე, მაგრამ ვერ დავწერე — რამდენია? ათასობით... განუხორციელებელი შესაძლებლობანი: დაუბრუნებლად გამქრალი...

ძველი ჩინური ლიტერატურა: ათასობით სახელს ითვლის ტანის ეპოქის პოეზია. ასევე, ათასობით პოეტი მოღვაწეობდა სუნის დროშიც... უცნაური ეპოქები იდგა: მთელი ეს უზარმაზარი ქვეყანა პოეზიით ცხოვრობდა. პოეტური ქმნადობა და ლექსის აღქმა არისტოკრატობის უმაღლეს კრიტერიუმად ითვლებოდა. მრავალად იყვნენ პოეტი-იმპერატორები, ხოლო სახელმწიფოს მოხელე ვერ გახდებოდა ის, ვისაც ლექსის წერა არ შეეძლო.

დუმილი თითქოს უსაშველობის საშველია. დუმილის ხელოვნებაში, დუმილის ალაგის პოვნაში გაწაფული ადამიანი ყოველთვის რაღაცით აღემატება დანარჩენთ.

გაძვალული ხელები უმწეოდ გაასავსავა და უნუგეშოდ დაკარგული დროის გამო ესა თქვა: „რაც დამრჩა, ვერ ვთქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა; ვერა ვთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა“. მწერლური „სიზარმაცის“ გურამაშვილისეული დახასიათება.

ენის წიალი, ენის ქსოვილი, ენის ნაწილები... ამ ნაწილების შეჯერების, ურთიერთტრიალის უთვალავი შესაძლებლობა... და რატომ არ უნდა მოვიძიოთ აქედან უკეთესზე უკეთესი?

შენი დაქცეული ჯოდლები. შენი იავარქმნილი სასახლეები. შენი გაპარტახებული მთა-ბარი... შენი შვილების ფეხქვეშ მოკანკალე მიწა. შენი ცრემლი... დათხეული სისხლი უბრალოა... ამ სურათის დეტალურ დახატვას ქართული ენა თითქოს გაურბის, თითქოს არ სურს; თითქოს ვერ იჯერებს...

სულიერი მონობა, დოგმატიზმი და მენტორული ყოყლოჩინობა: ყოველივე ეს ქმნის პროვინციალიზმის ჭაობს, აგუბებს პოეტურ ენერგიას, კლავს მას თავის თავში...

დაცვა, დაპირისპირება, აპოლოგია, მხილება — იდეოლოგიაა და ყოველთვის მოსალოდნელია, ტენდენციურობის ნიღაბი აიფაროს ერთი შეხედვით ამ უწყინარმა მზეთუნახავმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწროკუთხური ამბიცია: საფუძველი ძრავალი ავანტიურის; დამაქცეველი... შოვინიზმის ამაზრზენი სახეობა, რასაც დღმა მეფემ დავით აღმაშენებელმა დაუპირისპირა ხმალი.

გენიალური ტექსტი უცვლელი, მარადიული ღირებულებაა. ასე რომ არ იყოს, მაშინ გენიალური ლექსი ერთ მშვენიერ დღეს წარმოგვესახებოდა ჯოჯოხეთურ სიმახინჯედ, ხოლო ხელმოცარული ვინმე მჯღაბნელის ნახელავი წარმოგვიდგებოდა გენიალურ ქმნილებად... და ასე: ჩვენ დაგვერჩვეოდა ობიექტური შეფასების ყოველგვარი საზღვრები და კრიტერიუმები... ტექსტის ღირსებას, ჟამთასვლის კვალობაზე, აფერმკრთალებს მხოლოდ და მხოლოდ გემოვნებისა და სტილის ცვალებადობა.

ბერიკაკი იგონებს: ოციანი წლებია. კომკავშირელი ვარ. ქაქუცას რაზმს ვებრძვი. დამიჭირეს ქაქუცელებმა ემანდ, შარახვეის ტყეში. მიმიყვანეს მეთაურთან. ქაქუცი ჯიუჯზე ზის. მუზლებზე უწყვია ქათქათა, ხმელი ხელები... ეს რა ვიკეთიაო, კომკავშირის ნიშანზე მეუბნება. ეს კომკავშირის ნიშანიაო, ვპასუხობ. ეხლაო, მეუბნება ქაქუცა, ეგ ჟეტონი დღეჭე და გადაყლაპე, დანარჩენზე მერე ვილაპარაკითო... ვღეჭავ ჟეტონს. შემომყურებს ავად თვალშოწყურული ქაქუცა. ვღეჭავ. პირი სისხლით მევსება. მაგარი რკინაა. როგორც იქნა, დავღეჭე და გადავყლაპე... ყოჩაღო, მითხრა ქაქუცამ, ბრძანების შესრულება გცოდნიაო. მშობლები ხომ გყავსო. ეხლა წადი და იმათ მიხედე, იმათ ნაოქვამს დაუჯერე, ეგ არის შენი ვალიო... და გამიშვა... ღმერთო ჩემო, არ მეგონა თუ ცოცხალს გამიშვებდა!.. ღმერთო ჩემო, არ მეგონა!

სოციალიზმის მემკვიდრეობა: საშუალო მწერალი, საშუალო მხედარი, საშუალო ეკონომისტი, საშუალო ხელოვანი, საშუალო პოლიტიკოსი... დროის ნიშანი: უსახო სახე, ყველას და ყველაფერს ერთფეროვნების ჭაობში რომ ითრევს და აქრობს.

ძველისძველ ხმალ-ხანჯალს გარეთ გამოიტანდა, მზეს დაანახვებდა; ბებრუალი, მისუსტებული ხელებით ტოტნიდა, ეფერებოდა; მერე უსინათლო მზერას შორეთს მიაჭერნდდა და ჯარისკაცურად, მტკაცედ ამოიგმინებდა; ღმერთო ძლიერო, ღმერთო მაღალო, გაახსენე ქართველს საქმეთა შორის უპირველესი: მხედრული საქმე!

თანამედროვეს უეჭველად გააღიზიანებს პრეტენზიულობით აღბეჭდილი შენი სიტყვა და, თუ ამას შეუშინდები, უეჭველია, ქმნადობის წამიც შეშით აგავსებს, რადგან ყოველთვის უბრალოების დაღიანი რამ როდი გამოდის შენი ხელიდან... აქ არის პრეტენზიული და გაოფორებული წყობილსიტყვა; თუმცა კაცმა რომ თქვას, ამან რატომ უნდა შეგაკრთოს... საშიში ხომ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთისა და ბუნების წინააღმდეგ ნათქვამი სიტყვაა.

უფლის „შეცდომა“: მან დამჯერე შეგირდის ნაცვლად შექმნა მეამბოხე... და კაცთა განწირულობის სათავეც აქ არის დამარხული.

რითმების ჰარმონიული სიახლოვე... და მათ შორის დიდი აზრობრივი მანძილი, სიშორე, რასაც პოეტი ხშირად ათასგვარი ხარახურათი ავსებს, რაც, თავის მხრივ, სულაც ვერ აახლოებს ამ ორ, ანთროპალოგიურად მონათესავე, მაგრამ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სიტყვას.

ძაღლო, იყეფე რამდენიც გინდა, ულრანე, უკაწუნე კბილები პირქუშ ღამეს... სულ ერთია, უკან მაინც ვერ დაუბრუნებ საშოვარზე გამოსულ მგელს, ყაჩალს, სიყვარულის ქურდს... იმათ ეკუთვნით ეს ღამე: ის არის მათი შავი ასპარეზი, მოედანი, ცდის ველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიხარდი მაჩხოშვილი: ფსევდონიმი: მერცხალა... ამ ორმოცი წლის წინათ ფშაეში ხშირად გაიგონებდით მის სახელს. მერცხალას ნათქვამი კაფიები ხომ ყველას პირზე კეკრა დღეობაში, ქორწილში, ხვნა-თესვაში, თიბვაში... მერცხალას ლექსი, მისი ცხოვრების ლეგენდა ცოცხლად დაბაიჯებდა ამ არემარეში, თან ახლდა მწყემსსა და გუთნისდედას, ჩონგურის ხმას აყოლილი, ცელის სივლითან დაწყვილებული, ხარგუთნის კვალში ჩამდგარი... მერცხალა ატყოდაო, ასე ამბობდნენ, ცინცხალ კაფიას როცა ყურს მოკრავდნენ... მერცხალას ნათქვამს მიაზომებდნენ სხვათა ნათქვამს, მისი ძალითა ზომავდნენ... მერცხალას ნათქვამსა ჰგავსო, იტყოდნენ, თან ღიმილი გადაუვლიდათ პირისახეზე... მერცხალას ისე იხსენიებდნენ, როგორც კარის მეზობელს, თითქოს, აგერ, სულ ახლახან ნახეს, სულ ახლახან მოუმინეს... მერცხალა თურმე კაწალხველებმა დახანჯრეს, ამბობენ, ისეთი ჭრილობები ჰქონდა, მისი ფეხზე დადგომა აღარავის ეგონაო. თვით კაწალხველებიც იმედონებდნენ, მერცხალა მოვკალითო. მაგრამ ერთ დღეს ისევ მოესმათ მერცხალას დანაბარები: „საწყლებო კაწალხველებო, ჩამოვენგრიათ საზარე, ფუნწიათ ქალსა ზორასა კარზეით დაუზანზარე...“ გახარებულა ფუნწია — ხბო გამინნდება სახარე“... ამის მერე კაწალხველებმა გაუგზავნეს ხარი და მახვეწარი: ეს ხარი შენი იყოს, ოღონდ თავი დაგვანებე, ჩვენზე აღარაფერი თქვაო... მაგრამ ვერც „ქრთამმა“ გასჭრა თურმე...

გული: ბრმა და ნათელმხილველი. გულითადი, გულსაჭე, გულთასრული, გულმავიწყი, გულოვანი და ა. შ. ამ სიტყვებით იზომება ადამიანი. გულის თვისებაა კაცის ცხოვრების, მისი სიცოცხლის საწყაო. რუსთაველი ასე ხატავს გულის სიღრმეებს: „გული — ბრმა, ურჩი ხედისა, თვით ვერას ვერ გამზომელი. ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი“.

კომუნისტებზე იტყოდა: ამათ რო ჭუჭყიანი სული აქვთ, აქოთებული, ჭყაფით სავსე. მიკვირს, ხოლერა და შავი ჭირი რომ არ აჩნდებათ... შავი მანქანებით რო დაგველაობენ, სისხლის მსმელები, ქატოთი სავსეები, ჭირიანები... ფუ!..

ღარიბ-ღატაკი, მელექსე და კეთხული კაცი შეთე ხახონიშვილი კვდებოდა. მეზობელმა, ილო ფხოველმა მოინახულა თურმე. როგორა ხარო, უკითხავს ილოს. აბა, როგორ ვიქნებიო, უთქვამს სულთმობრძავ შეთეს, ხომ ხედავ, ამოდის ეს ოხერი სული, ამოდის და ვერ ამოიღიაო, საკვირველია, რამსიგრძე სული მქონიაო...

მიხა ხელაშვილის დედა კიმკავშირის აქტივისტებმა მოკლეს. ეს რომ გაიგო მიხამ, ასე თქვა თურმე: მტერიც არ შემხვდა მტრის ფერი, ვარ უბედურის დღისაო... ბედნიერებაა ღირსეული მტერი! უბედურია ის, ვისაც უღირსი მტერი შეხვდება!.. ასგზის უბედურია უღირსი მტრის მოკლული!

ლელთ ღუნია. ვინ არის ეს იდუმალი მგზავრი, თავისი ქვეყნის „თვალ-ყურმადევარი“, ეს ჭაღარამორეული ბოგანო, ილიას რომ დაემგზავრა სტეფანწმინდიდან ფასანაურამდე?.. ვინ არის ის, ასე რომ ჩასძახის წყვეა-კრულვიან სიტყვებს, გულისცეცხლს რომ უნთებს ახალგაზრდა პოეტს, მომავლის დიადი საქმეებისთვის რომ ჰგეზავს იდუმალ?.. სატკივარს რა ვუყოოთ, ჩასძახის ის და გუმანითა გრძნობს, რომ მისი ხმა არ აირეკლება, ექოდ არა ბრუნდება: ის უწინარდება პოეტის გულში, იქა გუბდება, ერთვის განუწყვეტლივ ტკივილს: ქართველთა მარადიული სისხლისღვრის სათავეს უერთდება, რაღაც დიდს ემატება, საძირკვლად ედება... მას რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყნია თითქოს, წარსულში დარჩენია, რადაც დიადი და განუმეორებელი დავიწყნია, მაგრამ იგრძნობა, რომ იმას ეყრდნობა: დავიწყებულს, რეალურსა და მყარს. მას აქვს მტკიცე წყალქვეშა ფეხმოსაკიდი: ამიტომ არ იძირება. ამ საყრდენს ებჯინება მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი... მის ხმაში ქართული სიტყვა იფარება ხორკლით, მაგრამ იძენს საკვირველ თვისებას მახვილის, იარაღის, პრიალა ორლესულის. მისი სიტყვა დარაღილს წყლისფერ კლდეებზე ილესება, იცვლის ფორმას და სახეს, რაღაცას კარგავს, რაღაცას მოიპოვებს... მისი სული, მისი სწრაფვა, მისი იმედი როცა გადაიწურება და იმის ადგილს როცა მეფროვე იჭერს, მაშინ ის თითქოს იწყებს უკანდახევას, მიქცევას: თითქოს დგება შესვენების, სულის მოთქმის ჟამი, ძალთამოკრეფის, ქვათა შეგროვების ხანა... მაგრამ შესვენების დრო მალე იწურება: კვლავ იღვიძებს ამ მარადიული მამრის ისტორიული მეხსიერება. კვლავ ენთება ჟამი; სისხლით გადაწიწკლული... და გარდასულის ქაოსიდან, დროის ახლაბუდიდან მას ამოაქვს დაკრისტალებული, ჩამოყალიბებული, თავისთავად აზრი; სულის დამოუკიდებლობის იდეა. ბუნებაა მისი თავისუფლების პირველწყარო: მისი დასაბამი, მისი ნიადაგი. მისი კვარცხლბეკი. მისი სულია ბუნება, რომელიც „ეხლოდ იმას მიელტვის, რომ არავის დაჩაგვრინოს თავი"... ინტელექტი: საქართველოს კლდოვან მწვერვალებს შორის შობილი. ფეხვი ქართული მიწისა. მოგზაური ხელარგნილი. მას ბევრი ვინმე გადამთიელი გადაელობება თავის გზაზე. ბევრი ვინმე დამოძღვრავს, მაგრამ, სხვათა აზრებს ნაზიარები, ის არ დაკარგავს მთავარს. ბედისწერას აყოლილი, ის მობწყალავს საუკუნითა ყინულებს, კაწრავს ლუსკუმ კლდეებს და მისი ნატოტარი. მისი ნატერფალი ლეგენდად ამოიტვიფრება წარსულის წიაღში. მომავლის ცასაც სწვდება და, რაც მეტად ვშორდებით, მით უფრო ნათლად მოჩანს მისი ხატება და გვესმის გულჩაბღუჯვით ნათქვამი: „უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალნი ბაყაყნი, ჭიაჭუაი, ქვეძმრომი გამრავლდის"... გუთნისდედ და მეურმე. მხედარი. საქართველოს შესაკრებელი. მრავალი ერთი. მას მწვემსის დაძონძილი ტყაპუჭიც აცვია და მაესტროს კუნაპეტი ფრაკიც. უამრავ სახედ ნაწილდება, მაგრამ მისი მრავალი გული ერთგვარად ფეთქავს, ერთის კენესითა კენესის. მისი ხმალი ელავს დედამიწის სხვადასხვა ნაპირზე. სხვადასხვა სიმართლეს გადმოაფრქვევს მისი ბაგე... ყველაზე გუსაძლის წუთში მისი გულიდან ბედისწერული რამ გრგვინვა მოისმის და ისიც – გულის, მიწის და ზეცის მოყურადე, ერთადერთ სწორ გზას ირჩევს, დგამს სახედისწერო, მაგრამ უტყუარ ნაბიჯს. ამ ნაბიჯს ის გმირობისაკენ მიაჯავს... მარ იცის: იქ, სადაც „როზგქვეშ გატარებული" თერგი მოდის, სადაც უცხო ხელი არავგებს „დიდ-დიდ ჩინებს", იქ ყოველთვის დაისადგურებს ვაჭრულ-ჩარჩული სული. იწყება პირად და ეკლად გაჯუღურება, ქვრივ-ობოლთა განუკითხაობა, მეძავ-მრუშობა, მტრობისა და გესლის ჩამოვარდნა, ფიცის გატეხვა... და რიცა ფიქრობ, რომ ყველაზე თამამსა და ყველაზე მტკივნეულ აზრს ხავსი გადეფარა, როცა ფიქრობ, რომ ყველაფერი ჩაქრა და მედროვეთა მონოტონურ სვლას გაჰყვა, იმათ აუწყო ნაბიჯი და გულისცემა, მაშინ გაიღვიძებს ის: შორეულ ბურუსში წამოდგება, ფეხს მოინცვლებს წინაპართა სისხლით გასპეტაკებულ მიწაზე, თვალს მოავლებს ჟამთასვლით ჩამოკაწრულ კლდეებს და შენს შესახვედრად წამოვა, გულში ამოვჩილ მიზანს ჩაცეებული. საქართველოს მიწის მარადიული მგზავრი: ლელთ ღუნაი.

ბიბლიური მაგალითი: იესო მოწაფეებთან ერთად ავიდა თაბორის მთაზე. იქ მოწაფეებს ჩაეძინათ. მაშინ იესომ აღაელინა ლოცვა. ლოცვისას „მისი პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისახე გაბრწყინდა, როგორც მზე, ტანისამოსი მისი გათეთრდა, როგორც თოვლი“... ასეთი იყო იესოს ფერისცვალება... ეს იყო მისი ნამდვილი სახე, ხორციელის თვალთაგან დფარული...

პოეზიის მგმობელი: ხელმოცარული პოეტი, პროვინციის ობივატელი – უწიგნური ხეპრე და კიდევ... ვინ?

ასე ამბობდა: ყინულიან მთებსაც შევტირე, შევჩივლე ჩემი საწუხარი; სხვადასხვა ჯურის ტრიბუნებზეც ვთქვი და ვივაგლახე; მატნნეგზე ამოვახავლე... ყველგან, ყველგან... მაგრამ არ იქნა, თავისთავადობის, თავისუფლების წყურვილი ვერ დავიოკე, ნატერა ვერ ავისრულე... მაგრამ ამედი დღემდე მომყვა, დღემდე შემრჩა და ეს მაძლევს ძალას, ეს მაძლებინებს.

ანკარა, დაწმენდილ განსჯაზე ნუ იფიქრებ: მას მუდამ ერევა რაღაც სხვა დინება, ვიღაცის აზრი ამღვრევს, ვიღაც შორეულის ფიქრი ჩქეფს, ვიღაც მავანის გულში გამოელილი სიტყვა მდულრავს...

ფართო მხარბეჭიანი, ჯანიანი გლეხიკაცი იყო. ეახელი. თოხლებს ჰყიდდა ავჭალაში. ერთ კარკიტა, გაქუცულ და არამკითხე მუშტარს ეგრე უთხრა: – რა ექნა, ძამი, ჭიჭუა ექვთენა ჩემს წინაპარსა, მეც ჭიჭუაშეილი, ვარ; ბაგრატა რო რქმევოდა, მაშინ ბაგრატიონი ვიქნებოდი, მა!

მე ვიყავი ეამთასელის მოყურიადე, მისი შემფასებელი, თანამდგომი... ერთ ვაებას სცვლიდა მეორე: უფრო ტკივილიანი და გულშემზარავი ვაება. და არა ჩანდა ხსნა. აკ იყო საშველი ამქვეყნად... მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი: კაცთა ირონიული ღიმილი როგორ ანგრევდა უსახოობის პირქუშ კედლებს და წინ მიიწევდა რაღაც მყართან, რაღაც დიადთან შესახვედრად, მასთან შესანიეთვლად... და ჩემი ყოფნის უმთავრესი აზრიც ეს იყო: მიმეცნო ამ იმედის იდუმალი წყარო, დამენახა მისი საძირკველი, მისი სათავე; გამეგო მისი მიმართულება, მერწმუნა მისი მარადიულობა.

ამგვარი რამ ამომძახა ამაყმა და ვონიერმა ბერიკაცმა: ხანმოთეული ადამიანები რომ არ კედებოდნენ, სამყარო კონსერვატიზმის უსაშინლეს ჭაობში ჩაეფლობოდა!

ღიმილიანი მხარე, ღიმილიანი მაწა, ღიმილიანი პოეტი, ღიმილიანი ლექსები... და, ღმერთო ჩემო, არსად თუნდაც ნატამალი ღრუბლისა, მწუხარებისა... არაამქვეყნიური ოპტიმიზმი, უსაზღვრო ბედნიერება, რაც, ბოლოს და ბოლოს, იმას მოწმობს, რომ ეს კაცი რეალისტი არ არის.

იმპერიულ-სოციალისტური ბალასტი, ცენზურის საცერში გამოტარებული მდინარე: მღვრიე ქვეტექსტებით ნაკვეი ხეული კოლონიური პოეზიისა, დღეს რომ ქრება, ანნდება, კედება...

ერთი პარადოქსი: ევროპაში კონკრეტულმა და სიურეალისტურ-რეალტიულმა პოეზიამ დრო რომ მოჭამა, ჩვენში მაშინ დაიწყო მისი აღმასვლა, აყვავება, აღმოჩენა. მზეზე გამდის სიტყვის თამაშის, ენის დიზაინის ხელოვნება. გარდუვალი ჩანს: ის გზა, რომელიც გაიარა მსოფლიო პოეზიამ, უნდა გაიაროს ქართულმა ლექსმაც... ეს არის რაღაც ბუნებითი სასჯელის მაგვარი კანონზომიერება.

არის მიწასთან და სისხლთან წილნაყარი სიტყვა, ენის სიღრმეში შემკვრივებული ხმა: ის ირევა კავკასიონის ფერდობებზე ასხლეტილი ქარის ხმაში, ირევა ზვავების გუგუნში, დედამიწის ძვლების ჭრიალში; ცეცხლსაც გამოივლის და ყინვის კბილებსაც დაუსხლ-

ტება; ცრემლშიც გასპეტაკდება და ოფლშიც... და ასე, თანდათან და შეუმცდარად გადადის თაობიდან თაობაში, ამქვეყნიურ მწუხრში წინ მიგვიძღვის, გზას მიგვინათებს... რომელიაო ეს ხმა, ეს სიტყვა, რომ კკითხონ, ნამდვილად ვერ იტყვი, მაგრამ გრძნობ, რომ ის არის, ის ნამდვილად არის, მძლავრი, ერთადერთი და ყოვლისმომცველი, როგორც ღმერთი.

ჩვენს გულში, ჩვენ სულში, ჩვენს ტანში თუ დარჩა, ნეტავ, რამე ნატეხი იმ დროის, იმ ძველი ჟამის, როცა „ჩვენი თავი ჩვენსადვე გვეყოფდნეს?“ ხოლო თუ დარჩა, მაშინ რატომ არ იგრძნობა, რატომ არ მოჩანს იმ დროის ცეცხლი, იმ დროის სისხლის შხეფი?.. ვეკითხები ცას, ვეკითხები მიწას, ვეკითხები ღრუბლებს, ვეკითხები ღრუბლებზე გამობმულ წვიმას... ხოლო შენ, ცხოვრების ლაფში ნარევო, ოფლთა და სისხლით გადაშხეფილო, შენ არ გეკითხები, რადგან ვიცი: ამ კითხვების პასუხი შენ არა გაქვს...

შიშით მოტოტნა გრანიტის კედელი, ჩამოფხიჭნა და გაბრუნდა. მიდიოდ რწევით და ფრუტუნით. მანქანებით გაჭედილი ქუჩისკენ აპურჭვებდა... გამოსცემდა დამფრთხალი, გაავებული ნადირის შემაძრწუნებელ ხმას... ჟამიჟამ ჯაბეში ეძებდა რაღაცას, ეძებდა გამეტებით... ნეტავ, ვინ იყო?

ვაჟა-ფშაველა დგას ქართველთა თავდაბირველ აკვანთან, ქართველთა თავდაბირველ სავანესთან. მის მზერაში ირეკლებიან წელმოწვევტილი საუკუნეები, ირეკლებიან ოქრონარევი წლები. ქართული სიტყვის არამწიერი შუქითაა განათებული მისი შინაგანობა, მისი არსება. ხოლო მისი მზერა ისტორიის ბნელეთს მიაპობს, ანათლიერებს; თავზე ბანჯგვლიანი ქუდი ჩამოუფხატია... ირევა, ილუფხება მარადიული ბუნების იდუმალ წიალში, როგორც ტანსრული და მძლავრი ხის ნაფოტი. იმ სინათლის ნასხეპი, დასაბამიდან რომ მოსდევს ქართულ მიწას. ეს შუქი ზოგჯერ მინელდება, მიიწურება და კვლავ იელვებს მოულოდნელად და თავზარდამცემად. მისი წყარო, მისი მიზეზი უსასრული და დაულეველია... ამგვარად მოჩანს ის შორიდან... მოჩანს კიდევ უფრო სხვანაირიც... ხოლო უფრო შორიდან, ალბათ, კიდევ სხვაგვარი გამოჩნდება... ასეთია თვისება ამ თვითნაბადი კოლოსის, ამ სასწაულის.

მწერლობა, ალბათ ერთადერთი საქმეა ამ ქვეყანაზე, რომელსაც არაფერს მატებს ინტერპრეტატორი-მენტორების თითთა ქნევა, ენის ჩლექვა და მათი ლუღლუღი უსასრულო.

მოჯანყე დიდებულებს გაექცა მეფე საურმაგი: დურძუკეთში გადავიდა. იქიდან ეცემოდა და აოხრებდა თავის ქვეყანას. იმდენი აოხრა და გვემა დურძუკთა შემწეობით, რომ ბოლოს ხელი შერჩა ნოხრალი, უკაცური და გაძვალტყავებული საქართველო... ჯანდაბას ქვეყანა! ტახტი ხომ დაიბრუნა! დიდებულები ხომ გასვა ძელზე! შური ხომ იძია! აბა, როგორ გეგონათ! ქართველი იყო და სხვაგვარად როგორ მოიქცეოდა! ვახ, ჭირიმე! განსხვავებული ყანწით... იმისი სადღეგრძელო! გაუ!.. საუ!..

დროის ნიშანი: მწერალთა მტრობა, ზიზღი, შეხლა-შემოხლა, გაძრომა-გამოძრომა... და ძალზე ცოტა: კარგი წიგნი, კარგი ლექსი, კარგი რომანი...

მყვირალა ფრაზების ფეიერვერკი, პროპაგანდისტული რიიმოსნობა. გაყიდული პოეზია. ესტრადის ლექსი... ეს ყველაფერი იყო და იქნება მანამ, სანამ პოეზია პოლიტიკის ჭაობიდან არ ამოვა.

პოეზია ხალად მიყვარს, წიგნებში თავჩარგული ჭიაღუების არაფერი მჯერაო; წიგნს რომ გადაშლი, ლექსი უნდა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეშეფოსო; წიგნსაც სისხლი უნდა ედგას, სისხლი უნდა სდიოდესო, — წყნარად მეუბნებოდა, ტკეპნა-ტკეპნით, თან ჯარისკაცის ფარაჯას ისწორებდა: აფხაზეთის ომიდან იყო ჩამოსული მცირე ხნით; — ამ ომისას ბევრს ვერაფერს გიაგებო; იქ ყველა ჯერისა და ასაკის ხალხი იბრძვის, იქ არის, ვისაც თავი ემეტებაო; დედლებიო? დედლებიც ბევრიაო... ზოგი აქედან ჩამოვიდა, ზოგიც იქ მოდედლდაო; ეგენი არიან, სუფრაზე სამშობლოზე რომ ცრემლავენ, გულზე ხელს რომ იბრაგუნებენო...

ძველი, ძველი. გაფერმკრთალებული სურათი: ხანჯლის ტბაში დუდდა ნინოწმინდის კამკამა ცა. პირქუშ ხევებში იდგა სალამური დუმილი: გამჭოლი, ჩაიდუმალებული... და უცებ: ტკვიამფრქვევის გაბმული კაკანი, ნინოწმინდის ცა რომ შეჩქეფა, ხანჯლის ტბა რომ დახანჯლა, ფაფარი აუშალა... იქაურმა სომეხმა მითხრა: ეს ხანჯლის ტბაოო... ხანჯლისა-მეთქი, შეკუსწორე. — ჩვენთვის ხანჯალია, თქვენთვის ხანჯალი იყოსო, დამიგდო სიტყვა და წავიდა... ძროხას მწყემსავდა ის სომეხი. ეტყობოდა: თვალებში სიძულვილის ეკლები ჰქონდა გამოსული.

შეჯიბრი სპორტში. შეჯიბრი ომში. შეჯიბრი შრომაში... მაგრამ: ვის გაუგია პოეზიაში შეჯიბრი?

პოეზიის სოციალისტურ-პანეგირიკულ-იდეოლოგიური ხასიათი, თანაბარი რელიეფი... საშინელება იქნებოდა აქ რელიეფში აქა-იქ ოაზისებს, გორაკებს და ხეთა აშოლტილ ყლორტებს რომ არ ეხედავდეთ...

პოეზია იყო ყოველდღიური „ფაქტების მონობიდან“ თავის დაღწევა: თითქოს გამარჯვება ერთგვარი, თითქოს თავის მოტყუება, ეჭვებისა და ტკივილების მსხვრევა.

ჰერაკლიტე თვალს საუკეთესო მოწმედ მიიჩნევს... მაგრამ ეს მოწმე მწერლისათვის უტყუარი ვერ იქნება, რადგან მწერლის მეგზური თვალდახუჭული ინტუიციაა.

და მითხრა:
იქ, სადაც შრომის სიხარული არაა, სიცოცხლე ჯოჯოხეთადაა ქცეული. მე მანახავს მუშები, მინახავს მუშაობის ჟამს, სამუშაოს დასასრულს და სხვა დროსაც... არავითარი კმაყოფილება და სიხარულის ნასახი იმათ სახეებზე მე არ შემმჩნეულა... არავითარი. მხოლოდ ტანჯვა, წუხილი, კვნესა.

ის ადგილები, ფეზით რომ მომივლია, სამუდამოდ შემორჩა ხსოვნას... სულ სხვა მანქანიდან, მატარებლიდან ნანახი მიწა: ის თითქოს წამიერ აენთება ხოლმე და ისევ ქრება უკვალოდ, უსინანულოდ, სამუდამოდ...

ასე მეუბნებოდა:
ჩემი კეთილო, აკრძალვას ყოველთვის შიში მოსდევს; ხოლო შიშს მოსდევს მორჩილება... დემოკრატიის უმთავრესი მიზანიც ის არის, მორჩილება მონობად რომ არ გადაიქცეს. თუ დემოკრატია ამ პროცესს ვერ გააწონასწორებს, მაშინ უეჭველად იმძლავრებს მონური სული... ეს ბრძოლის პროცესია, ერთგვარი არეანა, საიდანაც დემოკრატია თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდის... მაგრამ თვით დემოკრატია სად არის? ჩვენში?

რას გეტყვი, იცი! ხელმოცარული პოეტი ზომ გაგიგონია. ხელმოცარულობის ამაზრზენი კომპლექსი მას უბიძგებს სხვათა ტექსტების ჩხრეკისაკენ, შემფასებლობისაკენ, ანალიზისაკენ... ისიც, ცდილობს ერთგვარი კრიტიკული სიწმინდის დაცვას, კვლავ და კვლავ ვარდება სუბიექტივიზმის უძველეს ხლართებში და ხელს უწყობს ლიტერატურული უსამართლობის დამკვიდრებას. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეცნობიერში დუღს ერთი აზრი: „მე ასე დავწერდი, ასე აჯობებდა“... და ეს ყველაფერი ბოლოს გამოჟონავს სიძულვილად... და, ღმერთო ჩემო, ლიტერატურის ამ გურმანმა, ამ მოტორტმანე კანონმდებელმა, კრიტიკის ამ მეხმლემ თავისი დაუძლეველი სნეულების გამო არაფერი იცის!

ქართველ კაცს ძილის უფლება არა ჰქონდა: როგორც კი ჩათვლემდა, იმწამსვე დაკარგავდა მამულს, ოჯახს, თავისუფლებას; როგორც კი ხმალს შეიხსნდა, იმავწამს მსხვერპლად იქცეოდა ხოლმე... რუსეთთან საქართველოს შეერთების მერე გადარჩენის ამ თანამდევმა გრძნობამ საბოლოოდ ჩათვლიმა, შემდეგ და შემდეგ ის თვლემა ფატალურ ძილში გადაიზარდა... მაგრამ იმ გრძნობდან რაღაც გადარჩა და ის ფოლკ-ლორმა შემოგვინახა... ერთი მოსაზრება: საქართველოს ისტორია, ქართული ფოლკლორის მიხედვით დაწერილი... მე ვხედავ ამ დიდ წიგნს: ის უდავოდ დაწერება! მაგრამ ვინ დაწერს? რომელ საუკუნეში დაწერს?

სიცოცხლით გაუძღომელი კაცი. მის გულში: მოლოდინის მღერიე მორევი. მისი სიტყვა: „მინდა ვიცოცხლო დიდხანს, დიდხანს, რომ გავიგო, რა მოხდება, როგორ დამთავრდება ეს ყოველი“... და არაფერი არა ხდება... და არაფერი არა მთავრდება...

ლიტერატურის არამზადები. მათი ჩალიჩი, გაძრომა-გამოძრომა, საქმის ჩაწყობა-ჩალაგება... და ყოველივე ამის შედეგი: ლიტერატურის ფუნქციონერთა სავარძლები, გაჯახირებულ-გაიმასქნებული ოუბილეები, პრემიები და ა. შ.... სადაა ამის საშველიო, მეკითხები შენ. რა გითხრა, რა გიპასუხო! ერთი რამეა სანუგეშო: ლიტერატურის ეს ამაზრზენი ატმოსფერო ცხოვრების დინებას ვერ შეცელის, ვერ გაამრუდებს, თუკი ცხოვრება ჭეშმარიტ კალაპოტს მისდევს. მაგრამ, ვაგლახ, რომ ცხოვრებაც მრუდია, გზაც მრუდია, სამყაროც მრუდია და მრუდია მისი ანარეკლიც.

პოეზია, როგორც ბუნების ელემენტი... და მისი უპირველესი თვისება: სრულყოფისაკენ სწრაფვა.

ამგვარი რამ მითხრა: გონი მხოლოდ პკეა, ქაფია, ოკეანის უფსკრულთა თავზე მოტივტივე. მან იცის, რაღაც მნიშვნელოვანი რომ ხდება იქ, ქვემოთ, მაგრამ რა ხდება, როგორ ხდება და რის გამო ხდება, — ეს კი ნამდვილად არ იცის.

არტურ რემბო: წინასწარმეტყველი. „მთვრალი ხომალდით“ იწინასწარმეტყველა თავისი ავანტიურისტული მომავალი და მსოფლიოს პირქუში სასწაულები. მისი ღაღადი იყო ნათელხილვა, როგორც იოანეს გამოცხადება. მან არავითარი იმედი არ დუტოვა იმათ, ვინც შემდგომ უნდა მოსულიყო.

ტექსტი, რომელიც არ აერთიანებს მხატვრისა და ნათელმხილველის გულისცემას· ენის ჯადოქრობა სადაც არა ჩანს... სადაც არც ცრემლი იღვრება და არც სისხლი... ერთი მითხარი, თუ გინახავს ამგვარი ლექსი?

პროვინციული თვისება: რადაც უნდა დაუჯდეთ, არ აპატიონ კრიტიკა, განსხვავებული აზრი, განსხვავებული გემოვნება, განსხვავებული შეხედულება... ამის შედეგი: პასუხები და პასუხის პასუხები. აქედან იღებს სათაეეს კულისების კინკლაობაც, თავისუფალ ინტელექტუალურ ცხოვრებას რომ აუბედურებს.

წინ მივიწევ, ე. ი. უკან მივდივარ; აღმართ-დამმართის ერთიანობა... და სხვა სენტენციები ჰერაკლიტესი, რომლებიც შეერწყა ელიოტის ლექსებს და ძალიან წაახდინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს მოღალატეს თუ ესიზმრება სამშობლო? ღალატი თუ შეიცავს სიყვარულის ელემენტს?

ასე მითხრა: ბედნიერება? ბედნიერება უკვდავების მეორე მხარეა: ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ყველა დამიეწყებს.

უნიჭობა ტყუის, ცრუობს და მალავს თავის სახეს, თუმცა ყოველთვის, ყოველ ვითარებაში იცნობა ის: მისი მამხილებელია ტყუილი.

როცა ამბობენ, პოეზია ახალგაზრდობისას იქმნებაო, მაშინ იმედი ახალგაზრდა პოეტების მხარესაა; ხოლო როცა ამბობენ, პოეტები სიჭარმაგის ჟამს ამბობენ თავიანთ სათქმელსო, მაშინ იმედი ბებერი პოეტების მხარესაა. ვაჟა-ფშაველას ცხოვრების მაგალითს თუ მოვიშველიებთ: მცდარია ორივე მოსაზრება.

ხელოვნებამ ადამიანი უნდა გაათავისუფლოს, ხოლო სანამ ამ ღვაწლისა მისიას აღასრულებს, ხელოვნება თვით უნდა გათავისუფლდეს...

ყოფიერების ქაოსი, აღწერილი ნაწილ-ნაწილ და დაწერილებით. ტეხილი ხაზები. მრავალწერტილი. ასოციაციური ბინდი... ასეთია ცხოვრება: უსიუჟეტო, მოულოდნელი... ასეთია რეალიზმი... შეეს თუ გინახავს სიუჟეტის ძაფზე აკინძული ცხოვრება?

ომს იწყებენ მთავრობები, ხოლო ომს განაგრძობს სიძულვილი, ყოველი ომის თანმდევი რომ არის, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა. სიძულვილი ომის შედეგებიდან ყველაზე საშიში და დაუძლეველია... წარსულში ვინც ჩვენ გვეომებოდა, სწორედ იმ ხალხის სიძულვილია დაკრისტალებული ქართულ ხასიათში: ის სიძულვილი არ ჩანს, მიჩუმათებულია, მაგრამ უმალ იფეთქებს, როგორც კი საამისო პირობები შეიქმნება... და ყოველივე ამის მიზეზია ომი, რომელსაც თვით ხალხი არასოდეს არ იწყებს.

— გულით დატკბი იყო, ცრუმეტყველი და არამკითხე ეჭველ-მეჭველი. შარაზე გამოდგებოდა: თვალს უმწვეტებდა გამ-ელულ-გამომვლელსა, ამელულ-ჩამელულ-სა. სუ რაღაცასა ქვებუდნობდა, სუ დგგველაობდა. ავ თვალს დაეცცებდა აქა-იქითა. ისეთი ამოსავდები იყო, ისეთი, ისეთი... რო მოკლეს, სატრარალში სიფელი არ მივიდა, არავინ გაეკარა...

ზვავად მოდის, მოგელაობს. თავის აეწერილი, ქვაჯრილი... ზოგი მწერლობის ჭიშკართან დგას, იქ შესვლის მსურველი. ზოგიც შორიდან მოიწევს, ზვავად მოდის, ზოგელაობს. თავის ადგილს დაეძებს, თავის ფეხმოსაკიდს.

სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე. ახალციხელები, მაია წყნეთელი და სხვები... სხვები, ვისი სახელიც მატიანის ფურცლებზე ვერ დაეტია, ვინც ისტორიის ხსოვნის წიგნში ვერ მოხვდა... ნუთუ ივიეე ბედი ელით დღევანდელ ომში სისხლდათხეულებს?

„სახლი, ბიბლიოთეკა, ხელნაწერები, მასალები, მთელი ქონება... ყველაფერი დაკარგე, დაიწვა, გაიფანტა. ამათ რა უნდა მომცენ, რა უნდა დამიბრუნონ, ამ ბოროტებმა. ამათი მოცემული არც სახლი მინდა, არც კარი და არც არაფერი. მორჩა!“ — მითხრა ვ ვიგრძენი, რომ ამ კაცს ომმა წაართვა ყველაზე მთავარი რამ: რწმენა... და დაუტოვა ერთადერთი ველური ზიზღი: ყოველს წარმდგენელი, დამაქცეველი.

არ ებრძოლო, რადგან ვერ მოერევი, მაგრამ დაუპირისპირდი და ამ მიიღებ ამ სიძაბუნეს, სიცრუეს, უმეცრებას.

არის ზოზინა, დაკუნთული, დინდლო სიტყვები. ისინი პოეტებს სჩუდო შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობლად. თავად სიტყვებმა კი სიძულვილი არ იციან. ისინი ირხევიან, დაზოზინებენ... უარყოფილები... ცოტა გაბუტულებიც, ცოტა ბედისმოძღურავებიც, უადგილმამულოდ დარჩენილი ფოდალებივით.

ასე მგონია: რულფოს „პედრო პარამო“ რომ არ დაწერილიყო, არც მარკესის „მარტოობის ასი წელი“ დაიწერებოდა... პირველმა განაპირობა მეორე... ყოველ შედეგს წინ უსწრებს რაღაც...

კარგი ლექსის შექმნა ჰგავს უცხო კუნძულის აღმოჩენას: ბურუსიან სივრცეში, შორეულ ჰორიზონტზე ილანდება მკრთალი მოხაზულობა, თანდათან რომ ნათლიერდება, ისახება, იზრდება, ფერს იცვლის... პოეტი — პირველაღმოჩენი სახელს არქმევს მას და შენ ვოავაზობს, შენ გიტოვებს, ხოლო თვითონ კვლავ წინ მიეშურება, დაუოკებელი მაძიებლის მსგავსად... ახალი აღმოჩენის იმედით... და ასე ყოველდღე... და ასე უსასრულოდ.

პოეზიის მიწაში ფესვებგაბარჯღული, ძალოვანი და სივრცეების შემკრები სახელი უოლტ უოტმანისა. მისი ხმა არის ჰოჭერსის ჯიშისა. მისი ნატერფალი, მისი ხელისგულის ანაბეჭდი, მისი გულისცემა აჩნია მიწას, ბუნების გულმკერდს, ოკეანის ზედაპირს... წაუშლელი, გამძლე და მარადიული, როგორც დიდი, წყალუზვი მდინარე.

არის ჩვეულებრივი, ადამიანური შემთხვევითობები და არის იშვიათი, უჩვეულო, ღვთაებრივი შემთხვევითობა... ამის კვალობაზე: რიგით ქმნილებათა მსგავს-ად, შედეგებიც შემთხვევითობების პირშონი არიან, ოღონდ: ღვთაებრივი შემთხვევითობებისა.

მეტაფორების თავბრუდამხვევი კასკადები და ალიტერაციულ-ექსპრესიული სალტომორტალე ბევრი მკითხველისათვის უფრო შთამბეჭდავი რამ არის, ვიდრე დიდი პოეტური აღმოჩენა, რომელსაც ხედავს და აფასებს მკითხველთა მცირე ნაწილი... საბედნიეროდ, ამგვარი რამეც მომხდარა: პოეტური აღმოჩენა მკითხველს ვერ შეუმჩნევია, ვერ გაუთავისებია და აღმოჩენაც კვლავ წვდიადში დანთქმულა საკმაოდ დიდი ხნით.

ძრუდე სიტყვა... აიმღვრა კაცი. აიყალყა. ცეცხლი ჩაეღვარა თვალებში. აყაყრავა მაგიდა, სკამები. მილეწ-მოლეწა. ვოლაცას წაუსაყელოვა. გააშვებინეს... ხანჯალს წაეწვადა. არ დაანებეს. თოფსაც დაეცოცმანა. არც ის დაანებეს... ბოლოს ვაკლახად ჩაიკეცა და აქვითინდა... მიზეზი: ერთადერთი შხამნარევი და მრუდე სიტყვა.

ურთიერთხიზღით, დაბეზღებით, მართალი და ცრუ ბრალდებებით შემართული ფი ორად გაჭრილი საქართველო: ერთ მხარესაც ნაფუნქციონარ-ნაკომუნისტარი საქართველო დგას და მეორე მხარესაც. სავარძლისთვის, თანამდებობისთვის, ავლადიდებისთვის მებრძოლ ამ ორ ნაპირს შორის თითქმის არცა ჩანს — ისე მცირეა, ისე კნინია ყოველად მართალი, ძველსა და ახალ წუმპეში გაურეველი, იმ ორი ნაპირის გამო მოქვითინე საქართველო.

ცხრაასიან წლებში იაკობ ნიკოლაძემ შექმნა აკაკის ძეგლი. ამბობენ, ძეგლი აკაკის არ მოეწონაო. ალბათ, იმიტომ, რომ ვერ შეიცნო თავისი ხორცეული ხატის ანარეკლი... თუმცა დიდ მოქანდაკეს საყვედური არ ეთქმის: ეს იყო აკაკის შემოქმედის ხატი, მკერდმოშიშველებული, ცრემლმდინარი უპეებით, შორს მაცქერალი... მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა; გამართლდა ხალხური სიბრძნე: დიდი მწუხარება ცრემლს აშრობსო... აკაკის ძეგლს დიდმა მწუხარებამ ცრემლი გაუშრო, მაგრამ ცრემლი სდის მის პოეზიას: ცრემლი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილის, ცრემლი დიდი მოლოდინის... ნათქვამია: მკვდრები თავის თავს ივიწყებენო. ვისაც უნახავს კუბოში ჩასვენებული აკაკის სურათი, დამეთანხმება: ეს არის სიმშვიდისა და სრულყოფილების მშვენიერება... ეს არის აკაკი, ვინც თავისი თავი დაივიწყა, დაივიწყა თავისი წყლული, თავისი სნეულება, თავისი უფულობა, თანამედროვეთა უგულობა და ნიჰილიზმი... „ერთი კვირა სულ ძაღლის გუნებაზე ვიყავ და ახლა კი ეს ორი დღეა ხმოსავით გაურკვეველად გული მინავარდობს. რათ? თვითონაც არ ვიცი. ახე, ყოვლად უმიზეზოდ. ხომ მოგეხსენებათ, პოეტები და გიჟები ერთნი არიან“. ამას მეგობარ ქალს სწერს. პოეტის გულის „ყოვლად უმიზეზოდ ანავარდობის“ მიზეზი თვით წერილის ადრესატია: ეს ვნებაც სიკვდილამდე გაჰყვა. „მშვიდობით! ეგებ ვეღარ მეღირსოს თქვენნი ნახვა, მაგრამ თქვენი სახე კი სიკვდილის წინაც გაუყრელად თვალწინ მედგება. ნუ დამივიწყებთ. მერწმუნეთ, რომ მე ის არ ვიყავი“... ნუ დამივიწყებთო, ემუდარება. თითქოს მისი დავიწყება შესაძლებელი იყოს. თითქოს დავიწყების ეშინია... თითქოს არ იცის თავისი ძალა, თავისი ფასი, თავისი მომავალი... სხვაგან ასე წერს: „უფულობამ მიმკლა“. პოეტის, მონარდისა და ბანქოს მოთამაშის ტიპური მდგომარეობა: უფულობა. ამ შეუბრალებელი თანამგზავრის ავი სუნთქვა მიჰყვება თვით სამარის კარამდე. ავადმყოფობა და უფულობა, ორი სიძაბუნე: ჯიბის და სხეულის. „მინდოდა „ჩემი თავგადასავლის“ დაბეჭდვა და რადგანაც თვითონ საშუალება არა მქონდა, ჩემი ფულით დამებეჭდა, გამოვაცხადე, რომ ვისაც სურს შეძენა, ზელი მოაწეროს და ერთი მანეთიც წარმოადგინოს მეთქი. ამგვარად, შეგროვდებოდა რამე და გამისტუმრებდა ქალაქიდისა და სტაბბის ხარჯს. მაგრამ წარმოიდგინე, რომ ამდენი ხანია, თითქმის შვიდი თვეა და მთელს საქართველოში მხოლოდ 38 ხელმომწერი და მსურველი გამოჩნდა, მეტი არა“... წერს აკაკი: საქართველოს ბულბული, მეფე პოეტების. ეს ეპითეტები ჩვენს დროს არ ეკუთვნის: მაშინაც, პოეტის სიცოცხლეშიც ასე მოიხსენიებდნენ: ბულბული, მეფე... მაგრამ, როგორც ჩანს, ის არავის სჭირდებოდა. იცოდნენ მისი ფასი, მაგრამ არავის სჭირდებოდა, არავის უნდოდა სნეულებითა და ნიღარიბით შეპყრობილი პოეტისთვის თუნდაც მანეთის გაღება. და ეს არის პოეზიის მარცხი: პოეზიამ ვერ შეძლო სულის ზეაწევა, ვერ მიუახლოვდა ღმერთს, ვერ შეძლო გაუდაბურებული ზნეობის საკეთით დაგვზვა. დამარცხდა პოეზია. ეს იცის დიდმა პოეტმა: სნეულმა, ჯიბეცარიელმა. ეს იცის ნიჰილიზმით შეპყრობილმა საზოგადოებამაც. მაგრამ ისინი უკვე სხვადასხვა ნაპირზე არიან: პოეტი და საზოგადოება. თუმცა ეს დროებითი მდგომარეობაა. საბოლოოდ ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. საზოგადოება კვლავ მიუახლოვდება დიდ პოეტს: ნაპირები ისევ შეერთდება. პოეტს კერპად აქცევენ. დაუჩოქებენ. მაგრამ ეს გვიან მოხდება. მაშინ, როცა პოეტი ცოცხალთა შორის ადარ იქნება. ადამრთავენ მის ძეგლებს, გაადეტიშებენ, შემოსავენ ღვთიური საბურველით... და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ პოეზია დამარცხდა, პოეზია უნუგეშოდ დამარცხდა...

სულ უბრალო სიმართლეს მეუბნებოდა, ხოლო პირისახე ჭეშმარიტების დიდი სინათლით ჰქონდა განათებული: დაიკვირდი, განა ასე არ არის? აბორიგენი ერი, ხალხი შეუძლებელია თავის მიწას სხვას, გადამთიელს სთავაზობდეს. მიწა ხომ ღვთითბოძებულია და ეს იცის აბორიგენმა ერმა... ხოლო დამპყრობლად მოსული, ჩვენს მიწაზე დასახლებული ხალხი სულ იმის ცდაშია, ეს მიწა როგორმე თავდაპირველ პატრონს ჩამოაცალოს, ჩამოაჭრას და სხვას გადასცეს, რადგან იმ სხვასთან შედარებით თვითონ უფრო კანონიერ მესაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ გამოჩნდება... განა ეს სიმართლე აფსუათა და ოვსთა დღევანდელ წყვეტებასა და გაწევ-გამოწევას არ მეესადაგება?

ისტორია ცდაა. რა მოჰყვა ამ სისხლისღვრას, რა შედეგით დასრულდება ეს მიქცევა და მოქცევა, დანამდვილებით არავინ იცის. ჩვენ მხოლოდ ვცდით. ჩვენ ვართ ცდის მონაწილენი. ჩვენ ვართ ცდის მსხვერპლნი... ხოლო ცდაც და სისხლიც სამშობლოს ეკუთვნის.

ერთმანეთს შეუფარდე ის ზარალი და სარგებლობა, რაც მთავრობას ხალხისათვის, ქვეყნისათვის მოაქვს: მხოლოდ ეს სხვაობა განაპირობებს ხალხისა და მთავრობის ურთიერთნდობას.

დემაგოგიისა და სიცრუის ხლართებიგაიფეებული სიცოცხლე. ეროვნული დამცირებანი. სულის ჩაწიხლვა ყოველდღიური. სიძულვილის სუფევა და უიმედობა საყოველთაო... და კიდევ, კიდევ, ძვირფასებო. დროის ამ უკუღმართობათა შემკრები სულის მარტოობა, გაუსაძლისი მარტოობა, დაუსრულება...

ამგვარი ცდა: წამით შეწყვიტე სიცოცხლის ბუნებით ინსტინქტებზე ფიქრი და გონს მიანდე ყოველივე ამის განსჯა. ის ვეტყვის: შიშს იწვევს არა სიკვდილი, არამედ მასთან შეყრის გაურკვევლობა. შავეთიდან მობრუნებულის დამაჯერებლობით მითხრა:

პარადოქსი არ გეგონოს, რასაც ვეტყვი. ჩვენ ყველანი დავიწყებიდან მოვედით: ის არის ჩვენი სამშობლო, ჩვენი დიდი დედა... და ჩვენს შემდგომ თუკი რამ ღირებული რჩება, ეს მარადიული, უკვდავი დავიწყებაა, სადაც, საბედნიეროდ, წყდება კაცთა სულის განგაში და იწყება სრულიად სხვა რამ...

პოლიტიკის დემონი. ისეთ აბურდულაწყვილ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია და ისეთ უნუგეშო ვითარებაში, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია, ძნელია ვინმემ თავი აარიდოს ამ პირქუში დემონის ბრჭყვიალებს, ამის ტეკვებას და ძალმოსილებას... პოლიტიკის დემონი დაეუფლა არა მარტო ვინით მორჭმულთ, არამედ უგუნურთაც: ქვეყნის ბლახებს და ტეტიებს... ამათ მოირგეს ფანატიზმის საფანდრები და თავიანთი უმწეო ლუღლუღის გარდა სხვა ხმის გაგონება არცა სურთ და, კაცმა რომ თქვას, სხვა, თუნდაც საღი აზრი, აქ ვერც აღწევს, ამ შეუვალი საფანდრის კედლებს ვერ ატანს... და არის ეს ბედნიერი კასტა თავის აჭიაბაჭია ფიქრების ამარა დარჩენილი... და ესეც მრავალსახა პოლიტიკის დემონის ერთი სახეა: მრავალთაგან ერთი.

პოეტი, ხელოვანი, ფილოსოფოსი. პირად და გულად გაჯაულურებული სამყაროს მოყურიადენი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატო გოგიშვილი

ნატო გოგიშვილს ჯერ რედაქციები არ შეუწუხებია. არც ამჯერად აპირებდა, მაგრამ მე შევაგულიანე და ჯერჯერობით რამდენიმე ლექსის გამოქვეყნება ვურჩიე. კარგა ხანია, მგონი ბავშვობიდან, წერს ლექსებს, დაფიქრებულა ცხოვრებაზე და ადამიანზე, სიყვდილსა და სიცოცხლეზე და, რაკი განეგებას ლექსის თხზვის ნიჭი უბოძებია, ისიც ამ ფორმით გამოთქვამს თავის საწუხარს. უახლოეს მეგობრებს უკითხავს მხოლოდ და სხვა რამ პრეტენზია არ გასჩენია. ჩემამდეც შემოხვევით მოაღწია მისმა ლექსებმა და, აბა, რამდენიმე მათგანი შევთავაზეთ „ცისკრის“ მკითხველებს. დარწმუნებული ვარ, მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს **ნატო გოგიშვილის** ლექსები.

ლადო სულაბერიძე

ᲨᲘᲨᲘ

შიშით ვიხედები ყოველდღე სარკეში.
შიშით,
რათა არ აღმოვაჩინო ჩემს სახეში დამალული უშნო ობობა,
რომელიც, ვიცი, დღეს თუ არა, სულ მალე მოვა.
მოვა ამაზრზენი, უთვალავი, წვრილ-წვრილი ქსელით
და შიგ გახლართავს, სისხლს გამოწოვს ვარდისფერ ღაწვებს.
მე მას ვდარაჯობ ჩემს სარკესთან დღისით და ღამით.
შიშით, კანკალით ვცდილობ გადავდო
მისი მოსვლის დრო და საათი.
მაგრამ, ვაი, რომ ის უკვე მოდის,
მოდის უჩუმრად, მანჭვა-გრეხით, მუქარით, ზლაზვნით.
მოდის და ჩუმად მაცოცდება სახიდან ყელზე,
ყელიდან მკერდზე,
და...
ახე ნელ-ნელა დაეუფლება ჩემი სხეულის თვითეულ უჯრედს.
მოდის ობობა უთვალავი წვრილ-წვრილი ქსელით.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ

და მე
როდესაც უკანასკნელად გარდავიცვლები,
თქვენ,
ჩემს მეგობრებს დაგიტოვებთ მოსაგონებლად
დედამიწასავით დიდ, მოსიყვარულე გულს
და მზიან თვალებს,
რომლებითაც გაგინათებთ ღამეს ნამთვრალევს.
მაგრამ როდესაც ტკივილამდე მომენატრება
თქვენი ხილვა,
ამოვალ ჩუმად ზაფხულის ღამეს
და ცაზე მთვარედ მოგეველინებით,
დაგზედავთ მძინართ ყველას ცალ-ცალკე.
ან გაზაფხულზე ლურჯ იად მოვალ,
თვალს შეგავლებთ დილის ცვარ-ნამით პირდაპანილ ბალახებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველას უხმოდ მოგეფერებით.
შემდეგ კი...
შემდეგ ჩავიპარები ჩემს მარადიულ სასუფეველში
და ყველაფერი დაიწყება ისევ თავიდან.

ფერადი ეშმაკუნები

ტაშიტუშით, ტაშიტუშით
რწმენა დაგვიკარგეს წუთში,
ტაშიტუშით, ტაშიტუშით
ყველას ჩაგვაფურთხეს სულში...

ტაშიტუშით, ტაშიტუშით
თავი გვაკვრევინეს ყულფში,
ტაშიტუშით, ტაშიტუშით
ტყვია დაგვახალეს შუბლში.

ტაშიტუშით, ტაშიტუშით
დანა ჩაგვიტოვეს ზურგში,
ტაშიტუშით, ტაშიტუშით
შხამი ჩაგვაწვეთეს ყურში.

ტაშიტუშით, ტაშიტუშით
ჩაგვსვეს უზნეობის ჭუჭყში,
ტაშიტუშით, ტაშიტუშით
ვზივართ პოლიტიკურ ჭურში.

ვედრება

და აი, დღეს
ჩემს პატარა გამოქვაბულში
მკვდრეთით აღდექი...
მკვდრეთით აღდექი, მზეო,
შენს ცხოველმყოფელ ალერსს,
შენს ცხოველმყოფელ სითბოს,
შენთან საუბარს დანატრებული.
ოქროს წამწამთა წვიმის ქვეშ,
ტყის კატასავით გრაციოზული,
მასავით ენებიანი კრუტუნით ჩაუვლი
საქორწილოდ მორთულ ხეთა თეთრ
რიგებს.

მათ შემხედვარეს
მეც მომინდება მათებრ სიმღერა,
თრობა, სიყვარული...

თმას მოესურვილება მათ სუნთქვაზე
ჩიტივით ფრენა,
ტანს კი ქარის ენებიან მკლავთა
შემოხვევა,

მასთან ცეკვა,
მის უთქმელ ბაგეთ ყურთან შეხება...
ო, რა ტკბილია, მზეო, სიცოცხლე
მკვდრეთით აღდგომის მერე...
მზეო...
ამავსე შენი სიყვარულით,
ყველას სიყვარულით,
სიცოცხლის სიყვარულით,
სიყვარულით ამავსე,
მზეო!

ლურჯი წვიმები

ლურჯთვალა ცაო, გემუდარები —
შენი სიღრმიდან გამოუშვი მოცეკვავე
ლურჯი წვიმები,
თავის მხიარულ ორკესტრთან ერთად.
დედასავით გამოგიტყდები:
ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს ძალიან...
როცა ერთად ვართ, — მუსიკის ტაქტზე —
ლიანებივით ჩახვეულები —
სანთლის ნაზ შუქზე სანთელივით ოდნავ ვირხევით.
ღვთიურ სიმღერებს, ანგელოზთაგან დაწერილთ ცაში,
დედამიწაზე აამღერებენ
შეყვარებული ჩვენი გულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფარველო ცაო,
ახლაც, როგორც კი ჩამოლამდები, შენი სიზმრების ლაბირინთში
შეგეახვედრე შეყვარებულნი.
იქნებ შეიძლო, ცოტა ხნით მაინც დაგვაიწყო
ამქვეყნიური სუყველა დარდი.
შენ, ჩემო ცაო,
კელავ გამოუშვი პაემანზე ჩემს სანახავად
შენს თვალთა ფერი —
ლურჯი წვიმები...

წვიმა

ეს დღეც ნისლივით ნელა გაილია...
მასაც დაესვა ცრემლით მრავალწერტილი,
გესმით ხმა? ჩემი სულის ხავილია,
ვარ დარდის გორგალი — ძაფი გაწყვეტილი...

დილის ცვარ-ნამით მოვიბან იარას...
ყელიდან მოვიხსნი ოცნების ცისფერ მძივს,
სუყველა სურვილმა გადამიარა —
წვიმს გადაულებლად,
წვიმს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ნიჟარაძე

ვიცი, დავიღუპები,
მაინც ვიფრენ უფრთო.
სიკვდილის წინ ანგელოზს
უნდა ვესაუბრო.

გიერთგულებ ბოლომდე,
ოცნებაო ყრმობის,
თუმც იმედი ძომავლის
მყოფნის, ზემსად მყოფნის.

ერთნაირად არ ღელავს
ჯეჯილი და ხავსი.
მიწიერი ცის მიღმაც
არის სივრცე სხვა ცის.

როგორც ზედაზნის ზმანება,
ცოდან ლექსები მოდიან.
სიკვდილიც დამენანება,
გული ხომ ოქროს ზოდია.

ოცრემლებიან სანთლები,
ვით სკა ქარვისფერ წვეთებით.

რიღესაც შენ მობრძანდები,
შეელის ნუკრივით ვფეთდები.

რა ფირუზისფრად გაოენდა,
ცა იწვის სასწაულებრივ...
ოღონდაც მომელანდე და
შენთვისვე აღვესრულება.

ისევ

ზეცა ჩემი დაირისხა.
ბედთანავარ დანახისხლად.
გამაგონე დაირის ხმა,
თორემ გული დაისისხლა.

სანთელს ვანთებ ყოველ სისხამ,
სისხლი შრება მისხალ-მისხალ.
ისევ ვრჩებით დანახისხლად...
დაისის ხმა... დაისის ხმა...

რით ვუწამლო...

ადგა მარტი, დამზრალ მიწას
დღეს იების ათბობს თოვა.
მე კი რა ვქნა, რით ვუწამლო,
დარდს, ზამთრისგან დანატოვარს?!.

ალეკო ანდღულაძეს

გახსოვს ბანქოს ტრიალი,
ღამეების თევანი,
ბედი, ბედზე მტირალი,
გამჭვარტლული თავანი.

ვაგლახ, იმ ბიჭებიდან
აღარ შეგვრჩა არავინ...
უკანასკნელ ჯებირთან
გაშლილი გვაქვს კარავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ნაცვლიშვილი

ახლა, როდესაც დაუბრუნდნენ
საგნები საგნებს,
ფორმები ფორმებს,
ჩრდილები ჩრდილებს,
მე ვდგავარ განწირული და შეგუებული
ჰაერს, წყალს, მიწას
(მინდვრის ხესავით),
ანუ ცხოვრებას.
ნივთებმა იციან თავიანთი ადგილი
და ისიც იციან, როდის სად წავლენ.
ჩვენ კი დაგვრჩება — დავიკრიფოთ
გულზე ხელები
ან ნერვიულად წავიგრძელოთ,
ჯავასავსავოთ კიდურები —
საკუთარი სხეულიდან გამოსვლის
ჟინით;
ავიყოლიოთ მთელი სამყარო —
საგნებს ფორმები დაშორდება,
ფორმებს ჩრდილები
და გაორება ან გაბევრება
დაგვახვევს თავბრუს.
უეჭველია — სისხლი მაინც თავის გზით
მიდის,
თავის გარშემო თანამგზავრივით
ტრიალებს აზრი
და აღქმები ფიქსირდება
პირდაღებულ ტვინის უჯრედში.

ქვა

ქვა ჰგავდა ცხოვრებას
და ვინ იტყოდა —
რა წერტილის გარშემო იშვა.
ქვა არ ფეთქავდა —
გაუნძრევლად გვატყობინებდა,
რომ იქ იყო მისი ადგილი.
გაქვავებული მისი ბუნება მორჩილებდა
სივრცის შეკვეთის უმოძრაო ჟინს.

ღამეა ირგვლივ.
ქალაქი ცურავს
ბნელ, გამჭვირვალე ოკეანეში.
პლანეტიანად მივირწევით
დაუსაბამო სივრცეებში.
ვდგავარ კედელთან,
ტვინში თითქოს კივის სირენა:
„მე ისევ აქ ვარ!“

„ჩემი სიცოცხლის მნათი რგოლი
ჯერ არ ჩამქრალა!“
ხელით ვეხები და ვიმახსოვრებ —
ეს კარადაა,
ეს სარკეა —
რამდენი დრო მოვანდომე მათ გაცნობას!
სულ ველოდები, რომ ერთ ღამეს
თვალებს გავახელ და დავინახავ
სულ სხვა სამყაროს!
ფანჯარა ისევ მიხმობს თავისთან
და მივცურავ წყვდიადთან ერთად.

●

აი, ხომ ხედავ, აგისრულდა
ბოლო სურვილიც —
ისე დავარდი, შენი სახე
დაარნდა ტალახს.
და თუ გადარჩი —
ეს არ იყო შენი სურვილი.
არც ის, რომ სახრჩობელას
თოკი ჩამოწყდა.
შემოეხეტე ისევ
ხალხით სავსე ქუჩაში,
ულიმი სახლებს
და გიხარია
მივიწყებულ ნიღბების ხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ მარკესი

ფოთოლცვენა

რომანი

ვით არ ავდელდე, ოდეს კრეონტმა
ერთს ძმას მიაგო დიდი პატივი
და მეორეს კი უპატიობა.
ადამისამებრ და საფერისად,
უბნობენ: დაფლა მან ეტეოკლე
და ღირსეული ქვესკნელსა შინა
მისცა სავანე, და პოლინიკეს,
ავმედით მოკლულს, არც დატირება
არგუნა, არცა დამარხვა, — ბრძანა,
დაუტირალი დაადგინ გვამი,
ვით სანუკვარი დავლა ფრინველთა.
სათნო კრეონტი გვიბრძანებს ამას
მე და შენ, — ვამბობ, მეც-მეთქი, — და
თავად
აქ ამცნობს ყველას, ვინც ჯერ არ იცის,
ის არც უბრალოდ ჰრაცხს ამ
ბრძანებას —
ურჩს ქვით ჩაქოლვა ელის საქვეყნოდ.
(„ანტიგონე“)[1]

მოულოდნელად მოვარდნილი ვრცელივით გადაურბინა დასახლებას ბანანის კომპანიამ და შემოდგომის ბაყვითლებული ფოთლები დაიბზრიალა ქუჩებში. ეს დამტვერილი, ქარში აშლილი ფოთლები ბანანის კომპანიასთან დაკავშირებული ხალხის ცხოვრებისა და მათ მეხსიერებაში ცუდად გამოტანილი სიზმარივით დარჩენილი სამოქალაქო ომის განუყოფელი ნაწილი იყო. ფოთოლცვენა არ წყდებოდა და დასახლებას დაუბანელი ბრბის სიმყრალით, სამხედროების ოფლის სუნითა და საიდუმლოებით მოცულ მკვლელობების სიმძაღით ავსებდა. ერთ წელიწადში ქუჩაში ადგილი აღარ დარჩა, უბედურებისუნიან, სიბინძურეში არეულ ფოთლებს რომ არ ამოევსოთ. აბეზარი ქარი თავის საზღვრებს ავლებდა და ჭუჭყით დამძიმებული ფოთლებით ამაგრებდა. მალე დასახლებამ, მისი წყალობით, მდინარის გასწვრივ მდებარე მთავარი ქუჩითა და სასაფლაოთი შემოსაზღვრული ქალაქის კონტურები მიიღო. ამ საზღვრებს შიგნით ელექტროსადგურის გარდა საავადმყოფო, რამდენიმე დუქანი, ცუდი რეპუტაციის გასართობი სახლი და სასტუმრო მოექცა, რომლის სტუმრები, ძირითადად მარტოხელა მამაკაცები, ხის ერთი ჩემოდნითა და თითო ხელი თეთრეულით რომ შემოეხეტნენ ქალაქში ჯორზე ამხედრებულები, სულ მალე საკუთარი სახლების, ხასებისა და მაღალი სამხედრო წოდებების მფლობელნი გახდნენ. ეს წოდებები ავანსად უფრო მიიღეს, ვიდრე დამსახურებისამებრ, რადგან გვიან ჩაებნენ ომში. მალე დიდი ქალაქების სასეირნოს თავგადასავლებმაც გადმოლახა ფოთოლთა საზღვარი და ჯერ ჭრაჭუნასაწოლიანი, ნახევრად მიწური სარდაფების სახით დამკვიდრდა ბნელ მოსახვევებში, შემდეგ ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით წამოყვეს თავი

[1] სოფოკლე, ანტიგონე, თარგმანი პეტრე ქავთარაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საროსკიპო სახლებმა და ბოლოს მეძავთა მთელი დასახლებაც კი გაჩნდა ქალაქში.

არ გასულა ცოტა ხანი და ჩვენ, ამ ადგილის პირველადმფუძნენებმა და დასახლების დამაარსებლებმა, უცხოდ და უთვისტომოდ ვიგრძენით თავი შუა ქუჩაში გაშლილ კარვებსა და შიმშილით ფერდებაჩაცვენილ ჯორებს შორის, რომელთა პატრონები მოურიდებლად, ყველას თვალწინ იცვლიდნენ ტანსაცმოსს, მათი ცოლები კი გაშლილი ქოლგებით ხელში ისხდნენ ჩემოდნებზე.

ომის შემდეგ მაკონდოში რომ ჩამოვედით და ამ მიწებს ნაყოფიერება ვიხილეთ, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ სულ მალე ხალხი ამ ადგილისკენ მოზღვავდებოდა, მაგრამ, ვი რომ ვერავინ განსჭვრიტა ყველა უბედურება, რაც მათ ჩამოხვლას მოჰყვა. და ამიტომ, როცა ლავის მოახლოება ვიგრძენით და ხალხის ნიადგური წალეკვით დაგვემუქრა, ისღა დავკარჩენოდა, თეფშები და დანა-ჩანგალი გამოგვედგა კარში და მოთმინებით დაველოდებოდით. როდის შეგვამჩნევდნენ ახალმოსულები. მალე პირველი მატარებელიც შემოჩანჩიქა ქალაქში. ფოთლთა ჯარი ახლა მას ეკვეთა, მაგრამ რკინის ურჩხულს ვერაფერი დააკლო, ერთმანეთში ააზილა, დამიმდა, ბუნებრივ პროცესს — ლპობას წინ ვეღარ ადუდგა და ნეშომპალად ქცეული მიწას შეერწყა.

(მაკონდო. 1909 წელი).

დღეს პირველად ენახე მიცვალებული და, მიუხედავად იმისა, რომ ოთხშაბათია, მთელი დღე კვირა მგონია, რადგან სკოლაში არ გამიშვეს და ხავერდის მწვანე კოსტიუმში გამომაწყვეს, რომელიც უადგილო ადგილას მიჭერს. დედა და მე ხელიხელჩაკიდებულები მივყვებით ბაბუას, რომელიც ნაბიჯის გადადგმამდე ხელჯოხით სინჯავს საბნელეს, ავეჯს რომ არ გადაეწყდეს (ჩაბნელებულ ოთახში ცუდად ხედავს და კიჭლობს კიდეც). დაბინდულ სარკეში საკუთარ გამოსახულებას ვათვალიერებ, თავით ფეხამდე მწვანეში ვარ გამოწყობილი, მხოლოდ ყელზე მიკეთია გახამებული თეთრი ბაფთა, რომელიც თავის მობრუნების საშუალებას არ მაძლევს და ვფიქრობ: „ეს მე ვარ. გვგონია, კვირააო“.

ამ სახლში მიცვალებული ასვენია. გარეულ სიცხის გუგუნის გარდა ხმა არ შემოდის. ჰაერი ჩახუთულია და დაწნეხილი, რომ მოინდომო, ალბათ, ფოლადის ფირფიტასავით მოღუნავ. სამინებელ ოთახში, სადაც მიცვალებული დასვენეს, ჩემოდნების სუნი დგას, თუმცა არც ერთი ჩემოდანი არ ჩანს. კუთხეში, ცალ რეოლზე ჰამაკი ჰკიდია. მთელ სახლში ნაგვის მყრალი სუნია. პირველად მეგონა, გამოფიტული და ნახევრად შეჭმული ავეჯი ქოთს ასე-მეთქი, მაგრამ არა, ავეჯს სხვა სუნი უდის.

ადრე უქუთო მიცვალებული ვერ წარმომედგინა. ახლა ვხედავ, რომ მას ჭაღარა თმა და ცხვრისახო�o აკრული ყბა აქვს, პირი ნახევრად ღია დარჩენია და მეჩხერ კბილებს შორის მუქი, მოტეტკილი ენა გამოსჩერია. თითები თოკით აქვს შეკრული, გადმოკარკლული თვალებით ჭერს მისჩერებია, კანი კი ნაწვიმარზე დატკეპნილ მიწას მიუგავს. გამომეტყველებაც ჩხუბიდან ახლად გამოთრეული, ჯერ კიდევ აქორრილი კაცისა აქვს და არ მშვიდად მძინარისა, როგორც აქამდე მეგონა.

დედასაც კვირის შესაფერისად, შავი, გულდახრული და გრძელსახელოებიანი კაბა აცია და ქველმოდური ჭილის ქუდი ახურავს. იმის გამო, რომ ოთხშაბათია, დედა უცხოდ მეჩვენება და როცა ბაბუა მუშების შესახვედრად დგება, რომლებსაც კუბო შემოაქვთ, მგონია, დედას რადაცის თქმა უნდა და ვერ მეუბნება-მეთქი. დედა ჩემს გვერდით ზის, ლაკეტლ ფანჯარასთან ზურგშექცევით, მძიმედ სუნთქავს და ხანგამოშვებით ნაჩქარევად დახურული ჭილის ქუდიდან ჩამოვარდნილ კულულებს ისწორებს. მუშებმა კუბო საწოლთან დადგეს და მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, რომ მიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალებული თავისუფლად ჩაეტეოდა შიგ, თორემ რომ შემოიტანეს, იმსოგრძე კაცისთვის პატარადაც მომეჩვენა.

არ ვიცი, აქ რატომ მომიყვანეს. ადრე ამ სახლში არასოდეს ვყოფილვარ და არც მეგონა, ვინმე თუ ცხოვრობდა. რაც თავი მახსოვს, ამ მოზრდილი, კუთხის სახლის კარი არასოდეს გაღებულა. დღეს დილით დედა შემოვიდა ჩემს ოთახში და ისეთი ცივი ხმით მითხრა, სკოლაში არ წახვალო, რომ სულ არ გამხარებია. შემდეგ ხავერდის საგარეო კოსტიუმი მომიტანა, უსიტყვოდ ჩამაცვა და ორივე ბაბუას გაყვევით. ჩვენს ქუჩაზე მდებარე სამ სახლს რომ ჩავუარეთ და კუთხეში შევუხვიეთ, მითხრა: ექიმის დაკრძალვაზე კარგად უნდა მოიქცეო და მაშინ მიეხვდი, ამ სახლში ვიღაც ექიმს უცხოვრია, რომელიც ესესაა გარდაცვალილიყო.

სახლში რომ შევედით, მიცვალებული არსად ჩანდა. მხოლოდ ბაბუა იდგა კართან და ინდიელებს ელაპარაკებოდა. მან ხელით გვანიშნა, შემოდითო და ბნელ ოთახში ფეხი შევდგი თუ არა, ვიფიქრე, აქ ვიღაც არის-მეთქი, თუმცა ვერავინ დავლანდე. ნაგვის სიმყრალის სუნი შესვლისთანავე ისეთი ძალით ვვეძგერა, შეშეშინდა, არ გავეხრისეთ. მაგრამ თანდათანობით მინელდა და ახლა, სიცხისა არ იყოს, ტალღასავით მოგვეხლება სახეში და ისევ უკან იხევს. დედამ ხელი ჩამჭიდა და ოთახის კუთხეში მდგარ სკამზე დამსვა თავის გვერდით. სიბნელეს თვალი რომ შევაჩვიე, დავინახე როგორ ცდილობდა ბაბუა ფანჯრის გაღებას ხელჯოხით, მაგრამ ჩაჟანგებული საკეტი, თითქოს რაფას შეეზარდაო, ად. ვილიდან არ იძერწოდა. ბაბუას ტანსაცმელი დაეფტვერა და როცა გაბრაზებულმა გამოაცხადა, არაფერი გამოდისო, ფანჯარას ზურგი შეუქცია და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე საწოლზე გაუნძრევლად მწოლიარე კაცი. მე დედას მიეუბრუნდი, მაგრამ ის უცხოსავით იჯდა და ს�ცვლი ფურებდა, მაშინ ხელები ბარძაყებქვეშ ამოვიდე და ჰაერში ფეხების ქნევას მოვყევი. ჯერ არაფერზე არ ვფიქრობდი, მერე უცებ დედას სიტყვები გამახსენდა: ექიმის დაკრძალვაზე კარგად უნდა მოიქცეო და ცივმა ოფლმა დამასხა. უკან მივიხედე, მაგრამ ხის დამსაკდარი კედლის გარდა ვერაფერი დავინახე, უცებ შინაგანმა ხმამ გამომაფხიზლა: „გააჩერე ფეხები, საწოლზე მკვდარი ექიმი წევს!“ ისევ საწოლისკენ მიეტრიალდი და მიეხვედი, რომ გაუნძრევლად მწოლიარე კაცს კი არ ეძინა, მკვდარი იყო.

მას შემდეგ ვცდილობ არ გავიხედო საწოლისკენ, მაგრამ არაფერი გამოდის, თითქოს ვიღაცას ჩემი თავი ძლიერი ხელებით უჭირავს და მობრუნების საშუალებას არ მაძლევს. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ და ყველგან მიცვალებულის გამწვანებული სახე და გადმოკარკლული თვალები მელანდება.

არ ვიცი, რატომ არავინ მოდის დაკრძალვაზე ჩვენსა და გუახიროს ტომის ოთხი ინდიელის გარდა, რომლებიც ბაბუასთან მუშაობენ. ინდიელებმა ეს-ესაა ტომრით კირი შემოიტანეს და კუბოში ჩაყარეს. დედას რომ ასეთი უცნაური და დაბნეული სახე არ ჰქონდეს, ვკითხავდი, რა საჭიროა კუბოში კირის ჩაყრა–მეთქი. ინდიელებმა ცარიელი ტომარა გადმოაბრუნეს და დაბერტყეს, რის გამოც ოთახში თეთრი მტვერი აიშალა, შემდეგ მიცვალებულს მხრებში და ფეხებში წაავლეს ხელი და კუბოში ჩაუშვეს. მკვდარი ზუსტად ჩაეტია კუბოში და, ჩემი აზრით, სახეც კი დაუმშვიდდა. თითქოს საწოლზე რაღაც აწუხებდა, აქ კი ვემრიელად მოიკალათაო. მას ქამრით დამაგრებული უბრალო, შავი შარვალი და ნცერისფერი პერანგი აცვია, ფეხსაცმელი მარტო მარცხენა ფეხზე აცვია, მარჯვენა კი შიშველი აქვს. სახეზე მოჩხუბრის გამომეტყველება გაჰქრობია და არც პრიფილი აქვს წინანდელივით წამახული. ჩანს, თავის ადგილს მიაგნო და, როგორც იქნა, დამშვიდდა.

ბაბუამ რაღაც ნივთები წამოკრიფა და კუბოში ჩააწყო. მე იმედით ვუყურებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედას, მგონია ბაბუას საქციელს ამიხსნის, მაგრამ ის გაუნძრეველად ზის და ცდილობს მიცვალებულს არ შეხედოს. მეც მინდა, სხვაგან გავიხედო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ბაბუა ინდიელებს ანიშნებს, კუბის თავი დაახურონ. მხოლოდ ახლა სცილდება უხალავი ხელი ჩემს თავს და მე ოთახის თვალიერებას ვიწყებ. ჩემი და დედას მზერა ერთმანეთს ხვდება და ისიც მთელი დღის განმავლობაში პირველად მიღიმის არაფრისმთქმელი, დაძაბული ღიმილით. გარედან მატარებლის ხმა ისმის. კუთხეში, სადაც კუბი დგას, ისევ ფუსფუსია, ინდიელებს კუბის თავი აუხდიათ, ბაბუა საწოლზე დარჩენილ ცალ ფეხსაცმელს იღებს და კუბოში დებს. ახლა უკვე შორიდან ისმის მატარებლის სტვენა. „სამის ნახევარია“, ვიმბობ გულში და მახსენდება, რომ ნასადილევს, ზუსტად ამ დროს ბავშვები ორ-ორად ეწყობიან და პირველ ვაკვეთილზე მიდიან.

„აბრამ“, – ვფიქრობ მე.

არ უნდა წამომეყვანა ბავშვი. აქ მას არაფერი ეხაქმება. მეც კი, ოცდაათი წლის ქალი, ლამისაა ამოეხიხჩო ამ მყრალ ოთახში. ჯერ კიდევ შეიძლება ავდგეთ და მამას ვუთხრათ, რომ ცუდად ვართ, რომ ვერ ვძლებთ ამ ჩახუთულ ოთახში, რომლის ყოველი კუთხე-კუნჭული იმ კაცით სუნთქავს, ხალხის სამსჯავროს სამინელი განაჩენი, საკვდილის შემდეგ დუმარხავად გახრწნა რომ გამოუტანა. მხოლოდ მამაჩემს ჰქონდა მის მიმართ აუხსნელი სიმპათია, რომლის წყალობითაც გვამი ოთხ კვდელს შორის ჩალპობას გადაურჩა.

წარმომიდგენია, რა სახით გადმოდგებიან ქალები აივნებზე ჩვენი შვიდკაციანი პროცესიის დანახვაზე, რომელმაც მაკონდოს მიერ გამოტანილი განაჩენის დარღვევა გაბედა. მამაჩემის ახირებულობის წყალობით, ზვალ შეიძლება კაცი არ მოიძებნოს ქალაქში, ჩვენს კუბოს რომ გაჰყვება.

დილით, როცა მამამ მითხრა, შენც ჩემთან ერთად წამოხვალო, მარტოსულად რომ არ მეგრძნო თავი, გადაეწყვეტე, ბავშვიც თან წამეყვანა. მივანიჯებთ ახლა სამივე ერთად სექტემბრის ხვატში და ვიცი, რომ უხულო საგნებიც კი გვითვალთვალებენ და გვაცინავენ. მამას არაფერი აქვს სანერვიული. იგი ახლაც თავისი პრინციპების მიხედვით იქცევა: არავითარ ყურადღებას არ აქცევს ხალხის აზრს და პუნქტუალურად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მე მგონი, ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინ. ეს კაცი პირველად რომ გამოვეცხადა სახლში, მამამ უკვე იცოდა, რომ დადგებოდა დღე და ქალაქში კაცი არ გამონნდებოდა, მისი გვამი სახლიდან გამოეტანა და თუნდაც სვავების საჯიჯგნად დაეგდო. მთელი ოცდახუთი წელიწადი ფიქრობდა მამა იმ სირთულეებზე, ექიმის დამარხვის მცდელობას რომ უნდა მოეჰყოლოდა და დღეს იგი მზადაა წინ აღუდგეს მთელ ქალაქს და მიწას მიაბაროს მიცვალებული, თუნდაც მარტოს მოუწიოს გვამის თრევამ მაკონდოს ქუჩებში.

და მაინც, საქმე საქმეზე რომ მიდგა, მამას გამბედაობამ უმტყუნა და მე გამიყოლა თან. ორივეს კარგად გვესმის, რას ნიშნავს კაცის დამარხვა, რომლის სიკვდილსაც მოუთმენლად ელოდა მთელი ქალაქი იმ იმედით, რომ ერთ დღეს ქუჩას სახიამოვნად მოვდებოდა გახრწნილი გვამის სუნი. ყველა მიხვდებოდა, რომ დადგა ნანატრი დღე და არავინ თავს არ შეიწუხებდა მისი სახლის კარის შემტვრევითაც კი, სანამ გახრწნილი ლეშის გულისამრევი სუნი სალუნად არ დაედებოდა ხალხის შეურაცხყოფილ სულს.

ჩვენ კი ეს სიამოვნება უნდა მოვაკლოთ მაკონდოს. ახე მგონია, ჩვენი გადწყვეტილებაც კი ვერ ახსნის მიცვალებულს და ხალხის განაჩენი, თუმც მოგვიანებით, მაგრამ მაინც სისრულეში იქნება მოყვანილი. ბავშვიც იმიტომ არ დავტოვე შინ, რომ მას არ დასტყდომოდა თავს ხალხის მრისხანება, ათი წელი ექიმისკენ რომ იყო მიმართული, მისი სიკვდილის შემდეგ კი ჩვენზე გადმოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ჩემს შვილს არ ესმის, რატომ წამოვიყვანე თან, ჩაფიქრებული ზის, ფეხებს ჰაერში იქნევს და უცდის, როდის აუხსნიან, რა ხდება მის გარშემო. მინდა დავიჯერო, რომ ამას არავინ იზამს, არავინ გაუღებს პატარას ის კარს, რომელიც მას ხედვითი აღქმის მიღმა შეღწევის საშუალებას მისცემს. რამოდენიმეჯერ იმედით გადმოხედა და ვგრძნობ, როგორ ეუცხოვება ჩემი ჩაცმულობა და ძველმოდური ჭილის ქუდი, რომელიც საკუთარი წინათგრძნობებისაგან თავის დასაღწევად დავიხურე.

მემე რომ ცოცხალი იყოს, აქ, ამ ოთახში იქნებოდა. ჩემი აქ ყოფნაც არავის გაუკვირდებოდა, იფიქრებდნენ, მემეს დასამშვიდებლად მოვიდაო. არა, იგი არ იგლოვებდა, მაგრამ თავს მწუხარებით გათანგული ქალივით დაიჭერდა და მაკონდღიც თვალებს დახუჭავდა. მემე ამ თერმეტიოდე წლის წინ გაქრა უგზოუკვლოდ. ექიმის სიკვდილმა კი მისი ადგილსამყოფელის ან საფლავის მიგნების უკანასკნელი იმედიც მოსპო. ეს საიდუმლოებით მოცული გაქრობა რომ არა, დარწმუნებული ვარ, მემეც მაკონდოს მხარეს დაიჭერდა და არა იმ კაცსა, ექსი წელი რომ უყოფდა სარეცელს და არასდროს ჯორზე მეტი სითბო და სიყვარული არ გამოუჩენია ქალის მიმართ.

შორიდან მატარებლის სტვენა ისმის. „სამის ნახევარია“, ვამბობ გულში და ვცდილობ არ ვიფიქრო, რომ მოელი ქალაქის ყურადღება ახლა ამ სახლისკენ, ანუ ჩვენკენაა მომართული. თვალწინ მიდგას ბებერი და დაჩაჩანაკებული სენიორა რებეკა, ჩაცმულობითა და გარეგნობით მოჩვენებას რომ ჩამოჰგავს. ფანჯრის რკინის ცხაურები მის სახეს მალავს, თვითონ კი, ალბათ, ელექტროვენტილატორს უზის, რომლის პლასტმასის ფრთები მისი გულივით, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით ტრიალებენ და ჩიფჩიფებს: „ეშმაკი გსჯით, ასე, ეშმაკი!“

დამბლადაცემული აგედა საწოლიდან უყურებს სადგურიდან მომავალ სოლიტას, ეს-ესაა საქმრო რომ გაიცილა. ოდესღაც აგედასაც სოლიტასავით უდიდა სიხსნელი, რამაც მიიყვანა კიდეც დამბლამდე და ახლა სოლიტას მოზეიმე სხეულის დანახვაზე ბორტად ჩურჩულებს: „არ გეყო საწოლნი გორაობა, შე ღორო, შენ!“

ეცდილობ არ ვიფიქრო, მაგრამ ვერ ვახერხებ. უკვე სამის ნახევარია. ესე იგი, საფოსტო ჯორი მაკონდოს ქუჩაში მიაბიჯებს, მას ორი კაცი მიჰყვება, რომლებიც ძილს იკლებენ, ოღონდ გაზეთები დროზე მიიღონ. მამა ანხელი მუცელზე გადაშლილი ბიბლიით ეკლესიის სალარიში თვლემს, ჯორის ზმაურზე გვერდს ინაცვლებს, ბუზებს იგერიებს და ბურტყუნებს: „ეს გუფთა, ერთხელაც იქნება, ბოლოს მომიღებს“.

მამა ინდიელებს კუბოს თავს ახდევინებს და შიგ საწოლზე დარჩენილ ფეხსაცმელს დებს. მხოლოდ მას შეუძლია ასე მოქცევა. სულ არ გამიკვირდება, გარეთ გასულებს ბრბოდ გზა რომ გადაგვიღობოს და ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლისთვის განავალი და ათასი სიბინძურე დაგვიშინოს. მამამ ხომ ის სიამოვნება მოაკლო ხალხს, დიდი და პატარა მოუთმენლად რომ ელოდა აგერ უკვე რამდენი ხანია. მაკონდოში ხომ ოჯახი არ დარჩენილა, მისი გვამის სუნით დატკბობაზე რომ არ ეოცნება.

საცაა სამი საათი შესრულდება. სენიორამ უკვე იცის. სენიორა რებეკამ უკვე შეამჩნია იგი ქუჩაში, თავისთან მოიხმო და ცხაურს აკრულმა უთხრა: „ეს ეშმაკია, სენიორა, ხომ იცით“. ხვალ ჩემი შვილის ნაცვლად უცხო ბავშვი წავა სკოლაში. ის გაიზრდება, დაცლშვილდება და მოკვდება, მაგრამ არავინ შეიწუხებს თავს მისი ქრისტიანული წესით დამარხვაზე.

ოცდახუთი წლის წინ, ეშმაკმა უწყის საიდან, ის უცნაური, ბალახისჭამია კაცი რომ არ გამოცხადებოდა მამაჩემს სარეკომენდაციო წერილითა და ძაღლის თვალებით, რომელსაც იგი ხარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბად აყოლებდა ხოლმე ქალებს, ახლა მშვიდად ვიჯდებოდი სახლში, მაგრამ ვერსად გავექცევი ბედისწერას, რომელიც თურმე პარმაღქვეშ თვლემდა ამ ნაკაბი წელიწადის მოლოდინში, როცა მე ოცდაათი წლისა შევსრულდი და მამამ გამომიცხადა: შენც ჩემთან წამოხვალო. სანამ გავიაზრებდი, რა მოხდა, მამამ ხელჯოხი იატაკს დაუკაკუნა და თქვა: „სხვა გზა არ არის, შვილო, გამთენიისას ექიმმა თავი ჩამოიხრჩო“.

●

ინდიელები ოთახიდან გავიდნენ, მაგრამ მალევე შემობრუნდნენ ლურსმნების კოლოფითა და ჩაქუჩით ხელში. კუბოს სახურავი მაშინვე არ დაუჭედავთ. ლურსმნები და ჩაქუჩი მაგიდაზე დაწყვეს, თვითონ კი მიცვალებულის საწოლზე ჩამოსხდნენ. ბაბუა ერთი შეხედვით მშვიდადაა, მაგრამ მის სიმშვიდეს მიცვალებულის უშფოთველობა აკლია და მოუთმენლობის დღი აზის. ივი კოჭლობით დადის ოთახში და უწესრიგოდ მოყრილ-მოყრილ ნივთებს ერთად აქუჩებს. ოთახში ბუზებს ვამჩნევ და მოსვენებას არ მაძლევს ფიქრი, რომ ისინი კუბოშიც შეფრინდნენ. კუბო ჯერ არ დაუჭედავთ და ეს ბზუილი, მე რომ ვენტილატორის ხმა მეგონა, ალბათ, სწორედ კუბოდან ამოდის, ეს ბუზები აწყდებიან მიცვალებულის სახესა და კუბოს კედლებს. ფიქრებისგან თავის დასახსნელად თავს ვიქნევ და თვალებს ვხუჭავ. ბაბუა ჩემოდანს ხსნის და იქიდან რაღაცები ამოაქვს. საწოლის თავზე ოთხი პაწაწკინტელა ცეცხლი კიაფობს, მწეველთა სახეები კი არ მოჩანს. სიცხე უფრო მატულობს და ბუზების ბზუილით თავგაბეზრებულს იდუმალი ხმა მეხუჭრწულება: „შენც ასე იწვები კუბოში ბუზებთან ერთად. ჯერ თერთმეტი წლისაც არ ხარ, მაგრამ დადგება დღე, შენს კუბოსაც დაჭედებენ თავს და ბუზების ანაბარა დაგტოვებენ“. მე ფეხებს ვატყუპებ და საკუთარი შავი, პრიალა ფეხსაცმელი მხვდება თვალში. „თამა გამხსნია“, ვფიქრობ და დედის კენ ვიხედები. ისიც მიყურებს და თასმის შესაკრავად იხრება.

დედის თმას ხის კარადის ცხელი, მძიმე სუნი უდის, რომელიც ისევ კუბოს სივიწროვეს მახსენებს. შიშისგან სუნთქვა მეკვრის, ერთი სული მაქვს, გარეთ გავიჭრა და ქუჩის ხვატი ჩავისუნთქო. სხვა გზა არ არის, გადაწყვეტ ზომებს უნდა მივმართო. დედას სკამზე გასწორებას ვაცდი და სახელოს ვქაჩავ. „რა იყო?“ მიღიმის დედა. „საპირფარეშოში მინდა“, ვეუბნები და სიცხისგან აწითლებულ სახეში ვუყურებ. დედა ბაბუას ეძახის და რაღაცას უსსნის ხმადაბლა. ბაბუას ვიწრო, უმოძრაო თვალები სათვალის მიღმა მაკვირდებიან. „ახლა არ შეიძლება“, მეუბნება იგი. მე სკამზე ვსწორდები და გულგრილ სახეს ვიღებ. ცოტა ხნის შემდეგ დედა ჩემკენ იხრება და, გაგიარაო? მკაცრად მეკითხება. მუცელი, მართალია, ცარიელი მაქვს, მაგრამ დედის სიმკაცრით გაღიზიანებულს მეჩვენება, მართლა მტკივა-მეთქი, მუცელზე ხელს ვიჭერ, „არ გამიარა“ გამომწვევად ვეუბნები, თან მინდა კიდევ ერთ უკიდურეს ზომას მივმართო და იატაკზე ფეხები დავაბაკუნო, მაგრამ მაღალ სკამზე ვზიავარ და ფეხები ჰაერში მაქვს გამოკიდებული.

ოთახში ბაბუას ერთ-ერთი ინდიელი შემოდის პოლიციელისა და ტილოს მწკვანე შარვალში ჩაცმული კაცის თანხლებით. კაცს წელზე პისტოლეტი ჰკიდია და ხელში ფრთებაკეცილი სომბრერო უჭირავს. ბაბუა ფეხზე დგება და ახალმოსული ელაპარაკება, ის ანგელებს და პოლიციელს ანიშნებს, ფანჯარა გაალეო.

პოლიციელი ხელკეტით ცდილობს ჩაჟანგებული საკეტის გაღებას და ასე მგონია, კედლები, დარეგისილი ნაცრით აშენებული რომ ჰგავს, ფანჯრის გაღებისთანავე უხმაუროდ ჩამოინგრევა და თავზე ნაცარწყაროილები ქუჩაში აღმოვჩნდებით. საბედნიეროდ, მსგავსი არაფერი ხდება. ხელკეტის მეორე დარტყმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ფანჯარა იღება და ოთახში გზააბნეული, ცელქი ცხოველივით შემოჭრილი სინათლე კედლებს სუნავს, ჭუჭრუტანებში ძვრება და ბოლოს ერთ უხიფათო კუნჭულში იკუნჭება დაღლილი.

განათებულ ოთახში უკეთესად ჩანს უცნაური ავეჯი. დედას ფანჯარასთან მივყავარ, რომ ნუშის ხეებში ჩაფლული ჩვენი სახლი დამანახოს, რომელიც ისეთი შორეული და მიუწვდომელი მეჩვენება, როგორც უძილო დამეების დროს დედის ზღაპრებში გაცოცხლებული პირქუში, ფეოდალური სასახლე. ქუჩაში მეზობლის ბიჭი პეპე მიაბიჯებს, ახალთაკვადაპარსულივით შეცცვლილი მეჩვენება და საერთოდაც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს-ესაა შორეული მოგზაურობიდან დაბრუნდა.

●

„სანამ სუნი არ აუვა, ვერ დავწმუნდებით, რომ მკვდარია“, მეუბნება საკუთარი გამჭრიახობით აღფრთოვანებული, სიცხისგან ოფლში გაღვრილი და საკინძმოღებილი ალკალდი. სიგარეტს უკიდურეს და გახარებული ფიქრობს. ახლა ვერავინ მეტყვის კანონს არღვევო. მე მას თვალებში ვუყურებ, ვცდილობ ვაგრძნობინო, რომ მის აზრებს ვკითხულობ. „თქვენ სხვისი სიამოვნებისთვის არღვევთ კანონს“, – ვეუბნები. ის კი, თითქოს სწორედ ამ სიტყვებს ელოდაო, მპასუხობს: „თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ, პოლკოვნიკო, და უნდა აღიაროთ, რომ მართალი ვარ“. „მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ის მკვდარია“, არ ვთმობ მე. „ვხედავ, – მპასუხობს იგი, – მაგრამ მე კანონს ვემსახურები და ერთადერთი, რაც მის სიკვდილში დამარწმუნებს, ექიმის მიერ ხელმოწერილი ცნობა იქნება“. „თუკი კანონს ემსახურებით, მოიყვანეთ ექიმი და გასცეს ცნობა“, ვამბობ მე. იგი მშვიდად მისწორებს მზერას და თავდაჯერებით მეუბნება: „თქვენ წესიერი კაცი ხართ, პოლკოვნიკო, და კარგად იცით, რომ ასეთ თვითნებობას ვერ ჩავიდენ“. მე ვხვდები, რომ იგი სასმელმა კი არა, შიშმა გამოათაყვანა. ისიც მშვენივრად მესმის, რომ ალკალდიც ხალხის მხარეზეა. ხალხმა კი ამ ათიოდე წლის წინ გამოუტანა განაჩენი ექიმს, როცა ერთ მშფოთვარე ღამეს მის კარს დაჭრილები მიაყენეს და დაუძახეს: „დაგვეხმარეთ, ექიმო, სხვა ექიმები გადატვირთულები არიან“, მაგრამ კარი არ გაიღო (პარმაღთან კი დაჭრილები იწვნენ), „მე ყველაფერი დამავიწყდა, რაც ვიცოდი, სხვას მიაკითხეთ“, უპასუხა ექიმმა. იგი შუა ოთახში იდგა და მაღლა აწეული სანათურა ყვითელ თვალებს უნათებდა, – ახე წარმოედგინა ხალხს. იმ დღის შემდეგ კარი არ გაღებულა. ხალხის მიერ გამოტანილი განაჩენი – ექიმის ოთხ კედელში ჩალპობა – წლიდან წლამდე მწიფდებოდა და არავის ავიწყდებოდა.

მთელი ათი წლის განმავლობაში ექიმი მსახურ ინდიელ ქალთან ერთად საკუთარ ბაღნაში მოყვანილი ბოსტნეულით იკვებებოდა და ონკანის წყალს არ ეკარებოდა, ეშინოდა, მომწყალავენო. და აი, დადგა განაჩენის სისრულეში მოყვანის დღე. ქალაქში იცოან მისი სიკვდილის ამბავი, რადგან დღეს ყველამ კარგ ხასიათზე გაიდვიძა. დღეს მაკონდო უარს ეტყვის ექიმს მოწყალებაზე, როგორც მან თქვა უარი ათი წლის წინ. მაკონდო მზადაა დამსახურებული სიამოვნებით დატკბეს ღა ღრმად ჩაისუნთქოს ღეშის სუნი, რომელიც ათი წლის განმავლობაში ყრუდ ჩაკეტილი კარიდან გამოვა.

მეჩვენება, რომ გაბორტებულმა ბრბომ კუთხეში მიმიმწყვდია და ხელს არ მანძრევინებს, მე უძლური ვარ ხალხის სისასტიკის წინაშე. ეკლესიამაც კი ნახა გამოსავალი და ხალხს მიემხრო: „მე არ დავუშვებ ნაკურთხ მიწას მიაბარონ ურწმუნო, რომელსაც ათი წლის მანძილზე პირჯვარი არ გადაუწერია და თან თავი ჩამოიხრჩო. თქვენი საქციელი, პოლკოვნიკო, ქველმოქმედება კი არა, ცოდვა უფროა“, მითხრა მამა ანხელმა. და როცა მე ვუპასუხე, რომ ქრისტიანი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის მიწას მიბარება ჩვენი ვალი იყო, ეს ჩვენი კი არა, სანატარული სამსახურის ვალიაო, მომიჭრა მან.

მე მაინც წავედი, თან ჩემს სახლში გავრდილი ოთხი ინდიელი წავიყვანე და საკუთარი შვილი — ისაბელიც ვაიძულე წამოსულიყო, რითაც მსელელობას პროცესიის სახე მივეცი, თორემ, მარტოს რომ გადამეთრია გვამი სასაფლაოზე, ჩაქოლვა არ აშცდებოდა. მაკონდოსგან ყველაფერია მოსალოდნელი. მე რომც არ დამინდონ, მიუზდავად ასაკისა, წოდებისა (რესპუბლიკის პოლკოვნიკი ვარ), მტკივანი ფეხისა და სუფთა სინდისისა, იმედი მაქვს, ჩემს შვილს მაინც დაინდობენ, რადგან ქალია. ისაბელი არც ჩემი გულისთვის წამომიყვანია, არც მიცვალებულის სულის დასამშვიდებლად, მე იგი შიშის კი არა, მოწყალების გამო წამოვიყვანე, მან შვილი გამოიყოლა თან (იმავე მიზეზის გამო), და აი, ჩვენ სამმა უნდა შევასრულოთ ქრისტიანული ვალი.

სახლში შესვლისას მეგონა, თოკზე ჩამოკონწიალებულ ქქიმს დავინახავდი, მაგრამ ინდიელებს უკვე ჩამოეხსნათ იგი, საწოლზე დაეწვინათ და კუბოში ჩასაწყვანადაც კი შეემოსათ იმ იმედით, რომ ეს უსიამოვნო ცერემონიალი მალე დასრულებოდა. ჩემი შვილი და შვილიშვილი ფეხდაფეხ მომდევენ და ხმის ამოუღებლად სხდებიან კუთხეში. მე აქეთ-იქით ვიყურები და სიკვდილის წინ დაწერილ წერილს ვეძებ. საწერი მაგიდა სავსეა ქაღალდის ნაფლეთებით, მაგრამ მის მიერ დაწერილი არაფერი ჩანს. იქვე გადაშლილი რეცეპტების საძიებელი აგდია, სწორედ ის, ოცდახუთი წლის წინ რომ მოიტანა ჩემს სახლში უზარმაზარი ჩემოდნით, რომელშიც მთელი ჩემი ოჯახის ტანსაცმელი ჩაეტეოდა. ეს კი შიგ ორი პერანგი, ხელოვნური თავის ქალა, ვიღაცის სურათი და რეცეპტების საძიებელი ედო. მე რიგრიგობით ვალებ ნაბეჭდი ფურცლებით გამოტენილ უჯრებს და ბოლო უჯრაში სიძველისგან გამოხრული თავის ქალას ვაწყდები. მაგიდაზე, ჩამქრალი ლამპის გვერდით, ფრანგული გაზეთების რამდენიმე გაუხსნელი შეკვრა დევს. ყველაზე ახალი, ცხრაასოცდარვა წლის ივლისა, სამი თვის წინანდელია, აქვე ცხრაასოცდაშვიდი წლის იანვრის და ოცდაექვსი წლის ნოემბრის გაზეთები, ყველაზე ძველი გაუხსნელი შეკვრა ცხრაასცხრამეტი წლის. ოქტომბრისაა. „ცხრა წლის წინ, განაჩენის გამოტანიდან ერთი წლის თავზე, მან გაზეთების კითხვა შეწყვიტა, რითაც სამშობლოსთან და თანამემამულეებთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი გაწყვიტა“, ვფიქრობ მე.

ინდიელებს კუბო შემოაქვთ, მიცვალებულს შიგ აწევენენ და მე მახსენდება, როგორ გამომეცხადა ამ ოცდახუთი წლის წინ ექიმი, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მიერ პანამაში დაწერილი სარკომენდაციო წერილით ხელში. დიდი ომი ის-ის იყო დასასრულს უახლოვდებოდა. პოლკოვნიკს იმხანად ატლანტიკის სანაპიროს გენერალ-ინტენდანტის პოსტი ეკავა. მე მიცვალებულის ჩემოდანს ვბერტყავ და იქიდან ოცდახუთი წლის წინ მაკონდოში ჩამოტანილი ნივთები ცვივა. „მას ორი პერანგი ჰქონდა, თავის ქალა, სურათი და რეცეპტების საძიებელი“, მახსენდება და ნივთებს კუბოში ვაწყობ. სურათი ოცდახუთი წლის წინ რომ იდო, ისევ იმ ადგილას დევს ჩემოდანში. ეს ვიღაც მეფლეებიანი სამხედრო პირის დაგეროტიპია. კუბოში პირველად სურათს ვდებ, შემდეგ თავის ქალას და ბოლოს რეცეპტების საძიებელს. ინდიელებს ვანიშნებ, კუბოს თავი დაეჭედონ და ვფიქრობ: „აი, კვლავ გავმართა შორეულ მოგზაურობაში და, ბუნებრივია, თან წინა მოგზაურობიდან ჩამოყოლილი ნივთები უნდა წაიღოს“. მეჩვენება, რომ მიცვალებულმა, როგორც იქნა, მოისვენა.

ოთახს ვათვალიერებ და საწოლზე დარჩენილი ცალი ფეხსაცმელი მხედება თვალში. სანამ ინდიელებს კუბოს სახურავს ვახდევინებ, ღია ფანჯრიდან მატარებლის სტვენა იჭრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩამის ნახევარია, — ვფიქრობ, — 1928 წლის 12 სექტემბრის სამის ნახევარი. 1903 წელს, დაახლოებით ამავე დროს იგი პირველად მოუჯდა ჩვენს სუფრას და სადილად ბალახეული ითხოვა. „რა სახის ბალახს ინებებთ, ექიმო?“ ჰკითხა დაბნეულმა ადელაიდამ. მან კი მცოხნელი ცხოველის ხმით, ცოტა არ იყოს, თავხედურად უპასუხა: „ჩვეულებრივს, ქალბატონო, ვირები რომ მიირთმევენ“.

2

საქმე ისაა, რომ მემე აქ არ არის და არც არავინ იცის, როდის და სად გაქრა იგი. უკანასკნელად თერთმეტი წლის წინ შეეხვდით ერთმანეთს. მას სახლში ღვინის პატარა დუქანი ჰქონდა გახსნილი, სადაც მეზობლების საჭიროებისდა მიხედვით, ნელ-ნელა სხვა პროდუქტებიც გაჩნდა. მემე მუხლჩაუხრელად შრომობდა და ყველაფერი იდეალურ წესრიგზე ჰქონდა. თუ დახლში არ იდგა, საკერავ მანქანა „დიმესტიკს“ უჯდა (იმხანად სულ ოთხი საკერავი მანქანა იყო მაკონდოში) და მეზობლებისგან შეკვეთებს იღებდა. მის სახეზე აღბეჭდილი იდიელისთვის დამახასიათებელი გულგრილობა დროდადრო უნდობლობად იცვლებოდა.

რაც მემემ ჩვენი სახლი დატოვა, ხეირიანად თვალიც არსად მომეკრა მისთვის და არ ვიცოდი, როდის გახდა იმ კაცის საყვარელი, რომელმაც ერთხელ უარი უთხრა დახმარებაზე და როდის დასახლდა მასთან ერთად კუთხის სახლში. მანამდე ორივე მამაჩემის სახლში ცხოვრობდა, მემე — როგორც ჩვენს სახლში გაზრდილი მოსამსახურე, ექიმი კი, როგორც მუდმივი სტუმარი. ექიმის სისასტიკეზე რომ ყვებოდა, ჩემი დედინაცვალი ზშირად ეხსენებდა, თუ როგორ უმტკიცებდა იგი მამას, მემეს საექიმო არაფერი სჭირსო, თუმცა გასინჯულიც არ ჰყავდა ქალი. ეს მართალიც რომ ყოფილიყო, ექიმი მაინც უნდა შესულიყო მემეს ოთახში და, სხვა თუ არაფერი, სიტყვით ეუბნებშენია ინდიელი, რვა წლის განმავლობაში დაუყვედრებლად რომ ემსახურებოდა მას. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი. ოღონდ ეგ იყო, ერთ მშვენიერ დღეს მემე და ექიმი სახლიდან წავიდნენ. დედინაცვალმა ექიმის ოთახის კარი ჩაკეტა და სახლში მისი სახელის ხსენება აკრძალა. ეს ტაბუ მხოლოდ თორმეტი წლის წინ აიხსნა, როცა მე და დედინაცვალი ჩემს საქორწილო კაბას კეერავდით.

მემე სახლიდან გაპარვიდან სამი-ოთხი კვირის თავზე ენახე ეკლესიაში, აბრეშუმის მაქმანებიანი მძიმე კაბითა და ხელოვნური ყვავილებით დამშვენებული ქუდით რომ გამოეხადდა საკვირაო მესახე. მე ფეხშიშველა, სადაკაბიან ინდიელზე რომ ძქონდა თვალი მეჩვეული, პირველ დანახვაზე ვერც ვიცანი ქალი. ის პირველ რიგში იჯდა და ახალი საზოგადოებრივი მდგომარეობით გაამაყებული, ყურადღებას არ აქცევდა ხალხის მზერას. მისი ყოველი ეუსტი, პირველვრის გადაწერაც კი ისეთი ვულგარული იყო, რომ მაყურებელში ზიზღის მეტს არაფერს იწვევდა.

მე, ცამეტი წლის გოგოს, ვერ გამეგო, რას ნიშნავდა მემეს ასეთი გარდასახვა, რატომ წავიდა ინდიელი სახლიდან და საშობაო ნაძვისხესავით მორთული რატომ გამოგვეცხადა მესახე. მის კაბაზე ასხმული მაქმანები ოთხი ქალის საალდგომო კაბის მოსართავად იკმარებდა. მესა რომ დამთავრდა, ხალხი ეკლესიის წინ შეგროვდა, ორ რიგად გაიყო და ბოროტად გასუსულმა დაუწყო ლოდინი მემეს. მალე ისიც გამოჩნდა ეკლესიის პარმაღზე, თვალები დაფარული და შეიდფერა ქოლგა გახსნა. ცოცხალ დერეფანში რომ გაიარა ქუსლების კაკუნით, ვიღაც კაცმა მის შესახვედრად წარსდგა ნაბიჯი და გაჩერდა. წრე შეიკრა, მემემ თავის მოროულობასავით ყალბი ღიმილით გაიღიმა და უმწეოდ მიმოიხედა. უცებ მამამ ხელი ჩამჭიდა, წრეში შემათრია, მემეს ხელი გაუწოდა და ისეთი სახით გაუძღ-

ვა მოედნისკენ, აშკარად ეტყობოდა, სხვების ჯინაზე მოქმედებდა.

მოგვიანებით გავიგე, რომ მემე ექიმის საყვარელი გახდარიყო. მან ღვინის დუქანი გახსნა და კეირაობით ეკლესიაში სიარული დაიწყო, მისთვის უკვე სულ ერთი იყო, რას იტყოდნენ ან რას იფიქრებდნენ სხვები. პირველი კვირის ინციდენტი, მგონი, დაავწყდა კიდეც.

კარგად მახსოვს ექიმის შავი, ბოლოებში ჩახვეული ულვაში და ყვითელი თვალები, ხარბად რომ აყოლებდა ქალებს. მე მას ახლოს არ ვეკარებოდი, მეშინოდა ამ გარეული ცხოველივით კაცისა, ნასადილევს მარტო რომ მიუჯდებოდა სუფრას და სახედრის საჭმელ ბალახს მიირთმევდა ხოლმე. სამი წლის წინ მამა ავად გახდა და მაკონდოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ ექიმი პირველად გამოვიდა გარეთ. მანამდე, ექვსი წლის წინ, მან უარით გაისტუმრა ქალი, რომელიც ორი დღის შემდეგ მისი საყვარელი გახდა. ღვინის დუქანი განაჩენის გამოტანამდე დაიკეტა. მაგრამ მე ვიცი, რომ მემე კიდევ რამდენიმე თვე ან წელიწადიც კი დარჩა ქალაქში. მისი გაქრობა კარზე მიკრული პასკვილიდან შევიტყვე, სადაც ეწერა, ექიმმა საყვარელი მოკლა და ბაღჩაში დაფლა, რადგან ეშინოდა მისი ზელით ვინმეს საწამლავი არ შეეპარებინაო. მე კი მეძე თერთმეტი წლის წინ, ჩემი ქორწილის წინა დღეებში ვნახე. მის დუქანს რომ ჩავუარე, კარში გამოდგა, ფეკალი ჩამიკრა და ღიმილით მკითხა: „რაო, ჩაბელ, თხოვდები და მე არაფერს მეუბნები, არა?!“

●

— აი, ასე ჩამოიკიდა თავი, — ვამბობ და თოკს ვშლი. შემდეგ თავიდან ვკრავ მარყუჟს, რომელიც ჩემმა ინდიელებმა გახსნეს, ექიმი რომ ჩამოეხსნათ და თოკის მეორე ბოლოს კაუჭზე ვამაგრებ. თოკი მაგარია, ერთი-ორი კაცი კიდევ ჩამოიხრჩობს თავს. ალკალდი სიცხისა და სასმელისგან დაღვარჭნილ სახეს სომბრეროთი ინიავებს. „ასეთი წვრილი თოკი ამსისქე სხეულს ვერ გაუძლებდა“, ამბობს, სკამზე დგება და თოკზე ეკიდება. „თანაც მოკლეა, ყულფამდე ვერც კი ეწვდება“, დასძენს და დაძაბულობისგან სისხლმოწოლილი თვალებით იატაკამდე მანძილს ზომავს. დღესავით ნათელია, რომ იგი დაკრძალვის ჩაშლას ცდილობს. „ვერ ხედავთ, რომ ექიმი თქვენზე ერი თავით მაღალია?“ ვეკითხები და გამომცდელად ვუყურებ თვალებში. იგი კუბოსკენ აპარებს თვალს და მპასუხობს: „მაინც არა მგონია, რომ ამ თოკით ჩამოეხრჩო თავი“.

ორივეს ვიცით, რომ სიმართლე ჩემს მხარეზეა, მაგრამ მშიშარა ალკალდი თავის თავზე პასუხისმგებლობის ალებას ერიდება, დაბნეული დაბიჯებს ოთახში და არ იცის როგორ მოიქცეს. არც იმის უფლება აქვს, დაკრძალვა აკრძალოს, ვერც ნებას გვრთავს. კუბოსთან მისული ქუსლებზე ტრიალდება და აცხადებს: „თქვენი სიტყვების სისწორეში რომ დავრწმუნდე, უნდა ვნახო, როგორ ეკიდა იგი თოკზე“.

მე ამაზეც წავიდოდი, ვუბრძანებდი ინდიელებს მიცვალებული კუბოდან ამოეღოთ და ისევ თოკზე დაეკიდათ, მაგრამ ეს მეტისმეტი იქნებოდა ჩემი შვილისა და შვილიშვილისთვის, რომელიც ისაბელს თან არ უნდა წამოეყვანა. მე წავიდოდი საკუთარ პრინციპებს წინააღმდეგ, ამოვაღებინებდი კუბოდან მიცვალებულს, რომელმაც როგორც იყო სიმშვიდე მოიპოვა, რომ მანახა სანამდე წავიდოდა ალკალდის სიბრიყვე. მაგრამ ეს შეუძლებელია. „მე ასეთ ბრძანებას ვერ გავცემ, — ვეუბნები მას. — თუ გნებავთ, თავად ამოიღეთ იგი და გაიკიდეთ სადაც გნებავთ, ოღონდ შედეგზეც იფიქრეთ, არავინ იცის, რამდენი ხნის გარდაცვლილია“.

იგი გაუნძრევლად დგას კუბოსთან, ჯერ მე მიყურებს, მერე ისაბელს, ბავშვს და ბოლოს კუბოს. „იმედი მაქვს, გესმით თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავს თქვენთვის, პოლკოვნიკო“, მეუბნება მრისხანედ. მე რამდენიმე წამს ვფიქრობ, რამდენად სერიოზული შეიძლება იყოს მუქარა და ვპასუხობ: „რა თქმა უნდა, მესმის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“. ის ხელებს გულზე იკრეფს და სარკეში ნასწავლი მრისხანე გამომეტყველებით მეუბნება: „ეაში ერთ კითხვას დაგისვამთ, პოლკოვნიკო, საიდან გიგეთ, რომ მან თავი ჩამოიხრჩო?“

მე გაუნძრეველად ვდგავარ, ვუცდი, როდის მომიახლოვდება ალკალდი და როცა სახეზე მის არყით გაჟღენთილ სუნთქვას ვგრძნობ, ვეუბნები: „დიდი სიამოვნებით გიპასუხებთ, როცა ოფიციალურად დამისვამთ ამ კითხვას“. ისიც გაუნძრეველად დგას. ჩემგან სწორედ ასეთ პასუხს ელოდა და ამიტომ არც გაჰკვირვებია. „რა თქმა უნდა, ოფიციალურად გეკითხებთ, პოლკოვნიკო“. — მპასუხობს.

მე ვაპირებ ამომწურავი პასუხი გავცე მის შეკითხვას და დარწმუნებული ვარ, ჩემს რკინისებრ ლოგიკას ალკალდი ვერაფერს დაუპირისპირებს. „ჩემმა ხალხმა ვვამი თოკიდან ჩამოხსნა, რადგან მე ვერ დავუშვებდი ამ მდგომარეობაში ყოფილიყო იგი, სანამ თქვენ ინებებდით მობრძანებას. მე თქვენ ორი საათის წინ გამოვიძახეთ, ეს დრო ორი კვარტალის გასავლელად დაგჭირდათ, ალბათ“, ვეუბნები.

ის ადგილიდან არ იძვრის. მე მის წინ ვდგავარ, ხელჯოხზე დაყრდნობილი და ოდნავ წინ წახრილი. „გარდა ამისა, ის ჩემი მეგობარი იყო“. — დავსძენ. ალკალდი ირონიულად იცინის და სახეში არყის სურნელებას მაორთქლებს. „მეგობარი, ა?“ სიცილი უცებ წყდება. „ესე იგი, თქვენ იცოდით, რომ ის თავის მოკვლას აპირებდა?“ მეკითხება გამომცდელად.

დარწმუნებული ვარ, მშვენიერად ესმის ყველაფერი, მაგრამ დროის გასაყვანად ვანგებ ისულელებს თავს. „გიმეორებთ, პირველი, რაც ამ ამბის გაგების შემდეგ გავაკეთე, თქვენ მოგმართეთ. ეს იყო ორი საათის წინ“. ვუხსნი მოთმინებით. „ვსადილობდი“. დამნაშავესავით მპასუხობს ის. „ვიცი, — ვეუბნები, — ალბათ, ნასადილევს წაუძინეთ კიდეც“.

ის ხმას ვერ იღებს, უკან იხევს და ბავშვის გვერდით მჯდარ ისაბელს უყურებს, შემდეგ მზერა ინდიელებზე გადაატვს, ინდიელებიდან — ჩემზე, სახეზე ეტყობა, გადაწყვეტილება მიიღო, პოლიციელს უბრძანებს და რაღაცას ეუბნება. ამ უკანასკნელს ხელი ქუდთან მიაქვს და ოთახიდან გადის. ალკალდი ჩემთან ბრუნდება, ხელმლავს მიყრის და მეუბნება: „რაღაც მინდა გითხრათ, პოლკოვნიკო“. მას სრულიად შეცვლილი, დარცხვენილი და დაბნეული კაცის ხმა აქვს და სანამ მეორე ოთახში გავალთ, მე უკვე ვიცი, რაზე იქნება ლაპარაკი.

შიგა ეზოდან შემოსული შუქით განათებული მეორე ოთახი პირველზე დიდია და ნაოელი. ალკალდი თვალებს აცეცებს, დაბნეულად მიღიმის და მეუბნება: „იქნებ სხვანაირად მოვრიგებულიყავით, პოლკოვნიკო!“ „რამდენი?“ არ ვაცდი დამთავრებას და აქ იგი სულ სხვა ადამიანად იქცევა.

●

მემემ ტკბილეულობითა და დედაჩემის მიერ ნასწავლი დამარილებული ორცხობილით სავსე თეფში გამომიტანა. საათმა ცხრა ჩამოჰკრა. ჩვენ გვერდიგვერდ ვისხედით დახლს უკან და ის უმადოდ ღეჭავდა ორცხობილას, რომელიც იმისთვის გამოიტანა, ჩემს იქ ყოფნას ოფიციალური სტუმრობის სახე რომ მისცემოდა. მეც არ ვუშლიდი ხელს თავისუფლად ებორიალა დახლზე შემოდებული ლამპის შუქით განათებული წარსულის ტკბილ-მწარე მოგონებებში. აქ, თავის დუქანში, იგი უფრო ულგარულად და ამაზრზენად გამოიყურებოდა, ვიდრე იმ დღეს ეკლესიაში. მას მოგონებები შემოაწვა, მეც უხმოდ ვიჯექი და თავი ვერ დამეღწია ფიქრისგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბოლო წლებში მემესთვის დრო გაყინული იყო, დღეს კი მოგონებების სიმხურვალეს ყინული გაალღო და ქალმა ჩემს თვალწინ დაიწყო დბერება.

მემე მიყვებოდა გასული საუკუნის ბოლოს, დიდი ომის წინ ჩვენი ოჯახის ფეოდალური აღზევების ამბავს. ეს სწორედ ის სალამო იყო, ეკლესიიდან დაბრუნებულს, რომ დამიძახა მხიარული ხმით: „რაო, ჩაბელა, თხოვდები და მე არაფერს მეუბნები, არა?“ იმ ხანებში განსაკუთრებით ბევრს ვფიქრობდი დედაზე. შენ მისი ალი-კვალი ხარო, მითხრა მემემ და მეც მაშინვე დავიჯერე. მე ინდიელი ქალის პირისპირ ვიჯექი და ვუსმენდი მის მონაყოლს ჩვენი ოჯახის დიდებულ წარსულზე. მემე ზუსტ წლებს არ ასახელებდა და ლეგენდასავით ყვებოდა რეალურ ამბებს. მიამბო რამდენიმე ოჯახთან ერთად როგორ გაექცნენ ჩემი მშობლები უაზრო ომს, როგორ იხეტიალეს წყნარი, მყუდრო ადგილის ძიებაში და ბოლოს ამ მიწაზე დასახლდნენ. მაკინდო ჩემი მშობლებისათვის აღთქმული მიწა იყო, სადაც სიმშვიდე და კეთილდღეობა სუფევდა. აქ ჩაყარეს სახლის საფუძველი, რომელსაც შემდეგ სამი თავლა და ორი სასტუმრო ოთახი მიეშატა და ისე სათუთად უფრთხილდებოდნენ მამა-პაპის რელიგიას, როგორც სასწაულად გადარჩენილ რამდენიმე სულ ღორს. მემე არც ინტიმური წვრილმანების მოყოლას ერიდებოდა, თითქოს ამით შეძლებდა იმ ბედნიერი დროის დაბრუნებას. გზაში არაეითარი მსხვერპლი და დანაკარგი არ ყოფილა. ცხენებსაც კი მშვიდად ეძინათ კოლოების საწინააღმდეგო ბადის ქვეშ, რაც მამაჩემის ახირების კი არა, დედაჩემის გულკეთილობის ბრალი იყო, რომელიც თვლიდა, რომ ღმერთის მიერ შექმნილ ყველა არსებას, — ადამიანსაც და ცხენსაც ერთნაირად უნდა დაეცვა თავი კოლოებისგან. მათ ორი უზარმაზარი ჩემოდანი დაჰქონდათ თან. ერთი მამაპაპისეული სახლიდან წამოღებული (ისინი სისხლით ნათესავები იყვნენ), ძველი და გამოუსადეგარი სამზარეულოს ჭურჭლითა და დიდი ხნის წინ გარდაცვლილი წინაპრების ტანსაცმლით იყო სავსე, მეორეში ოჯახის საკურთხევლის წმინდანთა ფიგურები ეწყო და ამიტომ ყოველღამე იხსნებოდა. ეს პრიცესია ნამდვილ მოხეტიალე ცირკს ჰგავდა, ცხენებით, ქალებითა და მემეს მეგობარი გუახიროს ტომის ოთხი ინდიელით, რომლებიც ჩემს მშობლებთან ერთად გაიზარდნენ და გაწვრთნილი ცხოველებივით ყველგან თან დაჰყვებოდნენ მათ. ყველაფერ ამას მემე დიდი სინანულით იხსენებდა. დროის დინებას იგი პირად უბედურებად მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, დრო რომ ადგილზე მდგარიყო, ჩემი მშობლების მოგზაურობაც არ დასრულდებოდა, რაც მათთვის ნამდვილი წამება, ბავშვებისთვის კი ათასი სასწაულით სავსე (მარტო კოღოებისგან თავდასაცავ ბადეს შეფარებული ცხენები რად ღირდა!) დღესასწაული იყო.

და აი, ერთ დღეს, ახლად დაარსებულ მაკონდოში მშობლიური სახლიდან ომით განდევნილი ოჯახი შემოვიდა. ფეხმძიმე დეფარჩეი ჯორზე იჯდა თურმე გვერდულად, სახე ციებ-ცხელებისგან მოქცეოდა და მორგვებივით დასივებულ ფეხებში ძალა სულ წართმეოდა, მის მუცელში კი ნელ-ნელა იზრდებოდა ნაყოფი, რომელიც თანდათანობით უსწრაფებდა სიცოცხლეს და რომლის გაჩენას გადაჰყვა კიდეც საბრალო. მამაჩემს იქნებ გულში სულ სხვა გეგმები ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა, აქ ჩაეშვა ღუზა.

ლამპა მემეს პროფილს, ფართო სახეს და ცხენის კუდივით სწორ და უხეშ თმას ანათებდა. იმ ჩახუთულ ოთახში იგი გაცოცხლებულ და თავის მიწიერ ყოფაზე ჩაფიქრებულ ინდიელების კერპს ჰგავდა. ადრე მემესთან ახლოს არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ იმ დღეს, მისი მოულოდნელი აღსარების შემდეგ ვიგრძენი, რომ ამ ქალთან სისხლით ნათესაობაზე უფრო მეტად ძლიერი გრძნობები მაკავშირებდა.

უცებ, სიჩუმეში ვიღაცის ხველება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმა, ხმა მეორე ოთახიდან მოდიოდა, სწორედ იქიდან, სადაც ახლა მე და ჩემი შვილი ვსხედვართ. ხველებას საწოლის ჭრაჭუნი მოჰყვა, აშკარა იყო, ვიღაცამ გვერდი იცვალა. მემეს სახე მოეღრუბლა. მე იმ კაცის არსებობა სულ არ მახსოდა. მთელი საღამო (ათი საათი ხდებოდა) მეგონა, მემესთან მარტო ვიყავი. უცებ თვეშიანი ხელი დამამძიმდა, მემეს კენ დავიხარე და, მას არ სძინავს-მეთქი, ვუთხარი. „არც დაიძინებს დილამდე“, ცივად და ემოციების გარეშე მიპასუხა მემემ. მაშინ მივეხვდი მემეს ნოსტალგიის მიზეზს. მაკინდო უკვე მოზრდილი ქალაქი იყო, სადაც ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა, სახლის ყრუ კედლებს მიღმა მზე ანათებდა და ხალხი მხიარულობდა, მემეს ცხოვრება კი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. დილით დახლში იდგა, ღამეებს კი ძილგატეხილ კაცთან ატარებდა, რომლის ძაღლის თვალები და დაჟინებული მზერა მეც კი არასოდეს დამავიწყდება. ამ კაცმა ერთხელ უარი უთხრა ქალს დახმარებაზე და მთელი ცხოვრება უგრძნობ ცხოველად დარჩა, მთელი დღე ოთახში რომ აწყდება კედლებს და ყველაზე არხეინ ქალსაც კი მოომნანებდნ გამოიყვანს.

გადაწყვეტე საუბრის თემა შემეცვალა და არ მეფიქრა იმ კაცზე, მეორე ოთახში რომ წრიალებდა საწოლში და, ალბათ, რამდენჯერაც ჩვენ ხმას ავუწევდით, ყვითელ თვალებს ახამხამებდა სიბნელეში. ვაჭრობა როგორ მიდის-მეთქი, ვკითხე მემეს. „როგორც ხედავ“, მიპასუხა და ისე გამოიმა, გეგონებოდა, ეს ღიმილი კარგა ხნის წინ შეინახა უჯრაში შავი დღისთვის და იმის გამო, რომ დიდხანს არ უხმარია, დაავიწყდა, როგორ მოექცეს მასო. მივხედი, რომ წასვლის დრო იყო და მემეს ტკბილეულობით ჩანანთი ტილუხელელი თეფში დავუბრუნე. იგი ადგა, თეფში დახლზე დადო, იქიდან გამომხედა და შენ დედის ალი-კვალი ხარო, მითხრა. სანამ ვსაუბრობდით, მე სინათლისკენ ზურგით ვიჯექი და ის კარგად ვერ ამჩნევდა ჩემს სახეს, ახლა, ადგილი რომ შეიცვალა, უკეთ შემათვალიერა და მისი ალი-კვალი ხარო, გამიმეორა.

მან გაიხსენა როგორ მოიყვანეს დედა მაკინდოში და როგორ გადმოსვეს ჯორიდან სარწეველა სავარძელში, სადაც მან თავისი ცხოვრების სამი უკანასკნელი თვე გაატარა. იმ ხანებში ძალიან ცოტას ჭამდა თურმე. ხანდახან, საუზმობისას, ფეხებში მიყუჩებულ სიკვდილს მიუგდებდა ყურს და გაშეშდებოდა ხოლმე, სანამ ვინმე არ მივედოდა და თვეშს არ გამოართმევდა. მშობიარობის შეტევები რომ დაეწყო, მან ტკივილს სძლია, სავარძლიდან წამოდგა და საწოლი ოთახისკენ გაემართა. ის ოცეიოე ნანიჯი მისთვის თვეობით ტყე-ღრეში ხეტიალზე ძმიმე გამოდგა, მაგრამ დედამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, რომ თავი საწოლამდე მიეტანა და ამით ცხოვრებაში უკანასკნელი მოვალეობა შეესრულებინა.

დედას სიკვდილმა მამა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. რომელიღაც წიგნში ამოიკითხა საყვარელი ადამიანის სიკვდილის შემდეგ ეზოში ჯასმინი უნდა დარგო და მისი სუნი ყოველ საღამოს გარდაცვლილს გაგახსენებსო. მთელი კედლის გასწვრივ ჯასმინი ჩარგო და რადგან „უქალო ოჯახის ღირსებას და პატიოსნებას არავინ დაიჯერებს“, ერთი წლის თავზე ჩემს დედინაცვალ აღელაიდაზე იქორწინა.

ხანდახან მეგონა, საცაა მემე ატირდება-მეთქი. მაგრამ მას თავი ყოჩაღად ეჭირა, ფიქრობდა მონანიებით გამოეცხადებინა შეცდომა. იგი ხმ ბედნიერი იყო ჩვენს ოჯახში და საკუთარი ნებით უარყო ბედნიერება. უცებ მან გაიღიმა, სკამის ზურგს მიეყრდნო და ისევ ჩვეულებრივ ინდიელს დაემსგავსა, ჩანს, იგრძნო, რომ ტკბილი მოგონებები უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე მწარე და ჩვეული, გულღია სიცილით გაიცინა. მისი ცხოვრების მეორე, ცუდი ეტაპი მაშინ დაიწყო, როცა ერთ დღეს, სადილობისას მამაჩემს მიუახლოედა და უთხრა: „პოლ-

კოვნიკო, ვიღაც კაცი გკითხულობთ შემოსასვლელში“.

ეკლესიასა და მის უკან მდებარე ქუჩას შორის ერთი მოტიტლეული ეზო გადაშლილიყო. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, როცა ჩვენ მაკონდოში ჩამოვედით და ეკლესიის მშენებლობაზე ლაპარაკიც არ იყო, აქ ბავშვები თამაშობდნენ გაკვეთილების შემდეგ. მოგვიანებით, ტაძრის მშენებლობა რომ დაიწყო, ეზოში ოთხი ბოძი ჩასხეს და სამშენებლო მასალების შესანახი პატარა სათავსო ააშენეს.

ეკლესიის მშენებლობა რომ დამთავრდა, ვიღაცამ ქოხის კედლები თიხით შელესა და ეზოს მხარესაც შეაბა კარი. ცოტა ხნის შემდეგ უხილავმა ხელმა კედლების შეთეთრებაც არ დაიზარა და ქუჩაში და ეზოში გასავალ ორივე კარს ბოქლომი დაადო.

ხახლს კარგა ხანს არ გამოსჩენია პატრონი. მაკონდოში ჩამოსული პირველი მღვდელი საკუთარი სახლის აშენებამდე ერთ შემლებულ ოჯახში დასახლდა. იგი ჯერ კიდევ მაკონდოში იმყოფებოდა, როცა ერთ დღეს ქოხში თოთობაკვშვიანი ქალი შესახლდა, კუთხეში გაშავებული, დიდი ქოთანი დადგა, კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე კი დოქი ჩამოკიდა. არავინ იცოდა, როდის ან როგორ შეაღწია ქალმა დაკეტილ სახლში, რომლის კედლებზე კირის კვალიც აღარსად ჩანდა. ქალმა ფოთლებისგან მზისგან თავის დასაცავი ფარდა შეეკრა და რადგან თუთის კი არა, ჰალმის ფოთლების სახურავის გაკეთების თავიც არ ჰქონდა, კედლების გასწვრივ, ჭუჭყის ქერქადაკრულ, ქვანარევ მიწაში ვაზი ჩაყარა, რომლის ფოთლები ქოხს სახურავის მაგივრობას უწევდა, ქუჩაში გამავალ კარზე კი ავი თვალისგან თავდასაცავად ცურის კვერი და ალოეს შეკვრა დაკიდა.

როცა 1903 წელს მაკონდოში ხმა დაირხა, ახალი მღვდელი ჩამოდისო, ქალი ჯერ ისევ იმ ქოხში ცხოვრობდა. მთელი დასახლება მოედანზე შეიკრიბა მღვდლის დასახვედრად, სადაც ადგილობრივი ორკესტრი იდგა და გულში ჩამწვდომ მელოდიებს ასრულებდა. უცებ სიობაღლით სუნთქვაშეკრული პატარა ბიჭი მოვარდა და მოსახვევში მღვდლის ჯორი გამოჩნდაო, გვეხარა. ორკესტრი მარშის დასაგუგუნებლად მოეშზადა, ხალხის რწმუნებული კი, რომელსაც მისასალმებელი სიტყვის თქმა ევალებოდა, სახელდახელოდ შეჭედილ ტრიბუნაზე ავიდა. მაგრამ ახალმოსული დანახვაზე ორკესტრის წევრებს ინსტრუმენტები შეაცივდათ ხელში, გაოცებული ორატორი კი ტრიბუნიდან ჩამოხტა და დაბნეულ ხალხს შეუერთდა. მართალია, მღვდლებს არავინ უშლის სამოქალაქო ტანსაცმლით მოგზაურობას, მაგრამ ჯორზე შემომჯდარ სამხედრო ჩექმებიან უცხოელს, უზარმაზარი ჩემოდანი რომ გამოება ჯორის გავაზე, სასულიერო პირთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს.

სანამ გაოცებული ბრბო ახალმოსულის თვალიერებით იყო გართული, დასახლების მეორე ბოლოდან ანაფორაآაკცული, ავადმყოფურად გამხდარი, წაგრძელებულსახიანი, ჯორზე ამხედრებული მღვდელი შემოვიდა, რომელიც აუტანელი სიცხისგან დაცხავებული ქოლგით იცავდა თავს. ეკლესიასთან მისულმა პირველივე შემხვედრს ჰკითხა, მღვდლის სახლი სად არისო, რომელიც იმდენად ბრიყვი აღმოჩნდა, ეკლესიის უკან მდგარ ქოხზე მიუთითა. ქალი იმ წუთში სადღაც იყო გასული, ბავშვი კი ეზოში თამაშობდა. მღვდელს ისე ეჩქარებოდა ჩრდილში თავის შეფარება, რომ მაშინვე გადმოთხრია ჯორიდან საკეტმოშლილი, სხვა ფერის ზონარით შეკრული ჩემოდანი და ჯორი ვაზს მიაბა. შემდეგ ჩემოდანი გახსნა, იქიდან ქოლგასავით ქველი და არანაკლებ დგილეჯილი ჰამაკი ამოიღო, ბოძებს მიაბა და ისე ჩაწვა დასაძინებლად, ყურადღებაც არ მიუქცევია შიშისგან თვალებადქცეული ბავშვისთვის.

სახლში მობრუნებული ქალი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვორც ჩანს, ისე დააფრთხო მღვდლის ძროხის თავის ქალასავით უმეტყველი სახეს, რომ ფეხისწვერებზე შემოიარა სახლი, თავისი ტანსაცმელი და ბავშვის ჭინჭები ერთ ფუთაში გამოკრა და ისე დაბნეული წავიდა სახლიდან, რომ ქოთნისა და ქვაბის წაღებაც კი დაავიწყდა.

ასე, რომ ერთი საათის შემდეგ სკოლიდან გამოპარული ბაშვებითა და ორკესტრის წევრებით გარშემორტყმულმა მაკონდოს დეპუტაციამ მღვდლის კვალს რომ მიაგნო, სახლში მის მეტი არავინ იყო. როგორც ჩანს, ვიღაცამ ხალხს მღვდლის ადგილ-სამყოფელი გააგებინა, მაგრამ აზრად არავის მოსვლია ეკითხა, რას აკეთებდა იგი ამ ქოხში. ალბათ იფიქრეს, ქალი მღვდლის ნათესავია და ახლა იმიტომ მიიმალა, რომ მღვდელმა ჩასახლებისთვის უცილებელი დოკუმენტები მოიტანა და მასაც შეეშინდა ვინმე არ დაინტერესებულიყო, ვისი ნებართვით ცხოვრობდა მთელი ორი წლის მანძილზე ყოველგვარი ქირის გადახდის გარეშეო. მღვდელმა არც ისურვა მისასალმებელი სიტყვების მოსმენა, დეპუტაცია იატაკზე დასვა და მცირე შესავლის შემდეგ გამოუცხადა, მთელი ღამე არ მიძინიაო.

ახეთი ცივი მიღების შემდეგ დეპუტაცია დაიშალა. აზრთა გაცვლა-გამოცვლისას აღმოჩნდა, რომ ასეთი უცნაური მღვდელი ჯერ არავის ენახა. მას სახე ძროხის თავის ქალას უგავდა, ფერფლისფერი თმა მანქანით ჰქონდა აპარული, ტუჩების ნაცვლად კი ძაფივით ვიწრო ზოლი აჩნდა, გეგონებოდა უპიროდ დაიბადა და სათანადო ადგილას დანის ერთი დასმით პირის მსგავსი ჭრილობა გაუკეთესო. მისი სახე ყველას ეცნობოდა და როგორც იქნა გაიხსენეს, რომ დიდი ხნის წინ, მაკონდო რომ ახალი დაარსებული იყო, ის სხვა ბიჭებთან ტოტლიკანა, თავზე სომბრეროთი დარბოდა სოფლის ქუჩებში. ვეტერანებს თუ დავუჯერებთ, ცხრაასოთხმოცდაზუთი წლის სამოქალაქო ომში იგი ჩვიდმეტი წლისა უკვე პოლკოვნიკი იყო და უშიშრად ებრძოდა მტრებს. ომის შემდეგ არავის არაფერი სმენოდა მასზე, სახელიც კი ვერავინ გაიხსენა. ბოლოს ისევ ვეტერანებმა მოიგონეს ბავშვობაში დედამისის მიერ შერქმეული ზედმეტსახელი – ჯიუტი (პატარაობისას უხიაგი და თავისნათქვამი ყოფილა), და ასე ეძახდნენ კიდეც სიკვდილამდე.

●

მოხდა ისე, რომ ეს კაცი ზუსტად ჯიუტის ჩამოსვლის დღეს გამოგვეცხადა სახლში. იგი მთავარი ქუჩით შემოვიდა მაკონდოში და მღვდლის მოძღვრიდინე საზოგადოებას გადაუწყდა. ქალაქის მეორე ბოლოდან შემოსული მღვდელი კარგა ხანი იყო ჰამაკში ისვენებდა. შინ რომ დავბრუნდით და დგვიანებით შემოვუსხედით სადილს, ოთახში მემე შემოვიდა და მომახსენა: „პოლკოვნიკო, ეიღაც კაცი გკითხულობთ შემოსასვლელში“. „შემოიყვანეთ ოთახში“, ვუთხარი ქალს. ადელაიდამ ისაბელის თეფში და კოვზი გვერდზე გადადო (გეგონა მაშინ ხუთი წლის იყო) და სტუმარს გაეგება, მაგრამ მალევე მობრუნდა, შეწუხებული სახით მითხრა სტუმარი კაბინეტში დადისო და ისაბელის კვეპა განაგრძო. „მოვიწვევა სადილზე“, ვუთხარი ცოლს. „ასეც ვაპირებდი, – მიპასუხა მან, – კაბინეტში რომ შეეფდი, იგი ბოლთას სცემდა, მისალმებაზე პასუხი არ გამეკ, რადგან თარიზე შემოდებულმა მოსამართმა ბალერინამ დააინტერესა, მან სათამაშო ჩამოიღო, მოამართა და ყურადღებით მიაჩერდა. არც მეორედ მისალმებაზე მიპასუხა, ალბათ მუსიკას უსმენდა და ვერ გაიგო“. „სათამაშომ თუ დაინტერესა“, ვთქვი მე. ადელაიდა ისაბელს აჭმევდა: „მან ისეთი სახით აიღო ბალერინა, თითქოს წინასწარ იცოდა, როგორ იმართებოდა და რისთვის იყო დანიშნული. პირველად რომ მივესალმე, მან სათამაშო მომართა, მაგიდაზე დადო და ისე დაუწყო ყურება, თითქოს სათამაშო კი არა, მისი მექანიზმი აინტერესებდა“.

ასე ოფიციალურად ჩემთვის არავის ჩამოსვლა არ მოუხსენებიათ. ჩემი სახლი მუდამ სავსე იყო სტუმრებით, მაგრამ ისინი თავად აბამდნენ ცხენებს ბაგაზე და დარწმუნებულები, რომ აქ მათთვის ყოველთვის მოიძებნებოდა ადგილი, შინაურულად შემოდიოდნენ შინ. „ალბათ, რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი მოიტანა“. ვუთხარი ადელაიდას. „ყოველ შემთხვევაში უცნაურად იქცევა, – მიპასუხა მან, – მე ვდგავარ მის წინ დაბნეული და არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რადგან დარწმუნებული ვარ არ მიპასუხებს, სანამ მუსიკა არ გაჩერდება. ბალერინამ უკანასკნელი პა რომ შეასრულა, მან ცნობისმოყვარედ ამოძხედა მაგიდის მეორე მხრიდან თავის უზრმაზარი, თვალებით და გაუღიმებლად მითხრა მუცლით მეზღაპრის ხმით: „პოლკოვნიკის ნახვა მსურს, საქმე მაქვს მასთან“. გეგონებოდა პირს არც ალებსო.

ის ისაბელს აჭმევდა, მე ვფიქრობდი, როგორ მოვქცულიყავი და აზრადაც არ მომდიოდა, რომ იმ დღეს დაწყებული ამბავი დღეს უნდა დამთავრებულიყო.

„ის კაბინეტში დაიბიჯებს“, თქვა ადელაიდამ და მე მივხვდი, ახალმოსულმა იმდენად დაინტერესა იგი, რომ ერთი სული ჰქონდა როდის მივიღებდი. მე სადილობას ვაგრძელებდი, ის ისაბელს აჭმევდა და ყვებოდა: „რომ მითხრა, პოლკოვნიკის ნახვა მსურსო, ოთახში მოვიწვევ, ის კი ბალერინით ხელში ისე გაიჭიმა, თითქოს ბრძანება „სმენა“ გაეგოს. მაშინვე ვიფიქრე. სამხედროა-მეთქი, რადგან ჯარისკაცის ჩექმები და ყველა ღილზე შეკრული ვიმნსტერა ეცვა. ის ხმისამოუღებლად იდგა და თითქოს ელოდა, როდის წავიდოდი, რათა ხელახლა მოემართა სათამაშო. მე არ ვიცოდი რა მექნა და როგორც კი გავიფიქრე, სამხედროა-მეთქი, მაშინვე ვიღაცას მივამგვანე“.

„ვსე იგი, ფიქრობ, რომ სერიოზულ საქმეზეა მოსული?“ ვკითხე ადელაიდას და შანდლების ზემოდან გადავხედე. იგი ისაბელს აჭმევდა წვნიანს და ჩემკენ არც იყურებოდა: „გამოსვლა რომ დავაპირე, მან ბოლთის ცემა განაგრძო, შემდეგ გაჩერდა და ისევ სმენაზე გაიჭიმა. მაშინ დავწმუნდი, რომ ნამდვილად სამხედრო იყო და ვკითხე, ალბათ, პირისპირ გსურთ პოლკოვნიკთან საუბარი-მეთქი. მან თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად, მე კი ვუთხარი, რომ საოცრად ჰგავდა ერთ პიროვნებას, უფრო სწორად, იყო კიდეც ის პიროვნება, მაგრამ მისი ჩამოსვლა ვერაფრით ამიხსნია“. მე ვჭამდი და შანდლებს ზემოდან ვუყურებდი ადელაიდას. მან ისაბელის კვება შეწყვეტა: „დარწმუნებული ვარ, დავალებით არაა ჩამოსული, – თქვა მან, – იგი ის კი არაა, ვინც გეგონა, არამედ ის, ვისაც ჰგავს. ის სამხედროა, შავი, ზემოთ აწკეპალი ულვაშები და ბრინჯაოსფერი სახე აქვს, მაღალყელიანი ჩექმები აცვია და დარწმუნებული ვარ ის არ არის, ვინც ჩვენ გვგონია, არამედ ის, ვისაც ჰგავს“.

ერთი და იგივე სიტყვების მოსმენითა და აუტანელი სიცხით გაღიზიანებულმა ბოლოს და ბოლოს ვის ჰგავს-მეთქი, ვკითხე. „სანამ ის კაბინეტში დაბიჯებდა, მის სახეს ვერ ვხედავდი, – მიპასუხა მან, – მაგრამ შემდეგ...“ „კარგი, მივიღებ ნასადილევს“, ვუთხარი კიდევ უფრო გაღიზიანებულმა. მან ისევ აიღო ისაბელის კოეზი და ალაპარაკდა: „ჯერ მის სახეს ვერ ვხედავდი, რადგან კაბინეტში დადიოდა, მაგრამ შემდეგ, სადილზე რომ მივთამაშეიქე, ბალერინით ხელში კიდელთან გაჩერდა. მაშინ გამახსენდა ვის ჰგავდა და შენს გასაფრთხილებლად წამოვედი. მას დიდი, თავხედური თვალები აქვს და კარისკენ რომ შემოვბრუნდი, მიეხვდი ფეხებზე მეყურებდა“.

ადელაიდა გაჩერდა და ოთახში მხოლოდ რკინის კოეზის რაწკარუწკი ისმოდა. მე წვნიანის ჭამა დავამთავრე და ხელახლიცა თეფშის ქვეშ ამოვდე.

კაბინეტიდან მოსამართი თოეჯინის მუსიკის ხმა მოისმა.

სამზარეულოში ერთი უზურგო, ჩუქურთმებიანი და ფეხმორყეული სკამი გვაქვს, რომელზეც ბაბუა ფეხსაცმელებს აწყობს ხოლმე გასაშრობად.

გუშინ, სწორედ ამ დროს, ტობიასი, აბრამი, ხილბერტო და მე სკოლის შემდეგ პლანტაციაში წავედით ჩიტებზე სანადოროდ, თან შურდული, ძველი ფარფლებიანი ქუდი და ჩემი ახალი, დასაკეცი დანა წავიღეთ. გზაში ჩვენი სამზარეულოს სკამი გამახსენდა, ოღესლაც მასზე სტუმრებს ვვამდნენ, ახლა ის მიცვალებულს ეკუთვნის, რომელიც ყოველ საღამოს მოდის, მასზე ჯდება და ჩამქრალ კერიას მისჩერებია.

ტობიასი და ხილბერტო ძველ არხში ჩაძვრნენ, დილით იწვიმა და მათაც ყოველ წუთს ტალახში უცურდებოდათ ფეხი. რომელიღაც მათგანი უსტვენდა და ისეთ ხმას გამოსცემდა, გეგონებოდა, ვიღაც კასრში მღერისო. აბრამი მე მომყვებოდა უკან. მას მოზიდული შურდული ეჭირა ხელში, მე გახსნილი დანა.

უცებ ხშირ ფოთლებში მზის სხივი შემოიჭრა. „დაინახე?“ ჩამჩურჩულა აბრამმა. „ეს ჩიტი არაა, მზის სხივია“. ვუპასუხე და ხილბერტოს და ტობიასს გავხედე.

ნაპარზე რომ გამოვიდნენ, ბიჭებმა ტანთ გაიხადეს და მთელი ძალით დასცხეს წყალს ფეხები, ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ კანზე თითქოს არც კი ეკრძალებოდთ წყალი. „ვერც ერთი ჩიტი ვერ დავიჭირეთ“, თქვა აბრამმა. „ნაწვიმარზე ჩიტები არ არიან“, ვუპასუხე მე და საკუთარი სიტყვები დავიჯერე. აბრამმა თავისი ბრეყული სიცილით გაიცინა, რომელიც ჭაში წყლის წვრილი ჭავლით ჩაშვების ხმას ჰგავს. „არხში ჩავალ დანით და ქუდს თევზებით გავავსებ“, თქვა მან.

იგი ჩვენს წინ იდგა შიშველი და ხელგამოწვდილი. მე მაშინვე არ მიპასუხია, უხმოდ ვიდექი და ხელში დანის ალესილ პირს ვკრძნობდი. „არ მივცემ დანას“, ვიფიქრე და ვუთხარი: „არ მოგცემ დანას, მე ის მხოლოდ გუშინ მაჩუქეს და მთელი დღე უნდა ვითამაშო“. აბრამი ისევ ხელგამოწვდილი იდგა. „დრნუკარ“, ვუთხარი მე.

აბრამმა გამიგო. მხოლოდ მას ესმის ჩემი ენა. „კარგი, — მითხრა, — გაიხადე და ჩამოდი, ქვაზე დაგიცდიან“. მან ჩაყვინთა და მალე ვერცხლის ფერად ალაპლაპებული თევზივით ამოყვინთა. წყალი, როგორც იქნა, თხევადი გახდა და კანი დაუსველა.

მე ნაპირზე დავრჩი, თბილ მიწაზე დავწექი, დანა გავხსენი და მზერა აბრამდან ნაშუადღევმოლეულ ცაზე გადავიტანე, რომელიც ალმოდებულ თავლასავით იწვოდა და ანათებდა.

„ჩქარა“, დამიძახა აბრამმა მეორე ნაპირიდან. ქვის კიდეზე ჩამომჯდარმა ტობიასმაც დამისტვინა. „ხვალ ვიბანავებ, დღეს არა“, გავიფიქრე.

სახლებში რომ ვბრუნდებოდით, აბრამი ბუჩქებში შეძვრა. მეც დავაპირე გაყოლა, მაგრამ მან გამომძახა, არ მოხვიდე, საქმე მაქვსო. მე ყვითელ ფოთლებზე დავჯექი ბილიკთან და ცაზე მოსრიალე ერთადერთ მერცხალს დავუწყე ყურება. „დღეს მხოლოდ ერთი მერცხალი ჩანს“, ვთქვი ხმამაღლა.

აბრამმა მაშინვე არ მიპასუხა. ის უხმოდ ჩაკუზულიყო ბუჩქებს უკან, გეგონებოდა კითხულობს და ჩემი ხმა არ ესმისო. მისი სიჩუმე ღრმა იყო და დაბაული. ცოტა ხნის შემდეგ მან ამოიოხრა და თქვა: „მერცხლები“.

„დღეს მხოლოდ ერთია“, ვუპასუხე მე. აბრამი ისევ ბუჩქებს უკან იჯდა, თუმცა მე მას ვერ ვხედავდი. იგი დაბაულად და საქმიანად დუმდა. „მხოლოდ ერთი? ჰო, რა თქმა უნდა“, გამომძახა ცოტა ხნის შემდეგ.

ახლა მე დავდუმდი. იგი შეინძრა. მეც ფოთლებზე ვიჯექი და შარიშურმა მიმახვედრა, სად იჯდა აბრამი. იგი ხმას არ იღებდა, თითქოს სულ წავიდაო, შემდეგ ღრმად ამოისუნთქა და მკითხა: „რა თქვი?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დღეს მხოლოდ ერთი მერცხალია“, გავუმეორე მე და მერცხლის შავ, დამაბულ ფრთებს მივაჩერდი, წრეებს რომ ხაზავდა ცაზე. „მაღლა დაფრინავს“, დავამატე.

„რა თქმა უნდა, ალბათ მაგიტომაც, მაშინვე მიპასუხა აბრამმა და შარვლის სწორებით გამოვიდა ბუჩქებიდან. ჩემთვის არც შემოუხედავს, მერცხალს გაყოლა თვალი და მხოლოდ ამის შემდეგ მომიბრუნდა: „რაღაცას მეუბნებოდი მერცხლებზე, არა?“

ამან შეგვაყოვნა გზაში. მაკონდოში რომ დავბრუნდით, სახლებში უკვე სინათლეები ენთო. მე სირბილით შევვარდი კარში და სან-ხერმინელ ბრმა ტყუპ ლებს გადავაწყდი, რომლებიც უხსოვარი დროიდან, ჩემს დაბადებამდეც კი, ყოველ სამშაბათს დადიან ჩვენთან და ბაბუას უმღერიან.

მთელი ღამე ვიცნებობდი, როგორ წავიდოდით მეორე დღეს მდინარეზე, ამჯერად ხალბერტოსა და ტობიასის გარეშე. მე მინდოდა აბრამთან ერთად წავსულიყავი და წყალში ვერცხლისფრად მოლპლპე მისი მუცლისთვის შეყურებინა. მთელი ღამე ვფიქრობდი, როგორ დავბრუნდებოდი ჭალაში, მასთან ერთად და თევზზე ხელს შევახებოდი. მას რომ ვეხები, მთელ სხეულში მსუსხავს და ბუსუსებს მაყრის.

თუ ეს კაცი, ბაბუას რომ ელაპარაკება მეორე ოთახში, დროზე გამოვა, იქნებ ოთხ საათიზე სახლშიც მივბრუნდეთ და მაშინ მე და აბრამი მდინარეზე წავალთ.

●

იგი ჩვენთან დარჩა საცხოვრებლად. მე მას შუმაბანდის ვვერდით მდებარე ბატარა ოთახი დავუთმე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, მისი ყაიდის კაცი სასტუმრო ოთახში ვერ გაძლებდა. მან კარზე ოკრობოკრო ასოებით ნაწერი განცხადება გამოაკრა და სულ მალე მრავალრიცხოვანი პაციენტებისთვის ახალი სკამების დადგმა მოგვიხდა.

ჩამოსვლის დღეს მან პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას წერილი გადმოსცა და იმდენ ხანს ვილაპარაკეთ კაბინეტში ჩაკეტილებმა, რომ ადელაიდამ იფიქრა, ნამდვილად უმაღლესი მთავარსარდლობის გამოგზავნილი კაციაო და საზეიმო სუფრა გაშალა. ჩვენ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, მისი შვილი თვის ბოგონა და ცელქი უფროსი ვაჟი მოვიგონეთ. საუბრისას დავრწმუნდი, რომ ეს კაცი კარგად იცნობდა პოლკოვნიკს და ჯეროვნად აფასებდა მის მიერ მიცემულ სარეკომენდაციო ბარათს. როცა მემეგ სუფრასთან მოგვიხმო, ვიფიქრე, ადელაიდამ სასწრაფოდ რაღაც მოახლეფორთა-მეთქი, მაგრამ სასადილო ოთახში შესულებს თვალი მოგვჭრა ახალთ-ახალ სუფრაზე გაწყობილმა ჩინური ფაიფურის ჭურჭელმა, რომელიც მხოლოდ შობა-ახალ წელს და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში ეშლებოდა.

ხავერდის მაღალყელიან კაბაში გამოწყობილი ადელაიდა ამაყად იჯდა სუფრის თავში. ჩვენს ქორწილამდე იგი ამ კაბას მხოლოდ დედაქალაქში იცვამდა მიღებაზე. მას მაღალი წრის საზოგადოებაში ცხოვრების გარკვეული გამოცდილება ჰქონდა და ქორწილის დღიდან თავისი კორექტურები შეიტანა ჩვენი ოჯახის ყოფაცხოვრებაში. ადელაიდას ბულზე საგვარეული მედალიონი უბრწყინავდა, რომელსაც წელიწადში ორსამჯერ თუ იკეთებდა ხოლმე. სასადილო ოთახში შესულმა ექიმმა აშკარად უნერვულად იგრძნო თავი, გიმნასტურის ზედა ღილი ჰალსტუხის სათავესავით შეისწორა და დაბნეული გაეძართა მაგიდისკენ. საოცარი სიცხადით მახსოვს ის წუთი, როცა ვიგრძენი, რომ ჩემი საშინაო ტანსაცმელი ადელაიდას მიერ გაწყობილ საზეიმო სუფრას არამც და არამც არ შეეფერებოდა.

თეფშებზე საქონლისა და ნანადირევის ხორცი იყო, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა ჩვენი ყოველდღიური სადილისგან, მაგრამ მაინც საზეიმოდ გამოიყურებოდა ჩინურ ფაიფურზე, ახალგაპრიალებულ შანდლებს შორის. ჩემმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლმა იცოდა, რომ ერთი სტუმარი გვყავდა, მაგრამ მაინც რვა კაცზე გაეწყო სუფრა, სუფრის შუაგულში ჩადგმული ღვინის ბოთლი ხაზს უსვამდა დიასახლისის კეთილგანწყობას სტუმრისადმი, რომელიც მან თავდაპირველად ცნობილ სამხედრო პირს მიამგვანა. რაც შეეხება ადელაიდას, რომ არა მისი ღვიძებრივი, თოვლივით თეთრი ხელები, რომლებიც ყველა სხვა სიყალბეს ფარავდნენ მის ჩაცმულობასა და იერში, ალბათ, სასცილოც კი მომეჩვენებოდა. სწორედ მაშინ, როცა სტუმარმა უხერხულად მისრისა ხელში ღილი და სუფრასკენ გაემართა, ისინი ერთმანეთს წარვუდგინე: „ჩემი მეორე ცოლი, ქალბატონ“. ადელაიდას სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და სტუმარს ღიმილით გაუწოდა ხელი, თუმცა სადღა იყო ის ცერემონიულობა, შემოსვლისას რომ დავიჭირე.

ექიმმა სამხედრო წესისამებრ შეატყუპა ქუსლები, ორი ოთით შუბლთან მიატანა და ადელაიდასკენ გაემართა:

— სასიამოვნოა, ქალბატონო, — უთხრა ისე, რომ საკუთარი თავი არ წარუდგენია.

მე შევამჩნიე რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაადგო იგი ადელაიდას გამოწვდილმა ხელმა და მაშინვე აღვნიშნე გულში მისი ვულგარული მანერები.

იგი სუფრის მეორე ბოლოში დაჯდა და ისე უშნოდ ჩანდა ბროლსა და ფაიფურს შორის, როგორც წვნიანის ლაქა ქთქათა სუფრაზე.

ადელაიდამ ჭიქები ღვინით შეავსო. მისი მღელვარება სადღაც გამქრალიყო. „კარგი, ახლა ისე იქნება ყველაფერი, როგორც ჩავფიქრე, მაგრამ ახსნა-განმარტების მოციმა მაინც მოგიწევს, ჩემო კარგო“, ამბობდნენ მისი თვალები. ის იყო ადელაიდა ღვინის ჩამოსხმას მორჩა და მემე წვნიანის დასასხმელად მოემზადა, რომ ექიმი სკამის ზურგს მიეყრდნო და მემე მოიხმო: „ერთი, გოგონა, ბალახი მომიხარშე და წვნიანის მაგივრად მომიტანე!“

მემე ადგილიდან არ დაძრულა, ჩაიხითხითა და ადელაიდას შეხედა. „როგორი ბალახი, ექიმო?“ დაბნეული ღიმილით ჰკითხა ჩემმა ცოლმა. „ჩვეულებრივი, სენიორა, ვირები რომ მიირთმევენ“, მცოხნელი ცხოველის ხმით უპასუხა მან.

და აი, დგება შუადღის ძილიდან გამოფხიზლების წუთი. ამ დროს მწერების უხილავი, გულმოდგინე ფუსფუსიც კი წყდება, სამყაროს მოძრაობა ჩერდება, დედამიწა ქაოსის ჰირას ირწევა, ლოყაზე ბალიშის კვალდამჩნეული ქალები წირპლიანი თვალების ფშვნეტითა და ზმორებით დგებიან და ფიქრობენ: „მაკნდოში ისევ ოთხშაბათია“. შემდეგ კუთხეში სხდებიან, სიზმრის სიწამდვილესად დაკავშირებას ცდილობენ და თითქმის ერთდროულად იწყებენ ძაფის რთვას, თითქოს ყველას ერთი დიდი გადასაფარებლის მოქსოვა განუზრახავსო.

სხეულის შინაგანი დრო რომ სამყაროს დროის დინებას ემთხვეოდეს, ახლა პროცესიას უნდა მივყვებოდეთ ჩახუთულ ქუჩაში. ჩვენს გარემომცველ სამყაროში სექტემბრის სულისშემხუთავი, გვიანი ხალმო იქნებოდა, მწვანე ბინდბუნდში გახვეული ქალები ეზოებში ისხდებოდნენ, ჩვენ კი, სამი განდგომილი, სექტემბრის მზისქვეშ გვყვებოდით კუბოს. ახლა ვეღარავინ გადადგს დაკრძალვას, მეკონა ალკალდი მაინც მტკაცედ დადგებოდა თავისაზე და ჩვენც შინ დაბრუნება მოვვიწევდა. ბავშვი სკოლაში წავიდოდა. მამაჩემი საშინაო ფეხსაცმელს ჩაიცვამდა, თავს ცივი წყლით გადაიბანდა და მარცხენა ხელთან ყინულჩაყრილი ლიმონათის სურას დაიდგამდა. მაგრამ მამაჩემის სიჯიუტემ და გაუტეხლობამ ალკალდს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ჩვენს ირგვლივ სამყარო სუნთქავს, ერთნაირ გადასაფარებელს ქსოვს, ქუჩაში კი ახალდადებული, ფეხშეუხები მტკვრი ბრწყინავს, რომელიც ეს-ესაა ქარმა მოასწორა და ხარების ნაფეხურები წაშალა. ქალაქი ჩამკვდარია, სახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი დგმანული, კარებს იქით ბრაზით ამოთქმული სიტყვების ყრუ ბუბუნი ისმის, ოთახში გაუნძრეველად ზის ბიჭი და თავის ფეხსაცმელს დასჩერება, შემდეგ მზერა გაზეთებზე გადაქცევს, ისევ ფეხსაცმელს უბრუნდება და ბოლოს მთელი ყურადღებით ათვალიერებს მიცვალებულის მოტეტკილ ენას და ძაღლისებრ შუშის თვალებს, რომელშიც აღარც სიხარბე ელავს, აღარც ჟინი. ბავშვი ფიცრებში ჩაჭედილ მიცვალებულზე ფიქრობს, ხელს მწუხარედ იქნევს და უცებ ყველაფერი იცვლება. სადალაქოს კარში სკამი ჩნდება, მის უკან — სარკიანი მაგიდა და წყლის ნიჟარა. ბავშვის ხელი იზრდება და ჭორფლით იფარება, ეს ჩემი შვილის ხელი კი არა, დალაქის ხელია, რომელიც სამართებელს ლესავს. ყურში სამართებლის ფხაჭუნის ხმა მესმის, თავში კი აკეიატებული აზრი მიტრიალებს: „დღეს უფრო ადრე მოვლენ, მაკონდოში ხომ ოთხშაბათია“. ისინი მართლა ადრე მოდიან, სკამებს ჩრდილში დგამენ. სახეშეჭმუხნილები და ჩაფიქრებულები სხდებიან, ფეხს ფეხზე იდებენ, ერთსა და იმავე თემაზე ლაპარაკობენ და სენორა რებეკას პირქუშ სახლს უყურებენ. სენორა რებეკას ვენტილატორის ჩრთვა დაავიწყდა, ცხუთრაკრული ფანჯრების ქვეშ ნერვიულად დაბიჯავს, თავის მტანჯველი და უნაყოფო ქერეობის ნაყარნუყარს ალაგებს და ნიოებზე ხელის შეხებით რწმუნდება, რომ ჯერ არ მომკვდარა და ექმის დაკრძალვის დღესაც კი მოესწრო. იგი კარს აღებს, კეტავს და მოთმინებით იცდის, როდის ამცნობს ბაბუისეული საათი მის დაქვეითებულ სმენას სამი საათის დადგომას. ეს ყველაფერი წამის მეათედში ხდება, სანამ ბავშვი ხელს ძირს უშვებს და სკამზე სწორდება. დროის ამ მონაკვეთში ქალი ორი გვირისტის გაელებასაც ვერ მოასწრებდა საკერავი მანქანით. სანამ ბავშვი სკამზე გასწორდებოდა, ქალმა საკერავი მანქანა შუშაბანდის კუთხეში მიაგორა, სადალაქოში ჩამომჯდარმა ორმა კაცმა კი სიგარეტს თავი ჩაკვნიტა, დამბლადაცემული აგედი უკანასკნელ ძალებს იკრებს და სიცოცხლეწართმეული მუხლების ამოძრავებას ცდილობს. სენორა რებეკა საიმედოდ ჩაკეტილ კარს უახლოვდება და ფიქრობს: „მაკონდოში ოთხშაბათია. კარგი დროა ეშმაკის დასამარხად“. ბავშვი ისევ იცვლის ადგილს და დროც იცვლება. დროის დინებას ხომ მაშინ გრძნობ, როცა ვინმე მოძრაობს. მანამდე მხოლოდ ხავსმოფენილი მარადისობა, ოფლი და ენამოტეტკილი, გაყინული მიცვალებულია. მისთვის არც ბავშვის მოძრაობით იცვლება დრო. სანამ მიცვალებული უსასრულობას ეჩვევა (ბავშვი ჯერ კიდევ ხელს ამოძრავებს), აგედ მეორედ მარცვლავს კრიალოსანს, დასაკეც სავარძელში მიწოლილი სენიორა რებეკა ბრაზით მისჩერებია საათზე შეყინულ ისრებს და თუმცა ჯერ წამსაც არ გაუვლია, აგედ კრიალოსნის კიდევ ერთ კაკალს აგდებს და ფიქრობს: „აი, რას ვიზამდი, მამა ანხელთან მისვლა რომ შეეძლოს“. ბავშვის ხელი ძირს ეშვება, სამართებელი ღვედზე ილესება და კარში გამოსული კაცი კითხულობს: „ოთხის ნახევარი იქნება, არა?“ ხელი ჩერდება. საათის ისარი მეორე წუთის გზა-საყართან ირინდება, სამართებელი ფოლადით შემოსაზღვრულ საკუთარ სიცრცეში იწრთობა, აგედ ხელის ახალ მოძრაობას უცდის, რომ წამოხტეს და „წმინდაო მამაო! წმინდა მამაოს“ ყვირილით შევრდეს ეკლესიაში, ბავშვის უმოძრაობით ღონეწართმეულ მამა ანხელს საძულველი გუფოის გემო ავიწყდება: „ჯეშმარიტი სასწაულია, შვილო ჩემო“, — ამბობს და ისევ თვლემს ერევა, ტუჩზე ნერწყვი ეკიდება და ბურნუნი წასული ბუტბუტებს: „ყოველ შემთხვევაში, აგედ, ახლა სულებისთვის პარაკლისის გადახდის დრო არაა“. ხელის ხელახალ განძრევადე ოთახში მამა შემოდის, ორი დრო სასწრაფოდ ერწყმის ერთმანეთს და ნაწიბურებს ისწორებს, ბავშვის მოძრაობის რიტმსა და სენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორა რებეკას მოუთმენლობაში გახლარ-ული საათის ისრები ამთქნარებენ და წამის ყურეში ყვინთავენ, ნაპირზე გა-მოსულებს თხევადი, ზუსტი დრო მო-წურწურებთ ტანზე, ცერმენიულად გვიკრავენ თავს და აცხადებენ: „ზუსტად ორი საათი და ორმოცდაშვიდი წუთია". მამაჩემი შეუნებლად არღვევს დროის დინებას და ამბობს: „დრუნჭებში დაფ-რინავ, შვილო!" „როგორ ფიქრობთ, მოხდება რამე?" – ვეკითხები მე. ის ოფლს იწმენდს, იღიმება და მპასუხობს: „დარწმუნებული ვარ, ბევრ ოჯახში მი-იწვება ბრინჯი და გადმოვა რძე".

●

კუბო თავდახურულია, მაგრამ მე კარ-გად მახსოვს მიცვალებულის სახე, რო-მელიც ისე ჩამებეჭდა მეხსიერებაში, კედელს რომ ვუყურებ, მაშინაც მის გადმოკარკლულ თვალებს, სველ მიწის-ფერ ჩავარდნილ ლოყებსა და კბილებს შუა მოტეტკილ ენას ვხედავ. თავს მო-უსვენრად ვკრძნობ. ალბათ, შარვალი მუდამ ასე მომიჭერს.

მეორე ოთახიდან გამოსული ბაბუა დედას მიუჯდა გვერდით. უხმოდ ზის ნიკაპით ხელჯოხს დაყრდნობილი, მტკი-ვანი ფეხი წინ წამოუწევია. ბაბუა იც-დის. დედაც იცდის. საწოლზე მჯდარი ინდიელები ალარ ეწევიან, ჩუმად სხე-დან და კუბოს უყურებენ. ისინიც იცდე-ან.

თვალები რომ ამიკრან, მაკინდი ოცჯერ შემომატარონ და გაუფრთხილებ-ლად მომიყვანონ ამ სახლში, სუნით მა-შინვე მიეხვედი, სად ვიმყოფები. მე არასოდეს დამავიწყდება ამ ოთახის სა-ნგვისა და ჩემოდნების სუნი (სინამდ-ვილეში აქ მხოლოდ ერთი უზარმაზარი ჩემოდანია, რომელშიც თავისუფლად მოეთავსებოდით მე და ალრამი, ის კი არა, ტობიასისთვისაც დარჩებოდა ად-გილი). მე ოთახებს სუნით ვცნობ.

შარშან ადამ მუხლებზე დამისვა. თვა-ლები დავხუჭე და მოცახცახე ქუთუთო-ებს მიღმა რომ ვუყურებდი ქალს, მეჩ-ვენებოდა, რომ მთელი მისი სხეული ერ-თი მთლიანი სახე იყო და ცხვარივით თეთრად ქაქანებდა. ის იყო უნდა ჩამძინებოდა, რომ უცხო სუნი ვიგრძე-ნი.

მე ჩვენი სახლის ყველა სუნს კარ-გად ვიცნობ. ხანდახან თვალდახუჭული და ხელებგაწვდილი დავდივარ შუშაბან-დში, რომისა და ქაფურის სუნს რომ ვგრძნობ, ვიცი, ბაბუას ოთახთან ვარ და თვალდახუჭული განვაგრძობ გზას, „დედას ოთახს რომ ჩავუვლი, ჯერ ახალი ბანქოს ქაღალდის სუნი მეცემა, მერე ფისის და ნაფტალინის", ვფიქრობ და მართლაც ჯერ დედის სიმღერა მესმის, მერე ბანქოს ქაღალდის სუნს ვგრძნობ, შემდეგ ფისისა და ნაფტალინის სუნიც მოდის და ვფიქრობ: „ახლა მარცხნივ თუ შეეუხვევ, თეთრეულის და ჩაკეტილი ფანჯრის სუნი მომივა. იქ გავჩერდები კიდეც". სამ ნაბიჯზე ახალ სუნს ვაწყ-დები, თვალგაუხელად ვწერდები და ხელგაწვდილს ადას ხმა ჩამესმის: „თვალდახუჭული დადიხარ, ბიჭო?"

იმ საღამოს, ის-ის იყო ჩამთვლიმა, რომ სრულიად უცხო სუნი ვიგრძენი, ასეთი ძლიერი, მკვეთრი სუნი არც ერთ ოთახში არ იდგა, გეგონებოდა, ვიღაცამ ჟასმინის ბუჩქი შეარხიაო. მე თვალები გავახილე, ღრმად ჩავისუნთქე და ვი-კითხე: „იგრძენი?" ადა ჯერ თვალებში მიყურებდა, შემდეგ რატომღაც მზერა ამარიდა. „იგრძენი?" – გავუმეორე მე, – „ჟასმინის სუნი მოვიდა საიდანღაც". „ეს იმ ბუჩქების სუნია, ცხრა წლის წინ რომ იზრდებოდა კედელთან", მითხრა მან. მე გავსწორდი და წამოვჯექი. „ბუჩქები ხომ აღარაა", – ვთქვი გაო-ცებულმა. „ახლა არა, – მითხრა მან, – მაგრამ ცხრა წლის წინ, შენ რომ ახალი დაბადებული იყავი, ეზოს კედლის გასწვრივ ჟასმინი იზრდებოდა და ცხელ ღამეებში ზუსტად ასეთი სუნი იდგა სახ-ლში". მე მას მხარზე მივეყუდე და პირ-ში მივაჩერდი: „მაგრამ ეს ჩემს დაბა-დებამდე იყო", – ვთქვი მე. „მკაცრი ზამ-

თარი დადგა და ბუჩქები ამოეძირკვეთ“, მიპასუხა მან.

სუნი არ გაქრალა, გამძაფრდა და სახლის ყველა სუნს სძლია. „მომეყვეი“, — ვუბრძანე ადამ. იგი გაჩერდა, მთვარის შუქით განათებულ, კირით შეთეთრებულ კედელს გახედა და მიპასუხა: „რომ გაიზრდები, გაიგებ, რომ ჟასმინი ამოდის“. მე ვერაფერს მივხვდი, მაგრამ ისე შემაჟრჟოლა, თითქოს ვიღაც შემეხოო. „ჰო“, — ვთქვი მე. — „ჟასმინი მიცვალებულივითაა, ღამღამობით საფლავიდან ამოდის“, — დააზუსტა ადამ.

მე ხმის ამოუღებლად ვიჯექი მის მხარს მიყრდნობილი და სამზარეულოს სკამზე ვფიქრობდი, რომლის გაბზარულ დასაჯდომზე ცუდ ამინდში ბაბუა ფეხსაცმელს აწყობს ხოლმე გასაშრობად. ახლა უკვე ვიცოდი, რომ დამღამობით სამზარეულოში მიცვალებული მოდის, იმ სკამზე ჯდება და ნაკვერჩხლებს მისჩერებია. „ალბათ, ჟასმინიც ისევეა, როგორც მიცვალებული სამზარეულოში“, ვთქვი ცოტა ხნის შემდეგ. „რომელი მიცვალებული?“ გაოცებისგან თვალები გადმოკარკლა ადამ. „ის ყოველ საღამოს მოდის და იმ სკამზე ჯდება, ბაბუა ფეხსაცმელს რომ აწყობს ხოლმე“, — ავუხსენი მე. „არავითარი მიცვალებული არ არსებობს, — თქვა ადამ. — სკამი კი ცეცხლთან ამიტომ დგას, რომ სხვა არაფრისთვის ვარგა“.

ეს შარშან იყო. ახლა ყველაფერი შეიცვალა, ახლა მიცვალებული ვნახე და საკმარისია თვალები დავხუჭო, საბნელეში მაშინვე მისი სახე ამოტივტივდება. მინდა ამის შესახებ დედას ველაპარაკო, მაგრამ ის ბაბუასკენ ბრუნდება და როგორ გგონიათ, მოხდება რამეო, — ეკითხება. ბაბუა ხელჯოხზე დაყრდნობილ ნიკაპს ზევით სწევს და თავს იქნევს: დარწმუნებული ვარ, ბევრ ოჯახში მიიწვევა ბრინჯი და გადმოვა რძეო — პასუხობს.

თარგმნა **თეა გვასალიამ**

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვეტლანა ალილუევა

წიგნი უვილიუვილთათვის

შინიდან დავურეკე ვლადიმირ აშკენაზის, რომელიც აქამდე ყოველთვის ჩემი კარგი მეგობარი იყო. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ამერიკასა და ინგლისში მისი გასტროლების დროს. ყოველთვის პოულობდა ჩემთვის დროს, თუმცა უსაზღვროდ საბელგანიქმული პიროვნება გახლდათ, ძალზე გადატვირთული იყო და მალე იღლებოდა. ახლა, როცა ტელეფონით ჩემი საკმაოდ აბდაუბდა მონოლოგი მოისმინა, გესლიანად შენიშნა: „ჰო, რასაკვირველია, თუ თქვენ არც აქ ყოფნა მოგწონთ და არც შტატებში, მაშინ უკან, საბჭოთა კავშირში ხომ არ დაბრუნდებოდით?“

მისმა კილომ გამაღიზიანა: დამცინის კიდეც! იმას რა უჭირს, მთელი ოჯახი და შვილები თანა ჰყავს, მეფესავით ცხოვრობს შვეიცარიაში, ყველგან რეზიდენციები აქვს... და მეც იმავე კილოზე მივუგე: „იცრე იყოს, შესაძლოა, თქვენ რჩეული ვისარგებლო“. და ყურმილი დავეკიდე.

რაც უფრო ცხადი ხდებოდა ჩემთვის, როგორ შოკში ჩაადგებდა ყველას სსრკ-ში ჩვენი გამგზავრება, გულის ლოგიკა მით უფრო მეტი დაჟინებით მიბიძგებდა ამ გადაწყვეტილების ხორცშესხმისკენ. მე უახლოესი დღეების ასტროლოგიურ პროგნოზშიც კი ჩავიხედე. ის მირნევდა, არავითარი სერიოზული გადაწყვეტილებები არ მიიღოთ, რადგან ახლა გონება დაბინდულიაო.

„სისულელეა!“ — ვუთხარი ჩემს თავს. და დავუჯექი საბჭოთა ელჩისთვის მისართმევი წერილის დასაწერად, წერილისა, რომლითაც სსრკ-ში დაბრუნების ნებართვას ვთხოულობდი.

როგორც იქნა ვაჟიშვილს შეეყარე

შერემეტიევის აეროპორტიდან ქალაქამდე დიდი ეზაა და, რამდენადაც მახსოვს, ადრე ტყეებსა და სოფლებზე გადიოდა. ახლა კი ჩვენ ძალიან ჩქარა შევდივართ მოსკოვის გარეუბნების ზოლში და დაურულებლად გაჭიმული, ერთნაირი მრავალბინიანი ბლოკების მონოტონურობისგან არავითარი შელავათი უკვე არ გველის. როგორღაც ვერაფერს ვცნობ ფანჯიდან, რასაც ამ ადგილებში ვიცნობდი, ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი გაუცხოოდა. მხოლოდ ლენინგრადის პროსპექტის დასაწყისში ვცნობ ზოგიერთ ძველ შენობასა და მოხაზულობას. ყველაფერი ეს ისევე უცნაურია, როგორც სიზმარში. აი, ლენინგრადის პროსპექტის ძველი ხეივნები, ძველი სახლები...

ქალთა კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც ჩვენ დაგხვდა, სულმოუთქმელად მიხსნის მშენებლობის გაქანებებს და ასე შემდეგ, — როგორც საჭირია აუხსნას ტურისტებს ან ყველა იმ უც-

---

დასაწყისი იხილე „ცისკარი“ № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოტომელ ქალს, რომლებიც მოსკოვში კონფერენციებზე ჩამოდიან და რომლებსაც ის, უეჭველად, ასევე, თაიგულებით ხვდება... საცოდავი! რატომ უბრძანეს ჩვენი დახვედრა? მას უმძიმს, მთლად იბნევა, არ იცის, როგორ გვლანძარაკოს. „თქვენ, როგორც ჩვენი სტუმრები, სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ მოგთავაზეთ, – როგორც იქნა, პოულობს თქმას. – იქ მხოლოდ საბჭოთა სტუმრები და ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები – ზოგიერთნი – ჩერდებიან. თქვენ იქ საზღვარგარეთულ პრესას ვერ ნახავთ“. გასაგებია. ეს – პრესისგან ჩვენი დაცვა – ჩინებული რამაა. ამისთვის მადლობა ეკუთვნის. ისე, რაღაც არ მახსენდება, რომ მოსკოვში პრესას ეგეოს... მაგრამ, შესაძლოა, დრონი იცვალნენ (ეს შემდგომში მოვლენებმა დაადასტურა). ამ ქალის მიერ წარმოთქმული სიტყვა „უცხოელები“ უცნაურად ჟღერს, მე და ოლიას ის უკვე საბჭოელებად მიგვიჩნევს. მაშ, ასე, – ჩვენ საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის ოფიციალური სტუმრები ვართ. ეს კიდევ რითი გამოიხატება? რა ძნელია, აი, ასე. მოულოდნელად საბჭოურ ცხოვრებაზე გადართვა და მისი ამ სიტყვების მთელი მნიშვნელობის ჩაწვდომა. როგორ დამავიწყდა ყველაფერი, როგორ ჩავერთე ცხოვრების სულ სხვა წესებში. „თქვენნ ოთახის საფასური გადახდილია, ამაზე ნუ ღელავთ“, – დასძინა მან. გაეცინა იმაზე, რომ აეროპორტში მე, ჩვეულისმებრ, ვეძებდი გაცვლით სალაროს, რათა სტერლინგები მანეთებზე გადამეცვალა. არც აცია, არც აცხელა, ეგრევე, გასასვლელისკენ მიბიძგა და ესდა წაილუღლუდა: „ეჰ, მოეშვით ამეებს...“ აქ თქვენი ცრურწმენები მოიშორეთ, ფული თქვენთან, ამერიკაში, წარმოადგენს რაღაცას, აქ კი იგი არ გვჭირდებ! მის სახეზე ახლაც ეს აზრი იყო აღბეჭდილი, მე მას ვეუღდი და ვეპრალებოდი.

ბაგრამ ამისთვის არ მცხელოდა: რამდენიმე წუთის შემდეგ შევხვდებით ჩემს ეკიპაჟს და მის ცოლს. ამაზე ფიქრი თავბრუს მახვევს. კარგი იქნებოდა, ჩვენი ეს შეხვედრა გარეშეს არავის ენახა... რომ ჩვენს ირგვლივ სხვა არავინ, არავინ ყოფილიყო...

ოლგა უშველებელ ქალაქს გასქცერის. მას ნანახი აქვს ნიუ-იორკი, ლონდონი, მაგრამ, ჩვეულებრივ, პატარა ქალაქებში ან გარეუნებში ეცხოვრობდით. ეს მისთვის უზარმაზარი ქალაქია, რომლის ქუჩებსაც უკვე დაახლოებით ერთი საათია მივუყვებით. ბოგონას თვალებში ჩაბუდეულია ცნობისწადილი დადებითი ემოციის გამომხატველი ნიშანია. ის დთრგუნული არაა.

დბოლოს, სასტუმრო „სოვეტსკაიას“ თეთრი მარმარილოთი გაწყობილი უზარმაზარი ფოიე, სადაც ჩვენ მბრუნავი კარის გავლით შევედით, და იქ, როგორც იქნა, ჯხედავ ოსიას, ჩემკენ ხელებგაშლილი მოდის. ვეხვევით ერთმანეთს და დარბაზის შუაში ვდგავართ გარინულნი. იქვეა მამამისი, გრიშა, რომლის დანახვას სულ არ ველოდი. გრიშას ვვერდიდ ფას ასე, ორმოცდაათიოდე წლის მსუქანი, მაღალი, თმაშეჭაღარავებული ქალი, და მე ვვარაუდობ, რომ ის გრიშას მანდილოსანია. მაგრამ ჩემი ეაჟი მას ხელს ხელში ჰკიდებს, იმ ხელს ჩემკენ სწევს და მეუბნება: „დედ, ეს ლიუდაა“.

მე მასაც ვეხვევი, ის ოლიას ეხვევა, და მე არ მინდა რითიმე დავიტყო შოკი – ეს ქალი ჩემს ვაუზე გაცილებით უფროსი ჩანს, ოსიას პირველი ცოლის – ელენას სახე რატომღაც მოუშორებლად მიდგას თვალწინ. კეთილი, ჯანდაბას, ოსიამ ხომ უკვე მითხრა, რომ ბედნიერია, რომ ეს ქალი კარგ კერძებს აკეთებს. ცხვირს ნუ ჰყოფ, ნუ ჰყოფ სხვის საქმეში-მეთქი, ზმას ვაკმენდინებ ჩემს თავს. მაგრამ ლიუდას სახეზე შეიმჩნევა რაღაც ისეთი, დამშვიდების საშუალებას რომ არ მაძლევს. მადლობა ღმერთს, რომ გრიშა აქაა!

ის ყველაფერს აუბრალიებს და ამსუუქებს, რამდენადაც კი შესაძლებელია ასეთ ვითარებაში. უკვე ელპარაკება ოლგას ინგლისურად, წინ გვიძღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის, გვეუბნება — ახლა რა უნდა ვქნათ, საით წავიდეთ... ხხვაგვარად ჩვენ ეკრეკე გაუხვევდეთ ან, თეორი მარმარილოთი გაწყობილი, ფილებანი ფოიეს შუაგულში, სრიალა იატაკზე. ოლგა როგორღაც ძალზე ჩუმადაა, ძმა მასთან არ მისულა და არ გადახვევია, მაგრამ, შესაძლოა, ეს აწი ჰქნას. გრიშას ლიფტისკენ მივყავართ. მადლობა მას, რომ მოვიდა.

უშველებელ ოროთახიან ნომერში (რაც საბჭოთა სტანდარტებისთვის წარმოუდგენელი ფუფუნებაა) განაგრძობთ ერმთანეთის შესწავლას, უთავბოლოდ ვბურდღუნებთ რაღაც სიტყვებს. ოლია ხომ ინგლისურად ლაპარაკობს, რატომ არ მესმის მისი სიტყვები? ოსია მისკენ არ იხედება. ლიუდა აბაზანაში შევდა ყვავილების ღარნაკში წყლის ჩასახმელად: „თორემ დაჭკნება“. პრაქტიკულია. ამ დროში ასეცაა საჭირო. გრიშა, რომელმაც ყველაფრის თადარიგი უკვე დაიჭირა, ბოლოს და ბოლოს აცბადებს, რომ ჩვენ გვმართებს „მოწესრიგება. ვზის შემდეგ, მერე კი ქვევით, რესტორანში, სუფრა გველოდება.

„ეს ხომ ყოფილი „იარაა“! — სიხარულით მაუწყებს ის, — „იარა“, გახსოვს? ბოშები, გიტარები“. არაფერი მახსოვს. რომელი „იარა?“ რა შუაშია აქ „იარა?“ რა შუაში არიან ბოშები? გრიშა ჩვენს შორის ყველაზე ბედნიერი ჩანს და განმკარგულებლის როლით ტკბება. მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, რომ აქაა.

აბაზანაში ოლგა ჩემკენ ტრიალდება, გაბოროტებულ თვალებს მაპყრობს და ამბობს: „მან მხოლოდ ზემოდან დამზედა, შემდეგ ქვემოდან ზევით ამზედა და ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს...“ „არ მოგეზვია?“ „არა“. არაფერია, არაფერია, ნუ ვინერვიულებთ და დასკვნებს უცბად ვაკეთებთ. „ვნიღიკი, ის გაშტერებულია. მეც. ეს უნდა გაიგო!“ ოლგა პასუხს არ მცემს. არაფერია, არაფერი. მოდით, ნუ დავირღვევთ ნაწილებად, მოდით, განვაგრძოთ ეს, ხომ საჭიროა განგრძობა და განგრძობა ამ შეხვედრისა, ახლა უკვე, როგორც ჩანს, დ ა უ ს რ უ ლ ებ ლ ად განგრძობა...

რესტორანში ვუსხდებით თეთრსუფრაგადაფარებულ გრძელ მაგიდას, რომელზეც უკვე გაწყობილია საუზმეული, ქაშაყი, სალათები, ვინეგრეტი და ბოთლების ბატარეა. ოსია ჩემს მარცხნივ ჯდება და ჩვენ ხელი ხელს ვვაკიდია, — ეს მაინც მახსენებს იმას, თუ როგორი იყო იგი. ახლა სულ არაა ისეთი, როგორიც იყო. ახლა ამას ცხადად ვხედავ, ის თავის ოცდაცხრამეტ წელთან შედარებით, გაცილებით უფროსი ჩანს, შემელოტბეულია, წელში შესქელებული, ტანადი და მხიარულთვალება ახალგაზრდიდან აღარაფერი დარჩა... აი, ხელი თითქოს ჯერ კიდევ მ ი ს ი ა, და ჩვენ უსიტყვოდ ვუჭერთ ხელს ერთმანეთს. ძნელია საუბარი, რამდენადაც იარუსით დაბლა ქორო განუწყვეტლივ რაღაცას ღრიალებს და მუსიკაც მთელი ძალით ხმაურობს ხმის გამაძლიერებლების ძალისხმევით. უმწეოდ ვუყურებ გრიშას და ის მხრებს იჩეჩავს — აქაოდა, თავად იცით, — და უკვე უდებს თეფშზე რაღაცას ლიუდას, რომელიც, მადლობა ღმერთს, მის ვვერდით, ჩემს პირდაპირ ზის. გრიშა ყველას გვეხსომს ა რ ა ყ ს — იმიტომ, რომ ახე ხვდებიან ვაჟიშვილს ჩვიდმეტი წლით გაშორებშორების შემდეგ... მე არ ვსვამ შხამს, არასოდეს მყვარებია არაყი, მაგრამ ახლა მიხდება წესებსა და ტრადიციებს დაევემორჩილო: ჩვენ, ყველანი, უნდა დავთვრეთ, გავალეშოთ, მთლად გამოვთაყვანდეთ, ჭკუა დაეკარგოთ, ცხარე ცრემლები ვაღვარღვაროთ, ვეხვეოთ ერთმანეთს, ვკოცნოთ ერთმანეთი და ერთმანეთის მხარზე თავჩამოდებულებმა ვ ი ქ ვ ი თ ი ნ ო თ... ჩვენი განათლებულობის გამოისობით არ შეგვიძლია თავს ამის ნება მივცეთ, მაგრამ ამ სადამოს მაინც ვთვრებით ისე, როგორც ჯერ არს. იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ ასე არ მოხდეს.

მე მთელი ეს ხანი მარცხენა ხელში მიჭირავს ჩემი ვაჟიშვილის მარჯვენა ხელი და ვამჩნევ, რომ მისი ხელი შეცვლილია. ეს ხელი გამხდარი იყო, თითე-

ბი — გრძელი, კოხტა, ნატიფი... ახლა ისინი დამოკლებული და დასქელებულია — შესაძლებელია ასეთი რამ? სულ სხვა ხელია. მე ოსიას ვუყურებ, ის მე მიყურებს, ჩვენ ვდუმვართ. მთელ საუბარს გრიშა წარმართავს, თან რაღაცებს უთარგმნის ოლგას... ის სამოცდასამი წლის კაცის კვალობაზე ჩინებულადაა, კარგად აცვია და თითქმის ჩვენს ვაჟიშვილზე ახალგაზრდად გამოიყურება... ხვალო, ამბობს ის, ამათ და ამათ უნდა შევხვდე და სკოლასა და ბევრ სხვა რაღაცებზე უნდა დავუწყო ლაპარაკი... თუკი შევძლებ ხვალ ამას, დღეს ამდენი გაუთავებელი სმის შემდეგო. ხვალ ყოველგვარი ემოციების გარეშე ნათელი, ცინცხალი გონება უნდა მქონდეს, მაგრამ დღეს ჩვენ ყველანი, ჩანს, „ეზიემობთ“... მე ვუყურებ ოლგას, რომელიც ჩანგლით თევზზე ვინეგრეტს უკირკიტებს. გრიშა ლიმონთს უსმამს. შემდეგ კარტოფილიან შემწვარ ხორცს უდებს. ოლია დუმს. ის მხოლოდ ცამეტნახევარი წლისაა. ძმას მისთვის ჯერ ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ

მეორე დღეს ჩვენთან მოვიდა საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში გრიშას ყოფილი თანაკურსელი, ამჟამად კი დიდი წარმატებების მქონე საბჭოთა დიპლომატი — გრომიკოს სიძე. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით, მთლიანობაში დაახლოებით ორმოცი წელი, და ფორმალობების გარეშე შეგვეძლო გვესაუბრა. მოიტანა უშველებელი კოლოფით შოკოლადის კანფეტები ოლიასთვის და ბოთლი შამპანური, რომელიც მაშინვე შეეხსენი. ამის შემდეგ ფრიად მეგობრულად დამისახელა საგარეო საქმეთა სამინისტროს იერარქიის მთელი რიგი პირები, რომლებსაც კარგად იცნობდა, და რომლებთანაც კავშირის დამყარებას მირჩევდა. „დაურეკეთ მათ ან მათს მეუღლეებს, როცა ეს გენებებათ, თქვენ მოგიხმენენ და რჩევას მოგცემენ“ — თქვა მან. შემდეგ დაასახელა მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები (ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით), რომლებიც უნდა მოსულიყვნენ იმისთვის, რომ დაგვხმარებოდნენ საბჭოთა ცხოვრებასთან შეგეგების დაწყებაში. უცხოენოვან სკოლებთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა დავუსვი, რომლებიც მაღელვებდა, მაგრამ ძალზე თავაზიანად და დიპლომატიურად გამაგებინა, რომ ყველა კითხვა სწორედ იმ ადამიანებისთვის უნდა დამესვა, რომლებსაც მალე შევხვდებოდით და ყველაფერი მათთან ერთად უნდა გადამეწყვეტა. „მე შენ მხოლოდ ახალ ამბებს გაგყობინებ. მერე კი, დარწმუნებული ყოფილი ყველაფერს მოგიგვარებენ! შენი ჩამოსვლა ზომ ყველას ასე უხარია! მე შენ ყოველთვის მახსოვდი, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროიდან. პროფესორ ზვავიჩის სემინარები თუ გახსოვს?“ მაშინ მას სხვა ცოლი ჰყავდა და მითხრა, რომ ახლა მათი ვაჟიშვილიც დიპლომატიურ ასპარეზზე დიდ წარმატებებს აღწევდა. დიახ, ჩვენი შვილები ახლა ორმოცი წლისანი ხდებიან!.. წავიდა, კარგი მამაკაცის ოდეკოლონის სურნელება და გულითადობის შთაბეჭდილება დატოვა.

შემდეგ შევხვდით საგარეო საქმეთა სამინისტროს ორ თანამშრომელს, მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებს და სკოლების მინისტრს (იგულისხმება განათლების სამინისტრო — რედ.) და დაიწყო ჩემი ყოფილი ქვეყნის შეცნობის პროცესი. სულმთლად გადავეჩვიე ცხოვრების საბჭოურ წესს და მასთან, მის ზნე-ჩვეულებებთან დაბრუნება ჩემთვის ახლა ისევე ძნელი იყო, როგორც ოლიასთვის, რომელსაც აქაურობისა არაფერი გაეგებოდა.

სკოლების მინისტრი იყო ახალგაზრდა, ენერგიული, ურთიერთობაში ძალიან სასაამოვნო და გულღია ქალი — ათეიზმი სსრკ-ს ელჩი, ახალგაზრდა ანდროპოვი რომაა, მთლად ისეთი. სულ მომითავა ზელი, როცა მაუწყა, რომ „ინგლისური სკოლები უკვე დიდი ხანია დაკეტილია, ხრუშჩოვის ექსცენტრიკული გამოხდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შედეგად. ახლა ამ სკოლების სახელმძღვანელოების პოვნაც კი ძალზე ძნელია“. ეს სერიოზული დარტყმა იყო, რადგან შეიქმნა იმის საშიშროება, რომ ოლია ვერ შეძლებდა შერწყმოდა თავისი თანატოლების საამო, მეგობრულ გარემოს. შემომთავაზეს, რომ მას ახლავე, ხვალ დილიდან დაეწყო რუსული ენის გაძლიერებით შესწავლა... მასწავლებელი ქალი არის, ინგლისურად ლაპარაკობს, ინდოელ სტუდენტებს საბჭოთა უნივერსიტეტში შესასელელად ამზადებსო.

ვიდრე მე ყველაფერ ამას ვარკვევდი, ოლია მეორე ოთახში გაიყვანა სანდომიანმა ახალგაზრდა მასწავლებელმა ნატაშამ, რომელიც ენასა და ლიტერატურას ასწავლდა ერთ-ერთ სკოლაში, სადაც ჩემს გოგონას ახლავე უპირებდნენ შეყვანას. მაგრამ ნატაშა ახლებურად აღზრდილი ადამიანი აღმოჩნდა. ოლიასთან ერთი საათის გულღია საუბრის შემდეგ გამოიტანა ვერდიქტი: არავითარ შემთხვევაში არ დავატანოთ ძალა გოგონას, არ ვიიძულოთ წავიდეს საბჭოთა სკოლაში, რადგან ამან შეიძლება „ბავშვის ნერვული შოკი“ გამოიწვიოსო. ეს სიტყვები რომ გავიგონე, მივხედი, რომ პროგრესი სსრკ-ში უკვე მოვიდა: ადრე, როცა აქ ვიყავი, ასეთი რამეებზე არავინ ფიქრობდა. ნატაშა გამოვიდა ოლიასთან ერთად, ორიეს ტიჩრილისგან თვალები დაწითლებული ჰქონდა და, ყველა ჩვენგანის საბედნიეროდ, სკოლების მინისტრმა მხარი დაუჭირა ბავშვთა ფსიქოლოგის (ბავშვთა ფსიქოლოგიც ეს ნატაშა აღმოჩნდა) რეკომენდაციას, როგორც შემდგომი მოქმედებისთვის სახელმძღვანელო დასკვნას.

მაგრამ ზ ე მ ო თ ხელისუფალნი, ეტყობა, დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ოლია დაუყოვნებლივ დამჯდარიყო კლასში. ამიტომ გადაწყვეტეს ჩვენთვის ეჩვენებინათ რამდენიმე სკოლა „ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლებით“, ანუ სკოლები, სადაც ბავშვებს შეუძლიათ თავიანთი აზრი ინგლისურად გადმოსცენ.

პირველი ასეთი სკოლის დირექტორი აშკარად, დაუფარავად შეძრწუნებული შეგვეგება. ვიდრე ოლია კლასებში დაჭყავდათ, პირდაპირ განმიცხადა, რომ ეს „ძალიან ძნელი იქნება, ძალიან ძნელი იქნება მისთვის და ყველა ჩვენთაგანისთვისაც!“ ეს ისეთი გამომეტყველებით თქვა, რომ ჩემთვის გასაგები გახდა, თუ, სახელდობრ, რას გულისხმობდა: ოლიას პაპას, რომლის ლანდის დანახვაც კი თავის სკოლაში მას არ სურდა. მე შეშებარალა საცოდავი ოლგა – ჩემი ამერიკელი გოგონა – რას უშვრებოდნენ მას აქ ეს პრიმიტიული პოლიტიკოსები. მაგრამ, მეორე მხრივ, მერჩიენა მცოდნოდა, რომ სკოლას მისი მიღება არ სურდა. ეს მეხმარებოდა კიდეც, რომ ახლა სამეცადინოდ მისი შინ დატოვება მომეთხოვა დაჟინებით!

სხვა სკოლა მზად იყო გულში ჩაეხუტებინა ოლგა, მაგრამ იქ ინგლისურად ვერც მისწავლებენ ლაპარაკობდნენ და ვერც მასწავლებლები. „არაფერია! – თქვა დირექტორმა ქალმა. – ჩვენს სკოლაში ვიეტნამელი ბავშვები სწავლობენ: რუსულად ერთი სიტყვაც არ იცოდნენ, მაგრამ, იცით, ნახევარ წელიწადში უკვე რუსულად ალაპარაკდნენ!“ მადლობა მოვახსენე, თუმცა, უარი განვუცხადე, ექსპერიმენტებზე უარს ვამბობთ-მეთქი.

მესამე სკოლაში დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ ისე ჩასჭიდეს ოლიას ხელი, რომ მათთან ბრძოლა დამჭირდა. ეტყობა, გაიგეს, რომ ეს იყო „ინსტრუქციები და სურვილები ზემოდან“ და გადაწყვეტეს, რომ „ამოცანას თავს გაართმევდნენ“. ლითონივით მბზინავთვალება და ინგლისურის კარგად მცოდნე სასწავლო ნაწილის გამგემ ოლია ისე დააშინა თავისი გულცივი მასწავლებლის ტონით (ასეთი რამ მას აქამდე არ ენახა), რომ მეევდრა, მეაჯა, იქ არ მიმიყვანოო. მე არც ვეპირებდი მის დასმას ამ მოჩვენებით სკოლაში, სადაც მიჰყავდათ ყველა უცხოელი სტუმარი, ინგლისურ ენაში მსუბუქად მომეცადინე „საბჭოთა ბავშვების“ სანახავად. აქ დაიწყებენ ოლიას, როგორც ღირს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნაობის, ჩვენებასაც — აქაოდა, შეხედეთ, რა ჩქარა აღვზარდეთ ხელ-ახლაო! არა, ამის მიუხედავად, რომ აქ საცურაო აუზი აქვთ — რაც საბჭოურ სკოლაში გაუგონარი იშვიათობაა, — ოლია ამ სკოლაში არასოდეს წავა-მეთქი, დავასკვენი. სხვა სკოლაში კი კურიოზი მოხდა: ოლია კლასების სანახავად გაუშვეს ავსტრალიელ გოგონასთან ერთად, რომელიც აქ სწავლობდა და ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობდა. როცა ისინი დაბრუნდნენ, ოლიას თვალებში სიხარულის ნაპერწკლები შევნიშნე. „ყველაფერი კარგია", — ასე უპასუხა მან მასწავლებლების შეკითხვებზე. შინ კი სულ სხვა რამ მითხრა: „იცი, ის გოგონა აქ მშბოლებმა ჯერ კიდევ ბალღი მოიყვანეს. ახლა მხოლოდ სკოლის დამთავრებაზე ოცნებობს, რომ თარჯიმანი გახდეს, უცხოელ ტურისტზე გათხოვდეს და მასთან ერთად გაემგზავროს აქედან!" ოლია აღვზნებული იყო იმ გოგონას ასეთი საზრიანობით და მამაცობით, მე კი გავიფიქრე: რა გულის ამაჩუყებელი ამბავია, რომ გოგონამ ისურვა თავისებურად გაეფრთხილებინა ოლია და არ მოატყუა-მეთქი.

მე დავარწმუნე ოლია, რომ არავითარ შემთხვევაში არაკინ გაგზავნის სკოლაში ძალად, მაგრამ მოუწევს რუსული ენის შესწავლის დაწყება. ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მთავარი იყო, რომ დაგვინტერესებინა მუშაობით, მაშინ სასარგებლო საქმიანობით დაიტვირთებოდა, ეს კი მხოლოდ ხელს უწყობს ცხოვრებასთან დადებით დამოკიდებულებას. სამართლე რომ ვიქვათ, არ მეგონა, სტალინის სიკვდილიდან ოცდაათი წლის შემდეგ მის სახელთან მიმართებით ყველაფერი ასე (აღრინდელზე მეტადაც კი) გამწვავებული თუ იქნებოდა და ჩემი ოლია მისი სახელის ირგვლივ მიმდინარე ბრძოლის მსხვერპლი აღმოჩნდებოდა.

ამასობაში ვცდილობდით, რაც შეიძლება მეტი სახლიკაცი და მეგობარი გვენახა, რათა ცოტათი მაინც გაქრვებულიყო ჩემი ვაჟიშვილის მიერ ოლიას ცივად მიღება და ჩემი ქალიშვილის, კატიას სრული დუმილი.

ეტყობა, ტურისტულ ნაწილში ყველაფერი კარგად იყო და ოლია ძალან კმაყოფილი დარჩა კრემლის დათვალიერებით, მაგრამ არა ტრეტიაკოვის გალერეით, სადაც რეპინის ტილომ „ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანი" იმდენად დასცა თავზარი, რომ დიდხანს ეშინოდა ეს სურათი სიზმარში არ ენახა...

დიდმა თეატრმა ოლია იმდენად შეძრა, რომ სააობით იყდა საბჭოთა ტელევიზორის წინ, ძველ საბჭოთა მუსიკალურ კომედიებს თვალებმოშტერებული, სიმღერებითა და უცნობი სახეებით ტკბებოდა და რაკი ენა არ იცოდა, ცდილობდა მიხვედრილიყო, რა ხდებოდა ეკრანზე. ეტყობა, ტელევიზორი და კინო გიდთარჯიმნებზე გაცილებით უკეთ უხსნიდა მისთვის ახალი ქვეყნის აზრს. რუსულ ენაში მეცადინეობას კი ახლა ყოველ დილას ინტერესით ეკიდებოდა. აქამდე ცოტა ფრანგულიც იცოდა და კიდევ ერთი ახალი ენის შესწავლა ართობდა. მე კი ჯერ ისევ ვიმედოვნებდი, რომ ყველაფერი როგორმე მოგვარდებოდა და მე და ოლია, ბოლოს და ბოლოს, ოჯახური სითბოს ატმოსფეროში აღმოვჩნდებოდით, თუმცა იმის პირველმა ნიშნებმა, რომ ეს შესაძლია, მხოლოდ უსაფუძველო ოცნება აღმოჩენილიყო, უკვე თავი იჩინა.

ამასობაში მთავრობამ ჩვენზე ზემოქმედება დაიწყო. აქამდე ძალიან სტუმართმოყვარულად გვექცეოდნენ და გულუხვნი იყვნენ ჩვენდამი; ახლა, — კეთილი ინებეთ და, ვალი გადაგვიხადეთო. როგორც ერთი ჩემი ყოფილისმეცოდნე მეგობარი იტყოდა: „აქ შესვლა ყოველთვის უფასოა; იხდი გამოსვლისას".

„ზემოთ" ჩინებულად ესმოდათ, რომ ვიდრე ჩემს უფროს ქალიშვილს, კატიას დავუკავშირდებოდი, ჩვენი შემდგომი გეგმები მაინც გარკვეული არ მექნებოდა. ამიტომ ვიდრე ყველანი დაბნეული ვიყავით, დაიწყეს ჩვენზე დაუყოვნებლივ დაწოლა. ჩვენ არ შეგვეძლო მაშინვე წასვლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორნი, საგარეო საქმეთა სამინისტროდან, შედარებით ახალგაზრდა ბიუროკრატები აღმოჩნდნენ: ერთი ბოშას მინამგვანი კარგი მოინელისუნე შავგვრემანი კაცი იყო, მეორე — ვარდისფერლოყება და ცისფერთვალება — მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდა, ეტყობა, ამით თავის პატრიოტიზმს უსამდა ხაზს. მათ — ორივემ — დაუყოვნებლივ განმიცხადეს, რომ დამეწერა თხოვნა ჩემთვის სსრკ-ს მოქალაქეობის აღდგენისა და სსრკ-ს მოქალაქედ „ქალიშვილ ოლგას მიღების“ შესახებ. ამ უკანასკნელმა მოთხოვნამ გამაოცა — ძალიან ჩქარა კი მოწადინეს ეს ყველაფერი, თანაც, ოლგას, აშშ-ში დაბადებულის, ორმაგი მოქალაქეობა ხომ აშკარა რამ იქნებოდა.

„არა! — მტკიცედ განაცხადეს ვარდისფერმა ლოყებმა. — ჩვენ ორი ქვეყნის მოქალაქეობას არ ვცნობთ.“ „არა, არა, არ ვცნობთ“, — კვერს უკრავდა შავგვრემანი. მე გავიცინე კიდეც, უპატივცემულოდ. „მსოფლიოში არსებობს სამი ქვეყნისა და მეტისაც — მოქალაქეობის შემთხვევები, მე თვითონაც შევხვედრივარ ასეთ ადამიანებს ამერიკაში. მსოფლიო დღეს მძორავია, ადამიანები მთელი ცხოვრება ერთ ადგილზე აღარ ცხოვრობენ!“ „საბჭოთა კავშირი მსგავსს არაფერს სცნობს. მიიღებს რა ერთხელ საბჭოთა მოქალაქეობას, საბჭოთა მოქალაქე რჩება საბჭოთა მოქალაქედ ყველა შემთხვევაში!“ მივხედი, რომ ეს იყო მხოლოდ ერთი მომენტი იმ მომენტთაგან, როცა სსრკ-ში ჰგონიათ, რომ შეუძლიათ ინტერნაციონალური წესებისა და კანონების თავიანთი სურვილის შესატყვისად ახსნა. გოგოლის დროის გადმონაშთები. სობაკევიჩები. ამათთან დავას რა აზრი აქვს: ეს უსარგებლო საქმეა. „ოლგას საშუალმდე დარჩება ორი ქვეყნის მოქალაქეობა“, — გავიმეორე მე. ამ წუთს ცხადზე ცხადი იყო, რომ, ყოველგვარი თავიზიანობის და გულუხვობის მიუხედავად, მაგებინებდნენ — სადა ვართ და ვინ წყვეტს ჩვენს ბედს. მე გადავწყვიტე მეკეთებინა ის, რასაც ჩვენგან მოითხოვდნენ, რადგან ამ ეთაურებში სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ იყო, და ამტომ, რომ ჯერ კიდევ მქონდა ყველა ჩვენი ოჯახური საკითხის მოგვარების იმედი.

ამიტომ დავწერე განცხადება, რომელიც სიტყვასიტყვით მიკარნახეს. მე არავითარი იარაღი არ მებადა, რომ მებრძოლა, და ნერვებიც დაწყვეტზე მქონდა. ფორმალობებს კი განსაკუთრებული პატივისცემით არასოდეს ვეკადებოდი.

გრიშა დამეთანხმა, რომ „რიული ვითარება“ იყო. მაგრამ ახლა მას, რაკი საერთაშორისო სამართლის სარბიელზე გამოცდილი დიპლომატი იყო, ბრწყინვალე მიღწევები ჰქონდა, საზღვარგარეთ მოგზაურობდა, ლექციებს კითხულობდა და „მიღწევათა“ სხვა აბრიბუტებსაც ფლობდა, რასაკვირველია, ბრძოლაში ჩაპმა არ უნდოდა, ჯერ კიდევ ეგონა, რომ მე ისეთივე ვარ, როგორიც ამ ორმოცი წლის წინათ ვიყავი და არ სურდა ეფიქრა ჩემს ამერიკულ გამოცდილებაზე. უკვე ვხედავდი, რომ ახლა არ მქონდა ხელისუფლებასთან ბრძოლის ძალა, რადგანაც ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოლგასთვის ასატანი მდგომარეობის უზრუნველყოფა იყო. ამიტომ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ისე დავწერე, როგორც მიკარნახეს.

მთელი პროცესი, რომელიც, ჩვეულებრივ, თვეების მანძილზე გრძელდება, ახლა ორ თუ სამ დღეში დამთავრდა. 1984 წლის 1 ნოემბერს უმაღლესმა საბჭომ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, ჩვენ კი აქ სულ რამდენიმე დღის წინათ, 25 ოქტომბერს ჩამოვედით.

გაუგონარი სისწრაფეა (შემდეგ სსრკ-ის მოქალაქეობიდან ჩვენს გამოხვლას ორი წელი დასჭირდა და ის, როგორც იქნა, 1988 წლის 7 ნოემბერს დასრულდა).

შემდეგ ერთ-ერთი მეუღე მოვიდა, რათა ჩვენი ამერიკული პასპორტები წაელო და, როგორც თქვა, „დაებრუნებინა ისინი აშშ-ის საელჩოში.“. ამ დროს მივხედი, რომ ამას დაუყოვნებლივ მოჰყვება რეაქცია და მოჰყვა კიდეც.

ჩვენ გავიგეთ, უფრო სწორად, მივხედით ამას იმ ფაქტით, რომ სასტუმროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესასვლელის ახლოს მეორე დილით მოსკოვში აკრედიტებულ უცხოელ რეპორტიორთა ჯგუფი შეიკრიბა. ჩვენ იმ დღეს ჩვეულებრივ გამოვედით სასტუმროდან, რათა მოსკოვის კიდეე ერთი სკოლის სანახავად წავხულიყავით. უცებ ოლგას მოუახლოვდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მხარზე ტელეკამერა ჰქონდა ჩამოკიდებული და ინგლისურად ჰკითხა: „თქვენ ოლგა პატერსი ხართ?“ „არ ელპარაკო მათ!“ – ვუჯვირე ოლგას, ხელი ჩავაფიე და დათხოვნაში შევვარდით სასტუმროში. მომდევნო დღეებში სასტუმროდან გამოსვლა შეუძლებელი იყო – ქვევით რეპორტიორები გველოდებოდნენ. ერთ დილას (ვიდრე ოლიკა რუსულ ენაში მეცადინეობდა) წავედი ჩემს ბიძაშვილ სერიოჟა ალილუევთან – სასტუმროდან სულ რამდენიმე კვარტალს იქით ცხოვრობს, – მაგრამ გზა ამებნა. მე მომყვებოდა სამოქალაქოტანსაცმლიანი ზორა ჩეკისტი. რამდენიმე წუთის შემდეგ მომადგნენ ის მხარზე ტელეკამერაგადაკიდებული რეპორტიორები. მე ვთხოვე, გამცლოდნენ. ჩეკისტმა მუშტებით დაუწყო ჯიკაობა და ერთი მაოგანი ლამის წააქცია. მე ჩეკისტს რუსულად ვუჯვიოდი, რომ გაჩერებულიყო, რეპორტიორებს – ინგლისურად, რომ წასულიყვნენ (სსრკ-ში ინტერვიუს ქუჩებში არ იძლევიან), მაგრამ ორივე მხარე ჯიუტობდა. მაშინ, მოთმინებადაკარგულმა, ჩეკისტს რუსულად შეუკურთხე, უცხოელ რეპორტიორებს კი – ინგლისურად, და სულაც არ მიფიქრია, რომ ამ ყოფაში ეკრანზე მოვხვდებოდი... მაგრამ იქ აღმოვჩნდი, ოღონდ ის ჩეკისტი ამოჭრეს. ასე რომ გაუგებარი იყო, თუ რატომ გავბრაზდი (ეს მე აშშ-ში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე).

შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჩვენმა მეურვეებმა სასტუმროში მომიტანეს წერილი აშშ-ის საკონსულოდან. შორიდან დამანახეს, მაგრამ ხელი არ მომაკიდებინეს, რადგან ზედ ეწერა ტელეფონის ნომერი, რითაც შემიძლო საკონსულოში დამერეკა... თვალის ერთი შეევლებით ტელეფონის ნომრის დამახსოვრება არ შემეძლო, მაგრამ წერილი იმას ღაღადებდა, რაც კარგად ვიცოდი; რომ ჩემთვისა და ჩემი ქალიშვილისთვის ამერიკის მოქალაქეობა ძალაში რჩებოდა, ვიდრე ჩვენ მასზე საჯაროდ – აშშ-ის ელჩის დასწრებითა და ფიცის წარმოთქმით – უარის თქმას არ ვისურვებდით. მაშასადმე, ჩვენი ორი ქვეყნის მოქალაქეობა ახლა ფაქტია, თუმცა საბჭოელები ამის თაობაზე მედავებოდნენ! წერილი არ დამიტოვეს, წაიღეს. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია და ხმაური არ ამიტეხავს: ახლა მომდევნო მოვლენებისთვის როგორმე უნდა შემენარჩუნებინა ძალა.

ხელისუფალთ ოფიციალურად ვთხოვე ჩემთვის მოეცათ პრესკონფერენციის ნატარების უფლება, რაზეც ვიმედოვნებდი წამოჭრილ საკითხებზე პასუხების გაცემას. მინდოდა ნათელი მომეფინა ვითარებისთვის, მეუწყებინა საზოგადოებისთვის, რომ ჩვენი ჩამოსვლა ნაკრნახევი იყო მხოლოდ პირადი მოსაზრებებით და ამ ფაქტისგან დიდი პოლიტიკური დასკვნები არ უნდა გაეკეთებინათ.

მითხრეს, რომ ტექსტი დამეწერა რუსულად, რათა შემდეგ მთარგმნელს ინგლისურად ეთარგმნა. ეს იმისთვის კეთდება, რომ თარჯიმანმა შეძლოს ტექსტის თავისებურად ინტერპრეტირება. აგრეთვე გამოირიცხოს რაიმეკვირი პირდაპირი ურთიერთობა ჩემსა და რეპორტიორებს შორის... მათ ხომ იცოდნენ, რომ მე ინგლისურად ლაპარაკი შემეძლო.

ეს კომედია იყო. შემდეგ საბჭოთა გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებში აღინიშნა, თითქოს მე მეთქვას, სი-აი-ეი-ს გაწერთნილი ძაღლი ვარო. მე სიაიეი საერთოდ არ მიხსენებია, მაგრამ ის კი ნამდვილად ვთქვი, რომ იქ „მე კარგად მექცეოდნენ, რომ იქ ვუჯვარდით – a pet“. აი, შემდეგ ხწორედ ეს სიტყვა გადააქცია „ნოვოსტის“ საგაზეთმ „გაწვრთნილ ძაღლად“. არ ვიცი, შეეძელი თუ არა საზოგადოებისთვის გამეგებინებინა, რომ ჩვენს ოჯახთან შესახვედრად მოვდიოდით... რეპორტიორები ძალიან ცოტანი იყვნენ – უმთავრესად აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. შემდეგ პრესაში ვითომ ჩემს მიერ ნათქვამი „მე მძულს ამერიკას“ მსგავსი განცხადებებიც კი გამოჩნდა (ყოველივე ეს მოგვიანებით, აშშ-ში დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ შევიტყვე). რასაკვირველია, ვიცოდი, რომ ყველაფერი გადასხვაფერებულ-გაყალბებული იქნებოდა, რომ იმ დღეებში ძოელი მსოფლიო ჩემს წინააღმდეგ იყო ამხედრებული, მაგრამ მაინც ვცდილობდი კვლავ და კვლავ ამეხსნა ყველასთვის, რომ სსრკ-ში ჩამოსვლა გამოწვეული იყო ოჯახთან, შვილებთან შეყრის პირადი სურვილით.

ამის შემდეგ დამირეკა ჩემზე საშინლად გაბრაზებულმა ფიოდორ ფიოდორის ძე ვოლკენშტაინმა (ძველმა მეგობარმა, ჩემი „ოცი წერილის“ აღრესატმა) და ისე გამლანძღა, თითქოს ნამდვილად მეთქვას მთელი ეს სისულელეები სიაალიეიზე და სხვა ამგვარი რაღაცები. მე წავედი მის მოსანახულებლად — მწყინდა, რომ ასე გულნატკენი იყო.

ის ახლა ზოოპარკთან ამართულ მაღალ შენობაში ცხოვრობდა მომზელელ კომპანიონ ქალთან ერთად: მისი ცოლი გარდაიცვალა. დიდხანს ვიცდიდი კართან, ვიდრე იატაკზე მისი საშინაო ფეხსაცმლის ფლატუნი გავიგონე. ეს საშინელი, უცნობი ხმა იყო. მითხრეს: ფეფა ძალიან დაბერდა და მძიმედ არის ავადო. მაგრამ შინაგანად ისევ ისეთი იყო და ჩემი ნახვა ძალიან გაეხარდა. მომიხდა მისი დარწმუნება, რომ, რაც მას ეუწყა, იმდაგვარი არაფერი მითქვამს.

ფეფა დიდხანს დუმდა, შემდეგ კი აღგზნებით მითხრა: „რატომ ჩამოხვედი შენ? ჩვენ, ყველანი შევეჩვიეთ იმას, რომ საზღვარგარეთ ცხოვრობ. შენი ბავშვები კარგად არიან — ეს ხომ იცოდი. ახლა აქ რა უნდა აკეთო? ხომ ხედავ, შენი ჩამოსვლა როგორ გამოიყენეს პროპაგანდისთვის? შენ ხომ ეს არ გეჭირდება!“

მე ვდუმდი. რასაკვირველია, ის, როგორც ყოველთვის, ახლაც სწორია. მე არ შემეძლო მისთვის მეთქვა: „ჩვენ წავალთ“, რადგანაც ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი. განა სისასტიკე არ იყო, არ მოეცათ ჩემთვის შვილების სიყვარულის უფლება? მაგრამ ფეფა სწორი იყო. ეს მეც ვიცოდი.

ოთახში ყველაფერი ისე იყო, როგორც მაშინ, იოტა მეტი წლის წინათ. კედელზე ახალგაზრდა, მეყვავილე ნატალია ვასილის ასულის პორტრეტი, — ფეფა ყოველთვის, იჯდა თუ იდგა, თითქოს დედამისის დიდი ნაცრისფერი თვალების მზერის არედან გაუსვლელად ლაპარაკობდა. ფეფას ახსოვდა მათი დაბრუნება ემიგრაციიდან 1922 წელს, როცა მისმა მამინაცვალმა — ალექსეი ტოლსტოიმ და დედამ — ნატალია კრანდიევსკაიამ გადაწყვეტეს საბჭოთა რუსეთში ჩამოსვლა: ფეფამ დაკარგა დედა, საშუალმოდ დასცილდა საბჭოთა დიდკაცად ქცეულ ტოლსტოის. ო, მან იცოდა, რასაც ამბობდა! დაბრუნება ილუზიაა. ის ძალიან ავად იყო. ასეთი ჯანმრთელობისას თავს სარავენ იკატუნებს და არ ცდილობს სასიამოვნო რაღაცები ილაპარაკოს. ფიოდორ ფიოდორის ძე ვოლკენშტაინი სულ ამ რამდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა.

იმ დღეებში ვგრძნობდი, როგორ ვინთქმებოდი რაღაც ბნელ წყალში, ისე, როგორც ეს ხდება ცუდ სიზმრებში, რაცა ყველაფერი იტბორება, ილექება და იცი, რომ იხრჩობი. ეს წარდვნის კოშმარებიანი, ამბობენ ფსიქოლოგები. ღრმად ქვეცნობიერი რამაა. აი, სწორედ ასეთი განცდებით ვიყავი შეპყრობილი იმ დღეებში.

ამასობაში ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ დრო იყო „დავმკვიდრებულიყავით“ — უნდა გადასულიყავით სასტუმროდან (სადაც უკვე რამდენიმე კვირა ვცხოვრობდით) და ოლგა გამეშვა სწორედ იმ მოჩვენებით საკუთრაო აუზიან სკოლაში, სადაც მას სასწავლო ნაწილის გამგისა ეშინოდა, — ამას გარდა, შემოგვთავაზეს უშველებელი ბინა იქვე, სასტუმრის გვერდით: მხლოდ პოლიტბიუროს წევრებისა და მათი ოჯახებისთვის (ოტა ხნის წინათ აშენებულ ახალ სახლში. გვიჩვენეს განსვენებული პეტშეს ბინა, ოთხმოცდაათ კვადრატულ მეტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მეტი ფარობით. ოლგას მოეწონა საკმაოდ მიდერნიზებული ინტერიერები, ზემოდან მოსკოვის ბრწყინვალე ხედი ჩელსსეულზე ჩანდა... მაგრამ მას არაფერი გაეგებოდა: ჩვენი ცხოვრება იქ, სახლში, შესასვლელთან საგუშაგო რომ ჰქონდა, გალაში ჯდომასავით რაღაც იქნებოდა.

„დაიწყეთ ცხოვრება!" – ისე გვითხრა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელმაც ეს საუცხოო სამკვიდრო გვიჩვენა, თითქოს ჩვენ აქამდე არასოდეს არც ვარსებობდით. საბჭოური სტანდარტების კეკლობაზე ეს ზეფუფუნება იყო. ეს იყო აგრეთვე ჭერი – საბჭოეთში ამაზე მეტი რა გინდა – მოჩვენება მუდმივი მოჩვენებითობისა, და ახლა გადწყვიტეს, რომ მოჩვენებითობის ამ „ზე"-ში მოვევმწყვდეთ: სახლი სპირიდონოვკაზე, იმ მოჩვენებითი სკოლის გვერდით, თითქმის მოსაზღვრე საგარეო საქმეთა სამინისტროს დარბაზობათა სახლისა, სადაც სხვადასხვა ვითარებაში მოელი მოსკოვის დიპკორპუსი და ყველა საზღვარგარეთელი კორესპონდენტი ტრიალებს. ხომ ასე მოეწყდი მოსკოვურ ცხოვრებას, მაგრამ ახლა ჩემთვისაც კი ნათელი იყო, თუ როგორი ყოფა გველოდა. და განვაცხადე: ყველაფერი ეს ჩინებულია, მაგრამ ორი სულისთვის ეს მეტისმეტად დიდი ფართობია და უნდა დავფიქრდ-მეთქი.

„დაფიქრდით, დაფიქრდით! – გამამხნევა მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელმა, – უკვე გეყოთ აქეთ-იქით საარული. აგე, გოგონასაც მოეწონა აქაურობა, არა?" – თქვა მხიარულად და პასუხად მიიღო ოფიციალური ღიმილი, ურომლისოდაც კალიფორნაში არც ერთი გოგონა არ იბადება. მაგრამ მე ხომ მეხმოდა, რომ ახლა ჩვენთვის შემოთავაზებულ სტატუსს თუ მივიღებდით, შემდგში ამ ოქროს გალაიში უნდა გვეცხოვრა და ჩემი გოგონა იქნებოდა პირველი, ვინც ამგვარი არსებობის წინააღმდეგ ამბოხდებოდა. დასაფიქრებლად კიდევ ცოტა დრო მომცეს.

საოჯახო საქმეები

სწორედ ამ დროს ჩვენს ოჯახთან ურთიერთობა გვქონდა, რამდენადაც კი შეგვეძლო. ვაჟიშვილის ბინაში ჩემი ძველი ავეჯი დამხვდა. უცნაური ამბავი იყო ამ სავარძლების, დივან-საწოლის, საწერი მაგიდის ხილვა. აქვე იყო წიგნის თარეებიც. ჩემი წიგნებიოურთ – ისინი ისე ჯიქურ მაშტერდებოდნენ, სწორედ ისე, რომელიღაც სიურეალისტურ სურაიზე რომ მინახავს... ყველაფერ ამას ნამცეც-ნამცეც ვუყურდი თავს 50-იან, 60-იან წლებში... ამ უნგრულ სავარძლებს მისალბისთვის, ჩეხოსლოვაკიურ საძილეს, თეთრ, დუგლის მიერ დაკვეთით გაკეთებულ შელებულ თაროებს წიგნებისთვის... მოსკოვში ასეთი ნივთებისთვის თავს მაინცდამაინც არავინ იკლავს, თუმცა მე დასალეთში წლების მანძილზე ცხოვრების დროსაც არ ვეფეთებოდი საკუთრებისა და უძრავი ქონების გამო. მაგრამ ყოველივე ამის ისევ ნახვა უცნაური ამბავი იყო. არავითარი სანტიმენტალური შეგრძნებები. უფრო რაღაც გაოვნება, განდგომილება.

მოვიდა ჩემი შვილიშვილი და ბოლოს და ბოლოს შეკძელი ამ სასიამოვნო ფიზუფიტი წლის ტანმაღალი მოზარდისათვის თვალის შეკლება. ის ჰგავდა დედმიხის – ელენას მამას. ილიაში ჩემს შვილთან საერთო ვერაფერი დავინახე, რაღაც უცნაურად „არა ჩემი შვილიშვილი" იყო – ძალზე ცივი, შეცბუნებული; არ იცოდა, სით წაეღო ხელები, საით ეცქარა. ოლგამ მას ათენში ნაყიდი საკრიზე ტანსაცმელი და ჩანთა „ადიდასი" მაართვა, – მაგრამ ამას არავითარი ემოცია არ მოჰყოლია. ოლგა ამან გააოგნა, ეს ხომ საკუთრივ მისი იდეა იყო, საჩუქრები ხომ თავად მან აირჩია.. ამერიკაში ბავშვები მაშინვე ეცემიან საჩუქარს და ვულმხურვალედ იხდიან მადლობას, აქ კი გრძნობების გამოხატვა მიღებული არაა. მათ ერთმანეთთან ურთიერთობა არ გამოსდიოდათ, თუმცა ილიამ ინგლისური იცოდა, ოლგას კი ფრანგული ცოტათი გაეგებოდა. ისევ გრიშა მოვიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მხიარულებითა და გულთბილობით როგორღაც შეარბილა დაბაბული ვითარება; უიმისოდ ყველანი გავშეშდებოდით.

ახლაც იყო საუზმეული არყიოურთ და დალევა. ჩანს, ამ სახლში როგორც კი უსხდებოდნენ მაგიდას, მაშინვე სმას იწყებდნენ. ჩემმა ვაჟიშვილმა თქვა, რომ აწეული წნევა და გასტრიტი ჰქონდა. „აბა, რატომ არ იცავ დიეტას? — შენ ხაჭო უნდა ჭამო!“ — ვუთხარი და მის ცოლს გადავხედე. „ჩვენი კიდე ხაჭო არ გვიყვარს!“ — თქვა მან და ცოტათი დაიმანჭა, ჩემი ვაჟიშვილი კი გაწუმდა. ეტყობა, მისი ცოლი წყვეტდა, რა უნდა ეჭამათ და ესვათ.

ჩვენ მათთან ვიყავით ავარაკზე, ეუკოვკაში — ეს სწორედ ის ავარაკი იყო, სადაც ეცხოვრობდი 1966 წელს, ინდოეთში გამგზავრების წინ. ამეწყნა იმ დღის მოგონებები. გამახსენდა ავადმყოფი ბრეჟნევ სინები. ღმერთო, რა დიდი ხნის წინათ იყო ეს! მაშინ ჩვენთან იყვნენ ელჩები — ტიკი კაული და მურაღ ვალები ცოლიოურთ. ოსია და კატია მაშინ ჯერ ნორჩები იყვნენ, ყველა დედის ჯიბრზე, ძალიან დამჯერენი... სტუმრად ელენაც ჩამოდიოდა.

„ასეთი პატარძალი საღ გამონახეთ?“ — ვკითხე გრიშას, როცა საამისოდ დრო მოვახელთე. — ძლიეს მარტონი დავრჩით. „ნუ იტყვი! — თავი გაიქნია გრიშამ. — როცა ელენა წავიდა და ბავშვი წაიყვანა, ოსიამ დარდისგან სმა დაიწყო, ვინმე სჭირდებოდა მომელოდა — და აი, ეგეც გამიჩნდა... ყველანი ვეუბნებოდით ოღონდ ეგ არ შეირთოო! მაგრამ ისე გაიკეთა, როგორც თვითონ უნდოდა. რასაკვირველია, ყველაფერს ახლა ეს ქალი წარმართავს, მაგრი დედაკაცია, აბა! ჩემი გემოვნებისა არ არის!“ — გამოტყდა გრიშა.

ამასობაში ჩვენი ძვირფასი რძალი ხმამაღალ, მჭექარე ხმით ხარხარებდა, არაყს ისხამდა და აყოლებდა სოკოს მარინადს, კარტოფილს, ქაშაყს, ყველაფერ იმას, რითაც სახელი აქვს განქმული რუსულ სმას. ოლგა იჯდა ტელევიზორის მიშტერებული — მადლობა ღმერთს, მას ეს იქცევდა. მომინდა ლიუდასთვის რაიმე, სასიამოვნო მეთქვა და სკამად წინდაუხედავად ვუთხარი: „იცით რა, ლიუდა, თუ ვნებავთ, დედა დამიძახეთ“. მან არაკეთილი თვალები მომაცივა და მიპასუხა ფრაზით, რომელსაც ვერ ვივიწყებ: „ამას ჩვენ ჯერ კიდევ ვნახავთ!“

„ეს ჩემთვის პატივი იქნებოდა“, — ვუთხარი პასუხად. ტრადიციულად მას უნდა მოემართა ჩემთვის ასე, მაგრამ მისი უარი ამას ნიშნავდა: „ჩვენ უთქვენოდაც ვიარსებებთ“. ეს ოდნავადაც არ მეეჭვებოდა. გრიშა შეცბუნებით იქნეულ თავს.

კამპანიისთვის ოლგას მოუყვანეს ვიღაც ბიჭი, რომელიც თითქოს ინგლისურად ლაპარაკობდა, მაგრამ ოლგა შემდეგ ამტკიცებდა, რომ „არაფერი ესმოდა“. ილია მხოლოდ ორჯერ ვნახეთ, შემდეგ კი მისი სტუმრად მოყვანა ვერ შევძელით, თუმცა დედასთან ერთად ჩვენს სასტუმროსთან ახლოს ცხოვრობდა. მე იმ ქალს დავურეკე და ვთხოვე, რომ ბაჭს ჩვენთან შემოეყენა, მაგრამ არ შეეწუალა.

კიდევ უფრო იმან გამაოცა, რომ არც ჩემს ვაჟიშვილს უნებებია სასტუმროში შემოვლა, ჩვენთან ჩამოჯდომა და საუბარი, თუმცა ვთხოვე. პასუხად სულ ამას ამბობდა, ლიუდას არ შეუძლიაო, და რაცა ვუთხარი, მ ა რ ტ ო მოსულიყო, რაღაცეები მოიმიზეზა.

ჩვენ მოსკოვში უკვე მთელი თვე ვცხოვრობდით. ამ ხნის განმავლობაში ყველა ჩემი ბიძაშვილი — ალილუევები ვნახეთ. ისინი ნამდვილად გულთბილად მხვდებოდნენ. დედის დისწულები, რომლებთანაც ლამის ერთად გავიზარდე, ცოტათი თუ შეცვლილიყვნენ. ახლა ისინი — 50-დან 58-მდე წლისანი — ისევ კარგები იყვნენ — მაღლები, ალნაგნი, გამხდრები, კბილებკრიალანი, თაფლისფერთვალებანნი—იმათ ნახვას არაფერი სჯობდა — თავიანთ ასაკთან შედარებით, გაცილებით ახალგაზრდები ჩანდნენ. ცოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი ჰყავდათ, რიგიანი სამუშაო ჰქონდათ, მათი ცხოვრება კარგად აეწყო — უკან დარჩა საშინელი წლები, როცა მათი მშობლები ცხეებში დაიღუნენ; ამ ადამიანებმა გამოიარეს შიმშილის, საზოგადოებრივი ოსტრაკიზმის წლები, ბევრი რამ... ახლა, ბოლოს და ბოლოს, კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებით და ოლგასადმი გულისყურს იჩენდნენ, ეფერებოდნენ, და ეს გოგონამ მაშინვე შეამჩნია. საოცარი მეჩვენება, რომ მათაც უკვე შვილები ჰყავთ — არადა, ისინი ჩემთვის ჯერ ისევ „ბიჭები“ არიან.

ერთმა მათგანმა ნოვოდევიჩის სასაფლაოზე წაგვიყვანა. დედაჩემის, ბებიაჩემისა და პაპაჩემის — ალილუევების, პავლუშა და ჟენია, ანა და ფიოდორ ალილუევების საფლავებს მიემატა ვასილ სტალინის — ჩემი ძმისშვილის, ვასილის უმცროსი ვაჟის, ოცი წლის ასაკში ჰეროინუმის ჩხვლეტის გამო გარდაცვლილის, პატარა საფლავი. ჩემი ბიძაც აქ ასაფლავეს, და ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რომ ვასილიც აქ უნდა გადმოვასვენოთ ყაზანდან, სადაც გადასახლებული იყო...

მოვლმა ამ შავბლიანმა საქმეებმა, ამ დენმა სიკვდილმა, დედის ხსოვნამ და ნოვოდევიჩის სასაფლაოს მონახულებამ ისეთი ნაღვლით ამავსო, რომ მეჩვენებოდა, თავად მეც შევეხე საფლავის ქვებს და შიგ საფლავებშო ჩავიხედე-მეთქი... ყველა ამ ფიქრის გასაქარვებლად მე და ოლგა წავედით ჩემი ძმისშვილების მონასახულებად, რომლებიც მას ბიძაშვილებად ეკუთვნოდა. ისინი უფრო ახალგაზრდები და უფრო მხიარულნი იყვნენ და სკოლის უსიამო მონახულების შედეგად აღძრული ნაღველი რამდენადმე შეგვამსუბუქეს.

გუელია, ჩემი ძმის — იაკობის ქალიშვილი, გაჰყვა არაბს, ალჟირელ ინჟინერს, მათ ჰყავდათ თორმეტი წლის ვაჟიშვილი, რომელსაც სმენა დაბადებითვე დაქვეთებული ჰქონდა. მამამისს, რომელიც საქმეების გამო ხშირად იმყოფებოდა საერთაშორისო, უნდოდა მისი იქ წაეყვანა კარგ ექიმებთან, მაგრამ ბიჭს სსრკ-დან გასვლის ნებას არ აძლევდნენ. ამის ნებას არც გუელიას, ახლა უკვე ალჟირული ლიტერატურის ორმოცი წლის სპეციალისტს, აძლევდნენ, თუმცა მისმა ქმარმა არაერთხელ განაცხადა, საზღვარგარეთ მისი ყოფნის მთელ ხარჯებს მე ეკისრულობო. ვასილის გადმოსვენების გარდა, მინდოდა ვრომიკოსთვის ესეც მეთხოვა, მაგრამ მასთან ვერ მოვხვდი. გუელია, რაც ასაკში შედიოდა, მით უფრო ემსგავსებოდა იაშას, განსაკუთრებით თვალებთან, პირისახით და მანერებით. ჰოდა, რატომ არ უნდა მისცენ ნათესავების მონახულების უფლება? რას ჰგავს ისევ ეს იდეოტური აკრძალვები-მეთქი, ეფიქრობდი. ჩემი წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა... გუელიასა და ოლგას ერთმანეთი მოეწონათ და როგორღაც ახერხებდნენ ერთმანეთისთვის სათქმელი გაეგებინებინათ სანახევრად ფრანგული ენის მეშვეობით, რომელიც გუელიამ, როგორც მთარგმნელმა, ჩინებულად იცოდა, სანახევროდ კი — ნიშნებით. ოლგას აქ მაინც, ისევე, როგორც ყველა ალილუევთან, შეეძლო ეგრძნო, რომ თავის ოჯახურ წრეში იმყოფებოდა. გოგონას ართობდა ყველა ამ ნათესავის, მისი სისხლითა და ხორცით ასე ახლობელთა, მაგრამ სულ სხვა საზოგადოებაში აღზრდილ ადამიანთა ნახვა.

ჩემმა ძმისშვილმა ალექსანდრემ, ვასილის უფროსმა ვაჟმა, იმ ჩეიდეტ წელიწადში, რაც არ მენახა, თავბრუდამხვევ წარმატებებს მიაღწია. ეს წვნარი, მფრთხალი ბიჭი ახლა დამდგმელ-რეჟისორად ვახილე და არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ მასში მოხდა ცვლილება უკეთესობისაკენ! სკოლაში ყოველთვის მაჩანნალა, ჯანსუსტება და უღონო ალექსანდრე მაშინ ვერაფრით აკლესდა თავის ნიჭსა და უნარს, მაგრამ განვლილ წლებში თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და „თავისი თავი მონახა“. ჩვენ წავედით მისი სპექტაკლის — ერთობ დახვეწილი „კაშელიებიანი ქალის“ სანახავად და არ შემეძლო ყოველივე ამის დაჯერება... ნუთუ ეს საშაა? ნუთუ ჩვენი საშაა ეს, ვინც კულისებიდან გამორ-

ბის და ჩქარა-ჩქარა უკრავს თავს საზოგადოებას ყოველთვის წარმატებით ჩაველილი მოქმედების შემდეგ?

მერე ალექსანდრემ გვიჩვენა თავისი პატარა, ძალიან სუფთა, უზარმაზარი გემოვნებით, ძალიან სადად მოწყობილი ბინა. ის სულ არ სვამს და მეტისმეტად ფაქიზი ჩანს. ისე კარგად ლაპარაკობს, იმდენს კითხულობს, რომ ვერაფერს იტყვი! ახლა ჰგავს იმ ვასილს, რომელიც ძალიან ახალგაზრდა იყო და ჯერ არ სვამდა. მისი სახე — ნერვიული, შთამბეჭდავი „ალალუეველური“ ჩვენი თაფლისფერი თვალებითური, ისეთი თვალებითური, როგორიც ყველა იმათ აქვთ... სამა, სამა, როგორი გახდა! მშვიდი, წყნარი, გულისყურიანი — არაფერი აქვს მოწიფული ყმაწვილისა, — არაფრით ჰგავს თავმოყვარე და აგრესიულ ვასილს. ალექსანდრე ძალიან გულისყურიანად და თბილად შეხედა ოლგას და, თუმცა ინგლისურად არ ლაპარაკობდა, მათ დამეგობრება, შეძლეს. ალექსანდრეს თეატრებში დაეყავდით, ვისმენდით ბოშების სიმღერებს და ვუყურებდით მათ ცეკვებს მსოფლიოში ერთადერთ სახელმწიფო ბოშურ თეატრში. ჩვენ, გულიასა და ალექსანდრესთან ერთად, შევხვდით ალალუეველს, და ოლგამ თავის დიდ ოჯახზე ცოტა წარმოდგენა მაინც მიიღო ჩემი ქალიშვილისგან, კატიასგან და, შესატყვისად, ოლგას დისგან ჯერ ერთი სიტყვაც კი არ მოგვწერია, თუმცა მე კი მითხრეს, რომ „ჩემი ჩამოსვლა ეუწყა“. კამჩატკაზე ცხოვრობს, ჯულაბებს სწავლობს, მეცნიერებათა აკადემიისთვის იღვწის.

მაგრამ ჩვენთან, სასტუმროში შემოვლა არც ჩემს ვაჟიშვილს ნებავს და არც ჩემს ქალიშვილს. განა ისაა არ ტირიდა ტელეფონში, როცა ინგლისში ვცხოვრობდი? მეკითხებოდა: ნუთუ მეტად ვეღარ განახავი?! მაგრამ მე აგრე, აქა ვარ. ჰოდა, რატომ არ შემოხვალ ჩემთან, რომ ერთად დავსხდეთ, ვისაუბროთ?.. ვერა და ვერ გამიგია. ფული მთხოვა, და რაც მქონდა, მივეცი. შემდეგ დილარების მაღაზიაში შესვლა ინება და ეკითხე: „რა გინდა შენ იქ. შენა და ლარუდა ხელმოკლეებს არ ჭგეხართ. კარგი ბინა გაქვთ, საზამთრო აგარაკი მზარეული ქალთური, ყველაფერი მზა გაქვთ. სჯობაა, ფული ნადიას მივცე ან საშას, ისინი ხომ გაქუცულნი არიან“. ისაა გაბრაზდა და ტელეფონში ყვირილი დამიწყო. აქეთ იმისთვის რიდი მოვდიოდი, შენი ყვირილი მესმინა-მეთქი, ეუთხარი.

ეს ცვლილება ხასიათისა, თვით ბუნებისაც — ძალიან შორს შეტოპილი თვითრღვევის ნიშანია. ამის ჩემი ძმის მაგალითზე ვხედავდი. თვითრღვევის პროცესი ს ულ ს ა ა გ ო ნ ე ბ ა ს ეუფლება. პიროვნება კარგავს თავის თვისებებს, ნიჭს, მომხიბვლელობას. ჩემი ძმისშვილის გასაოცარმა შემოქმედებითმა აღმაფრენამ და, — ამავე დროში — ჩემი შვილის ყველა საუკეთესო თვისების აგრერიგ დაუჯერებელმა, წარმოუდგენელმა დაკნინებამ საკუნებით გამაოგნა. ამიტომ, როცა ძველი მეგობრები მეუბნებოდნენ, ოდნავადაც არ შეცვლილხარო, მიმაჩნდა, რომ ამის გამო უფლისთვის მადლი უნდა მომეხსენებინა! ამ წრეებრუნვაში რაღაც ხომ უნდ დარჩეს უცვლელი.

ცოცხლები აღარ დამხვდნენ ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ვიმნევსკი და ლიუსია კაპლერი, ტატიანა ტეკი და ფანა რანევსკაია. სსრკ-ში ჩვენი ყოფნის დროს გარდაიცვალნენ ფიოდორ ფიოდორის ძე ვოლკენშტაინი და სერგეი აპოლინარის ძე ვერასიმოვი — ეს ორნი ჩემი ძველი დიდი მეგობარი. რაღაცნაირი, საპრისებური სული მობერავდა მოსკოვიდან და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სასაფლაოზე მოვდივი.

Но на родное пепелище
Рыдать и плакать не приду;
Могил я милых не найду
На перепаханном кладбище. —

ასე დაწერა პოეტმა ვაჩესლავ ივანოვმა, ვინც არ ისურვა კვლავ სწვეოდა სამშობლოს, რომელიც „გადახნულ საფლაოსაცით“ უცნობლად ესახებოდა. რა შეშხარავი სახეა!.. ვიდრე მოსკოვში

ვიყავით, ამ სტრიქონებს ვერ ვიცალებდი, ოდესღაც შშობლიური ქალაქის უცნობ ქუჩებს კი გადახნულ, გამოშგიზულ სასაფლაოდ აღვიქვამდი. რატომ ჩამოვედით ჩვენ აქ, რატომ? ღმერთო, ღმერთო! რა იდიოტობაა, რა წინდაუხედობაა, როგორი ხელბორკილებით ვიბორკავ ჩემს თავს – განა ჩვენ ასე ცხოვრებას შევძლებენ? საცოდავი, საცოდავი ჩემი ოლია! მას ხომ დღეს თუ ხვალ შეჩურთავენ ამ საჩვენებელ სკოლაში, სადაც სასწავლო ნაწილის გამგე ქალი ასე ძალიან ჰგავს ცინის ზედამხედველს. უკვე დარეკა და იკითხა, ოლია რატომ არ მოდისო. მაგრამ განა ჩვენ შევთანხმდით, რომ ოლია იქ მისულიყო?! თუმცა აქ, მოსკოვში, საქმეები ისე არ კეთდება, როგორც თქვენ გითხრეს, არამედ ისე, როგორც „ზემოთ“ თქვეს. შეიძლება არც კი იცოდე, რა თქვეს აქ, ამას მხოლოდ სიტყვის გადაკვრით შეატყობ. მე მეხმიდ, რომ „გარს შემოგვერტყნენ“, დამოუკიდებლობა წაგვართვეს, ახლა გვაიძულებენ ჰოლტბუროს ყოფილი წევრის ამ დიდებულ ბინაში ვიცხოვროთ, ოლია კი ყოველდღე ამ ჩვენი ბინის გვერდით ქდგარ სკოლაში ივლის...

რჩევა ვკითხე გრაშას, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ეს ჩინებული რამ იყო, რომ ჩვენი საქმეები, უბრალოდ, შესანიშნავად აეწყო. „ნუ ღელავ, გულს გაუფრთხილდი! – მეუბნება და თან დამამშვიდებელ ხპებს ყლაპავს. – ვალიდოლი ხომ არ გინდა?“ და მეც ვიდებ ჰირში გრილ ვალიდოლს. რაღაც ხომ უნდა მოვეფიქრო. მოსკოვიდან სადმე წავიდე? განვიცდიდო, ვთქვათ, რომ „მოსკოვში საზღვარგარეთელი კორესპონდენტები გვდევნიან?“ – რაც სრული სიმართლე იქნება. სადოვაიზე მანქანით, ტელეკამერიანად მოგვდევდნენ კიდეც, მაგრამ ხაით წავიდეთ? ლენინგრადში იგივე განმეორება. ლენინგრადი ძალიან უყვარდა დედაჩემს, მეც მიყვარდა იქ ჩასვლა და ქალაქში ხეტიალი... მაგრამ იქაც, რაც აქაა, ის იქნება.

და უცებ – ღამეული ფხიზლობის დროს – იშვა ხატი ქვეყნისა, სადაც არასოდეს მიცხოვრია, მაგრამ სადაც დაიბადა, ცხოვრობდა, სადაც დაქორწინდა თითქმის ყველა ჩემი ნათესავი, სადაც უყვარდათ თავიანთი საყვარელი ადამიანები. ჯერ კიდევ საბერძნეთში, ათენში, როცა ქალაქში დავეტარებდნენ და ღირსშესანიშნავ ადგილებს გვიჩვენებდნენ, უცებ წარმომესახა ხატი საქართველოსი – შესაძლოა, იქური ცისფერი, თბილი სანაპიროს ჩვენს სანაპიროებთან მსგავსების გამო ანდა, შესაძლოა, იქაურ და ქართველ შავთვალება და შავქოჩრა ადამიანთა მსგავსების გამო ან, იქნებ, ათენის შუაგულში იმ წმიდა გიორგის ეკლესიის გამო, რომელშიც ჩვენ შეველითო და სადაც დავინახე წმინდა გიორგის – საქართველოს მფარველის დიდი ხატი... უცებ ასე მოულოდნელად ა ხ ლ ო ბ ე ლ ი გახდა ჩემთვის საბერძნეთი – მანამდე არასოდეს მიფიქრია საქართველოსა და საბერძნეთის ასეთ მსგავსებაზე. რასაკვირველია, ეს იყო ქრისტიანობა, საბერძნეთი, ზუსტად ისეთივე ქვის ეკლესიები, საეკლესიო მუსიკა... ეკეკვები, სიმღერები, სამხრეთული საკმელება, სამხრეთული ტემპერამენტი...

ვეღარ დავიძინე ღამით, როცა უცებ გამახსენდა, თუ როგორ ვიხილე სიზმარად ათენში ჩემთვის შორეული და მაშინ ნაკლებ ცნობილი საქართველო. შესაძლოა, არცთუ ამაოდ მეზმანა ის? როგორც ლერმონტოვმა თქვა:

Быть может, за хребтом Кавказа
Сокроюсь от твоих пашей,
От их всевидящего глаза,
От их **всеслышащих** ушей!

«Быть может, за хребтом Кавказа...»

...მთელი ღამე ამას ვიმეორებდი. დილით კი უკვე მზად ოყო გადაწყვეტილება. ძველ რუსეთში კავკასიაში გაქცევა, როგორც ახლა იტყოდნენ, ეს კაპიზმის ტრადიციული ფორმა იყო, მაგრამ იქით, ქედს გადაღმა მეცხრამეტე კლასიკური საუკუნის მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე თავად-აზნაურნი და ოფიცრები კი არ გრბოდნენ. იქით გრბოდნენ რუსი გლეხებიც, როგორც ჩვენი ბაბუა

ალილუეა — ვორონეჟიდან, და ეროპიდანაც კი, როგორც, მაგალითად, ბებიაჩემის წინაპრები — ვიურტემბურგიდან. როცა თითქმის სიცილით გავიფიქრე ყველა ამ ჩემს „წინამორბედზე“, უცებ მკაფიოდ დავინახე, რომ ოლგას და ჩემი ადგილი ახლა სწორედ იქ იყო, რაკი მოსკოვის მთელი დაწოლის ატანა არ შეგეძლო.

ქალალი დავიდე და წერილი მიეწერე მთავრობას — აბა, სხვა ვისთვის უნდა მიმეწერა? — ვეეეედრე, მართლა ვეეეედრე, რომ ჩვენთვის „პროვინციაში“ გახელის ნება მოეცით, რადგან მოსკოვში „ნამეტანი ვჩანვართ და სულ დასავლეთის პრესის მხრივ შემოტევის საშიშრობა მოგვეღის“. ამ პუნქტს ჩვენდამი თანაგრძნობა უნდა გამოეწვია და ჩვენს სასარგებლოდ ემოქმედა. შემდეგ „ეიმოწმებდი კეკკასიასთან ისტორიულ და ოჯახურ კავშირებს“, ჩამოთვლიდი ყველა ალილუეებს — თბილისში ალილუეების ქუჩაც კი იყო, — საუკუნის დასაწყისში გაფიცვების დროს ბაბუაჩემის გმირობათა აღსანიშნავად. პირობას ვიძლეოდი, რომ „ადგილობრივ ხელისუფლებასთან სრული გაგება და თანაშრომლობა“ მექნებოდა, რაც იმას გულისხმობდა, რომ არ დავიწყებდი მამაჩემისადმი ქართველთა გრძნობების ექსპლუატირებას და ამით არ ვისარგებლებდი. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო? აბა, ესენი რაში მჭირდება?! მე ხელისუფლებას ვპირდებოდი... ყველაფერს, რაც მათ ნებავდათ, ოღონდ კი ჩვენ იქით გავეშვით. და ეს რაც მალე მოხდებოდა, მით უკეთესი იქნებოდა. ჩინებულად მესმოდა, რომ დასავლეთის პრესის მიერ ჩვენდამი გამოვლენილი ინტერესით მთავრობა უკვე გაღიზიანებული იყო, — ჰოდა, მე ხელს ვიწყობი, ამიტომ მინდა დედაქალაქიდან გასვლა.

ყველაფერი ეს დავწერე და ყაენ და საუზმე დაეუკვეთე. ოლია მალე რუსული ენის გაკვეთილს ჩაუჯდა მასწავლებელთან ერთად, მე კი ახალი ბრძოლისთვის ვიკრებდი ძალ-ღონეს.

და ზუსტად ასეც მოხდა: შუადღეს გაიხსნენ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლები და ჩვენი მეურვეები საგარეო საქმეთა სამინისტროდან, რომლებსაც საზეიმოდ მოვქონდათ საქალალდეები ქალალდებითურთ. ყველანი მაგიდას მივუსხედით.

ახლა ჩვენ უკვე ჩვეულებრივ პატარა-ნომერში ვცხოვრობდით, რადგანაც საჭიროდ ჩავთვალე მდიდრულ უფასო აპარტამენტებზე უარის თქმა. მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებმა დაამტკიცეს დოკუმენტები, რომლებიც მე და ჩემს გოგონას შეგვეხებოდა. საზეიმო წუთი იყო. ყველაფერს დუმილით ვისმენდნ.

მე, როგორც ჩანს, ყველაფერს მპატიობდნენ — ყოველ შემთხვევაში, თვრამეტი წლის განმავლობაში სხვაგან ყოფნა ამ დოკუმენტებში არც იხსენებოდა, თითქოს ის წლები არც ყოფილაო. მე მიმიღეს ბიბლიურ ძე შეცდომილივით, ის უშველებელი ბინა შემოგვთავაზეს პოლიტბიუროს წევრთა სახლში, სკოლის გვერდით, და მძღოლითურთ მანქანაც მოგვამაგრეს; აღდგა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემთვის მოცემული პენსია. დეკრეტი იმის იმედსაც გამოხატავდა, რომ მალე „კოლქტიფში“ აღმოჩნდებოდი და ოლგა ვილიამის ასული პიტერსი მოკლე ხანში თავს ისე იგრძნობდა, როგორც თავის სახლში. სსრკ-ში განათლება, რასაკვირველია, უფასოა — თქვენ ამის საფასურს საკუთარი ცხოვრებით იხდით, მაგრამ არა ფულით.

ვიჯექი და დასასრულს ველოდი. შემდეგ ყველაფრისთვის მადლობა ვთქვი (მადლობა მთავრობას უნდა გადასცემოდა) და ვითხოვე იმის ნებართვა, რომ მათთვის ახლა წამეკითხა ეს-ესაა დაწერილი წერილი. დავიწყე კითხვა ერთიან თავაზიანი, დიპლომატიური წერილისა, რომელიც სანახევროდ მადლობებისგან შედგებოდა, და კითხვისას შევნშნე, თუ როგორ გრძელდებოდა და შეშდებოდა მათი სახეები, და როცა კითხვა დავამთავრე — ისინი დუმდნენ... „მე ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება დაკმაყოფილებს ყველას, და ყველას სარგებლო-

ბას მოუტანს", — ვიმეორებ მე. ისინი დუმან, ყურს არ უჯერებენ, შემდეგ კი მესმის: „კეთილი, ჩვენ მთავრობას თქვენი წერილის შინაარსს გავაცნობთ".

მე დღის მეორე ნახევარში არაფერს ვჭამ, ელოცულობ, ელოცულობ ხელებაპყრობილი, ოლგას არც კი ველაპარაკები და ღმერთს ᲕᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, რომ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲝᲡ...

ის შეხვარება.

რამდენიმე დღის შემდეგ მიწვევენ საქართველოს წარმომადგენლობაში — ცეროდენა მისიაში, ერთ იმათთაგანში, რომლებიც აქვს ყველა რესპუბლიკას მოსკოვში. მაშინვე თვალში მხვდება კარგი გემოვნება, თანაშრომელთა თავისუფალი, ღადი მანერები, წარმომადგენლის, ელეგანტური საშუალო ასაკის კაცის მაგიდაზე ცინცხალი ხილის სიუხვე. წარმომადგენელი შესამჩნევად ღელავს და ცნობისწადილით მათვალიერებს. მაუწყვებს, რომ მე და ჩემს გოგონას საქართველოში საცხოვრებლად გამგზავრების ᲜᲔᲑᲐ ᲒᲕᲔᲫᲚᲔᲕᲐ, და ღიმილით სახე ებადრება. შეხვედრის ფორმალური ნაწილის დამთავრების შემდეგ მთავრობის ხილს, ღვინოს (მე ამაზე უარს ვამბობ) და უკვე სავსებით ნორმალურ კილოზე მეუბნება: „ეს ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო სიურპრიზია". „ჩვენთვისაც!" — იმავე კილოზე ვპასუხობ. და ეს სავსებით გულწრფელად ვთქვი.

თბილისში მივფრინავთ 1984 წლის 1 დეკემბერს. ჩვენთან ერთად მოფრინავს საოთალიანი და ტყავის ზედატანსაცმლიანი ახალგაზრდა სასიამოვნო კაცი — მოსკოვში ქართული მისიის წარმომადგენელი. ძალიან ცივი ამინდია, მე კი ოლგას ვარწმუნებდი, საქართველო კალიფორნიასავითაა, ესე იგი, იქ ზამთარი თითქმის არ იცის-მეთქი! ჩვენს ინგლისურ დემისეზონურ ტანსაცმელში ეცივება. ახალგაზრდა კაცი ინგლისურად ცოტ-ცოტას ლაპარაკობს და ოლგა გამოცოცხლდა. ოლგას მანდარინს სთავაზობს. ოლგა მეუბნება, მოსკოვზე უკეთესი იქნება ყველაფერი, რაც ვნებავსო. მე ვეთანხმები: ეს თვე, რომელიც მოსკოვში გავატარეთ, კოშმარი იყო და მეტი არაფერი. „როდესმე ცხოვრობდით თუ არა საქართველოში?" — მეკითხება ახალგაზრდა კაცი. „არა! — ვაღიარებ. — მაგრამ მთელი ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობდა".

ვიხედებით ქვევითკენ. თვითმფრინავის ფრთებქვეშ გადაშლილ მშვენიერ, თოვლით დაფარულ, ალმასისებრ მბრწყინავ დიდ კავკასიონის ქედს დაყურებთ. მე ის ასეთი არასოდეს მენახა. ოლგაც მოხიბლა ამ დიადმა სანახაობამ. ევროპისა და აზიის საზღვარია. ჩვენ ახლა აზიაში ვართ. მზეზე თოვლი ბრწყინავს, ზევით კი ცა უსაზღვროდ ცისფერია. ყველა მგზავრი ქვევით იხედება, თუმცა ეს ბევრჯერ უნახავთ. ოლგა მანდარინს შეექცევა, შესამჩნევად გამხიარულდა. ღმერთო, ამ ერთხელაც გვიხსენი. ღმერთო, ღმერთო, როგორ გახდა ეს შესაძლებელი? არ შემიძლია დავიჯერო, რომ ჩვენ გამოვაღწიეთ იმ სიტუაციიდან, რომელსაც შეეძლო ჩვენი შთანქმა. ეროვნულ რესპუბლიკაში სულ სხვაგვარია ცხოვრება — თეორიულად ეს კარგად ვიცი. მოსკოვისგან დამოუკიდებელი ცხოვრება, რამდენადაც კი შესაძლებელია. თავისი საკუთარი კოლორიტული, თბილი ცხოვრება. ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთო, როგორ შეეძელით ეს?!

თბილისის პატარა, ჯერ კიდევ დაუთოვლელ, ირგვლივ შიშველხეებიან აეროპორტში რამდენიმე ბეწვისპალტოიანი ქალი დაგვხვდა. გარეგნული განსხვავება მაშინვე თვალშისაცემია — ქართველებს უფვართ კარგად ჩაცმა, ამას მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდა ქერა თარჯიმანი ხელმკლავს უკეთებს ოლგას და მათ შორის ერთბაშად ჩყარდება ურთიერთგაგება, რომელიც შემდეგში ნამდვილ მეგობრობაში გადაიზრდება. მე შემიძლია ცოტა ხნით დავშვიდდე, რადგან უკვე ვხედავ, რომ ოლგა კმაყოფილია თავისი ახალი ნაცნობით. ყველა დამჩვღური მანდილოსანი იღიმება. მე მათგან მხოლოდ ერთს ვიცნობ ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲓ ᲡᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ: ᲔᲠᲗᲘᲐ ᲬᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲙᲚᲐᲡᲔᲚᲔᲑᲐ ᲕᲘᲞᲐᲕᲝᲗ. ᲐᲮ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲑᲐᲚᲔᲡᲝᲑᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ, ᲣᲤᲠᲝ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐᲓ. ᲓᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲜᲓᲔᲚᲝᲚᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲠᲩᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲘᲝᲓᲔᲜᲔᲑᲘ, ᲘᲡᲘᲜᲝ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲣᲙᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲓ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ. ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ. ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲮᲔᲑᲘᲗᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲘᲥᲘᲗᲙᲔᲜ, ᲡᲐᲗᲐᲗᲐᲪ ᲬᲐᲒᲖᲐᲒᲐᲜᲔᲜ.

ᲓᲐ ᲐᲘᲝ, ᲩᲕᲔᲜᲗᲘᲡ ᲐᲥ, ᲛᲝᲡᲙᲝᲗᲘᲡ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐᲗ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲠᲘᲜ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕ ᲓᲔᲦᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲢᲣᲓᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲣᲗᲕᲜᲘᲚ ᲥᲐᲚᲘᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲒᲐᲓᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲒᲐᲓᲘᲜᲐᲕᲔᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲝᲚᲝᲘᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲪᲝᲚᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ᲘᲡᲘᲜᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲣᲮᲡᲗᲔᲜᲔᲜ ᲠᲝᲘᲐᲚᲘ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲫᲔᲠᲝᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲡ ᲩᲭᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲔᲒᲝᲜᲠᲓᲜᲔᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲝᲜᲘᲗᲮᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲚᲘᲐ ᲓᲐᲣᲛᲘᲣᲜᲔᲑᲚᲘᲓ ᲛᲘᲡᲮᲕᲔᲓᲠᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲔᲠᲩᲚᲘ. ᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲡᲐᲪᲮᲝᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲚᲘᲐ ᲓᲐᲣᲛᲘᲣᲜᲔᲑᲚᲘᲓ ᲛᲘᲡᲮᲕᲔᲓᲠᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲔᲠᲩᲚᲘ. ᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲜᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠᲔᲛ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲪᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲥ ᲗᲣᲯᲔᲑᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲯᲐ. ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲓ ᲝᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲩᲔᲠᲔᲜᲘᲡᲜᲐᲜ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲭᲘᲗᲝᲕᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲩᲭᲐᲠᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲐᲓᲘᲠᲐ. ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲛᲬᲘᲗᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲐᲜᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲘᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲐᲜᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲔᲒᲝᲜᲠᲓᲜᲔᲜ.

ᲨᲔᲜ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ (ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲥ ᲫᲐᲚᲘᲐᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲰᲔᲓᲔᲒᲝᲕᲝ — ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲣᲗᲐᲠᲔᲑᲓᲐ) ᲛᲘᲛᲓᲐᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲡᲐᲚᲓᲛᲘᲐᲜ ᲥᲐᲚᲗᲐᲡ. ᲛᲔ ᲛᲐᲠᲬᲣᲛᲣᲜᲔᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲘᲓ ᲝᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲚᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲒᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲛᲐ ᲝᲚᲒᲐᲡ ᲔᲡ ᲔᲪᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲣᲐᲛᲘᲠᲐᲕᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲠᲝ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲑᲠᲧᲝᲜᲕᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲒᲕᲰᲥᲝᲜᲓᲐ: ᲗᲐᲮᲜᲐᲒᲠᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲬᲘᲚᲨᲘ ᲝᲚᲘᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲜᲐᲕᲗ, ᲒᲐᲬᲘᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲒᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲠᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲕᲔ ᲚᲐᲰᲐᲠᲐᲪᲘᲡᲐᲪ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲐ! ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲛ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲥᲜᲓᲐ: ᲝᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲒᲣᲚᲛᲮᲘᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲡᲐᲡ ᲒᲠᲫᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲓᲐ.

ᲮᲐᲚᲬᲘᲡ ᲝᲜᲒᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲥᲜᲓᲐ: ᲝᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲒᲣᲚᲛᲮᲘᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲡᲐᲡ ᲒᲠᲫᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲓᲐ.

ᲮᲐᲚᲬᲘᲡ ᲝᲜᲒᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲘᲗᲐᲗ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲠᲘᲜ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲛ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. ამერიკაზე, რომელიც მათ ცათამბჯენებითა და ავტომობილებით გაძეძგილ ერთ გუთაევებელ ნიუ-იორკად ჰქონდათ წარმოსახული.

დეკემბერი ქალაქგარე რეზიდენციაში გავატარეთ, მაგრამ ახალი წლისთვის, ჩემი თხოვნით, ქალაქში მოგვცეს ბინა და ჩვენი ცხოვრება თანდათან ნორმალური გახდა. რასაკვირველია, ჩვენი ბინა — ისევე, როგორც მოსკოვში, — იმ სახლშია, სადაც ცხოვრობენ პარტიული მუშაკები, რომლებსაც მართებთ ჩვენს ყოველ ნაბიჯს თვალყური ადევნონ, მაგრამ აქ ყველაფერი უფრო უბრალოდ, შინაურულადაა. ჩვენი ბინა, ორი სძალიე ოთახითა და სამზარეულოთი, სადა და სუფთა იყო: ავეჯი ადგილობრივ მაღაზიებში ვიყიდეთ. ოთახები ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშებით, შინაქმოვი ხალიჩებით დავამშვენეთ. ოლია გახარებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ჰქონდა თავისი ოთახი, სადაც შეეძლო კედლებზე მიეკრა ყველაფერი, რის მიკრასაც ისურვებდა, — როგორც ამას აკეთებენ მოზარდები დასავლეთში.

დაბეჯითებთ გვთავაზობენ მოსამსახურეს, შემდეგ, გუვერნიორს — ოლიასთვის, მაგრამ ვიცი, რომ ეს ზედმეტ-ელობის კიდევ ერთი სახეა და უარს ვაცხადებ. მძღოლიც გვეყოფა. სასიამოვნო, მეგობრული, მხიარული ჯელელა, მაგრამ ასეთ პირობებში მანქანით უსაშველოდ ტკბობა, თავის მოწონება შეუძლებელია. საკუთარი მანქანის შეძენისა და მისი ტარების ნებას მე არ მაძლევენ. „სიფრთხილის გამო“. თანდათან ვეჩვევით ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით სარგებლობას. ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ზედამხედველობის გარეშე ვეწვეოთ ვისაც გვსურს. ოლიამ უკვე იცის, თუ როგორ მიაღწიოს ტროლეიბუსით თავის მასწავლებლებთან და მეგობრებთან. აქამდე აკვირვებს მათი ცხოვრების პირობები: ეს ჭუჭყიანი კიბეები, გაურეცხავი სადარბაზოები, ერთი ციცქნა ოთახები, სილამაზის ინტერიერებში სტილის უქონლობა — იმიტომ, რომ არ არის ადგილი, რადგან ყველა მოქუჩებულია. ის იწყებს გაგებას სხვაობისა სხვადასხვა ოჯახების სოციალურ წყობაში, ოჯახებისა, სადაც ჩვენ შევდიეარო. აქ ეს არაა ფული, არაა სიმდიდრე, არაა საკუთრება — ეს რაღაც სხვაა; და ყველა ნიშნით, ჩვენ ამ სოციალურ კიბეზე სადღაც, მაღლა ვართ მოქცეული. ოლიას მოუწევს ჯერ კიდევ ბევრი რამ აღმოაჩინოს ამ, თავისთვის ასე ახალ სახოგადოებაში. ჩემთვის არაფერი ეს სიახლე არაა.

მაგრამ მე ახალგაზრდებში მომხდარი ცვლილებები მანცვიფრებს. ყველა გოგონა და ბიჭი, რომლებსაც ასე ეზიდავს თავისკენ ოლგა, ახალგაზრდა მასწავლებელი ქალები, ცხენოსნობაში მისი მწვრთნელი — ყველანი, მძღოლიც კი, მას გულს უწყალებენ ამერიკის ამბების გამოკითხვით. ძალიან უნდათ ყველაფერი იცოდნენ მათთვის დახურულ სამყაროზე.

ამ ერთი წლის წინათ პატარა რესპუბლიკა შეაძრწუნა ჯერ კიდევ დაუთავრებელმა ტრაგედიამ. რამდენიმე ახალგაზრდა სტუდენტმა გადაწყვიტა თვითმფრინავის საზღვარგარეთ გატაცება. იყო ურთიერთსროლა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. უცხოეთში გაფრენის ცდა ჩაიშალა, ამის მცდელები დააბრუნეს, დაპატიმრეს, ზოგს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, ზოგს — დახვრეტა. ისინი სასამართლოში არ უარყოფდნენ, რომ საზღვარგარეთ გაქცევა უნდოდათ. ჩვენ ვგრძნობდით, რომ მათ მთელი ახალგაზრდობა ძალიან უჭირდა ხარს. და არა მხოლოდ ახალგაზრდობა: უფროსი თაობა აგროვებდა მთავრობისადმი საკვდილმისჯილთათვის გამოტანილი განაჩენის შეცვლის შესახებ წარსადგენ პეტიციაზე ხელმოწერებს. ოლია კი იქიდან იყო და მასთან არ ეუზრახულებოდათ ეთქვათ: „მეც მინდა წავიდე, გავიქცე!“ გოგონა გრძნობდა, რომ მისდამი გამოვლენილი რწმენა და სიყვარული ორი წყაროდან იღებდა სათავეს: ერონი მასში ხედავდნენ „შვილიშვილს“, სხვები —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი სამყაროს წარმომადგენელს. ამ კონფლიქტებმა მას თავალი აუხილა, ის უჩვეულოდ მომწიფდა ჩვენი „ვიზიტის“ სულ წელიწადნახევრის მანძილზე, რადგან „პრაქტიკაზე“ სწავლობდა. მე კი, ვინც წარსულის ბნელ, ღრმა წყლებში ვყვინთავდი, ვიგრძენი, რომ ჩვენ, ორნი ამას ვერ გავართმევდით თავს. აქაც კი, საქართველოში, სადაც მეტი გულწრფელობა, მეტი სიმამაცე, მეტი გზნება იყო გულებში, გესმოდა, რომ ოლგა უფრო მონახავდა თავის ადგილს ახალგაზრდათა შორის, მაგრამ არა მე.

და ამიტომ, მისი ბედნიერი მზიარულებით კი ვხარობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ეს დროებითი იყო. ჩვენ თითქოს ჰაერში ვეკიდეთ და იქიდან დავცქერიდით ქვემოთ მიმდინარე მთელ ცხოვრებას. მაგრამ ამ ცხოვრებით არ ვცხოვრობდით. არარეალურობის უცნაური გრძნობა არ მცილდებოდა არც თეატრში, სადაც ვუყურებდით შესანიშნავ ბრეხტს, არც კონცერტზე, სადაც თანამედროვე ორკესტრი და მომღერლები ასე საუცხოოდ აწნავდნენ ტრადიციულ მელოდიებს დასავლეთის ახალ სულისკვეთებებთან, არც სახლში, სადაც ჩვენ შეგვექმნა სიმყუდროვის წყნარი კუთხე სალამობით ტელევიზორის წინ — სალამოს სამყარო, რომელსაც მე და ჩემი ქალიშვილი ყოველივის ვპოულობდით და ეუფრთხილდებოდით, საითაც უნდა გადავეხვეწეთ ბედისწერას. ყველაფერი არარეალური იყო, თუნდაც ეს ყველაფერი სასიამოვნოც ყოფილიყო...

თარგმნა
ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲗᲘᲗᲛᲔᲠᲘᲐᲛ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე

ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ტიმეოსში", როგორც ფოკუსში, მეტ-ნაკლები სისრულით თავს იყრის ძველი სამყაროს თითქმის მთელი მენტალური გამოცდილება. მაგრამ კულტურულ ინგრედიენტთა ესოდენ უჩვეულო სიჭრელისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, შეცდომა იქნებოდა „ტიმეოსის" კოსმოლოგიური მოძღვრების მიჩნევა ეკლექტიკურ ფილოსოფოსად. პირიქით, ესაა თავისი კულტურულ-ისტორიული წანამძღვრების ულრმესი და უალრესად ორიგინალური სინთეზი, რომლის ბადალიც არ არსებული მანამდე და ძალზე იშვიათად თუ განმეორებული შემდეგ — კაცობრიობის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე; ხოლო ამ ორიგინალობის წყაროდ უნდა ვსახავდეთ ასიმილაციის იმ უმაღლეს ხარისხს, რომლითაც „ტიმეოსის" ავტორი ითვისებს, ისისხლხორცებს და თავისი პირადი სულიერი ცდის განუყოფელ ნაწილად აქცევს ძველი სამყაროს მიერ დაგროვილ უურაცხელ კულტურულ ფასეულობებს („არაფერია უფრო ორიგინალური, უფრო ჩვენეული," ვიღრე ის, რომ სხვებისგან და სხვებით ვსაზრდოობთ. მაგრამ საჭიროა მათი მონელება. ლომი კარგად ათვისებული და ასიმილირებული ვერძისაგან არის შექმნილი").

პლატონის მოძღვრების სწორედ ამ ორიგინალობას გულისხმობდა გასული საუუნის ცნობილი ამერიკელი მოაზროვნე რალფ უოლდო ემერსონი, როდესაც წერდა: „პლატონს სურდა შეექმნა პლატონიზმი, როგორც სამყაროს შეგნებული და თანმიმდევრული გამოხატულება, როგორც მისი უზუსტესი ასახვა. ეს უნდა ყოფილიყო, სულ მცირე, პლატონის სულის პრიზმაში გაგარებული სამყარო. თვითეულ ატომს პლატონური ელფერი უნდა შეეძინა. შენთვის იდრე ცნობილი ყველა ატომი, ყველა მიმართება, ყველა თვისება აქ ხელახლა უნდა შეიცნო, ხელახლა უნდა აღმოაჩინო, მხოლოდ მოწესრიგებული სახით: არა ბუნება, არამედ ხელოვნება. და შენ დარწმუნდები, რომ თუშცა ალექსანდრემ თავისი ქვეითი ლაშქრითა და თავისი მხედრიონით დაიპყრო და დაარბია ჩვენი პლანეტის ზოგიერთი ქვეყანა, მაგრამ თვით ქვეყნებმა და ყველფერმა, რისგანაც ითხზვის ქვეყნიერება, ელემენტებმა, მთელმა პლანეტამ, ბუნებისა თუ ადამიანების კანონებმა ამ კაცის სულში გაიარა, როგორც პურმა მისსავ სხეულში, და უკვე პურად კი არა, მის საკუთარ სისხლ-ხორცად იქცა; ამრიგად, მთელი ეს გიგანტური ლუკმა პლატონად გარდაიქმნა. მან თავისი საავტორო და საკამოცემლო უფლების ბეჭედი დასვა სამყაროს. სწორედ ესაა „ინდივიდუალიზმის პატეგმოყვარეობა".

„ინდივიდუალიზმის პატეგმოყვარეობისა" რა მოგახსენოთ (აქ აშკარად იგრძნობა არა მარტო თვით ემერსონის, არამედ, საერთოდ, მეცხრამეტე საუკუნის სტილი), მაგრამ ის კი ცხადია, რომ „ტიმეოსის" იდეურ-შინაარსობრივი სამყაროს წვდომა შეუძლებელი პლატონის ღრმა ინდივიდუალობის, მისი თვითმყოფი და თავისთავადი, ფილოსოფიური დოქტრინის ცალკეულ ასპექტთა გარეშე. ამ მხრივ, „ტიმეოსი" არა მარტო მთელი ანტიკური ცივილიზაციის ჯამად, არამედ პლატონიზმის კვინტესენციადაც გვევლინება. „ფედრისის" თუ „ფედრისის" ფსიქოლოგიზმი, „სახელმწიფოს" მოძღვრება იდეალური ინსანდვილის და უზენესი სიკეთის შესახებ, არსისა და არარის „სოფისტისეული" დიალექტიკა, „პარმენიდეს" მოძღვრება, გამოგებული სკრუპულოზურობით რომ იკვლევს „ერთისა" და „სხვის" დიალექტიკურ თანაფარდობას, „ფილებოსის" მეტაფიზიკური დოქტრინა, რომლის ბირთვადაც გვევლინება სამი ძირითადი სუბსტანციის — უზენესი სიკეთის, ანუ აბსოლუტური ერთის, კოსმიური გონებისა და სამყაროს სულის ცნება, „პოლიტიკოსის" კოსმოლოგიზმი და ა. შ. და ა. შ. ასეთია არასრული სია პლატონიზმის იმ ცალკეული მომენ-

---

[1] ბეგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 4, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების, — რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის „ტიმეოსის“ ვერცერთი მკვლევარი. ჩვენ მათ გზადაგზა მიმოვიხილავთ „ტიმეოსის“ ანალიზისას.

„ტიმეოსის“ იდეურ-შინაარსობრივი სამყარო

დიდი ტრიადა

„ტიმეოსი“, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა პლატონური სინამდვილის სამი ძირითადი სფეროს — დემიურგოსული პრინციპის, ანუ კოსმიური გონების, მატერიისა და გრძნობად-კონკრეტული სამყოს დიალექტიკური ერთიანობა, სამყაროსი, რომელიც ორი დამეტრალურად ურთიერთსაპირისპირო საწყისის — კოსმიური გონებისა და მატერიის ურთიერთშერწყმისაგან იღებს დასაბამს. წარმოვიდგენთ გენგანტური მაგნეტი, რომლის ერთ პოლუსადაც დემიურგოსი (კოსმიური გონება) გვევლინება, მეორე პოლუსად — მატერია, ხოლო ამ ორი პოლუსის ურთიერთქმედების შედეგად აღძრული მაგნეტური ველი შეიძლება მატერიალურ სინამდვილეს შევადაროთ, ეს სინამდვილე, რასთვეელური ტერმინი რომ მოვიშველიოთ, „ბუნებაზიარია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ერთდროულად წილნაყარია როგორც გონების, ისე მატერიის ბუნებასთანაც. ერთის მხრივ, იდეალური სინამდვილე, არსის აბსოლუტური სხეულელ და სისავსე, მეორეს მხრივ, არსებობის სრული უარყოფა, აბსოლუტური არარა, და ბოლოს, არსისა და არარის დიალექტიკური ერთიანობა, მარად ცვლადი და ქმნადი მატერიალური სამყარო, — ამ სახით წარმოგვიდგება, ძალზე ზოგადად, „ტიმეოსის“ ტრიადის თვითეული წევრი, რომლებსაც პლატონური სიმბოლოზმი პიროწმინდად ბიოლოგიური თვალსაზრისითაც ვვიხასიათებს: „...ჩვენ გვმართებს აზრით გავაცალკევოთ სამი სხვადასხვა გვარი: ის, რაც იბადება, ის, რაშიაც იბადება და ის, რის მსგავსებადაც იზრდება და ვითარდება დაბადებული. მიმრქმელი საწყისი შეიძლება შეავადროთ დედას, პირველნიმფაი — მამას, ხოლო შუალედური ბუნება — შვილს“. როგორც ვხედავთ, დემიურგოსი (კოსმიური გონება, იგივე „პირველნიმფაი“) აქ მამასთანაა შედარებული, იდეალური ფორმათა, ანუ პირველნიმფაი მიმღები თუ მიმრქმელი საწყისი (მატერია) — დედასთან, ხოლო გრძნობად-კონკრეტული სამყარო, რომელიც პირველნიმფაიმა და მათი მიმრქმელი მატერიის ურთიერთშერწყმის წყალობით ეზიარება არსებობას, — შვილთან. ეს „ბიოლოგიური სიმბოლოზმი“ ჩვენში „ნადიმის“ მოსმენილავი პლატონური მითის რემინისცენციას იწვევს:

„აფროდიტე რომ დაიბადა, ნადიმი გამართეს ღმერთებმა, და მათ შორის იყო პოროსიც, მეტიდას ვაჟი. ნადიმის დასასრულს, ჩვეულებისაებრ, მოწყალების ხათხოვნად მოდგა პენია და კართან აიტუზა. და, აბა, ნექტარით გალეშილი— რადგან ღვინო ჯერ კიდევ არ იყო მაშინ — პოროსი გამოვიდა ზეესის წალოტაში და ნასვამს ჩაეძინა. მაშინ პენიამ, თავიის უმწეობით აღძრულმა, გადაწყვიტა მოეცლად ეღო პოროსისაგან, გვერდით მიუწვა მას და ასე ჩასახა ეროსი... რაკი პოროსისა და პენიას ვაჟია, ამიტომ ეგ დაეწერა ბედად: ჯერ ერთი, მიწყივ უპოვარია და ნაზი და კეთილი კი არ არის, როგორც ეს მრავალს მგონია, არამედ უხეშია, უსუფთაო, უხამესი და მიუსაფარი... რაკი დედის ბუნებასთან წილნაყარია, გაჭირვება გამუდმებით თან ხლეს მას, ხოლო, მეორეს მხრივ, რაკი მისთვის მამის ბუნებაკე არაა უცხო, გამუდმებით მშვენიერია და კეთილის ძიებაშია მამაცი, გამბეღადვი, შემმართებელი... და მთელს არსებით თაყვანს სცემს სიბრძნეს ეს დიდი გრძნეული, მოგვი და სოფისტი. ბუნებით არც მოკვდავია და არც უკვდავი. ერთსა და იმავე დროს ან ცოცხლობს და ჰყვავის, როცა ბედი ულიმის მას, ან ნელ-ნელა ჭანება და კრება, რათა მამისეული ბუნების წყალობით კვლავ აღორძინდეს...“

ამ სიტყვებით აგვიწერს „ნადიმი“ ეროსის — სიყვარულის დიდი დემონის დაბადებას. პოროსი სიმდიდრეა, სიუხვე, სისავსე, მოკმაღლება, ხოლო პენია სიღატაკეს, სიმწირის, ნაკლოვანებისა და სიდუხჭირის პერსონიფიცირებულ სიმბოლოდ გვევლინება. ასე რომ, მათი ნაშიერის — ეროსის ბრძოლი ბუნება მთლიანად საპირისპირო საწყისთაგან არის ნაქსოვი, და ამიტომ ისევე კონტრასტული, ისევე ცვალებადი და არამდგრადი, როგორც ტალღის მოქცევა-მოკქცევა, ან შუქ-ჩრდილის თამაში. და ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან „ნადიმის“ მიხედვით, ის, ვინც ფუზრუნველყოფს იდეალური და მატერიალური სინამდვილის ორგანულ სინთეზს, ვინც ერთმანეთთან აერთებს და აკავშირებს ურთიერთსაპირისპირო, პოლარულ საწყისთ, თვითონვე უნდა მოიცავდეს და თავის თავში აერთებდეს მათ.

შეიძლება ჯუსტი პარალელის გაკეთება „ნადიმისა“ და „ტიმეოსისეული“ ტრიადის ცალკეულ წევრებს შორის: პოროსი იგივე დემიურგოსია, პენია — მატერია, ხოლო ეროსის მრჩობელი ბუნება, ამ პარალელიზმის თანაბმად სხვა არა არის რა, თუ არა „ბუნებაზიარი“ მატერიალური სამყარო. მაგრამ მოვიშვათ გარეგნული ანალოგიებს და ვცადოთ უშუალოდ გვიარკვიოთ „ტიმეოსის“ ტრიადის ყოველი წევრის არსი და დანიშნულება.

1. დემიურგოსი

„დემიურგოსი — წერს თანამედროვე ფრანგი პლატონისტი პიერ-მაქსიმ შული, — ესაა ღვთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრივი ხელოსანი (le divin artisan), რომელიც სიმბოლოურად განსახიერებს იდეათა მიზეზობრივსა და მორგანაზეზებელ ძალმოსილებას.“ ეს მოყლე და ხსრტი განსაზღვრა, არსებითად, სწორია, მაგრამ ის ბევრ არაფერს გვეუბნება ჩვენ. თვით „ტიმეოსში“ ამაოდ დავეწაფეთ ძებნას დემიურგოსის ზუსტსა და ამომწურავ დეფინიციას. მისი ბუნებისა თუ არსის გასარკვევად „ტიმეოსს“ კი არა, პლატონის სხვა დიალოგებს, უწინარეს ყოვლისა, „ფილებოსს“ უნდა მივმართოთ, კერძოდ, სამყაროული ყოფიერების განმსაზღვრელ ის სამ ძირითად მიპოტახს თუ სუბსტანციას, რომელთა რაობაც, მართალია, ფრაგმენტულად და არასისტემატურად, მაგრამ მაინც მკაფიოდ იკეთებს პლატონის ამ ერთ-ერთ შედეგზეა. უწინარეს ყოვლისა, ესაა ამსოლუტური და თვითიდენტური „ერთი“, ანუ უზენესი „სიკეთე“, რომლის თვითმყმარი ბუნებაა ყოველგვარი არსის ბუნებაზე უმაღლესია, არსისა, გაშუალებები რომ ისწრაფვის სიკეთისაკენ, მაგრამ ჭვდოსთან ეი ვერასოდეს ვერ სწვდება მას. შემდეგი სუბსტანციაა, რომელიც აწეგრიგებს და წარმართავს სამყაროულ პროცესს, „ფილებოსში“ „ზეცისა და მიწის მეუფედ“ — კოსმიურ თუ ზეკოსმიურ „გონებადაა“ სახელდებული. გონება თავისი შინაგანი კანონებისა თუ იდეების მიხედვით ქმნის მთელ სამყაროს და, ამრიგად, დემიურგოსულ პრინციპად გვევლინება. და ბოლოს, „ფილებოსი“ გაკვრით მიგვანიშნებს მესამე სუბსტანციაზე: ეს გახლავთ „სამყაროს სული“, რომელსაც სამოლოოდ აფუძნებენ და პლატონიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვენადად აქცევს „ტიმეოსი“.

გაცილებით უფრო სრულად წარმოგვიდგენს თვითიდენტურ ერთსა თუ უზენეს სიკეთეს პლატონის „სახელმწიფო“. ესაა ყოველგვარი თვისობრივი განსაზღვრულობისაგან განძარცული, არსსა და აზრზე მაღლა მდგომი, მეტანოეტური და მეტაონტოლოგიური პირველსაწყისი. მას ვერ მივაწერთ ვერავითარ პრედიკატს; იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ის აზროვნებს, ანდა არსებობს. ხოლო არსებობის აღიარება უმალ ჩვენი გონებისა თუ ცნობიერების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება: მატერიალური თუ იდეაური სამყაროს მთელი სირთულისა და გაჭნელულობის, მთელი სიჭრელისა და მრავალფეროვნების მიღმა გონება ყოველთვის ეძებს ამსოლუტურად მარტივსა და განუწყვეტელ, თვითმყმარსა და თვითიდენტურ საწყისს. ესაა პირველი რგული, რომელზედაც ჩაედია სამყაროული არსებობის, კოსმიური სიცოცხლის ვეება ჯაჭვი. ამ თვალსაზრისით, ამსოლუტური ერთი, ანუ უზენესი სიკეთე მთელი სინამდვილის პირველმიზეზი და პლატონის მთელი ფილოსოფიური მოძღვრების გვირგვინია; იგია ჭეშმარიტებაც, სამართლიანობაც, მშვენიერებაც და მაშრე მეტიც, მაშრე უპირატესიც; იგია იდეალური სამყაროს დასაბამი, მისი სულიერი მზე, მისი ცენტრი („ხილულის სფეროში ის ბადეს ნათელს და მის მეუფეს, გონით საწვდომ სფეროში კი თვითონვე მბრძანებელი, რომელზედაც დამოკიდებულია ჭეშმარიტება და გონიერება“) და, ამდენად, არა მარტო ყოფიერების, იხეკე როგორც ცნობიერების საბოლოო მიზანი, არამედ შემეცნების მიზეზიც, წყარო და პირველსაწყისიც: „რასაც ნიშნავს სიკეთე აზრობრივ ადგილას („ენ ტოპო ნოეტიკ“) გონებისა და გონით საწვდომის მიმართ, იმასვე ნიშნავს მზე ხილულ ადგილას, მზერისა და მზერით საწვდომის მიმართ“... „იმის, რაც ჭეშმარიტებას ანიჭებს შემეცნებას და ძალას აძლევს შემმეცნებელს, უწოდე სიკეთის იდეა, ცოდნისა და ჭეშმარიტების მიზეზი, რადგანაც იგი გონებით შეიმეცნება. მართლაცდა, რაგინდ მშვენიერიც უნდა იყოს ორივე ეს საგანი, ცოდნაცაა და ჭეშმარიტებაც, თუ ივარაუდებ რაღაც სხვას, მათზე უფრო მშვენიერს, მართებულად იკარაუდებ. როგორც... სინათლისა და მზერის მიჩნევა მზისდარად მართებულია, თვით მზედ მიჩნევა კი — უმართებულო, ისე აქაც, ორივე ამ საგნის — ცოდნისა და ჭეშმარიტების მიჩნევა სიკეთისდარად მართებულია, ხოლო ამ ორთაგან რომელიმეს მიჩნევა. თვით სიკეთედ — უმართებულო. რადგან სიკეთის ბუნებას კიდევ უფრო მაღლა უნდა ვაყენებდეთ“.

და ეს ლოტონი სიტყვები როდია: სიკეთის ბუნებას პლატონი მართლაც ყოველგვარ ცნობიერებასა და ყოფიერებაზე, თვით იდეათა სამყაროზე მაღლა აყენებს: „მზე ანიჭებს ყველაფერს, რასაც ჩვენ ვხედავთ, არა მარტო იმის შესაძლებლობას, რომ ხილულ იქნეს, არამედ დაბადებასაც, ზრდასაც, აზრდასაც, თუმცა თვითონ მზე როდი იბადება... შუსამეცნებელი საგნებიც მხოლოდ სიკეთის წყალობით შეიმეცნებიან, და არა მარტო შეიმეცნებიან, კიდევაც არსებობენ და არსს ეზიარებიან, თუმცა თვით სიკეთე არსი კი არა, არამედ ღირსებით და ძალმოსილებით არსზე მაღალი და მის ფარგლებს მიღმა მდგომი“... სიკეთე, ყოველივე არსებულს უს უპირობო და უწანამძღვრო პირველსაწყისი, იდეათა სამყაროს სუბსტანციური ერთობის ისევითვე საფუძველია, როგორც ესა თუ ის იდეა — გრძნობად საგანთა ამა თუ იმ კლასის ერთობისა. „იდეათა, ანუ „არსთა“ სამყარო, პლატონის მიხედვით, მხოლოდ დანაწევრებულ ონტოლოგიურ საწყისთა სამყაროა, რომლებიც საფუძვლად უდგეს თვითეულ საგანს და ყველა საგანს საერთოდ... მაგრამ თვით იდეათა სამყარო შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ამსოლუტურად ერთიანია და განუყოფელი. თვითეულ იდეაში არსებობს საერთოდ ყველა იდეა, ესე იგი, თვითეულში განურჩევლად შედის ყოველგვარი ყოფიერება. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ნიშნავს, რომ იდეათა სამყაროზე უფრო მაღლა უნდა არსებობდეს ისეთი საწყისი, რომელიც თავისთავად უკვე აღარ არის იდეა, არ არის რაღაც აზრით საწყვდინი და შესაცნობი, არ არის მხოლოდ „არსი", არ არის მხოლოდ სუბიექტი ან ობიექტი... სწორედ ეს — ყოველგვარ არსზე უპირატესი („ეპეკეინა ტეს უსიასს") პირველადი ერთიანობაა პლატონიზმის ვეშმარიტი პრინციპი და არა იდეათა სამყარო. ეს პირველსაწყისი თავის თავში აერთიანებს არა მარტო იდეებს, არამედ ყოველივე არაიდეალურსაც, მთელს მატერიას და საერთოდ მთელს მატერიალურს სინამდვილესაც".

ამსოლუტურ ერთს, ანუ უზენაეს სიკეთეს, დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ამ პირველსაწყისს ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ბურჯი — პლოტინი ზუსტად იმ სიტყვებით ახასიათებს, სამყაროს გონებამიუწვდომელ იდუმალებაში დფაფარული ღმერთის ატრიბუტებად რომ იყენებს ჩვენი უდიდესი ეროვნული პოეტი: „უეცარი და უთქმელი" („არრეკონ კაი აგნოტენ"). არსისა და აზრის მიღმურ ამ პირველსაწყისში ამსოლუტურად დაუნაწევრებელი სახით მოქცეულია კოსმოსის მთელი სიცოცხლე, მისი შინაგანი კანონზომიერებები, მისი აწმყოც, მისი მომავალიც, მისი წარსულიც; ესაა აზრის ამსოლუტური ნათელი, რომელიც არ შეიცავს არავითარ განსხვავებას და ამიტომ ამსოლუტური სიბნელის იდენტურია; ესაა არსის ზღვრული სისრულე და სისავსე; ესაა არსებობის მაკსიმუმიც და მინიმუმიც. როგორც უცვლელი, წარუვალი, თვითმყარი, თვითიდენტური, მთლიანი და განუწყვეტელი, დროისა და სივრცის გარეშე არსებული, პლატონის ამსოლუტური ერთი, გარკვეული აზრით, ელეელთა „ერთარსს" მოგვაგონებს. მაგრამ დაუშვებელია, ამ მსგავსებისათვის გადაკარბებული მნიშვნელობის მინიჭება. ზემით უკვე ითქვა, რომ თუ ყოველგვარი სიმრავლის, განსხვავების, განვითარების პირწმინდად გამომრიცხველი „ერთარსი", ანუ „ერთი" მართალი ისეთია, როგორიც მას ვვიხატავენ ელეელები, მაშინ ის საერთოდ არ არსებობს და, ამდენად, არ შეიმეცნება, ვინაიდან „არ არსებობს მისთვის არც სახელი, არც სიტყვა, არც ცოდნა მისი, არც გრძნობადი აღქმა მისი, არც წარმოდგენა მასზე".

პლატონის დიალექტიკური ხელოვნების მწვერვალი — „პარმენიდე" თავისი მეორე დებულებით — „ფარდობითი ერთის დაშვება და ამ დაშვების შედეგები ერთისათვის" ამომწურავად გვისაბუთებს, რომ „ერთი" კი არ გამორიცხავს სიმრავლეს, არამედ თვით თავისი არსებობის ფაქტით გულისხმობს მას, და ამრიგად ცხადყოფს ელეატური პრინციპის უსაფუძვლობას. დაპირისპირებულთა დიამეტრალური სხვადასხვაობა თანდათანობით იშლება და მათ პარმენიულ ერთიანობაში გადადის არსებობის უფრო მაღალ დონეზე. დაუკვირდეთ „პარმენიდეს" ამ ფუნდამენტურ დაშვებას: რიდესაც ჩვენ ვცდილობთ აზრით მივწვდეთ „ერთს", ინტუიცია მას ყოველთვის წარმოიდგენს როგორც არსებულს, ვინაიდან, პარმენიდეს თქმისა არ იყოს, „არარსს" ვერც გამოთქვამ და ვერც მოიაზრებ, რადგანაც გამოთქმელი და აზრით მიუწვდომელია ის, რაც არ არის". მხოლოდ არსია აზრის ერთადერთი საგანი. მეტიც, აზრი იგივეა, რაც არსი: „ერთი და იგივეა აზრი და ის, რასაც აზრი იაზრებს. არსის გარეშე ვერ ჰპოვებ აზრს; აზრი არსში გამოითქმის; სხვა რამ არ არის და არც იქნება".

გამოთქმა „ერთი არის" იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთი არის ერთი, არამედ იმას, რომ ერთი წინასაყარია არსებობასთან, ესე იგი, ერთი არსებობს. კოსუოა „არის" აქ ერთმანეთთან აკავშირებს სუბიექტს და პრედიკატს, „ერთს" და „არსებობას". ერთი იგივე რიდია, რაც არსებობა და, პირუკუ, არც არსებობაა იგივე, რაც ერთი. ერთი და არსებობა უკვე „ერთი" კი აღარ არის, არამედ „ორი", ხოლო იქ, სადაც თავს იჩენს „ორი", თავისთავად ხორციელდება გამოსვლა ერთის დაბზუული ფარგლებიდან, თავისთავად ეძლევა დასაბამი ერთგვარ სიმრავლეს. პითაგორელების კვადრატკვადრ, პლატონი ტაუოლად რიდი სახვეს „ორს" დაყოფადობის, დანაწევრების, სიმრავლის პირველსაწყისად, ახალ-ახალ რიცხვთა ქმნადობის, მათი გენეზისის წყაროდ. თვალი გავადევნოთ ლოგიკური მსჯელობის განვითარებას: ერთის არსებობის აღიარება, იმავდროულად, ცალ-ცალკე აღებული ერთისა და არსებობის აღიარებას ნიშნავს, ესაა უმარტივესი ორწევრიანი სისტემა, დასაბამიური მთელი, რომლის ნაწილებია ერთი და არსებობა. მაგრამ ეს უმარტივესი სისტემა უკვე შეიცავს ნებისმიერი, უფრო რთული სისტემის აგებისა და დასაბამიური, ორადი მთელის სულ უფრო მეტი დიფერენციაციის, მისი გამრავალწევრიანების პრინციპს. მართლაცდა, ერთი განსხვავდება არსებობისაგან, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ერთია, ხოლო არსებობა განსხვავდება ერთისაგან, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის არსებობაა, არამედ მხოლოდ სხვადასხვაობის ძალით. ეს სხვაობა, ანუ, პლატონური ტერმინოლოგიით, „სხვა" („თატერონ"), არც იგივეა, რაც ერთი, და არც იგივე, რაც არსებობა. ახე რომ, გვაქვს უკვე სამი წევრი: ერთი, არსებობა და სხვა; გვაქვს სამი წყვილი: ერთი და არსებობა, ერთი და სხვა, არსებობა და სხვა; გვაქვს ლუწი და კენტი, გვაქვს მათი ჯამი, მათსავე ნამრავლთა მწკრივი და ა. შ. მაშასადამე, თუ არის ერთი, არის ორიც, არის სამიც, არის, საერთოდ, რიცხვიც.

მაგრამ არსებობს რიცხვთა უსასრულო სიმრავლე. მაშასადამე, უსასრულოდ მრავალია ყოველივე არსებულიც, ვინაიდან რიცხვი, ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველგვარი განსხვავებისა და განწილულობის ეს ქმედითი პრინციპი, ერთის დანაწევრებით დახასიმან აძლევს არსთა სიმრავლეს. თუმცა სიმრავლეში რომ გადადის, ერთი კი არ იშლება და იყოფა, სიმრავლეში კი არ ითქვიფება და განქარდება, არამედ, როგორც სრული ერთობა, ყოველ არსში ერთადვე რჩება: რაგინდ მრავალრიცხოვანიც უნდა იყოს ყოველივე არსებული, თვითეული მთგანი, ცალ-ცალეკე აღებული, მაინც ერთია, რადგან თუ სიმრავლე მოალეზულია ყოველგვარ ერთობას, ის სიმრავლეც კი აღარ არის, ის არარაა. სწორედ ეს პლატონური კონცეფცია გვეკლინება ამოსავალ დებულებად ნეოპლატონიზმის უკანასკნელი დიდი წარმომადგენლის პროკლე დიადოხოსის ტრაქტატისა „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი", რომელიც დიდოტატური ხელოვნებით თარგმნა ქართულ ენაზე იოანე პეტრიწმა: „ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთობასა. ხოლო თუ არ ეზიარების არცა ყოველი ერთ იყოს, არცა თითოეული მრავალთაგან, რომელთაგან სიმრავლე. არამედ იყოს თითოეულითა მათი მრავალ, და ესე ვიდრე უსაზღვრობამდე, და თითოეულთა ამათ უსაზღვრობათაგან იყოს კეკლად სიმრავლე უსაზღვროა"... ერთი, თავისი თავიდან რომ გამოდის, არა მარტო თავის თავს განვთვისებს და განეხვისება, არამედ სიმრავლის წიალშიც თვითეგი. ვეობრივი რჩება, თავის თავს ამკვიდრებს, თავის თავსვე უბრუნდება. ასე რომ, განწილულობისა და დანაწევრების მიუხედავად, ერთი კვლავინდებურად ინარჩუნებს თავის მთლიანობას, ეხე იგი, ის ნაწილთა სიმრავლეცაა და, იმავდროულად, მთელის ერთადერთობაც. მაგრამ ეს ერთი, როგორც მთელი, უკვე აღარაა აბსოლუტური, უსაბო, უფორმო და განუსაზღვრელი ერთი. მისი შინაარსი გამდიდრებულია სტრუქტურით, შინაგანი ორგანიზაციით, ფორმალური განსაზღვრულობით. მისი ყველა ნაწილი ერთის მთლიანობითაა გარემოცული, გარემომცველი კი არის საზღვარი. თუმცა, როგორც არსებულისი დანაწევრებული, ერთი, იმავდროულად, მრავალია, სიმრავლე კი განუსაზღვრელია და არა აქვს ზღვარი. მაშასადამე, ამნაირი ერთის ბუნება უტოიერსაპირისპირო საწყისთან არის შეთხზული: ის ერთიცაა და მრავალიც, მთელიც და ნაწილიც, განსაზღვრულიც და განუსაზღვრელიც.

უზენაესი სიკეთისა თუ აბსოლუტური ერთის პირმშო, ფარდობითი ან, თუ გნებავთ, ორადი ერთი, დასაბამიერი განწილულობის, თვითგანსხვავების, სიმრავლის ეს დიადური პირველსაწყისი, — აი, რა არის პლატონის მეორე ძირითადი ხუსტტანეა: „გონება" — „ნუს"-ი. უზენაესი სიკეთე ისე „ბანეკეშ" საკუთარ თავს, ისე ბადებს კოსმიურ გონებას, რომ თვითონ აბსოლუტურად უცვლელი რჩება, როგორ ხდება ეს ხანგაზეი? თუ პლატონი ერთის ლოგიკური დიფერენციირების გზით გადადის სიმრავლეზე, მისი დიდი მემკვიდრე პლოტინი ცდილობს შთამბეჭდავი პოეტური მეტაფორებით უშუალოდ გვაგრძნობინებს გონების გენეზისი: აბსოლუტური ერთის ზღვრული სისავე და სრულქმნილება თითქოს ვერ თავსდება თავის ფარგლებში და თავისი თავიდან გადმოეღინება, მაგრამ ისე კი, რომ მის სავსებას არა აკლდება რა ამით. ახე მზე ასხივებს სამყაროში სითბოს და სინათლეს, ასე ყვავილი ფურჭვევს სუნნელებას.

ერთი არსისა და აზრის მიღმურია, ასე რომ, არც არსია და არც აზრი, მაშინ რიდესაც ერთისაგან შობილი გონება არსიცაა და აზრიც. არსებობისა და აზროვნების ეს დასაბამიერი დუალიზმი გონების უპირველესი ნიშანია: თავის შობელის მიმართ მიქცეული, ის არსია, თავისი თავის ჭვრეტად მიქცეული კი — მოაზროვნე გონება. „ერთია ყველფერი და არაფერი, — ამბობს პლოტინი. — ის ყველფრის სათავეა და არა ყველფერი, მაგრამ ყველფერი არის ერთი. რადგან, გარკვეული აზრით, ყველფერი მას უბრუნდება ან, უფრო ზუსტად, ერთის დონეზე, ყველფერი ჯერ კიდევ არ არის, არამედ უნდა იქნეს. კი მაგრამ, როგორ იკმნება ყველფერი მარტივი ერთისაგან, რომლის თვითიგივეობაც არავითარ განსხვავებას, არავითარ გაორებას არ აკლენს? სწორედ იმიტომ, რომ მასში არაფერია, მისგან წარმოიდგება ყველაფერი; სწორედ იმიტომ, რომ არსი იქნეს, ის არსი კი არ არის, არამედ — არსის შეშფოთი: და ეხსა თითქოს პირველი დაბადება. ერთი სრულქმნილია, რადგანაც არც რას მიელტვის; არც რასა ფლობს, არც რა სჭირდება; როგორც სრულქმნილი, თავისი თავიდან გადმოიღვრება და თავისი ზესისავსისგან შობს განსხვავებულს; შობილი მიიქცევა მის მიმართ, მისით ივსება და, თავის თავის მჭვრეტელი, გონებად იქცევა. მისი უძრავად დგომა ერთის მიმართ ქმნის არსს, ხოლო მისი თვითჭვრეტა — გონებას. ამრიგად, რიცა თვითჭვრეტად დგას, ის, ერთდროულად, გონებაც ზდება და არსიც".

და მაინც, ზემოთ ჩვენ ხაზი გავუსვით გონების ორადობას, აზროვნებისა და არსებობის ერთგვარ დუალიზმს. მაგრამ ეს დუალიზმი უფრო ნომინალურია, ვიდრე რეალური. გონების არსი აზროვნებისა და არსებობის ერთიანობისა ან, უფრო ზუსტად, მათი იგივეობა. ტყუილად რიდი მოსწონს პლატონს პარმენიდეს ფორმულა: „ერთი და იგივე აზრი და არსი". უზენაესი სიკეთისაკენ მიდრეკილა და თითქოს გარინდებით „დგომის" („სტასის") წყალობით, გონება თავის თავს ამკვიდრებს როგორც არსს, მეორეს მხრივ კი, თვითჭვრეტად მიქცეული, ის სხვა არა არის რა, თუ არა წმინდა აზრი, ვინაიდან კოსმიური გონების მთელი სიცოცხლე, მისი არსებობა მარად უშრეტი ქმედებით („ენერგია") განსაზღვრება, გონების ქმედითობა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაა ჭვრეტა თუ აზროვნება, რომლის ერთადერთი საგანიც შეიძლება იყოს მხოლოდ გონება, რაკიღა ახრებიბის ამ დონეზე საერთოდ არაფერია, გონების გარდა. ამიტომაც „გონების აზროვნება არის აზროვნების აზროვნება („ნოეზის ნოეზეოს"), — როგორც ამტკიცებს არისტოტელე. უფრო გვიან პროკლე დიადოხოსი იტყვის: „გონება მხოლოდ თავის თავს იაზრებს". მოაზროვნე გონება და მისი აზროვნების საგანი აქ მთლიანად ემთხვევა ერთიმეორეს. აზროვნება თვით აზროვნების პროცესშივე ქმნის თავის საგანს, ხოლო ეს უკანასკნელი მისი კორელატური აზროვნების პრინციპად თუ საფუძვლად გვევლინება, ასე რომ, გონების მთელი სამყარო, ერთსა და იმავე დროს, სუბიექტიცაა და ობიექტიც, ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, მეცნაურიც და საცნაურიც. პროკლე, თავის მხრივ, ალოტინს ეურდნობა, რომელიც ყველაზე სრულად და ამომწურავად განგვიმარტავს გონების თვითკვრეტის თუ თვითშემეცნების, ანუ წმინდა აზროვნების სპეციფიკურ არსს:

„...კი მაგრამ, გონება თავისი ერთი ნაწილით ჭვრეტს მეორე ნაწილს? მაშინ ცალ-ცალკე გვაქვნია მკვრეტელი და ჭვრეტის საგანი; ეს კი ალარ არის თვითკვრეტი,— მაგრამ თუ მისი ნაწილები ხასხებით ერთგვაროვანია, ასე რომ, ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, არაფრით არ განსხვავდება მეორე ნაწილისაგან, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? მაშინ იმ ნაწილის ჭვრეტისას, რომელიც ოგივეა, რაც თვითონ, ის თავის თავსვე ჭვრეტს, რაღაც მკვრეტელი არაფრით არ განსხვავდება ჭვრეტის საგნისგან. — ჯერ ერთი, უაზრობაა მისი ასე დანაწევრება. მაინც როგორ დანაწევრდება ოგი? ყოველ შემთხვევაში, არა ისე, როგორც მოგვეპრალება. ანდა ვინ დანაწევრებს? ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, თუ ნაწილი, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? ეგეც არ იყოს, როგორ შეიცნობს მკვრეტელი თავის თავს ჭვრეტის საგანში, რაკიღა თავი თვითონვე დასახა მკვრეტელად? რადგან ჭვრეტა ჭვრეტის საგანში რიდია. ან იქნება, თუკი შეიცნობს, მკვრეტელად კი არა, ჭვრეტის საგნად შეიცნობს თავს? ახე რომ, მთლიანად რიდი შეიცნობს. რასაც ის ხედავს, ჭვრეტის საგანია და არა მკვრეტელი. მაშასადამე, სხვაა და არა თვითონ. ან არადა, იქნებ თვითონვე უმაღეს მკვრეტელს, რათა მთლიანად შეიცნოს თავისი თავი? მაგრამ თუ ის თავის თავს აღიქვამს როგორც მკვრეტელს, იმავდროულად აღიქვამს ჭვრეტის საგანთაც. რაკი ყველაფერი, რასაც ჭვრეტით აღიქვამს, ჭვრეტაშივე ეძლევა მას, ამიტომ ირწმი ერთია: ან ყოველივე ეს მხოლოდ ჭვრეტის საგანთა ანაბეჭდებია, და გონება არა ფლობს მათ, ან, პირიქით, ფლობით კი ფლობს, მაგრამ თავისი განწყობილობის გამო ვერ ხედავს მათ; ისინი გონების, როგორც მკვრეტელისა და მფლობელის ყოველგვარ განწყობილებამდეც იქ იყვნენ. თუ ახეა, მაშინ ჭვრეტა ოგივე უნდა იყოს, რაც ჭვრეტის საგანი, გონება კი ოგივე, რაც გონით საწვდომი. არადა, მიუღწეველი დარჩება ჭეშმარიტება. არსთა ნაცვლად, მას ექნება მხოლოდ მათი ანაბეჭდი, რომელიც განსხვავდება არსთაგან და არ არის ჭეშმარიტება. რადგანაც ჭეშმარიტება არ უნდა იყოს გონებისაგან განსხვავებული საგნის ცოდნა; რასაც ის გვაუწყებს, უნდა იყოს არსი; ერთი და ოგივე გონებაც, გონით საწვდომიც და არსიც; და ესაა პირველი არსი; ესაა პირველი გონებაც, რომელიც ფლობს არსთ ან, უფრო ზუსტად, ოგივეა, რაც არსნი".

ამრიგად, გონების თვითკვრეტა უკვე არსია, ხოლო არსი — ქმედითი თვითკვრეტა. კოსმიური გონება სხვა არა არის რა, თუ არა აზრისა და არსის სრული ერთობა. მაგრამ არსი ან თვითონვე აზროვნებს ან აზროვნების საგნად გვევლინება. გონების აზროვნება абсолютური ჭეშმარიტებაა და ამიტომ აზროვნების საგანი არ შეიძლება განსხვავდებოდეს მოაზროვნე გონებისაგან, ვინაიდან абсолютური ჭეშმარიტება ნიშნეულია მხოლოდ აზროვნების იმ სუბიექტისთვის, რომელიც უშუალოდ ფლობს თავის ობიექტს. ამიტომაა, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება მოაზროვნე გონების მიმართ რაღაც გარეშე, რაღაც გარეგნული იყოს. წინაადმდეგ შემთხვევაში, გონება თავისი ობიექტის მფლობელი კი არ იქნება, არამედ მხოლოდ მისი ერთგვარი ანაბეჭდისა, ასე რომ ჭეშმარიტება მიიწვდომელი დარჩება მისთვის. აქედან გამომდინარე, გონება არის აზროვნება, რომელიც თავის თავსვე იაზრებს. როგორც მოაზროვნე, ის გონებაა, როგორც აზროვნების საგანი — არსი.

კოსმიური გონება წმინდა ქმედითობაა („ენერგეია"), წმინდა აქტუალობა, პოტენციურობის („დინამის") ყოველგვარი მინარევის გარეშე. მასში შეუძლებელია ნამდვილისა და შესაძლებლის გარჩევა-განსხვავება. გონებაში ყველაფერი ნამდვილია და რეალური, როგორც მისი ქმედითობის ნაყოფი. გონების ქმედითობა კი აზროვნებაა, მაგრამ ეს არაა მაძიებელი აზრი, ლოგიკური სილოგიზმების მეშვეობით რომ გადადის ერთი მსჯელობიდან მეორეზე და თანდათან მიიწევს წინ. არა, ესაა მშვიდი, უცვლელი, ჭვრეტაში დანთქმული და თვითშფლობელი აზრი. „გონება აზროვნებს" ოგივეა, რაც „გონება ქმნის". მაგრამ რასა ქმნის იგი? ამ ქმედითი აზრის ნაყოფია მთელი ინტელიგიბილური სინამდვილე, გონით საწვდომი მთელი სამყარო. თავისი არსებობისა და აზროვნების პირველსაწყისის — абсолютური ერთის მსგავსად, გონებაც მხოლოდ ერთია, მაგრამ თუ абсолютური ერთი, პირწმინდად გამორიცხავს ყოველგვარ სიმრავლეს, ჭარბებს, პირიქით, გულისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობს მას. ყოვლისმომცველი გონება, იმავდროულად, ყოველს შემოქმედი და ყოველდი არსი: „...ის თავისით ბადებს ყველა არსს, იდეათა მთელ მშვენიერებას, გონით საწყდომ ყველა ღვთიებას".

რა თანმიმდევრობით ზორციელდება გონების შემოქმედებითი აზროვნება? პლოტინის მიხედვით, ესაა ზოგადდან კერძოზე თანდათანობით გადახვლა. თავდაპირველად გონება ქმნის არსებობის უზოგადეს ვვარებს, რომლებიც კატეგორიებად იწოდებიან პლატონის „სოფისტში" და მის კვალდაკვალ — პლოტინის „ენნეადებში". აზროვნებისა და არსებობის კატეგორიათა გარდა, რაზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, გონებისათვის ნიშნეულია აგრეთვე „ოვიეობა" და „სხვობა", „მოძრაობა" და „უძრაობა". გონება, როგორც აზრი, ერთის ეზრივ. ივივე, რაც არსი, და პირუკუ, გონება, როგორც არსი, სხვა არა არის რა, თუ არა აზრი. აქედან არსის და აზრის, არსებობისა და აზროვნების იგივეობა. მაგრამ, მეორეს მხრივ, გონება ფორმალურად მაინც გაორებულია აზრად და არსად, აზროვნების სუბიექტად და ობიექტად. აქედან მათი სხვობა. გარდა ამისა, გონების სპეციფიკური ნიშნებია მოძრაობა და უძრაობა. მოძრაობა გონების შემოქმედებითი აზრის მარადიული აქტივობაა („ენერგეია"); მოძ_ რაობა განუფიფელია აზრის ქმედითობისაგან. მაგრამ უწყვეტსა და მარადიულ მოძრაობას რომ არასოდეს ენაცვლებოდეს უძრაობის მიმენტი, ეს გამოიწვევდა მოძრაკის არსისა და ბუნების შეცვლას. ასე რომ, უძრაობა გონების, როგორც არსის, თვითდამკვიდრებისა და თვითგვიანების პირობად გვევლინება. ქვემოთ, სამყაროს სულის შედეგნილობის დეტალური ანალიზისას, ჩვენ კვლავ მივუბრუნდებით პლატონის ამ ფუნდამენტურ კატეგორიებს და უფრო დაწვრილებით მიმოვიხილავთ მათ; ახლა კი პლოტინს მოვუსმინოთ:

„გონება არის ყველაფერი. ის მოიცავს ყველაფერს, რაც უძრავად დგას მასში; ის „არის მზოლოდ", და არის მარად. ვერასოდეს ვერ ვიტყვეთ, რომ ის მყოფადიდან მოედინება, რადგან ის მაშინაც არის. ზუსტადაც ასევე, არასოდეს არ არის ნამყოფიც, რადგანაც მასში არაფერი არ ერევის ნამყოს. აქ ყველაფერი მარადი აწმყოა, ყველაფერი ის არის, რაც არის, ყველაფერი აწმყოში ეტრფის ერთმანეთს. ყოველივე არსებულნი კი გონებაა და არსი, ხოლო მათი ერთობლიობა ყოველადი გონებაა და ყოველადი არსი, რაკიღა გონება თავისი აზროვნებით აკავშირებს არსს, ხოლო არსი, როგორც აზროვნების საგანი, აზრს და არსებობას ანიკებს გონებას. მაგრამ აზროვნების მიზეზი სხვაა და იგივეა არსის მიზეზიც. როგორც ერთის, ისე მეორის მიზეზი განსხვავებული ორივე მათგანისაგან. რადგან ორივენი ერთად არსებობენ და არასოდეს შორდებიან ერთიმეორეს. მაგრამ ასე, წყვილდა, ისინი ქმნიან ერთარსს, რომელიც, ერთდროულად, გონებაცაა და არსიც, აზრიც და აზრის საგანიც. რადგან არ არსებობს აზრი სხვობისა და იგივეობის გარეშე. მაშასადამე, პირველადია — გონება, არსი, სხვობა და იგივეობა. ამათ უნდა დავუმატოთ მოძრაობა და უძრაობა. მოძრაობა, რადგანაც არსებობს აზრი; უძრაობა, რათა აზრი იგივე დარჩეს, რაც არის. სხვობა აუცილებელია, რათა აზრი და აზრის საგანი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. გაიუქმეთ სხვობა და მიიღებთ განუჯრეველსა და მდუმარე ერთს. სხვობა აუცილებელია იმიტომაც, რომ აზრის ერთი საგანი განსხვავდებოდეს მეორისაგან, იგივეობა კი იმიტომ, რომ ისინი ერთნი არიან, და ყველფერს რადაც საერთო აქვს; ხოლო მათი განსხვავება არის სხვობა. ამ სიმრავლეიდან ისადება რიცხვი და ოდენობა, ხოლო საკუთრივ თვითეულის ნიშანი არის თვისება. ეი, ამათგან, როგორც საწყისთაგან, დასაბამს იღებს ყოველი".

ინტელიგიბილური სამყაროს შემდგომი დიფერენციაცია. პლოტინის მიხედვით, ე. წ. „სუბსტანციური რიცხვის" („უსიოდეს არიფმოს") მეშვეობით ზორციელდება. რიცხვი ანაწევრებს არსებობის უზოგადეს ვვარებს ცალკეულ სახეთა და, საერთოდ, იდეალურ არსთა სიმრავლედ; გონების ერთობა და ერთადერთობა სწორედ რიცხვის მეშვეობით გადადის გონით საწვდომ არსთა სიმრავლეში. ტყუილად რიდი უწოდებს პლოტინი გონებას „თვითმოძრავ რიცხვს" („არიფმოს ენ ჰეაუტონ კინუმენოს"). გონით საწვდომი არსნი, ანუ იდეები თვითმეცნიერი გონების აზრებია, გონებისა, რომელიც ამ შემთხვევაში კოსმიურ რეალობათა ჰარმონიული ერთობის მარადიულ საწყისად გვევლინება. „მაგრამ რა არის თვითონ იდეა? — კითხულობს პლოტინი. — გონება, ანუ გონიერული არსი; არცერთი იდეა არ განსხვავდება გონებისაგან; ის თვითონვა გონება. მთელი გონება ესაა ყველა იდეის ერთობლიობა, ხოლო თვითეული იდეა არის თვითეული გონება: ისევე, როგორც მთელი მათემატიკური მეცნიერება სხვა არა არის რა, თუ არა ყველა თეორემის ერთობლიობა, ხოლო თვითეული თეორემა მთელი მეცნიერების ნაწილია, მაგრამ არა დანარჩენ ნაწილთაგან ადგილით განსხვავებული, არამედ ნაწილი, რომელიც მთელის ერთობაში თავის საკუთარ თავისებურებას ინარჩუნებს. მაშასადამე, ეს გონება თავისთავად; თვითმეცნიერული, უძრავი, მარადიული და თვითმყმარი".

ერთი მრავალნი და მრავალი ერთნი, ან კიდევ მთელი ნაწილთა სიმრავლეში და ნაწილთა სიმრავალე მთელში, ასე წარმოგვიდგება მოაზროვნე გონებისა და მისი აზრების, ანუ იდეების თანაფარდობა. მაგრამ ეს უჩვეულო თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდობა გახლავთ. აქ მთელი თავისივე ნაწილის, ხოლო ნაწილი მთელის ტოლია, ზუსტადაისევე, როგორც უსასრულო სიმრავლეთა შემთხვევაში (უსასრულოა ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე, მაგრამ სიმრავლე ლუწი რიცხვებისა, რომლებიც ნატურალურ რიცხვთა ნაწილს, კერძოდ, მათ ნახევრის შეადგენენ, ასევე უსასრულოა). ნუ გავიკვირვებთ: იდეალური სინამდვილე ის უცნაური სინამდვილეა, სადაც ხდება პარადოქსთა რეალიზება. „გონება ერთია და გონება არის ყოველი; თვითეული არის ყველაფერი და ყველაფერი არის ერთში. ყველანი განსხვავდებიან თავიანთი ძალმოსილებით, მაგრამ ამ მრავალგვარი ძალმოსილებითვე ყველანი ერთი არიან, ან, უფრო ზუსტად, ერთი ყველა, რადგან ის არაფერს არა კარგავს, რომელიც ყველანი იმადებიან. ყველა ერთია და თვითეული ცალ-ცალეა უძრავად დგას ერთ გაწყობილ წერტილში, რადგანაც არავითარი ვრცობადი ფორმა არ გააჩნია. ახე რომ არა, ერთი აქ იქნებოდა. მეორე — იქ. და თვითეული თავისთავად არ იქნებოდა მთელი. ის არ შეიცვლ ერთმანეთისაგან, ან თვით მისგანვე განსხვავებულ ნაწილებს... ეს მთლიანობა არის მთელი მისი ძალმოსილება, რომელიც უსასრულობამდე განიფინება და მოიცავს უსასრულობას. და ის იმდენად დიდია, რომ თვით მისი ნაწილებიც უსასრულონი არიან..."

მაგრამ გონება მარტოოდენ აბსტრაქტულ თანაფარდობათა თუ ჰიერარქიზირებულ ცნებათა სიტყვამ რადა; ესაა არის სისავე და ხოლმე, აზრის ამსოლუტური სრულქმნილება, სადაც ყველაფერს განწმენდ, ღვთაებრივი სიწმინდის და სილამაზის უზრწყინვალი შუქი. კოსმიური სიცოცხლის ცხოველმყოფელი სუნთქვა: „ესაა თითქმს ერთი ფესვებ, რომელიც მოიცავს და ინარჩუნებს ყველა ფანარჩენ თიესების ძალას; სიტყმ, რომელიც იმავდროულად არის სურნელი, სადაც ღიანის ალი და ფერი ერწყმის ყველა ფანარჩენ გეშოს და ფერს; ესაა ყველა ფესვებ, რასაც ზეზეობია თუ სმენით აღიქვამთ, ეინაიდან ესაა ქმოელი ჰარმონია და მთელი რიტმ". „ყველაზე ეეშმარიტი სიცოცხლე აზრისმიერი სიცოცხლეა... დასაბამიერი სიცოცხლე ესაა დასაბამიერი აზრი... ჯერეტაც და ჯერეტის სგანაც ორივე ცოცხალია და ორივე არის სიცოცხლე". პლოტინის პირველწყარო ამ შემთხვევაში „ტიმეოსია", სადაც ფდეები „ცოცხალ არსებებად" („ტა ნოეტა ძოა") გვევლინებიან, ხოლო გონება სხვა არა არის რა, თუ არა „ყოველ ცოცხალი არსი" („პანტელეს ძოონ"), რომელსაც „თვითცოცხლისაც" („აუტძოოონ") უწოდებენ ნეოპლატონიკოსები. „ტიმეოსის" კომენტარებში პროკლე დიადოხოსი იტყვის: „თვითცოცხლისა სისავეა („ეპერრიბა"). გონით საწყდმ არსთა

სიმრავლისა" („ტუ პლეთუს ტონ ნოეტონ ზონ").

ძნელი წარმოსადგენია შინაარსით უფრო მდიდარი ცნება, ვიდრე პლატონის „იდეა" გახლავთ, რომელშიაც ინტელექტუალურ ფასეულობათა უწესეული სიუხვე ორგანულად ერწყმის ეთიკურსა თუ ესთეტიკურ ფასეულობებს. ცნობილი ფრანგი მეცნიერის ა. ფეხტფოიეს სხარტი ფორმულით, „იდეა არის ჭერ კიდევ არადიფერენციირებული ერთობა მორალური იდეალის, ესთეტიკური ფორმის, ლოგიკური ცნებისა და სუბსტანციური არსისა"... პლატონიზმის მიხედვით, მთელი სინამდვილე ჰიერარქიულია: ორი სხვადასხვა „ზრისა" თუ „უენისიგან" შედგება, რომელთა ღირებულებისა და რეალობის ხარისხიც სხვადასხვაა. პირველი — ესაა ინტელიგიბილური სინამდვილე. იდეათა სამყარო, რომელსაც ელეელთა „არსის" პრედიკატები მიეწერება: სუსხტანციური ერთობა, თავისთავადობა, მარად უცვლელობა, წარუვალობა, თვითიგიგეობა, ეეშმარიტი არსებობა („ტო ონტოს ონ"). ეპითეტები, რომლებითაც „ფედონი" ახასიათებს იდეას, — „ღვთაებრივი, უკადავი, გონით საწყდმი, ერთგვაროვანი, უხრწნელი, მარად უცვლელი და თვითიგიგეობრივი", — თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება „ტიმეოსში". კოსმიური არსებობანი თუ ყოფიერებნი მეორე სფერო — მატერიალური სინამდვილე, გრძნობადკონკრეტულ ნაკანთა და მოვლენათა სამყარო — საპირისპირო პრედიკატებით ხასიათდება: მრავლობითობა, არათვისთავადობა, მიწყივ ცვლადობა, წარმავლობა, თვითგანსხვავება და მარადიული ქმნადობა („ენეენისს"), ანუ არსთან ან, იმავდროულად, არარსთან წილნაკარობა, ხოლო არსი ამ შემთხვევაში იდეა, არარსი კი — მატერია.

ეს ონტოლოგიური დუალიზმი განპირობებს პლატონის გნოსეოლოგიურ დუალიზმსაც: ყოფიერების ორ სხვადასხვა სფეროს შემეცნების ორი სხვადასხვა სახე შეესაბამება. იდეალური სინამდვილე რაციონალური აზროვნებისა („ნოეისის") და ეეშმარიტი ცოდნის („ეპისტემეს") ობიექტია, მატერიალური სამყარო კი გრძნობადი აღქმის („აისთესის") და ცვალებადი წარმოდგენისა („დოქსა"). „ჩემის აზრით, ერთმანეთისაგან ამთავითვე უნდა გავმიჯნოთ ორი რამ: რა არის მარადიული და დუბადებული არსი და რა არის ის, რაც მარადის იბადება და არაოდეს არ არსებობს? ის, რაც გონებითა და აზროვნებით მიიწვდომება, მარად იგივეობრივი არსია, ხოლო ის, რაც წარმოდგენისა და არაგონივრული შეგრძნების საგნად გვევლინება, გამუდმებით იბადება და კვდება, არსებობით კი არასოდეს არ არსებობს სინამდვილეში".

ამრიგად, მთელი სამყარო თითქოს ორად გაყოფილი აღმოჩნდა. მაგრამ პლატონი პლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონი არ იქნებოდა, მარტოოდენ სინამდვილის დიქოტომიურ დაყოფას რომ სჯერდებოდეს. დუალიზმი მისთვის მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება, რომლითაც მისი კონსტრუქციული აზრი სამყაროს ფარული არქიტექტონიკის წვდომას ცდილობს, რათა გაიფიროთოს დამამაღური შემეცნების ფარგლები და ახალი შინაარსით გაავრცალოს ჩვენი ცოდნა. რაკი არსებობს სინამდვილის ორი ინსტანცია, ორი ფორმა, ამიერიდან თავისი ფილოსოფიის ძირითად ამოცანად პლატონი არა მარტო მათი ურთიერთგანსხვავებისა და დაპირისპირებულობის დადგენას სახავს, არამედ მათ შორის ურთიერთკავშირისა და კონფუზიერი თანაფარდობათა გამოვლენასაც, რათა ადამიანის ცნობიერებაში სიბოლოოდ გათიშული არ დარჩეს მთელი სამყარო. ანალიზს უშალოდ მოსდევს სინთეზი. დუალიზმი ისწრაფვის მონიზმისაკენ. სინამდვილის ორი ფორმის დაპირისპირებულობა პოლარული კი არ არის, როგორც, ვთქვათ, ელეელებისათვის, არამედ კორელატური, და მათ შორის არსებული ეს კორელატურობა, ეს თანაფარდობა დაახლოებით ისეთივე ბუნებისაა, როგორც, მაგალითად, მიზეზსა და შედეგს შორის. დაპირისპირებულთა დიალექტიკური ერთიანობა — ასეთია პლატონის მრწამსი, სამყაროს არსებობის საფუძველთა საფუძველი. ამ ნაშნით წარმამართება პლატონის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარება და „ტიმეოსის" ანალიტიკური განხილვისას ჩვენც სწორედ ამ ნაშნის ვიღებთ გზამკვლევ ორიენტირად.

ვნახეთ, რა სახით ვლინდება ეს ტენდენცია „ტიმეოსში". როგორც ვიცით, გონების ქმედითობის, ანუ მისი თვითკვრეტისა თუ თვითშემეცნებისაგან იღება დასაბამს იდეალური არსთა მთელი სიმრავლე, ინტელიგიბილური სამყაროს მთელი სრულქმნილება. ამ თვალსაზრისით, პლოტინის თქმისა არ იყოს, გონება არსებობის პირველი კანონ?ადებელი („ნომოთეტეს") და, საერთოდ, არსის კანონი. გონების მიერ შობილი იდეები, თავის მხრივ, გრძნობად-კონკრეტულ საგანთა არქეტიპებად გვევლინებიან. ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერი ქმნილება, ვიდრე ხორცს შეიცხადდეს, იდეალური ჩანაფიქრისა თუ ეგემის სახით არსებობს ხელოვანის სულში. გრძნობად-კონკრეტული საგანიც, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური პირველნიშუშუნ, ანუ, პლატონის ტერმინი რომ ვიხმაროთ, პარადიგმის მიბაძვა („მიმესის"). მისი ხორცშესხმული ხატი („ეიკონ"). მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს გონება იმიტომ ქმნის იდეებს, რომ შემდეგ მათ მიხედვით შექმნას მატერიალური საგნები. ახე მაგალითად, ცხენის იდეა იმიტომ კი არ აღძრულა გონებაში, რომ ეს მშვენიერი ცხოველი მოვლინდეს გრძნობად სამყაროს. პირიქით, ცხენის მოვლინება ამ მოდელ იმან განაპირობა, რომ მისი იდეა დასაბამითვე არსებობდა გონებაში. სხეულებრივი არსებობის ისევე გარდუვალად გამომდინარეობს უსხეულოდ მყოფელი იდეის არსებობის, ფაქტიდან, როგორც ყველა გრძნობად-კონკრეტულ საგანს გარდუვალად თან ახლავს ეიდოსი ჩრდილი. მატერიალური სამყარო იდეალურის ჩრდილია. აქედან — პირველი არსებულქმნილება მეორესთან შედარებით. მაგრამ ამ არასრულქმნილების მიზეზი იდეალური სინამდვილე როდია. უნდა გვახსოვდეს, რომ გრძნობად-კონკრეტული სამყარო „ბუნებაზეარია", ეხე იგი, მარტო არსთან, ანუ იდეალურ სინამდვილესთან კი არააა წილნაყარი, არამედ არარსთან, რომელიც სხვა არა არის, თუ არა მატერია.

და მაინც, სამყაროს ამ არასრულქმნილების მიუხედავად, რაც მატერიის ბუნებასთან წილნაყარობითაა გამოწვეული, კოსმოსის მთელი სიცოცხლე თვალნათლივ გვიმოწმებს იმას, რომ იდეა, როგორც ყოველის მფლობელი და მპორგანიზებელი სუნუნი, ინტელიგიბილურ სამყაროში ჩაკეტილი კი არა რჩება, არამედ სინათლის ერთგვარი სხივოსანი ტალღის სახით უსასრულოდ ვრცელდება, კიდით-კიდემდე გაწიფინება და თავის „ნადავლად" აქცევს ყველაფერს, რაც შეიძლება ფორმით ორგანიზებულ იქნეს. გრძნობად-კონკრეტულ სამყაროში ყველაფერი ამ კოსმოგონიური პრინციპის ნაშნითაა ალბეჭდილი, ასე რომ, იდეა სამყაროს არა მარტო ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური, ეთიკური თუ ესთეტიკური ცხოვრების ნორმად, ბუნების ურყევ კანონად იქცევა. „მთელი სამყარო გამოსხივებაა და გამოვლენაა: გამოსხივება ღვთაებრივი გონების შედეგია, ხოლო გამოვლენა — ღვთაებრივი ნების ძალისხმევისა. ახე რომ, ყოველივე ის, რასაც ბუნების კანონებს ეუწოდებთ ჩვენ, სხვა არა არის რა, თუ არა დემიურგოსული იდეის შედეგი".

ახე თანდათან ვუახლოვდებით იდეალური სინამდვილის, როგორც დასაბამიერი პირველნიშუშის („პარადიგმა") პლატონისეულ გაგებას, რომლის თანაშემდეგ, იდეალური არსთა მთელი სრულქმნილება, უხრწნელი მშვენიერება და ნეტარი სიცოცხლე გრძნობადი სინამდვილის უსხეულოყოფელ მოდელად გვევლინება, მაშინ რიდესაც თვით გრძნობადი სინამდვილე სხვა არ არის რა, თუ არა იდეალური მოდელის ხორცშესხმული ხატი („ეიკონ"). პლატონის ამოსავალი დებულება ის გახლავთ, რომ სამყაროს შემოქმედების ნაყოფია, გრანდიოზული ქმნილებაა. ისევე, როგორც ყოველივე ხელოვნებისა ნებისმიერ ქმნილებას, თავისი ოსტატი თუ ხელოსანი („დემიურგოს") ჰყავს, რომელიც გარკვეული ნიმუშის თუ მოდელის მიხედვით ხორცს ასხამს თავის შთანაფიქრს, ღმერთიც („თეოს"), შემოქმედიც („პოიეტეს")

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დემიურგოსიც იდეალური სინამდვილის, იდეათა მიზედვით ქმნის თავის სამყაროს.

„ყოველივე ის, რაც იმადება, — ამტკიცებს პლატონი „ტიმეოსში", — აუცილებლად ამა თუ იმ მიზეზის ძალით იმადება, რადგანაც შეუძლებელია უმიზეზოდ დაიბადოს რამე. ამიტომ, როცა შემოქმედი მარად უცვლელსა და ეგზისტირივ არსს უყურებს და საგნის ფორმისა თუ თვისების შექმნისას პირველნიმუშად იყენებს მას, მოელი ქმნილება უცილობლად მშვენიერი გამოვა"... „ყველასათვის ცხადია — განაგრძობს ცოტა ქვემოთ პლატონი, — რომ დემიურგოსი უმზერდა მარადიულ ნიმუშს: კოსმოსი ზომ ყველაზე მშვენიერია დამადებულთა შორის, ხოლო მისი შემოქმედი — ყველაზე უკეთესი მიზეზთა შორის. ამნაირად დამადებული კოსმოსი იგივეობრივი, აზროვნებისა და გონების მეშვეობით საწყვიმი ნიმუშის მიხედვით იქნა შექმნილი, და თუ ასეა, ყოველად აუცილებელია, რომ კოსმოსი რაღაის ხატად გვევლინებოდეს... ამიტომაც დაუფიქრებლივ უნდა დავსვათ შემდეგი კითხვა: რომელი ცოცხალი არსის ხატად და მსგავსად შექმნა შემოქმედმა მოელი სამყარო? ჩვენ არ უნდა დავამტკიროთ კოსმოსი, არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე ეხება რომელიღაც კერძო სახეობის არსს, ვინაიდან არსრულის ასეი არაფერ და არაფეი არ შეიძლება მშვენიერი იყოს; არაფერ წარმოვიდგინოთ იმნაირი ცოცხალი არსი, რომელიც ცალ-ცალკე თუ ერთობლივად მოიცავს ყველა ცოცხალ არსებას, როგორც თავის ნაწილებს, და დავასკვნათ, რომ სწორედ ის იყო ნიმუში, რომელსაც ყველაზე მეტად ემსგავსება კოსმოსი: მართლაცდა, როგორც ის მოიცავს გონით საწყდომ ყველა ცოცხალ არსს, ისე კოსმოსი მოგვიცავს ჩვენსა და ჩვენს მსგავს ყველა სხვა ხილულ არსებასაც. რადგანაც ღმერთმა, რომელმაც მოისურვა, რომ სამყარო ყველაზე მეტად დამსგავსებოდეა გონით საწყდომ საგანთა შორის უშშვენიერესსა და უსრულქმნილს, ერთ ცოცხალ და ხილულ არსად შექმნა იგი, რომელიც თავის თავში შეიცავს ბუნებით მის მონათესავე ყველა ცოცხალ არსს".

დედანი და ასლი, იდეალური პირველნიმუში და მისი ხორცშესხმული ხატება ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მოელი მათი სხვაობა რეალურობისა და ღირებულების სხვადასხვა ხარისხზე დაიყვანება. ინტელიგიბილური სინამდვილე, ამ თვალსაზრისით, იგივეა, რაც გრძნობადი სამყარო, მატერიალურობის, ანუ ცვალებადობისა და წარმავლობის გამოკლებით. „ჩვენ განვავრცობით ვეუფრებთ ამ გრძნობადი სამყაროს სიდიადეს და მშვენიერებას, მისი მარადიღული მოძრაობის წესრიგს, ხილულსა თუ უხილავ ღმერთებს, რომლებიც არიან მასში, დამონებს, ცხოველებს და მცენარეებს. მაგრამ, მოდით სამყაროს პირველნიმუშსა და მის ეკუ. მარიტ არსებობას მივაპყოთო მზერა; თვალი ვკადოთ ყველა გონიერ არსს, ამ საკანის მარადიღულ მკვიდრთ, მათ თვითკვრეტას და მათ სიცოცხლეს, მათ წონადგრეს — წმინდა გონებას და უსაზღვრო სიბრძნეს... რადგან ის მოიცავს მარადისობაში უძრავად ღამკვიდრებულ ყველა ეკვდავ არსს, ყველა გონებას, ყველა ღვთაებას, მოელ სულს..." „გონება მშვენიერია და არსთა შორის არა არის რა მასზე მშვენიერი. თავისი საკანის წმინდა ნათელსა და უებრო სხეიოსნობაში ის მოიცავს ყველ უკვდავ არსს. ჩვენი გრძნობადი სამყარო, ესოდენ მშვენიერი, მხოლოდ და მხოლოდ მისი ლანდია და ხატი. ყოველივე ის, რაც არაგონიერია, ბნელით მოცული და არათანაზომადი, უცხოა მისი სხეიოსანი სიწმინდისათვის. ის ცოცხლობს ნეტარი სიცოცხლით. განსავიფრება ეუფლება ყველა მკვრტელს, ვინც შეხძლებს შეაღწიოს მის წიაღში და ერთარსად შეერწყას მას".

ერთხელ კიდეე გავიმეორებთ: გონება, როგორც კოსმოგონიური პრინციპი, როგორც იდეალური მოდელი თუ პირველნიმუში თავის თავში დასაბამითვე შეიცავს გრძნობადი სინამდვილის მთელ გეგმას, სამყაროს შექმნა, თანამდროვე ტერმინი რომ მოვიშველიოთ, სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური ერთობის ნაწილში დასაბამითვე დაშშიერული სამყაროს კოდის ექსტერიორიზაცია, მისი თვითგაშლა და გამოვლენა. „შესაბამისს ღმერთი განიფენება ძალთა სიმრავლედ, პოტენციალთა სხვიოსან კონად, ღვთაებრივ უნართა ქმედითობად, ხილავ გეომეტრიად, რომელიც შემდეგ — ხილულ სინამდვილეში — ფორმათა მრავალფეროვნებად უნდა იქცეს. ერთობა იღვრება რიცხვებად, რათა შემდგ კვლავ ერთობად შეისრუტოს რიცხვთა სიმრავლე... ყველა რიცხვი ერთიდან გამოდის და ერთისკენ უბრუნდება. გეომეტრია განზოგადებული წერტილია. წერტილი არის კონცეტრირებული გეომეტრია".

„ვინც გეომეტრი არ არის, აქ ნუ შემოვა!" — წარწერილი იყო პლატონის აკადემიის კარიბჭეზე. მოელი ბუნება რომ გიგანტურ აკადემიად წარმოგვედგინა, მაშინ ბის ბეკზე ასეთი წარწერა იქნებოდა: „ვინც გეომეტრი არ არის, აქ ეერ შემოვა!" „ბუნების ფილოსოფია ჩაწერილია ვეება წიგნში, რომელიც ყოველთვის გადაწლილია ჩვენს თვალწინ, — წერდა გალილეი, — მე ვგულისხმობ სამყაროს; მაგრამ მის წაკითხვას შესძლებს მხოლოდ ის, ვინც თავდაპირველად შეისწავლის ენას და იმ ასო-ნიშნებს, რომლებითაც დაწერილია იგი. ხოლო ეს წიგნი დაწერილია მათემატიკის ენაზე და მისი ანბანია სამკუთხედები, წრეები და სხვა გეომეტრიული ფიგურები, რომელთა გარეშეც ვერაფერს გავუგებთ მის სიტყვებს; მათ გარეშე ყველაფერი ფუჭია და ამაო ბორიალი ბნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბირინთში". ასეთი იყო პლატონის მრწამსიც, რომლის თანაბმადაც სამყაროს მთელი კანონზომიერება მარტივ მათემატიკურ თანაფარდობებზე დაიყვანება. „ტიმეოსი", არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ამ ნათელი მრწამსის თვალსაჩინო ილუსტრაცია. ციური დიდოსტატი — დემიოურგოსი — დაზეგწილი არქიტექტორია, ნატიფი მათემატიკური გეგმის მიხედვით რომ აშენებს თავის სამყაროს. „Cum Deus calculat fit mundus" („როგორც ანგარიშობს ღმერთი, ისე იგება სამყარო") — იტყვის ორი ათასი წლის შემდეგ ლაიბნიცი, და განა მარტო ლაიბნიცი. სოოკრატი, რარიგ ახლოს დგას, ამ თვალსაზრისით, პლატონის მრწამსი ახალი დროის მეცნიერების დიდ კორიფეოს მსოფლგაგნებასთან. მათემატიკურ მეცნიერებათა ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი მორის კლაინი წერს: „კოპერნიკის, კეპლერის, დეკარტის, გალილეისა და პასკალის შრომებში დასაბუთებულ იქნა, რომ ბუნების ცალკეულ მოვლენათა მიმდინარეობა მათემატიკური კანონების თანახმად ხდება. ყველა ეს სწავლული არა მარტო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღმერთმა მათემატიკური გეგმის მიხედვით შექმნა სამყარო, არამედ ისმაც ამტკიცებდა, რომ ადამიანის მათემატიკური აზროვნება ღვთაებრივ წინასწარგაახულობას თანხვდება და, ამრიგად, მისი მეშვეობით შეიძლება ამ გეგმის გაშიფრვა".

ახალი დროის გარიერაზე, „როცა გალილეი სხეულთა ვარდნის კანონებს იკვლევდა, ხოლო კეპლერი — პლანეტათა მოძრაობის საიდუმლოს, — წერს ვერნერ პაიზენბერგი, — არსებობდა სამყაროს ერთიანობის მარტივი სურათი..., რომელიც, არსებობად, განისაზღვრებოდა საღმრთო წერილში ნაჩვენები ღვთაებრივი გამოცხადების რწმენით. სწავლულის აზრით, მისი ამოცანა ის იყო, რომ შეეცნო ღმერთის ქმედითობა სამყაროში და ბუნების ჰარმონიული კანონზომიერების ენაზე ენა ენაზე რეალიზებულ ბუნებრივ ფენომენებში ეფუძნის ქმნილება. სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს კოპერნიკი ან გალილეი ღისაშვებად მიიჩნევდნენ კონფლიქტის შესაძლებლობას თავიანთი მეცნიერული აღმოჩენების შედეგებსა და არსებული რელიგიურ შეხედულებებს შორის... კეპლერისათვის სფეროთა ჰარმონიის შეხედვა, საიდანაც დახაბამს იღებს მისი შესაბ კანონი, ჭერ კიდევ სხვა არა იყო რა, თუ არა ღვთაებრივი შესაქმის წინასწარდასახულებათა არსში თანდათანობით წვდომის ცდა. აი, რას ვკითხულობთ მისი „კოსმიური ჰარმონიის" მეხუთე წიგნის დასასრულს: „მე ვცდილობდი შემექმნა ადამიანის გონებისთვის იმის შესაძლებლობა, რომ მათემატიკური გამოთვლების მეშვეობით ჩასწვდომოდა ღვთაებრივი შესაქმის გეგმას. დე, თვით ცათა შემოქმედი, ყოველი გონიერი არსების მამა, რომელსაც ჩვენი გრძნობები უნდა უმადლოდნენ თავიანთ არსებობას... მოწყალე იყოს ჩემდა მიმართ და დამიფაროს მისი ქმნილების იმნირი წვდომისაგან, რომელიც არ შეეფერება მის სიდიადეს, ან შეედომბრი შეიყვანს ჩვენს გონებას; დე, მან გვიჩინულოს ხარბად ვესწრაფოდეთ მისი ღვთაებრივი ქმნილების სრულყოფილებას და სიცოცხლეს ვუძღვნიდეთ ამას..."

1630 წლის 15 აპრილს რენე დეკარტი კათოლიკე ბერს, გამოჩენილ თეოლოგსა და ეკონომელ სწავლულთა დიდ მეგობარს მარენ მერსენს სწერდა: „ნუ შიშობთ თამამად განაცხადოთ ყველგან, რომ ღმერთმა ისევე დაადგინა ბუნების კანონები, როგორც სუვერენი აწესებს კანონებს თავის სამფლობელოში..." ხოლო ისაკ ნიუტონი თავის გრანდიოზულ ქმნილებაში „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები" ამტკიცებდა: „მზის, პლანეტებისა და კომეტების ეს ოდენ გამოგნებელი შეერთება შეუძლებელია სხვაგვარად მომხდარიყო, თუ არა მძლეთამძლე და ბრძენთა-ბრძენი არსების ზრახვით და ნებით..., არსებისა, რომელიც მართავს ყველაფერს არა როგორც სამყაროს სული, არამედ როგორც კოსმოსის მბრძანებელი, და თავისი მბრძანებლობის მიხედვით უნდა იწოდებოდეს როგორც უფალი ღმერთი ყოვლის მპყრობელი". ჟენიალურ ინგლისელს წმიდად, რომ უფალი ღმერთი დაზეგწილი მათემატიკოსია და ფიზიკოსი. აი, რას სწერდა იგი ყოველად ღირს მამა რიჩარდ ბენტლის 1692 წლის 10 დეკემბერს: „ამრიგად, მზის სისტემა რომ შეექმნა მთელი თავისი წრიული მოძრაობებით, საჭირო იყო მიზეზი, რომელსაც შეეძლო წარმოედგინა და ერთმანეთისათვის შეედარებინა მატერიის რაოდენობა მზისა თუ პლანეტების სხეულებში და აქედან გამომდინარე მიზიდულობის ძალები; პირველადი პლანეტების მანძილი მზემდე და მეორადი პლანეტების, ე. ი. თანამგზავრებისა — სატურნამდე, იუპიტერსა და დედამიწამდე; სიჩქარეები, რომლებითაც პლანეტებს უნდა ებრუნათ ცენტროალურ სხეულთა მასების ირგვლივ. ის გარემოება, რომ შესაძლო გახდა ყოველივე ამის, ურთიერთშედარება და შეთანხმება ესოდენ მრავალ სხეულში, ნათლად გვიმოწმებს, რომ ეს მიზეზი ბრძა და შემთხვევითი კი არ ყოფილა, არამედ განსაცვიფრებლად გაწაფული იყო მექანიკასა და გეომეტრიაში".

ახლა კი მთელი ოცი საუკუნით დავიბიოთ უკან და პლატონს მოვუსმინოთ: „ვარსკვლავები არ იცვლიან თავიანთ მიმართულებას, არ მოძრაობენ ხან ზემოთ, ხან ქვემოთ, არ ირჩევენ ხან ერთს, ხან მეორეს, არ ხეტიალობენ და თავიანთი წრებრუნვებაგან არ იხრებიან... სწორედ ასეთია ვარსკვლავთა ბუნება, რომლებიც ესოდენ მშვენიერნი არიან ხახით: მათი მოძრაობა, მათი ფერხული ყველა სხვა ფერხულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე უფრო მომხიბლავია და დიადი... თუმცა, ჩვენი სიტყვების დასტურად, მათ სიდიდესაც დავუფიქრდეთ, სინამდვილეში ხომ ისინი არც ისე მომცირონი არიან, როგორიც ჩანან. შეიძლება დაბეჯითებით ვირწმუნოთ ეს, რადგანაც საკმარისად დამტკიცებული გახლავთ. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მზე შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე მთელი დედამიწა, და ყველა მძიმავი ვარსკვლავიც გამოოგნებული სიდიდისაა. მაგ. გაგვიკვირდა, რა ძალას შეეძლო ეიძულებინა ესოდენ დიადი სხეულები წრიულად ებრუნათ ერთი და იმავე დროის განმავლობაში, როგორც ბრუნავენ დღესაც? რომელ ბუნებას შეეძლო მოემოქმედა ეს? მე ვამტკიცებ, რომ ამის მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი: სხვაგვარად ეს შეუძლებელია".

„თეოლოგიური მათემატიზმი" კიდევ უფრო შოამბეჭდავ მასშტაბურობას იძენს „ტიმეოსში", სადაც ფიზიკური ელემენტების, მექანიკური ძალების, ციურ სხეულთა ორბიტების, მუსიკალური ტონების, ატომების, ერთი სიტყვით, მიკროკოსმოსისა თუ მაკროკოსმოსის გაგანთა და მოგლენათა მთელი სტრუქტურა, მათი ურთიერთკავშირისა თუ თანაფარდობის მთელი სისტემა მათემატიკური კომბინაციებითაა გამოხატული. სანტიაგო არგუელო მარიუენელად შენაშნავს, რომ „ტიმეოსის" მიხედვით, „ყველაფერი არის მათემატიკა. რიცხვთა მათემატიკა: არითმეტიკა, სივრცის მათემატიკა: გეომეტრია. ძალთა მათემატიკა: ფიზიკა, ატომური კომბინაციების მათემატიკა: ქიმია. ციტალნების მათემატიკა: ბიოლოგია. მზრის მათემატიკა: ოპტიკა. ჭანმრთელობის მათემატიკა: მედიცინა, მოქმედების მათემატიკა: ეთიკა, ცის მათემატიკა: ციური მექანიკა და ა. შ. დიახ, სამყაროში ყველაფერი არის მათემატიკა. ღმერთის ქმედითობა მთლიანად არის კანონი და კანონთა მთელი ერთობლიობა არის მათემატიკა".

ეს მათემატიზირებული სამყარო მთელი სისრულით წარმოსდგება ჩვენს თვალწინ „ტიმეოსის" სათანადო პასაჟთა ანალიზისას. ახლა კი, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „პირველსავე სიტყვაში მოვიდეთ". კოსმიური გონების მთელი შინაარსი, ესე იგი, მთელი იდეალური სინამდვილე, „ტიმეოსის" მიხედვით, ფიზიკური სინამდვილის არქეტიპულ საწყისად, სამყაროს წარმოშობ თუ წარმოქმნილ მოდელად გვევლინება. პლატონიზმის ამ ფრიად საგულისხმო მომენტს შემდეგნაირად ახასიათებს ა. ლოსეევი: „...არც დუალიზმი, როცა საგნის იდეა მთლიანად მოწყვეტილია თვით საგნისაგან, არც სპირიტუალიზმი, როცა საგნის იდეა როგორც შიგნიდან, ისე გარედან ასულიერებს ამ საგანს, არც მექანიციზმი, როცა საგნის იდეა ერთგვარი მატერიალური ძალის მსგავსად მოქმედებს ამ საგანზე, არამედ, პლატონის მიხედვით, "სწორედ წარმომქმნელი მოდელირება პირველად მკაფიოდ ახასიათებს საგნის იდეისა და თვით საგნის ურთიერთთანაფარდობას. საგნის იდეა, როგორც მისი მოდელი, არც მხოლოდ საგნის აზრია, არც მხოლოდ მისი სული, არც მხოლოდ მისი მამოძრავებელი ძალა. უფროსრეს ყოველისა, ეხეა საგნის მკაფიო სტრუქტურა, რომელიც თავის თავში შეიცავს მის ფერფერულ, სკულპტურულ თუ არქიტექტურულ მომენტებს. მაგრამ საგნის ამ აზრობრივ სტრუქტურას უნაპირო უფსკრულო რიდი ჰყოფს თვით საგნისაგან. ის პირველად იაზრებს საგანს და პირველად აქცევს მას შესაცნობად, ანა როგორც სხვა რამეს, არამედ როგორც თვით ამ საგანს თავისთავად. „ტიმეოსში" (29A) ეს სიტყვასიტყვითაა ფორმულირებული: „პარადიგმა" (მოდელი) და „დემიურგოსი" (მოდელის შემოქმედებითი ფუნქციონირება) ერთ მთლიანობად ერწყმიან ერთმანეთს, რასაც სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა წარმომქმნელ მოდელს, რომელიც, როგორც აქ უკვე ითქვა, უწინარეს ყოველისა, წარმოშობს იდეას ბინი „ძალმოსილებიოერთ", ხოლო იდეის მეშვეობით — ყოველივე არსებულს".

ამრიგად, პარადიგმა (პირველნიმუში) და დემიურგოსი (სამყაროს შემოქმედი), თუ შეიძლება ახე ითქვას, ერთი და იმავე მედლის ორი მხარეა. გონება, როგორც არსი, იდეალური სინამდვილე, ანუ გონებისაგე აზროვნების ობიექტი, პარადიგმა, ხოლო გონება, როგორც კოსმოგონიური პრინციპი, პირველნიმუშის შემოქმედებით ფუნქციონირება, ანუ აზროვნების სუბიექტი — დემიურგოსი, რაც „ოსტატს" თუ „ხელოსანს" ნიშნავს ბერძნულად. „ტიმეოსი" შემდეგი ეპითეტებით ახასიათებს „მიზეზთა შორის ამ ყველაზე უკეთეს მიზეზს:" „შემდგენი" (სინანდას), „შემაერთებელი" (სინდეის), „შემაკავშირებელი" (სინდესას), „შემოქმედი" (პოიეტეს), „შემრეცი" (სინაგოგს), „მტვიფრავი" (ანოგიპონს), „მამა (პატერ), „ეკეთელი" (ეგალითოს), „უშურველი" (აფთონოს) და სხვ. ეგეც არ იყოს, „ტიმეოსში" ცნებები „დემიურგოსი" და „ღმერთი" (თეოს) სინონიმებად ყველანაირნაირ, რაც დემიურგოსის ბუნების ინტერპრეტაციისას აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს. რაკიღა დემიურგოსულ გონებას პლატონი ღმერთად სახავს, ამიტომ ევროპულ კულტურაში ახალი ერის დამდეგიდანვე თავს იჩენს დემიურგოსის ქრისტიანიზაციის ჩქვეთრად გამოკვეთილი ტენდენცია, რომელიც სამყაროს „ტიმეოსისეულ" შემოქმედს „ახსოლუტურ პროგენებად" მიიჩნევს და, ამრიგად, ბიბლიურ ღმერთთან აიგივებს მას. საკმარისია ითქვას, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე პირველი აპოლოგეტები — იუსტინე, ტაციანე, ეკეხეი კერპიანელი, ევნომიოსი და სხვები დაჟინებით ამტკიცებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარალელს პლატონის დემიურგოსსა და ბიბლიურ ღმერთს შორის.

რაც შეეხება თანამედროვე პლატონისტებს, ზოგიერთი მათგანი (სანტაიგო არგუელიო, ლუიჯი სტეფანინი, არმანდო რიგობელო) აშკარად პერსონალისტური პოზიციიდან განმარტავს „ტიმეოსის“ ღმერთს; ზოგიერთი (ა. ლოსევი) ხელაღებით უარყოფს დემიურგოსის პიროვნულობას; და ბოლოს, ზოგიერთის აზრით (პიერ-მაქსიმ შული, შარლ მოუგერი), დემიურგოსი სხვა არა არის რა თუ არა იდეათა კაუზალური და მაორგანიზებელი ძალმოსილების პერსონიფიცირებული სიმბოლო. „ტიმეოსის“ ტექსტი იმდენად რთულია და ბუნდოვანი, რომ სამივე ზემოხსენებულ თვალსაზრისს, როგორც ჩანს, თავისი გასაბრალებელი არგუმენტები მოეძებნება, მაგრამ ეპოფეი „კეთილი“, როგორც პირწმინდად ეთიკური კატეგორიის გამომხატველი ცნება, იხვევ როგორც „პერსონალისტური“ ტერმინები — „მამა“, „შემოქმედი“ და, ბოლოს, სრულიად მოულოდნელი „მაცხოვარი“, „მხსნელი“ (სოტერ), რომელიც ჩვენში ქრისტის რიმინისეცნიას წაუვიდა, უთუოდ პირველ თვალსაზრისს უმაგრებს მხარს.

„სულ ცოტა რამ უკლია იმას, — შენიშნავს თვალსაჩინო იტალიელი პლატონისტი ლუიჯი სტეფანინი, — რომ დემიურგოსის ცნებაში ღმერთის პერსონალისტური კონცეფციისათვის დამახასიათებელი ყველა სპეციფიკური ნიშანი აღმოვაჩინოთ. ესაა ღმერთი, რომელიც ყოველთვის არის; არასოდეს არ იცვლება; სული უხილავი, გონიერი და ცნობიერი; კეთილი და უშურველი ხელოსანი, რომელიც ყოველთვის რაციონალურად მოქმედებს; მისი ცოდნა მისივე ძალმოსილების ტოლფადრია, ბოროტის კი არა, კეთილის მოქმედია და ამიტომ უკეთესია მიზეზთა შორის; მამა, შემოქმედი, არსთა მამრიგე, წინასწარმეტყველ, მაცხოვარი, მხსნელი; დემიურგოსული სიკეთისათვის ნაშნეული უშურველობა ჩვენში „ფედროსის“ ექსპანსიური სიყვარულის რემინისცენციას იწვევს და ცხადად წარმოაჩენს ღმერთის არსებაში წყალობის უზვად გაცემის თითქმის ადამიანურ სურვილს...“

ხოლო მეორე არანაკლებ ცნობილი იტალიელი პლატონისტი არმანდო რიგობელო წერს: „ტიმეოსის“ პერსონალისტური და, აქედან გამომდინარე, სპირიტუალისტური ინტერპრეტაცია შეიძლება შემდეგ წანამძღვრებზე იქნეს დაფუძნებული: „სახელმწიფოს“ დუალიზმი, რაშაც განპირობა დაუოკებელი მცდელობა იმისა, რომ „პარმენიდეს“ ანტინომიების, „სოფისტის“ „თანაფარდობის“ (კოინონია) და „ფილებოსის“ „ნაზავის“ (მიკტონ) მეშვეობით დაძლეულიყო ეს ეარიება, ბოლოს და ბოლოს, თავის გადაჭრას პოულობს „ტიმეოსის“ პიროვნული ღმერთის — სიკეთისა და სიცოცხლის ამ დინამიური პრინციპის ცნებაში. იდეების სტატიკური საუკარო და ფიზიკური სინამდვილის ბმა ქმნადობა თავიანთ გამაშუალებელს ჰპოვებენ დემიურგოსის პიროვნულ და სიყვარულით სავსე ჩარეკვის წყალობით, დემიურგოსისა, ვის გონებაშიც იდეები კარგავენ თავიანთ გაბეჭებულ ბმასტრაქტულობას, რათა აზრის დეფილად და ამოუწურავი ნაყოფიერების წყაროდ იქცენენ. ამრიგად, გონების ცენტრი გადაადგილდება ეკ ინტელექტის ფენიდან აზროვნებიდან სულიერი კრეაციონიზმისაკენ გადაინაცვლებს. „ზიარების“ უჩვეულო — დიალექტიკურსა თუ მეტაფიზიკურ სიბნელეებს ეწინააღმდეგ „მიბაძვა“, რომლის ცნებაც ჩვენს წარმოდგენაში უშუალოდ უკავშირდება ხელოვნებს (artefice), მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ კლასიკური აზროვნების სფეროში ვართ, სადაც ხელოვნება სხვა არა არის რა, თუ არა მიბაძვა („მიმესის“). ფიზიკური ქმნადობის განვითარება ინტერიორიზირდება, რაკიღა თავის გამარილებას პოულობს სულიერ ქმნადობაში, რომელიც არის ჭეშმარიტი კრეაციონიზმი. აქ თვით ამ გრძნობად სამყაროსაც განწონის სულის თრთოლა და აზრის სიცოცხლე ავსებს პლატონის მთელ სისტემას, რომელიც თავის უკანასკნელ და უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას პოულობს „ტიმეოსში“.

2. მატერია

გონება, როგორც დემიურგოსი და როგორც პარადიგმა, გონების მიერ შობილი იდეები, მთელი ინტელექტიბილური სამყარო უპირობო, უსხეულოყოფელი, დროისა და სივრცის გარეშე არსებული რეალობენია, კოსმიური სინამდვილის ერთი პოლუსი. ამასთანავე, რომ ინტელექტიბილური სამყარო დროსა და სივრცეში გამოვლინდეს და, აბრიგად, იდეალური არსი — ესენეია ფიზიკურ არსებობად — ექსისტენციად იქცეს, ამ დადებით პოლუსს, „ტიმეოსის“ მიხედვით, აუცილებლად სჭირდება მეორე — უარყოფითი პოლუსი; გონებას, კოსმოგონიურ საწყისს, სამყაროს შემოქმედს და მამას — იდეალურ ფორმათა მიმღეს თუ მიმრქმელი საწყისი, ანუ დედა. პლატონის თანახმად, სწორედ ესაა მატერია, რომელიც ქეშმარიტი, ე. ი. უცვლელი და თვითიგივეობრივი არსებობის („ტონტოს ონ“) დასაბამიური პრინციპის — გონებისაგან განსხვავებით, მარადიული ცვლილებადობისა და თვითგანსხვავების, ანუ, რაც იგივეა, უწესვეტ ქმნადობის („ჯენესის“) პრინციპად გვევლინება. მაგრამ რა არის ხაკუთრივ მატერია? როგორია მისი ბუნება? — ამ კითხვების პასუხს მარტო პლატონი კი არა, ოდითგანვე დაეძებდა ბერძნული ფილოსოფიური აზრი.

„ჩვენს წარმოდგენებში სამყარო გვევლინება სანგნისა და მოვლენების, ბგერებისა და ფერების უსასრულო მრავალფეროვნებად. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გასაგებად აუცილებელია გარკვეული წესრიგის დადგენა. წესრიგი ნიშნავს იმის გათვალწინებას, რაც თანაბარია. ის ნიშნავს ერთობას, ამ საფუძველზე იბადება რწმენა, რომ უნდა არსებობდეს ერთიანი პრინციპი; მაგრამ იმავ. დროულად იბადება სინდეზეც; რანაირად შეიძლება ამ პრინციპის მეშვეობით სავანთა უსასრულო მრავალფეროვნების ახსნა? ერთადერთი გამოსავალი წერტილი: არსებობს სავანთა მატერიალური პირველშიზეი, რადგანაც სამყარო მატერიისაგან შედგება. მაგრამ როდესაც პრინციპული ერთობის იდეა მის ლოგიკურ დასასრულამდე მიპყავთ, გარდუვალად მიდიან უსასრულო, უცვლელ, არასუბსტანციურ „არსებობამდე", რომელსაც თავისთავად არ შეუძლია სავანთა მთელი უსასრულო მრავალფეროვნების ახსნა ამასთან მიმართების გარეშე, მატერიალურად მიგვაჩნია ეს არსებობა თუ არა. „ქედან არსებობისა და ქმნადობის პოლარულობა..." ამ თვალსაზრისით, ბერძნული ფილოსოფიური მსოფლაგგება დასაბამითვე ერთის და მრავლის, ისევე როგორც არსებობისა და ქმნადობის, ურთიერთსაპირისპირო ცნებათა ბრძოლის პროცესში ვთვლიდება.

ბერძნული სიბრძნისმეტყველების პირველივე ნაბიჯები მატერიის — მთელი გრძნობადი სიჩაბდეილის, სამყაროს სავანთა თუ მოვლენათა უსასრულო რრავალფეროვნების, მათი ნებისმიერი კავშირის, თანაფარდობისა თუ მოძრაობის ფორმათა ამ უცვლელი და წარუვალი სუბსტრატის კვლევას უკავშირდება. იონიური ნატურფილოსოფიის მამამთავარი თალეს მილეტელი წყალს თვლიდა ყველაფრის მატერიალურ საფუძვლად. „რაგინდ უცნაურიც უნდა ჩანდეს ეს წარმოდგენა, როგორც ბაზგასმით აღნიშნა ნიცშემ, ის გამოხატავს სამ ძირითად ფილოსოფიურ იდეას. ჯერ ერთი, ის შეიცავს საკითხს ყოველი სავნის მატერიალური საფუძვლის შესახებ. მეორეც, ამ კითხვის რაციონალური პასუხის მოთხოვნას, მითების დამოწმებისა და მისტიური წარმოდგენების გარეშე. მესამეც, იმის ვარაუდს, რომ შეიძლება სამყაროს ახსნა ერთი ამოსავალი პრინციპის საფუძველზე. თალესის წარმოდგენა, ეს იყო პირველი გამოხატულება იდეისა ძირითადი სუბსტანციისა თუ იმ ძირითადი ელემენტის შესახებ, რომლისგანაც იწარმოება ყველა სავანი..." ცნობილი ინგლისელი ლოგიკოსი და ფილოსოფოსი ბ. რასელი ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს წერდა: „ფუძულება, რომლის თანახმადაც ყველაფერი წარმოიქმნა წყლისაგან, უნდა განვიხილოთ როგორც მეცნიერული და არა როგორც ანსაღრდელი ჰიპოთეზა. ოცი წლის წინათ შეხედულება, რომ ყველაფერი შედგება წყალბადისაგან, რომელიც წყლის ორ მესამეულს შეადგენს, საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი გახდდათ".

თალესის უმცროსი თანამედროვე ანაქსიმანდრე წყალს ან რომელიმე სხვა მატერიალურ სტიქიონს კი არ მიიჩნევდა ყოველივე არსებულის საფუძვლად, არამედ „პირველმატერიას", ანუ „ქვესუბსტრატს" — „აპეირონს", რომელიც დაუსაბამოა დროში და უსასრულოა სივრცეში. აპეირონისაგან მარადიული მოძრაობის შედეგად გამოიყოფა ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისი — თბილი და ცივი, ამათგან კი — მშრალი და სველი, ხოლო ეს ოთხი საწყისი დასაბამს აძლევს მთელ სამყაროს. თავის პირველმატერიას ანაქსიმანდრე ახასიათებს, როგორც „ყოველსმომცველს და ყოველსეწარმმართველს... უკვდავს, უხრწნელს, დაუსაფდებელსა და შეუმუსრავს". თალესის პირველმატერიაც დაუსაბამო იყო დროში, მაგრამ არა უსასრულო სივრცეში, ანაქსიმანდრე კი ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო მატერიის უსასრულობის აღიარება. არადა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ამოიურეზოდა, შეშუდებოდა სავანთა თუ არსთა ქმნადობა. უსასრულო პირველმატერიიდან ბადებინან ურიცხვი სამყაროები, რათა შემდეგ, ეკიმთა სრბოლაში შემუსრულნი, კვლავინდებურად დაუბრუნდნენ თავიანთი შობლის უსაზო წიალს, საიდანაც ისინი ხელახლა იბადებიან. სამყაროთა შობისა და კვდომის ეს ციკლური მონაცვლეობა დროის გარკვეულ შუალედებში ხდება და ბუნების ურღვევი კანონთა გაანარიობებული. ყველაფერი იბადება, იზრდება, კვდება; ყველაფერი ხრწნადია, ცვალებადი და წარმავალი; უცვლელია მხოლოდ პირველმატერია — აპეირონი.

ანაქსიმანდრეს პირველმატერია გაცილებით უფრო აბსტრაქტული, ვიდრე თალესისა. იონიური ნატურფილოსოფიის მესამე დიდი წარმომადგენელი ანაქსიმენე თალესის მსგავსად კვლავ მიუბრუნდება ემპირიულ სინამდვილეს და ერთ-ერთ მატერიალურ სტიქიონს — ჰაერს გამოაცხადებს ყოველივე არსებულის პირველსაწყისად, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ჰაერი ყველაზე ადვილად ცვალებადია. ერთიანი პირველსაწყისის გადასვლა ნივთიერებათა სიმრავლეში თანდათანობითი გაუზშოებისა („მანანის") და შედეგების („პიკნოსის") გზით ხორციელდება. ჰაერის გაუზშოების შედეგად წარმოიქმნება ცეცხლი, ხოლო მისი შედეგება თანმიმდევრულად გვაძლევს ქარს, ღრუბლებს, წყალს, მიწას და ქვებს. ამ გზით ანაქსიმენე ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა მატერიის ერთობის ფილოსოფიური მოთხოვნა და განვითარების პროცესიც იმნაირად წარმოედგინა, რომ არ დაერღვია პირველსაწყისის წარუვალობისა და უცვლელობის იდეა.

იონიური ნატურფილოსოფიის პარალელურად სამხრეთ იტალიაში ვითარდება პითაგორახა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მომდევრების ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც თავისი დუალისტური მიმართულებით მკვეთრად უპირისპირება მილეტელთა მატერიალისტურ მონიზმს. ანაქსიმანდრესი არ იყოს, პითაგორელებიც „ბენუსაზღვრელს“ მიიჩნევენ სამყაროს დასაბამიერ საწყისად, მაგრამ ანაქსიმანდრეს კონცეფციისგან განსხვავებით, ეს საწყისი ერთადერთი კი არ არის, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი. მარტოოდენ „განუსაზღვრელისა“ თუ უსასრულო და უსაზღვრო სიერცის მეშვეობით — ამტკიცებენ პითაგორელები, — შეუძლებელია გეომეტრიულ თუ ფიზიკურ სხეულთა დასაბამის ახსნა. სხეული სიბრტყეებითაა შემოფარგლული, სიბრტყე — ხაზებით, ხაზი — წერტილებით, რომლებიც ქმნიან ხაზის ზღვარს („პერას“), ისევე როგორც ხაზები — სიბრტყის, სიბრტყეები კი სხეულის ზღვრად გვევლინებიან. სამყაროს ყველა საგანი და, საერთოდ, მოელი სამყაროული წესრიგიც სხვა არა არის რა, თუ არა ორი საპირისპირო საწყისის — ზღვრისა და განუსაზღვრელის ურთიერთშერწყმა, რაც ზღუდავს უსაზღვროების უწყვეტება და უსაბოლ ერთფეროვნებას და, ამრიგად, განაპირობებს მის წიაღში საგანთა ურიცხვი სიმრავლის განსაზღვრა-გამოვლენას. ზღვრისა და განუსაზღვრელის დიალექტიკური თანაფარდობისგან დასაბამს იღებს იდეალური წარმონაქმნი — რიცხვი, რომელსაც პითაგორელები სამყაროული კანონზომიერების განმსაზღვრელ ფაქტორად თვლიან. ჩვენი გამოკვლევის პირველ თავში საკმაოდ ვრცლად მიმოვიხილეთ რიცხვთა პითაგორელებისეული მეტაფიზიკა. იქვე ისიც ითქვა, რომ, არისტოტელეს მოწმობით, რიცხვის ელემენტებად პითაგორელები მიიჩნევდნენ ლუწსა („ტო არტიონ“) და კენტს („ტო პერიტტონ“), რომელთაგანაც პირველის განუსაზღვრელთან („ტო აპეირონ“), მეორის კი საზღვრულთან („ტო პეპერასმენონ“) აიგავებდნენ. მაგრამ განუსაზღვრელისა და საზღვრულის დაპირისპირებულობა მარტოოდენ ამით როდი ამოიწურება. იმავე არისტოტელეს გადმოცემით, პითაგორელები აღიარებდნენ ურთიერთსაპირის. პირო საწყისთა ათ წყვილს: 1. ზღვარი — განუსაზღვრელი; 2. კენტი — ლუწი; 3. ერთი — მრავალი; 4. მარჯვენა — მარცხენა; 5. მამრი — მდედრი; 6. უძარაგი — მოძრაგი; 7. სწორი — მრუდი; 8. ნათელი — ბნელი; 9. კეთილი — ბოროტი; 10. კვადრატი — მართკუთხედი. პითაგორელთა ამ ცხრილში საგულისხმოა ის გარემოება, რომ მისი პირველი მწკრივი (ზღვარი, კენტი, ერთი და ა. შ.) დადებით მომენტთა ერთობლიობაა, მეორე კი (განუსაზღვრელი, ლუწი, მრავალი და სხვ.) უარყოფითი მომენტებისა. უფრო გვიან, პლატონთა და მისი მიმდევრების ფილოსოფიაში ეს დაპირისპირება იდეალური და მატერიალური საწყისების დუალიზმად წარმოჩენდება, რომელთაგანაც პირველი ნათელი, ქმედითი, მაორგანიზებელი და მაფორმირებელი პრინციპია, მაშინ როდესაც მეორე სიბნელის, სიჩლუნგის, განუსაზღვრელობისა და ამორფულობის საწყისად გვევლინება.

პითაგორა ანაქსიმანდრეს მოწაფეე იყო, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მისთვის, დაპირისპირებოდა თავისი მასწავლებლის მოძღვრებას. ძვ. წ. ა. V საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინესი მოაზროვნე პარმენიდე ელეელი კი პითაგორელ ამეინიოსის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ფილოსოფიურ მეცნიერებას, რთა შემდეგ თავის მხრივვე გადაეზვია მასწავლებლის მიერ ნაჩვენები გზიდან. ელეელთა მეთაურის, ისევე როგორც ერთი საუკუნის წინათ — მილეტელთა წინაშე, მთელი სიმწვავით იდგა საკითხი: როგორ შეეთანხმებინა ერთმანეთისთვის არსებობა და ქმნადობა, სამყაროს პირველსაწყისის მარადიული უცვლელობა და სამყაროს საგანთა მუდმივი ცვალებადობა, მათი მსწრაფლწარმავლობა. წინამდებარე გამოკვლევის პირველ თავში ჩვენ ვნახეთ, რომ სუბსტანციური არსებობისა და სამყაროს მრავალფეროვნების თანაფარდობა პარმენიდეს ეგზისტენციალიზმ და გრძნობადი წარმოდგენის დაპირისპირებულობაზე დაიყვანა. რაციონალურ აზროვნებას ყოველსერთობის აღიარებამდე მივყავართ და სწორედ ესაა ერთადერთი ეგზისტრატებად და ეგზისტრატი არსებობაც. არსს გონება ყოველთვის იაზრებს როგორც დაუსაბამოს, უცვლელსა და მარადიულს. თუ მას საპირისპირო პრედიკატებს მივაწერთ, თავიდან ვერ ავიცილებთ ლოგიკურ წინააღმდეგობას: თვითეულ მათგანს არარსებობის მომენტი შეაქვს არსში. შეუძლებელია არსებობა მივაწეროთ არარსს და ვიკარნუდოთ, რომ არსი თანაბარად წილნაყარია არსებობასთანაც და არარსებობასთანაც. მედარია ზღვრისა და განუსაზღვრელის პითაგორელებისეული დუალიზმი, რომლის თანაბმადაც სამყარო განუსაზღვრელის თანდადამენილი ზღვარდებისგან იღებს დასაბამს და რომელშიაც განუსაზღვრელი არარსებულის როლს ასრულებს. მარადიული, წარუვალი, თავის საკუთარ სისავსეს და სრულქმნილებაში დავანებული არსი, რომლის გარეშეც არა არის რა, მოლიანად უცვლელია და უძარაგი, ვინაიდან მოძრაობის აუცილებელი პირობაა სცილიელეკ, რომელიც არ არსებობს, არ არის. მხოლოდ თავისივე თავით შემოსაზღვრული არსი, რომლისთვისაც ეფინ საკუთარი ზღვარიც კი შინაგანია და არა გარეგანი, სწორედ ამიტომაა ერთადერთი თვითმკმარი სისრულე, პარმენიდეს მიერ ალეგორიულად გაგიგავებული სრულყოფილად მრგალი სფერისთან, ისე რომ, არსი წარმოგვიჩნდება ერთადერთ ეგზისტრატ თვითმყოფობად საგანთა ბუნებაშიც და მთელ კოსმოსშიც, რომელიც სამყაროული სფეროთია გარემოცული. ყოველგვარი მრავალობითობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისობრივი განსხვავება, ქმნადობა, ცვალებადობა პირწმინდად გამორიცხულია ამ ჭეშმარიტი არსებობიდან. მაგრამ ყოველდღიური ცდა, ჩვენი პირადი გამოცდილება რომ სრულიად საპირისპირო სურათს გვთავაზობს? უთავალავი ფერით მოცემული ფიზიკური სინამდვილე უწყვეტი ქმნადობა, მარადიული მოძრაობა და ცვალებადობა. ეს იმიტომ, — ამტკიცებს პარმენიდე, — რომ ფიზიკური სინამდვილე რაციონალური აზროვნებისა და ჭეშმარიტი ცოდნის ობიექტი კი არ არის, არამედ გრძნობადი წარმოდგენისა, რომელიც ისევე მოჩვენებითია და ილუზორული, როგორც თვით მისი საგანი. ამრიგად, ერთის მხრივ, ჭეშმარიტი არსის ერთადერთობას და უცვლელობას, ხოლო მეორეს მხრივ, სამყაროულ საგანთა სიმრავლესა და გამუდმებულ ცვალებადობას შორის გადაულახავი უფსკრული ჩანსდა, რომლის ამოსაფსა პარმენიდეს დედოსტატურმა ლოგიკურმა ხელოვნებამაც კი ვერ შესძლო.

როგორც პარმენიდეს, ისე მისი დიდი თანამედროვის ჰერაკლიტე ეფესელის ფილოსოფიური მოძღვრების ამოსავალი წერტილია არსებობისა და ქმნადობის დაპირისპირებულობა, მაგრამ პარმენიდეე ცდილობს შეინარჩუნოს არსის ერთადერთობა, უტრიალა და უცვლელობა, რასთვისაც იძულებულია მატერიალურ საგანთა მრავალფეროვნება, მათი მოძრაობა და ცვალებადობა ილუზიად გამოაცხადოს, მაშინ როდესაც ჰერაკლიტე არა სცნობს ყოველგვარი ცვალებადობის საფუძველად მდებარე უცვლელსა და წარუვალ არსს და სამყაროული პროცესის განმაზღვრელ ფაქტორად მარადიულ ქმნადობას სახავს. უცვლელია მხოლოდ უწყვეტი ცვალებადობა. ყოფიერების ერთადერთი ფორმა არის არა სუბსტანციური არსებობა, არამედ მუდმივი ქმნადობის უსასრულო ნაკადი, რომლის სათავედაც საპირისპირო საწყისთა — სიკეთილის და უკეთილების, სიკეთის და ბოროტების, დასაბამის და დასასრულის, ძილის და ღვიძილის, სიბერის და სიჭაბუკის და სხვა მისთანათა დაუნდობელი ორთაბრძოლა გვევლინება. მაგრამ საპირისპირო საწყისნი არა მარტო ებრძვიან, ემთხვევიან კიდეც ერთმანეთს. დაპირისპირებულთა დამთხვევა, მათი დიალექტიკური ერთიანობა, — აი, ჰერაკლიტეს აზრით, ყოველისერთობისა და სამყაროული ჰარმონიის უშრეტი წყარო, ხოლო ამ ერთობის საფუძველია საფუძველია ცეცხლი, მთელი სამყაროული პროცესის დასაწყისი და დასასრული, ბუნების ურღვევი კანონი თუ კოსმოსის ცეცხლოვანი სიტყვა — ლოგოსი. თალეს წყალი მიაჩნდა ყოველის დასაბამიერ პრინციპად, ანაქსიმენეს — ჰაერი, ხოლო ჰერაკლიტემ შესაბ მატერიალური სტიქონი — ცეცხლი დასაბა კოსმიური სინამდვილის პირველსაწყისად, რომლის განაც იბადება და რომელშიაც 10800 წლოვანი ციკლის, ე. წ. „დიადი წლის“ დამლეკს ხელახლა დაინთქმება მთელი სამყარო („ეს სამყარო, ერთი და იგივე ყველა არსისთვის, არავის არ შეუქმნია, არც ღმერთთაგანს და არც კაცთაგანს, არამედ ყოველთვის იყო, არის და კვლავ იქნება, როგორც მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც თანაბარზომიერად ხან იფეთქებს, ხან შშრიტებს“). სამყაროს ამ ცეცხლისმიერ ქმნადობაში არა არის რა მუდმივი და მარადიული, თვით ცეცხლიც კი, რომელიც განუწყვეტელივ იცვლება, ახე რომ მისი, როგორც ყოველის პირველსაწყისის მუდმივობა, არსებითად, პროცესის მუდმივობაა და არა სუბსტანციისა. შემდგომდროინდელი ბერძნული და არა მარტო ბერძნული მეცნიერება ცდილობდა თავი დაეღწია სამყაროული პროცესის, როგორც უწყვეტი დენადობის ჰერაკლიტესეული მოძღვრებისათვის და ცვალებად მოვლენათა წიაღში აღმოეჩინა ერთგვარი მარადიული სუბსტრატი. „როგორც ჩანს, ქიმია აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, — წერს ბ. რასელი; — აღმოჩნდა, რომ ყოველისმმუსვრელი ცეცხლი მხოლოდ გარდაქმნის ყველფერს: ელემენტები ახალ კომბინაციებს ქმნიან, მაგრამ თვითეული ატომი, რომელიც წვის პროცესამდე არსებობდა, კვლავინდებულად განაგრძობს არსებობას პროცესის დამთავრების შემდეგაც. ამისდა კვალად გამოთქვა ვარაუდი, რომ ატომები არ აშლეინან და ყოველგვარი ცვალებადობა ფიზიკის სამყაროში სხვა არა არის რა, თუ არა უცვლელ ატომთა გადაჯგუფება. ეს თვალსაზრისი ბატონობდა რადიოაქტივობის აღმოჩენამდე, როცა დამტკიცდა, რომ თორიუმ შეიძლება თვით ატომებისაც დაიშალოს“. მაგრამ სწორედ რადიოაქტივობის აღმოჩენის შემდეგ თანამედროვე ეფროპულმა მეცნიერებამ სრულიად ახალი თვალთახედვით აღიქვა ცეცხლის, როგორც სამყაროს პირველსაწყისის ჰერაკლიტესეული კონცეფცია და ამ უკანასკნელსა და დღევანდელი ფიზიკის თვალსაზრისს შორის ჩქვეიოდა საგრძნობი სიახლოვე გამოავლინა: „დღეს ჩვენ შეგვიძია ვთქვათ, — წერს ვერნერ ჰაიზენბერგი, — რომ თანამედროვე ფიზიკა, გარკვეული აზრით, ახლისაა ჰერაკლიტეს მოძღვრებასთან. თუ „ცეცხლს“ „ენერგიით“ შეეცვლით, მაშინ ჰერაკლიტეს აზრი შეგვიძლია თითქმის სიტყვასიტყვით მივიჩნიოთ თანამედროვე მეცნიერების აზრად. ფაქტიურად, ენერგია ის, რისგანაც იქმნება ყველა ელემენტარული ნაწილაკი, ყველა ატომი და, მაშასადამე, ყველა საგანიც. ენერგია, ინადერთულად, შამოძრავებელ ძალადაც გვევლინება, ენერგია სუბსტანციაა, მისი საერთო რაოდენობა არ იცვლება და, როგორც ბრავალი ატომური ექსპერიმენტი გვიმოწმებს, ელემენტარული ნაწილაკები ამ სუბსტანციისაგან იქმნება. ენერგია შეიძლება გარდაიქმნას მოძრაობად, სითბოდ, სინათლედ და ელექტრულ ძაბვად. ენერგიას შეიძლება

ვთვლიდეთ სამყაროში ყოველგვარი ცვლილებადობის „მიზეზად“.

ჰერაკლიტეს და პარმენიდეს ორი ურთიერთსაპირისპირო სისტემის შეთანხმება, მათი კონკორდანსი, — არსებითად, ამ ნიშნით წარმმართება ბერძნული ფილოსოფიური აზრის შემდგომი განვითარება. მატერიის რაობა, ერთისა და მრავლის, სუბსტანციური არსებობისა და უწყვეტი ქმნადობის, თანადარდობის პრობლემა შეადგენს ემპედოკლეს ავრიგენტელისა და ანაქსაგორა კლაზომენელის, ისევე როგორც ბერძენი აბორიგენების — ლევკიპე მილეტელისა და დემოკრიტე აბდერელის მოძღვრებათა ბირთვს. ჩვენი გამოკვლევის პირველ თავში საკმაოდ ვრცლად მიმოიხილეთ სამივე ზემოხსენებული დოქტრინა. აქ მხოლოდ მოკლედ შევახსენებთ კეთილსვლის თვითეულ მათგანს... როგორც ვიცით, თალესი წყალს თვლიდა ყოველის დასაბამიერ საწყისად, ანაქსიმენე — ჰაერს, ხოლო ჰერაკლიტე — ცეცხლს. ამ სამ მატერიალურ სტიქიონს ემპედოკლეს, თავის მხრივ, დაუმატა მეოთხე — მიწა, ოთხივე ერთად აღიარა სამყაროს პირველსაწყისად და, ამრიგად, თავისი წინამორბედების მონაზიდან ერთგვარ პლურალიზმზე გადავიდა, რაც იმით გახლდათ გამოწვეული, რომ ცალ-ცალკე არც ერთი ზემოხსენებული საწყისი არ იძლევა საგანთა და მოვლენათა მრავალფეროვნების ამომწურავ ახსნას. პარმენიდეს კვალდაკვალ, ემპედოკლეც აღიარებს ერთარსის აბსოლუტურ სუფევას, რასაც ყოველგვარი თვისობრივი სხვაობისაგან დაცლილი, ერთგვაროვან და სრულქმნილ სფეროდ სახავს, მაგრამ, მეორეს მხრივ, თავისი ფილოსოფიური სისტემის განუყოფელ ნაწილად აქცევს ჰერაკლიტეს და პითაგორელების კონცეფციასაც, რომლის თანაბამადაც სამყაროული ყოვნისერეობა დაპირისპირებულთა ბრძოლისაგან იღება დასაბამს. რას ეშველება ეს სინთეზი? პარმენიდესაგან განსხვავებით, რომელიც არ სცნობს თავის საკუთარ სისავსესა და სრულქმნილებაში ჩაკეტილი ერთარსის არავითარ განვითარებას, მის ფადასვლას სიმრავლეში, ემპედოკლეც თვლის, რომ ერთარსი თავის თავშივე შეიცავს სიმრავლის ჩანასახს. პარმენიდე უარყოფს სამყაროულ ქმნადობას და ილუზიად მიიჩნევს ყოველგვარ დაბადებას თუ განქარებას, მაშინ რიდესაც ემპედოკლეს აზრით დაბადება სხვა არა არის რა, თუ არა დასაბამიერ ელემენტთა შერეცა („მიქსის“), განქარება კი მათი გათიშვა („დიალექსის“). ეს ელემენტებია ემპედოკლეს მიერ „ყოფის ფესვებად“ („რიძომატა პანტონ“) დასახელი ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი, რომლებიც ერთმანეთზე არ დაიყვანებიან და დაუსაბამონი არიან, უცვლელნი და წარუვალნი. ამ ოთხი მარადიული პირველსაწყისის ურთიერთშერწყმა თუ შერეცა დასაბამს აძლევს გრძნობადი სამყაროს საგანთა და მოვლენათა მთელ სიმრავლეს, ხოლო მათი გათიშვა სპობს ყოველგვარ თვისობრივ სხვადასხვაობას და ქაოსის მდგომარეობაში აბრუნებს სამყაროს. მაგრამ რაკი ოთხივე ელემენტი მატერიალურია, ამიტომ მათი მოძრაობის მიზეზი, ემპედოკლეს აზრით, თვით ამ ელემენტებში კი არა ძევს, არამედ მათ მიღმა. მოძრაობის ამ უნივერსალური მიზეზს ემპედოკლე ორი ურთიერთსაპირისპირო ძალის — სიყვარულისა („ფილოტეტს“) და მტრობის („ნეიკოს“) მოქმედებასთან აიგივებს, რის შედეგადაც ელემენტები ხან ერწყმიან, ხან კი შორდებიან ერთმანეთს. რადგისაც სიყვარული მიიქცევა და მას მტრობის მოქცევა ცვლის, ელემენტები თანდათანობით ეთიშებიან ერთმანეთს, ვიდრე საბოლოოდ გათავისთავადდებოდნენ და სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა მთლიანად ჭრება სამყაროში, რათა ბოლოს კვლავ მოიქცეს და გაიერთიანოს ელემენტები, რასაც, თავის მხრივ, შედეგად მოსდევს მტრობის გაკრთა და ყველაფერი კვლავინდებურად უბრუნდება დასაბამიერ მდგომარეობას. ერთგვარი ეკლექტურობისა და ცალეკეულ ბუნდოვანებათა მიუხედავად, არ შეიძლება მატერიალისტური მოძღვრების პოზიციურ მომენტთა იგნორირება: „ემპედოკლეს ფილოსოფია, მიუხედავად იმისა, რომ მასში დიდ როლს ასრულებენ სიყვარულისა და მტრობის არცთუ მთლად ცხადი ცნებები, ბერძნულ ფილოსოფიაში, გარკვეული აზრით, უფრო კონკრეტული და, ამდენად, მატერიალისტური წარმოდგენებისაკენ შემობრუნებად გვეკლინება. ოთხი ელემენტი იმდენად ძირითადი საწყისი რიდია, რამდენადაც მატერიალური სუბსტანცია. ამით პირველად გამოითქმის აზრი, რომ რამდენიმე პრინციპულად სხვადასხვა სუბსტანციის შეერთებით და გათიშვით აიხსნება მოვლენათა მრავალფეროვნება. პლურალიზმი ყოველთვის არადამკვიდრებელი ეჩვენება იმას, ვინც მიეჩვია დოგმატურად ფიქრს. პლურალიზმი ესაა ფრიად გონიერული კომპრომისი, რომელიც თავიდან გვაცილებს მონიზმის სიძნელეებს და, იმავდროულად, დასაშვებს ხდის გარკვეულ წესრიგს“.

ემპედოკლეს მსგავსად, მისი თანამედროვე ანაქსაგორა კლაზომენელიც ცდილობს ერთმანეთს შეუთანხმოს ჭეშმარიტი არსებობის უცვლელობისა და ერთადერთობის პარმენიდესეული მოძღვრება და გრძნობადი სამყაროს საგანთა თუ მოვლენათა გამოდმებული ცვლილებობის ჰერაკლიტესეული კონცეფცია. ის, რაც არის, მარადიულია და უცვლელი, — კეკრს ეკრავს ანაქსაგორა ელეელებს; — მაგრამ სამრავლთ დაშვებას სრულიადაც არ მიეკავთო ლოგიკურ წინააღმდეგობამდე. გრძნობადი სამყარო ცვლებადია; ძნელია არ დაეთანხმო ჰერაკლიტეს ამ სიტყვებს. მაგრამ სამყაროული პროცესის ახსნა აუცილებლად როდი მოითხოვს თვისობრივ ცვლილებებს. სავსებით სამკრანია სივრცეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიკური მოძრაობის აღიარება. ილუზორულია არა საგანთა თუ მოვლენათა მარადიული ქმნადობა, მათი განუწყვეტელი ცვლადობა, როგორც ჰგონია პარმენიდეს, არამედ მხოლოდ ჩვენი წარმოდგენა, რომელიც ცვალებადობას დაბადებათა და კვდომათა დაუსრულებელ მონაცვლეობასთან აიგივებს. სინამდვილეში არც დაბადება არსებობს და არც სიკვდილი; ერთიცა და მეორეც სხვა არა არის რა, თუ არა ნივთიერების უმცირეს ნაწილაკთა შერევა-შეერთება („სინმიქსის", „სინკრისის") ანდა მათი გათიშვა („დიაკრისის"). ემპედოკლე ოთხ მატერიალურ ელემენტს მიიჩნევდა ყველაფრის პირველ-საწყისად, ანაქსაგორას აზრით კი ამ საწყისთა რიცხვი უსასრულო. ესენია მატერიის ძირითადი, უცვლელი და წარუვალი „თესლისებრი" ნაწილაკები, რომელთა კომბინაციებისა თუ სტრუქტურულ ჯგუფთა ცვალებადობა—შერევა-შეერთება და გათიშვა-განმზოლება განაპირობებს მთელს ცამყაროულ პროცესს, საგანთა თუ მოვლენათა უსასრულო მრავალფეროვნებას, სადაც ყველაფერი გამუდმებით მოძრაობს და იცვლება, მაგრამ ამ ცვალებადობას საფუძვლად უდევს უცვლელობა, რაკიდა ყოველგვარი ქმნადობის ერთადერთი სუბსტრატი — მატერიალური ნაწილაკთა და, საერთოდ, მატერიის ოდენობა უცვლელი რჩება. ანაქსაგორას მტკიცებით, „ყველაფერია ყველაფერში", რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ თესლისებრ ნაწილაკში მოქცეულია ყველა შესაძლო ელემენტი და, მაშასადამე, მათი სრული და საბოლოო გათიშვა, არსებითად, შეუძლებელია. თვით გათიშვისა და დაშლის პროცესს ანაქსაგორა უსასრულოდ სახავს, ასე რომ, არა მარტო სხვადასხვა თვისების მქონე ელემენტარულ ნაწილაკთა რიცხვი უსასრულო, არამედ ყოველი ერთგვაროვანი ელემენტიც უსასრულოდ დაყოფადია. ამრიგად, თეზისი „ყველაფერი ყველაფერში" შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „უსასრულობა უსასრულობაში". ემპედოკლესი არ იყოს, მატერიალურ ნაწილაკთა მოძრაობის მიზეზი ანაქსაგორასაც მათ გარეთ გაქვს, მაგრამ ამ მიზეზს სიყვარულისა და მტრობის შემაერთებელსა თუ გამთიშველ მოქმედებასთან კი არ აიგივებს, არამედ კოსმიურ გონებასთან („ნუს"), რომელსაც ფილოსოფიის ზოგიერთი ისტორიკოსი პლატონის დემიურგოსული გონების ერთგვარ პროტოტიპად მიიჩნევს, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ტერმინოლოგიური იგივეობის ნიადაგზე აღმოცენებული გაუგებრობა, ვინაიდან „გონებას" ამ ორი მოაზროვნის ფილოსოფიურ სისტემებში სრულიად სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა აქვს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲔᲥᲐᲜ ᲙᲘᲚᲐᲜᲐᲕᲐ

ᲭᲐᲒᲠᲘᲙᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ, ᲐᲜᲣ „ᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲔᲚᲘᲐ“

(ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ)

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲔᲢᲘᲗ ᲗᲘᲪᲘ: ლონდონში ღამით, როცა მის ბინადარი სძინავთ, პარლამენტის სასახლე გაჩირაღდნებულია. ამით მთავრობა ინგლისის მოქალაქეებს აუწყებს, რომ მისი მუშობა პერმანსიულია.

საქართველოსაც ჰყავს ასეთი პარლამენტარი, რომელსაც ჩანთაში პრემიერის კვერთხი უდევს: ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩის დასაწყისში მდებარე ბინის სარკმლიდან „ღამე ყოველ“ შუქი გამოკრთის. იქ, ქართული ხატოვანი სიტყვისა და მეცნიერული აზრის სენაკ-სუფფლიში, მარტვილობს აკაკი გაწერელია, თავად მარტვილელი, კაცი თითქმის ცხრა ათეული მიღწეული, მაგრამ მაინც ვაბუური ენერგიით, ტემპერამენტით და „ოლუხერი არტისტიზმით“ (გ. ახალთაანი) აღვსილი. ვინც ბატონ აკაკის იცნობს, იცის: მისი აზროვნება არ ემორჩილება ელემენტარულ ქრონოლოგიურ ლოგიკას და მის ასაკობრივ დახასიათებას არ ამოწურავს ერთადერთი ბანალური, არსებითად გაცვეთილი სიტყვით: მოხუცი. აღმოსავლეთ ფილოსოფოსთა დარად, იგი ცდილობს „არათანახმიერის თანხმიერობის“ წვდომას და ამ მაბაცი, ეერცხლისწყალივით მოძრავი მოხუცის ასაკობრივ-ინტელექტუალური პროფილის უკეთ გასაცნობიერებლად ამკვდრებს უცნაურ, თითქმის ეგზისტენციალურ შესიტყვებას: ᲙᲐᲙᲐᲣᲙᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ.

მას დამძიმებული ქუთუთოები აქვს, ერთობ ჩამოშვებულიც კი. ასეთ მოვლენას უბრალო ხალხი, ჩვეულებრივ, თირკმლის ავადმყოფობას მიაწერს. აკაკი გაწერელიას თირკმელი არ სტკივა; მისი ქუთუთოები დაამძიმა ქართულ ხატოვან სიტყვასთან და მეცნიერულ აზრთან ვიდელში (განვლილმა უძილო ღამეებმა (ამავე მიზეზით ასეთივე ქუთუთოები ჰქონდათ მის დიდ თანამოსაგრეთ — კონსტანტინე გამსახურდიასა და ზალვა ნუცუბიძეს). მარადიული ღვიძილი ზეწაარის ხვედრია, ამიტომაც აფრთხილებდნენ მორწმუნენი ჩვეულებრივ მოკვდავთ: ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიათო, თუმცა, როგორც ჩანს, მამაზეციერი ზოგჯერ ჩათვლემდა ხოლმე. ახეთ დროს ღვთისმოსავი დავთა გურამიშვილი, დავთი ფსალმუნთა ავტორის დარად, ოღონდ განსხვავებულ სიტუაციაში, უფალს შეჰკრებდა: „ადე, გამოიღვიძე“.

ბობოკერი მოხუცი კი არ თვლემს, მას „ძილშიაც არ სძინავს“ ქართული პოეტური სიტყვითა და მეცნიერული აზრით „გულაღტკინებულს“. ის ამ ფენომენებს შეუცველ ფზიზელ გუშაგად უდგას და არ საკვირველს არც ერთი დავთის ჩაგონებასა...

1922 წელს მარტვილიდან თბილისს ეახლა, სრულიად ყმაწვილი. მაგრამ „განზრახვითა მდდარი“, „განმშვენებული ყოფითა და ქცევით“, თავის ასაკთან შედარებით ოღნავ მაღალი, ელეგანტური, „კეთილმშვენიერი“. თბილისით დიამშვენა თავი (თუმცა დღესაც „დიეტებიან“ მის სისხლში „ნაციები თანამემამულენი“ და ამაოდ ცდილობს მარტვილზე თანდაყოლილი, მარადიული ნოსტალგიის ჩაბშობას „მწყლარტე ღვინოში“), დედაქალაქიც დამშვენდა სამეგრელოდან ჩამოსული პატარა ბიების არსებობით.

ცნობილია: ყმაწვილთა უმეტესობა განსწავლის დასაწყისში ბეჯითობას იჩენს და ცოფნის დაუფლებაში აღმა მიდის, რაღაც სიმაღლეებსაც აღწევს, ხოლო შემდეგ ინტერესი ერთგვაროვად უნელდებათ, კოლიბრივით (ერთადერთი ფრინველი დედამიწაზე, რომელსაც უკუფრენა ემარჯვება) უკუსვლას იწყებს. ნორჩი გაწერელია არ ჰგავდა კოლიბრს; იგი სულ წინ და მაღლა მიიწევდა, თანაც აჩქარებულად: ყმაწვილის ნიჭით მოხიბლულმა სოფლის მასწავლებელმა მიხა ლაბარტყავამ მესამე კლასდამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრებულს მეხუთე კლასის მოწმობა გამოატანა თბილისში იმ რწმენით, რომ მისი მკვირცხლი გონება გაუძლებდა ამგვარ ნაბეკოს (ახეკ მოსდა). თბილისში ეკრმანული ლიცეუმის წელ მეორე გიმნაზიაში ამოყო თავი. აქ დახვდა სიტყვის მომკიბრნელ მხარჯველი „დიდი ტოლერანტი“ და ამასთანავე ენციკლოპედიურად განსწავლული მოძღვარი ალექსანდრე გვანარია, რომელიც ლამის ერთდროულად და თანაც „ნამდვილი პიეროს“ დონეზე ასწავლიდა არა მხოლოდ ქართულ და რუსულ ლიტერატურას, არამედ მათემატიკასა და გეომეტრიასაც კი. ᲫᲣᲛᲐᲠᲘᲪᲮᲘ მოძღვრის სიტყვა და საქმე ცხოველად დაიჩნდა ᲭᲐᲮᲣᲪᲘᲡ სულს და, ᲒᲐᲡᲢᲧᲠᲐᲒᲓ ამისა, ᲮᲜᲔᲑᲐᲨᲣᲛᲝᲜᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲭᲘᲗᲐᲜᲐ ᲥᲔᲑᲐ ᲣᲛᲔᲪᲠᲘᲡ „ᲡᲘᲧᲠᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲡ“.

და ᲐᲮᲐ ᲒᲐᲝᲬᲘᲚᲔᲡ ᲡᲘᲪᲮᲘᲗᲘᲡ ᲭᲐᲠᲩᲘᲡᲐᲛᲔ. თავისი მოძღვრის მსგავსად ენციკლოპედიურად განსწავლული ᲭᲐᲮᲣᲪᲘ ნიჭის კონკეტნრირება ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ სფეროში მოხდა. იმთავითვე მოეცა ქართული სამწერლო და მეცნიერული ცხოვრების შუაგულში. მეგობრები გაიჩინა თანამოსაკეთა და უფროს თაობას შორის, განსაკუთრებით დაუახლოვდა ტიციან ტაბიძეს, ხარბად დაეწაფა მსოფლიოს ძველ და თანამედროვე ხელოვნიერ კულტურას, ამასთანავე, თავადაც მოსინჯა კალამი ფილოლოგიისა და კაზმულობაც აკადემიკოსი ლამის ლაბორატორიედ დაადგიაზლეს (ამ შეეჯიბრების ეამს ᲮᲝᲛᲑᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲡ თავშუსაფარი შესთავაზეს, მაგრამ სხვაგან განცხრომით ყოფნას თავისი ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲭᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ დარჩენა არჩია). მოგვიანებით უკან მობრუნებულს ზედ კათედრაზე უღალატა მოლელადაქანცულმა გულმა;

ᲘᲣᲚᲘᲜᲘ ᲐᲮᲣᲚᲐᲫᲔᲛᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲘᲡᲣᲚᲘᲐ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲠᲘᲗ ᲮᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ — ᲣᲪᲔᲡᲚᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲘᲛᲘᲜᲐᲖᲘᲠᲔᲚᲘ „ᲤᲠᲘᲐᲜᲘ“ ᲓᲐᲣᲤᲠᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲭᲔᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲓ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲐᲪᲘᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (თუ ᲐᲮᲘᲗᲘᲗ ᲨᲔᲒᲜᲘᲡᲐ ᲒᲐᲐᲜᲓᲒᲣᲛᲘᲗ ᲡᲐᲠᲘᲗᲛᲔᲓ) ᲩᲐᲑᲔᲭᲓᲘᲗ, ᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲜ ᲐᲪᲐᲒ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲧᲠᲘᲚᲔᲑᲓᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲣᲛᲘᲪᲐᲠᲐᲗ (ᲢᲠᲣᲑᲐᲫᲔᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲐᲮᲚᲐᲡᲬᲐᲠᲔᲛᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲗᲔᲘᲐᲕᲘ ᲣᲜᲘᲒᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲝᲑᲐ ᲣᲐᲚᲐᲜᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ „ᲤᲠᲘᲐᲜᲘ“ ᲓᲐᲣᲤᲠᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲭᲔᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲓ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲐᲪᲘᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲒᲜᲘᲡᲐᲜ (ᲗᲣ ᲐᲮᲘᲗᲘᲗ ᲨᲔᲒᲜᲘᲡᲐ ᲒᲐᲐᲜᲓᲒᲣᲛᲘᲗ ᲡᲐᲠᲘᲗᲛᲔᲓ) ᲩᲐᲑᲔᲭᲓᲘᲗ, ᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲜ ᲐᲪᲐᲒ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲧᲠᲘᲚᲔᲑᲓᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲣᲛᲘᲪᲐᲠᲐᲗ (ᲢᲠᲣᲑᲐᲫᲔᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲓᲠᲛᲔ ᲘᲓᲔᲐ ᲛᲐᲪᲓᲠᲔᲜᲘ: ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲬᲐᲠᲛᲝᲠᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲓᲒᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲘᲗᲘᲗᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲘᲥᲘᲗ ᲓᲐᲓᲐᲠᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲐ. და ᲩᲐᲓᲔᲓᲘᲗᲐᲛᲘ ᲐᲚᲘᲐ-ᲛᲘᲪᲘᲒᲛᲝᲜᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲛᲘᲜᲘᲠᲝᲜᲘᲗ — ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲗ. ᲒᲐᲚᲐᲯᲔᲓᲘᲡᲣᲚᲘ ᲑᲐᲮᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲓᲠᲔᲯᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲐᲮᲚᲐᲡᲐᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲐᲠᲘᲠᲐ. ᲛᲝᲒᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲣᲚᲔᲚᲐᲪᲘᲡᲐᲛᲔ ᲓᲐᲙᲘᲚᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ:

ᲘᲣᲚᲘᲜᲘ ᲐᲮᲣᲚᲐᲫᲔᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲪᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲠᲘᲗ ᲮᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ — ᲣᲪᲔᲡᲚᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲘᲛᲘᲜᲐᲖᲘᲠᲔᲚᲘ „ᲤᲠᲘᲐᲜᲘ“ ᲓᲐᲣᲤᲠᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲭᲔᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲓ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲐᲪᲘᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲒᲜᲘᲡᲐᲜ (თუ ᲐᲮᲘᲗᲘᲗ ᲨᲔᲒᲜᲘᲡᲐ ᲒᲐᲐᲜᲓᲒᲣᲛᲘᲗ ᲡᲐᲠᲘᲗᲛᲔᲓ) ᲩᲐᲑᲔᲭᲓᲘᲗ, ᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲜ ᲐᲪᲐᲒ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲧᲠᲘᲚᲔᲑᲓᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲣᲛᲘᲪᲐᲠᲐᲗ (ᲢᲠᲣᲑᲐᲫᲔᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲘᲡᲘᲪ ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲡ; ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲒᲣᲓᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲒᲣᲓᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲙᲘᲚᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამას არ დართვდა ბინძური ბეწლობა: ალტაცება და ერთგვარი გაკვირვებაც კი იმის გამო, რომ იმ „მამაძაღლმა" შეძლო სხვის აზრთა საუფლოში შინ ეგრძნო თავი და, ამდენად, გაბედნიერეო მისი მეორე „მე". ეხსა ამაღლებული სულიერი ნათესაობა, როდესაც მოძღვარ-შეგირდის ცნება უმაღლეს რეგისტრში ადის (ეტყობა, მის ამ უნარს კარგად ფრანცისკა ბირშვნეიერი, ცისფერთვალა მანდილოსანი ქსენია სისარულიძე. ამიტომაც თავისი ლამაზი სიცოცხლის დასასრულს სთხოვა მეგობარს, დაეწერა მისი გამოსათხოვარი ესე).

ასე რომ ფილოლოგიაში აკაკი გაწერელიას მოძღვარი, ანუ სულიერი მამა, კორნელი კეკელიძე გახლდათ, თვითონ კი შეგირდი, ანუ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „სულიერად შვილი" იყო მისი.

სხვა მოძღვარიც ჰყავდა. რიდესაც ერთმა სომხური წარმოშობის ორიენტალისტმა სცადა დიდი ივანეს გრამატოლოგიური ნააზრევის საქვეყნოდ გაკიაქება, მისი ქართული კოლეგები, ეროვნული მეცნიერული „სკოლის" წარმომადგენლები გაეუჭანენ, ხოლო ერთმა მათგანმა („სიროლოგმა"), რომელიც, სხვათა შორის, თავისი მასწავლებლის უკვდავების საკუთარ მეცნიერულ [მემკვიდრეობაში ხედავს, უცხოელის ნააზრევის პოპულარიზაციაც კი იწყო. ერთადერთი აკაკი გაწერელია იყო, ვინც თავს დაიცხრა გადამიიელ ორიენტალისტს და დიდება ქართული მეცნიერების პრეტენეი. აქაც გამეგიდენდა უფროს და უმცროს თაობათა შორის სულიერი ნათესაობა.

მისი მოძღვარი იყო, უკვე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (და ამას აკაკი გაწერელია რამდენიმეგზის იმეორებს) „ანტიკური სამყაროს დიადი პოეტი" (აკაკი. ფ. პეტროსკი) გრიგორ წერეთელი, რომელმაც აზიარა ლექსოწყობის საიდუმლოებას და რომელსაც მადლიერმა „შეგირდმა" მოგვიანებით სულისშემძვრელი ელეგია უძღვნა, როგორც თავისი „სიგაბეუკის დილასა და ხანდაზმულობის მწუხრს", ოღონდ უეპითეტოდ, რამეთუ ღმერთნი ვერ იგუბენენ ეპითეტებს.

და ბოლოს, იგი ტიციანის რჩევით დადგა გოლგოთის გზას — პოეტიკის, თავისი უზენაესი დფიქრების საგნის კვლევას.

ამდენად, მკრეხელობაა აკაკი გაწერელიას დასწაონ ინტელექტუალური ობლობა. ის ქართული ფილოლოგიური სკოლის (ამ სიტყვის უაღრესად ფართო მნიშვნელობით) ერთ-ერთი უწარჩინებულესი წარმომადგენელია. და თუ მისი ოპონენტები ინნეგიან იმით, რომ იგი ფილოლოგიის სრულიად სხვადასხვა დარგში თითქმის თანაბარი წარმატებით იღვწის, ეს აკაკი გაწერელიას ესალი არ არის. მათი ქმედება აიხსნება სხვისა კეთილსა ზედა მწუხარებით ან, უკეთეს შემთხვევაში, უბრალოდ, კატისა და ძაღვის, გინა მელისა და ყურძნის ოგავით.

კოლხთა შორის ოდითგანვე პოპულარულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ფრთიანი ფრაზა: ხეს რომ დაუჩეხო — გახმეო, რაკიღა ნეფილი იყოს, უთუოდ გახმება. აკაკი გაზეთელიამაც ერთ დროს მართლაც იერანმო მარტოობა (და მაინც უმადურობა იქნებოდა ბგეთქვა, რომ მას თაყვანისმცემლები არ ჰყავდეს) უნენარეხად ნიკიერ ახალ თაობას შორის) და ერთხელ უნივერსიტეტში ხაჯარო გამოსვლისას თავისი თავი დაადარა რუს გენერალს, რომელმაც შაშლის რაზმებით ალყა-შემორტყმული აულის შუაგულის კარაგში მარტოდმარტომ გაათია ღამე.

ეს ღამენათევი გენერალი ვერ დაამშვიდა ვეფას ალოარზმმა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მეგრიანი". ზეზრაფდ, ძალიან ზეზრაფდ ჩანს იგი ბრძოლის ველზე ხმალშემარტოული. აკი თვითონ წერს ერთგვარი ბულდაწყვეტით: „მთელი ცხოვრება ჭირის დღესავით მეკვიჭებოდა ყოველგვარი პოლემიკა და თითქმის მთელი ცხოვრება პოლემიკას მოვანდომე... მეტწილად უნიკოთბოთ და არამზადებთან" (ერთხელ, უნივერსიტეტში ყოფნისას, შემომჩივლა კიდეც: მიკვირს, რატომ არ მიკრიტიკებენ ნიკიერები, ვთქვათ, რეზო ან ლაურო. იგულისხმებოდა რეზო ხირაიე და ლაურა გრიგოლაშვილი. საერთოდ, როგორ აფასებს იგი ნიკიერ ახალ თაობას, მაგალითად, ბაჩანა ბრეგვაძეს, მანანა ციგინეიშვილს, ეკრიკერ ფაროლავას, თამაზ ზოგრეკაძეს, ეს მეთხეველმა კარგად უწეიან). და შემდეგ: „გახაოკარია: ქართულ წმერლობაში არ დარჩენილა არც ერთი „სმერდიაოკი", რომელიც ჩემზე არ ყოფილიყო გაგულისებული".

დასანანია და არცაა დასანანი, რომ მან ამდენი დრო და ენერგია შეხწორა პოლემიკას. გახსოვთ, ალბათ კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც მშვიდი ცხოვრება თითქმის არც ჰქონია, ერთგვარ მადდოსანაც კი უხდიდა თავის ლიტერატურულ მტრებს — ადგილობრივ „კარტის ჩამწეუთბთ", თუ უცხოთეთ „მორიელებს", რადგანაც მათი თავდასხმის მოლოდინში ყოველთვის ფხიზლად იყო. ღამეებს ათენებდა და იძენდა კოლოსალურ ცოდნას მათ მოსაგერიებლად. მათდა საწეუხაროდ და ქართველი მკითხველის გასახარად, ფაკტობრივად მისმა ლიტერატურულმა მტრებმა გამობრძმედეს იგი, როგორც პოლემისტი და პერეელხარისხოვანი პოლემიკურ-კრიტიკული წერილების ავტორი.

აკაკი გაზეთელიაც ასე მოიქცა. მოკამთეს არასდროს შეხვედრია შაშველი ხელითი, ოდენ ქრეტიმთიოული ცოდნით. მანაც ღამეები ათია თავდასხმათა ღირსეულად მოგერიებისათვის, შეიძინა კოლოსალური ცოდნა აზრონეგნის სრულიად სხვადასხვა დარგში, ხატოვნად რომ ვთქვათ — შეიარაღდა ულტრათანამედროვე ტექნიკით. ამიტომაც არცაა გასაკვირი, რომ —საგნებს თავისი სახელი დავარქვათ — ბევრი ყურით ათრია; ბევრს, როგორც მის შშობლიურ კუთხეში იტყვიან, ცხვირით მიწა ახნეგინა; სიმართლის დადგენას მოწყურებული ან მოერიდა თავის ყოფილ ახლო მეგობარს და, „ფილოლოგიის კიეგზე" დადგენრებულს, გაუნელი ფიქრის სუფვილი; კორეტტერულ შეცდომათა ძიებითა და აღმოჩენით ალტაცებული თანამედროვე „სმერდიაოკვები" თავად ამბილი კორეკტერულ (თუ უფრო ზმიმე) შეცდომებში და ჩაუშობამ ამ „აღმოჩენით" განცდილი სიამე, რის საილუსტრაციოდაც დასწერდა ცალეეულ ნაშრომთა სტატეეულ გვერდებს, ციტატების, დიალრამების ფოტოასლების გამოქვეყნებაც კი; კვეტრის ნაკუეში ამბობეეთან ზოგ ყვიოიელნაკრტა წიწეოს მოუსპო კრეუხთან კამათის სურვილი; გამოცდილი ენტიმოლოგიგ-ბინიფიკატრიავი სცადა „ლიტერატურაში მოზუზუნე მალრაის კოლეობის" მოსრეა; ზოგიერი „სიროლოგს" კოსხუტაციია გაუეწია თავისი სპეციალობის ხასეიდების დეფინიციაში; სცადა უცნაური სენით — „სულით მუნით" (მისი ტერმინია) შეპარობილთა განკურნეგა.

ხანგრძლივ ბრძოლაში ჩაბმული ერთ დროს თითქოს მოიღალა კიდეც, ორგზის ცხადად იგრძნო არსთამშეხეული ის ცელილი „მზელ კაცის" ხუნთქეა და თავისი „აპატრუნს უკვე ულიმდამოდ ციმეიმი" (1980) და გადაწყვეტა, მას შეხვედროდა „მამაკაცური უკომპრომისობით", „არა მოლდვარებთან, არამედ მშვიდად" (1982). მაგრამ, ხაბედნიეროდ, თვით დაამარცხა უმძლესთა მძლე ის „მზელ კაცი". კვლავ იბრძვის, რადგანაც მისი გამეფილი მზერა ხედავს, რომ დღესაც „ეუნეუოლნი (ან ვეხტიბიოლში) მიმალულია სმერდიაოკი და კრიტიკულად იღიმეგნ". მას ჯერ კიდევ შეხწევს ძალა, სმერდიაოკის ეს ბორტი ღიმილი მეეხეულად ჩაეცხოს.

საკვირველია, რომ „სოფლისა ხაქმისაგან უცალობის" მიუხედავად, ეს კაცი შეუჩერებლივ მიეტანეთ არა მხოლოდ აზრის სიღრმეს, არამედ, ამასთან ერთად და არანაკლებ, ზრუნავს ბანი გადმოცემის ფორმაზეეც. მან უწეეს, რომ თავისთავად აზრი შეიძლება იყოს „ხოლიდური, ერედიციით აღბეეული", მაგრამ, თუ შესაფერისი ფორმით არაა მოწოდებული, იქნება „მომაკვდინებელი, დამეკნაცელი და მთვნარების მომგვრელი". ამიტომაცაა, რომ მისი სტილი „ლიუციფერისა და ანგელოზის ურთიერთგადაპაჩისის" ხამანებზე გადის.

აკაკი გაზეთელიას სულიერ მეგზედრეობაში პირობითად ორი სტილის გამოყოფა შეიძლება. რიცა ადი მუყდროდა (რაც იშვიათად ხდება), მაში ხელწერა, ფრანგ ეხეიტირა სტილის მსგავსად, ლმილია, რაფინირებული და ფილიგრანული (მართალია, ერთგან უწერია, რომ იგი მთელი არსებით მუყდრო ცხოვრებისათვის იყო მოწოდებული. ეს არ ბრკვა: ყოველგვარი დიალექტიკა უძლურია ჩემს ცნობიერებაში მუყდრობისა და გაწეერილიას გამამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლილნებლად. აქ მაგონდება გალაკტიონის სიტყვები: „რუსთაველი და ზმანდი? დამშვიდება და ეფაე?" მკრეხელობა არაა გენიოსებისა და ტალანტების შედარება, რადგანაც ეს სტრიქონი გაწერილიას ხულის მოძრაობისაკენ ესადგება). ხოლო როცა ის არაა „სახითა მყუდრო", მშვიდი (ეს კი ზმრაოდ ხდება), მისი სტილი ბობოლარია, მოვარდნილი ნაიდგარივით ყოელთნწამლეკავი. ეს ფრთ, სტილი მისი ხულის ბარიმეტრია. აქ ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს ორი ფენომენი — წერის მანერა და შემოქმედის ტემპერამენტი (სწორედ შემოქმედია, თორემ, მისივე ლიმისმომგვრელი სიტყვით რომ ვთქვათ, ტემპერამენტი თხასაც აქვს). სწორედ აქ მართლდება დებულება: სტილი თვითონ ადამიანიაო (ბიუფონი).

ორიოდე სიტყვა მის ხულიერ მემკვიდრეობაზე, ოღონდ წინასწარი შეთანხმებით: ხსენია ნაღვაწის შესაფასებლად არაა აუცილებელი მისი ბადალი ქმნილების შეთხზვა შეგვძლოს. ახე რომ იყოს, ვთქვათ, რუსთველოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, ეიტა ირსებებდა, რადგანაც ჯერ არც ერთ რუსთველოლოგს არ დაუწერია და ვერ შეძლებს დაწეროს მეორე „ვეფხისტყაოსანი". უწინარესად ამით დიამედებულნა ეცადე აკაკი გაწერელიას პოეტიკური ნააზრევის შეფასება, თუმცა შეგნებულად შევიკავე თავი კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობისაგან. ეგ ამიტომ: ჯერ ერთი, წინამდებარე „ზმრიხები" ფართო მკითხველთვისაა გამიზნული, რაც სპეციფიკურ საკითხებზე თხრობას ვერ იგუებს, მეორეც — კვლევის პროცესში ავტორი ზოგჯერ პოეტიკის, განსაკუთრებით ვერსიფიკაციის ისეთი ნიუანსების წვდომას ცდილობს, რომელიც მკითხველის გონებას ერთგვარად აკრთობს კიდეც. აქ სახეობრივი აზროვნების წესრიგის პოეტიკაზე საკუთრივ მისეულ ფიქრთა ნაკრძალია, ჭართაშვილეულები, რომელშიც შესვლა, მისი ფხიზელი ეგერის ნებადაერთველად, პატიოსნად მოქალაქემ არ უნდა გაბედოს და არც უნდა იკადრის. უნდა დასჯერდეს ქართას გადასახედიდან ნაკრძალის მომხიბლავი პანორამის ხილვაზ.

ვიდრე ამ გადასახედს მივადგებოდეთ, წინდაწინ ზოგადად უნდა ითქვას: თუ ხსენებულ დარგში აკაკი გაწერელიას შრომათა წყებას ერთად მოვუყრით თავს, მივიღებთ მონუმენტურ ძეგლს, რომელშიც ქართული პოეტიკა განხილულია თანამედროვე მეცნიერების უახლეს მიღწევათა კონტექსტში და მის დონეზე.

ქართას გადასახედიდან კი ნაკრძალში კონკრეტულად ჩანს: კლასიკური მონოგრაფია ქართულ კლასიკურ ლექსზე — ამოსავალი დებულებით, რომ იგი სილაბურ-ტონური და არა სილაბური; ამავე დონის მონოგრაფია, ნარკვევები და „განმარტებანი" „ვეფხისტყაოსნის" პოეტიკაზე, რასაც ახლოვს ზოგადი ვერსიფიკაციის კვლევის მეთოდოლოგიის უახლესი და ორიგინალური ინტერპრეტაციები, ამავე ამოსავალი დებულებით და ვერსიფიკაციაში ტერმინოლოგიური კეკლუცობის დაგმობით; ნაზრომი ქართული მომნოგრაფიებია და ვერსიფიკაციის საკითხებზე სათანადო დამატებითურთ; მსჯელთა ვერლიბრზე და სტროუტურალიზმის შესახებ პოეტიკაში; რითმისა და მეტაფორის დეფინიცია, მხატვრული ენის სპეციფიური არსის, პოეტური გამოთქმების ისტორიული მიდგომაციის, ლექსისა და პროზის ურთიერთმიმართების საკითხები; პოლემიკური წერილები, მიმართული ვერსიფიკაციაში სტატისტიკურ-ბუღალტერიული ალრიცხვის მეთოდის დამკვიდრების მცდელობის წინააღმდეგ; ლიტერატურის თეორიის საფუძვლები: ილიას, გალაკტიონის და სხვათა ჩინებული პორტრეტები ზზრად მათივე ესთეტიკურ-პოეტიკური საშყაროს ანალიზის ჩართვით.

აი, მოკლე ნუსხა მისი პოეტიკური შტუდიებისა, სწორედ რომ მოკლე, რადგანაც მათი ჩამოთვლაც კი „ენნნაცდად შეუძლებელ არს". შედარებისათვის: თუ შეხვიბეთა ნ. მარიხეულ პუბლიკაციასა და ინტერპრეტაციებში ქართული (და არა მარტო ქართული) ფილოლოგიური აზროვნება კლასიკურ სრულიფოფას ზეიმობს, ივგივე ითქმის აკაკი გაწერელიას პოეტიკურ ნააზრევზე (ვინმე უურშეთო თომპა ეს შედარება რომც უარყოს, იძულებული იქნება იმ აზრს მაინც დაეთანხმოს, რომ თანამედროვე საქართველო არ იცნობს მასზე უფრო დიდ ან მასთან თანასწორებულ მეორე სახელს ხსენებულ დარგში. თუმცა ეს არ ითქმის გ. ფარულავაცა და ზოგ სხვა მკვლევარზე, რომლებიც პოეტიკის ქრონოლოგიურ-თემატიკურად დასაზღვრულ ჩარჩოებში იღვწიან უაღრესად ინტენსიურად და წარმატებითაც, რაც მკითხველის ცნობიერებას მსჯველაკვ ის შეგნებით, რომ მათ მიერ არჩეულ ფერიაში, უწინარესად მათივე ნაღვაწის საფუძველზე, არცთუ ისე შორიულ პერსპექტივაში დასაბამიერდება ახალი ეტაპი).

რაც შეეხება „ნებადართულ ზონას", აქაც ვიცელი და „უთვალავი ფერით" შემკული პანორამაა გადაშლილი: თითქმის პლასტიკურად ადდგენილია რუსთაველისა და დანტეს ზეციან მხატვრული მოდელი, გამოვლენილია მათი სარეთო წყარო (ფსეუდო-დიონისე არეპაგელი). წარმოჩენილია ამ მოდელთა თანხვდენილობა და სხვათა პირველწყაროს ორიგინალური გაზრების საფუძველზე: აქვე ერთხელ კიდევ დამტკიცებითი მასალებით განმტკიცებულია აზრი რუსთაველის ქრისტანელი ალმსარებლობის სასარგებლოდ; დანტოლოგიაში პირველმა დაწერა სპეციალური გამოკვლევა იმის შესახებ, თუ როგორ ახსნა „ხაიქოს ზმანების გრანდიოზული პანორამაში" („ღვთაებრივი კომედია") პრეისტორიული საქართველო, დაძებნა უამრავი პირველწყარო, აჩვენა, თუ როგორ აუჯანყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იტალიელი ეპოქალმხილველი არგენატთა თქმულების გვიანდელ ბერძნულ და რომაულ ტენდენციურ ინტერპრეტაციებს და ადადგინა ხელოვნურად დასაბამიერები სამართლიანობა — კოლს დედას ჩამოაცილა ვერაგულად აკიდებული მომაკვდინებელი ცოდვა და ცხელი იაზონი ჯოჯოხეთში განაგზავნა „მედეას მიმართ შეცოდების საზღაურად". ამაში ელინეფები არა მხოლოდ დანტეს ჰუმანიზმი, არამედ ისიც, რომ ამიერიდან მისი „დიდი სახელი პირდაპირ მშობლიური ხდება ქართველი ხალხისათვის" (საკითხის ამ ასპექტით კვლევას აღრე ფიდი ღვაწლი დასდო ლ. სანიკიძემ).

წარმატებით სცადა კლერიკალთაგან რუსთაველის დევნის, „ვეფხისტყაოსნის" ალეგორიული ინტერპრეტაციის უსაფუძვლობის მტკიცება, საფუძველი შეიმუშავა რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის თეორიას; მოგვცა „ვეფხისტყაოსნის" თეოლოგიური განსაცრის („ძალითა მით ძლიერითა", „ძალი უხლავი", „სიზღვრის დამბაზღვრელი", „მზისნი დამე" და სხვ. ურთულესი ფრაზეოლოგიური ალსტების) ხილმისეული ანალიზი; წარმოაჩინა პოემის ცალკეულ სტროფთა სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტები და ა. შ.

პოეტიკაში მეშვობის პარალელურად თავისი ინტელექტუალური ენერგიის უდიდესი ნაწილი მოიმპარა „მსოფლიოში სახელგანქმული კაცის" — პეტრე იბერის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლას. ამომწურავად გაანალიზა ამ სკეპტიზმე ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული თითქმის ყველა პირველწყარო და სპეციალური ლიტერატურა და შექმნა მონუმენტური გამოკვლევა, რომელშიც ადადგინა პეტრე იბერის „ხაზოგადოებრივი ფრესკა" (გეორგი ლეონიძის ტერმინია) და მისი სულიერი ხატება; ფრესკის კონტურები უფრო თვალსაჩინო და ხილეშეხებები გახადა უამრავი „შენიშვნით". „რეალიკით" თუ „რეალიკთა რეალიკით"; ამ კონტაქტშიგე იკვლია არგონავტიკის ეროვნული თეოლოგიური სტრუქტურა და წამოიწია უნიკალური გამოკვლევის „ვეფხისტყაოსნიდან" წერა, რომელშიც V საუკუნის ათენის კულტურულ-რელიგიური და ინტელექტუალური ყოფის სურათები ისე დაუახლოვა თანამედროვე მკითხველს, გიგენუნა, იმდროინდელი ათენელი მხატვარ-მემატიანე ყოფილიყოს; უცხოელი ავტორების კრიტიკულს ახალი მასალები შეესინა ნუფუბიძე-ბონგაშანის თეორიას პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციის შესახებ, თუმცა თავადაც დასძლია პატრიოტული ილტანება და თავის თანამოკალმეებსაც ზმიერი თავშეკავებისაკენ მოუწოდა, ამ ეტაპებზე მაინც, ხსენებული თეორიის, როგორც დადგენილი ჭეშმარიტების, ალირების საკითხში.

ჭეშმარიტ ხელოვანის ფუნქციათ დახაბა ახალი და უსასრული ქართული მწერლობის წარმომადგენელთა და თანამედროვე სწავლულთა ლიტერატურული პორტრეტები; ცალკე წიგნადაც მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებას...

ხვაგრიელად იღვაწა აკაკი გაწერელიან6 სიტყვაკაზმულ შემოქმედებაში. ნიშანდობლივია ასეთი ფაქტი: მის მხატვრულ შემეცნებრივობაში იმთავითვე (და შემდგომაც) გამორჩეული ადგილი დაიკავა მაშინდელ პირისეული ფრიდ სახიფათო თემამ — კაკაცხის გამოთავისუფლებელმა მოძრაობამ. მას ფზიდავდა (და იზიდავს) სახე უდრეკი მოიელის, თეორჩალნიანი იმპის შამლისა, რომელიც ძილგამფრთხილ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას ოცი წლის განმავლობაში აზაზნარებდა და ანეციფრებდა ცივილიზებულ ევროპას. აკ გამოვლინდა მისი ხელის მოძრაობის უმთავრესი საზრიანი. ამაში იგი დაემგვანა თავის დიდ წინაპარს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელმაც ტაბუდადებულ ნაპოლეონ ბონაპარტს ხელოვაქმნელი ძეგლი ოფო პოეზიაში: „ნაპოლეონ", რომლის თუნდაც ერთი ტაეპი — „ოვითონ სიფლავიც მეკეროოოს, თუ ტოლი მეკანდეს" — მთელ პოემას უდრის.

არიფერს ვამბობ აკაკი გაწერელიას გამბატრებულ „დაკვირვებებსა და შეობეკედლებებზე", სადაც საკაცობრიო სიბრძნისადმი ეიმარტოვ ერთდროულად ეკსტენციურიც არის და ინტენსიურიც, სადაც გონების სიღრმე და სიგანე ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს (რაც ღირს თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ბინა ნაზრეკი: „თვითონ სამყაროს მოდელიც, რომელიც ანიშტაინის ფიზიკამ შექმნა, თავიდან ბოლომდე უზარმაზარი სიმფონიური ნეოფიანაა" — თითქმის სიტყვა-სიტყვით დაემთხვა თვით ანიშტაინის გამოთქმას ატომის ავეიფლების შესახებ ნილს ბორის ნაშრომის შეფასებისას). აკ ეროვნულზელი ინტელექტუალური სიფრცის დაუფლებისა და მისი წარმტაცი განსაზღვრების წარმოსაფენელად შეიძლება მხოლოდ პოეტს დაესესხოს ეაკი: „ილეარიდ ნაპირი... არ ჩანდა შენაპირი".

ეხეე ცოტაა. დაუსაზღვრავი გაკვანება ჩინი სულისა და გონებისა ესწრაფვის მსოფლიოს უფველესი მითოლოგიის, ლიტერატურისა და ისტორიის შეცნობას, მაგ გამთელინანებს, წარმოიაჩინს კაცობრიობის ცხოვრების გრანდიოზული პანორამის ეროვნისაფერ „მიკროსკოპულ" ხატებას გილაამეშიდან მოყოლებული ტოლსტოის მოწყფის, თითქმის ჩვენი თანამედროვე მაკამის განდის ჩათვლით („დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი"). ამასაც არ სჭრიდა, ადამიანური ყოფიერების ზღვარს ეკით ბიდდა და „ფაუნის ბიბლიიდან" (ბრემის „ცხოველებისა და ფრინველების ცხოვრება") ბეკიხეელებს სასიფიით მოუთხრობს ცხოველ-

11. „ცისკარი" № 7-8.

თა და ფრინველთა უცნაურ, მომხიბველელ „ბიოგრაფიასაც“ კი (იქვე).

და ამ კაცს აკადემიამ არ აღირსა თავისი წევრობის პატივი, თუმცა ისიც საკითხავია, არის თუ არა თვით აკადემია მისი წევრობის პატივის ღირსი (ამით სულაც არ ვამბობ, რომ იქ ზოგი ღირსეული მოაზროვნეც არ მოღვაწეობდეს).

ამანაც ვერ გატეხა მისი უდრეკი სული და ნება.

და კვლავ განათებულია „ღამე ყოველ“ მარად ფენომენი მამაცი მოხუცის, იმ „მამაძაღლი გაწერილიან“ საბრძანისი ფალიაშვილის ქუჩის დახაწყისში, საიდანაც იმზირება ქართული აზრის სიფიზიზე და უკვდავება.

ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ: 1993 წლის 14 ივლისს ერთმა ჩემმა სათაყვანო მასწავლებელმა (აქ საგანგებოდ არ ვამბარობ სიტყვას „ყოფილმა“, რადგანაც ლღუნაც მის სტუდენტად ვთვლი თავს ამ სიტყვის ნებისმიერ განზომილებაშია), რომელიც წინამდებარე „შტრიხების“ ერთ, ცხადია, დადებით კონტექსტშია მოხსენებული თვით ბატონ აკაკის მიერ, მიამბო: ჩემი სადოკტორო დისერტაციის ოპონენტობა შესთავაზეს ბატონ აკაკის, რაზეც იგი თავაზიანად დათანხმდა (მე, ამ სტრიქონების აეტორმა მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ ბატონ აკაკი გაწერილიან ასეთი ჩვევა აქვს: თუ არ მოეწონება ესა თუ ის საკვალიფიკაციო ნაშრომი, დისერტანტს ფილიგრანული ეუნტით აგრძნობინებს, რომ არ შეუძლია მისთვის ოპონენტობის გაწევა). ნაშრომის გაცნობისას თითქმის სისტემატურად მიბარებდა ოჯახში, სადაც კდემითა და ეროვგვარად ეაურკვეველი, რადაცანირი სახიამოვნო შიშის შეგრძნებით ვეახლებოდი . მაგრამ ეს შიში (და არა კდემა) თანდათან ნელდებოდა ჯერ ზომიერი მოსაზენი, შემდეგ კი, თუ შეიძლება ითქვას — თანამონაწილე ვხდებოდი ჩემივე შრომის მისეული ზეაგებისა.

ხშირად, ძალიან ხშირად, ეეა თუ იმ საკითხის შეფასება-ინტერპრეტაციისას, მიმითითებდა წყნენების კარადაზე, მთხოვდა სათანადო მონოგრაფიის, კრებულის თუ ცალკეულ გამოკვლევათა ჩამოღებას და... იწყებოდა კითხვა-განსწავლა. ასე რომ, მასთან მე გავიარე აკადემია ჩემივე თავის შესამეცნებლად.

დაწერა რეცენზია სამიცდათოთხმეტი გვერდის მოცულობისა, რაც თავისთავად უდიდესი პატივიც იყო ჩემთვის და ერთგვარი სიამაყის აღმძვრელიც, მაგრამ პასუხსაგებიც. ჩემი ერთგვარი გოიცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თავისი ვრცელი რეცენზიის დასრულების შემდეგ მაგიდაზე დამიწყო უნიკალური გამოკვლევები და დაამატა: წაიღეთ ესენი შინ და ჩემთან ქამთათესს გამოიყენეთო (ჩემი მასწავლებლის ამ სიტკვებზე ცნობიერებაში ამოტიტტივდა ერთი ჩვენი წინაპრის ნათქვამი: „ესე საქმე მოურავმა უცხო ჰქმნა და საკვირველი!). გოიცებულმა იმით, რომ ოპონენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ თვითვე მოავაზობდა საბრძოლველად იარაღს, მაღლიერების გრძნობით აღვსილმა ხსენებული გამოკვლევები შინ წავიღე და... კვლავ გაგრძელდა ჩემი განსწავლა უნიკალური მასალებით. იმთავითვე შეეამჩნიე, რომ იგი, როგორც ოპონენტი, ჩემს ნაშრომზე დადებითი შეხედულებისა გაბლდათ და სწორედ ამიტომ დაუზარებლად უკეთ და შესაფერისად გამწვრთნა არა მხოლოდ საკუთრივ პაექრობისათვის, არამედ საერთოდ ინტელექტუალური თვალსაზრისითაც.

უმტკივნეულოდ მივიღე დოქტორის ხარისხი. მაგრამ არ გაგიკვირდეთ, თუ ვიტყვი, რომ მაშინ ჩემთვის თვით ამ ფაქტს კი არ ჰქონდა იმდენად მნიშვნელობა, რამდენიც ბატონ აკაკის მხრივ ჩემთვის გაწეულ თანამოაზროვნეობას, გაწვრთნასა და განსწავლას, თანადგომის გაწევას თვით მასთან, ე. ი. საკუთარ თავთან ჩემგან მოსალოდნელი კამათში თანადგომას. ეს ძალუძს არა ოდენ უაღრესად ინტელექტუალურ ადამიანს, არამედ ამასთან ერთად, და უწინარეს, უმაღლესი ზნეობის, ეთიკისა და პიროვნული ხიბლის მფლობელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ლასხიშვილი

მეცნიერების დირებულების საკითხისათვის უილიამ ჯეიმზის ფილოსოფიაში

უილიამ ჯეიმზის პრაგმატიზმის ინტერპრეტაცია-შეფასებას როგორც ქართულ, ასევე უცხო ენებზე არსებულ ისტორიულ-ფილოსოფიურ გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა. მეტიც: პრაგმატისტული ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი — ჭეშმარიტების პრობლემა იმდენად ღრმად შესწავლილად და თითქმის ამოწურულად ითვლებოდა, რომ ერთი ცნობილი რუსი მკვლევარი სულ ახლახან გამოცემულ სახელმძღვანელოში საკითხის დასმისთანავე აღნიშნავს, — პრაგმატიზმში ჭეშმარიტების გადმოცემა ოდიოზურ ფაქტად იქცაო; იგივე ითქმის პრაგმატიზმში ცოდნისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის მიმართების შესახებაც. ამ საკითხების კვლევის მეთოდოლოგიური სტერეოტიპები იმდენად მოქმედებდა, რომ კრიტიკული ანალიზის საფუძვლიანობა თითქმის უცილობელი იყო. კერძოდ, უ. ჯეიმზის პრაგმატიზმის კვლევისას ასეთ მეთოდოლოგიურ სტერეოტიპულ პრინციპად მოგვაჩნია სპეციალისტური მიდგომა და პრაგმატიზმისა და ამერიკული ცხოვრების წესის გაიგივება. ცხადია, ამ მეთოდოლოგიურ პრინციპებს მეტ-ნაკლებად ვერც ქართველი ფილოსოფოსები ასცდებოდნენ, მაგრამ ისინი ძირითადად ერთგულნი დარჩნენ ჭეშმარიტებისა, რადგან თავიანთ გამოკვლევებში ფილოსოფოსისათვის მილშერ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სტერეოტიპებს თითქმის არ მიმართავდნენ. ამიტომ დახტერია კ. ბაქრაძის, ვ. გოგობერიშვილის, ვ. გაგოიძის, ს. ავალიანის და სხვათა გამოკვლევები.

უ. ჯეიმზის ფილოსოფიაში მეცნიერების ლირებულების საკითხი, ცხადია, ლოკალური პრობლემა არაა. იგი ორგანულად უკავშირდება ფილოსოფიის რაობის და მეთოდოლოგიის გაგრძრბას, სუბიექტისა და ობიექტის, ჭეშმარიტების, ფილოსოფიისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის, ეთიკისა და სხვა კარდინალურ საკითხებს. პირსის მნიშვნელობის თეორია საფუძველად დაედო უ. ჯეიმზის პრაგმატიზმის, როგორც მეთოდისა და ჭეშმარიტების თეორიის, ჩამოყალიბებას. პრაგმატისტული მეთოდის საფუძველზე მოაზრებული იდეალისტური და მატერიალისტური მსოფლგაგება ადამიანის ნებას, თავისუფლებას აუქმებს. მატერიალიზმის მიხედვით, ადამიანი ბუნებას უნდა შეეგუოს და ნებისმიერი, არაადამიანური ჭეშმარიტებაც მიიღოს, დაემორჩილოს მას. იდეალიზმშიც ადამიანის ბედი абსოლუტის მიერაა განსაზღვრული. მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის განსხვავება მხოლოდ ემოციურ საფუძველზე დაიყვანება — „მკაცარ“ ტემპერამენტის ადამიანი მატერიალიზმს აირჩევს მისი უფროვი ბუნებით და უგონო კანონებით, ხოლო „რბილი“ ტემპერამენტის ადამიანი აირჩევს იდეალიზმს, როგორც თეიზმთან, ღმერთთან მისვლის შესაძლებლობას. პრაგმატისტული მეთოდი მატერიალიზმის და იდეალიზმის დადებით ტენდენციებს აერთიანებს — „პრაგმატიზმს აქვს უნარი იყოს რელიგიური ხასიათისა, როგორც რაციონალიზმი და ამავე დროს, ემპირიული სისტემის მსგავსად, შეინარჩუნოს ინტამური კავშირი ფაქტებთან“.

უ. ჯეიმზის პრაგმატიზმში ტრადიციული ფილოსოფიიდან კრიტიკული ანალიზის უპირველესი ობიექტებია, ერთი მხრივ, ჰეგელისა და სპენსერის ფილოსოფია, ხოლო მეორე მხრივ, ამერიკელ-ინგლისელი ნეოჰეგელიანელები: როიისი, ბრედლი, ბოზანკეტი და სხვ. უ. ჯეიმზის აზრით, ჰეგელმა „абსოლუტი“ ინტელექტუალური მონარქის დონეზე დააყენა, რომელიც უსაზღვრო უფლებამოსილების გამო სამყაროსათვის პროკურატურს სარეცელად იქცა, სადაც-ნაც გაბნდეენა რწმენა, თავისუფლება, მორალურ-ემოციური ფენომენები; შეეხებვენთმა და საყაოის მოვალსახეობა ულტრარაციონალისტურ ერთიანობაზე დაიყვანა, ჰეგელის ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსოფიის არსებით ნაკლად მისი დიალექტიკური მეთოდი ჩათვლილი, რომელიც აპროორულად იღებს იმას, რაც მხოლოდ მრავალფეროვნი ინდუქციის შედეგად შეიძლება მივიღოთ. ჯეიმზი სანტაიანის ფილოსოფიას უფრო შემწყნარებლურად ეფასებს, მაგრამ, ჰუმანიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, საბოლოოდ არსებითად უარყოფს მას, რადგან მისი „შრალი" რაციონალისტური მატერიალიზმი და დეტერმინიზმი ვერ ითავსებს ადამიანის სუბიექტურ-ემოციურ საწუხებელს. ღმერთის მნიშვნელობას, ჯეიმზის აზრით, მატერიალიზმი ადაბალს მარტო ტოვებს მისგან გაუღებლებულ არაადამიანურ, მკაცრ სამყაროში და თითქმის თავისუფლებაწართმეულ, ცნობიერების მქონე უსულო მანქანად აქცევს. მატერიალიზმი თეორიულად და პრაქტიკულად უარყოფს იმ ღირებულებებს, რომლებიც ასე ძვირფასია ადამიანისათვის, საზოგადებისათვის. ასეთნაირ ღმერთის რწმენა, მშვენიერებისადმი ლტოლვა, ზნეობრიობა: „ეს ფინალური კრახი ყველფრისა, საბოლოო ტრაგედია, — წერდა ჯეიმზი, — მეცნიერული მატერიალიზმის მოუცილებელი ნიშანია". როცა მატერიალიზმად ინტელექტუალიზმის, ლოგიკის, მეცნიერებად მოხმობილი არგუმენტაციით უარყოფს ღმერთის რწმენას, ამით უარყოფს ზნეობრივი მსოფლწესრიგის მარადიულობას. პრაგმატისტული მეთოდის საფუძველზე დილემა: მატერიალზმი თუ თეიზმი — უკანასკნელის სასარგებლოდ წყდება, რადგან ღმერთის რწმენა ადამიანისა და საზოგადოების სიმყარის საფუძველია, მარადიული მსოფლწესრიგის გარანტიაა... იქ, სადაც ღვთაება, ტრაგედია ფრთებითია, ტოტალური არაა, ინდივიდის ფინალური კრახი ყველფრის და ყოველივეს დასასრული არაა.

ჯეიმზი უარყოფს მონიზმისა და სუბსტანციალიზმის იდეებს, რომლებსაც სქოლასტიკამ გაბატარება ფილოსოფიაში და რომელმაც შედეგად ფილოსოფიის წამყვანი იდეებს სტატუსი მოიპოვა. როგორც მატერიალისტურ, ასევე იდეალისტურ მოძღვრებებში აბსოლუტის კატეგორიებზე დაფუძნდ მონისტური სისტემები, რომელთაგან ზოგი სამყაროს რედუცირებას „აბსოლუტისკენ" ახდენდა, სხვებს ამ „აბსოლუტიდან" სამყაროი დედუცირებით გამოპყავდათ. ჯეიმზი იზარებს ბერკლისა და იუმის ანტიუსუბსტანციალისტურ პოზიციებს, მაგრამ საკირო თვლის მათ შეეხებას „ხარგებლიანობის" პრაგმატისტიული არგუმენტებით: „ყოველი სუბსტანცია ჩვენთვის ცნობილია როგორც გარკვეული კომპლექსი ატრიბუტებისა, რომლებიც ჩვენი ფაქტობრივი ცდისათვის ერთიანდერთნაღდ ღირებულებას წარმოადგენენ, საზრის მხოლოდ ცდაში მოცემულ თვისებებს გაჯრნიათ, მათ გარეშე „სუბსტანციის" ცნებას ჩვენთვის არავითარი პრაგმატისტული მნიშვნელობა არა აქვს". აბსოლუტის იდეა სამყაროს ანსნას ერთი პრინციპიდან ამოსვლით ცდილობდა, იგი იმდენად ტოტალური იყო, რომ მრავალსახეობას ერთიანობით ცვლდა, დროს — მარადიულობით, ბოროტებას — სიკეთით, არასრულყოფილებას — ჰარმონიით.

აბსოლუტს უარი ეთქვა „ბოლოვადი რეალობის" ფუნქციაზე, რომელიც პრაგმატიზმში „ცდას", „მოვლენას", „უშუალად მოცემულს" გადაეცა. ჯეიმზის პრაგმატიზმში უარყოფილია სამყაროს სუბსტანციალისტური ახსნა მისი პრინციპების მეტაფიზიკურობისა და ღოგმატურობის დასაბუთების ცდით. პრაგმატიზმი ნინამდელის სუბსტანციალისტურ უნივერსალურ-ლოგიკურ განსაზღვრულობებს ცვლის უშუალო, კონკრეტული, ინდივიდუალური განსაზღვრულობებით, რაც საფუძველს აძლევს დაძლიოს ფეზიკურისა და გონითის დიქოტომია. ამიტომ ბენთეოლოგიურ-მეთოდოლოგიური მიმართულებაც იცვლება. პრაგმატიზმი მეცნიერების, შემეცნებაში ინტელექტის, ლოგიკის, რაციონალურის პრობლემას იხილავს ადამიანის შემოქმედებით ბუნების „მიწიერ საფუძველთან", „ცდის ნივთიერებასთან" მიმართებაში, რომელიც მოაზრებულია როგორც გრძნობადის, ემოციურის, ლოგიკურის, ეროტიკურის, ესთეტიკურის, რელიგიურის ერთიანობა. ჯეიმზის „რადიკალური ემპირიზმის" მიხედვით სინამდვილე პლურალისტური სამყაროა, რომელშიც არაა აუცილებლობა, მაზუზ-ზედეგობრივი კავშირები. სამყაროში მხოლოდ პირველხარისხოვანი ნეიტრალური, არამატერიალური „ნივთიერებაა", რომელიც „წმინდა ცდად" არის გაგებული, სამოლოოდ კი „ცნობიერების ნაკადად". ის, რასაც ჩვენ სუბიექტურს და ობიექტურს, იდეალურს და მატერიალურს ვუწოდებთ, მხოლოდ „წმინდა ცდის" ნაზღვრებში არსებული ფუნქციური მნიშვნელობისაა. ნებისმიერი „ცდის მონაკვეთი" ერთ მიმართებაში შეიძლება შემმეცნებელი სუბიექტის ცნობიერებად გავიგოთ, ხოლო მეორე მიმართება-ში შესაძენელად ობიექტად. ჯეიმზს „რადიკალური ემპირიზმში" ტრადიციული ფილოსოფიური პრობლემების — რეალობის, სუბიექტისა და ობიექტის, ეგზმარიტების, ცოდნისა და რწმენის და სხვათა კვლევას ცდის პრაგმატისტულ გაგებაზე აფუძნებს, როცა წინა ქმაზნზე მატერიალისტური ემპირიზმისაგან განსხვავებით, სუბიექტური ვითარება ეწმინდეფილი. ემპირისტი ლოკი ორგვარ ცდას აღიარებდა—გრძნობად აღქმას, როდესაც საკანი და შთაბეჭდილება ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ და შინაგანს, როდესაც რეფლექსიის ობიექტია უკვე მიღებული შთაბეჭდილებები, სულიერი ცხოვრების მთელი შინაარსი—აზროვნება, რწმენა და ა. შ. ცდა, როგორც გაგცდათ და შთაბეჭდილებების ერთობლიობა, როგორც ცნობიერების ნაკადი, ორივე შემთხვევაში არსებობს. ჯეიმზისათვის ისეთი ცდა

ამოსავალი, რომელშიც გარეცხმაყარო ელიმინირებულია, განდევნილია, მაგრამ ქმნის პრაგმატისტულად გაგებულ სინამდვილეს, რეალობას. პრაგმატისტული ცდა სტრუქტურულად ასე წარმოდგება: 1. შეგრძნებები, როგორც ადამიანის გარემომცველი სინამდვილის საშენი მასალა, „ნივთიერება", ე. წ. „სუბსტანციური", შეგრძნებები, რომელთა წყარო უცნობია; 2. მიმართებები, რომლებიც შეგრძნებათა მსგავსად ცნობიერების უწუყვე ნაკადშია ჩართული და წარმოადგენენ მეცნიერული ცნებების, თეორიების პოტენციურ სფეროს; 3. ჭეშმარიტებათა ერთობლიობა, რომლებსაც შეგრძნებებისა და მიმართებათა თაობაზე დავდგენთ. როგორც ვხედავთ, ცდა და სინამდვილე იდენტური აღმოჩნდა. ამიტომ სინამდვილის საგნები ცნობიერების ნაკადიდან ნებელობითი აქტებით დიფერენცირებული რეალობებია. ინდივიდის „ბუნებაში ნებელობით ელემენტს უპირატესობა აქვს შემეცნებითზეც და გრძნობადობაზეც. მარტივად თუ ვიტყვით, აღქმა და აზროვნება ნებელობითი აქტებისათვის არსებობენ". მაგრამ ნებელობასაც არა აქვს ამსოლუტური ხასიათი, ის ადამიანის მიზანს ემსახურება, ადამიანი ბიზნობრივად მოქმედი, მიზანმიმართული არსებაა. ჭეიმზი „ფსიქოლოგიის საფუძვლებში" წამოაყენებს და შემდგომ განავითარებს პრაგმატიზმის ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვით ცნობიერება, გამოელენის ფორმების მრავალსახეობის მიუხედავად, „არჩევითი აქტივობაა", „მიზნისათვის მებრძოლია".

ჭეიმზი შემეცნებითი სუბიექტივიზმის დაძლევას ცდილობს იმ პრინციპის დასაბუთებით, რომ ახალი ჭეშმარიტებისთვის ადგილი უნდა იყოს ძველ ჭეშმარიტებასთან და ახალ ფაქტებთან. ამ მხრივ პრაგმატიზმი თითქოს იზიარებს ჭეშმარიტების კლასიკურ გაგებას, როგორც იდეისა და რეალობის შესაბამისობას. „რეალობად ჩვენ გვესმის, — წერს ჭეიმზი, — ერთი მხრივ, კონკრეტული ფაქტები, მეორე მხრივ, აბსტრაქტული საგნები და მათ შორის მიმართებები, რომლებიც ინდუიტურად შეიმეცნება. შესაბ, აქვე შემოდის ჩვენს გამგებლობაში არსებული ჭეშმარიტებების ერთობლიობა, რადგან ახალი იდეები „მათაც უნდა ეთანხმებოდნენ"; „შესაბამისობად", თუნდაც „სიმბოლოზაციის" აზრით, უნდა გავიგოთ ენისმიერი პროცესი, რომელსაც იდეიდან მომავლის რომელიმე ხდომილებამდე წარმატებით მივყავართ". რაგდან პრაგმატიზმში „ფაქტები" შეგრძნებათა მყარი ერთობლიობაა, საბოლოოდ იდეისა და რეალობის შესაბამისობა ნიშნავს შეგრძნებებისა და ცნებების შესაბამისობას, რაც ინდივიდისათვის ერთადერთი სინამდვილეს — ცნობიერების ნაკადის სხვადასხვა მახასიათებელია. სინამდვილის სამი კომპონენტიდან უმთავრესს ფუნქციის დასაგენად გავიმეოროთ ჭეიმზის აზრთა მსვლელობა: „ავიღოთ ჩვენი შეგრძნებები. ის ფაქტი, რომ ისინი არსებობენ, ცხადია, ჩვენი კონტროლის მიღმა ძევს. მაგრამ ჩვენს პირად ინტერესებზეა დამოკიდებული, მთავარს რომლებს მივაქცევთ ყურადღებას რომლებს ვაკმაყოფილებ და ჩვენს დასკვნებში რომლებს ვუწევთ ანგარიშს. ამის მიხედვით ვიღებთ ჭეშმარიტების სხვადასხვა ფორმულირებას. ჩვენ განსხვავებულად ვგესმის ერთი და იგივე ფაქტები. სინამდვილის მოცემულობა მასვე ეკუთვნის, მისი შინაარსი დამოკიდებულია არჩევანზე, ხოლო არჩევანი ჩვენზე". სამყარო აბსოლუტურად პლასტიკური მასალის წარმოადგენს... „ჩვენ ვქმნით როგორც ჭეშმარიტი, ასევე მცდარი მსჯელობების სუბიექტებს. მაგრამ ჩვენ ვქმნით ადგილვე პრედიკატებს". მაშასადამე, რეალობა თუმცა არ არსებობს შეგრძნებების გარეშე, მაგრამ მისი კონკრეტულობა და ვანსაზღვრულობა ჭეშმარიტებას ეკუთვნის. სამყარო ჭეშმარიტებათა სისტემის მიხედვით შემოდის ჩვენში, ხოლო ჭეშმარიტებას ადამიანი ქმნის. ამრიგად, „ჭეშმარიტების ქმნადობა" და „რეალობის ქმნადობა" ერთმანეთს უტოლდება, რის გამოც ჭეშმარიტება გნოსეოლოგიური კატეგორიიდან ღირებულებით კატეგორიად იქცევა. ჭეიმზის პრაგმატიზმის მიხედვით, ერთადერთი რეალობები რწმენის ობიექტებია, რომელთა შესახებ შეიძლება ვიმსჯელთ და რომლებიც ქცევის რეგულატორებად გვევლინებიან. ამიტომ რწმენისეული ნება „წმინდა ცდის" რეალური საფუძველია. ამდენად ჭეიმზის ემპირიზმის „რადიკალობა" ცდის შინაარსის უნივერსალობასაც ნიშნავს, რომელიც ერთიანებს ინდივიდისათვის მნიშვნელოვნად რაციონალურსაც და არაციონალურსაც, ინტელექტუალურსაც და გრძნობადსაც, მეცნიერულ-თეორიულსაც და ემპირიულსაც. ცდის ამ პლასტიკურობის, მრავალსახეობის არაანობიერ საფუძველად ღერეთის იდეა გვევლინება, მაგრამ არა როგორც რაციონალისტური ფილოსოფიის „აბსოლუტი", რომელშიც ინდივიდუალურ-კონკრეტული ნიველირებულია, არამედ როგორც ადამიანური ნების, თავისუფლების, აქტივობის, ინდივიდუალურის საფუძველი: „თუნდაც მისი ნამდვილობა დასაბუთებული არ იყოს, იგი ასე თუ ისე მაინც უნდა ვიწამოთ, მხოლოდ ფილოსოფიის მტერს შეუძლია მისი აუგად ხსენება".

მაშასადამე, ჭეიმზი „რადიკალური ემპირიზმის" პრინციპების და ჭეშმარიტების პრაგმატისტული თეორიის საფუძველზე წყდება რელიგიური რწმენის საკითხებიც. ადამიანის ნებელობა განსაზღვრავს არა მხოლოდ პრაგმატისტულ ემპირიულ სინამდვილეს, არამედ ზებუნებრივი სამყაროს არსებობასაც. ჭეიმზი ეთანხმება ოპონენტებს, რომ შეუძლებელია ღერეთის, რელიგიური რწმენის ლოგიკური, კოსმოლოგიური ან სხვაგვარი დასაბუთება. პრაგმატიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციონალური მეთოდები უარყოფილი იქნა ზებუნებრივი სამყაროს წვდომის აზრითაც. ჭე

-ბში რელიგიური რწმენის ფსიქოლოგიურ ახსნას გვაძლევს. რელიგიური ცდის არსებობის ფაქტი, რომლის დრისაც ადამიანი ღვთაებას ისევე რეალურად განიცდის, როგორც სხვა ადამიანთა არსებობას. ეს ფაქტი გვიმეღვნებს ადამიანის ნებისეულ რწმენას, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის უინტიმურეს და საარსებო მოთხოვნილებებს, ინტერესებს. მხოლოდ რელიგიურ რწმენას შეუძლია ადამიანის ზნეობრივი მოქმედების მოტივაცია. რელიგიური რწმენა ადამიანის ბედღისაწმენ მარგალიტრებელ ფაქტორად მოქმედებს და ოპტიმიზმის, აქტიურობის, სიმშვიდის, მარადიულნი დფფუნების საშუალებაა. ჭეშმარიტების პრაგმატისტული თეორიის მიხედვით, ამდენად, ღმერთი და მისი რწმენა ჭეშმარიტებად უნდა ვაღიაროთ: რელიგია ადამიანს უმსუბუქებს და სიხარულად აქცევს იმას, რაც სხვა ვითარებაში მკაცრი აუცილებლობის ტვირთს წარმოადგენს.

ჭეშმარ მიხედვით პრაგმატიზმი ჰარმონიულ ურთიერთობაშია ტრადიციულ ფილოსოფიურ მიმართულებებთან. ნომინალიზმის მსგავსად მიმართულია კერძოს, ინდივიდუალურისაკენ; უტილიტარიზმის დარად სინამდვილის პრაქტიკულ ბუნებაზე ამახვილებს ყურადღებას; პოზიტივიზმთან ერთად უარყოფს მეტაფიზიკურ აბსტრაქციებს. ერთი სიტყვით, პრაგმატიტული მეთოდი იზარებს ანტინინტელექტუალურ ტენდენციებს, უმირსსირდება რაციონალისტურ მეთოდებს. ამავე დროს თვით მოძღვრებაც ირა, არაშედ მეთოდ ფა, ფართო გაგებით, ეეშმარიტების თეორიას წარმოადგენს.

ჭეიმზს მიერ განვითარებული პრაგმატიტული ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველნი წყდება მეცნიერებისა და მისი ლოგიკური აპარატის — ცნების, თეორიის, კანონის და სხვათა ფუნდამენტური საკითხები. მეცნიერება ინტელექტუალური, რაციონალური ეტაპებისგან მოკოფებული ცოდნის სიტეკმატიზაციაა, ხოლო შემეცნების ინტელექტუალურ-ლოგიკური ფორმები რეალობის შესაბამებლად არ გამოდგება, რადგან ადამიანისა და კაცობრობის პრაქტიკამ დააკანონა მათი როგორც აბსოლუტური სტატიკურობა, ასევე სიმბოლიზმი. მეცნიერების შემეცნებითი შეზღუდულობა განსაზღვრულია მთელი მისი ლოგიკური აპარატის სუბიექტიკით. ცნება, მსჯელობა, თეორია, ანალიზი და სინთეზი, განზოგადება, აბსტრაკცია და ა. შ. კლასიფიკაციის პრინციპებს ეფუძნება, მაშინ, როდესაც სინამდვილე კლასიფიკაციას და ფორმალიზაციას არ ემორჩილება. მეცნიერება, მისი თეორიები ინსტრუმენტალურია, ე. ი. ისინი სინამდვილესთან შეგუების გარკვეულ გონებრივ წესებს წარმოადგენენ და არა სამყაროსეული არსობრივი საკითხების ლოგიკურ-ეკვივალენტურ შემეცნება-გადაწყვეტას. მეცნიერების კანონები აბსოლუტური ღირებულება არ გააჩნიათ, რადგან კანონი ყოველთვის კონვენციონალურია, შემჩნეული მეცნიერების მიერ და წარმოადგენს სინამდვილის გარკვეული მეთოდოლოგიური ახსპეკტების გაანალიზებისა და შესწავლა-შეთანხმების შედეგს. სინამდვილის კანონზომიერების დასადგენად მეცნიერებაში მიღებული ზომის ერთეულების სისტემა აბსოლუტურად პირობითია და შემეცნების ობიექტისათვის უცხო. მეცნიერება სინამდვილიდან გამოაყოფს საკუთარ ობიექტს, ქმნის იზოლირებულ, ჩაკეტილ სისტემას, ეს ობერაცია ხელოვნურია, თუმცა გაანნია გარკვეული საფუძველიც. წინაალმდეგ შემთხვევაში აუსწნელი იქნებოდა თუ მეცნიერების კანონი რაღაც არის ერთ შემთხვევაში გამოსადეგი, მეორეში — არა. ეს აიხსნება სინამდვილის ტენდენციით — შეკმნის დროებითი სისტემები, რომლებიც შეიძლება გამოიყოს და შესწავლილი იქნას ფიზიკურ-მათემატიკური აპარატით. მაგრამ ვინაიდან ეს მხოლოდ ტენდენციაა, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია, ამდენად გამოყოფა არასოდეს არაა სრული. მეცნიერების აბსოლუტური რელატივიზმი ინტელექტის, აზროვნების სიმბოლურობითაა განსაზღვრული. მეცნიერების ენა ჩვეულებრივ ენასთან შედარებით მეტი სიზუსტით ხასიათდება, მაგრამ ის მაინც სტატიკურად გამოხატავს სინამდვილის მოძრავ, განვითარებად ბუნებას. მეცნიერება აუცილებლობით იყენებს სინამდვილის „აზროვნებით ეკვივალენტს" — ხელოვნურ ცნებებს, აზროვნიკ კონსტრუქციებს, რადგან შემეცნებაში მხოლოდ ინტელექტს ეშყარება. ინტელექტის პრაქტიკული მიმართულება კი მეცნიერების უტილიტარულ ბუნებას განსაზღვრავს. მეცნიერების ეს ფაქტობრივი ფუნქცია მას არამეცნ შესაძლებლობას სინამდვილის ეეშმარიტი შემმეცნებლის როლში მოგვევლინოს. მეცნიერება რომ პრაქტიკული მიზნებისაგან თავისუფალ თეორიულ ძალად იქცეს, რეალური შესაძლებლობაა, მაგრამ თეორიულ სფეროშიც იძულებულია თავისი ფუნქციობა პრაქტიკული მიზნების საერთო გეგმას შეუფარდოს.

მეცნიერების განვითარების ადრინდელ ეტაპზე, როცა ინდუქციური ლოგიკის საფუძველზე და, საერთოდ, რაციონალისტური, ინტელექტუალისტური პრინციპების ბატონყენებით დადგენილ იქნა კანონები, როგორც ბუნების მათემატიკური, ლოგიკური და ფიზიკური ერთგვაროვნება, ფიქრობდნენ, რომ უკვე ჩაწვდნენ ხამაყოს ბოლოვად, აბსოლუტურ არსებას. მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, რომ მისი კანონების უმრავლესობას და, შესაძლებელია, ყველას, მხოლოდ მიაზოგებითი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული გონი გამხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვვალა თავისებურმა სკეპტიკურმმა, რადგან „არც ერთი თეორია არაა სინამდვილის აბსოლუტური ასლი და თითოეული შეიძლება სასარგებლო იყოს ამა თუ იმ განსაზღვრული აზრით. თეორიებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ძველ ფაქტებს აკავშირებენ და ახალი ფაქტებისაკენ მიგვაჯართ"; თეორიები თავისებურ ხელოვნურ ენას, ლოგიკურ სტენოგრაფიას წარმოადგენენ, რომელთა მეშვეობით ბუნების შესახებ ანგარიშს ვიდგენთ. ამრიგად, ადამიანურმა თვითნებობამ მეცნიერული აზრიდან ღვთაებრივი აუცილებლობა განდევნა.

ჯეიმზი მეცნიერული აზრისათვის შექმნილ ამ არაადეკვატურ შემეცნებითი კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალს მეცნიერების მიერ ჭეშმარიტების პრაგმატისტული გაგების აღიარება-მიღებაში ხედავს; ამიტომ, ეფექრობთ, რომ იგი მეცნიერებისა და მისი ლოგიკური აპარატის შემეცნებითი გაამსოლუტების წინააღმდეგია და არა უარმყოფელი, თუნდაც მისი გარკვეული თეორიულ-შემეცნებითი ღირებულების აღიარების აზრითაც. ჯეიმზი წერს, რომ შილერისა და დიუის პრაგმატისტული კონცეფციით, ჩვენი რწმენისა და მეცნიერების ჭეშმარიტებანი გარკვეულად ერთგვაროვანნი, რადგან ყოველნის ლოგიკური ფუნქციობაც აუცილებელია ცდის სხვადასხვა კომპონენტების ჰარმონიზაციისათვის. აზრი ჭეშმარიტია, როგორც ლოგიკური ფუნქციობის იარაღი, ინსტრუმენტალურად. ჯეიმზი მეცნიერებას, მის ლოგიკურ მეთოდებს უარყოფს იმ საფუძვლით, რომ რაციონალურ სქემას ცდისეული სამყაროს მრავალსახეობის გამოხატვა არ შეუძლია, რადგან ცდის თვისობრივი მრავალსახეკენტროსნის ერთ გნოსეოლოგიურ ამსნელენ პრინციპზე რედუცირებით, დაუვანით, კონკრეტული და ინდივიდუალური მოპოვებული გნოსეოლოგიური ინფორმაციის მიღმა რჩება.

მეცნიერული შემეცნება ინტელექტუალურია, მაგრამ არა თეორიული. ინტელექტუალურია, რადგან ჩვენი აწმყო თუ მომავალი შესაძლებელი პრაქტიკული ზემოქმედება ყოფიერებაზე ლოგიკური მეთოდებით არის განსაზღვრული. ანალეზი, სინთეზი, აბსტრაკცია, შედარება-განსხვავება, იგივეობის, საკმაო საფუძვლის და სხვა კანონები მეცნიერების ინტელექტუალობის დასტურია. მაგრამ სწორედ ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ მეცნიერული შემეცნება თეორიულია, ვინაიდან ინტელექტი საგანთა მხოლოდ ისეთ მიმართებებს წვდება, რომლებიც შეიძლება პრაქტიკის ობიექტად იქცნენ. მეცნიერების თეორიულ შინაარსზე როცა მსჯელობენ, „თეორიის" ორგვარ მნიშვნელობას ურევენ ერთმანეთში, თეორია-ცოდნის, როგორც პრაქტიკის საფუძველს და „თეორიას", როგორც დაუნტერესებელ ჭვრეტით ცოდნას. თანამედროვე მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა უპირატესად პრაქტიკულია, ჩვენი პოტენციური აქტიურობის მორგანიზებელი ფაქტორია და, ამდენად, არაა თეორიული. მაგრამ ინტელექტუალიზმი და, შესაბამისად, მეცნიერებაც თეორიულობას სრულად არაა მოკლებული. ინტელექტს ბრილიანი თეორიული ფუნქციაც მიეწერება, როგორც შესაძლებელი გზა ჭეშმარიტი თეორიისაკენ, რომელიც უკვე არაინტელექტუალურ შემეცნებით ძალებს გულისხმობს — სუბიექტურ ინტელიგენას, რეალობის მისტიკურ გრძნობას, იდუმალებას, ვინაიდან ინტელექტუალური შემეცნება გენეტიკურად პრაქტიკითაა განსაზღვრული და თვით მეცნიერებამდე ამაღლებული თანამედროვე ინტელექტიც მაინც პრაქტიკაზეს ემსახურება. ამდენად, ლოგიკური მეთოდებით მიღებული ცოდნა ზედაპირული, მოვლენების ცოდნაა, ხოლო პრაქტიკული მიდგომა არაა შემეცნებითი მიდგომა, და, ამდენად, ტრადიციული ფილოსოფიისა და პოზიტიური მეცნიერების პრაქტიკული ხასიათი უკვე მაჩვენებელია მეცნიერების, ლოგიკური მეთოდების საბედისწერო შემეცნებითი შეზღუდულობისა. ტრადიციული ფილოსოფიურმა სისტემამ სწორედ ლოგიკური მეთოდების გამო ვერ გადაჭრეს ყოფიერების აბსოლუტურ ერთიანობასა და მის კონკრეტულ მრავალსახეობას შორის არსებული წინააღმდეგობა. ჯეიმზი აქ მიუთითებს სპინოზასა და იუმის მოძღვრებებზე, როგორც ამ წინააღმდეგობების დაძლევის ურთიერთსაპირისპირო ინტელექტუალურ ცდებზე. შემდეგ საგანგებოდ ანალიზებს კლასიფიკაციის პრინციპებს, რომლებიც ინტელექტუალიზმს ამ წინააღმდეგობის დაძლევის საფუძვლად და თეორიული გონების უმაღლეს გამოვლინად მიაჩნია. „ამრიგად, — წერს ჯეიმზი, — თეორიული ფილოსოფია მთლიანობაში შეიძლება იყოს სამყაროს შემადგენელი ნაწილების მხოლოდ კლასიფიკაცია; მისი შედეგები ყოველთვის აბსტრაქტული იქნება, რადგან ყოველი კლასიფიკაციის საფუძველს კონკრეტულ ფაქტებში განსახიერებული აბსტრაქტული არსება წარმოადგენს, ამასთან ამ ფაქტების დანარჩენი თავისებურებანი კლასიფიკაციის მიღმა რჩება". ვინაიდან კლასიფიკაციას საფუძვლად შერჩევა და, საბოლოოდ, პრაქტიკული დაინტერესების პრინციპი უქვეს, ამდენად, იგი წარმოდგება, როგორც ჭეშმარიტების არაადეკვატური შემცველი, ცხოვრების გამარტივებული ფორმულა, რომელშიც რეალობა აბსოლუტურად დაკარგულია. ჯეიმზის აზრით, ეს ვითარება მეცნიერების, ინტელექტის ანალიტიკურმა ბუნებამ განსაზღვრა. ინდივიდუალურის, მთლიანის, მრავალსახეობის სინთეზი აზროვნების ბაზაზე ფიქცია, არაა ჭეშმარიტი ცოდნა. ლოგიკური სინთეზის შედეგად დადგენილი ცნების რეალობასდმი არაადეკვატურობის საფუძვლად ჩთვლილია ანალიზის უსასრულოდ განხორციელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედულებრივ. ანალიზი სიმბოლოთა უსასრულო რიცხვითი სინამდვილის თარგმნის პროცესს წარმოადგენს და სწორედ ამიტომ ვეძიოდეს მიგვიყვანს ობიექტური არსებამდე. ანალიზი წყდება ეხლოდან განმეორებადს, ერთგვაროვან ელემენტებს და, რადგან სინამდვილისთვის არსებითია მოძრაობა-განვითარება, იგი ლოგიკური სინთეზით მიღებული ცნებით ვერ შეიზღუდება. სინთეზის საფუძველზე შექმნილი ცნება სინამდვილეს ასახავს მოცულობისა და არსებობის ასპექტში. რეალური ობიექტის რაგვარობის მიუხედავად, მეცნიერება ქმნის ლოგიკურ ობიექტებს, რომლებიც რეალურის მხლოლდ მიახლოებით ანალოგს წარმოადგენს. ინტელექტუალიზმის საფუძველი განსაზღვრულია ადამიანის იმ უნარით, რომელსაც შეუძლია წმინდა ცდის ნედლი ნაკადი ცნებათა სისტემად აქციოს. მეცნიერული აზროვნების მადალორგანიზებულ ფორმებში ცნების განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა აზროვნება, პროცესის თვალსაზრისით, მსჯელობებით ხორციელდება. ლოგიკა საგნის ანალიზს მსჯელობით დაიწყებს თუ ცნებით, როგორც მსჯელობის საწყისი ელემენტით, თეორიულ-აზროვნებით პროცესში მსჯელობა ცნების დადგენის საშუალებად იქცევა. სწორედ ამიტომ ჯეიმზი მეცნიერების და ინტელექტუალიზმის კრიტიკას კონცეპტუალიზმის კრიტიკას უკავშირებს. პრაგმატიზმის მიხედვით, ცნების პრაქტიკული ღირებულებისა და სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობა ერთმანეთს გამორიცხავენ. ცნება საგანთა მიმართებების თარგმანს წარმოადგენს. ამიტომ მისი ღირებულება ჭეშმარიტებით კი არ განისაზღვრება, არამედ პრაქტიკული სარგებლიანობით. ინტელექტუალურ შემეცნებას ლოგიკური ანალიზით ცნებისაკენ მიეყავართ, მაგრამ რადგან ანალიზს სინამდვილის არსება ხელიდან უსხლტება, გასაგებია, რომ ცნების ფუნქციად რჩება აღქმის მონაცემებიდან ერთგვაროვანი ელემენტების მოწესრიგება. ახსტრაქციისა და განზოგადების მეშვეობით ცნების დადგენა სინამდვილის არსებობაზე მიმართობას არ ნიშნავს, ხოლო ინტელექტისა და ენის ხელოვნურობა იმაშია, რომ საბაყოოს ძირეულად განსხვავებული სტრუქტურული ერთეულებიდან. პროცესებიდან ექმნით ერთიან ახსტრაქციას, წარმოდგენას საერთად რაღაც განუსაზღვრელ ქმნადობაზე. „ჩვენი ცნებები ფიქსირებული და წყვეტილია, — წერს ჯეიმზი, — ერთადერთი წესი სიცოცხლესთან მათი შესაბამისობის დასადგენად თვით სიცოცხლეში წყვეტილობის თვითნებური დაშვებაა... ისინი უფრო ვარაუდებია, რომელთა საშუალებით ისევე შეუძლებელი რეალობის სუბსტანციის ამოწურვა, როგორც წყლისა, თუნდაც წვრილნაჭოსი დადო". ჩვენი ლოგიკა სიცოცხლის მიმართაც იყენებს იმ კატეგორიებს, რომლებითაც მოიაზრება მხოლოდ უცვლელი, იგივეობრივი. ამიტომაცაა მათთვის მიუწვდომელი კონკრეტული, ცოცხალი ცდა. „სიცოცხლის ნედლი პროცესი ჩვენი ლოგიკური აქსიომების მუდმივ რღვევას წარმოადგენს". მეცნიერული ანალიზი ორგანული შემოქმედების პროცესებში ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორების უფრო და უფრო მეტ რიცხვს აღმოაჩენს, მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ განვითარების, სიცოცხლის შემეცნებაც შესაძლებელ ღრმავდება. მიუხედავად განვითარების ლოგიკური მეთოდებით შემეცნების რელატიურობისა, ჯეიმზი ამარცლებს ობიექტისადმი ასეთ მიდგომას, რადგან სიცოცხლე მეცნიერებისათვის მხოლოდ ამ წესით არის ბინასწვდომი. ცნებითი მეთოდი არაა მიწოდებული ჭეშმარიტი, ფონებაკვეშეტი, არაპრაქტიკული შემეცნებისათვის. იგი სიცოცხლის ნაკადის განსოლოლოგიური გარდაქმნაა პრაქტიკული მიზნებისათვის, და გარკვეულად, თეორიის ინტერესებისათვის. ცნებები რეტროსპექტულია, არა იმდენად ასახვაა, რამდენადაც სიცოცხლის პერმანორეა. „ცნებების მეშვეობით სიცოცხლის წვდომა, — წერს ჯეიმზი, — მისი მოძრაობის გაჩერებაა, თითქოსდა მაკრატლით მისი დანაწევრებაა და ჩვენს ლოგიკურ პერმანორეაში მოთავსებაა".

ცნების ფუნქცია — იყოს პრაქტიკის მაპრგეზონზორებელი, უკვე მიანიშნებს მის გარკვეულ თეორიულ ღირებულებებზეც. მაგრამ უფრო ღრმა აზრით, საბოლოოდ, მისი თეორიული ღირებულება უფასურდება, რადგან ვერ გვაკავშირებს სენსიორების ნაკადის შინაგან სიცოცხლესთან, ინტიმურთან ან მაზიზებთან, რომლებიც მას წარმართავენ. ჯეიმზი წერს, რომ იგი იძულებული გახდა უარეყო ლოგიკა ჭეშმარიტი შემეცნებით აზრით — აზარად, პატიოსნად და სამუდამოდ. ადამიანის ცხოვრებაში მეცნიერებისა და ლოგიკური მეთოდების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ისინი თეორიულად ვერ იაზრებენ სინამდვილის არსებობს. სიცოცხლე, ცდა, კონკრეტულობა, უშუალო მოცემულობა ლოგიკური მეთოდის მიღმა ძევს, რადგან სინამდვილე თავიდ სტრუქტურით ირაციონალური თუ არა, არარაციონალურ მაინცაა.

ჯეიმზის პრაგმატიზმში მეცნიერებისა და, საერთოდ, ინტელექტუალიზმის კრიტიკა უშუალოდ უკავშირდება რეალიკეთის ცდის მისტიკური შემეცნების პრობლემატიკას. ამ მხრივ არსებითი განსხვავებაა ჯეიმზისა და ზოიენბაუერის, ადგილთე, ბერგსონის მოძღვრებებს შორის. ზოიენბაუერი რაციონალიზმთან მიმართებაში უპირატესობას გენიოსის მხრივ ინტუიციის ანიჭებს, ხოლო ბერგსონი ფილოსოფიურ ინტუიციას. ზოიენბაუერის ალოგიზმი უარყოფს მისტიკურს. ასევე, ბერგსონის მოძღვრებაშიც, რეალიკისთან მისი მეგიდრო კავშირის მიუხედავად, არის მცდელობა გნოსეოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გური ინტუიციის მისტიკურისაგან გამიჯვნისა. ჯეიმზი ინტელექტუალური შემეცნების აბსოლუტური რეალურობის დასაბუთების ცდის შემდეგ შემოიტანს ღმერთის იდეას, როგორც ფსეუდოაბსოლუტურს, რომელმაც ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში აბსოლუტურის ფუნქცია უნდა შეასრულოს. პროფ. ს. ავალიანი მართებულად წერს, რომ „აბსოლუტური, ერთნაშნა, არის ერთგვარი ორიენტირი ადამიანის თეორიულსა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ადამიანის გონება იფანტება რელატიურის ნეფუფებაში და სასოწარკვეთილი ეძიებს აბსოლუტურს, ერთნაშნას, მუდმივს, რომელშიც იგი თავის იდეალსა და ხსნას ხედავს". ადამიანი რაციონალიზმის საფუძველზე რელიგიურ ცდას ვერც დაასაბუთებს და ვერც უარყოფს, რადგან იგი გონით ცხოვრების მხოლოდ გარეგან შრეებს წვდება. ამიტომაა, რომ მისტიკური ინტუიციონ ზებუნებრივთან კავშირის ფაქტებს განსკისეული უარმყოფელი დასკვნები ვერ არ-ყვევენ. „მეტაფიზიკის და რელიგიის დარგებში ჩვენთის ლოგიკური არგუმენტაცია მაშინაა აუცილებელი, როცა მათ აღიარებას რეალობის ჩვენი განუსაზღვრელი ინტუიცია მოითხოვს... ჯეიმზისტებს ნამდვილ საფუძველს ყოველთვის ჩვენი ინსტიქტური რწმენა შეადგენს, ხოლო ჩვენი ინტაყვირნად გამოხატული ფილოსოფიი ფორმულთა წყებაში გამოხატული რწმენაა", — წერს ჯეიმზი. რწმენისა და ცოდნის მიმართებაში შემეცნებითი უპირატესობა რწმენას ეკუთვნის. მისეიური, რწმენისეული ფენომენები, მართალია, ემოციურ-გრძნობადი ბუნებისაა, მაგრამ ისინი შემეცნებითი აქტებია, რომლებიც ინტუიტურობით, გამოუთქმელობით ხასიათდებიან, მაგრამ ჭეშმარიტების იმ სიღრმისეულ შრეებში აღწევენ, რომლებიც ლოგიკისათვის მიუწვდომელია. „პრაგმატისტული ღმერთი" არ უდრის რელიგიისა და ფილოსოფიის ტრადიციებით წარმოდგენილ ღმერთს თუნდაც იმიტომ, რომ მასში არ არის ღმერთის უსახრულობის კატეგორიული მოთხოვნა... ღმერთი თავის საქმეს დამოოლებული სახითაც გააკეთებს. ღმერთი ზედა მოვიაზროთ, როგორც შესაძლებლობა. შესაძლებლობა თავის მხრივ უნდა გავიგოთ, როგორც სინამდვილის რაღაც შესაბე მდგომარეობა. ამიტომ „არაფერი არაა უფრო ნიშნაღმლილი ადამიანისათვის, ვიღრე მისი უნარი, იცხოვროს, იარსებოს როგორც შესაძლებლობამ".

ჯეიმზი მეცნიერული და, საერთოდ, ინტელექტუალური შემეცნების თეორიაზე მრავალ საფუძვლიან მოსაზრებას გამოთქვამს, მაგრამ ამ კრიტიკას ერთი არსებითი შეზღუდულობა სისტემატურად თან სდევს: ინტელექტუალური მეთოდების პრინციპები შეუძლებელია მხოლოდ სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ აქტებზე დავიყვანოთ; „ის, რაც კლასიფიკაციის პრინციპებში სუბიექტურად წარმოდგება როგორც ფსიქოლოგიური აქტი, ობიექტურად წარმოდგება როგორც ფსიქოლოგიური აქტი. ობიექტურად საგნობრივ-ლოგიკური საფუძველია, რომელიც შესაძლებელი ყოფიერების ობიექტურ, საგნობრივ ბუნებას გვიმეღლვნებს".

ჯეიმზი მეცნიერების, მეცნიერული თეორიის, საერთოდ, ინტელექტუალურის შეფასებისას იცავს მეცნიერების განვითარების კუმულაციური მოდელს, რომელიც ანტიისტორიულობის გამო დღეისათვის უმრავლეს ფილოსოფიურ მიმართულებებში უარყოფილია. „დიდი ხნის მანძილზე, — წერს პროფ. ს. ავალიანი, — მეცნიერული ცოდნის ქვეშ მხოლოდ ჭეშმარიტ ცოდნას გულისხმობდნენ... თანამედროვე მეცნიერების ფილოსოფიაში მიჩნეულია, რომ მეცნიერული ცოდნა, ჭეშმარიტებასთან ერთად, შეცდომებიც მიეკუთვნება, ვინაიდან მეცნიერების განვითარება შეცდომების პერმანენტულ ელიმინაციას წარმოადგენს და არა აბსოლუტური ჭეშმარიტების უშუალო წვდომას". პროფ. ს. ავალიანი მართებულად წერს, რომ მეცნიერული ცოდნის რელატიურობის ობიექტური, ანუ ონტოლოგიური და სუბიექტური, ანუ გნოსეოლოგიური საფუძვლების კვლევას მივყავართ იმ ფუნდამენტურ დასკვნამდე, რომ წმინდა რელატივიზმი გამორიცხავს მეცნიერული აზროვნებისა (საერთოდ, აზროვნებისა) და აზრის გამოთქმის შესაძლებლობას; კიდევ მეტიც, იგი შეუძლებელს ხდის ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც კი... ამიტომ ადამიანი ცნობიერად ან არაცნობიერად ქმნის ფსევდოაბსოლუტურს, რომელიც წარმოშობის მიხედვით რელატიურია, მაგრამ აბსოლუტურის ფუნქციას ასრულებს... ეს შესაძლებლობა იმითაა განსაზღვრული, რომ ქლასიფიკაცია, გაზომვა, ცნების შემუშავებისათვის აუცილებელი ანალიზ-სინთეზი და სხვა ინტელექტუალურ-ლოგიკური ოპერაციები, კონვენციური ბუნების მიუხედავად, ობიექტურობის შემცველია. ეს უკვე გულისხმობს საგანთა არსების, მათი მიმართებების აზროვნებითი წვდომის შესაძლებლობას... რელატივიზმს მიეკავარო ობიექტური კანონზომიერების არსებობისა და შემეცნების შესაძლებლობის უარყოფამდე. გონების როლის გაუქმებისა და, მაზანდაგე. ირაციონალიზმისაკენ. ვფიქრობთ, კ ძ ევს არსებითი განსხვავება ფსევდოაბსოლუტურს, როგორც აბსოლუტის მეცნიერებაში კანონიერ შემოტანასა და ჯეიმზის პრაგმატიზმში ასევე კანონიერად შემოტანილ ფსევდოაბსოლუტურს — ღმერთის იდეას შორის, რომელსაც, აგრეთვე, აბსოლუტის ფუნქცია ეკისრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნადირაძე

სულხან ბარათაშვილი

ქართულ ისტორიულ მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ტრადიციები აქვს.

XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილს.

ქართულ ისტორიოგრაფიას ჯერ არ გაუცია სრული პასუხი შეკითხვაზე, — რა ღვაწლი მოედვის თავისი ერის წინაშე ისტორიკოს სულხან ბარათაშვილს; მისი, როგორც მეცნიერის ვინაობა დღემდე მხოლოდ საქართველოს ისტორიის მკვლევართა ვიწრო წრისთვის არის ცნობილი. და არა იმიტომ, რომ არ ჰყავდა ქომაგნი ან შემფასებელნი. უფრო იმიტომ, რომ ს. ბარათაშვილის მსგავსთა ღვაწლის დაბნელება დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო რუსეთის სოციალისტური იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკა. აუცილებლად აღნიშნის ღირსია, რომ თუ არა ქართველ მოღვაწეთაგან თედო სახოკიას დიდი უურადღება, სულხან ბარათაშვილის ბიოგრაფია შთამომავლობისათვის უცნობი ან თითქმის უცნობი დარჩებოდა; ქართველ მოღვაწეთა ჭირისუფალმა თედო სახოკიამ 1896 წელს გამოაქვეყნა ვრცელი წერილები: „თ-დი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი“ (ცხოვრების აღწერა), «Кн. С. Г. Баратов (Его жизнь и литературная деятельность) და აგრეთვე, ს. ბარათაშვილის გარდაცვალების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით, 1896 წლის 13 აგვისტოს სიხუმში გამართული პანაშვიდის მოკლე ანგარიში.

ეფიკრობ, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ თ. სახოკიას ცნობა იმის თაობაზე თუ რა წყაროებით ხელმძღვანელობდა იგი ამ შრომებზე მუშაობისას.

1. ვახტანგ თულაშვილის წერილი: „რამდენიმე სიტყვა სულხან ბარათაშვილზე“;

2. ს. ბარათაშვილის ხელნაწერი დღიური;

3. ს. ბარათაშვილის ნამსახურობის სია, რომელიც შედგენილია 1863 წ. 15 დეკემბისთვის, ხელს აწერს ყაბარდოს ოლქის უფროსი ქობულაშვილი;

4. ს. ბარათაშვილის მიმოწერა სხვადასხვა პირებთან;

5. ს. ბარათაშვილის წერილები ძმის — ლევან ბარათაშვილისადმი;

6. ს. ბარათაშვილის მეუღლის — ელისაბედ პეტრეს ასულ სემიონიოვას, დის — ოლიმპიადა გერმანოზის ასულის, დეიდაშვილის — ეკატერინე ზაალის ასულ ბარათაშვილის და მისი შვილის, სულხანის რძლისა და ძმისწულის, ნინო მელტაფონის ასულ ბარათაშვილის, სულხან ბარათაშვილის შვილების — ვასილის, კონსტანტინეს და დმიტრის ზეპირი თუ წერილობითი ცნობები.

დღეისათვის ზემოთ დასახელებული ძვირფასი წყაროების უმრავლესობა დაკარგულია. თ. სახოკიას დაწუებული საქმე (ვგულისხმობს ს. ბარათაშვილის შემოქმედების შესწავლას) რომ გაგრძელებულიყო, დღეს ყველა წიგნიერი ქართველისათვის კარგად იქნება ცნობილი ს. ბარათაშვილის ვინაობა, მაგრამ „ახალმა აზროვნებამ“, რომელიც „ცეცხლით და მახვილით“ იკვლევდა გზას, შეაჩერნა ძველი „კონსერვატული“ შეხედულებანი და ომი გამოუცხადა ღმერთის, ადამიანის, სამშობლოს, წარსულის მოყვარულს და მომავალს. ამ მხრივ, რაკინდ უცნაურადაც მოგვეჩვენოს, განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს. ნაციონალურ ენას პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს: რაც შეეხება ნაციონალურ ზნეჩვეულებას ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“ (ვ. მახარაძე).

„არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა (ნაკითხი — გ. ნ.) როგორც ქართველ ხალხს“ (ნ. ფორდანია).

ჩვენ ვართ ისეთი ქართველები, რომლებსაც ვერ „აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც სამშობლოს და ქართული ენის ყვირილი, აწმყო ჩვენ ყველანი ვვეზიზღება, წარსული ვირივით ვეკჯარვება, ჩვენ ვიყურებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინვალე მომავლისაკენ" (ირაკლი (ქაკი) წერეთელი).

ეს თავზე ხელაღებული უსამშობლო „ჰომონოვუსები", მიუხედავად თავიანთი მსოფლიო მოქალაქის კოზმიური პოზისა, ყოველთვის იყვნენ და არიან ეროვნული იდეის სერიოზული მტრები მათი და მათ მსგავსთა დამსახურებაა, რომ რუსეთის ხაბჯოთა პერიოდის პირველივე წლებიდან იწყება დიდი იდეოლოგიური ომი არამარქსისტულად მოაზროვნე მეცნიერთა წინააღმდეგ და სულაც „არ არის" პარადოქსი, რომ ეს ეხება 1866 წლის გარდაცვლილ, „ფეოდალურად" ან „ბერეუაზიულად" მოაზროვნე ს. ბარათაშვილს, რომელმაც თორმეტ არ აღიარა დავით აღმაშენებლის დიდმპყრობელური პოლიტიკა, რადგანაც **«Сам он не чужд грузинского великодержавного шовинизма»**. (გ. ნათაძე).

მსოფლიო ისტორიაც არ ახსოვს ადამიანის ნააზრევის შეფასებისათვის ისეთი „უნივერსალური", „სრულყოფილი" კრიტერიუმი, რაგორიც იყო მარქსისტულ-ლენინური მეთოდი, რისი მეთხებითაც მრავალი ელვარე ნიჭი ბურუსით დაიფარა. ეს ეხება ს. ბარათაშვილსაც. ჩემი ძირითადი მიზანია გავათვისუფლო იგი უსაფუძვლო ბრალდებებისაგან და შეძლებისდაგვარად წარმოვანინო მისი ღვაწლი ქართული ისტორიული აზრის განვითარებაში. თემის სიდიდისა და სირთულის გამო ჩემი ეს მიზანი მომავლის საქმეა, წინამდებარე წერილის დანიშნულება კი იმით განისაზღვრება, რომ მსურს ეშმაკისტად მამულიშვილის ვინაობის შესახებ ზოგი რამ საგულისხმო ვთქვა დაინტერესებულ მკითხველს. არ მაქვს არავითარი პრეტენზია სიახლისა. ეწერ ის მოსაზრებით, რომ ჩემი წერილი გაცილებით ადვილად ხელმისაწვდომი იქნება, ვიდრე ის ძველი და დაფანტული მასალები, რომელნაც ზემოთ მოვიხსენიე და რომელთა საფუძველზეც იწერება წინამდებარე სტატია. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ერთ წერილში სულხან ბარათაშვილს წერდა: „იმედი მაქვს პირმოთნეობამ არ ჩამომართმევთ, რომ გითხრათ ჩემი აზრი თქვენს ვრცელს საქართველოზე ისტორიულის განხილვაზე; როდესაც ის ენახე პირველად რუსულ ენაზე, ჩემი გაკვირვება დიდი იყო. იმედი არ მქონდა, თუ ჩვენთაგანნი საქართველოს შვილთაგანნი, აწინდელ დროში ასეთს შრომას დაუდებდა თავსა ან თუ ვინმე ასე მიმზადებული იქნებოდა".

შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1826-1890) არ იყო ის პიროვნება, ვინმეს მეცნიერული მიღწევებით მისი აღფრთოვანება საგანგებო ყურადღებას რომ არ იმსახურებდეს. ბაქრაძისეული წერილიდან მოტანილი ამონარიდი იმასაც შთამაგონებს თუ რის გამო უნდა იყოს დღევანდელი ქართველი მეცნიერებისათვის სულხან ბარათაშვილი სინტეტრესო და ძვირფასი სახელი. სამშობლოს სიყვარული შთაგვაგონებს, რომ ერის ხსოვნამ სამარადჟამოდ შეინახოს ეშმაკისტად ეროვნული მოღვაწის სახელი. მათი ვინაობა ნათლად უნდა გაიმიჯნოს და წარმოჩნდეს, რათა გასაგები გახდეს, — რატომ იმსახურებენ ისინი განსაკუთრებულ მოკრძალებას და პატივისცემას; უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია ძალიან მოკლედ გადმოვცეს სულხან ბარათაშვილის ბიოგრაფია. იგი დაიბადა 1821 წლის 17 (29) სექტემბერს, თბილისში, მისი მამა, გეორგინოზ ბარათაშვილი, მეფის რუსეთის არმიის მაიორი იყო; დედა, ნატალია ნაცვლიშვილი, ფრიად განათლებული ანზაურის, თადეოზ ნაცვლიშვილის ასული ყოფილა. შვიდი წლის სულხანი თბილისის „ეთილნშობილთა სასწავლებელში" მიუბარებიათ, სადაც, როგორც გადმოგვცემენ, ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. 1832 წლის 22 მარტს გეორგინოზ ბარათაშვილი, ხოლო წლისთავზე — მისი მეუღლე ნატალია ნაცვლიშვილი გარდაცვლილა; თერმეტი წლის სულხანის გარეგა მათ დარჩენ ორი შვილი: შვიდი წლის ლევანი და ორი წლის ოლიმპიადა. ოსეთის ბეერი ახლო ნათესავი ჰყოლიათ, მაგრამ მათი უშუალო მოვლა-პატრონობა „გამდელს", უსნიან უკანრია, რომელიც თურმე დედობრივ ალერსს არ აკლებდა გერმანოზ ბარათაშვილის ობლებს. გონებგაბმისნელი ქალი ზზრაფ უამბობდა სულხანს საქართველოს სახელოვან წარსულზე (არჩილ ბარამიძე, „სამტროიანი სულხან ბარათაშვილი").

სულხან ბარათაშვილის თ. სახოკიანეულ ბიოგრაფიაში არის ასეთი ცნობა: „გამდელი უსნიან გარდა, ბაბა სულხანსა და მისს დამძასა ჰპატრონობდა მათის ოჯახის მოძღვარი პატივცემული დეკანოზი მეტეხის საყდრისა იოანე სულხანიშვილი, ძმისწული ერეკლე მეფის მოძღვარის დეკანოზს იასე სულხანიშვილისა".

თ. სახოკიანეულ ფაქტს, სავსებით სამართლიანად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ს. ბარათაშვილის „ზნეობრივი და სულიერი" აღზრდისათვის და სავანგებოდ განმარტავს თუ რას წარმოადგენდნენ, როგორც პიროვნება და მასწავლებელი, მეტეხის საყდრის დეკანოზი.

„იოანე სულხანიშვილი, „ხალიფად" (უალრეს მასწავლებელად) წოდებული, ერეკლე მეფის მიერ დაარსებული სკოლის მოსწავლეთა ზედამხედველი იყო. იგივე იოანე ფაქიანი იყო მასწავლებელი ჩვენს საუკუნეში სახელ-განთქმულთა და ფრიად სწავლული იოანა ბერიანა. ამ იოანა ბერმა დაგვიტოვა ორმოცამდე სხვადასხვა სახელწოდების თხზულება ქართულ ენაზედ, ზოგი თავისი და ზოგიც თარგმანი". როგორც ვხედავთ, თ. სახოკია სავსებით გასაგები მიზნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებოდ წარმოაჩენს იასე სულხანიშვილის, როგორც მასწავლებლის უნარს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომავალმა ისტორიკოსმა ბავშვობის წლები პატრიოტული სულისკვეთებით გარემოცულ ახლობელთა წრეში გაატარა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს უმნიშვნელოო „წერილმანები" ზრდდა რუსეთის იმპერიის სახმეწიფო სასწავლებლის კურსდამთავრებულ ჭაბუკს ქართველ ისტორიკოსად, თორემ პეტერბურგის კადეტთა კორპუსის ისტორიის მასწავლებლის, ვინმე ჩერნიაევის მიერ გაკეთებილზე თამარ მეფის ხანის გაკერით ხსენება გადამწყვეტი ვერ იქნებოდა სულხან ბარათაშვილის სამოღვაწეო გზის არჩევაში.

ნთქვამის აზრი რომ გასაგები გახდეს, განვმარტავთ: ერთხელ კადეტთა კორპუსში მასწავლებელ ჩერნიაევს გაკვეთილზე თამარ მეფის ხანა უსხენებია და იგი საბერძნეთის ეპოქასთან ერთ შეუდარებია. ამის შემდეგ „სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორმე სრულად შემესწავლა ქართველოს ისტორია", — იგონებდა: თორემ ს. ბარათაშვილი (ეს ცნობა არრილ ბარამიძეს მოაქვს ვ. თოლაშვილის წერილიდან). თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებლის" მოწაფე, ცამეტი წლის სულხანი 1834 წელს, საკუთარი სურვილით, სასწავლებლად შედის პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში, სადაც მოსწავლეები სახელმწიფო ხარჯით ცხოვრობდნენ. უკვე პეტერბურგში სწავლის ღროს ს. ბარათაშვილს მტკიცედ გადაუწყვეტია ისტორიის საკითხების ღრმად შესწავლა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სანტერესოა ა. სახოკიას ცნობა, რომელიც სათანადო პირველწყაროს ეყრდნობა: **«Занятия историей С. Баратов начал еще Павловского кадетского корпуса. С оказавшим ему в занятиях содействие академиком М. Броссе».** თავიდა განზრახვა ბარათაშვილი გაუნდვია ვილნოს უნივერსიტეტის პროფესორ იანეევიჩისათვის, რომელიც აზიის მუზეუმს განაგებდა. იანეევიჩს, ამ საბაბით, რომ იგი ლიტვის ისტორიას იკვლევდა და აზიის ხალხთა ისტორია ნაკლებად იცოდა, ისე, რომ მუზეუმში დაცული ქართული მასალებიც არ უჩვენებია, ო. სენკოვსკისთან გაუგზავნია. სენკოვსკის თავის მხრივ აკადემიკოს მიურტალთან გაუტანებია წერილი და ეთხოვია, ს. ბარათაშვილი აკადემიკოს მარი ბროსესთვის გაეცნო. გაცნობა შემდგარა, გამოჩენილი ორიენტალისტსა და ქართველოლოგს, ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელს აკადემიკოს მარი ბროსს საკმაოველოს ისტორიით დაინტერესებული ახალგაზრდა ქართველისათვის საკრო ლიტერატურა დაუსახელებია და თავისი შრომები უჩუქებია. ს. ბარათაშვილი მთელი სიცოცხლე ინარჩუნებდა ბროსესთან კეთილ ურთიერთობას. 1841 წელს, სულხანის პეტერბურგიდან წასვლისწინ, ისინი ერთმანეთს შეხვედრიან. ბროსეს შეგრჩენ დაუმძიმებრივს, — სამშობლოში ჩასვლისთანავე ენახა და ალიწერა საქართველოს სიძველენი, წიგნსაცავები და სხვა საისტორიო მასალები. „რომ სულხან ბარათაშვილს ყველგან თავისუფლად სიარულისა და ყველაფრის ნახვის ნება ჰქონოდა, ბროსეს მარიამ დედოფლის, მეფე გიორგი XII მეუღლის, მოძღვართან, დეკანოზ პარმენთან, წერილი მოწერა — დედოფალთან მიიყვანეთ და მოწმობა ამომეგინეთო" (თ. სახოკია).

დედოფალს კარგად მიუღია თანამემამულე, მაგრამ რაცა ვიზიტის მიზეზი შეუტყვია, უთქვამს, მაგ საქმეზი ვერ გავერევიო, და მაინც დახმარების მოსურნე დედოფალს თავის მოძღვართან, ანრიეევის მონახტრის „ბერ-მონოზან" ბიეტორთან გაუგზავნია, რომელიც საქართველოს ეგზარხოსის მთავარეპისკოპოსის ძმა ყოფილა. მარიამს ბიეტორისათვის ეთხოვია, ს. ბარათაშვილისათვის სარეკომენდაციო წერილი მიეცა საქართველოს ეგზარხოსთან. სამშობლოში ჩამოსულისთანავე ს. ბარათაშვილს სამსახურის ძებნა დაუწყია და, რასან სამხედრო უწყებაში ადგილი ვერ უშოვნია, სამოქალაქო სამსახურში შესულა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ „ერპაორშჩიკად" ჩაფრიცხავთ „მეგრეთა ეგერის" პოლკში. 1843 წელს ეგრადიის პოლკოვნიკის, თავად ბეგმაბეგიშვილის თანაშემწედ გადაუყვანიათ.

დანიშნა ეგანაპირობა იმ გარემოებამ, რომ უფროსებისათვის ცნობილი ყოფილა ბარათაშვილის განსაკუთრებული დაინტერესება ისტორიით. საქმე ის არის, რომ პოლკოვნიკ ბეგმაბეგიშვილს დავალებული ჰქონია, კორპუსის მასალების გამოყენებით რუსეთ-სპარსეთის ბრძოლის ისტორია შეედგინა. 1844 წლის 31 მაისს ბარათაშვილი კორპუსის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად დაუნიშნავთ.

1845 წელს მას ცოლად შეურთავს ანტალის და შამლეკის სახელმწიფო მანდნის მმართველის, პეტრე თადეოზის ძე სემიონიკოვის ასული ელისაბედი, რომლისგანაც შვიდი შვილი შეეძინა. ელისაბედ სემიონიკოვს დედა ქართველი, მაჩაბლის ქალი ყოფილა.

1848 წლიდან 1857 წლამდე ს. ბარათაშვილი მოკმედ არმიაშია, ბრძოლის ველზე, მაგრამ თავისი საყვარელი საქმისათვის (ისტორიის კვლევა) არასოდეს უდალატია: ისტორიკოსობა არ იყო მისი უბრალო გატაცება. სულხან ბარათაშვილისათვის ცხოვრებას არასოდეს მიუცია ასეთი ფუფუნების უფლება. მისთვის საქართველოს ისტორიის კვლევა იყო დიდი მოვალეობა თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

მიუხედავად ოჯახზე ყოველდღიური ზრუნვისა, მოუცლელობისა და უდროობისა, იგი მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ თავისი მოვალეობის ერთგული რჩებოდა. „სულხან ბარათაშვილის ცხოვრება ერთს დაუკბრძოლელს დუღილს წარმოადგენდა. მისმა მადლიანმა მარჯვენამ მოსვეხება რა იყო არ იცოდა... გარნა ის, რითაც ქართველობას ბოლჩანგვით წინ გადაუშალა საქართველოს წარსული ცხოვრება და რითაც უკვდავყო სულხან ბარათაშვილის, თავისი კურთხეული სახელი, მისი საქართველის ისტორია გახლავთ. ამ ისტორიისთვის საჭირო მასალების შეკრებას ოცდაათი წელიწადი მოანდომა“,— წერს თ. სახოკია. არმიაში სამსახურის 15 წლის შემდეგ ბარათაშვილს მხოლოდ კაპიტნის ხარისხი ჰქონდა. იქნებ საკირიც არაა ასეთი ბიოგრაფიული დეტალის ალნშვნა, მაგრამ ეს ფაქტი დაკავშირებულია ბარათაშვილის პიროვნულ ხასიათთან, რაც ადამიანის, და მითუმეტეს მოღვაწის, ბუნების ახასხნელად ყოველთვის სასურველი მოსაცემია. ვ. თულაშვილს აღწერილი აქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა ს. ბარათაშვილს, ადამიანური ღირსების დაცვის მოიხოვნით, უშალო უფროსებთან სერიოზული უთანხმოება მოსდიოდა, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუშლიდა მის თანამდებობრივ დაწინაურებას. უსამართლობისაგან უკმაბრაზმოსა ს. ბარათაშვილი საერთოდ გასაკვირველად ელარიანნი, მოაკვარული და ეთილმოსურნე ყოფილა, რაც მშვენივრად ჩანს მის პირად წერილებში.

ს. ბარათაშვილის ყველა ნაწარმოები ისტორიის საკითხების შესახებ შესრულებულია ბოლოდ რუსულ ენაზე,— ალბათ, იმ დასაბუთებული მოტივით, რომ რუსულად დაწერილ საქართველოს ისტორიას უფრო დიდი მასშტაბის რეზონანსი ექნებოდა, თორემ „საქართველის ისტორიის ავტორს“, მიუხედავად რუსული განათლებისა და გარემოცვისა, შესანიშნავად ცოდნია ქართული ენა, რაც მშვენივრად ჩანს მის პირად წერილებში: თითქმის ყველა მთგანი თითქოს საგანგებოდ ქართულად არის დაწერილი. ისტორიის საკითხების შესახებ ს. ბარათაშვილის შრომები გაბეჭდილია იმდროინდელი პერიოდული ლიტერატურის სხვადასხვა გამოცემებში. ცალკე წიგნად გამოვიდა მისი საქართველის ისტორია, რომელიც მოიცავს საქართველის ისტორიას უძველესი ხანიდან რუსეთთან შეერთებამდე. წიგნი შედგენილი იყო ხუთ რვეულად (წიგნად), ავტორის სიცოცხლეში დაიხატაშმა მხოლოდ პირველი რვეული, დანარჩენი კი მისი გარდაცვლების შემდეგ გამოვიდა პეტერბურგში. სხვათა შორის, საქართველოს ისტორიის პირველი რვეული ფრანგულადაც უთარგმნიათ და თბილისში ლიუბეკეთ 1888 წელს.

ს. ბარათაშვილის **„История Грузии“** ქართულად ითარგმნა ქუთაისში და ხან რვეულად გამოიცა (1895, 1896, 1913 წლებში). „ქართული სიტყვიერების მოყვარულმა ქუთაისურმა წრემ... გადაწყვიტა სულხან ბარათაშვილის ისტორიის ქართულად გადმოთარგმნა, და ეს საქმე მიანდო ორ პირს: ამ სტრიქონების დამწერს და აწ განსვენებულ ე. ჭეკლინაძეს. მივეკვეთი ხელი თარგმნას,— მაგრამ უცბიბელმა ყველელმა უდროოდ გაგადებია კალამი ხელიდან პატიოსან მოღვაწეს. განსვენებულმა მოასწრო მხოლოდ სამი თავის გადთარგმნა („საქართველოს ძველი ისტორია“. თავები I, II და III). ჩვენ ის თარგმნი ენის ერთგვარობისათვის, ჩვენს თარგმანს შეუთანასწორეთ და ამ სახით ვბეჭდავთ მას“,— გვაუწყებს ერთ-ერთი მთარგმნელი. ს. ხუნდაძე. ს. ბარათაშვილის, როგორც მეცნიერის, ბიოგრაფიის შესანიშნავი დეტალია ის, რომ მას, ხელმოკლე ოფიცერს, იშვიათი ბიბლიოთეკა შეუძენია. „მიხს ბიბლიოთეკაში, რაც უნდა იშვიათი წიგნი ყოფილიყო იპოვიდით; მთელს ტფილისში პირველ ბიბლიოთეკად თვლიშდით მისი ბიბლიოთეკა. ხშირად თურმე ქარგელობდნენ სულხან ბარათაშვილის წიგნსაცავთა ყველა მაშინდელი მსწავლულნი და ისტორიკოსნი ტფილისსა“. თ. სახოკიას ამ ცნობას დასტურებს ს. ბარათაშვილისადმი დამიტარი ბაკრაძის წერილის ერთი ადგილი: „ნება მომეცით ორი სათხოვარი განგიცხადოთ. პირველია ესა, რომ მაღირსოთ თქვენთან დაახლოებით გაცნობა და მეორე — თქვენი ბიბლიოთეკის კატალოგი მიბოძოთ და თუ ღამეშირეს რამე, მათხოვოთ ხოლმე“. ბარათაშვილს ბიბლიოთეკის შესახებ ასეთი ცნობაც შეამბეჭდავია: „ეს წიგნსსაცავი სამამ-ოთხასი თუშანი თურმე ღირდა“. ს. ბარათაშვილი გარდაიცვალა სოხუმში, 1866 წელს. ეი, როგორ პირობებში მომხდარა ეს ფრიად სამწუხარო ამბავი: „1866 წელს აფხაზეთში აჯანყება მოხდა. მთავრობამ კომისია დანიშნა ამ ამბოხების მიზეზის გამოსაკვლევად... ამ კომისიაში სხვათა შორის მოაწვევ სულხან ბარათაშვილიც. ერთხელ მთელი კომისია თურმე იფრინნა გათამამებულმა ბუნდმა აფხაზეთს. ხელში ჩაუვარდათ კომისიის თავმჯდომარე და ნაბეჭ-ნაბეჭ აჰკიფეს. სულხან ბარათაშვილმა გამოქცევა მოასწრო... თავს უეჭველად უშველიდა, რომ ერთ ბრმა შემთხვევას არ წაეტანია საქართველოსათვის ეს ძვირფასი შვილი. გამოქცეულმა ცხენმა თავი ვერ შეიმაგრა და ჭაში ურემს დაეკახა; სულხან ბარათაშვილი ცხენიდან გადმოვარდა, ღაკკა ფერდი ურმის ჯალას და ცოცხალ-ცოცხალ ხაავ. ადამეოფოში ჩაიყვანეს ხადაც ცამი დღე იწვა და დიდის ტანჯვის შემდეგ ღმერთს თავისი ნათელი სული ჩაპბარა“. ახე დაიღუპა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 45 წლის სულხან ბარათაშვილი, საქართველოს ეროვნული ძვირფასი შვილი.

ს. ბარათაშვილის, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევრის უპირველესი მიზანია, დაინტერესოს მეოხეული საქართველოს ისტორიით. ისტორიკოსის ახალი სურვილი სულაც არის სანტიმენტალური პატრიოტიზმი. მისი განზრახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა უფრო სინამდვილის წინააღმდეგ მკაცრი პრეტენზია.

სინამდვილე კი ასეთი იყო: ქართული კულტურისადმი ველიკორუსული შოვინისტური და ადგილები დამოკიდებულება. მოეტანთნი მოცემული აზრის დამადასტურებელ ერთ მაგალითს: რუსული ორიენტალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ოსიპ ბეჭნენს ძე სენკოვსკი (1800-1858) სახსენებო უარყოფდა „ქართლის ცხოვრების", როგორც სამეცნიერო ჭყარის მნიშვნელობას, შეუფიროდ იცავდა ქართული მწერლობის დაბალი ღირსების „ფაქტს", უარყოფდა ქართველებიან და იბერიელების ერთიდაიგივეობას, ვახტანგ გორგასლს თურქების ბელადად აცხადებდა. ამტკიცებდა, რომ საქართველოს ისტორია გიორგი პირველის ან დაკით III დროიდან იწყება და რომ ქართველებს ძველი ისტორია არ გააჩნიათ. სენკოვსკი არ იცნობდა ქართულ ისტორიულ ლიტერატურას და მით შორის „ქართლის ცხოვრებას", მაგრამ ასეთ „წვრილმანებს" ხელი არ შეუშლია, „წარმატებით" ემტკიცებინა, რომ „ქართლის ცხოვრება" მთლიანად მე-18 საუკუნეში შეთხზული და ქართველობას საქართველოში XII საუკუნემდე არ უცნობია, ის ადგილები კი, სადაც ახლა ქართველები ცხოვრობენ, სომხებთან, თურქებთან და მასაგეტებთან იყო დასახლებული. საუბედურად, სენკოვსკი არ არის გამონაკლისი. საქართველოს ისტორიის საკითხთა შესახებ სენკოვსკის მსგავსთა შეხედულებანი უცხო არასოდეს ყოფილა რუსულ „აღმოსავლეთმცოდნეობაში". მსგავს თვალსაზრისს უფრო გვიან დიდი „მეცნიერული" აზრატით იცავდა, „ავთორებდა" და „ამდიდრებდა" პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქერობე პეტროსის ძე პატკანოვი (1833-1889). სამეცნიეროდ, სენკოვსკისა და მის მსგავსთა ჰაეგდით მკაცრი ოპონენტი, მარი ფელიხიტე ბროსე (1802-1880), რომელმაც 1838 წლის 2 ნოემბრის აკადემიაში წაიკითხა მოხსენება ქართულ სიძველეთა შესახებ. მიმდევნო წელს ეს მოხსენება გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში. წერილში ბროსე ამბობს: „როცა მეცნიერებაში ახალი იდეა, ახალი შეხედულებანი შემოდის (როგორიცაა, მაგალითად, აზრი ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის ღირსშესანიშნაობის შესახებ), როცა ეს იდეა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მომაგრებული და დასაბუთებული, ჭეშმარიტების მაძიებელი სული ორ რამეს უნდა უფრთხილდეს: ერთის მხრივ, ბრმა ენთუზიაზმს, პროზელიტიზმის მამას, მეორეს მხრივ დაუფიქრებელ უგულებელყოფას. გადაჭარბებულ ეჭვსა და უარყოფას. ასეთ შეხედულებანი, ყველაზე მიზანშეწონილია და მოსაწონი ეკეთილგაწყობილება და თბილი ყურადღებანი დამოკიდებულება ახალი იდეისადმი, მითუმეტეს მაშინ, როცა რიგი არგუმენტებისა მის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. განა ცოტა ვიცით შემოხვევები, როცა სკეპტიკიზმს დაუმარცხია იდეები, რომელთაც არსებობის უფლება ჰქონდათ!" როგორც ვხედავთ, ბროსე ფრიად დელიკატური, მაგრამ შეუვალი ოპონენტია, მისეული კრიტიკის „სინაზე" მოჩვენებითია, სინამდვილეში იგი დატვირთულია მკაცრი პრეტენზიით მეცნიერებაში ახალი იდეისადმი ფრთხილყურო დამოკიდებულების, სკეპტიკიზმის და პროზელიტიზმის წინააღმდეგ. ჩანს, სენკოვსკისათვის უცხო იყო „თბილი ყურადღებანი დამოკიდებულებანი" ცნება. იმედოვნებდა, მკითხველის გონება დაკორგუნა სამეცნიერო რეგალიებით, რომელსაც იგი ფლობდა, ჩანს, მუდამ ერთგული იყო ანტისენტენციისა: „საჭიროა არა ობიექტურობა, არამედ მიზანდასახულობა". საქართველოს ისტორიის საკითხების თაობაზე სენკოვსკის „მეცნიერული" აზროვნება უკვე მაშინვე ადვილად ემოციონალიზდა სერიოზულ კრიტიკას. გამოქვეყნებული იყო ქართული წიგნებისა და ხელოვნების კატალოგი, რომელიც 350-მდე ნაწერობს შეიცავს, მდიდარი და შეამბეჭდავი შინაარსით, რისი მეცნიერული ანალიზი და მოწმობა სენკოვსკის „საქართველოს ისტორიიდან" აღარაფერს დატოვებდა. და მაინც, სენკოვსკის მსგავსთა საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი დამოკიდებულება, განწყობილება, გამოჭდომა ეროვნულ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ქართული კულტურის საერთაშორისო აღიარებისათვის.

საქართველოს ისტორიის მიმართ სკეპტიკიზმის წინააღმდეგ აუცილებელი იყო ყველა ძალის გამოყენება. ასეთი მიზანი ნათლად ესმოდა ულუმან ბარათაშვილს, რამაც მას, ალბათ, შთაადგინა დაწერა საქართველოს ისტორია. ბუნებრივია, ისტორიის წერისას მარტო მტკრზე არ ფიქრობდა და მოუვარეს, ქართველ კაცსაც უწერდა თავისი ქვეყნის ისტორიას, რადგან მშვენივრად ესმოდა ვახუტი ბატონიშვილის შეგონება: „მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰაეფს ქვეყნისადმ".

ს. ბარათაშვილს კარგად სცოდნია ევროპული ენები, რაც მას საშუალებას აძლევდა დედანში გასცნობოდა დასავლელ ისტორიკოსთა შრომებს, საფუძვლიანად შეეხსენა ისტორიული ლიტერატურა. იგი ფლობდა მეცნიერული ანალიზის უნარს, შესანიშნავად იცნობდა ევროპული კვლევის მეთოდს. უდავოდ განსაზღვრებელია აზრი იმის თაობაზე, რომ ს. ბარათაშვილის საქართველოს ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში არის პირველი ნაშრომი, რომელიც აგებულია მსოფლიო ისტორიის პრინციპებზე. ს. ბარათაშვილი კარგად იცნობს ძველ ბერძენ ისტორიკოსთა თხზულებებს, ახალი დროის ევროპელ მკვლევართა ნაშრომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივია, ასეთ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი, როგორც მოაზროვნის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი მთავარი ძალა მაინც მშობლიური ნიადაგი იყო. მის შემოქმედებას დიდი ზემოქმედების ძალას ანიჭებდა სამშობლოს ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა.

ს. ბარათაშვილის მოღვაწეობა მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ რუსულად ყველას „გასაგონად" წერდა და ზეპირვდა.

როგორც ალენშნეთ, ს. ბარათაშვილი რუსულ და ევროპულ წყლულობაში გაბატონებული მეთოდის მიმდეკვარი იყო და ამ სკოლის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გავლენა აშკარად შეიმჩნევა მის შემოქმედებაში.

ადამიანის ჩამოყალიბებაში, მის სულიერ თუ ფიზიკურ ფორმირებაში ს. ბარათაშვილი გადაკეთებულ როლს ანიჭებს გეოგრაფიულ გარემოს. მის შემდეგდროინდელი ისტორიკოსებიც ბეჯითად იკვლევენ გეოგრაფიული გარემოს გადამწყვეტ როლს ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ჩემი აზრის დასადასტურებლად მოვიტან მაგალითს ნ. ხიზანიშვილის წერნილან „ეთნოგრაფიული ნაწერები": „თავისი ხასიათით, მიმართულებით, მთელის თავის კარსებით მთიელი ისეთივე უმანო ქმნილებაა, როგორც მის გარშემო მოძრავი ბუნება".

რა თქმა უნდა, გეოგრაფიულ გარემოს და კლიმატურ პირობებს მართლაც აქვს გავლენა ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სამყაროზე, მაგრამ არა გადამწყვეტი. ის, რომ ბუნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქოლოგიის ან ღირსების შეძენისათვის, ბარათაშვილთან ან ხიზანიშვილთან „ნორდიზმი" არ არის და, აქედან, არც საშში თეორიაა.

ს. ბარათაშვილის აზროვნებისათვის უცხო არ არის ისტორიული მოვლენებისადმი ანალიზურ-სინთეზური მიდგომა. იგი არ იზლუდება მხოლოდ ფაქტების უბრალო აღწერით და მუდამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მაძიებელი ისტორიკოსია. მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ არიმეცეს ისტორიკოსისათვის დაკისრებულ რთულ ამოცანას. მართალია, ს. ბარათაშვილის მოღვაწეობისას „ხანისტორიო კვლევა-ძიება მეთოდოლოგიურად ძალიან დაქვეითებული იყო" (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ ამას მარტო ს. ბარათაშვილის, როგორც ისტორიკოსის მეთოდოლოგიური ხარსუტებით ვერ ავხსნით.

ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია იმ დროისათვის ისეთი დაშმპარე მეცნიერების ძალიან სუსტი განვითარება, როგორიცაა პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და სხვა. მარტო ეს ფაქტიც მიანშნებს, რაოდენ ძნელ პირობებში უხდებოდა კვლევა ბარათაშვილს, როგორც ისტორიკოსს.

ს. ბარათაშვილი „მეღაღნენს ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. მან იცის, რომ ამა თუ იმ საბუთის ხელახალი გამოკვლევა და უკრიტიკოდ მიღება უმიდო საქმეა.

ს. ბარათაშვილი დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოს ისტორიისათვის უძვირფასეს წყაროს „ქართლის ცხოვრებას", საგანგებოდ შეეხო ვახტანგ VI „ხუნდელ კაცთა" საქმიანობას.

8. ლორეოქიფანიძე წიგნში „რა არის ქართლის ცხოვრება" საბრალოლაინდ აღნიშნავს: „ბარათალია, სულხან ბარათაშვილს, ოგივე ბარათოვს (1821-1866) „ქართლის ცხოვრება" საგანგებოდ არ შეუსწავლია, მაგრამ ამ ძეგლის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული. სულხან ბარათაშვილი, განიხილავდა რა ამ თხზულებას, როგორც წყაროს საქართველოს ისტორიისათვის, ჯერ კიდევ 1865 წელს წერდა, რომ „ქართლის ცხოვრება" უკვე XIII საუკუნეში იყო ცნობილი ამავე სახელწოდებით, ხოლო XVIII საუკუნეში ის შეცვლილი თუ შესწორებული იქნა ვახტანგ VI კომისიის მიერ. აღსანიშნავია, რომ ს. ბარათაშვილი ვერ მოეხერხა ვახტანგის წინადროინდელი ნუსხის აღმოჩენას, მაგრამ ასეთ დასკვნამდე სხვადასხვა წერილობითი წყაროებისა და თვით ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების" ანალიზის საფუძველზე მივიდა". როგორც ვხედავთ, ს. ბარათაშვილი ერთადერთი ან, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსია, რომელსაც „ქართლის ცხოვრების" ასაკი თითქმის ისე ეს ეხოდა, როგორც ის შემდგომშმა დაადასტურა ამ თხზულების ძველი ხელნაწერებმა აღმოჩენამ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ს. ბარათაშვილმა სერიოზული ყურადღება მიაქცია ქართული საისტორიო წყაროების მეცნიერული დასკვნებისათვის უკრიტიკოდ გამოყენების მავნეობას. „ქართლის ცხოვრებისადმი" ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ამ შესანშნავი ძეგლის მეცნიერულად შესწავლა-დამუშავებას, რამაც საშუალება მისცა ბარათაშვილის შემდეგდროინდელ ისტორიკოსებს, კრიტიკულად განეხილათ ძველი ქართული საისტორიო წყაროები.

ს. ბარათაშვილმა ყურადღება მიაქცია საკითხს იმის შესახებ თუ რა ლვაწლი მოუძღვიან ვახტანგ VI და მის სწავლულ კაცთა კომისიას „ქართლის ცხოვრების" გამდიდრების საქმეში: იყო თუ არა ამ ძეგლის შესწორება მიზანშეწონილი; იძლოდა თუ არა შესწორებული ან გამდიდრებული „ქართლის ცხოვრება" საკართველოს ისტორიის შესწავლისათვის უფრო კარგ შესაძლებლობას, ვიდრე დედანი.

„მას შემდეგ, რაც ვახტანგის კომისიამ გადაკეთა ეს მაცნე, ჩვენ არა გვაქვს უფლება, რამე სწორი და მეცნიერებისათვის სასარგებლო დასკვნა გამოვიყვანთ იმ ფაქტების შეზდილებით და დაფასებით, რომელიც ამ მატიანეში მოუქცევიათ. ჩვენს აზრით, ამ მატიანის დამწყებთა და გამგრძელებელთა წელთააღმწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შეხედულება და ფაქტების დაფასება რომ დაცულიყო, არა თუ ნაკლოვანებად ჩაითვლებოდა, არამედ პირიქით ისეთივე საუნარადდენი იქნებოდა, როგორც თვით ფაქტების დაცვა და მაშინ უფრო ადვილად შესაძლებელი იქნებოდა აგვეხსნა ქართველი საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მისი ცხოვრების სხვადასხვა ხანებში" — იმსაზურებს თუ არა ყურადღებას ს. ბარათაშვილის ეს „საგულდური" ვახტანგ VI და სწავლულ კაცთა კომისიის მიმართ? ჩანს, ს. ბარათაშვილმა კარგად იცის, რომ ვახტანგის კომისიის ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების" უძველესი ვარიანტები. სხვა რომ არაფერი, არ შეიძლებოდა მას მხედველობის გარეთ დარჩენოდა ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების" შესავლში განცხადებული სიმართლე: „შიკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, სიცა რომ ქართლის ცხოვრებები პოვნა". სწორედ ამის გამო ამბობს ს. ბარათაშვილი, რომ, თუ იმ ძველ მატიანეთა, რომელთაც კომისია ხელმძღვანელობდა, „ცნობებიც იმ სახეს შეინარჩუნებდა, როგორც მოცემული იყო, „უფრო ადვილად შესაძლებელი იქნებოდა აგვეხსნა ქართველი საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მისი ცხოვრების სხვადასხვა ხანებში". თუ ბარათაშვილის ამ აზრს არ გავიზიარებთ, მაშინ უფლება არა გვაქვს განვაცხადოთ: „ქართლის ცხოვრების" შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის წინადროინდელი სხვა ნუსხებიც მოპოვებას". ისე, რომ ს. ბარათაშვილის საკუდგური ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიმართ მე პირადად უსაფუძვლოდ არ მიმაჩნია.

4. ბარათაშვილიც არც ასეთი შენიშვნა უნდა იყოს ნაკლებ ანგარშგასაწევი. „მას შემდეგ, რაც ვახტანგის კომისიამ გადაკეთა ეს მატიანე, ჩვენ არ გვაქვს უფლება, სწორი და მეცნიერებისათვის სასარგებლო დასკვნა გამოვაკეთოთ იმ ფაქტების შეხედულებითა და ღაფასებით, რომელიც იმ მატიანეში მოეცქეთ". ს. ბარათაშვილს ეშვა შეაქს მატიანეში მოქცეულ მასალათა სანდოობაში. რადგან არ იცის, რამდენად იდენტური ძველი მატიანე კომისიის მატიანესთან, ასეთი ეშვი სუსტნი ბუნებრივი იყო მკვლევარისათვის, რომელსაც უტყუარ ფაქტად მიაჩნია ვახტანგისეული მატიანისაგან განსხვავებული და გაცილებით ძველი მატიანის არსებობა, რომლის მნიშვნელობა და რაობა სწავლულ კაცთა კომისიას არ განუმარტავს.

მკვლევარა მიერ უკვე გაზიარებული აზრი, რომ „ვახტანგისა და მისი კომისიის მიერ ჩატარებულ სამუშაოს ეტალური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეროვნული ისტორიის ამ უნიკალური ძეგლის შესწავლა-დამუშავების საქმეში" (მ. ლორთქიფანიძე), მაშინ დაბადა, როცა მეცნიერებმა ღამაჩინეს „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნუსხები და შესაძლებელი გახდა „ვახტანგის" თხზულებისათვის მათი შედარება. მანამდე კი ნამდვილად ძნელი იყო სწავლულ კაცთა კომისიის ხელიდან გამოსული „ქართლის ცხოვრებისა" ავკარგის შესახებ მეცნიერული სჯა.

მიუხედავად ვახტანგისეული ქართლის ცხოვრებისადმი ფრიად კრიტიკული დამოკიდებულებისა, ბარათაშვილს თავისა შრომის შესასრულებლად ძირითად წყაროდ მაინც ეს მატიანე მიაჩნია. აი, როგორ განმარტავს ბარათაშვილი თავის დამოკიდებულებას ხსენებული თხზულებისადმი:

„აი ეს მატიანე ავიარჩიეთ ჩვენ ამ წერილების ძირითად წყაროდ და იქიდან ჩვენ მხოლოდ იმ გვარ ფაქტებს ვიღებთ, რომელიც, ერთის მხრივ მხოლოდ იქნებიან განვითარებულნი, რომ მათში მაინც დაცულია მატიანის სახითი, და მეორე მხრივ იმდენად მშრალი, რომ დაშორებულია ვახტანგის კომისიის მრავალგვარ მკეთრმტაცველებას". როგორც ვხედავთ, მეცნიერულ ალღოს მინდობილ ავტორს გააჩნია მკაცრად განსაზღვრული საკუთარი ლიგიკა, რითიც იგი ხსნის, რა იწვევს ვახტანგისეულ მატიანეში ექვს და პირიქით, ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან აშკარად ჩანს მკლევარისათვის დამახასიათებელი ხედვის უნარი, რაც მას ძირითადად მართებულ დასკვნებს კარნახობს.

ბარათაშვილს ეშვიც არ ეპარება, რომ ვახტანგის ახალ „ქართლის ცხოვრებას" საფუძვლად უდევს უძველესი ვარიანტი, რომელიც ნაკლებ „მეკეთმტაცველებას" შეიცავდა, ვიდრე ახალი და სტილიც (სახითი) სხვადასხვა ჰქონდათ.

იხიე საკმარისხმოა, რომ ძველი ტექსტის დადგენას ახალი ტექსტის ანალიზის საფუძველზე ცდილობს. ამავე დროს, როგორც თვითონ ეანმარტავს, მას ხელი აქვს „სხვა ხალხების მატიანეები, ისტორიები, ქრონოლოგიები, გეოგრაფიები, ატლასები, მოგზაურობანი, სამოქალაქო და საღმწერნობრივი კანონები და სხვადასხვა აქტები, რომელებითაც ჩვენ ვისარგებლეთ ჩვენი წერილების შედგენისათვის, — უნდა მოვიხმაროთ ქართველ მატიანეთა ფაქტებთან შესადარებლად და ამით შესასწორებლად და შესავსებად, როგორც კი ეონება გაგვიჩრია".

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში ს. ბარათაშვილის კვლევის მეთოდი მართებულია, რაც თითქმის ყოველთვის განაპირობებს სწორ დასკვნებს.

. ბარათაშვილის მტკიცე რწმენას, რომ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრებას" საუკუნეები აშორებდა ქართულ დედანთან, ამ დროისათვის დიდ მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. იმ აზრის მომხრენი, რომ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების" საფუძველი „სომხური ქრონიკა" იყო, არა და არ თმობდნენ პოზიციას მას შემდეგაც კი, რაც მარი ბროსემ მეცნიერუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად დამტკიცა, რომ ე. წ. „სომხური“ „ქართ-ლის ცხოვრება“ თარგმნილი იყო ქართულიდან.

ჭ. პატკანოვი კვლავ ჯიუტად „მტკიცობდა“, რომ სომხური „ქართლის ცხოვრება“ — ეს იყო ქართველობის დაკვეთით სომხების მიერ დაწერილი მოკლე ქართული ისტორია. დრომ, ახალმა აღმოჩენამ და ახალმა აზროვნებამ საფუძვლიანად განმარტა და დაადასტურა ს. ბარათაშვილის რწმენა, მტკიცება იმის შესახებ, რომ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“ იყო მემკვიდრე უძველესი ქართული „ქართლის ცხოვრებისა“.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ სისტემური წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების საკითხი ცალკე თემაა ბარათაშვილი-ისტორიკოსის შემოქმედებაში, რაც ყოველთვის ხელს უწყობს მატიანეთა სამეცნიერო მნიშვნელობის ზრდას.

ს. ბარათაშვილი სამეცნიერო კვლევისას გარკვეულ ყურადღებას უთმობს ზღაპრებისა და თქმულებების მნიშვნელობას, რაც სულაც არ არის პარადოქსი. ასეთი მეთოდი ხავსებით მისაღებია და აკ ბარათაშვილი არ არის პიონერი. ამ მხრივ პირველობა თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში. თეიმურაზზის მსოფლმხედველობის საფუძველი ამ შემთხვევაში არის „გ. ნიბურის კონცეფცია. თეიმურაზზმა იგი რუსული ისტორიოგრაფიიდან გადმოიღო“.

ეთნოგრაფიის საკითხში ს. ბარათაშვილი იზარებდა აზრს ქართველთა ინდოევროპულ წარმოშობაზე. მეცნიერთა ნაწილი დღესაც უპერს მხარს ქართული და ინდოევროპული ენების საერთო საფუძვლის არსებობას.

მართალია, ქართველთა ეთნოგენეზისის ბარათაშვილისეული კვლევა თანამედროვე მეცნიერებისთვის მისაღებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი საკითხს იკვლევდა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, რაც ხელს უწყობდა ჭეშმარიტი მეცნიერებისაკენ მიმავალი გზის გაკვალვას.

ს. ბარათაშვილი, როგორც მკვლევარი ისტორიკოსი, ქართული ისტორიული აზრისათვის მუდამ მნიშვნელოვნად საინტერესო მოვლენა იყო; მის მეცნიერულ პიროვნულ ვინაობას თავის დროზე შეეხნენ ვ. თაყაიშვილი, თ. სახოკია, დ. ბაქრაძე, დმ. სტარუსკი, უსლარი, მ. ლორთქიფანიძე, შ. მეხნარა, არჩ. ბარამიძე, ვ. ეორდანია, ს. ხუნდაძე, ნ. ნიჭარაშვილი და სხვები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გრიგოლ ნათაძის 1934 წელს გამოცემული წიგნი: **Султан Баратов как историк Грузии**, რომელიც დიდი და ცალკე განხილვის თემაა. ამ წიგნის საგანგებო და მართებული განხილვა ხელს შეუწყობს ს. ბარათაშვილის ვინთავისუფლებას ზოგიერთი უსაფუძვლო ბრალდებისაგან. მეტად დიდი სიმკაცრე იქნებოდა ს. ბარათაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა მხოლოდ თანამედროვე მოთხოვნათა თვალსაზრისით შეგვეფასებინა. მოკრძალებით და პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ ს. ბარათაშვილის ნააზრევში იმ დადებითს, რაც ხელს უწყობს ქართული ინტელექტუალური სამყაროს მიერ აღძრული საკითხების სწორად გაშუქებას.

გადაწყვეტილად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიკოსი, რომელსაც სურს წარმოადგენოს ისტორიის შექმნის პროცესი და სერიოზულად იმსჯელოს XIX საუკუნის ქართული ისტორიული აზრის შესახებ, გვერდს ვერ აუვლის ს. ბარათაშვილს. ამ შესანიშნავი მოაზროვნის შემოქმედების გათვალისწინებით, უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ იგი თავისი ეპოქის მოთხოვნათა დონეზე იდგა.

მას მტკიცედ სწამდა შეგონება: „ისტორია ხალხთა უწმინდესი წიგნია“. ასეთი აზრის ღასადასტურებლად მოგუმბიმ ს. ბარათაშვილის სიტყვებს: „ყველა განათლებული ადამიანისათვის იმაზე სანინტერესო და იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, ვიდრე შესწავლა თავისი სამშობლოს ძველი დროისა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ნავდარაშვილი

ილია ჭავჭავაძე და საგურამო

ძველთაგანვე საგურამო ერქვა არაგვის მარცხენა შენაკადის მდ. თეზმის ორივე მხარეს მდებარე ტერიტორიას. იგი ადრე ზანავად, მოგვიანებით კი ხერკად იწოდებოდა. საგურამოს შორეული წარსული შესახებ ნათლად მეტყველებს მრავალი ნასახლარი, ნადრბაზევი და ხამლოცველი.

საგურამოს საქმეული ალიარება მოუტანა ილია ჭავჭავაძის აქ დამკვიდრებამ, რაც 1863 წელს ილიას ოლღა გურამიშვილთან, — შეძლებული თავადის, თადეოზ გურამიშვილის ასულთან — შეუღლების შემდეგ მოხდა.

საერთოდ, 1863 წ�დიდი ილიას ცხოვრებაში ბრწყინვალე ფურცელია. ამ წლის იანვრის თვეში ახალგაზრდა ილიას რედაქტორობით გამოსვლას იწყებს ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომლის ირგვლივ დაირაზმა მაშინდელი პროგრესული ინტელიგენცია. ჟურნალი საქმიანად ეხმიანებოდა ჩვენი ქვეყნის საჭირბორტყო საკითხებს და ხალხს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იღვწოდა. ამავე წლის 21 აპრილს ილია დაოჯახდა — ჯვარი დიაწერა ოლღა გურამიშვილზე.

ოლღას მამა, თადეოზ ზაალის ძე გურამიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ შეძლებულ თავადთა რიცხვს ეკუთვნოდა. თანამედროვეთა მოგონებით თადეოზს დიდი, კარგად დამუშავებული მამული ჰქონია საგურამოში. თვით მეფისნაცვალს, მ. ვორონცოვის რჩევით, აქ თუთის ნაფრეკე ჰქონდათ გაშენებული და აბრეშუმის წარმოებასაც შესდგომიან.

ბუნებრივია, შეძლებული თავადისათვის ხელმოკლე ოჯახშვილი ხასურველ სიძედ ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ ქართველ ინტელიგენციასთან დაახლოებულ თადეოზ გურამიშვილს, რომელიც 50-ან წლებში ფულადი ხასხარებით ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ქართული მწერლობის წინსვლა-გაფართოებას საქმეს, მეგზნებარე ახალგაზრდა სამიკიანელი შეუმჩნეველი არ დარჩენია და მალე კიდეც დარწმუნდა თავისი ქალიშვილის არჩევანის სისწორეში.

ეკ. გაბაშვილი იგონებს: იმ ხანებში ილიას ხასელის გასაგებად ხალხში ხმა იყო გავარდნილი, რომ ილიამ, როგორც ღარიბმა თავადიშვილმა, გარიგებით და მოტყუებით შეირთო არა ოვალი ღარხი და შესაფერისი ცოლი.

ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილიასა და ოლღას შორის სიყვარული ღრმა და ძლიერი იყო, ცოლ-ქმარს ერთმანეთის მიმართ ეს ფაქიზი, ამაღლებული გრძნობა მთელი ცხოვრება გაჰყვათ.

თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1875 წ.), მისმა შვილებმა კანონის ძალით გაინაწილეს მემკვიდრეობა. თადეოზს პირველი ცოლისაგან, ელისაბედ გიორგის ასულისაგან, რომელიც ადრე გარდაიცვალა, დარჩა ქალიშვილები, ეკატერინე და ოლღა, ხოლო მეორე ცოლთან, მარიამ დავითის ასულ დიასამიძესთან, გონებასუსტი შვილები ჰყავდა — ხორეშანი (ანიკო) და ზაალი.

მემკვიდრეებმა მამული შემდეგნაირად გაინაწილეს: ზაალს ერგო მამული ნახევარი, თადეოზის ქვრივ მარიამ დიასამიძეს მეშვიდეი, ხოლო ქალიშვილებს — ეკატერინეს, ოლღას და გონებასუსტ ხორეშანს მეთოთხმეტედი ნაწილი თითოეული.

ილია ჭავჭავაძე ოლღას წილ მამულში მეურნეობის მოწყობას შეუდგა. საგურამოში მწვრალი ძირითადად ზაფხულობით ადიოდა, მაგრამ მის მამულს არ აკლდა მისეული მზრუნველი თვალი და ხელი. ალბათ, სწორედ აქ შეიგრძნობდა იგი ცხოვრების მახაზრდოებელი გარემოს. ამიტომაც წერდა პეტერბურგიდან მეუღლეს: „ხომ იცი, ჩემი ნატვრა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრო და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ. შენი ბირიმე, ოლიკო, შენებურად დატრიალდეს და გაიბარჯე, რომ ხახლის აშენებას დაბრკოლება რამ არ მიეცეს".

ამასთანავე, ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძეს არ გააჩნდა შემოქმედებითი მუშაობის, დასვენების ნორმალური პირობები. თბილისში საკუთარი სახლი არ აქვნდა, ხოლო ყვარლის სახლ-ეკრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან დაშორებული იყო დედაქალაქიდან, მისგან დიდი ხნით მოწყვეტა კი ილიას — „იეზერის“ რედაქტორს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეს, საადგილმამულო ბანკის დირექტორს — არ შეეძლო. შემოქმედებით მუშაობისთვის მყუდრო ადგილსამყოფელის მოწყობაზე ილია დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა.

საგურამოს ილიასეული მამულის შესწავლა უნდა დავიწყოთ იმ მემკვიდრეობით, რომელიც წილად ხვდა მის მეუღლეს, ოლღა გურამიშვილს. ეს მამული, როგორც აღვნიშნეთ, შეადგენდა თ. გურამიშვილის დიდი მამულის 1/14 ნაწილს და ეკავა 286 დესეტინა, ანუ 6901 1/2 კვ. საჟენი ფართობი. მამული შედგებოდა ერთმანეთისაგან ორი ახეული ნაკვეთი დაცილებული ორი ნაკვეთისაგან.

პირველი ნაკვეთი, საერთო ზომით 4 დეს. ანუ 690 1/2 კვ. საჟ., ბაღს ეკავა; მეორე ნაკვეთი საერთო ზომით 282 დეს. იყო, აქედან ტუეს ეკავა 113 დეს., სახნავს — 63 დეს., საძოვარს და ბუჩქნარს 99 დეს., გზას — 6 დესეტინა. საერთო ჯამში, ადგილ-მამულს გეგეის მიხედვით, სავარგულები შემდეგნაირად იყო განაწილებული: სახნავი — 69 დეს. ანუ 600 კვ. საჟ., საძოვარი — 75 დეს. ანუ 227 კვ. საჟ. ტეე — 113 დეს. ანუ 140 კვ. საჟ. ბალბისტანი 22 დეს. — 189 1 2 კვ. საჟ. გარეგნულად ეს მამული წარმოადგენდა მთის ქედიდან მდინარე არაგვისაკენ დაფერდებულ სიერცეს, რომელიც ქმნიდა სამ ტერასს და მდინარე არაგვთან დაბლდებოდა. ტერასები დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: პირველზე ტეე იყო, მეორეზე — ვენახისა და ხეხილის ბაღები და სახნავი მიწა, ხოლო მესამე ტერასზე — სახნავი მიწა, რომელიც უშუალოდ მდინარე არაგვის კალაპოტამდე აღწევდა.

მამულის თავპირი ხერხემალი, შემოსავლის ძირითადი წყარო იყო ბაღი, რომელსაც საერთო ჯამში ეკავა 22 დეს. ანუ 1890 1/2 კვ. საჟ.. ეს ბაღი მდებარეობდა თავდაზე გურამიშვილის სამემკვიდრეო ბაღებს შორის და შემოვლებული ჰქონდა საერთო ღობე, ხოლო ბაღებს შორის სამაჯნეები იყო ჩაყრილი. დასახლებული ფართობიდან 18 დესეტინაზე გაშენებული იყო სანიმუშო ბაღ-ვენახი, სადაც 17 დეს. საკუთრივ ვენახს ეკავა და 1 დესეტინა ხეხილს — მსხლის, ვაშლის, ატმის, თხილის და სხვა ნარგავებს. დანარჩენ ნაწილზე კი (4 დეს.) ბოსტნეული მოჰკავდათ. ბაღი იჯარით ეძლეოდათ დამუშავებისათვის მებაღეებს, რომლებიც უმეტესწილად ებერნები იყვნენ და მოსავლის ნახევარს ბაღის მფლობელს უხდიდნენ. მართალია, საგურამოში ძირითადად მემარცვლეობას მისდევდნენ, რაც ადგილობრივ მოსახლეობას სარწყავის გამოყენების აუცილებლობას არ აგრძნობინებდა, მაგრამ ბაღის მოვლისას სარწყავი აუცილებელი იყო, რადგან საგურამოს მიწა ზაფხულში გვალვის შედეგად ხრუნლად კარგავს ტენს. ეს გაუთვალისწინებიათ საგურამოს მფლობელთ და სარწყავი არხი გამოუუყვანიათ მთის მდინარე თეზრის წყლიდან, რომელიც სოფელ საგურამოს ჩრდილოეთით მიედინება. მაგრამ ეს მდინარე ნაკლებწყლიანი იყო და ყველას ვერ დააკმაყოფილებდა. საერთო არხიდან ოლღას ეკუთვნოდა წყლის 1/12 ნაწილი, რაც ვრცელი ბაღისათვის საკმარისი არ იყო: ზაფხულის თვეებში აშკარად იგრძნობოდა წყლის უკმარისობა.

უზარმაზარ სივრცეზე გაშენებული ბაღისათვის წყალი რომ საკმარისი ჰქონოდათ, ეკალტრნე სტაროსელსკიას და ოლღა ჭავჭავაძემ თხის მილებით ერთობლივად გამოიყვანეს წყალი ტყის ნაკვეთში არსებული ოთხი წყარო-დან. მილები წყალს აწვდიდნენ ბაღის დახავწყისში ქვითა და ცემენტით ავებულ რეზერვუარს.* რომლის ტევადობა 20 კუბ. საჟ. იყო. რეზერვუარი დდე-ღამის განმავლობაში შეიძლებოდა ორჯერ შევსებულიყო. წყლის ასეთი მარაგი უზრუნველყოფდა ორივე მიწისმფლობელისათვის ბაღის მორწყვას გვალვის პერიოდში. არსებული ნაგებობა ორივე მონაწილეს 3000 მანეთი დაუჯდა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ თიბის მილებით გამოყვანილი ეს წყალი დღესაც მოიდინებეს ყოფილი „ბაღის თავში“ (საგურამოელები ასე ეძახიან ამ ადგილს) და გამოიჩრეკა საუკეთესო ოვისებებით, რეზერვუარი კი დანგრეულა.

მამულის მდებარეობა და კლიმატური პირობები ხელს უწყობდა ვენახის, ხეხილის, ბოსტნეულის, ყველა სახის მარცვლეულის და, საერთოდ, ყველანაირი კულტურის მოშენებისა-მოყვანას. ადგილობრივი ღვინო თავისი ხარისხით პირველ ადგილს იკავებდა ქართლის ღვინოებს შორის. საგურამოში მიწა თიხნარი, ალაგ-ალაგ ხვნეზეკა ურევია, ასეთი ნიადაგი კი სალეკოთესოა ვაზისათვის.

მამულის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ერთიორად ზრდიდა მის ღირებულებას — თბილისიდან 30 ვერსით დაცილებული ნაკარნაველის სამხედრო გზის საფოსტო სადგურები, მცხეთა და ავჭალა მამულთან ახლოს მდებარეობდა. ამ პუნქტებთან საგურამოს აკავშირებდა მოხერხებული სახაზინო გზები, რის საშუალებითაც პროდუქციის გაგზავნა და გასაღება ადვილდებოდა. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ თბილისელი ფილანდ ადგილმდებარეობა და ნიეკერების წყლიანი ბიწები აქ ძალიან ძვირად ფასობდა. ასე მაგალითად: 1 დესეტინა ნაბალე ნაკვეთი ღირდა 200-300 მანეთი; ფეხტინა და-

* საგურამოელი გლეხის ლ. ბიჩინაკაურის მოგონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ — 500-1000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ; ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲬᲚᲝᲜᲘᲗ — 100-ᲓᲐᲜ 200-ᲛᲓᲔ; ᲡᲐᲮᲝᲯᲐᲠᲘ — 15-ᲓᲐᲜ 20-ᲛᲓᲔ; ᲥᲣᲚᲘ — 25-ᲓᲐᲜ 30-ᲛᲓᲔ. ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲯᲒᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲭᲝᲑᲘᲡᲐ ᲡᲝᲡᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲡᲢᲐᲚᲑᲐᲨᲘ.

ᲜᲐᲯᲒᲝᲤᲘᲡ ᲛᲐᲨᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲮᲣᲠᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲐᲚᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲘ.

ᲗᲐᲛᲐᲓᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ (1875 Წ.) ᲘᲚᲘᲐᲛ ᲗᲝᲮᲗᲝᲮᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲪᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲯᲒᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ; ᲥᲓ. ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲚ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ: „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲜᲓᲐᲜᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲪᲮᲝᲠᲜᲘᲡᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲘᲡ ᲗᲝᲮᲗᲝᲮᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲙᲐᲮᲐ ᲛᲐᲚᲛᲐᲚᲘᲗᲐ ᲨᲔᲓᲒᲐᲡ. ᲨᲔᲓᲒᲐᲡ ᲪᲮᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲛᲘᲪᲘᲪᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲗᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲓᲐᲜᲘᲠᲔᲚᲘᲡᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲓᲐ ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲐᲮᲝᲜᲘᲡᲐᲜ ᲫᲘᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲧᲝ ᲪᲮᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛ, ᲙᲐᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲔᲗᲮᲘᲡᲐ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲬᲧᲐᲠᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲙᲕᲐᲝᲜᲘᲡᲚᲘᲡ ᲐᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲯᲘ ᲤᲠᲘᲠᲐᲯ ᲛᲝᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲑᲠᲔᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲧᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲗᲐᲚᲐᲜ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲨᲣᲜᲯᲘ ᲐᲠᲪᲧᲘᲡ ᲚᲘᲐᲩᲘᲡ ᲒᲐᲕᲔᲓᲜᲘᲚ. ᲘᲒᲘ ᲬᲔᲠᲡ: „1884 ᲬᲚᲘᲡ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔ ᲞᲠᲘᲪᲔᲚᲘᲡᲐᲒ ᲗᲘᲧᲐᲜ ᲡᲐᲒᲣᲠᲐᲛᲨᲘ, ᲔᲒ ᲛᲬᲧᲐᲜᲘ ᲫᲔᲓᲠᲘ ᲘᲓᲒᲐ ᲣᲑᲝᲠᲜᲘ, ᲗᲝᲗ-ᲗᲝᲗᲮᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲐᲒᲐᲠᲐᲯᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲒ ᲛᲐᲜ 12--15 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲯ ᲪᲣᲓᲘ ᲛᲐᲗᲐᲚᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ“.

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, 70-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲮᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲐᲛᲨᲘ, ᲖᲔᲓᲐᲬᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲘᲡ ᲯᲐᲢᲐᲜᲨᲘ. ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠᲘ ᲝᲗᲮᲝᲗᲮᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲡᲐᲓᲪᲐ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲠᲐᲯᲔ ᲪᲣᲓᲘᲡ ᲛᲐᲗᲐᲚᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ“.

1891 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲕᲓᲐᲜᲗᲣᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗᲘᲗ ᲙᲝᲛᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲙᲐᲠ-ᲛᲘᲯᲐᲕᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘ. ᲣᲙᲕᲔ ᲡᲮᲚᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲪᲘᲜᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲯᲘ, ᲐᲛ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲙᲐᲠ-ᲛᲘᲯᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲐᲛᲮᲕᲐᲠᲔ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ; ᲡᲐᲮᲐᲑᲐᲨᲘ, ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲛᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲑᲣᲠᲣᲚᲘᲐ; ᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲘ ᲙᲠᲐᲛᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲠᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ; ᲔᲠᲗᲘᲗ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲧᲐᲠᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲗᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲨᲘ. ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲭᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲡᲢᲐᲚᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲒᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ-ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲙᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲒᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲯᲣᲚᲘ. ᲧᲣᲐᲜᲐ ᲔᲩᲝᲜᲘ ᲑᲐᲠᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲪᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘ ᲪᲐᲠᲘᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ. ᲔᲩᲝᲜᲘ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲔᲚᲘᲡᲣᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲗᲝᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲔᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ (ᲡᲐᲮᲚᲘ), ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲑᲘᲯᲝᲜᲘ.

ᲔᲩᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲪᲘᲡᲐᲪᲘ ᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲘᲧᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲘᲚᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲩᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ. ᲐᲛ ᲬᲧᲐᲠᲘᲗ ᲡᲐᲗᲘᲯᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲠᲘᲠᲘᲜᲓᲐ ᲫᲘᲚᲝᲜᲘᲗᲠᲘᲡᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲚᲘ. ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲫᲣᲠᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲗᲐᲯᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲣᲜᲓᲘᲡ ᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲖᲘᲡᲐᲜ. ᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲫᲣᲠᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ (ᲡᲐᲮᲚᲘ), ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲑᲘᲯᲝᲜᲘ.

ᲔᲩᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲪᲘᲡᲐᲪᲘ ᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲘᲧᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲘᲚᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲩᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ. ᲐᲛ ᲬᲧᲐᲠᲘᲗ ᲡᲐᲗᲘᲯᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲠᲘᲠᲘᲜᲓᲐ ᲫᲘᲚᲝᲜᲘᲗᲠᲘᲡᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲚᲘ. ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲫᲣᲠᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲗᲐᲯᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲣᲜᲓᲘᲡ ᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲖᲘᲡᲐᲜ. ᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲫᲣᲠᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილად დესეტინიდან 30 ფუთი ხორბალი უნდა შემოვიდეს, 34 3/4 დესეტინიდან კი 1042 1/2 ფუთი. ფულად ეს ხორბალი 834 მანეთს უღირს. 75 დესეტინა ხაძვარი, ანუ ოფილ დატუებული 34 3/4 სახნავი მიწა და ტყე 113 დეს. ე. ი. 222 3/4 დესეტინა — გამოიყენება ხაძვრად და შემოსავალი აქედან 222 მანეთი და 75 კაპეიკი. მამულზე საკონლის გადარეკვის ღირებულების გადახდა მფლობელს წელიწადში 20 მანეთს აძლევს. სულ კი მფლობელის სასარგებლოდ შემოსავალი თანხა მამულიდან — 5116 მანეთს უღირს".

საგურამოს სახლი და მამული თავიდანვე დიდი ეროვნული და კულტურული მოღვაწეობის ერთგვარ ცენტრს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მე-2 ნახევარში ქართველ საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებს დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ „იმისთანა სახლი, სადაც შესაძლებელი იყო ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის" — გაცაზრიებულად, კანტიკუნტად ასეთ შეხვედრებს 50-60-ან წლებშიაც მართვდნენ ალ. ორბელიანი და ივ. კერესელიძე, მაგრამ XIX საუკუნის 70-80-ან წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება გამოცოცხლდა, გაღვიძდა ქართველ მოღვაწეთა რიცხვი, ფრთა გაშლეს ეროვნულ-განმთავისუფლებელმა მოძრაობამ, რომლის სულისჩამდგმელი და მედროშე ი. ჭავჭავაძე იყო. ლიტერატურის, ზეციერებების, აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ ილიას აზრის გაგება, მასთან მოლაპარაკება და მსჯელობა მოთხოვნილებად გადაიქცა. ქართველი პროგრესული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელები მოსათათბირებლად მიდიოდნენ საგურამოშიც.

ასე რომ, პატარა, ოთხოთახიანი სახლი სტუმრებს ვეღარ აუდიოდა და 1892 წელს ილიამ ახალი სახლის აგება გადაწყვიტა. სახლის ასაგებად პირველ რიგში ფული იყო საჭირო, რის ნაკლებობასაც ილია მთელი სიცოცხლის განმავლობაში განიცდიდა. ახალი ბინის ასაშენებლად ფულის შოვნა მხოლოდ მამულის დაგირავებით შეიძლებოდა და ოლღა ჭავჭავაძე განეხადებას წერს თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის მმართველობის სახელზე, ითხოვს ბანკში მამულის დაგირავებას და 12 000 მანეთი სესხს.

1891 წლის 19 ოქტომბერს შემფასებელი კომისიის წევრმა გიორგი სარდიონის ძე ცაცანაშვილმა დაათვალიერა ოლღა ჭავჭავაძის მამული. იგი 40 000 მანეთად შეფასდა.

ბანკიდან სესხის მიღების ზუსტი თარიღისა და სესხის რაოდენობის დადგენა მოგერიხდა თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის ფონდში დაცული ი. ჭავჭავაძის განცხადებების საფუძველზე. 1892 წ. 1 ივნერიდან თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობამ ო. ჭავჭავაძის მამულის გირაოზე გაუცია სესხი 12.000 მანეთი. 1893 წლის 1 ივლისიდან ბანკმა კვლავ გასცა სესხი — 6 ათასი მანეთი. ეს თანხა მთლიანად ხმარდება ახალი სახლის მშენებლობას. მშენებლობისათვის საჭირო აგური მზადდებოდა სპეციალურად ამ მიზნისათვის აგებულ პატარა „აგურის ქარხანაში", რომელიც მდინარე არაგვის პირას მდებარეობდა.

1895 წელს დამთავრდა ამ კაპიტალური სახლის აშენებლობა. სახლი სასსართველიანია, შედგება 8 ოთახისაგან და აქვს სამი სარდაფი. აგებულია აგურით და ქვითკირით, დახურულია რკინის სახურავით. „სიგრძე და სიგანე 22 1/2 არშინი, კედლის სიმაღ — 1 არშინი".*

სახლი პირით მიქცეულია არაგვისაკენ და გადაჰყურებს მას დიდი, ღია ალენებით. იგი შესანიშნავად ერწყმის საგურამოს გარემოს. განსაკუთრებით დიდებულია ზედი ილიას სამუშაო ოთახის ალენიდან: მუქ ლურჯ ატყორნილი მთა-გრეხილთა შორის გადაჰმიფული საგურამოსა და მუხრანის ველები. შორს კაკაბონის ქედი მოჩანს...

ამ სახლთან ერთად აშენდა ქვითკირის სამოსამსახურო სახლი, რომლის სიგრძე 20 არშინი, სიგანე — 15 არშინი, სიმაღლე — 5 არშინი, კედლის სიმაღ — 1 არშინი. სახლი ექვსი ოთახისაგან შედგებოდა.

ახალ სახლს აოტაცებაში მოჰყავდა ილია. სამსახურის საქმეებით მოკანცული, ქალაქით დაღლილი დიდი მწერალი საგურამოს მიაშურებდა, ჩაიცვამდა თეთრ ხალათს, თავზე დახურავდა „ფეხკაპ" და მიეცემოდა სრულ განცხრომას. საგურამოში ილიას ამორჩეული ქქონდა დიდი მუხა და კაკლის ხე, რომელთა ჩრდილში საათობით იჯდა, ზეჩრად აქვე სადილობდა ადილეკ:**.

მეურნეობის მოწყობას ილია არაჩვეულებრივი სიხალისით ეკიდებოდა: თავისი ხელით რგავდა ხეებს, უფლად ნორჩ ნერგებს: ცაცხვის, იფლის, თელისა და ნეკერჩხალის ხეები ლამაზ ხეივნად გადადევენ სახლისკენ მიმავალ ბილიკს. ეზოს ცენტრში ცაცხვის 8 დიდი ხე ხარობს. მათ შორის ილიას მოწყობილი ქქონდა საჩვენებელი საფუტკრე. ცაცხვის ძირას ჩამოუყვანია პატარა რუ, რომელიც განუწყვეტლივ რწყავს ამ ხეებს. აქვე, ეზოში გაფანტული ბაზის მრავალრიცხოვანი ნარგავები დღემდე ამშვენებენ ილიას კარ-მიდამოს.

სახლიც და სხვა შენობებიც მწვანეში იყო ჩაფული, ვინც ქვემოდან სოფელ ს ზზნი ამოდიოდა, კარ-მიდამოს თითქმის ვერ ხედავდა; მის თვალწინ გადაეშლებოდა ბაღ-ვენახებით შემკული ნამფოელი სამოთხე, რომელსაც თავს ადგა მაღალტალიანი ზედაზნის მთა.

---

* ცსა ფონდი 481, საქმე 1268.

** გ. მიხეილე, ნ. ხომერიკი, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, თბ., 1957, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანლი დიდებული გამოვიდა, მაგრამ მისი აშენება ილიას საქმიდან ძვირი დაუჯდა და ვალებშიც ჩავარდა. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: ერთხელ მე და ნიკო ცხვედაძეს ვეგიბნი — მე ჭყვინ აღცს მეძახიან, მაგრამ რომ დავფიქრდები, ვრწმუნდები, რომ ჭყუა არ მქონია, საგურამის ხანლის აშენება და მოწყობა 40.000 მანეთი დამიჯდა, ამ ფულით თბილისში ორ დიდ ხანლს ავაშენებდი და მათი შემოსავალი მარჩენდა, ახლა კი ვალებში ვარ ჩავარდნილია.

ამის გამო ილია ჭავჭავაძე იძულებულია 1895 წლის 5 ივლისს ალეკა მამბერის თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკს დამატებითი ხელხლათვის და მოითხოვს მამულის ხელახლა შეფასებას.*

1895 წლის 15 სექტემბერს, მამულის დამატებით აღწერის შემდეგ, ბანკმა ილიას გამოუყო ხესხი 2.000 მანეთი.

ხახლის წინ ილიას ყვავილების ბაღი ჰქონდა გაშენებული, ამ ყვავილნარის გასაშენებლად მან ხახელგანთქმული მებაღე — მიხეილ მამულაშვილი მოიწვია. „საგურამოში ნიამორვნებით წავედი, თან საუკეთესო ყვავილების ძირები წავიღე მის ბაღში დასარგველად, ეს არ იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, საგურამოში ხშირად ვდიოდი და რასაც ილია ბაღში გასაკეთებელს მავალებდა, პირნათლად და დიდი სიყვარულით ვასრულებდი. უნდა აღვნიშნო, რომ ილიას ხელოვნური ბაღი და ყვავილნარი მთნეც და მანეც არ უყვარდა. ეს აშკარად ჩანდა მისი ბაღის დათვალიერებითაც, ის უფრო მეტად ეატაცებული იყო იმით, რომ მის ბაღს ბუნებრივი ტყის სახე ჰქონოდა. ეს თავისი აზრი მან არა ერთხელ გამოსთქვა ჩემთან საუბრის დროს და თან დაატანა: „თუ მანეც ჩემს ბაღში ყვავილები მოვაშენე, ეს მხოლოდ სტუმრების თვალის საამებლად, არა სოქვან რაღე ფრაგო“.**

სტუმრები კი ხშირად ჰყავდა. ყოველ შაბათს, დღესასწულებზე, მუშაობისაგან თავისუფალ დღეებში ილია საგურამოსაკენ მიიჩქარიდა, კ? თავს იყრიდნენ მრავალრიცხოვანი სტუმრები, ოჯახის ნაცნობ-მეგობრები, ბაასობ-დნენ საკართველოს პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე. მსჯელობდნენ.

არ ფარნენია იმ დროის არც ერთი ცნობილი მოღვაწე თუ უცხოელი მოგზაური, საგურამოს რომ არ სწვეოდა.

ვინაც საკართველო უყვარდა და მისი ნახვა აინტერესებდა, ილია ჭავჭავაძეც უნდა ენახა. საქართველოს სტუმარი ილიას სტუმარი იყო.

ამდენ სტუმარს კი მეტად გულუხვი მასპინძლობა სჭირდებოდა. ოლღას მემკვიდრეობითი მამული იმდენ შემოსავალს ვერ იძლეოდა, მრავალმხრივ ხაზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან ერთად მრავალრიცხოვანი სტუმრიანობის გაძღოლაც რომ შეძლებოდა. ამ გარემოებამ უბიძგა ილიას, ოლღას სახელზე გაეფორმებინა ოლღას ნახევარი ძპნი, გონებასუსტ ზაალ გურამიშვილის მამულის 1/3 ნაწილის საპარო ხელშეკრულება. ხელშეკრულება გაფორმდა 1895 წლის 9 ივნისს ზაალ გურამიშვილის მეურვე სიმონნინაძეს. იჯარით აღებული მამულის ფართობი 600 დესეტინის აღწევდა, საიჯარო გადასახადი მეურვის სასარგებლოდ ყოველწლიურად შეადგენდა 400 მანეთს.

ამ ხელშეკრულებით ვეცნობინთ საიჯარო მამულის ნაკვეთების სრულ სიას; საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ საიჯარო მამულის ნაკვეთები მთელ საგურამოში იყო განაწილული.

ეს მამულები ოლღას მემკვიდრეობითი მამულის, კარ-მიდამოს და ილიას მამულების სიახლოვეს ან გვერდით მდებარეობდა და ჰქონა ისეთივე მეურნეობა ჰქონდათ, როგორც ოლღას და ილიას მამულებში.

მამული იჯარით შემოსავლის გადიდებისა და გამდიდრების მიზნით არ აუღიათ. ამ ნაბიჯს ილიას უკარნახებდა ცხოვრების ულმობელი სინამდვილე, ხელმოკლეობა და სურვილი იმისა, რომ რაკიანად გასძღოლოდა იმ საქმეს, რომლის მოთავეობა დაეკისრა ქართველი ერის წინაშე.

სწორედ ამ კუთხით უნდა გავიგინილოთ ილიას მიერ საგურამოსა და წიწამურში მასულების შეძენის საკითხი.

ამ მამულების შესახებ სანდო მასალები მოძიებული იქნა სასტორიო არქივში დაცულ ფონდებში, რომელთა შესწავლა ნათელს მოპფენს და სრულად წარმოაჩენს საგურამოში ილიას კუთვნილ სამფლობელოებს.

1947 წელს „ხასტორიო მოამბის“ III ტომში გამოქვეყნდა დოკუმენტური მასალები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ამ მასალებში ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძის მამულის აღწერა, რომელიც გაკეთებულია 1903 წელს თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრის ლევან ჩერქეზიშვილის მიერ. ამ დოკუმენტმა გვიბიძგა, უფრო სრული მასალები მოგვეძია. მოძიებული დოკუმენტებიდან რეკვევა, რომ 1891-1892 წლებში შეძენილი ეს მამული ილიამ 1903 წელს დაგიროვა თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაური ბანკში.

1891 წლის 1 ივლისიდან დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილმა და მისმა თანამოაზნეულებმა თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკში დაიგიროვეს მამული საერთო ზომით 262 დეს. და 1997 კვ. საჟ. 4000 მანეთად. საგურამოს ეს მამული შედგებოდა ერთ-

* ცნ., ფონი 394, საქმე 615, ფურც. 22.

** ე. მამულაშვილი, მოგონება ი. ჭავჭავაძის შესახებ (ი. ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებაში, თბ., 1987 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთისაგან: პირველი, ფართობით 156 დეს. ანუ 1126 კვ. საჟ. სადაც სახნავი იყო 27 დეს., ხეძოვარი და ბუჩქნარი — 24 დეს. ანუ 700 კვ. საჟ.; ტყე — 91 დეს. ანუ 556 კვ. საჟ.; გზა 1 დეს. ანუ 350 კვ. საჟ.; მდინარეცა და ქვიშარის 12 დეს. ანუ 1920 კვ. საჟ.; ეკავა.

მეორე ნაკვეთი ფართობით 106 დეს. 871 კვ. საჟ. იყო. საერთოდ ორივე ნაკვეთში მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწა 243 დეს. 1427 კვ. საჟ.ეს შეადგენდა, ხოლო უვარგისს 19 დეს. 570 კვ. საჟ. ეკავა.

ეს მამული ილია ჭავჭავაძემ ამავე წელს შეიძინა თბილისის საადგილმამულო ბანკისგან.

მეორე მამული, რომელიც ასევე საგურამოსა და წიწამურში მდებარეობდა და ეკუთვნოდა კონსტანტინე ეგორის ძე მირზოევს, საადგილმამულო ბანკში დაგირავებულია ასევე 4000 მანეთად, 1892 წელს 1 იანვარიდან. როგორც თბილისის მაზრის მოძრავებელი მოსამართლის მიერ 1891 წელს გაცემული მოწმობიდან ირკვევა. აზნაური კონსტანტინე ეგორის ძე მირზოევს ეს მამული მემკვიდრეობით ეერგო ძმისგან, აზნაურ ვასილ ეგორის ძე მირზოევისგან.

1892 წლის 20 ოქტომბერს თბილისის ნოტარიუსთან, ალექსანდრე გრიგოლის ძე ტარკოვსკისთან თავადი ილია ჭავჭავაძე და აზნაური კ. ე. მირზოევი აფორმებენ აღნიშნული მამულის ნასყიდობას.

ნასყიდობის მოწმობიდან ზუსტად დგინდება ილიას მიერ შეძენილი მამულის საერთო ფართობი, მდებარეობა, მიწის ნაკვეთების ზომები და საზღვრები.

ახე რომ, 1891-1892 წლებში ილია ჭავჭავაძეს შეუძენია თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკში დაგირავებული ორი მამული, რომლებიც მდებარეობდნენ საგურამო-წიწამურში. ორივე მამულში მიწის ფართი 552 დესეტინა 157 კვ. საჟ. იყო. აქედან ვარგისი სავარგული 509 დესეტინა 2397 კვ. საჟენს შეადგენდა, ხოლო უვარგისი — 41 დესეტინას, ანუ 190 კვ. საჟენს. ამასთან, ვარგისი მიწა, ადგილ-მამულის ეგემის თანახმად, განაწილებული ყოფილა შემდეგნაირად: სახნავ-თესილი — 41 დესეტინა ანუ 1380 კვ. საჟ.; საძოვარი — 14 დესეტინა ანუ 960 კვ. საჟ.; ტყე — 428 დესეტინა ანუ 57 კვ. საჟ.

ორივე მამული ნაწილობრივ მთაგორიანი იყო, მდინარე არაგვისაკენ, ე. ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ქმნიდა სამ ტერასს. მიწის ნაწილი (სახნავი, საძოვრის ნაწილი) სარწყავი იყო და ირწყვებოდა მთის ნაკადულებით, დანარჩენი ნაწილი შეადგენდა ტყიან ზოლს, დფფარულს ნაწილობრივ მსხვილი ნარგავებით, ნაწილობრივ — ბუჩქნარით, და ტყის სინესტის წყალობით არ საჭიროებდა მორწყვას. ნიადაგი, უმეტესად, თიხნარ-ქვიშიანია, ნეშომპალის შემცველი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მოცემი მამული ახო იყო. აქ გავრცელებული იყო მიწათმოქმედების ხამმიდ-ნიანი სისტემა. ადგილობრივი მოსახლეობა მისდევდა მემარცვლეობას, მევეხანეობას, მეცხოველეობას, ტყის მოკრეს და გაზიდვას.

მიწათმფლობელი შემდეგ შემოსავალს იღებდა: სახნავი მიწის დამუშავებისათვის მოსავლის 1/4 ნაწილი მიწათმფლობელის სასარგებლოდ გადაიხდებოდა; 1 დესეტინაზე ბოსტნეულიდან შემოსავალი 70-100 მანეთს შეადგენდა; ერთი სული მსვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძოვებისათვის წელიწადში 3-4 მანეთს, 100 სული ცხვრის ძოძოებისათვის 20-40 მანეთს იხდიდნენ.

ორივე მამულის შემძენის შემდეგ ი. ჭავჭავაძე ახლებს მათ ხელახლა გადადასტურებს ამავე 1892 წელს. ორივე მამულის ფასი 16.000 მანეთს აღწევს.

1903 წლის 30 მაისს ილია განცხადებით მიმართავს თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის გამგეობას და აცნობებს, რომ სესხის გაცემის დღიდან გავიდა 10 წელზე მეტი, მან კი ამ ხანებში მამულში ჩაატარა ნამუშაობი, რითაც გაიზარდა მამულის შემოსავლიანობა და შესაბამისად მისი ფასიც; ილია თხოვს ბანკის გამგეობას ამ მამულების გადადასტურებ და ერთი საერთო სესხის მიცემას ორივე მამულში. თვითონ ილია ორივე მამულს აფასებს 27.600 მანეთად, წინანდელ შეფასებაზე 11.600 მანეთით მეტად.

1903 წლის 17 იანვრის შემფასებელი კომისიის წევრმა თავად ლევან ჩერქეზიშვილმა შეადგინა დათვალიერება-შეფასების აქტი. აქტში ორივე მამული ერთ მამულადაა მოხსენიები და მოხსენიებულია, როგორც „ერთმანეთის გვერდით მდებარე ორი ნაკვეთი".

როგორც შეფასების აქტიდან ირკვევა, მამულის ღირებულება ბოლო თხუთულში მნიშვნელოვნად გაზრდილა.

ბოლო და წარმოებულ მოსავალზე ფასების საერთო გაზრდის გარდა ამ მამულში განხორციელებულმა ნამუშაობამა შესამჩნევად გაზარდა შემოსავალი. შეფასების აქტიდან ნათლად ირკვევა, თუ რა სახის გაუმჯობესებები გაუწევია ილია ჭავჭავაძეს თავის მამულში.

1. 25 დესეტინა მიწა, ყოფილი ეკლიანი ჯაგნარი, ახლა ამოძირკულია და გამოიყენება სახნავად.

2. მოწყობილია ბაკი გამოსაზამთრებელი ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის, რომელიც ყოველწლიურად იძლევა 200 მანეთს.

3. მოწყობილია განსაკუთრებული სისტემის სამხართულიანი წყლის წისქვილი, ორ საბჯენზე, თუჯის ჩარხებზე, 4000 მანეთად ღირებული, ყოველწლიურად იძლევა 300 მანეთს.

4. წისქვილთან ბოსტნისათვის გამოყოფილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 დესეტინა 100 კვ. საჟენი, რომელიც მფლობელს თავის წილად 60 მანეთს აძლევს წელიწადში.

მამულიდან საერთო შემოსავალი შეადგენდა 1284 მანეთს. აქედან გადასახადებში მიდიოდა 144 მანეთი, და სუფთა შემოსავალი შეადგენდა 1140 მანეთს.

შემფასებელი კომისიის წევრმა ლევან ჩერქეზიშვილმა ილიას მამული შეაფასა 22.800 მანეთად.

ილიამ ყველა მამული ერთიანად დაადგირავა 1903 წლის 1 ივლისიდან, 61 წლის და 8 თვის ვადით. ბანკმა ილია ჭავჭავაძეზე გასცა სესხი 11.400 მანეთი.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ ეს მამული შემოსავლის გადიდების მიზნით კრ იყო შეკმნილი და არც არაფრით ჭგავს სიმდიდრის მოსახვეჭად მოწყობილ ისეთ მეურნეობებს, როგორიც იყო, თუ ვნებავთ, ილიას მეზობლის, ეუხრანსკის მამული. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ ილია ჭავჭავაძეს სიცოცხლის უკანასკნელი წლებამდე ვერ დაადინა თავი ხელმოკლეობას და მას არაფერს ჰქონია ისეთი მატერიალური პირობები, როგორიც მისი მდგომარეობის კაცს შეეფერებოდა.

მაშ, ახე: ოლღა გურამიშვილს მემკვიდრეობით ერგო 286 დესეტინა ანუ 690 1/2 კვ. საჟ.; 1891-1892 წლებში ილიამ შეიძინა თბილისის საადგილმამულო ბანკში დაგირავებული ორი მამული. საერთო ჯამში მისი მამული 838 დესეტინას, ანუ 747 1/2 კვ. საჟენს შეადგენდა.

ახე რომ, ილია ჭავჭავაძეს მცირემიწიან მიწათმფლობელად ვერ მივიჩნევთ, რადგან ჩვენთვის საინტერესო პერიოდში „აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა თავადაზნაურთა სული 5884 მამული, რომლებიც ფართობის მიხედვით 4 ჯგუფად იყოფოდა — წვრილი (25 დესეტინამდე), საშუალო (25-დან 100-მდე), მსხვილი — (100-დან 500-დეს-მდე) და ძალიან მსხვილი (500 დესეტინიდან ზევით)".*

ამასთან, 1895 წელს ოლღა ჭავჭავაძის მიერ იჯარით აღებული მამული თავისი ნახევარი ძმისაგან, ზაალ გურამიშვილისაგან, რომელიც ფართობით ზაალის მამულის მეხამეულ შეადგენდა და თითქმის 600 დესეტინაზე იყო გადაჭიმული.

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძე მსხვილი მიწათმფლობელი ყოფილა და მისი ხელმოკლეობა მცირემიწიანობით ვერ აიხსნება. სხვა საკითხია, რომ აქციური საზოგადოებრივი და ლიტერატურული საქმიანობა ილიას საშუალებას არ აძლევდა, ინტენსიურად მოეკიდა ხელი სამეურნეო საქმიანობისათვის, მამულებს მოურავის საშუალებით მართვადა და შემოსავლიც მცირე ჰქონდა. მართალია, პირადად იგი დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდა მეურნეობის მოწყობას, იმენდა სხვადასხვა მანქანა-იარაღს, მაგრამ თვითონ მაინც მოუკარული იყო ამ საქმეში და მეურნეობის საქმეები ნაკლებად იცოდა, ხოლო დიდი სტუმრიანობა და გიგანტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა, რასაც ამ მამულების შემოსავალი ნამდვილად ვერ განუწყდებოდა.

იაკობ გოგებაშვილი ქართველი თავადაზნაურობის შეძლებისა და მდგომარეობის დახასიათებისას ეხება ილია ჭავჭავაძესაც; იგი აღნიშნავს: „ილია ჭავჭავაძე, რომელიც ყველას მდიდარი გვეგონა, არ შეადგენდა გამოკლებას. ორივე მამული კახეთისა და საგურამოსი დაგირავებული ჰქონდა იმდენ ფასში, რომ შემოსავალი სარგებელს მოლად ვერ იხდიდა, და ბანკს რომ მისთვის პენსია არ დაენიშნა, სიბერის დროს სიმშილს გამოსცდიდა".

---

* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V გვ. 526.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო ხულელიძე

მართლაც „რაც დიდ ილიას ეყუდვინის“

(ლინგა ხულელისა და ლელი ღუნიას პინაობისათვის)

ᲛᲘᲜᲐᲓᲔᲜᲐᲠᲘ ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული „ნარკვევი“ წარმოადგენს თავისებურ გამოხმაურებას ავთანდილ არაბულის სტატიაზე „რაც დიდ ილიას ეყუდვინის“ (ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1985 წ. № 1, 2).

ა. არაბული ხამართლიანად მიუთითებს, რომ „მკვლევართა წინაშე ყოველთვის მწვავედ იდგა აღნიშნული ტიპზოდის რეალობის, ლელი ღუნიას პროტოტიპისა და მისი მეტყველების ბუნებრიობის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხები არსებითად სწორადაც არის გადაწყვეტილი. ჩვენი კვლევა მხოლოდ ზოგიერთი მომენტების დაზუსტებას ისახავს მიზნად“.

ა. არაბული აღნიშნავს, რომ „ლელი ღუნიას პროტოტიპის საკითხი შეიძლება საკითხად რჩებოდეს“, საკვლევ მიინიეს მის არსებობას და დასძენს: „უსინტერესო არ უნდა იყოს იმ პიროვნების ვინაობის დადგენა (თუ კი ის მართლა არსებობდა), ვინც ბიძეი მისცა დიდ მწერალს ერის სატკივრის ზღაპადებელი, მიმზიდველი ვმირის შესაქმნელად“.

...ლელი ღუნია — (ხუ)ლელი (ჯ)ღუნია რეალური პიროვნება იყო.

(ხუ)ლელი (ჯ)ღუნიას „მართლა არსებობას“ უდავოდ ადასტურებს მისი შეილიშვილი მალიკო თევდორეს ასული, რომელიც, ოჯახური ტრაგედიის გამო ჯანმრთელობაშერყეული, უახლოესმა ბიძაშვილებმა შეიკედლეს და დღესაც შათთან ცხოვრობს სოფელ არშაში.

ჯღუნას კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რომელსაც იგი ვანად ხმარობდა, ამჟამად გამინდვრებული და სათიბედ ვხმარობთ. მას დღემდე „ჯღუნეთო ყანას“ ვეწოდებთ.

სტატიის ავტორი იმოწმებს ვ. ითონაშვილის და წერს: „ბიბლიტენი, რომლის მეხოვრებლადაც ლელი ღუნია არის წარმოდგენილი მოთხრობაში, ხულელიძეების საცხოვრისს წარმოადგენდა. ამან კი ბიძგი მისცა ვარაუდს „ლელთ“ გვარ-სახელის „ხულელიძ“ გვარიდან მომდინარეობის შესახებ“.

ვფიქრობ, ვ. ითონაშვილს სავარაუდოდ არ უნდა მიეწინა, რომ ლელი ღუნია ხულელიძეების გვარიდან იყო. რადგან ძნელი სავარაუდოა, 24 წლის ილიასთვის ცნობილი ყოფილიყო სოფელი ვიბობერანი და იქ მცხოვრები ვვარები: ჩაბაკური და ხულელიძე.

საოცარი დამთხვევაა, რომ ილიამ მიინდამაინც ვიბობერანში მცხოვრები ლელი ღუნია აირჩია თავის ვამცილებლად და „მეზობლის წერილების“ ვმირად, რომლის პროტოტიპი, ხულელიძე ჯღუნა, ანუ ხულელთ ჯღუნია მართლაც ცხოვრობდა იმ დროს სოფელ ვიბობერანში. ხვენი დამკვიდრებულია ვვარების შემოსვლების მსგავსი პრინციპი და, აქედან ვამომდინარე, ცხადია, ილიას კითხვაზე: რა ვქენან, ძმობილო? არსებული ფორმით უსახუნია — (ხუ)ლელთ (ჯ)ღუნიას მიხმობენი.

სოფელ ვიბობერანში მხოლოდ ორი ვვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ: — ხულელიძეები და ჩაბაკურები, ე. ი. ხულელნი და ჩაბაკურნი (აქედან ხულელთ ვეხტანგი, ჩაბაკურთ ვეიორგი). ლელთ ღუნია ხულელიძიდან რომ მომდინარეობს, აქედანაც ნათელია, რადგან ღუნია სწორედ ვიბობერანს ასახელებს თავის საცხოვრებელ ადგილად. ილიას კითხვაზე — სადაური ხარ? (ჯ)ღუნია პასუხობს: — „სადაველ? ვიბობერანთან, აქაიე ძოანია, თერგეფურნეულ“.

ნათელია, რომ ლელთ ღუნია იგივე ხულელთ ჯღუნეთია.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ კ. გუგუშვილმა სპეციალურად მოიკვლია ამ ამბის შესახებ ხალხური მასალები და მიეიდა დასკვნამდე, რომ ლელთ ღუნიას პროტოტიპი უნდა იყოს ღინჯა ხულელი, რომელიც ალ. ყაზბეგს „ალეკუჯაში“ ჰყავს ვამოყვანილი. ამით მკვლევარმა ილიას უბის წიგნაკში მოხსენიებულ ივანე ჩრდილელთან ლელთ ღუნიას ივიეკობის აღრანდელი ვარაუდიც უარყო.

ღინჯა ხულელი (ძე) და (ხუ)ლელთ (ჯ)ღუნია რეალური პიროვნებები არიან, ორივე — ვიბობერნიელნ, ხულელიძეების ვვარიდან, მაგრამ ხვადასხვა ვანშტოების და ხვადასხვა თაობის წარმომადგენლები; ღინჯა ხულელი ვაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით უფრიხია (ხუ)ლელი (ჯ)ღუნაზე. ერთი თაობისანი არიან ღინჯას შვილიშვილები და ჯღუნია. ამჟამად ცოცხალია ჯღუნას შვილიშვილი მალიკო და ღინჯას შვილის შვილიშვილები, მარიან და ქეთევან გაბრიელის ასულები.

ა. არაბული სტატიის ბოლოს (ხუ)ლელი (ჯ)ღუნიას ნაკვლად ყველანი ღინჯა ხულელიძეს მოიხსენებენ: „ღინჯა ხულელიძე თურმე ცხენებს აქირავებდა“, გამცილებელს ღინჯა ხულელიძეს წნელის მოსართავი ჩასწყლიმია“ და სხვა.

ხულელიძეების დიდი გვარიდან თითქმის 80% ღინჯას შთამომავალია. ღინჯას ოჯახს, მრავალრიცხოვნების გამო, ყვარდიი შმოსგან განსხვავებით თურმე „დიდ ხულელი“ ეძახდნენ. ამ გადმოცემას ხალხური ლექსიც ადასტურებს:

ადიდეთ, დიდო ხულელნო,
მეცხოვრენნო ვაღეს ქედზედა...

ღინჯა ხულელიძის ბრძენკაცობისა და მისი დიდი ოჯახის ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეიერე ა. არაბული სტატიის გაეცნობოდით, არ გეგმანია, რომ ღინჯა ცხენებს აქირავებდა ან ქირაზე დადიოდა.

თუ გეკითხებიან, რომ ვაზბეკი „ხევისბერი ვიარა“ შესახებ წერს: „ეს მოიხრობა სიტყვითსიტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა მოხვევმ ღინჯა ხულელმა“, თუ ამასაც გაეთვალისწინებით, რომ ილია და ვაზბეკი თანამედროვენი იყვნენ, მაშინ, ცხადია, ჯერ ერთი, ფრიად მოხუცი, მრავალი შვილის მამა ქირაზე არ ივლიდა; ეს მისი შვილების საოჯახო გაკაცება იქნებოდა, რასაც არც ბრძენი მამა და არც შვილები არავითარ შეშფოთებაში არ დაუშვებდნენ. მეორეც, ღრმად მოხუცი ისე მარჯვედ ვერ მოიქცეოდა, როგორც ილია წერს: „ამ დროს ჩემს მოხვევას უეცრად თოკის უსანი ჩაუწყდა, თავი ვერ შეიმაგრა და ცხენის გვერდზედ მოვქეცი. მერე ისევ ვასწორდა, ჩამოხტა ცხენიდან და დაიწყო უზანგის გამართვა“.

არც დიდი ილიას მიერ გამცილებლის დახასიათება ვკადლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ლელო ღუნია მოხუცია.

(ხუ)ლელო (ჯ)ღუნია რომ უდავოდ რეალური პირთვნება იყო, ამას დასტურებს შაქრო ხულელიძე, რომელსაც ჰპირ მონათხრობით ახსოვს, ჯღუნია მოუხვანია კაცი (ვ. ი. შშრომელი) იყო, არც სახელის საქმეს ხეოვნდა გაუკეთებელ და ქირაზეც დადიოდა, საპალნეს ეზიდებოდა და კარკად მორთულ ცხენს აქირავებდა, თვითონ კი ძველი უნაგირი და წნელის უზანგები ჰქონდათ.

ა. არაბული წერს: „ინფორმატორები“ კიდევ ერთ დეტალს „აზუსტებენ“, გამცილებელს (ღინჯა ხულელიძეს) წნელის მოსართავი ჩასწყლიმია და უნაგირი მოსახრობიაო; აქაც ინფორმაციის დამახინჯებაა. ილია წერს „თოკის უსანი ჩაუწყდაო“; ცხადია, უკვე ეს ფაქტიც ეჭვს აღძრავს ამბის რეალობის შესახებ“.

სტატიის ავტორი აიკვეტს ღინჯა ხულელსა და ლელო ღუნიას და დასძენს: „ძნელი ასახსნელია, რად შეეკვალა მწერალს რეალური ვვარ-სახელი მაშინ, როცა ალ. ყაზბეგმა ვმრის ის შეუნარჩუნა. გადაელახვ დაბრკოლებად რნგა-ა ვვარ-სახელის შეკვეცის პრინციპიც“.

თუკი ლელო ღუნიას „ხელოვნური“ ენა, როგორც ა. არაბული აღნიშნავს, ილიას უმაღ ვაბეფილი ერთნული ზზრების შესანიღბად მოუხმია“, თანაც ცენზურას მიინც „აუღია ხუნი“ (ილიას სიტყვებია), რაღა გასაკვირია, რომ (ხუ)ლელო (ჯ)ღუნიას ვვარ-სახელიც შეკვეკეს, რათა ცენზურისათვის გამოუცნობი დარნენილიყო რეალური პირთვნება, რაიმე უსიამოვნებას რომ არ ვადაჰყროდ ასეთი ვაბეფული ერთვნული პოზიციისთვის „ადრიდ ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე ვვვაუფლნს“; ამრიკად, ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს ვვარ-სახელის შეკვეკის პრინციპი. „ღინჯა ხულელიძე, თურმე, ცხენებს აქირავებდა და ერთხელ ვიღაც დიდი კაცი გაუცილებიაო, ყველაზან მოხრობელები“ და ისევ ეჭვი: „საკვლევია იყო თუ არა ხევში ცხენების გამქირავებლობა პროფესიად, რომ ამით პირთვნების ამოცნობა ხერხდებოდეს... ამასთანავე, ჯერ ერთი, გასაქირავებელი ცხენები სწორედ „დიდი კაცებისაოვის“ იყო გამიზნული და არა უქონელთათვის, მეორეც, ნაწარმოებიდან არ ჩანს, რომ 24 წლის ჭაბუკ ილიას თანამგზავრზე „დიდი კაცის“ შობაკეშლილება მოეხდინოს... ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ხალხის გადმოცემა შესაძლოა რეალურ საფუძველს არ ემყრებოდეს“.

ა. არაბული კი დასკვნა საერთოდ აღლიკკერი ვვეწვეკვნა შემდეგი გარემოების გამო: თუ რა სიმნელეებთან იყო დაკავშირებული ცხენების ვაქირავება და ქირაზე სიარული და რა შეძლებული რნგბოლთ გამქირავებელი, ალ. ყაზბეგს დეტალურად აქვს აღწერილი ნაშრომში („ხოხეკვები და მათი ცხოვრება“) ამ ნაწარმოების ეკეკნის შემდეგ ცხადი ხდება ილიასა და მისი ვმრის საუბრის შინაარსი:

—„მაშ ქირაზედ არ დადიხარ?
— რაიდ არ დავდივარ? დავდივარ.
— მაშ ქირით ფული ითვლიან?
— ვშაულობთ, ჯობდეთ არ რნგბის; მოის კაცი მახვევ ხვაქეხის კეფიაა...“

„გასაქირავებელი ცხენები მხოლოდ „დიდი კაცებისათვის“ იყო გამიზნული და არა უქონელთათვის“-ო. აქვე შეენიშნავ, რომ უქონელთა ანტონიმია მქონენი (მდიდარი) და არა „დიდი კაცი“, გასაქირავებელი ცხენები და არა მარტო ცხენები, ცხენ-ეშოვნიც, გამიზნული იყო სხვადასხვა დანიშნულებისათვის და არა მარტო მქონენოთვის. მართალია, დიალოგიდან არ ჩანს, რომ ილიას თანამგზავრზე „დიდი კაცის“ შთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდილება მოეხდინოს, მაგრამ ეს გამოწვეულია მხილოდ მოხეევთა დამახასიათებელი თვისებით — ისინი ერთთან თავშეკავებულნი არიან გაკვირვების, აღტაცების და თვით უეფლური მწუხარების გამოხატვაშიც.

ილიას ეეროპული ნაცმეულობა „დიდი კაცის“ შთაბეჭდილებას მოახდენდა თანამგზავრზე. მით უმეტეს, ხეეში ახლაც ხმარობენ გამოძეეებს: „დიდკაცურად გამოწყობილია“ (მოხდენილად ნაცმეულ ადამიანზე), „დიდკაცურად უმირავს ი. ა. ვი“ და, რაც მთავარია, ხულელი ჯიუნა ანც ისე გაუოკეიენციერებელი ნარნ, რომ ილიას ხაუბრიან (რაც დაეწერა და რაც არ დაეწერა „ეგზაერის წერილებში“), მისი კითხეებიდან ეეროფერი „ეეეზაერნა“ და ილია უბრალო ეაკაეად შეეენო.

სტატიის დასაბეულს ა. არამეული ამკვნის: „ის, რომ ლელო ლუნის ეპიზოდის სტილიზეეული ენა და სინამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კინაღამ არ მოგელეს, გამოიხვეშე, ციხე წაგართვეს და მათ თავიანთი მეთოფე კაცები შეიყვანეს. ოღონაც ღმერთმა დრო მოგცა, ჩვენი ამბავი მოგწვდა, დაიწვე ხამოთა და შეუტანე ერთი ხაპალნე ღვინო, გაუმასპინძლი, ქალი მეღვინეთ დაიყენე და დაათვრე ისინი. რაჰან დაიძინეს, გაუღე კარი ჩემს შვილსა და შეუშვი ციხეში, რაც ფასჰიცი იყო დაჰოიცინე, რაც არა ცოცხლად მომეგარე. არა მოეიდეს — რა ჩემი კარზე. იმის მეტი, რომ შენი სახლის შეტი არშის ციხეში არ იდგეს. ამ სამსახურისათვის ერთი საეოეონო და ნახევარი მამული „მაჰალკური“ ხითარხნით მომეცია ბკქონდეს და ვიბეჭნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულებაზედ და სამსახუროს შინა“.

„მე არაგვის ერისთავის შვილს ოტიასაც წაალობა მიქნია“ („ივერია“ № 183, 1890 წ. გვ. 3).

ამ სიგელის შინაარსი, თქმულება არშის ციხეზე და (ხუ)ღელი (ჯ)ღუნის მონათხრობი სავსებით ეთანხეეეა ერთმანეთს; მაშასადამე, ილიასა და მისი თანამეზაერის დიალეეი რეალური ისტორიული ფაქტია; ცხადია, ღელო ღუნაც რეალური პირიეენელია და არამარტო „ძოლიანად ილიას მერონეზეული კალმის ნაყოფი“, როგორც ამას ა. არაბელი ამკვნის.

აღსანიშნავია, რომ ვ. სიდამონიძემ სამჯერ გამოაქვეყნა ნაღირა და თანდარა ხულელიძეების ბმირნის ამბავი. მან უდავოდ მიიწნია თანდარა ხულელიძის ბმირი ქართველი ქალების სიაში შეტანა, რისთვისაც მათი შორეული შთამომავალნი უაღრესად მადლიერნი ვართ ვახტანგ სიდამონიძისა, მაგრამ შეენიშნაეთ, რომ ჟურნალ „ჯეჯილში“ გამოქვეყნებულ სტატიაში არის გარკვეული უზუსტობანი; ვ. სიდამონიძე ეწერს: 1890 წელს სოფელ არშის მკვიდრმა ხულელიძემ იქაურ მასწავლებელს, გაბრიელ ბეღოშვილს ვადასწერად გადასცა ხბოს ტყავზე დაწერილი გუჯარი. ბეღოშვილმა გადაწერა. დედანი ისევ პატრონს დაუბრუნა“.

გაბრიელ ბეღოშვილი ეწერს:

„ამ ღღეებში მოძიებული ვადასწერად ერთი ძველებური სიგელი ხბოს ტყავზედ დაწერილი, ბოძებული ერისთავის ნუგზარისაგან. ნაღირა ხულელიძის შემკვიდრეებს აზრად აქვთ, რომ მოეკა თუ არა სოფელს ვაიბოტენში მიწის მზომაკი კომისია, მაშინვე ზემოთ ნათქვამი სამუთი წარუდგინონ და არშის ციხე თავიანთ საკუთრებად გამოაცხადონ. ამასთანავე, ნაღირა ხულელიძის შემკვიდრეები ერთხმად ამტკიცებენ, რომ თვით ნაღირა ხულელიძე და მისი ძმა არშის ციხეში წმ. გიორგის ნახევრად დაქცეულს ეკლესიაში ჯრილ დასაფლავებულნი“ („ივერია“, № 183, 1890 წ. გვ. 3).

აქედან ნათელია, რომ გაბრიელ ბეღოშვილს სიგელი ვადასწერად მიუტანეს ნაღირას შემკვიდრეებმა, გაიბოტენში მცხოვრებლებმა და არა ერთმა პირიეენებამ და ისიც არშის მკვიდრმა. მეორეც, არც ერთი ხულელიძე არშის მკვიდრი არ ყოფილა არასდროს, ხულელიძეების საკვიდრებელი იყო გაიბოტენი, უფრო ვვიან სოფელი თოთიე, როცა ღინეა ხულელის შვილები ცალ-ცალკე დასახლდნენ. მხოლოდ 1956 წელს მომხდარი სტიქიური უბედურების გამო გაიბოტნიდან და უგზოუკლების გამო თოთიდან გადმოსახლდნენ ხულელიძეები და ამჟამად ძოლიანად ახალ არშაში ცხოვრობენ, 1890 წელს კი არშის მკვიდრთა შორის ხულელიძე არავინ ყოფილა.

ვ. სიდამონიძე წერს: „ღელო ღუნის ნაამბობსა და ნუგზარ ერისთავის სიგელში გადმოცემული ამბის სულ უბრალო შედარებაც კი სრულიად საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ის, რაც ღელო ღუნიამ უამბო ილია ჭავჭავაძს დარიალის ხეობაში მგზავრობის დროს, სინამდვილე ყოფილა“. და კიდევ: „1605 წელს ნუგზარ ერისთავის შვილმა ბაინდურმა რუხეთის ელჩებს ტატიშვილა და ივანოვს დარიალის ხეობის სიონში შეხვედრის დროს განუცხადა: „ყაბარდოელები თავს დაეხსნენ არაგვის საერისთოს და დაარბიენ“ („ჯეჯილი“ № 24, გვ. 95). აღსანიშნავია, რომ აქ ეეოერაფიული უზუსტობაა.

ილია ჭავჭავაძემ და ღელო ღუნიამ ერთად იმგზავრეს არა დარიალის ხეობაში ლარსიდან სტეფანწმინდამდე, არამედ თერეთ ხეობის გავლით სტეფანწმინდიდან ფასანაურამდე. ასევე, ხევის ულამაზესი სოფელი სიონი თერგის ხეობაშია და არა დარიალის ხეობაში.

ვ. სიდამონიძე წერს: „ირკვევა, რომ ღელო ღუნია თავად სოფელ ვაიბოტნიდან ყოფილა, რომელიც არც ისე შორს მდებარეობს არშის ციხედან. იგი ხულელიძეთა შთამომავალი ჩანს. შეიძლება, ნაღირა ხულელიძის შვილთაშვილიც იყოს“ (ბულისმობს შვილის შვილიშვილს, — ს. ხ.).

ცხადია, ღელო ღუნია სოფელ ვაიბოტნიდან იყო, მაგრამ მას არშის ციხესთან არაფერი აკავშირებდა. ჯღუნის სიცოცხლეში ისტორიულ სოფელ არშას და თვით არშის ციხეს ძველი დანიშნულება აღარ ჰქონდათ. დაუშვებელია ვარაუდი, თითქოს ჯღუნა ნაღირა ხულელიძის შვილიშვილი იყო. ჯერ ერთი, ნაღირა ხულელიძე დაახლოებით XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და XVI საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, ე. ი. ნაღირასა და ჯღუნიას შორის თაობათა ცვლა 12-ჯერ მაინც მოხდა; მეორეც, რაც მთავარია, გადმოცემით ვიცით, რომ ნაღირა ხულელიძის შტო არ გაგრძელებულა, რადგან მას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. ამ ინფორმაციის რეალობას თვით ნუგზარ ერისთავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ ნაღირობაში გაცეშული წყალობის სიგელიც აღასტურებს.

ნაღირას რომ ეკეშილები ჰყოლოდა, აუცილებელად მიაღებინებდა მონაწილეობას არშის ცოხის ბრძოლაში, ხოლო ნუუზარ ერისთავი თანდარასთან ერთად მაოგ ისევე მოიხსენიებდა წყალობის სიგელში, როგორც თავისი შვილები: ვეორეი, ზურაბი, ფალუნა და ოტია მოიხსენია. მაშასადამე, ნაღირას მხოლოდ ქალიშვილი ჰყავდა. ვაჟი არ ჰყოლია. ამრიგად, ლელთ ლუნაა ვერ იქნებოდა ნაღირას შვილის შვილიშვილი.

ინტერესმოკლებული არ იქნება ა. არაბულის მიერ გამოვენებული ის ლიტერატურული წყაროების გაცნობა, ლელთ ლუნიას ვინაობას რომ ეხება:

კ. გუგუშვილი, „ი. ჭავჭავაძე და მოხეური კილო“; (გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრ. 5, 1959 წ.)

როგორც კ. გუგუშვილი აღნიშნავს, 1938 წელს ფაზბეგის რაიონში ყოფნისას შეუსრულებია მასალები თოთხ და ვაიბოტენში; იგი ცდილობს, დასაბუთოს, რომ ლინკა ხულელი და ლელთ ლუნია ერთი და იგივე პიროვნებაა.

კ. კუგუშვილი წერს: „სოფელი თოთხ ჩემი ყოფნისას ამ სოფლის მცხოვრებმა ი. ხულელიძემ (სამწუხაროდ, სახელი მთლიანად არ არის მოხსენიებული, — ს. ხ.) თავი ლინკა ხულელიძის შვილიშვილად გამაცნო. ი. ხულელიძემ ვაიმეორა სოფელ ვაიბოტენში შეკრებილი ცნობები, რომ ლინკა ხულელიძე მარილა აქორავეფდა ცხენებო.

ერთხელ ლინკა ხულელიძემ ვიღაცა დიდი კაცი ვაიცილა ფასანაურამდე. ბიდარაზე რომ აეიღნენ, ლინკას თურმე ნაუწყდა წნელისაგან დაწნული უზანგი და ცხენს ვვერდზე მოექცა. ეს მისი ხალეკსო ამბავი შემდეგ წიგნებშიც კი იყოო. შეკითხვაზე — ხომ არ იციან თუ რომელ წიგნში იყო ეს ამბავი, სამწუხაროდ, უარყოფითად უპასუხეს. მაგ ნიხარულს ხაზგასარი არ ჰქონდა, როდესაც ძოიხსენეს „მეზაურის წერილების“ ის ადგილი, სადაც ვაღმოცემულია ლელთ ლუნიას და ი. ჭავჭავაძის დიალოგი. ვვალა შეეხვარეთ და მაგ შორის ი. ხულელიძემაც ერთხელ დაადასტურა, რომ ეს ამბავი სწორედ ლინკა ხულელიძეს ეხებოდა. ამრიგად, თუ ჩვენება სწორია, ლელთ ლუნია ლინკა ხულელიძეა.

ეაღმოცემის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ლელთ ლუნია იყო მოხევე ლინკა ხულელი სოფელ ვაიბოტნიდან, ხანი მეშკედრეები დღესაც ცხოვრობენ ვაიბოტენშიე — ხოლო შვილიშვილი ი. ხულელიძე სოფელ თოთხი ვაღმოხულა“.

უნდა შეენიშნოთ, რომ აქ არც ერთი მოხრობელი არ არის დასახელებული სოფელ ვაიბოტნიდან, თუმცა კ. გუგუშვილს ცნობები მთავარ მიუღია, შემდეგ კი ეს ცნობები დაუდასტურებია თოთხი მცხოვრებ ი. ხულელიძეს, რომელსაც თავი ლინკა ხულელიძის შვილიშვილად ეგულისხა.

1938 წელს ლინკა ხულელის მრავალრიცხოვანი შვილიშვილებიდან არც ერთი არ იყო ცოცხალი. შვილიშვილის შვილები კი საკმაოდ იყვნენ ვაიბოტენში.

შეენიშნავ, რომ ვაიბოტნიდან თოთხი ლინკას შვილიშვილი კი არ ვადასახლეს, არამედ აქ დასახლდნენ ლინკას შვილები: ადამი, ბერი და ოთხები; დიდი ოჯახის გაყრის შემდეგ სწორედ მათ ეროთ თოთის მაპული.

ვინ იყო ი. ხულელიძე, რომელი მონათხრობს კ. გუგუშვილი ისოსწმებს?

ხოფელ თოთხ მცხოვრები ისევ ხულელიძე იყო ლინკა ხულელიძის შვილის შვილიშვილი, მას ზეპირად სცოდნია „ეკეფხისტყაოსანი“, ყოფილა ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო მცოდნე და მთხრობელი. ბატონმა აკაკი შანიძემ 1913-1915 წლებში იასეს ბევრი მონათხრობი, ხალხური ლექსი და მისი საკუთარი ლექსები ჩაიწერა (ა. შანიძე. თხზულებანი ტ. I, გვ. 193-220, 1984 წ., თბილისი). ამასთან, იასეს ჩინებულად სცოდნია თავისი გვარის გენეალოგია. იასე ხულელიძე არა უფლიანეს 1926 წელს ვარდაიცვალა. ამას ადასტურებენ მისი შვილიშვილები თამარ და სოფიო კოტეს (ქოთიას) ასულები, რომელთა მონათხრობთაც მათი მესამე დის ნუშას დამადასტურა, 1926 წელს, იასე უკვე ვარდაცვლილი იყო. ასე რომ, 1938 წელს კ. კუკუშვილი მისგან ცნობებს ვერ მიიღებდა.

მეორე ი. ხულელიძე, რომელიც თოთხი ცხოვრობდა, იყო ივანე ადიას ძე ხულელიძე, ლინკას შვილიშვილის შვილი, რომელსაც შეიძლება შეეხვედროდა კ. გუგუშვილი, მაგრამ ივანე ახალაზრდობიდანვე ყრუ იყო და ამბების თხრობა საერთოდ არ ეხერხებოდა (მე მას კარგად ვიცნობდი). მისგან მიღებული ცნობები სარწმუნოდ არ ჩაითვლება და არც ჩინმდვილეს შეესაბამება.

კ. კუ-უშვილი წერს: „ვაიბოტენში შეკრებილი ცნობები თოთხი ი. ხულელიძის ვაიმეორა“; ვაიბოტენში ცნობების მიღება მას შეეძლო ილიი ხულელიძისაგან (ლინკას შვილიშვილის შვილი), რომელმაც ჩვენმოწვეულად კარგად იცოდა ჩვენი წინაპრების ვინაობა.

თუკი კ. კუკუშვილი ვაიბოტენში იყოდა ხულელიძის შეხვედროდა, უეჭველ ცნობებს მიიღებდა მისგან. ილია ნიამაოთ ეტყოდა, რომ ლინკას შვილიშვილის შვილი იყო, იმასაც დამტკიცებ, რომ ლელთ ლუნიაც მისი თანამედროვე იყო. ლელთ ოუნიას მეეიღრი ძმისწული ისოსნი (ბოძო) ი.ეეე, მის მაჩლობლად ცხოვრობდა, უსაოოოდ მასაც შეეხვედრებდა.

ბოძო იყო სიტყვაძუნწი მოსაუბრე, მეფანდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე, მღერიდა თავის მიერ შეთხზული ლექსებს. ᲮᲨᲘᲗᲐ და ᲗᲐᲛᲐᲚᲝᲠᲘᲗ დაბალი კაცი, ღინღარი, კარკი მოვიდეს ყოველ, ადგილიდან ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲐᲜᲐᲓ ᲗᲣᲠᲘ, აქედან მოძღვანარეთმა მახი მეტსახელი — ᲛᲝᲫᲝ-ᲛᲝᲫᲝ. მისკენ ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠ ᲛᲝᲛᲮᲘᲛᲘᲜᲐᲜᲐ ᲐᲛᲪᲐᲜ. ი�on თქმა: თქვენი დიდი ᲞᲐᲞᲐ ᲦᲘᲜᲦᲐᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲠ ᲘᲢᲘᲧᲝᲓᲐ, ᲗᲣᲠᲛᲐ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲕᲐᲫᲮᲘᲜᲐᲜ ᲛᲝᲫᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲪᲮᲘᲜᲐᲜᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲪᲮᲘᲜᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲦᲘᲜᲦᲐ ᲮᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲦᲔᲚᲔᲛ ᲦᲣᲜᲐ ᲝᲠᲘᲪᲘ ᲠᲘᲚᲐᲪᲔᲠᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲜᲘᲫᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲪᲮᲘᲜᲐᲜᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲗᲣ ᲩᲐᲜᲐᲛᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲪᲮᲘᲜᲐᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲯᲐᲠᲙᲐ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲮᲕᲔᲜ ᲠᲐ ᲛᲝᲚᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ, ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲦᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲘᲪᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲯᲐᲖᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲯᲐᲖᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲑᲝᲫᲝ, ᲘᲪᲘᲐ, ᲕᲔᲚᲐᲔᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲜᲔ, ᲨᲐᲥᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲫᲝᲜᲘᲐ ᲮᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲪᲮᲘᲜᲐᲜᲐ. ᲛᲐᲗ ᲫᲝᲠᲬᲔᲠᲜᲘᲗᲐᲜ ᲜᲐᲛᲝᲓᲘᲗ ᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲫᲘᲡᲔᲑᲓᲐ ᲝᲐ ᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲓᲐᲠᲒᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲛᲐᲢᲐᲠᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲝᲐ ᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲓᲐᲠᲒᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲦᲘᲜᲦᲐᲡ ᲔᲚᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲪᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ „ᲮᲐᲜᲓᲔᲠᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ“ შესულ. ᲘᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲔᲚᲘ ᲮᲘᲜᲯᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ (ᲕᲐᲠᲓᲘᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲘᲠᲓᲐᲗ) ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲛᲝᲓᲘᲗ (ᲧᲐᲜᲐᲜᲯᲘᲡᲐ) ᲫᲐᲚᲘ ᲨᲘᲠᲝᲛᲘ ᲓᲘᲚᲐᲛᲔ. ᲦᲘᲜᲦᲐᲡ ᲑᲘᲠᲘᲡ ᲨᲘᲚᲘᲡᲔᲜᲘ. ᲮᲣᲗᲘᲛᲔᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲓᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲒᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ, ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲯᲐᲖᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲘᲪᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲯᲐᲖᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲣᲪᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲝᲐ ᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲓᲐᲠᲒᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲯᲐᲖᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲑᲝᲫᲝ, ᲘᲪᲘᲐ, ᲕᲔᲚᲐᲔᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲜᲔ, ᲨᲐᲥᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲫᲝᲜᲘᲐ ᲮᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲐᲛᲘᲗᲘᲛ ᲘᲪᲘᲐᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲠᲘᲪ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ.

ᲘᲡᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ. ᲠᲝᲛ ᲦᲘᲜᲦᲐᲡ ᲮᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔ ᲐᲚ. ᲯᲐᲖᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ „ᲦᲔᲚᲒᲣᲜᲐᲡ“ ᲞᲐᲠᲚᲘᲜᲔᲜᲯᲘᲡ ᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ. „ᲮᲘᲜᲯᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲝᲘᲪᲘᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲜᲐ ᲦᲘᲜᲦᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲗᲐᲜᲘᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲘᲛᲔ ᲨᲔᲛᲘᲯᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ. ᲘᲡ ᲘᲝᲗ ᲛᲝᲗᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲘᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲚᲘᲜᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲛᲓᲐ ᲗᲘᲗᲛᲝᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲘᲡᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲐᲗᲕᲠᲘᲡᲘᲗ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ.

ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ, ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲐᲛᲘᲗᲘᲛ ᲘᲪᲘᲐᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲠᲘᲪ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ.

ᲘᲡᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲐᲛᲘᲗᲘᲛ ᲘᲪᲘᲐᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲠᲘᲪ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ.

ᲘᲡᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲥᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲛᲔᲛᲘᲫᲔ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲛᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲒᲣᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲘᲠᲘᲜᲯᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲓᲘᲓᲘᲜᲯᲘᲡᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲘᲫᲔ ᲮᲐᲠᲘᲗᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲯᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲢᲐᲠᲘ, ᲐᲛᲘᲗᲘᲛ ᲘᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲣᲠᲘ, ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲯᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲠᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ.

ᲘᲡᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲜᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიკვდილზე, არამედ შვილების ობლად დარჩენაზე:

— „პატარვების დამიღონებენ, ღინჯავ, ოორემ მტერი რას მიზამს?..

— მი მაგას თავი დაანებე, შენი ჭირიმე... „ღმერთია კეთილ გამწესი, იფიცე არის დამრჩენი!..“ — უპასუხა ღინჯამ და შეხუმრებით დაუმატა: მაგის მაგივრად (ცოლ-შვილის ობლად დარჩენაზე) დარდის მაგივ! შენი შვილების სადღეგრძელოდ ერთი ს

ლობსო, მაგრამ ძველად, მაგ საკულტიო ადგილებში XIX საუკუნის 70-იან წლებში მოხსენიებული სოფელ ვარბის მკვიდრი ეთიოკი ღინჯას ძე გუჯარაიძე.

რაც შეეხება ღინჯას, ეს სახელი საერთოდ არც ყოფილა და არც არის. ღინჯა კონკრეტული შეცდომაა. „ხუთსიერი ეიოსა“ ერთ-ერთი გამოცემის შენიშვნაში მოხსენიებულია: „ეს მოთხრობა სიტყვით-სიტყვამდე მიაჯბი ფრიად მოხუცმა ღინჯა ხულელმა“, რომელიც შემდეგ გამოცემებში შესაწორეს, „ელეუჯაში“ კი ყველგან ღინჯად მოიხსენიება.

ჯაბაგელი რაიონის სოფელ არაშიაში ცხოვრობს 90 წლის ეადაცლეგული ეანი ხულელიძე, რომელმაც მოგვითხრა: ხულელი ᲙᲚᲔᲜᲘᲐ ძაუშში ცხოვრობდა ᲭᲚᲝᲕᲘᲠᲝᲛᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲒᲜᲘᲐᲡᲐ; 6-7 წლის ეიქნებოდი და კარგად მახსოვს, ზამთრის პირი იყო, როცა მოასვენეს ეაიბოტენში, ᲭᲚᲔᲥᲘᲗᲐᲮᲝᲣᲚᲘ ლაკში პურიე მოიტანეს და მაგშეკებს დაეგიაალეს პური შინ შეზიდეგო.

ამ მონათხრობიდან ცხადია, რომ (ᲮᲣᲚᲔᲚᲘ (Ხ)ᲔᲜᲘᲐ 1910 წლამდე ᲐᲠᲐᲠᲓᲐᲒᲘᲐᲡᲐ. ამ დრის არაეუ ღინჯა, არამედ მისი მუსამე და თაო�d მეოთხე შთამომაგლებიდანაც არავინ იყო ეიოკეხალი, რაც ისევ ადასტურებს, რომ ღინჯა და ღუნია სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან.

ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ღინჯა ხულელის შესახებ ᲧᲣᲛᲐᲠ ᲧᲐᲒᲘᲔᲚᲘ („სამრეკლო საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებიᲘ VIII წიენი, ბათუმი, 1975 წ. ღინჯა ხულელიძე, გვ. 177-182). მოეუსმინოთ მას: „აჭარაში, ხულის რაიონში, სხალთის სამეფოში ცხონიდა ტოპონიმი ღინჯეთი. სხალთის სამეფოს იალაღებია და ხაძოეართა . რუკა-ხეეუმაზე აღნიშნეეა ტოპონიმი ღინჯეთი.

სოფელ ეინჩაურელი მოქმენი მამეგ შარაღის ძე ᲮᲣᲠᲗᲜᲘᲜᲘᲡ ცნობით: „სოფელ ეინჩაურა ᲓᲐ ᲯᲝᲛᲚᲔᲡᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲐᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲐ. ᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲡ ᲥᲕᲘᲜᲐ ᲦᲘᲜᲯᲔᲗᲘ. ᲣᲤᲝᲠᲘ ᲮᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲨᲣᲛᲘᲗᲐᲜ ᲜᲘᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ: ᲦᲘᲜᲯᲔᲗᲘ ᲠᲝᲛᲔ ᲨᲘᲜᲯᲐᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, ᲝᲠᲘᲡᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮ ᲬᲚᲘᲡ — ᲔᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲘᲥ ᲪᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲡᲐ. ᲛᲐᲒ. ᲦᲘᲜᲯᲣᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲘᲜᲘᲪᲔ ᲦᲘᲜᲯᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲯᲔᲓᲝᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲐᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲤᲘᲗ (ᲛᲗᲐᲠᲘᲗᲘ). ᲯᲘᲔᲚᲔᲗ რომ იქ ცხვრის ᲮᲐᲫᲘᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲩᲐᲜᲣᲚᲐ, ᲐᲛᲐᲡ (ᲦᲘᲜᲯᲐᲡ) ᲨᲔᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲯᲝᲜᲘᲡᲯᲘᲗ, ᲛᲘᲯᲐᲠ (ᲚᲐᲘᲪᲐᲡ) ᲩᲐᲠᲗ. — ᲔᲘᲜᲩᲐᲣᲠᲘᲔᲚᲔᲜᲘ, ᲛᲔᲛ ᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲕᲐᲠᲐ, ᲣᲯᲘᲗᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲦᲘᲜᲯᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲗᲘᲐᲒᲐᲜ (ᲓᲐᲠᲒᲐᲜ, ᲡᲕᲘᲗᲐ) ᲪᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲕᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲒᲠᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲥᲘᲗ ᲔᲘᲜᲩᲐᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲮᲣᲚᲘᲡ ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲯᲔᲠ ᲤᲠᲘᲐᲠᲘ ᲮᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲘᲡᲘᲝ ᲐᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲛᲔᲚᲘᲡᲐ, რომ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲔᲠᲘ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲮᲣᲚᲔᲚᲘᲫᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲞᲐᲞᲐ ᲮᲐᲚᲔᲚᲐᲛᲔ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲦᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲗᲐ ᲨᲔᲛᲔᲚᲐ ᲝᲗ ᲨᲔᲛᲔᲦᲕᲔᲚᲘ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲫᲐ“.

ᲨᲔᲕᲘᲜᲘᲗᲕᲝᲗ, რომ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲮᲣᲚᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲞᲐᲞᲐ ᲮᲐᲚᲔᲚᲐᲛᲔ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲔᲠᲗ ᲘᲪᲘᲡᲐᲜᲔᲡ, რადგან ᲦᲘᲜᲯᲐ 1774 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲓᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲘᲡ. ᲦᲘᲜᲯᲐ, რომელიც ᲩᲘᲜᲐᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲮᲣᲚᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲚᲐᲮᲚᲔᲡᲐ, ᲮᲣᲚᲘᲡ ᲣᲤᲝᲠᲘ ᲐᲓᲠᲣᲚᲔᲡ ᲮᲣᲚᲘᲡᲣᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲘᲪᲮᲝᲑᲓᲐ. ᲐᲚᲐᲓᲐᲜ, თაობიდან თაობას ᲒᲐᲒᲐᲪᲘᲛᲝᲓᲐ მისი ᲙᲐᲪᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲨᲘᲐᲜᲘ. მისი ᲛᲝᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲪᲝᲠᲐ ᲐᲙᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲣᲛᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲔᲚᲐᲛᲔ ᲨᲝᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲡ, ᲦᲘᲜᲯᲐᲡ ᲮᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲩᲐᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ) ᲮᲐᲚᲔᲚᲘ ᲐᲙᲔᲚᲘ ᲛᲘᲘᲪᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲯᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲘ ᲘᲪᲘ ᲩᲣᲛᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲓᲕᲠᲓᲐ.

ᲦᲘᲜᲯᲐᲡ ᲩᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲔᲚᲘ რომ ᲐᲙᲔᲚᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ ᲩᲐᲚᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲫᲕᲐ, სოფელ თოთში. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲐᲠᲐᲨᲘᲨᲘ, ᲚᲔᲠᲯᲘ ᲮᲣᲚᲔᲚᲘᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲯᲐᲮᲘᲗ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲰᲐᲮᲡᲔᲜᲘᲗᲘ ᲩᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲐᲠᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲗᲐᲜᲐᲚᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲦᲘᲜᲯᲐᲡ ᲨᲔᲛᲔᲦᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲫᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘ, ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲜᲘᲗᲕᲚᲘᲡ. ᲠᲝᲛ ᲮᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲨᲣᲛᲘᲗᲐᲜ ᲜᲘᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ: „ᲮᲝᲛᲔᲚ ᲨᲘᲜᲯᲐᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, ᲡᲮᲐᲚᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲠᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘ ᲦᲘᲜᲯᲔᲗᲘ. ᲮᲐᲚᲔᲚᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲘᲐᲚᲐᲦᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲫᲝᲔᲐᲠᲗᲐ . ᲠᲣᲙᲐ-ᲮᲔᲔᲣᲛᲐᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘ ᲦᲘᲜᲯᲔᲗᲘ.

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲔᲘᲜᲩᲐᲣᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲥᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲔᲒ ᲨᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲫᲔ ᲮᲣᲠᲗᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ: „ᲡᲝᲤᲔᲚ ᲔᲘᲜᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲯᲝᲛᲚᲔᲡᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲐᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲐ. ᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲡ ᲥᲕᲘᲜᲐ ᲦᲘᲜᲯᲔᲗᲘ. ᲣᲤᲝᲠᲘ ᲮᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲨᲣᲛᲘᲗᲐᲜ ᲜᲘᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ: ᲦᲘᲜᲯᲔᲗᲘ ᲠᲝᲛᲔ ᲨᲘᲜᲯᲐᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, ᲝᲠᲘᲡᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮ ᲬᲚᲘᲡ — ᲔᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲘᲥ ᲪᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲡᲐ. ᲛᲐᲒ. ᲦᲘᲜᲯᲣᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲘᲜᲘᲪᲔ ᲦᲘᲜᲯᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲯᲔᲓᲝᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲐᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲤᲘᲗ (ᲛᲗᲐᲠᲘᲗᲘ). ᲯᲘᲔᲚᲔᲗ რომ იქ ცხვრის ᲮᲐᲫᲘᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲩᲐᲜᲣᲚᲐ, ᲐᲛᲐᲡ (ᲦᲘᲜᲯᲐᲡ) ᲨᲔᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲯᲝᲜᲘᲡᲯᲘᲗ, ᲛᲘᲯᲐᲠ (ᲚᲐᲘᲪᲐᲡ) ᲩᲐᲠᲗ. — ᲔᲘᲜᲩᲐᲣᲠᲘᲔᲚᲔᲜᲘ, ᲛᲔᲛ ᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲕᲐᲠᲐ, ᲣᲯᲘᲗᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲦᲘᲜᲯᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲗᲘᲐᲒᲐᲜ (ᲓᲐᲠᲒᲐᲜ, ᲡᲕᲘᲗᲐ) ᲪᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲕᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲒᲠᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲥᲘᲗ ᲔᲘᲜᲩᲐᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲮᲣᲚᲘᲡ ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲯᲔᲠ ᲤᲠᲘᲐᲠᲘ ᲮᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲘᲡᲘᲝ ᲐᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲛᲔᲚᲘᲡᲐ, რომ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲔᲠᲘ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲮᲣᲚᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲞᲐᲞᲐ ᲮᲐᲚᲔᲚᲐᲛᲔ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲦᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲗᲐ ᲨᲔᲛᲔᲚᲐ ᲝᲗ ᲨᲔᲛᲔᲦᲕᲔᲚᲘ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲫᲐ“.

ᲨᲔᲣᲩᲔᲜᲔᲗ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲯᲔᲠ ᲤᲠᲘᲐᲠᲘ ᲮᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲒᲠᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲥᲘᲗ ᲔᲘᲜᲩᲐᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲮᲣᲚᲘᲡ ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲯᲔᲠ ᲤᲠᲘᲐᲠᲘ ᲮᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲘᲡᲘᲝ ᲐᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲛᲔᲚᲘᲡᲐ, რომ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲔᲠᲘ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲮᲣᲚᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲞᲐᲞᲐ ᲮᲐᲚᲔᲚᲐᲛᲔ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲦᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲗᲐ ᲨᲔᲛᲔᲚᲐ ᲝᲗ ᲨᲔᲛᲔᲦᲕᲔᲚᲘ ᲦᲘᲜᲯᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲫᲐ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14
4.IV-94

ტექნიკური რედაქტორი ზიული სირაძე

ჩ ვ ე ნ მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. სკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 9.08.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.93 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 1238. ტირაჟი 2.600.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველო" 380009, თბილისი, ვ. კოსტავას 14.

2-93
ფასი 2000 კუპონი
ი 408/2
94-14
ინდივიდუალური